K 24.269
4.

፡ስመ፡ሥላሴ ፡ዘመ፡ሰ

፡ፍሬ፡ጠ፡ቃ፡ኑ፡ ፡ ፡

„გიორგი ჩიტაიასთან მუშაობა იყო ჩემთვის ის დიდი სკოლა, რომელიც არა მარტო სამეცნიერო ინფორმაციებით მამდიდრებდა, არამედ მაძლევდა საფნოებისა და პრინციპულობის, მაღალადამიანურობის გაკვეთილს, მიღვივებდა შემოქმედისათვის აუცილებელ ალღოს და სწორ ხედვას.

მე მას ვუმადლი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, სიკეთისადმი სწრაფვის გამმაფრებას ჩემში“

ფ.ბურნაშევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეთნოგრაფიული
მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

გ. ჩიტაიას „შრომების“ გამოცემა გრძელდება
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის,
ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის
ფონდის პრეზიდენტის, სახალხო მხატვრის

ზურაბ წერეთლის მოთავეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჯვრები

ეკლესიები
ხყთ ტოგაჲ

ფ. ბერიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ქართული

II ქართული ხალხის ეთნოგენეზი და ეთნოკულტურულ-ისტორიული პრობლემები

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გომი შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი, საძიებლები დაურთო თ. ცაგარეიშვილმა

„მეცნიერება"
თბილისი
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

63.5(2r)
39(479.22)
ჩ 671

ვ. ჩიტაიას „შრომების“ II ტომი ეძღვნება ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემას. მასში გამოყენებული ქართული კულტურის თვითმყოფადი წარმომაყენობა, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სამეურნეო და მატერიალური კულტურის, სოციალური მოყვანებისა და იდეოლოგიური ურთიერთობის გადმონაშთების კულტურულ-ისტორიული ღირებულება და აღმოსაყენეთის ძველ ხალხებთან კულტურულ-გენეტიკური კავშირი.

ვ. ჩიტაიას ნაშრომებში ახლებურადაა გაშუქებული ეთნოგრაფიული ფაქტის მნიშვნელობა ისტორიულ კვლევაში, მისი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება და მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით ეთნოლოგიური კვლევის ეტალონს წარმოადგენს.

მონოგრაფია განკუთვნილია ეთნოლოგების, საქართველოს ისტორიის სპეციალისტების, სტუდენტებისა და კულტურის ისტორიით დინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

შემდგენელი
რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი

რეცენზენტები: ნ. ხაზარაძე, პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი
ი. სურგულაძე, პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი

K 21269

ჩ $\frac{0505000000}{М607(06)-2000}$

ISBN 99928-51-11-2

© ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობის დაცული ფონდი
„მეცნიერება“
2000

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრ-20
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა — ინსტიტუტი ეროვნული ენციკლოპედიებისა და ლექსიკონებისა. ამდენი ადამიანი ჩემს ბიბლიოთეკაში ალბათ ეროვნული ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების ინსტიტუტიდან ან ეროვნული ბიბლიოთეკიდან ან ეროვნული ენციკლოპედიებიდან ან ეროვნული ლექსიკონებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს **გ ი ო რ გ ი ჩ ი ტ ა ი ა ს** მეცნიერული შემოქმედება მთლიანად ემსახურება ქართველი ხალხის კულტურის კვლევას, ეთნოგენეზის ზოგიერთი საკითხის გადაჭრას. კულტურის ცნებაში მკვლევარი აქცევს იმ ეროვნულ თავისებურებებს, რომლებიც მყღავნდება საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევაში, ხოლო „ხალხის მიერ ემპირიულად, პრაქტიკულად მიკვლეული მონაპოვარი" მას მიაჩნია იმ წვლილად, რომელიც ამა თუ იმ ერს შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

„ქართული ეთნოგრაფია – წერდა იგი – მოწოდებულია წარმოადგინოს ხალხური კულტურა მთლიანობაში, რაც ნიშნავს ქართველი ხალხის მიღწევების ჩვენებას სამეურნეო, მატერიალურ და სულიერ კულტურაში. მაგრამ სანამ მთლიანობაში ეთნოსის კულტურის ასახვას შევძლებდეთ, საჭიროა ამ კულტურის ცალკეული ელემენტის გამოყოფა, დეტალური ფიქსაცია, მისი თვითმყოფადი ნიშნების მიგნება და შეხამება კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და საერთო ისტორიული პროცესების ანალიზთან. მხოლოდ ასეთი კვლევის გზით არის შესაძლებელი კულტურის თვითმყოფადობის, მისი რეალური სურათის აღდგენა. . . ეთნოგრაფმა კვლევის ეს მიმართულება უნდა აირჩიოს და არა მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული იაფფასიანი მონოგრაფიების წერა. ეს უკანასკნელი რომ აგვერჩია, ალბათ სათანადო დონესაც ვერ მივაღწევდით".

მეცნიერებისადმი ასეთი პრინციპული დამოკიდებულება **გ. ჩ ი ტ ა ი ა ს** პირადი მაგალითით გვიჩვენა: მისთვის არ არსებობდა „დიდი" და „პატარა" საკითხი. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეთნოგრაფიული ელემენტი ჩიტაიასეული კვლევით (საკითხის ფართოდ დაყენება, სიზუსტე მასალის დამუშავებაში, შედარებითი მეთოდის გამოყენება, დასკვნებში–ეთნოსპეციფიკისა და კულტურულ-ისტორიული ღირებულების დადგენა) ავლენდა ეთნოგრაფიული მეცნიერების დიდ შესაძლებლობებს ეთნოგენეზის კვლევაში, კერძოდ, ტრადიციული კულტურის უძველეს ფესვებს და კავშირებს კავკასიისა და წინა აზიის კულტურულ სამყაროსთან.

ალბათ ამიტომაც მისი გამოკვლევები, საერთაშორისო არენაზე გასული, ყურადღებას იპყრობდა არა მოცულობით, არამედ– პირველსიტყვაობით, ლაკონური მსჯელობითა და მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზით.

გ. ჩიტაიას „შრომების" ხუთტომეულის მეორე ტომში შევიდა მის მიერ 1924–60-იან წლებში დაწერილი ნაშრომები ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და კულტურულ-ისტორიული პრობლემების შესახებ. საარქივო მასალებიდან (პრობლემის მიხედვით) შეირჩა და პირველად ქვეყნდება შემდეგი ნაშრომები:

1. **„შესავალი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის"**. ნაშრომი შესრულებულია 1946 წ. და გათვალისწინებული იყო „საქართველოს ეთნოგრაფიის" სახელმძღვანელოსათვის.
2. **„თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ"**, ნაშრომი დაწერილია 1938 წ.
3. **„ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია"**. ნაშრომში გაერთიანდა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული გამოუქვეყნებელი წერილები, რომლებიც დაცულია მის პირად არქივში:

„ქართველი ხალხის დიდი ლაღი“ (6 გვ.); „ივ. ჯავახიშვილი და წყარ[illegible]
მცოდნეობა“ (9 გვ.); „ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის გამო“ (10 გვ.);
„ივ. ჯავახიშვილი და ეთნოგრაფია“ (17 გვ.); „მოგონებები ივ. ჯავახიშვილზე“
(6 გვ.); „ივ. ჯავახიშვილი და სახელმწიფო მუზეუმი“ (6 გვ.); „გამოჩენილი
ისტორიკოსი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (7 გვ.) რუსულ ენაზე“ [1].

4. **„ხევსურული შვილდისარი“** ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი, შესრულებული 1938 წ. ხევსურული იარაღის, მათ შორის შვილდისრების სტენდი გამოფენილი იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
5. **„საყოფაცხოვრებო რეალიები ვეფხისტყაოსანში“**. ნაშრომი შესრულებულია 1962 წ.
6. **„ძველი აფხაზეთის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ“**. დაიწერა პ. ინგოროყვას მონოგრაფიის „ვირგილ მერჩულეს“ გამო 1955 წ.
7. **„საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ“**. მოხსენება წაკითხულ იქნა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ მწვავე დისკუსიაზე 1954 წ.
8. **„ქართული ხალხური ორნამენტი: II. დაჩითული ჭრელები“**. ნაშრომი გათვალისწინებული იყო დასაბეჭდად 24 ტაბულით. ტაბულების სრულად აღდგენა ვერ მოხერხდა.
9. **„ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები“**. მოხსენება წაკითხულ იქნა სოხუმში 1952 წ. 13 დეკემბერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 32-ე სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნას.
10. **„მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“**. ნაშრომი არქივში დაცულია სრული სახით. მისი ნაწილი გამოქვეყნებულია ი. ციციშვილის ნაშრომის "ქართველი ხალხის ჩაცმულობის" (თბ., 1954) წინასიტყვაობაში.
11. **„თბილისის ყოფა. ფეოდალური ხანაში“**. ნაშრომი დაწერილია თბილისის 1500 წლისთავის საიუბილეო დღეებში. ამ ნაშრომის ორი მონაკვეთი დაიბეჭდა გაზ. „თბილისი“: 1. ძველი თბილისი ურა სანახაობანი, ცხენბურთი, 1958 წ. 25 ოქტომბერი ; 2. ქარგალის „ხელ-დასხმა“ (კულტურული ცხოვრების წარსულიდან), 1959 წ., 17 თებერვალი.
12. **„შატილის წარმოშობის შესახებ“**. ნაშრომი დაიწერა 1970 წ. და მიეძღვნა ენინალ-შატილის საკერამიკო გზის გახსნას. მართალია, იგი ავტორს არ ჰქონდა გამიზნული გამოსაქვეყნებლად, მაგრამ საკითხის აქტუალობამ განაპირობა მისი შეტანა ამ ტომში.

---

[1] **გ. ჩიტაია**ს ივ. ჯავახიშვილის შესახებ გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წერილები: 1. დიდი მეცნიერის გზა (აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო), გაზ. „კომუნისტი“, 1940, 22 ნოემბერი (თანაავტორები ჯ. **ბარდაველიძე** და ჯ. **ფეიოურიძე**); 2. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, 1941, ტ. XIII; 3. ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1966; 4. ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1976, 7 დეკემბერი; 5. ივ. ჯავახიშვილი და ქართველთა ეთნოგენეზის საკითხები, ეროვნული მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1977; 6. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია, თსუ შრომები, № 184, 1976 (თანაავტორი **გ. ჩანჩარაული**); 7. სტატია რედაქტორისაგან ივ. ჯავახიშვილის თხზულებების XI ტომში, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1998.

13. „**ლიფანალის მხატვრობის შესახებ**“. ნაშრომი დაიწერა 1975 წ. და მიეძღვნა პროფ. **ვ. ბარდაველიძის** ხსოვნას.

ასევე აღდგენილ იქნა 1924–30-იანი წლების პერიოდულ პრესაში გაბნეული ცალკეული წერილები.

არქივსა და 30-იანი წლების პერიოდულ პრესაში მოძიებული მასალები, მართალია, ერთნაირ დონეზე არ არის დამუშავებული, მაგრამ თითოეული მათგანი თავისი დროისათვის ქართული ეთნოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მათ დღემდე შემოინახეს ჟამუალობა თავისი მეცნიერული მნიშვნელობის დასკვნებით, წყაროთმცოდნეობითი ღირებულებით, რითაც ავსებენ წინამდებარე ტომის შინაარსობრივ თემატიკას.

ნაშრომებში ძირითადად დაცულია ავტორისეული სტილი, შესწორდა და გადამოწმდა მხოლოდ ზოგიერთი უზუსტობა სქოლიოში (ლიტერატურის გამოცემის თარიღი, სახელწოდება). საარქივო მასალებში შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილებები, ძირითადად ტექნიკური ხასიათისა (ხელნაწერები, რომელთა მიხედვითაც აიწყო ტექსტები, გადმოწერილ-გაშიფრულ იქნა ავტორისეულიდან). ბეჭდვის პროცესში საკორექტურო ფურცლები შედარდა უშუალოდ ავტორის ხელნაწერს. ტექსტში, კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული დამატებები, ასევე შინაარსობრივად შრომების დალაგება, ძირითადი თავების დასათაურება ეკუთვნის რედაქციას. უმნიშვნელო ცვლილებები იქნა შეტანილი დაბეჭდილი შრომების დასათაურებაში, როგორიცაა– მაგ.: „ეთნოლოგიური შენიშვნები – სვანური საკურცხილ“და „შენიშვნები ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხებზე – ცნება კულტურა“ ამ ტომის მეორე თავში– „კულტურულ–ისტორიული პრობლემები“ შეტანილ იქნა შემდეგი სათაურებით: „სვანური საკურცხილ“ და „ცნება „კულტურა“. ასევე უმნიშვნელო ცვლილებები იქნა შეტანილი ნაშრომების შინაარსობრივ დალაგებაში. საჭირო შემთხვევაში სწორებანი და შენიშვნები ჩავიტანეთ სქოლიოში.

გამოცემაში აღდგენილია ტექსტში მოტანილი ილუსტრაციები, ტაბულები, ცხრილები. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აგრეთვე გაგვეზარდა ილუსტრაციების რაოდენობა. კერძოდ, ავტორის სურვილის შესაბამისად ნაშრომში ჩავრთეთ ქართველთა ეთნიკური ტიპები.

ნაშრომის ფორზაცი და საილუსტრაციო მასალა შესრულებულია სახალხო მხატვრის **ზურაბ წერეთლის** მიერ. ტექსტებში ჩართული საილუსტრაციო მასალა შესრულებულია სხვადასხვა დროს მხატვრების: **ნ. ბრაილაშვილის, რ. შმერლინგისა** და სხვათა მიერ.

გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის გამოცემა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. XX ს. ბოლოს, ამდენ ქარტეხილ გადატანილ საქართველოში, როდესაც მეცნიერების მიღწევების რეალიზაცია თითქმის შეუძლებელია, ჩვენ გადავლახეთ 14 წლის წინააღმდეგობებით აღსავსე გზა: უსასხრობის, უიმედობის, იმედგაცრუების, ხშირად დამამცირებელი და პიროვნულად დამთრგუნავი და შეძვალით „შრომების“ I ტომის გამოცემა 1997 წელს. მას შემდეგ 3 წელი გავიდა და კვლავ დადგა „შრომების“ შემდეგი ტომების გამოცემის შეწყვეტის საშიშროება. იმ მწარე სინამდვილის წინაშე დავდექით, რომ საქართველოში არ არსებობდა ქველმოქმედება (რომელიც სახსრებს გაიღებდა ამ მამულიშვილური საქმისათვის) არც სახელმწიფო, არც კერძო სტრუქტურების მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ მაშინ, როცა ერთადერთ გზად გამოცემის მიტოვება რჩებოდა, მხარში ამოგვიდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახალხო მხატვარი **ზურაბ წერეთელი**, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს და ითავა **გიორგი ჩიტაიას** „შრომების" გამოცემის გაგრძელება.

პირველად დავდექით მაღალზნეობრივი ფაქტის –მეცნიერებისადმი უანგარო ხელშეწყობის მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნების წინაშე. და ეს არაა შემთხვევითი: **ზ. წერეთლის** შემოქმედებითი ბიოგრაფია სათავეს ეთნოგრაფიაში მოღვაწეობიდან იღებს. იგი წლების მანძილზე მონაწილეობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს მთა და ბარი. იგი აკად. **გ. ჩიტაიას** ხელდასხმით ეუფლება ქართული ხალხური მხატვრული აზროვნების ფესვებს, ეცნობა ხალხს, მის მრავალსაუკუნოვან კულტურულ მემკვიდრეობას, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ასევე მისი მხატვრული შემოქმედების განვითარებაში.

დღეს **გიორგი ჩიტაიას** „შრომების" გამოცემის მხარდაჭერა ეროვნული მისიაა ქართველი ხალხის წინაშე, რადგან **გ. ჩიტაიას** მთელი შემოქმედება ქართული ხალხური კულტურის ენციკლოპედიაა, რომელიც წარმოაჩენს ქართული ეთნოსის ეროვნულ სიმდიდრეს, მიღწევებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში, ხოლო **გ. ჩიტაია** მეოცე საუკუნის იმ მამულიშვილთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომელთაც უანგაროდ შესწირეს თავი ქართული კულტურის მაღალი ტაძრის შენებას.

ჩვენი დიდი მადლობა **ბატონს. წერეთელს**, რომელმაც ამ ეროვნული საქმისადმი მხარდაჭერით ხელი შეუწყო ქართული ეთნოლოგიის დაწინაურებას. მადლობა იმისთვისაც, რომ მოგვცა საშუალება შეგვესრულებინა **ბატონ გიორგის** უკანასკნელი სათხოვარი: „არ მიმიტოვოთ „შრომები". ალბათ ბევრი სიძნელე შეგვხვდებათ, მაგრამ თუ რამე სიკეთე დამითესია – დაგეხმარებათ. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებით ვიცი – ყველა მნიშვნელოვანი საქმე წინააღმდეგობით იწყება, მთავარია არ შედრკე და გაუძლო. დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოჩნდებიან კეთილი ადამიანები, რომლებიც მხარში ამოგიდგებიან". ახდა **ბატონი გიორგის** წინასწარმეტყველება. დღეს „შრომებს" პატრონი ჰყავს. ეს კი მეცნიერის მეორედ დაბადების ტოლფასია.

მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ **აკად. ანდრია აფაქიძე** და **პროფ. ჯულიეტა რუხაძე**, რომელთა მორალური და საქმიანი მხარდაჭერა ხელს მიწყობდა და სტიმულს მაძლევდა „შრომებზე" მუშაობის ათიული წლის მანძილზე; აკად. **მარიკა ლორთქიფანიძე**, ისტ.მეცნ. კანდიდატი **ჯუანშერ ამირანაშვილი**, რომელთაც უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ტომის მომზადებისას მოწოდებული საყურადღებო ინფორმაციებით. ტომეულის გამოცემას ერთგულად ედგა და უდგას მხარში გამომცემლობა „**მეცნიერების**" მთელი კოლექტივი. მადლობა მათ და ყველა გულშემატკივარს, ვინც კეთილი სურვილებით, საყურადღებო შენიშვნებით, რჩევებითა და მითითებებით ხელს გვიწყობდა ნაშრომის მომზადებაში.

თამილა ცაგარეიშვილი

თ ა ვ ი I

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ე თ ნ ო გ ე ნ ე ზ ი

შესავალი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

საქართველოს ბუნების ისტორიული წარსული შორეულ გეოლოგიურ პერიოდს ემთხვევა. მესამეული ეპოქის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები აქ შემორჩენილნ ზოგი პალეონტოლოგიური ნაშთის და ზოგიც გადმონაშთური რელიქტის სახით. ახალმა პალეონტოლოგიურმა აღმოჩენებმა გაარკვიეს, რომ სამხრეთ საქართველოში (სოფ. ბენარა, ადიგენის რაიონი) მიკვლეული ოლიგოცენის ძუძუმწოვართა ნაშთები, რომელთაც მსგავსება აქვთ ამ ცხოველების ევროპულ და შუაზიურ სახეებთან და რომ ხმელეთი, რომელიც ოლიგოცენის პერიოდში მოიცავდა სამხრეთ საქართველოსა და მის მომიჯნავე სამხრეთ ოლქების ტერიტორიას, დაკავშირებული იყო როგორც აზიასთან, ისე ევროპასთან. ამავე აღმოჩენის მიხედვით ირკვევა რომ აზიიდან ევროპაში ცხოველთა და მცენარეთა მიგრაციის ერთადერთი ხელმისაწვდომი გზა მაშინ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის გავლით მიემართებოდა მანამდე, ვიდრე არ შეიქმნებოდა კარპატებთან შორეული აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სახელგანთქმული „ტრამალების კორიდორი". უკვე შემდგომ ისტორიულ ეპოქებში ამ კორიდორის მეშვეობით მოხდა ცხოველებისა და მცენარეების გადანაცვლება-შერევა. ამ კორიდორზე მოდიოდნენ ხალხები და ტომები და მოჰქონდათ კულტურული ღირებულებანი. ბენარა ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, რომელიც იმხანად წარმოადგენდა ევროპისა და აზიის მაკავშირებელ რგოლს.

ამავე ეპოქასთანაა დაკავშირებული ჩვენში ნაპოვნი დინოზავრების ნაკვალევი, ხოლო რელიქტების სახით მოღწეულია ბიჭვინთის ფიჭვი (Pinus pithyusa Stev), ძელქვა (Zelcova carpi nifolia P), ურთხელი (Tucc, Taxus bacata L), კოლხური ბზა (Buxus colchica P.) და სხვა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ ი"ზეიათ ჯიშებს, განსაკუთრებით ურთხელს, სახლების ასაგებად იყენებდა.

მრავალი ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ბუნებაში ბევრი რამ შეიცვალა ადამიანის ზემოქმედების წყალობით. ამ მხრივ უდიდეს როლს თამაშობდა ადამიანის საქმიანობის ისეთი დარგები, როგორიცაა მონადირეობა, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, გზების გაჭრა და სხვა. დაახლოებით ერთი ათასწლეულის წინ კავკასიაში მოისპო ლომი, ხოლო ასი წლის მანძილზე ცხენ- ირემი(დომბა). ძლიერ შემცირდა ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი და ხოხობი. ბევრი გარეული მცენარე მოშინაურდა და კულტურულ მცენარედ იქცა (პურეულები, ხილეული, ბოსტნეული და სხვა). ადამიანის სამეურნეო საქმიანობის წყალობით ტყის საფარმა მნიშვნელოვნად შეიცვალა იერი. გაკაფული ტყეების ადგილზე გაშენდა ბაღები და დაითესა კულტურული მცენარეები.

რელიეფის მიხედვით, საქართველო შეიძლება დაიყოს შემდეგ ზოლებად:

1. **მ ა ღ ა ლ მ თ ი ა ნ ი** – ამ ზოლში შედის კავკასიონის მთავარი ქედის განტოტებანი: გაგრის, კოდორის, სვანეთისა და სურამის. უკანასკნელი გურია-

აჭარისა და მესხეთის ქედებთან ერთად, მთავარ ქედს მცირე კავკასიონთან აერთებს და საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს. შემდეგ ქართლის ქედი, ცივ-გომბორის ქედი და სხვა. მაღალმთიანი ზოლის წყალგამყოფ ქედებზე და ქედებს იქით, ჩრდილოეთით, მოსახლეობენ ქართველი ტომები: თუშები, ხევსურები, მოხევეები. საქართველოს საზღვრებში შემდეგი მწვერვალებია: უშბა – 4710 მ, თეთნულდი – 4852 მ, შხარა – 5201 მ, ყაზბეგი– 5043 მ, ბრუტსაბმელი, ბორბალო და სხვა. აქვეა მთის უღელტეხილები, რომელზედაც გადადის უხსოვარ დროიდან არსებული ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეების დამაკავშირებელი გზები: საქართველოს სამხედრო გზა, ქუთაისი-ალაგირის გზა, ჭვიბერის გზა (აქ არსებობდა რკინის მაღაროები), კოდორის გზა და სხვა.

სურ. 1. ქართველი ქალი
XIX ს.

2. **ველობის ზოლს** უკავიაკავკასიონის მთავარ ქედსა და სამხრეთის ზეგანს შორის მოთავსებული ტერიტორია. ამ ზოლში შედის კოლხეთის დაბლობი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 0-დან 300 მეტრამდე აღწევს. ალაგ-ალაგ ეს დაბლობი 120 კმ-ის ფართობზეა გადაჭიმული. ქართლის ველობი გაშლილია მტკვის შუა დინებასა და მის შენაკადებზე ზღვის დონიდან 500–700 მეტრის სიმაღლეზე. აქ არის ნაყოფიერი ველები მუხრანის, გორისა და სხვა. კახეთის ველი მდებარეობს ქართლის ველის სამხრეთით და მდინარე იორისა და მდინარე ალაზნის დაბლობებში, ზღვის დონიდან 200–400 მეტრის სიმაღლეზე. ყველა ეს ველი წარმოიქმნა მთის მდინარეების მოქმედების შედეგად, რომელთაც ათასი წლების განმავლობაშიჩამოჰ ქონდათ ქვა-ქვიშა და შლამი.

3. **საქართველოს სამხრეთის ზეგანის** ზოლი მდებარეობს ველობის ზოლის სამხრეთით. აქ, მესხეთის ქედსა და შავ ზღვას შორის, აღმართულია აჭარის ქედი, რომელიც ზღვასთან მთავრდება (კახაბერისა და ქობულეთის დაბლობები). ამ ზოლშივე შედის ახალციხის ტაფობი, 1000 მეტრზე მეტი ზღვის დონიდან, ჯავახეთის ზეგანი, 1800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და შემდეგ, აღმოსავლეთისაკენ, მაღალმთიანი, უტყეო ველები: თრიალეთის, გომარეთისა და ბაშკიჩეთის, ზღვის დონიდან 1200–1600 მეტრის სიმაღლეზე.

საქართველოს მდინარეები მიეკუთვნებიან შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს. საქართველოს სამდინარო სისტემა თითქმის მთლიანად ორი მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარის აუზისაგან შედგება: მტკვრის აუზისაგან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს და რიონის აუზისაგან, რომელიც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ფარავს. მესამე სამდინარო აუზს ქმნის მდინარე ჭოროხი (ძველი სახელწოდება ბოასი), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად მხოლოდ 25 კმ მოედინება; ადრე ეს აუზი მოიცავდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს, რომლებიც ამჟამად თურქეთს აქვს დაკავებული.

სურ. 2. ქართველი მაუზერი XIX ს.

მდინარე **მტკვარი** (ძველი სახელწოდება **კირი**) სათავეს იღებს **ველის** ველიდან (თურქეთი), მაღალი ზეგანიდან; მცირე კავკასიის საზღვრებიდან გამოსული მტკვარი (ბორჯომის ხეობით) მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისკენ. მას თბილისამდე, კავკასიონის მთავარი მთაგრეხილიდან გამომდინარე შენაკადებთან ერთად, თრიალეთის განშტოებებიდან და ქართლის ქედებიდან გამომდინარე შენაკადები ერთვიან. საქართველოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მნიშვნელოვანი შენაკადებია: ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი, ალაზანი, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომდინარეობენ, მდინარე ხრამი, რომელიც მცირე კავკასიონიდან მომდინარეობს და სხვანი.

დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარე რიონი (ძველი **ფაზისი**), კავკასიონის მთავარი ქედიდან, **ფასის** მთიდან გამომდინარეობს. მისი მთავარი შენაკადებია: ყირილა, ცხენისწყალი (ძველი ჰიპოსი) და სხვა. დასავლეთ საქართველოში მოედინებიან აგრეთვე სხვა მდინარეებიც – ბზიფი, კოდორი, ენგური, ხობი, რომლებიც სათავეს მთავარი კავკასიონის ქედიდან იღებენ. გეოლოგების შეხედულებით სამეგრელოს დაბლობი შექმნილია მეოთხეულ ეპოქაში მდინარეების: რიონის, ხობისა და ენგურის მიერ ჩამოტანილი დანალექებით. აჭარა-ახალციხის ქედიდან მოედინებიან და უშუალოდ ერთვიან ზღვას მდინარეები: სუფსა, ნატანები, ჩოლოქი და სხვა. რიონსა და ჭოროხზე უძველესი დროიდანვე სწარმოებდა ნაოსნობა.

საქართველოში ბევრი სხვა მდინარეც გვხვდება. ყველა მათგანს ახასიათებს ჩქარი დინება და მძლავრი ვარდნა. საქართველოს მდინარეები წყლის იაფი ენერგიის ამოუწურავი წყაროა. სპეციალისტების გამოანგარიშებით საქართველოს წყლის ენერგიის სიმძლავრე დაახლოებით 960 ათას კილოვატს შეადგენს, ე.ი. საბჭოთა კავშირის წყლის ენერგიის 1/25 ნაწილს. სპეციალურ

ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ საქართველოს მდინარეები გარკვეულ რეჟიმს არ ემორჩილებიან. ეს გარემოება ახსნას იმაში პოულობს, რომ მდინარეთა სათავეებში არ არის საწყალო რეზერვუარები, მთის ტბები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად შეეძლოთ მოეწესრიგებინათ ამ მდინარეების კვება. მეორე მხრით, სპეციალისტების აზრით, ამგვარი რეჟიმი განპირობებულია კავკასიონის ქედის დაუმთავრებელი ეროზიით (Omedeo). სთვლიან, რომ კავკასიონის ქედს, როგორც ხნოვანებით ყველაზე ახალგაზრდას, ცალკეულ ნაწილებში თავისი ფორმირების პროცესი ჯერაც არ დაუმთავრებია.

საქართველოს ტბებიდან მთავარია: ფარავანის (თოფარავნი), ტაბაწყურის, საღამოს ტბა, ბაზალეთის, პალიასტომის და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა ნაწილში კლიმატური პირობები მეტად განსხვავებულია: 1. ველობის ზოლის დასავლეთ ზღვისპირა და დაბლობ ნაწილში არის ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატი (სამხრეთ იაპონიის, სამხრეთ ჩინეთის, ინდოეთისა და ლუზიანას კლიმატის მსგავსი), მაღლობებზე – ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული კლიმატი. მტკვრის აუზის სამდინარო ველებზე ზომიერი კლიმატია (დასავლეთ ევროპული ტიპისა). 2. სამხრეთ ზეგანის ზოლში სჭარბობს ზომიერად ცივი კლიმატი. 3. მაღალმთიანი ოლქისთვის, დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლემდე, დამახასიათებელია მაღალმთიანი ალპური კლიმატი, 3500 მეტრის სიმაღლემდე ცივი და ზევით პოლარული კლიმატი.

კავკასიონის მთავარი ქედი, ჩრდილოეთის ცივ ქარებს უღობავს გზას და ამით ხელს უწყობს საერთოდ საქართველოში ტემპერატურის მაღალი დონის არსებობას. საქართველოს კლიმატზე არანაკლებ გავლენას ახდენს შავი ზღვა. წარმოადგენს რა ხმელთაშუა ზღვის თავისებურ გაგრძელებას, ის თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში ხელს უწყობს სითბოს შედმივ დენას საქართველოს დასავლეთ სანაპიროებისაკენ. შავი ზღვის გავლენა მხოლოდ სანაპირო ზოლით არ განისაზღვრება; იგი ვრცელდება მთლიანად დასავლეთ საქართველოზე და მის იქითაც. მართალია, სურამის ქედს იქით საგრძნობლად ნაკლებად, მაგრამ მაინც სწვდება აღმოსავლეთ საქართველოს. ეს ქედი შავი ზღვიდან მონადენი თბილი საპაერო ნაკადისათვის გადაულახავ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ზღვის ეს სიკეთე, ბუნების სხვა სიკეთეებთან ერთად (მზე, მინერალური, თერმული და რადიაქტიური წყაროები, რადიაქტიური სილა და სხვა), საქართველოს კურორტებს მაღალ სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. მათ შორის საყოველთაოდ ცნობილია გაგრა, სოხუმი, ციხისძირი, ბახმარო, მენჯი, წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, შოვი და სხვა.

დადგენილი კლასიფიკაციის თანახმად საქართველოში ნიადაგების შემდეგი ძირითადი ზოლებია: 1. ველის–საქართველოს ნიადაგის ზოლი: ა) დაბლობ-კირნაცარა ზოლი–დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ბ). შავიმწაწყაბლისფერი ზოლი–აღმოსავლეთ საქართველოში. 2. სამხრეთ საქართველოს ნიადაგის ზოლი: ა) მთის შავმწიანი რაიონი და ბ) მთა-მინდვრის ნიადაგის რაიონი. 3. მაღალმთიანი საქართველოს ნიადაგის ზოლი – მთა-მინდვრის ნიადაგი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნიადაგების ჩამოყალიბებაში ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ჰქონდა გავლენა: 1. ყინულოვანი პერიოდის შემდეგი დროის მდინარეთა მიერ შლამის ჩამოტანას ზღვის ყოფილ ფსკერზე და 2. მთის ვულკანური ქანების გამოფიტვას.

საქართველოს ფლორა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მისი რელიეფი, კლიმატი და ნიადაგები. აქ გეხვდება მცენარეთა სამეფოს ყველა საფეხურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელი. წარმოშობის მიხედვით საქართველოს მცენარეული ფერ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) წინაყინულოვანი ფლორა, კავკასიის ქედის წარმოქმნამდე და 2) ყინულოვანი პერიოდის შემდეგი ფლორა. პირველს, წინაყინულოვანს ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს ძველი, სუბტროპიკული მცენარეული. მესამეულის ფლორის ამგვარი გადანარჩენია ელდარის ფიჭვი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს, მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში გვხვდება, ძელქვა, ბიჭვინთის ფიჭვი, კოლხიდის ბზა, ურთხელი და სხვა.

ზემოთ ნაჩვენები დაყოფის გვერდით საქართველოს ფლორა იცვლება ვერტიკალური ზონალობის მიხედვითაც. დასავლეთ საქართველოში შემდეგი ზონებია: 1) ზღვის დონიდან 1050 მ სიმაღლემდე მდიდარი ტყეებით, უპირატესად მუხისა, რომელთა შორის გვხვდება ზოგიერთი მარადმწვანე ჯიშები, მათ რიცხვში კოლხური ბზა; 2) ზღვის დონიდან 1050–1650 მეტრის სიმაღლემდე დამახასიათებელია ფოთლოვანი ტყეები, მარადმწვანე ჯიშებით. 3) ზღვის დონიდან 1650–2100 მეტრის სიმაღლემდე – წიწვიანი ტყეების ზონა; 4) ზღვის დონიდან 2100–2250 მეტრის სიმაღლემდე – ვიწრო ზოლი, რომელიც საზღვრავს ტყეს ალპური მინდვრებისაგან. აქ სჭარბობს მთის ნეკერჩხალი, არყი და ჭნავი; 5) ზღვის დონიდან 2500–2900–3000 მეტრამდე – მუდმივთოვლიან საზღვრამდე, ალპური მინდვრის ზოლი.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფლორა ერთმანეთისაგან განსხვავდება; პირველის მცენარეული მეორესთან შედარებით მდიდარია, რაც, უპირველეს ყოვლისა, რამდენადმე აღმოსავლეთ საქართველოს ჰავის სიმშრალით აიხსნება. აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეულობა ზაფხულობით გამოგვალულია, მაშინ, როცა ზამთრობით თავს კარგად ინახავს. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს, შავ ზღვას მიბჯენილი და კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობებს, მესხეთის ქედსა და ამირკავკასიის უკიდურესი დასავლეთის ქედებს შორის ჩაკეტილი, ხასიათდება მეტისმეტად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით რამდენადმე მშრალდება. ასეთი უხვი სინოტივის (ნალექები 1200–4500 მმ წელიწადში) შედეგია ტყის საყოველთაო გაბატონება.

საქართველოს ტყეებში გვხვდება: ბზა, ურთხელი, წიფელი, მუხა, ცაცხვი, ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, თელა, ძელქვა, ნეკერჩხალი, დფნა, წყავი, თხმელა, არყი, ჭნავი, თხილი, კრიკინა, მსხალი, ვაშლი, შვინდი, ზეთისხილი, ზღმარტლი და სხვა.

კვების თვალსაზრისით ძალზე ძვირფასია საქართველოს ბალახეული საფარიც. საკვებ ბალახთან ერთად არის სამკურნალო და ეთეროვანი მცენარეული: კატაბალახა, პიტნა, სალბი და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი მცენარეული ჯიშები კარგად ეგუება ნიადაგის თავისებურ პირობებს. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მცენარემ მიიღოს სინოტივე მეტად ღრმა ფენებიდან, ის 4–5 მეტრის სიღრმეზე ვერტიკალურად უშვებს ფესვებს. იმ ნიადაგებში კი, რომელთაც თხელი საექსპლოატაციო ფენა ახასიათებთ და არაღრმა ნიადაგქვეშა მაგარი თიხა, უმეტესად გავრცელებულია ჰორიზონტალურად გაშლილი ფესვებიანი მცენარეული.

საქართველოს ფაუნის წარმომადგენლებია: კეთილშობილი ირემი, ჯეირანი, ჯიხვი, გარეული ღორი, კურდღელი, კვერნა, დათვი, ავაზა, ხოხობი, შურთხი, ტყის

ქათამი, როჭო, მწყერი, არწივი დასხვა. ცხოველისა და ფრინველის მრავალი სახეობა დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოსათვის, რაც თავის ახსნას გეოლოგიურ წარსულში პოულობს. გეოლოგიური წარსულით შეიძლება აიხსნას აგრეთვე საქართველოს ფაუნის დიდი სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

საქართველოს ფაუნაში შემოსულთა შორის ყველაზე მეტია სამხრეთ აზიის ცხოველები და შედარებით მცირე–ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან.

საქართველოს ტბებსა და მდინარეებში, ისევე როგორც საქართველოს შავი ზღვის ნაწილში, მრავალი სხვადასხვა თევზია; მათ შორის კალმახი, ორაგული, თართი, კეფალი და აგრეთვე კოლხიდისა და მტკვრის ადგილობრივი ჯიშები: ხრამული, კოლხიდისა და მტკვრის მურწა და სხვა.

სურ. 3. ქართველები
XIX ს.

საქართველოს წიაღში არამცირედი სასარგებლო მადანია. წარსულში სთვლიდნენ, რომ კავკასიის, ასაკით ახალგაზრდა მთებში არ შეიძლება იყოს მადნეულის სიმდიდრე. ცარიზმის დროს მძლავრად პროპაგანდირებული ეს „თეორია" თანამედროვე გეოლოგიამ დიდი ხანია უარყო.

საქართველოში მოიპოვება: მოპოვების პირობებით და ხარისხით საუკეთესო მარგანეცი, აგრეთვე, ქვანახშირი, ნავთი, სპილენძი, რკინა, დარიშხანი, ვოლფრამი, სპილენძის ალმადანი, თუთია, ოქრო, სინდიყი, მარმარილო, გუმბრინი, ლითოგრაფიული ქვა, ცემენტი, რადიაქტიური ქვიშა და სხვა.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა. საქართველოს ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენს. ისინი საქართველოს ყველა ზოლში ცხოვრობენ – დაწყებული დაბლობიდან, გათავებული მაღალი მთებით. მაღალმთიან დასახლებათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი საზოგადოება ზემო სვანეთში – უშგული, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგება და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად თავისებურია. იგი ზღვის დონიდან 2250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს დასახლებისათვის თითქმის უკიდურესი სიმაღლეა.

1939 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ქართველების რაოდენობა 2.248.566 კაცს შეადგენდა (საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ერთად კი დაახლოებით – 3.200.000 კაცს). მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე საშუალოდ 51 კაცს უდრის, ზოგიერთ რაიონში ეს რიცხვი 80–90 კაცს აღწევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო დამუშავებული ფართობის მიხედვით ერთ კვ. კმ-ზე საშუალოდ ცხოვრობს 255 კაცი. საქართველოს საერთო ფართობი უდრის 69,3 ათას კვ. კმ-ს, მცხოვრებთა საერთო რაოდენობა – 3.542.000 სულს.

ქართველები კომპაქტურად საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობენ. თანამედროვე აზერბაიჯანის სამ დასავლეთ რაიონში, რომელიც საქართველოს ყოფილ ისტორიულ პროვინციას – ჰერეთს წარმოადგენდა, ცხოვრობენ ქართველები – ინგილოები. ამას გარდა, ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ თურქეთსა და ირანში.

ქართველები თურქეთში მოსახლეობენ ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიული სამხრეთი საქართველო – ევფრატის, არაქსის და მტკვრის სათავეებსა და ჭოროხისა და ყიზილ-ირმაკის აუზში მდებარე ტერიტორია – უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართული აბორიგენი ტომებით: თუბალებით, მუსკებით, ხალდებით, კაპადოკიელებით (კისვადნი), ტაოხებით (დიაუხები), კლარჯებით (კატარზა), კოლხებით (კულხა), შავშელებით (შეშეტია) და სხვა; ხოლო შუა საუკუნეებში და დღესაც: ტაოხებით, მესხებით, კლარჯებით, შავშებით, ლაზებით და ჭანებით. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია წარმოადგენს უძველესი კულტურის კერას. აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა სიძველის დამამტკიცებელი საბუთი ანთროპოლოგიური მონაცემების, ენის, ჩვეულებისა და ისტორიული ძეგლების მიხედვით. ასეთ სიძველეთა შესახებ მკვლევრმეტყველურად ლაპარაკობენ ამ შესანიშნავი მხარის მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლები (სასახლეების ნანგრევები, ქრისტიანული და წინაქრისტიანული საკულტო ნაგებობანი, ციხე-სიმაგრეები, ხიდები და სხვა).

სურ. 4. ქართველი
XIX ს.

თურქეთის ძალდატანებით ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა მიეღო მუსლიმანობა, მაგრამ ამავდროულად შემოინახეს ქართული კულტურა და მამაპაპური წეს-ჩვეულებები, ხოლო ნაწილობრივად, ისლამის წინარეღიგიური ტრადიციები. აქ პურეულ კულტურებსა და ვაზს ძველებური, ქართული წესით ამუშავებდნენ, ხოლო სამელიორაციო წყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგს მოსახლეობა ქართულ ქრისტიანულ ტაძრების კედელზე ამოკვეთილ ფიგურებს. მზის საათის მიხედვით აწესრიგებდნენ[1].

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ტრაპეზუნტსა და კერას უნტს შორის მდებარე ზოგიერთ სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა ხის მაღალ კოშკებში. ამავე ტერიტორიაზე, სადაც მოსინიკები (ქართველები) ბინადრობდნენ, ანალოგიური კოშკები დამოწმებულ იქნა ქსენოფონტეს მიერ IV საუკუნეში ჩვ. წ-მდე .

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საუკეთესო ტრადიციების დამცველები ლაზები, დღემდე ცნობილნი არიან, როგორც ხის, ქვისა და ლითონის დამუშავების საუკეთესო ოსტატები და საუკეთესო მეზღვაურები. აქვე არსებობდა მაღნის ძველი სამადოები (გიუმიშ-ხანე, კიურე-ინებულუ, ორდუ, ესბი-ტირაბოლუ, კუკარმანი, ბურგული).

თურქეთის ხელისუფლება ცდილობდა სამხრეთ საქართველოს ძირეული მოსახლეობის გათურქებას. ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველების რაოდენობა თურქეთში სულ 123000 კაცს აღწევს. ციფრი აშკარად შემცირებულია და მიახლოებითაც არ პასუხობს სინამდვილეს.

ირანში ქართველები ცხოვრობენ: გილანის, მაზანდერანის, ირანის აზერბაიჯანის სოფლებში და ცენტრალურ მთიანეთში, ბახთიარიის მთებში–ფერეიდანში. მათი უმრავლესობა ძალით იქნა გადასახლებული აღმოსავლეთ საქართველოდან XVII ს-ის დასაწყისში შაჰ-აბასის მიერ. რელიგიის მიხედვით ისინი მუსლიმანი შიიტები არიან. მათ დღემდე შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა, ქართული დამწერლობა, დასახლების ტიპი და ქართული კულტურის სხვა ელემენტები. მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა.

ანთროპოლოგიურად ქართველები ეკუთვნიან პონტო-ზაგროსის ტიპის კავკასიის ქვერასას. ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ეზვდებით ჭერებსაც, უმთავრესად შავგვრემანი ხალხია (ჰიპერბრახიცეფალები), ტანად საშუალოზე მაღლები, მოყვანილი და მკერივი აგებულებისანი. თმის ფერი–მუქი წაბლისფერი, შავისაკენ გარდამავალი აქვთ, თვალები მეტწილად ყავისფერი, თუმცა 30%-მდე ცისფერი და ნაცრისფერთვალებიანებიც გვხვდება. აღმოსავლეთ ქართველებს უმეტესად კეხიანი ცხვირი აქვთ, დასავლეთისას–სწორი, წვრილი ცხვირი. ქართველები მხიარულნი, გულადი, საუკეთესო პატრიოტები და სტუმართმოყვარენი არიან და დიდად აფასებენ მეგობრობას.

ქართველ ხალხს შეადგენენ: ქართლელები, კახელები, თუშები, ხევსურები, ფშაველები, მოხეველები, მთიულები, ინგილოები, მესხები, ჯავახები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები, გურულები, აჭარლები, მეგრელები, ლაზებ||ჭანები, სვანები, რომლებიც ცხოვრობენ შესაბამის რეგიონებში: ქართლი, კახეთი, თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი და ა.შ.

ქართული ენა თავისი ლექსიკური შემადგენლობით და წყობით, მის მონათესავე სხვა ადგილობრივ კავკასიურ ენებთან ერთად, განსხვავდება ყველა თანამედროვე ევროპული და აზიური ენებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ბასკური ენა ბასკონიაში.

ქართული ენა ხასიათდება შემდეგი ნიშნებითა: 1. კონსონანსების სიჭარბე; 2. გრამატიკული სქესის უქონლობა. ქართულმა, ისევე როგორც ზოგიერთმა

[1] **Марр Н. Я.**, Дневник поездки в Шавштию и Кларджетию, ТРАГФ, т. VII, СПб., 1911, гз. 185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა კავკასიურმა ენამ (აფხაზური და ყაბარდოული) კლას-კატეგორიებად დაყოფა არ შემოინახა. 3. სახელთა ბრუნვის ფორმები აღინიშნება დამატებითი მარცვლით. 4. ზმნები იყოფა სუბიექტურად და ობიექტურად. 5. არსებობს პასიური კონსტრუქცია. 6. ზმნის სახე, რიცხვი, დრო, პირი გამოსახულია პრეფიქსებითა და სუფიქსებით. 7. ზოგიერთი ზმნის ზედა იბრუნვის. ქართველურ ენათა ჯგუფში შედის: საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური, რომელთაც აქვთ რიგი დიალექტები. ენათა ამ ჯგუფს ენათესავება წინა აზიის მრავალი ძველი ენა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ენები.

ქართველი ტომები ხალხთა იმ დიდი ოჯახის შტოს წარმოადგენენ, რომელიც მეცნიერებაში იწოდება ხეთურ-იბერიულ ხალხთა ოჯახად[2].

ხალხთა ამ ოჯახს მიეკუთვნება წინა აზიის და ხმელთაშუა ზღვის წინა სემიტური, წინა არიული და წინა მონღოლურ-თურქული ძირითადი მოსახლეობა. ვარაუდობენ, რომ ამ ოჯახის უკიდურესი დასავლეთის წარმოადგენლები არიან **პირენეის იბერები**, მათგან დღევანდლამდე შემორჩენენ **ბასკები**; აღმოსავლეთში **სუმერები**, ირანისა და ინდოეთის წინა არიული მოსახლეობა. ამათ გარდა ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ: **პრომო-ხეთებს**, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ ზოგიერთები – **ხატო-მუსკებს** (წინა აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში), **პელასგებს** (ბალკანეთში) და **ეტრუსკებს** (აპენინებზე).

ქართველები თავიანთ თავს **ქართველებს** უწოდებენ, თავიანთ ქვეყანას – **ქართლს** (ძველად) თავისი ლეგენდარული ეპონიმის გმირი ქართლოსის მიხედვით, ხოლო გვიან – საქართველოს. მეზობლებში ქართველები სხვადასხვა გვარად იწოდებიან: სომხები მათ უწოდებენ **ვრაციი** (ახალი სომხურის მიხედვით) და **�p** (ძველი სომხურის მიხედვით); ირანელები – **ვრკან** (ძველი ირანულის მიხედვით) და **გურჯ** (ახალი სპარსულით); არაბები – **ჯურჯ**; სირიელები – **გურზან**; თურქები – **გურჯ**; ინდოელები – **გურჯოლ**; ჩაჩნები – **გურეჯ**; ოსები – **გურზიაგ**; რუსები – **ვრუზინ**.

ს. ჯანაშია ფიქრობს, რომ იტალიელებმა ქართველთა სახელწოდება მიიღეს წინა აზიის დასავლეთ ნაწილიდან, შესაძლებელია მცირე აზიაში არაბებისა და ირანელებისაგან და შემდეგ იტალიური სახელწოდების ლათინური წაკითხვა საფუძველად დაედო სხვა დასავლეთ-ევროპელ ქართველთა სახელწოდებას.

ზემოთქმულის საფუძველზე უკეთდებულ იქნა ქართველთა სახელწოდების ძველი ახსნა. როგორც ცნობილია, ეს სახელწოდებანი გამოჰყავდათ ბერძნული სიტყვიდან „გეორგოს" და ამტკიცებდნენ, რომ საქართველო იწოდება ამგვარად იმიტომ, რომ იგი არის წმინდა გიორგის ქვეყანა, სადაც ამ წმინდანის კულტმა მიიღო ფართო გავრცელება და თვით წმინდა გიორგი საქართველოს მცველია, ან კიდევ იმიტომ, რომ ქართველები (გეორგიანელები) ძირითადი საქმიანობით მიწის მუშაკნი არიან.

საქართველო ცნობილია როგორც მრავალეროვანი ქვეყანა. ქართველების გარდა ცხოვრობენ: აფხაზები – საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ოსები – შიდა ქართლში და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონებში, სომხები – უმთავრესად რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. მათი უმეტესობა თურქეთის სომხეთიდან არის გადმოსახლებული, თურქეთის მთავრობის რეპრესიების გამო. მცირე ნაწილი სომხებისა ძველად არიან

[2] ხალხთა ეს ოჯახი ცნობილია სხვა სახელწოდებითაც: იაფეტური, ალაროდიული, აზიანური, სუბართ-ხეთური და კავკასიურ ხალხთა ოჯახი.

K21269

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსახლებულნი სომხეთის სხვადასხვა რაიონებიდან. საქართველოს სომხები უმეტეს ნაწილად ორენოვანი მეტყველების მქონენი არიან–მეტყველებენ სომხურ და ქართულ ენებზე. აზერბაიჯანელები ცხოვრობენ ზოგიერთ ქალაქებში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში.

საქართველოში ეთნოგრაფიული დაჯგუფებები შემდეგი ხალხებით არის წარმოდგენილი: უდები, ერთი სოფელი კახეთში. ეს ხალხი ხეთურ-იბერული წარმოშობილობისაა. სირიელები ცხოვრობენ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში, გადმოსახლებული არიან ურმიიდან; ქურთები და ქურთიიეზიდები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში არიან გაბნეულები; ბერძნები გაფანტულად ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, ჯავახეთსა და თრიალეთზე (შედიან თრიალეთის ურუმთა რიცხვში). საჭიროა აღინიშნოს, რომ თრიალეთის ურუმთა 27 სოფლიდან ბერძენი- ელინები მხოლოდ სამ სოფელში ცხოვრობენ.

სურ. 3. კაცელი
XIX ს. დასასრული

ცნობილია, რომ თრიალეთელი ურუმები თურქეთის საქართველოდან არიან გადმოსახლებულნი. თრიალეთში ისინი დასახლდნენ 1828–1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერმინი „ურუმი" კონფესიონალური წარმოშობისაა და რომ თრიალეთის ურუმების ეთნიკური შემადგენლობა შერეულია. გამოირკვა, რომ ეს ურუმები შედგებიან გიუმიშხანელებისა, პასენელებისა, ოვებისა და კროებისაგან. გამოსულები არიან ძველი სამხრეთი საქართველოს პროვინციებიდან, ხალდეადან და ბასიანიდან. მათში კარგად არის შენახული ქართული ტრადიციები. მაგალითად, მათში შემონახულია ქალის თავსამკაული „დ ა ბ ლ ა", რომელსაც ლაზეთში ხმარობენ ლაზი ქალები. პასენელებმა თურქეთის საქართველოდან თან მოიტანეს ქართული ხელნაწერი სახარება, რომელიც მათ შორის განსა-კუთრებით თაყვანისცემის საგნად იყო გამხდარი. თრიალეთის ურუმთა შორის ქართველთა, ბერძენთა და სომეხთა გარდა აღმოჩნდნენ აგრეთვე ქართველი ლაზები.

ზემოხსენებულ ხალხთა გვერდით საქართველოში ცხოვრობენ ევროპელი და ქართველი ებრაელები. პირველნი, მხოლოდ ზოგიერთ ქალაქში ცხოვრობენ; მეორენი–ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. ქართული მატიანის ცნობების მიხედვით ქართველი ებრაელები საქართველოს უძველესი მაცხოვრებლებია, დაახლოებით ჩვენი ერის პირველი საუკუნეებიდან. ამ ცნობას არქეოლოგიის მონაცემებიც ადასტურებენ. ქართველ ებრაელთა სასაუბრო ენა ქართულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს, საქართველოში ცხოვრობენ რუსები, უმთავრესად ქალაქებში ისინი სოფლებშიაც ცხოვრობენ, თეთრიწყაროს რაიონში (ყოფილ სამხედრო ვალდებულთა ახალშენებში) და ჯავახეთში (სექტანტები).

ისტორიული წარსული. ქართველი ხალხის ფორმირების საკითხი მხოლოდ ისტორიულად შეიძლება განხილულ იქნეს, რამდენადაც ეთნიკური ერთობლიობა ისტორიული მოვლენაა, რომელიც აღმოცენდება, ვითარდება და ახალ ერთობლიობაში გადადის. ადამიანთა ამგვარი ერთობლიობა ყალიბდება საერთო არეზე მეტნაკლებად ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად.

ისტორიული ცნობები ქართველი ტომების მრავალრიცხოვნობის შესახებ, გარკვეულად მიუთითებენ მასზედ, რომ ქართველი ხალხი რთული ეთნიკური შემადგენლობისაა. ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ამოწმებენ, რომ შორეულ წარსულიდან ტომთა ჯგუფი ახლო ნათესაური კავშირით, მონათესავე ენებით და კულტურისა და ყოფის მეტ-ნაკლები ერთობლობით ხასიათდებოდა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ეს ტერიტორიაა ჩრდილოეთით

ხურ. ნ. კახელები
XIX ს.

კავკასიონის ქედიდან მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთით და ტიგროსისა და ეფრატის სათავეებით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ჭორახის აუზითა და კაპადოკიით გათავებული. ეს ტომები იბერიულ-კავკასიური ჩამომავლობისანი არიან. ის შეხედულება, რომლის მიხედვით ამ მიწა-წყალზე იბერიულ-კავკასიურ ხალხზე ადრე ქამიტები, სემიტები და არიელები ცხოვრობდნენ, არაფრით არ მართლდება:ჰიპოკრატეს, ჰეროდოტესა და ბიბლიის ცნობების ამგვარი განმარტება სწორი არ არის (შდრ. **Hehn, Hrozny, Weinhold, Treide, Margwelaschvili** და სხვ.).

ძვ. წელთაღრიცხვის მეორე და პირველი ათასწლეულის მიჯნიდან მოყოლებული ... ბული ამ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ქართველი ტომის მეთაურობით დროდ-დრო იქმნებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოები, რომლებიც, როგორც არამყარი იშლებოდა და მის ნაცვლად სხვა ტომის მეთაურობით ახალი ცენტრები, ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გაჩნდებოდა ხოლმე. ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი ცნობილნი იყვნენ გაბატონებული ტომის თუ ტომთა კოლექტივის სახელწოდებით: თუბალების, მუსკების, ხალიბების, სასპერების, ტაოხების, პონტოელების, კოლხებისა და იბერების.

ამ სახელმწიფოთა კულტურული განვითარების დონეზე მიუთითებენ შემდეგი მაჩვენებლები: 1. ქალაქური ტიპის დასახლება, 2. განვითარებული მიწათმოქმედება (სახვნელის კულტურა), 3. ინტენსიური მესაქონლეობა, 4.მეტალურგია, 5. ბორბლიანი ტრანსპორტი და 6. დამწერლობა (კოლხური, არამეული, ბერძნული).

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში უკვე იქმნება თვითმყოფადი კულტურა ცენტრებით: ტაბალში, ქალდეაში, თრიალეთსა და კოლხიდაში. აქ ლითონის დამუშავების მაღალი დონეა დადასტურებული: ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის დამუშა-ვების სხვადასხვა ხერხი, ხშირად გვხვდება სრულყოფილი ფორმები. ამ ხერხებიდან შეიძლება დავასახელოთ: ცივი კვერცა, ჩამოსხმა, გრეხილი, ზარნები, მოოქება და სხვა. ჯერ კიდევ ჰომეროსი ალიბების (იგივე ხალიბები), ხალდების, ჭანების ქვეყანას იცნობდა როგორც ლეგენდარულ „ვერცხლის ქვეყანას"; (თანამედროვე გუმიშხან). იგივე ხალიბები გვევლინებიან რკინის დამუშავების საუკეთესო ოსტატებად. ხალიბები და მოსინიკები რკინისა და სპილენძის მადნის გამოდნობის დროს ურევდნენ „ერთგვარ მიწას"–ცეცხლგამძლე ქვას, რაც ლითონს მაღალ ღირსებას ანიჭებდა. ქართველი ტომების ეს ძველი ტრადიცია ახლო წარსულამდე შემოინახა ქართულმა, ხალხურმა მეტალურგიამ. მაღალი ხარისხის წყდიისური ფოლადის მისაღებად დასავლეთ საქართველოში (ონის რაიონი) რაჭველები რკინის გამოდნობის პროცესში ურევდნენ „ფაშას"–შავი ქვის მადანს (პიროლუზიტს). ქართველი ტომების ლითონის ნაწარმი აღმოსავ-ლეთით ასურეთსა და მიდიაში გაჰქონდათ, ხოლო სამხრეთით – პალესტინაში. ამავე დროს კავკასია წინა აზიისათვის ლითონის ნედლეულის მიმწოდებლად ითვლებოდა. ხალიბების რკინას ასურეთში „ხაბალკინუ" რქმევია. სპეცია-ლისტები სთვლიან, რომ ძვ.წ. IX–VII საუკუნეებში, ამ ხალხებში მეტა-ლურგიულმა ოსტატობამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ეჭვს გარეშეა, რომ ლითონის კულტურის ეს აფაკება მჭიდრო კავშირშია ამ ქვეყნის მადნეულ სიმდიდრესთან (ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ოქრო)[3]. ამ ვითარებას კარგად ეთანხმება ბერძნული მითი იმის შესახებ, რომ მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოსის სამოქმედო ასპარეზი კავკასიაა.

მაგრამ იმ ხანებში ჩვენი ქვეყნიდან გაჰქონდათ არა მარტო ლითონის ნაწარმი და ლითონის ზოდები, არამედ სელის ქსოვილი და სხვა პროდუქციაც. უკვე

[3] ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ, რომელსაც ანგონავტები ეძებდნენ კოლხეთში, დამაკმაყოფილებელ ახსნას პოულობს ადგილობრივ კოლხურ ნიადაგზე. როგორც ამტკიცებენ, მხედველობაში მისაღებია სვანების ჩვეულება, რომელიც ძველ ავტორებს აქვთ დამოწმებული: ცხვრის ტყავის მდინარეში ჩაფენა, რათა მდინარის მიერ ჩამოტანილი ოქროს მარცვალი მატყლით დაიჭირონ. მეორეს მხრივ ლეგენდა მიუთითებს კოლხეთში მატყლიანი ცხვრის წარმოქმნას გარეული ბეწვიანი ცხვრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმჩნევა, რომ იმ დროს ქართველი ტომები განსაკუთრებით რომელიმე საქმიანობაში ყოფილან დაწინაურებულნი: იყენენ უპირატესად მეტალურგები (ხალიბები), მიწის მოქმედნი (მუსკები), მესაქონლენი (კოლხები) და სხვა.

ასევე ცნობილია, რომ ამ ხალხებს განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჰქონიათ. მათ შორის გავრცელებული ყოფილა სახვნელი იარაღი რკინის სახნისითა და რკინისავე საკვეთელით, რომელიც საქართველოში დღემდე შეინახა ხევსურული ჩიჩის სახით. ამას გარდა, აქა გვაქვს სახვნელი იარაღი სათესი აპარატი (უკანასკნელ დრომდე შემოინახა ვანის ვილაიეთის არჯიშის ოლქში) და სალეწი აპარატი (კევრი), რომელიც დღევანდლამდე გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის რაიონში.

სხვა მონაცემებთან ერთად, მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი კულტურის არსებობაზე ამ ეპოქაში მიუთითებს ღვინის შენახვისა და დაყენებისათვის ხმარებული თიხის ქვევრების ფართო გავრცელებულობა; აღნიშნული ქვევრები აღმორნდა არქეოლოგიური გათხრების დროს ხეთების, ურარტელების და იბერების ტერიტორიაზე. ღვინის დიდი ჭურჭელი, ქვევრი, მეტადორიგინალური ფორმისაა და იგი ქართული მეღვინეობის სპეციფიკას წარმოადგენს. ქვევრი დღესაც ფართოდაა გამოყენებული საქართველოში.

დასასრულს შეიძლება იმაზეც მივუთითოთ, რომ ჰეროდოტეს ცნობით კოლხური სელის ქსოვილი, ეგვიპტურთან თანაბრად საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ მაშინდელ მსოფლიოში და რომ კოლხური დაბალტანიანი ძროხა (კლასიკური ეპოქის სხვა ავტორის ცნობებით) დიდი წველადობით გამოირჩეოდა. ცხადია, ამ შინაური ცხოველის ბონიტეტი ადამიანის ზემოქმედებით არის გამოწვეული. კოლხური ძროხის შთამომავლად შეიძლება ჩავთვალოთ მგრეული და ხევსურული დაბალტანიანი ძროხის ჯიში. მგრეული ხარი დიდი ძალითა და ამტანობით გამოირჩეოდა, ხოლო ხევსურული ძროხა კარგი წველადობითა და რძის მაღალი ცხიმიანობით.

უკვე მე-5 საუკუნიდან ჩ.წ-მდე ძველი ქართველები საკუთარ ფულს სჭრიდნენ ჯერ ვერცხლისას, მერე ოქროსას.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნის საქართველოს მდგომარეობა აღწერა ცნობილმა გეოგრაფმა სტრაბონმა. იგი წერს, რომ იბერებსა და ალბანელებს ისეთი ქვეყანა უჭირავთ, რომელიც მდიდარია და შეიძლება ჰყავდეს მჭიდრო მოსახლეობა. და რომ „იბერია მშვენივრად არის დასახლებული უმეტესად ქალაქებად და დაბებად, ასე რომ იქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრული ხელოვნების წესის თანახმად მოწყობილიყო საცხოვრებლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები".

ქვეყნის ასეთი მდგომარეობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ სამეურნეო განვითარების მაღალი დონის საფუძველზე. და ნამდვილად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I–V ს-ში იბერია სოფლის მეურნეობა უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. რთულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იქმნება ერქვნის ტიპის წინარე გუთანი, ფართოდება სარწყავი არხების ქსელი. პურეული მარცვლიდან ყველზე განვითარებული იყო: იფქლი, ხულუგო და დიკა.

პურეულის ამ ძველ სახეებს მიეკუთვნება აგრეთვე დოლის პური, რომელიც თანამედროვე საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. ხორბლის ენდემური ჯიშებიდან შეიძლება დავასახელოთ მახა და ზანდური, ი"შვიათი, სპეციალური სამკალი იარაღით, შნაკვითურთ. ქერის, ფეტვისა და პარკოსანი

მარცვლეული კულტურის გვერდით ფართო გავრცელება ჰქონდა სელიკულტურას. ფეოდალურ საქართველოში სელს ქსოვილების გვერდით სპეციალურ ზეთსახდელებში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სელის ზეთს.

ამ ეპოქაში სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის ერთ–ერთი ძირითადი სახეთაგანია მევენახეობა. ფართოდ არის გამოყენებული ვაზის გასხვლა, რაც ინტენსიურ მევენახეობაზე მიუთითებს. გამოყენებულია აგრეთვე მფრობაც. ხდება ყურძნის ძვირფასი ჯიშების კულტივაცია: რქაწითელი, ცოლიკაური, საფერავი, ციცქა და სხვა, აგრეთვე, სადესერტო ყურძნისა: თითა, ხარისთვალა, ბუდეშური და სხვა. ფეოდალურ საქართველოში საზღვარგარეთ გატანის ერთ-ერთი მთავარი საგანი ღვინო იყო. საქართველოდან გადიოდა აგრეთვე პური, სწრაფმავალი ცხენები, მაღალხარისხოვანი მატყლი, ქსოვილი, ხალიჩები, სინდიყი და სხვა.

სურ. 7. ლაზები
XIX ს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობასაც. მისდევდნენ და აშენებდნენ კარგად განვითარებულ ჯიშებს, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთაც იყო ცნობილი: კახური ცხენი, ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა და სხვა.

განვითარებული იყო მეფუტკრეობაც. დასავლეთ საქართველოს ფუტკარი ახლაც სარგებლობს მსოფლიო მნიშვნელობით და საზღვარგარეთ იგზავნება.

ფართოდ იყო გავრცელებული მეაბრეშუმეობა. მე-12 საუკუნიდან დაწყებული მე-17 საუკუნის ბოლომდე ქართული აბრეშუმის ქსოვილები დიდად ფასობდა წინა აზიისა და ევროპის ბაზრებზე.

ამ ეპოქაში საქართველოს სავაჭრო ცენტრები იყო თბილისი, არტანუჯი, დმანისი და სხვა.

კავშირი იყო დამყარებული მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო–ეკონომიკურ და კულტურულ–პოლიტიკურ ცენტრებთან, როგორიცაა: ტრაპეზუნტი, კონსტანტინეპოლი, ბაღდადი, ალექსანდრია, აგრეთვე იტალიისა და სხვა ქვეყნების ცენტრებთან.

სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა სავაჭრო გზების კეთილმოწყობას: გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებსა და ქარავასლებს. ამ ეპოქაში აგებული ქვის ხიდებიდან ზოგიერთს დღევანდლამდე იყენებს მოსახლეობა. ქალაქის ცენტრებში არსებობდა კეთილმოწყობილი ბაზრები (ცენტრალური გათბობა, გასახდელი ოთახი მოკირწყლული იატაკით, დასასვენებელი ოთახი სკამ-

ლოგინით). თავის არაპირდაპირი დანიშნულების გარდა აბანო დაბინავების ადგილის, დიდი სავაჭრო საქმეთა მოგვარების და სხვა დანიშნულებასაც ასრულებდა.

საშუალო საუკუნეების, ტიპური ქალაქისათვის დამახასიათებელია შიდა ციხე, ციხის გალავანი კოშკებითურთ და გარეუბანი, ხელოსნების კვარტალი, ქალაქის კარები, საიდუმლო გვირაბი წყალზე, ვიწრო, მოკირწყლული ქუჩები, შეჯგუფებული სახლები.

ამ ეპოქაში მაღალ განვითარებას აღწევს ქართული ხელოვნება, არქიტექტურა, ფერწერა,მინანქარი, მოზაიკა, მინიატურა, ჩუქურთმა ქვაზე, ხეზე, ჭოვილები, კეთილშობილი ლითონების და სპილოს ძვლის დამუშავება.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ და მე-8 საუკუნიდან დაწყებული არაბთა ბატონობის შესუსტებამ და შემდეგ ხალიფატის დაცემამ ხელი შეუწყო კოლხიდისა და იბერიის ადგილზე პატარა სამეფოებისა და სამთავროების სახით აღმოცენებულიყო ახალი ფეოდალური სახელმწიფოები: ტაოკლარჯეთის სამეფო (მე-9–10 სს.), კახეთის სამეფო (მე-8 ს.), აფხაზეთის სამეფო (მე-8–10 სს.).

სურ. 8 ლაზი
XIX ს.

X საუკუნის მეორე ნახევარში ეს სამეფოები ქართულ ფეოდალურ მონარქიაში ერთიანდება, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქაში წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცევა. სახელმწიფოს გაძლიერებისა და გაფართოებისათვის ბრძოლა დავით აღმაშენებლის შემდეგაც გრძელდება. თამარ მეფის დროს ამ სახელ-მწიფოში შედიოდა, თუ მისი გავლენის ქვეშ იყო ამიერკავკასია, ჩრდილო-კავკასიის ნაწილი, და აგრეთვე, ირანის ზოგიერთი პროვინცია. ქართველი ტომე-ბის ძველი სამოსახლო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით – ძველი ხალდების, თაბალების, მუსკების რაიონები და ძველი პონტოს სამეფო. მე-X–XII სს. ეპოქა ფეოდალური საქართველოს კულტურის უმაღლესი აყვავების ეპოქაა.

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტიანობის მიღების შემდეგ დამწერლობა დიდხანს ატარებს საეკლესიო ხასიათს. V საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება ასომთავრული, VIII–IX საუკუნეებიდან ნუსხური, ხოლო X–XI საუკუნეებიდან მხედრული ალფაბეტი. უძველესი ქართული წარწერა (ქვაზე) ასომთავრულით ეკუთვნის 479 წელს.

ფეოდალური საქართველოს წერილობითი მემკვიდრეობა დიდია. არსებობს ძველი მდიდარი ორიგინალური და თარგმნილი ქრისტიანული ლიტერატურა და, აგრეთვე, მხატვრული, ისტორიული, ფილოლოგიური, ფილოსოფიური და ბუნებისმეტყველური ლიტერატურა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შუშანიკის წამება, V ს-ის ძეგლი; აბო თბილელის ცხოვრება, VIII

ს-ის ძეგლი, მაღალპატრიოტული თხზულება; იადგარი, საგალობელთა კრებული სანოტო ნიშნებით, X ს. სიბრძნე ბალავარისა, ცნობილი ინდური მოთხრობა, რომელიც XI საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა, კომენტატორმა და რედაქტორმა ექვთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად გადათარგმნა და ამ თარგმანის შემწეობით გავრცელდა ევროპის ლიტერატურაში; პოემა-ოდა „აბულ-მესია" შავთელისა, XII საუკუნე, ჩახუხაძის ოდა „თამარიანი", ეფრემ მცირის ფილოლოგიური და გრამატიკული გამოკვლევები, ისტორიკოსი ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის და თამარ მეფის ისტორიკოსის, მონღოლების ეპოქის ისტორიკოსის და XII ს-ის ცნობილი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწისა და სხვათა ნაწერები. იოანე პეტრიწი ბრძოლას აწარმოებდა სქოლასტიკის წინააღმდეგ, მან გაანთავისუფლა ქართული სამეცნიერო-ფილოსოფიური აზროვნება უცხოეთის გავლენისაგან და დააყენა იგი მტკიცე ნაციონალური განვითარების გზაზე. ამ დროს საქართველოში, გელათსა და იყალთოში არსებობდა აკადემიები. ცნობილია, რომ გელათის აკადემიაში ასწავლიდნენ: ფილოსოფიას, რიტორიკას, ისტორიას, ლიტერატურას და სხვა. ახლო მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ V საუკუნის ლაზიკაში აგრეთვე არსებობდა აკადემია.

იქმნებოდა აგრეთვე ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის ხელნაწერები, შრომები და სამედიცინო ნაშრომები. სამართლის ძეგლები პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შრომებით არის წარმოდგენილი: 1103 წ. რუისურბნისის კრების ძეგლის წერა, დიდი ნომოკანონი არსენ იყალთოელისა XI–XII სს., ბექას და აღბუღას სამართალი XIII–XIV სს., ხელმწიფის კარის გარიგება XIII ს., ვახტანგ VI–ის კანონთა კრებული და სხვ.

ქართული საერო ლიტერატურის გვირგვინს წარმოადგენს გენიალური ქართული პოეტის, შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი", რომელიც დაიწერა XII ს-ის ბოლოს, თამარის ეპოქაში (1184–1213 წწ.).

ეს სიყვარულისა და მეგობრობის ამსახველი პოემა დღევანდლამდე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხალხში, საუკუნეების მანძილზე აფაქიზებდა ხალხის ესთეტიკურ გრძნობებს და სიყვარულის იდეას ნერგავდა. ბევრმა უბრალო ადამიანმა იცის ეს პოემა ზეპირად (2000-ზე მეტი სტროფი). ფეოდალურ ხანაში ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანს" პატარძალს მზვითად ატანდნენ ხოლმე. მომავალდოვებელი მუსიკალობის ლექსით, წარმტაცი ფაბულით და თავისი დროისათვის ახალი, ღრმა ფილოსოფიური იდეებით აღსავსე „ვეფხისტყაოსანი" სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მარგალიტად მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. იგი მრავალ ენაზეა გადათარგმნილი.

საქართველო – ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მდიდარი ბუნებრივი მონაცემების ქვეყანა, მსოფლიო მნიშვნელობის გზის შესაყარზე მდებარე, – ძველთაგანვე იპყრობდა დამპყრობელთა ყურადღებას.

სამხრეთიდან, ასირიელთა, აქემენიდთა, ხოლო ჩრდილოეთიდან – კიმერიელებისა და სკვითების არმიები არაერთგზის მოსულან საქართველოში გაძარცვისა და დარბევის მიზნით. მათ სურდათ მონობის უღელი დაედგათ ჩვენი ქვეყნისათვის. მოდიოდნენ ირანელები და რომაელები, ბიზანტიელები და არაბები, თურქები და მონღოლები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა საბოლოოდ დამკვიდრებულიყო საქართველოში.

ხალხური კულტურის ზოგიერთი თავისებურებანი. ადამიანმა გამოიყენოს ის სიმდიდრე, რომელიც ბუნებას გააჩნია, და აიძულოს ბუნება ემსახუროს მას, ამისათვის უნდა ჰქონდეს შეუპოვარი შრომის უნარი და საშუალება გააერთიანოს თავისი და მის მსგავსთა ღონისძიებანი საერთო მიზნებისათვის.

ადამიანის შემოქმედებითი შრომა, აღმოსავლეთისა და სამხრეთ საქართველოს შერეული სოფლის მეურნეობის პროფილები (ქართლი, თრიალეთი, მესხეთი), განსაკუთრებული და უაღრესად თავისებური ბუნებრივი პირობები დასავლეთ საქართველოში, სადაც მდ. რიონის ტალღებში სამჯერ მეტი ნალექია, ვიდრე ნილოსში, – იყნენ ის ფაქტორები, რომელთაც შეაპირობეს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანთა საზოგადოების უძველესი ტიპის ჩასახვა და მისი კულტურის შემდგომი განვითარება მკაფიოდ გამოსახული თავისებურებებით.

თავისთავად გასაგებია, რომ ამ კულტურის თვითმყოფადი ხასიათი მარტო საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით არ აიხსნება[4]. საქართველო, ისე როგორც მთელი კავკასია, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ყოფილა მსოფლიოსგან იზოლირებული. ამიტომ თვითმყოფობა აქ იქმნებოდა სხვა კულტურულ ცენტრებთან მომქმედი ურთიერთობის პირობებში.

ზოგიერთ მეცნიერთა შორის ფეოდმოკიდებული აზრის თანახმად, საქართველო და კავკასია წარმოადგენს მხოლოდ მრავალრიცხოვან ხალხთა ნაშთების თავშესაფარს, რომლებიც კატასტროფული ომების შემდეგ, უხსოვარ დროს შემოიხიზნენ აქ, როგორც ქარიშხლის შემდეგ პოვებენ ხოლმე თავშესაფარს, როგორც ხომალდის ნამსხვრევები ოკეანის სანაპიროზე (**რატერი**). ამიტომ ისინი ასკვნიდნენ, რომ საქართველო და კავკასია, ბოლოს და ბოლოს ხალხთა თავშესაფარი და უკეთეს შემთხვევაში შარა გზაა, რომელზედაც დიდი ხალხები თავის მოძრაობის დროს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ან პირუკუ მიმართულებით, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადიოდნენ და ამ დროს საქართველოს და კავკასიის კულტურულ ღირებულებას მოკლებულ ხალხებს გადასცემდნენ თავიანთ კულტურულ მონაპოვარს.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ცნობილმა სწავლულმა, **ჰ. პაქსტჰაუზენმა** საქართველოში თავისი მოგზაურობის დროს, 1843 წელს, ოსურ სოფელში დაადასტურა სახვნელი იარაღი, რომელიც დასახელებული აქვს ტერმინით **Sibir**. **პაქსტჰაუზენი** სთვლიდა, რომ კავკასიაში ეს სახვნელი იარაღი აქვთ მხოლოდ ოსებს და რომ მას აქვს სრული მსგავსება შეკლენბურგის კავთან **Naken**. ამ მონაცემების საფუძველზე გერმანელ მეცნიერს დასკვნა თავისთავად ებადება: სახვნელი იარაღი **Sibir** გერმანიიდან გუთებისა და ალანების მეშვეობით არის შემოტანილი საქართველოში.

მაგრამ ავტორის მონაცემები არ არის სწორი და მისი დასკვნა მცდარია. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ **პაქსტჰაუზენის** მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს სახვნელი იარაღი **Sibir** წარმოადგენს მხოლოდ ოსების კუთვნილებას და კავკასიის სხვა ხალხისათვის უცნობია, ფაქტიურ მდგომარეობას არ შეესაბამება. ცნობილია, რომ ეს იარაღი საქართველოში ფართოდ

---

[4] **ბ. ბრილევ** წერდა: „არა მისი (საქართველოს) ნიადაგის ნაყოფიერება, არა მისი კლიმატის მშვენიერება, არამედ განსაკუთრებით, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, ხალხური სულის მტკიცე წრთობა, ყოველ დროში ქმნიდა თვითმყოფი ხალხურობის შემტკიცულობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული **ორნელაა**, რომლის წარმოშობილობა ადგილობრივ ნიადაგზე ბევრ დამაკმაყოფილებლად იხსნება. უფრო მეტიც, სახვნელი იარაღის ეს ტიპი ლიახვისა და ჭსნის ხეობის ოსებში ცნობილია ქართული ტერმინებით **ორნელა** და **გუეთონ**, მაშინ როცა **Sibir** ზუსტად ორონულად **ძბერ**, დიგორულად **ძუბერ**, მიეკუთვნება სახვნელ იარაღთა სხვა ტიპს.

ამასთან ერთად გაკვირვებას იწვევს ამ სახვნელი იარაღის მეკლენბურგის კავთან **Naken** მიმსგავსება. საკმარისია მივუთითოთ მეკლენბურგის სახვნელი იარაღის გრძელ მხარზე, რომელიც უღლამდე მიდის, მაშინ როცა **პაქსტ-პაუზენის** მიერ მოტანილი სახვნელი იარაღის, როგორც საერთოდ **ორნელაანი** მხარი მოკლეა და უღელს გრძელი ჯაჭვის საშუალებით უკავშირდება. ასევე განსხვავებულია ერთმანეთისგან ამ ორი სახვნელის ჭუსლი და ხელნა. ამასთან ერთად მეკლენბურგის იარაღის სახნისი მიმაგრებული აქვს რუსული **სოხის** მსგავსად. ზემოაღნიშნულ სახვნელ იარაღთა შედარებითი შესწავლა არავითარ საფუძველს არ იძლევა მათი ტიპოლოგიური მსგავსებისათვის და **პაქსტპაუზენის** დებულება ქართული სახვნელი იარაღის გერმანული წარმოშობილობის შესახებ არ შეიძლება დამტკიცდეს.

სურ. 9. ფერეიდნელი XX ს.

ნათქვამს უნდა დაემატოს, რომ სახვნელი იარაღი გოთურ ენაში აღინიშნება სიტყვით **haha** და იოლია იმის დასაბუთება, რომ განსხვავებულია ორხელასგან და ტიპოლოგიურად სახვნელი იარაღის რუსულ **სოხის** ტიპს განეკუთვნება. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, სახვნელი იარაღი **ორნელა**-საგან მკვეთრად განსხვავდება.

სწორედ ამგვარადვე, მეორე გერმანელი მკვლევარი **ბრაუნშარდტი** ამტკიცებდა, რომ საქართველოს მთიან რაიონებში ხმარებული სახვნელი იარაღი – **რაჭული სახვნელი** საქართველოში შემოიტანეს ირანელებმა, კავკასიის გზით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადასვლის დროს. ქართულ ეთნოგრაფიაში საკითხის სპეციალური შესწავლით დამტკიცებულია, რომ რაჭულ სახვნელ იარაღს არც ირანულ და, არც შუა ევროპის სახვნელ იარაღთან დაახლოებითი მსგავსებაც არა აქვს.

რაჭული სახვნელი იარაღი თავისი ოვალური ჭუსლით და სხვა გაუმჯობესებით თავისებური სახვნელი იარაღია, რომელსაც საერთოდ სხვა ხალხების სახვნელ იარაღებში არ მოეპოვება ანალოგია და კერძოდ ინდოევროპული ხალხების იარაღებში; ის მიღებულია ქართველი ტომების სახვნელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით, და წარმოადგენს ძველი სახვნელი იარაღების ძირითადი ტიპის განვითარების მაღალ საფეხურს, მის სრულყოფასა და დაგვირგვინებას.

არანაკლებ საკვირველია, რომ **პ. ლეზერი**, რომელიც არკვევს ოთხმხრიანი სახვნელი იარაღის წარმოშობილობის რთულ საკითხს, მიდის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნამდე, რომ სადაც არ უნდა წარმოშობილიყო თავდაპირველად ეს იარაღი, შუა ევროპაში თუ შორეულ აღმოსავლეთში, მას თავისი მოძრაობისას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ან პირუკუ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ორივე შემთხვევაში უნდა გაევლო კავკასია, სადაც ჩვენ მას ვხედავთ, როგორც თითქოს გარედან შემოტანილ კულტურულ ელემენტს.

თუ შესაძლებლად მივიჩნევთ **ლეზერის** მტკიცებას ოთხმხრიანი სახვნელი იარაღის ძველი ცივილიზაციის პერიოდში წრმოშობის შესახებ, ძნელია დავიჯეროთ, რომ ამ სახვნელ იარაღს უნდა გაევლო კავკასია, რათა შუა ევროპაში ან ჩინეთში მიეღწია.

კარგად არის ცნობილი, რომ კარპატები პირდაპირი გზით უერთდება შორეულ აზიას ჩინეთამდის – ცნობილი **ტრამალების კორიდორით.** ისიც კარგად არის ცნობილი, რომ გეოლოგიურ ხანაში აქ ხდებოდა მცენარეებისა და ცხოველების მიგრაცია, ხოლო შემდგომ ეპოქაში ეს გზა არაერთხელ გადაულახავს არმიებსა და ხალხს.

სურ. 10. ფერეიდანელი XX ს.

როცა, მიუხედავად ამ გზის (შუა ევროპა – ტრამალების კორიდორი – ჩინეთი) არსებობისა, **ლეზერი** დაეინებით მიუთითებს სახვნელი იარაღის გავრცელების შემოვლის გზაზე (შუა ევროპა–კავკასია –ჩინეთი) – ამაში არ შეიძლება დავინახოთ ავტორის ძირითადი დებულების მცდარობა და მისი მუშაობის მეთოდის მანკიერება. ქართული ეთნოგრაფია საკმაო მონაცემებს ფლობს იმის დასამტკიცებლად, რომ ოთხმხრიანი სახვნელი იარაღი ქართულ-კავკასიური წარმოშობისაა, რომ იგი განვითარდა ადგილობრივ ნიადაგზე და თვითმყოფი ინტეგრირებული კულტურული კომპლექსის ნაწილია, სადაც მოსახლეობა დიდი ხანია შეეგუა სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო პირობებს. მძიმე და მსუბუქი სახვნელი იარაღის გამოყენება აქ, ერთის მხრივ, ნიადაგის სინტეტიკის ხარისხთან და ზაფხულში ატმოსფერულ მოვლენებთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ კი სარწყავი წყლის გამოყენების შესაძლებლობასთან.

იქ, სადაც საკმაო რაოდენობითაა სარწყავი წყალი და გვალვის საშიშროება არ არსებობს, მსუბუქ სახვნელ იარაღს ხმარობენ. იქ, სადაც ნათესს გვალვა ემუქრება, მიწა აუცილებლად ღრმად იხვნება მძიმე გუთნით. იგივე შეიძლება ითქვას ფარცხის შესახებ. ქართველმა მიწისმოქმედმა იცის, რომ ფარცხი, ბელტის დაფშვნისა და თესლის დაფარვის გარდა, ნიადაგის ზედაპირულ შემჭიდროებას აწარმოებს და საგრძნობლად უწყობს ხელს ნიადაგის სინოტივის შენახვას. ამიტომ იქ, სადაც დათესვის შემდეგ ნახნავის მორწყვის შესაძლებლობა არსებობს, ფარცხი არ იხმარება, რამდენადაც აქ დამატებით სინესტეს არ საჭიროებს და მსუბუქი სახვნელი იარაღით აჭრილი ბელტი არც ისე დიდია, რომ მისი დაფშვნა აუცილებელი იყოს. შეიძლება იმაზედაც მივუთითოთ, რომ აქაურმა მიწისმოქმედმა დიდი ხანია მიაგნო უბრალო და იაფ საშუალებას გამოეყენებინა გამწვევ ძალად შინაური ცხოველი ლეწვისათვის (სალეწი იარაღი **კვერი**), მაშინ, როცა ევროპის დიდ ნაწილში ახლო დროამდე, ეს ოპერაცია ხელის მუშაობით – ჯაჭვების (**ცეპები**) დარტყმით წარმოებდა.

ზემოთქმულის გარდა არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მოცემული ეთნოგრაფიული მოვლენის კავშირს კულტურულ კომპლექსებთან, კერძოდ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ ძველ მსოფლიოში კულტივირებული პურის მარცვალი სახვნელი იარაღის გამოყენებით, მესოპოტამიასა და ინდოეთში (მოხენჯო-დარო) თარიღდება 3500 წლით ჩვენს ერამდე, მაშინ როცა ამ ცივილიზაციის პერიფერიებში ეს მარცვლეული ცნობილია ჩინეთში 2500 წ. ჩვენს ერამდე, ხოლო ბრიტანეთის კუნძულებზე 1500 წლიდან ჩვენს ერამდე.

არსებითად ასეთივე მდგომარეობაა ფეტვის სალეწი აპარატის, საცეხველის მიმართ (**Anke**). ადგენენ რა ამ იარაღის გავრცელების არეალს: აღმოსავლეთი და სამხრეთი აზია, ჩინეთი, ინდონეზია, წინა აზია, საქართველო, გალიცია, პოლონეთი, კორინთი, უკრაინა, ზალცბურგი, ბერნი, უნგრეთი, იტალია, ჩრდილო იტალია, დასავლეთ ევროპელი მეცნიერები ასკვნიან, რომ საქარ-თველო ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს მხოლოდ გადამცემ რგოლს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ქართული, სამხრეთ კავკასიური და წინა აზიური საცეხველის ანალიზი და სხვა შედარებითი მასალის მოშველიება სხვადასხვა აშუქებს საქართველოს როლს ამ საკითხში და სხვადასხვანაირად ხსნის მის წარმოშობას. ყოველ შემთხვევაში მტკიცება იმისა, რომ საქართველო გადამცემი რგოლია – უსაფუძვლოა და უარყოფილი უნდა იქნას. საქმე არ თავდება ამ და კულტურის სხვა ელემენტების მსგავსი წარმოშობილობის მტკიცებით. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ყოლის შემძლე **გაელენას**.

როგორც ცნობილია, საქართველოს და კავკასიის შესწავლის საკითხებში ერთ დროს ბატონობდა თეორია, რომლის თანახმად კულტურის თითქმის ყველა არსებითი მოვლენა განიხილებოდა როგორც ძველი ირანული გავლენის ნაყოფი. ასე იყო კერძოდ რელიგიის საკითხებშიც.

ა. ჯეკსონი და **ვს. მილერი** მაზდეიზმსა და ირანიზმს, ერთი ხელის დაკვრით თელან კავკასიის ძველი კულტურის გადამწყვეტ ფაქტორად და ყველაფერი ის, რაც სხვა გავლენის ჩარჩოში არ თავსდებოდა ცდილობდნენ ახსნან ირანისა და მისი რელიგიის ზემოქმედებით. ამ „მოდას" თავისი ხარკი გადაუხადეს ისეთმა კავკასიოლოგებმა, როგორიც არიან: **მ. კოვალევსკი**, **ნ. მარი**[5], **კ. ანსტრანცევი**, **ა. ხახანაშვილი** და სხვა.

ქართული ეთნოგრაფიის მონაცემები დამაჯერებლად მიუთითებენ ქართული ხალხური კულტურის თვითმყოფადობაზე. ამ კულტურის ცალკეული ელემენტები მუშავდებოდა და ფორმდებოდა მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი და დაძაბული ძიებისა და გამოცდილების გზით. ათასწლეულობით შემუშავებულმა

[5] შემდეგში **ნ. მარმა** უარყო თავისი დებულება. 1929 წელს იგი წერდა: „სწავლულების **მ. კოვალევსკის**, რომელიც მუშაობდა კავკასიის ჩვეულებით სამართალზე და **კ. ანსტრანცევის**, რომელსაც კავკასიური ყოფითი რელიგიური რწმენები იზიდავდა, კვალზე... შეც მოვესწარი ქართული პანთეონის ირანისტულ ახსნას, საქართველოს დასახლებულ წარმართული ღმერთების ირანული წარმოშობილობის მტკიცებით, მეჩვენებოდა, სრული ისტორიული უსუსურობის დამტკიცების შესაძლებლობა ქართული მატიანეების დასაწყისი „ზღაპრული" ნაწილის ცნობებისა მშობლიური ქართული ეთნიკური რელიგიის შესახებ... იაფეტური ეთნიკური მსოფლიოს შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავებასთან დაკავშირებით კავკასიის მოსახლეობის ამ ტომობრივი საფუძვლისა, გამოირკვა, რომ ირანიზმი წარმოადგენს მირაჟს ანუ გვიანდელ ადაპტაციის ადგილობრივი ან საერთოდ წინა აზიური ძველის ძველი იაფეტური ეთნოკულტურული მოვლენებისა და ფორმას გვიანდელი ირანული კულტურულ-ისტორიული დაფენებისა" (იხ. **Н. Марр**, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры, Лейпциг, 1920, გვ. 9–10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თაობიდან თაობაზე გადაცემულმა ზოგიერთმა ამ ელემენტმა ღრმად გაიდგა ფესვი ხალხის ყოფაში, შეეზარდა მის სისხლსა და ხორცს. ამასთან ზოგიერთი მოვლენა ხალხური კულტურის მსხვილი ფესვებიდან მომდინარეობს, მაშინ როცა ზოგიერთი ძნელად შეიმჩნევა და ძნელი დასანახავია. საჭიროა ნათქვამს დავუმატოთ, რომ საქართველოს ეთნოგრა-ფიული სინამდვილე ძველ საგნებსა და მოვლენებს ინახავს არა მხოლოდ ცალკეული დაჭუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად, მთლიანი კომპლექსების სახითაც.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მივუთითებთ ქართული ხალხური კულტურის თავისთავადობაზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის იზოლირებული მოვლენა არ არის, როგორც ეს შეიძლება გვეჩვენოს მისი შესწავლის დროს საკმარისი შესადარებელი მასალის გათვალისწინების გარეშე.

საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის კულტურის ცალკეული ელემენტების პარალელებსა და მსგავსებაზე არაერთგზის ყოფილა მითითებული.

ხალხური კულტურის ამ ნიშნებს ღრმადა აქვს გადგმული ფესვები შორეულ წარსულში. საუკუნეების სიგრძეზე შეძენილი ემპირული ცოდნა, შრომითი გამოცდილება და საწარმოო ჩვევები შეადგენს ხალხური კულტურის ძირითად ფონდს.

სურ. II ინგილო
XIX ს.

დადებითი ხალხური ემპირიული ცოდნა მისი წარმომქმნელი ბაზისის ლიკვიდაციასთან ერთად კი არ ისპობა, არამედ მუდმივი სრულყოფის გზით რჩება ყოფაში. ბევრი მათგანი, რომელიც მეცნიერული ექსპერიმენტის მხარდაჭერასაც პოულობს, ახალი დროის სამსახურში დგება.

თანამედროვე მეცნიერული მონაცემების შუქზე მსგავსების ეს ხაზები თავის საფუძველს პოულობენ ეთნო-კულტურული ერთობის პროცესში, რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიისა და წინა აზიის ფართე ტერიტორიაზე. ეს სამყარო ამჟამად იმდენად მთლიანად გვესახება, რომ ძნელია წარმოიდგინო საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლა მისი ყველა კულტურული მონაცემის გათვალისწინების გარეშე.

ძველი საქართველოს, ძველ აღმოსავლეთთან ორგანულ კავშირს, ისტორიულ-კულტურულ და ზოგიერთ შემთხვევაში გენეტიკური მემკვიდრეობით განპირობებულს, უფრო ნათლად შეიძლება გავადევნოდ თვალი შემდეგი მაგალითების მიხედვით:

„სიცოცხლის ხე", რომელიც დაკავშირებულია დიდი დედის–ნანას კულტთან, ქართული ხალხური კულტურის ერთ-ერთ უძველეს სიუჟეტს წარმოადგენს და საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდ არის გავრცელებული. ჩვენ მას ვხვდებით ხეზე, ქვაზე, ქსოვილზე გამოსახულს. იგი წარმოდგენილია ინგუშეთსა და ალბანურ-დაღესტნურ ძეგლებში. მის ვარიანტს, ლაზურსა და სვანურს, აქვს პირდაპირი ანალოგია ხურიტულ ძეგლებში. ალბანურ-დაღესტნურ ძეგლებში მოტივის მთავარი ელემენტი „ხე" შეცვლილია თევზით. თევზი კი, როგორც განმანაყოფიერებელი ძალა,

ეროვნული

დამოწმებულია მრავალ ქართულ მონაცემებში, როგორიცაა მაგალითად ... გურულში–საახალწლო კალმახი, იმერულში– ღვთაება ლარსა, თრიალეთში უშვილო ქალების ცოცხალი თევზი, წმინდა წყალსაცავების ცოცხალი კალმახი და სხვა. ამ ფაქტებს უნებლიეად შევყავართ მატერიალური კულტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლების წრეში, როგორიცაა ცნობილი ქვის თევზი – ვეშაპები ნაყოფიერების ღვთაება, რომელიც აღმოჩენილია თრიალეთში, ჯავახეთში და სხვა.

ეს ელემენტი, ნაყოფიერების ხესთან ერთად, წარმოადგენს ძველი ქართული მსოფლმხედველობის ერთ-ერთ საყურადღებო შემადგენელ ნაწილს და იგი აირეკლა ქართულ მითოლოგიაში **სულკალმახის** სახით, რომელიც მამა იყო ამირანისა. ეს უკანასკნელი კი თავისი ფესვებით მიდის ნახევრადადამიანის, ნახევრადთევზის, მესიის იოანეს ღვთაებასთან.

მეორე მაგალითი: საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული საცხოვრებელი ნაგებობების ოთხი ძირითადი ტიპიდან ორ ტიპს: 1. დასავლურ ქართულს, ხის ნაგებობის სახით, გეგმაში კვადრატულს, კერით ცენტრში, კარით კედლის შუაში და ორ, ან ოთხფერდა სახურავით და 2. აღმოსავლურ ქართული ქვის ნაგებობის სახით, გეგმაში კვადრატული, კერით ცენტრში, კარით ფასადის კედლის შუაში, გვირგვინიან-ბანიანი სახურავით, მიეკედართ ხურიტულ-ხეთურ ნაგებობასთან კერით ცენტრში, რომელსაც გეგმაში კვადრატულია და საფეხუ-რიანი პირამიდალური სახურავი აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპს უპირისპირდება ძველი აღმოსავლეთის სემიტური ხალხების საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი: გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედი სახლი, კერით ვიწრო კედელთან და კარით გრძელ კედელში. არანაკლებ დამახასიათებელია ქართულ ტომებში დღევანდლამდე შემონახული თიხის სადღეგები, რომელსაც, ერთი მხრივ, პარალელი მოეპოვება საქართველოში: მცხეთის, თრიალეთის, აზერბაიჯანში მინგეჩაურის განათხარ მასალებში, და მეორეს მხრივ, ურში, სადაც ეს ძეგლი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 2800 წლით.

საქართველოს საბჭოთა საისტორიო მეცნიერების ერთ–ერთ სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს საქართველოში დროის გარკვეული მონაკვეთისათვის მონათმფლობელობის არსებობის ფაქტის დადგენა, რაც ქართველი ისტორი-კოსების მიერ ადრე უარყოფილი იყო. ამის დასადასტურებლად შესანიშნავი მასალა მოგვცა მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურმა გათხრებმა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს საზოგადოება არსებითად იყო ძველ აღმოსავლური მონათმფლობელური სახისა. საქართველოს მონათმფლობელური საზოგადოების სისტემაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველყოფილი თემური წყობილების ნაშთებს. თემი რაშდენადმე საქართველოს ფეოდალურ წყობილებაშიც იყო წარმოდგენილი. ამით აიხსნება თემური წყობილების ნაშთების არსებობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ თემური წყობა, რომელიც შეეგუა წარმოების ძირითად, გამატონებულ ფორმებს საქართველოს პერიფერიებში განსაკუთრებით თავისებურ ურთიერთობებს ქმნიდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს წარსულის თავისებურებისა და საკვანძო კულტურულ-ყოფითი საკითხების გაგებისათვის.

ამრიგად, ეთნოგრაფიული კვლევა ავლენს, რომ ის მიდგომა, რომელსაც უცხოეთის მეცნიერები ე.წ. პირველყოფილი ხალხების შესასწავლად იყენებს, გამოუსადეგარია საქართველოსა და კავკასიისათვის, სადაც შემონახულია განვითარების უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები და მათ გვერდით მრავალი კულტურული მიღწევები.

1946 წ.

თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ

ასი წლის წინათ, 1846 წლის აგვისტოს 27-სა და სექტემბრის 24-ს (ძვ.სტ.), პარიზის ეთნოლოგიური საზოგადოების სხდომაზე სენ-მარტენმა წაიკითხა მოხსენება კავკასიის, კერძოდ საქართველოს, მოსახლეობის შესახებ.[1] სენ-მარტენი თავის მოხსენებაში ძირითადად იმავე შეხედულებას ავითარებდა, რომელიც ჯერ კიდევ XI ს-ში ლეონტი მროველს ჰქონდა გამომუშავებული და რომელსაც იცავდა ბატონიშვილი თეიმურაზიც.

სენ-მარტენზე ადრე ამავე საკითხს ეხებოდა დიუბუა დე-მონპერიე, რომელსაც ქართველი ხალხი ერთ-ერთ უძველეს ხალხად მიაჩნდა. 1834 წელს ის წერდა: „მე ვამბობ ქართველების დიად ერზე, რომელიც უხსოვარი დროიდან დარაჯობს კავკასიის ყელს და შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ნაპირებს. მაღლარი ვაზის მსგავსად ამასაც ხშირად არყევდა და წეწავდა ქარიშხალი, მაგრამ მისი ამოგლეჯა მან ვერ მოახერხა. ქართული გადმოცემების შემწეობით შეიძლება შუქი მოვფინოთ აზიის ისტორიას (ტ. II გვ. 14).“

ქვემოთ ჩვენ ვიხილავთ იმ თეორიებს, რომლებიც ახლო ხანებშია წარმოშობილი.

თავი პირველი

ლ. ფ. ლემან-ჰაუპტი

ლ. ლემან-ჰაუპტი უკვე დიდი ხანია, რაც ქართველების წარმოშობის საკითხს იკვლევს[2]. უკანასკნელად ის ამ საკითხს იხილავს 1937 წ. დაბეჭდილ ნაშრომში[3].

ამ უკანასკნელში ლემან-ჰაუპტი ამოდის თავისი ძველი შეხედულებებიდან იმის შესახებ, რომ იბერები ძველად გაცილებით შორს სამხრეთით ცხოვრობდნენ. ის ემყარება ერთის მხრით სტრაბონის ცნობას, რომ ტიგრანოკერტი იბერიის ახლოს იყო [πλησιον ἶης ἰβεριας (იბერიის მახლობლად)] და მეორე მხრით, რომ მდინარის სახელწოდება Ma-mušel- ქართული, სამხრეთ კავკასიური წარმოშობისაა.

ლემან-ჰაუპტის შეხედულებით, იბერები თანამედროვე საქართველოში შემოსახლდნენ შედარებით გვიან, სადაც თანდათან შეერივნენ მოსახებს, რომელთა მიწა-წყალზეც ისინი შეიჭრნენ. ეს შესახლება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. V-I სს., ვინაიდან ჰეროდოტემ არაფერი იცის კავკასიაში იბერების ცხოვრების შესახებ. ამდენად, ეს საუკუნეები უნდა იყოს მიჩნეული როგორც ჯვლაზე ადრინდელი თარიღი. ლემან-ჰაუპტი ამასთან ერთად იმასაც აღნიშნავს, რომ იბერებს სამხრეთიდან მოსვლას ეთანხმება ქართული ტრადიცია.

ლემან-ჰაუპტი განაგრძობს, იმ რაიონში სადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტიგროსები ერთდებიან ძვ.წ.აღ. V საუკუნის ბოლოს ცხოვრობდნენ კარდუხები, რომელთაც სრულიად არაფერი საერთო არ აქვთ ქურთებთან, როგორც ეს დაამტკიცეს თ. ნოლდეკმა და რ. ჰარტმანმა. ქურთები მხოლოდ რამდენიმე საუკუნით გვიან მოვიდნენ ამ რაიონში სპარსეთიდან.

---

[1] **M. Viviende Saint Martin**, Recherehes sur les populations primitives les plus ansiennes traditions du Caucase, Paris, 1847.

[2] **Pauly-kroll- Mittelhaus**. REKA, VI A, evls. 981-998, Sub.d., გვ. 148-157.

[3] **L.F. Lehmann-Haupt**, Georgica, 1937, Autumn, № 4 and 5, გვ. 43-79.

Καρδοῦφοι გადმოგვცემს სომხურ მრავლობით რიცხვს Kartu-h'-ს (ბოლო Kardu მეტად მჭიდროდ შეეთანხმება საქართველო-იბერიის მოსახლეობის ადგილობრივ სახელწოდებას – K'art'weli (K'art'ueli). სახელები Korduene, Gordyaioi და სხვ., რომლებიც აღნიშნავენ ამ სამხრეთ ტერიტორიასა და მის მცხოვრებთ–შეიცავენ იმავე ძირს.

ქარდუხების ეს ადრინდელი ქვეყანა სავსეა ქვაბული საცხოვრებლებით, რომელთაც დიდი მსგავსება აქვთ ქართულ ქვაბულებთან, მაგრამ არსებითად განსხვავდებიან ქალდურ (სომხურზე ადრინდელ) ქვაბულებისაგან. ამგვარი ნაგებობანი უშუალოდ ემეზობლებიან ტიგრანოკერტს (ბერძ. მარტიროპოლისი, სირიულად–მაიაფარიკინ = ამჟამად Farkin).

სურ. 12. ეგანი
XIX ს.

ლემან-ჰაუპტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებს მოჰყვა ქარდუხების ტერიტორიის ერთი ნაწილის კოლონიზაცია მაკედონელების მიერ და განაგრძობს: მაგდონიანების მიერ შეწუხებული ქარდუხების ერთი ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა იმ დროის ფარგლებში, რომლებიც ზევით იყო დასახელებული, ხოლო მეორე ნაწილი დარჩა და მოეწყო ძველ საცხოვრებელ ტერიტორიაზე (Gorgyene||Gorduene– ბერძნების და რომაელების).

ლემან-ჰაუპტი აღნიშნავს, რომ აქ მოხდა იმგვარი გაყოფა, როგორიც იყო ირანელი ოსებისა და გერმანელი სვე-ების. ამასთან ერთად იგი ადასტურებს იმ შესაძლებლობას, რომ სტრაბონის ცნობა ტიგრანოკერტის შესახებ ემყა-რება პირველ წყაროს, სახელდობრ, ლუკულის აღწერილობას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურად-ღებოა. ლუკული ავტორიტეტია სომხე-თის შესახებ და ამასთანავე ყველაზე მეტად სანდოდ.

ამ მონაცემების საფუძველზე მკვლევარი ადგენს, რომ ქსენოფონტეს „ანაბაზისში", სახელდობრ, მის ანგარიშში კარდუხების ქვეყანაში ჩატარებული შვიდდღიანი მარშის შესახებ, უნდა იყოს მოცემული ქართველი ხალხის ერთადერთი უძველესი კონსტიტუციური ელემენტების–ქარდუხების საომარი ხერხებისა, ყოფისა და ჩვეულებების აღწერა. ამავე დროს ეს აღწერა უძველესი თავი ქართველების ისტორიაში.

ქსენოფონტეს ცნობების მიხედვით **ლემან-ჰაუპტი** ასკვნის, რომ ქარდუხები–ქართველები ხალდების სამხრეთით ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველი ხალხის მეორე მთავარი კონსტიტუციური ელემენტი მოსხები–ხალდების ჩრდილოეთით.

ლემან-ჰაუპტი შენიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ როდის დამკვიდრდნენ იბერები თავიანთ სამხრეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ტიგროსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობლად (კენტრიტი), და რომ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროს იბერების ერთი ნაწილი, უთუოდ, იძულებული იყო დაძრულიყო ჩრდილოეთისკენ.

დღემდე უყურადღებოდაა დარჩენილი და არადამაკმაყოფილებლად შეფასებული აუტენტიური და მნიშვნელოვანი ცნობები კარდუხების–ქართველების შესახებ შემდეგი (ზნეთა და ჩვეულებათათვის):

1. ისინი მეომრები, მთიელები არიან-როგორიც არიან ქართველები დღესაც;

2. დიდი ინტერესი აქვთ დამოუკიდებლობისადმი; ისინი არ იყვნენ სპარსელების ქვეშევრდომები და 12000-იანი სპარსელების ჯარი კარდუხების ტერიტორიაზე, რომელსაც უგზოობა ახასიათებდა, სავსებით დამარცხებულ იქნა.

სურ. 13. მეხხი
XIX ს.

3. შეუბღალავად იცავდნენ ხელშეკრულებებს, რაც თანამედროვე ქართველებსაც ახასიათებს;

4. კარგად ნაშენ, კარგად მოწყობილ სახლებში დიდძალი სანოვაგე და ბრინჯაოს ჭურჭელი იყო;

5. კარდუხები ქვაბულებიდან აგორებდნენ უზარმაზარ ქვებს ბერძნების წინააღმდეგ;

6. ბევრი იყო ღვინო, რომელიც შენახული ჰქონდათ შელესილ ცისტერნებში; ეს გვაგონებს ეხლანდელი ქართველების მდიდარ სუფრირანობას და განსაკუთრებით ღვინის სმას, ისევე, როგორც ჩვეულება ქვევრებში ღვინის შენახვისა, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოსა და სომხეთის სახლებში[4];

7. საუკეთესო მეისრენი (მკვირცხლი და კარგი), თავისებური მოხრა თავიანთი გრძელი მშვილდისა. მათი გრძელი ისრისგან მტერს საკმარისად ვერ იცავდა ვერც ფარი და ვერც ჯავშანი.

8. მოხერხებული მეშურდულენი;

9. ბრძოლის დროს სიმღერა, რაც გვაგონებს იმას, რომ დღესაც ბრძოლასა და მშვიდობიანობაში ქართველებს უყვართ სიმღერა;

[4] **Lehmann-haupt**, Arm., vol. I, p. 65 (შდრ. გვ. 102): „შულავერში ჩვენ დავათვალიერეთ მარანი, სადაც გაგოზილ გრუნტში მოხერხებულად იყო მოწყობილი მიმავალი სადენი საწნახელიდან ქვევრში. ეს უკანასკნელი, ადამიანის სიმაღლისა, ქართული ქვევრები მიწაში ჩამარხულები იყო. სხვათა შორის, თიხის დიდი ქვევრები საერთოა ქართველებისა და ხალდებისათვის (იხ. ილუსტრაციები Arm., ტ. II, 2, გვ.559 გადატანა ურარტული დიდი ქვევრისა სალმანსარ III–ის მეომრების მიერ. ორი ამგვარი ქვევრი, ჩვენი ექსპედიციის მიერ არის გათხრილი, ტ.I, 2, გვ. 467.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. არის ნიშანი იმისა, რომ კარდუხის ქალები ლამაზები იყვნენ. ამით ცნობილი იყვნენ და ეხლაც არიან ქართველი ქალები.

ამგვარად, ქსენოფონტეს აღწერილობა გვაწვდის მამაცი ქართველების შესახებ დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ბრძოლებსა და სიმღერებში ლხენას ჰპოვებენ.

* * *

ალაროდიელები (ურარტები-ხალდები და მესხები), რომლებიც სპარსეთის სახელმწიფოს ორ სატრაპიაში შედიოდნენ[5], წარმოადგენენ მთავარ შემადგენელ ელემენტს მომავალი ქართველი ხალხისას.

ალაროდიელები და სასპერიები შეიარაღებული იყვნენ, ისე როგორც კოლხები, ე.ი. ხარის ტყავის მცირე ფარით, მოკლე შუბებით და სატევარისებური ხმლით. ალაროდიელების ეს შეიარაღება ზოგადად ემთხვევა ქსენოფონტეს მიერ აღწერილ ხალდების შეიარაღებას. ამ უკანასკნელთ პატივს სცემდნენ, როგორც თავისუფალსა და მეომარ ხალხს, ჰქონდათ მცირე ფარი და შუბები. იგივე ავტორი მოიხსენიებს ხალდებს, როგორც ყველაზე უფრო მეტად მეომარ ხალხს მთელს არმენიაში და რომ თვითეულ მეომარ ხალდს ჰქონდა ფარი და ორი შუბი.

ხალდი- ალაროდიელი და მოსხები მოვიდნენ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილიდან სამხრეთ აღმოსავლეთში შავი ზღვისა და კავკასიისაკენ.

მოსხები დასახლდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგში ქართველების ქვეყანად შეიქმნა, არა უადრეს ძვ.წ. VI საუკ.

მოსხები (ასირიელების მუშკუ, ბერძენთა მოსხოںi) მცირე აზიის ხალხია; ისინი შეადგენდნენ ძირითად ელემენტს იმ ქვეყნისას, რომელსაც შემდეგში ეწოდა სახელი ფრიგია. მოსხებზე თხელ ფენად გადაეფინა გვიან მოსული გაბატონებული ფრიგიელები, რომლებიც ინდო-გერმანულ-თრაკიული წარმოშობის იყვნენ. მეფეების ფრიგიული სახელები – მიდასი და გორდიოს-მრავალგზის გვხვდება ძვ.წ. IX-VIII სს. ასურელი მეფეების წარწერებში და აღინიშნებიან Mit(t)a და Gurdi ფორმებით.

ძვ.წ. XI ს. ტიგლატპალესარ I-ის დროს მოსხების ერთი ნაწილი ცდილა აღმოსავლეთ მცირე აზიიდან მესოპოტამიაში გადასვლას.

ძვ.წ. VII ს. (ასირიაში- ესარჰადონი [681-668], ხოლო ურარტუში– რუსა II, ფრიგიაში– მიდას) კიმერიელების შემოსევის გამო მიდასმა თავი მოიკლა (ძვ.წ. 675), ხოლო მოსხები (ფრიგიაში მცხოვრებნი) აღმოსავლეთით დაიძვრებიან და კოლხებს შეეჯახებიან (იხ. რუსა II წარწერა, სადაც დასახელებული არიან ხეთები და მუშკინ-ები).

ხალდებში ორი რასაა, ყოველ შემთხვევაში გაბატონებულ ფენაში, რაც შეიძლებაა ახსნილ ინდო-გერმანულ ისსლის შერევით (კრეშერის მტკიცებითაც). კრეშერს ახალი საბუთები მოყავს თავისი აზრის დასასაბუთებლად:

1. მენუას სახელი უკავშირდება მთავარს ღვთაების სახელს Μην, რომლის სამშობლო ფრიგიაა. ისტორიულ ხანაში Μην–ას კულტი და საკუთარი სახელები ფრიგიიდან გავრცელდნენ შორს სხვა ქვეყნებში;

2. არგისტის სახელი ფრიგიული წარმოშობისაა თავისი სუფიქსით – (i)stis–ist (ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ილირიის ენისათვის). ამ

[5] იხ. შენიშვნა: დღევანდელი სომხეთის ტერიტორია შედიოდა მე-18 სატრაპიაში, ხოლო ქართლი 19 სატრაპიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოებას ვადასტურებთ ფრიგიული დიდი დედის კიბელას სახელში Αγνιστις, აგრეთვე ფრიგიულ სახელში ακζιστις და ქალის სახელში Areastis. ეს ორი სახელწოდება მიუთითებს თუ ხალდების არა, ყველ შემთხვევაში, მათი დინასტიის წარმოშობაზე. კრემჩერი აღნიშნავს იმასაც, რომ, როგორც ამას მეფეების სახელები მიუთითებენ, ხალდებმა განიცადეს ფრიგიელების გავლენა. შეიძლება მათი დინასტია ნახევრად ფრიგიული იყო. ორი-სამი საუკუნის შემდეგ მათ კვალს მიყვნენ ინდო-ევროპელი არმენები, ე.ი. ჯგუფი თვით ფრიგიელებისა.

კრემჩერის ამ შეხედულების შესახებ ლემან-ჰაუპტი შენიშნავს, რომ არმენებს, სანამ ისინი დასახლდებოდნენ საკუთრივ არმენიაში, შეერია Haiasa-მცირე აზიის არა ინდო-ევროპული ხალხი, რომელიც ზემო არმენიაში ცხოვრობდა. აქედან შედგა უმთავრესად [სომხური] ენის არაინდოევროპული ნაწილი და წარმოსდგა [სომხები] ადგილობრივი სახელი ჰაი, მრ. რიცხვში ჰაიკ.

ხალდების მცირე აზიიდან მოსელის შესახებ ლემან-ჰაუპტი, კრემჩერთან ერთად, მეტსაც ამბობს. ის ამტკიცებს, რომ ხალდები ლიკიიდან არიან მოსული, ვინაიდან ლიკიელების[6] წარმოშობა, სტეფანე ბიზანტიელის მონაცემების მიხედვით, χαλδήνη-ს უკავშირდება. ლიკიის ადრინდელი მოსახლეობა იყო სოლიმა.

ლემან-ჰაუპტის მტკიცებით, ხალდები ცხოვრობდნენ არა მარტი არაქსის ბარში, არამედ მთელ ძველ არმენიაში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში და მოსაზღვრე რაიონებში, სადაც ჩვენ მათ სახელწოდებად გარდა χαλδαιοι-სა ვხვდებით enalubians-საც.

შემდეგ ავტორი ემყარება ჰეკატეს ცნობას, რომ მესხები კოლხებს ეკუთვნიან და ასკვნის, რომ იბერების შემოქრას მოაქვა მესხების ტერიტორიის შეკვეცება, რაც კოლხების ტერიტორიის შემცირებასაც უდრიდაო. ის მიუთითებს სტრაბონისეულ ლეგენდაზე ოქროს საწმისის შესახებ, რომელიც სვანებს გულისხმობს. ავტორის მიხედვით, სვანები ეკუთვნიან იბერულ-ქართველურ ჯგუფს და ამით მტკიცდება ქართველების გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზეო.

ქვაბულ შენობათა განსხვავებას რაც შეეხება, ლემან-ჰაუპტი მიუთითებს, რომ ხალდების მიერ აგებული კარგად გამოჟანილი ოთახები მიუთითებენ ფრიგიელების ქვაბულ ნაგებობებთან მსგავსებაზე, რომლებიც აგრეთვე სწორად არიან ნაგები; მაგრამ უფრო არასწორად ნაგებ ვარძიისა და უფაბნოს ქართულ გამოქვაბულებს უნდა ენათესაურებოდეს ტიგროსის აღმოსავლეთ შენაკადის მახლობლად, **კანტრუტბოპტანსულსაან** მდებარე კარდუხ-[გორიე]ული ქვაბული ნაგებობები.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, (განაგრძობს ავტორი), რომ ფრიგია იყო გამოქვაბულების კულტის და მიწის ღმერთების – ღვთაება კიბელე[7] || კიბებესი-ს სამშობლო, რომელთა სახელები გამოძახილს ჰპოვებენ ქართულ სიტყვებში: **khuwie, khvabu**. ეს სახელები, როგორც ჩანს მოსხების მიერ ფრიგიიდან უნდა იყვეს შემოტანილი.

---

[6] დედანში შენიშნავ გაურკვევლად წერია: „პისიდი. . ბისაც" ხომ არ არის ასე: „და ამავე დროს, სადაც უნდა იყოს თავდაპირველი ხურიტების მიწა-წყლის ცენტრი, მისი შუაგული ზოგადი გეოგრაფიული პირობების მიხედვით ვანის ტბის რაიონშია [საძებარი] და არა სხვაგან."

[7] კიბელა ზოგიერთი მკვლევრის აზრით აღნიშნავს გამოქვაბულს. **Rosher**, Lexikon der Mythologie, S. 1639, 1656. შდრ. ხვამლის გამოქვაბულის სურათები.

„გეორგიკას" იმავე ტომში, რომელშიც ქართველთა წარმოშობის საკითხისადმი მიძღვნილი ლემან-ჰაუპტის ნაშრომია მოთავსებული, დაბეჭდილია ა. საფრასტიანის შრომაც „ხურის ქვეყნები"[8]. რადგანაც ხურიტების ვინაობისა და მათი ქვეყნის ტერიტორიის საზღვრების გარკვევას შეუძლია არსებითი როლი ითამაშოს ქართველების გენეზისის საკითხის გასარკვევად, ამიტომ ა. საფრასტიანის ნაშრომში წამოყენებული მოსაზრებები ჩვენთვის საყურადღებოა და მათ ქვემოთ წარმოვადგენთ.

თავდაპირველად ავტორი არკვევს, რომ ხურიტების სახელმწიფო სამი ნაწილისაგან შედგებოდა, კერძოდ სირიის, მითანისა და საკუთრივ ხურრისაგან. ამ უკანასკნელის შესახებ ის ამოდის ა. გიოტცეს მიერ ნაშრომ „ხეთები და ხურიტებ"-ში ჩამოყალიბებული შეხედულებიდან: „აღმოსავლეთი საზღვარი დეეს ბითლის-სუზე, ან ერთ-ერთ მის პარალელურ მდინარეზე. უთუოდ აღმოსავლეთით იწყებოდა საკუთრივ ხურიტების ქვეყანა. ეს იყო მნიშვნელოვანი ძალის მქონე ქვეყანა და ამავე დროს ადგილი, სადაც თავდაპირველი ხურიტების მიწა-წყლის ცენტრიც უნდა ყოფილიყო, რომლის შუაგული თავისი ზოგადი გეოგრაფიული პირობების მიხედვით ვანის ტბის რაიონშია საძებნი და არა სხვაგან"[9].

ა. საფრასტიანი აცხადებს, რომ გიოტცეს ამ დებულების შესამაგრებლად, მას შეუძლია მოიშველიოს ტექსტუალური მტკიცებანი და სხვაგვარი მასალაც.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ავტორის აზრით, მთელი ძველი სომხური პროვინცია ვასპურაკანი, ე.ი. ვანის და ვანის ტბის პროვინცია, წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ხურიტული სახელებისა და ძეგლების ერთიან მუზეუმს. საკუთრივ ხურიტების ქვეყანა გადაჰიმეული უნდა ყოფილიყო ევფრატიდან კავკასიონის ქედამდე და კასპიის ზღვამდე. ამის დასამტკიცებლად ავტორი ძირითადად ტოპონიმიკურ მასალას იშველიებს.

ძირი Hur || Har კოლოსალურად მრავალჯერ ჩანდა სამეგკეიდრეო, სოჯახო და საკუთარ სახელებში, ძველ ძეგლებში, ქალაქების, ციხეების, სოფლების, მონასტრების და სხვათა აღსანიშნავად იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძევს ევფრატსა და კასპიის ზღვას შორის და მის პერიფერიების ზოგიერთ ნაწილში. ეს იმას უნდა ადასტურებდესო, ამბობს ავტორი, რომ ხალხი ხურის ამ ქვეყნებში ხანგრძლივი ბატონობის შედეგად დარჩა პრევალირებული კულტურული ტრადიციებით და რომ არსად დასავლეთ აზიაში ისტორიული ტრადიცია ისე მტკიცე არ იყო, როგორც ხურიტების ქვეყნებსა და ქვეყანაში.

---

[8] **Ar. Safrastian**, Georgica, Autum, 1937, № 4 and 5, გვ. 247-277.

[9] **A. Jötze**, Hethiher, Churriter, გვ. 55: „Die östliche Grenze liegt am Bitlis-su oder an einer seinen Parallelfluße. Erst östlich kann das Hurri-land in engezen sinne beginnen. Das ist ein land mit ansehnlicher Macht und gleichzeitig doch wo[he] auch das Zentrum des urspzünglichen Hurritter-Gebietes sein muß, kann sein Mittelpunk aus allgemeinen geographishen Erwägungen heraus kaum wo anders als in Vansee-Sebiet liegen:" იქვე, გვ. 104: „Ich sehe im urartäischen Reich eine Erneuerung alter politische [r-h] Traditionen: die sich bis in die Zeit der höchsten Blute der Hurriter zurüekführen lassen, und finde in diesem Zusammenhanq ein weiteres argument für die These, dass das Vansee-Gebiet altes Hurriter-Gebiet ist."

ა. საფრასტიანი აღნიშნავს, რომ ხური ადგილობრივი სახელწოდებაა, ხოლო სუბარი აქადური; გაურკვეველია ხურის გვერდით დაცული სახელწოდებები – ხარი, მიტანი, სუბარი. ფორერითა და სიდნეი სმიტითაც ქვეყანა ხური სომხეთს უნდა უდრიდეს.

შემდეგ ავტორი განაგრძობს: „გვაქვს საკმარისი მონაცემები, რათა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ხურები თავისი წარმოშობით აღმოსავლურ-ევფრატული კომპონენტია, რომელიც რიცხობრივად გამრავლდა და ყველა მიმართულებით გავრცელდა. მათი წარმოშობის ცენტრი არის მანასკერტი, მურად-სუ, ევფრატი (არადზანი – ასურულად, ბურიტტუ – აქადურად), სადაც მსოფლიოში საუკეთესო ნაფფიერების მიწებია (დედაში მამულებია). ამ პროვინციის ძველი სახელწოდება (დედაში გვარის) ორდუნ-ის გენეალოგია ხალდებამდე აღწევს. აქ იყო ხორიურუნიკი-ხურის გული. ასევე სახელები-ხორბორუნიკ, ბაგრატუნიკ, ვახვეუნიკ ამქღავნებენ, რომ სომხური ისტორიული ტრადიცია მთავარ მონაცემებში არის პირდაპირი ხალდურ-ურარტული კულტურის მემკვიდრე. რაც შეეხება ხურრის და ხალდების ურთიერთობას, ზოგიერთი ლინგვისტური რგოლი უკვე დადგენილია[10].

სურ. 14. ვაჟაცები
XIX ს.

ავტორი ამ ტერიტორიის პერიფერიებშიც ეძებს ხურ-ი ძირის სახელწოდებებს. ერთგან ის ასახელებს მდინარე Kurman-su-ს აღმოსავლეთ კაპადოკიაში, რომელიც დასავლეთიდან უერთდება ევფრატს. მის ნაპირზე არის სოფელი იზენი. ამ სოფელში რამზეიმ და ჰოგარტმა აღმოაჩინეს ხეთური ობელისკი იეროგრაფიული წარწერით. აქვეა აღმოჩენილი Pilae armenica, უნდა ვიფიქროთ, რომ ხალდების შეტევა აღმოსავლეთში დამყარებული იყო ეთნიურ ნათესაობაზე. საკუთრივ ხურების დასავლეთი საზღვარი ხარაბერდის (თურქულად ელ-აზიზ) ხაზს ემთხვეოდა. აქვე მდებარეობს ნანგრევი ხარ და ცნობილი ციხე Hori. ამ ქვეყნის ტერიტორია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის პერიფერიით ხერკამდე დასტურდება-ხორასანი არაქსზე (ერზერუმთან), ხალდარან (არაქსსა და მტკვარს შორის), აგრეთვე მდინარე ხრამ-ი, ხუნანი, ჰერეთი და ყარაიაკ. ამ უკანასკნელში არ უნდა გვქონდეს თურქული სიტყვა „შაივ". იგივე ძირამდე დაიყვანება ხალხის სახელიც არრან, კასპიის გაღმა კი ხორასან.

სამხრეთი საზღვრის მაჩვენებელია ნუზი (ძველი შარაგზა არაბებისა, ერაყიდან თავრიზამდე და შემდეგ პართავამდე).

ა. საფრასტიანი ამის შემდეგ ემყარება მოსე ხორენელის ცნობებს და დარწმუნებულია, რომ ჰაიკ-ის სახით მ. ხორენელს შემონახული აქვს სომხური

[10] J. Friedrich, Analecta Orientalia, XII, გვ. 122, 127 და შემდ.

ეპონიმი, რომელიც სახელითაც და ადგილსამყოფელითაც უშუალოდ დაკავშირდება ხერკ-ს და ხორხორუნიკ-ს. ამის შემდეგ, ის გადმოგვცემს ჰაიკისა და ბელის მითიურ ბრძოლას და მიუთითებს, რომ მათი ბრძოლის ადგილზე დარსდა ქალაქი ჰაიკ. მთას, სადაც მოიკლა ბელი დღესაც გერეზმანი ეწოდება, წინაარის სახელიდან კი მთელმა ქვეყანამ მიიღო სახელწოდებაო. გადმოცემის თანახმად, ჰაიკი საცხოვრებლად მიდის ჰერკ-ში, რაც ავტორს საბაბს აძლევს დაასკვნას: „ჩვენმა წინაპარმა გადაწყვიტა იცხოვროს და მოკვდეს ხერკ-ხორხორუნიკ-ში. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ ხორენელს თავის განკარგულებაში ჰქონდა წყაროები და დარწმუნებული იყო, რომ ხერკ-ი ჰაოსიანთა რასის უძველესი ადგილსამყოფელია".

ამავე დროს ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ჰაიკ = ხარკ (ხურრი) არის უფრო ადრინდელი პერიოდი, ვიდრე მისი შვილის არამანეაკ-ისა.

შემდეგ ა. საფრასტიანი იშველიებს იმავე ხორენელის მონაცემებს გვარების დასაწყისის შესახებ: ხორ-ი, მანავაზ-ი, ბაზ-ი შვილი მანავაზისა, ასევე ლეონტი მროველის თხზულებაში მოცემულ სახელებს - ნახაპეტუტხევნები და ნახარარუტხევნები. ძლიერი უნდა ყოფილიყო ხორხორინიების **(хорхорини)** გვარი, რომელთა წარმომადგენელმა არშაკუნის მეფობის დროს მიიღო საპატიო ტიტული **Mixkasi.**

ავტორის აზრით ხალდური ღვთაებების სახელებიც ამჟღავნებენ ხურულ ტრადიციებს:

ხ ა ლ დ უ რ ი	**ხ უ რ ი ტ უ ლ ი**
ha - a- ra	**ha – ra**
A - a - ru - ba - ni	**Arubani**
Ura - a	**Ura**

ცალკე განხილვას საჭიროებს რასშამრაში აღმოჩენილი ხურიტული ღვთაებების სახელები და ბოღაზ-ქოიში აღმოჩენილი ხურიტული ტექსტები.

აქ მოტანილია რასშამრას ხურიტული სახელები ხალდურსა და თანამედროვე სომხურთან შედარებით:

1. სიმეჯი (ხურიტ) - ამჟამად სოფელი და დარღვეული ძველთაძველი მონასტერი;
2. Hunamur - მთის სახელი Hnam = Хорик (მთა).
3. Xumena (ხურიტ.) – Xymynnu (ხალდ.)
4. Vi[1] - ša - i - ša - ap - hi, resp. Pi - ša - i - ša - ap - hi, სომხ. Višap, ქართ. ვეშაპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

ჯ. ჯ. ბუნაკი

ჯ. ბუნაკისაკითხის გარკვევას ანთროპოლოგიური თვალსაზრისით უდგება, თუმცა ისტორიულ და ლინგვისტიკურ მონაცემებსაც იშველიებს.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იყო აღიარებული, რომ კავკასიაში რამდენიმე ანთროპოლოგიური ტიპია დაცული. მაგალითად, ივანოვსკის მტკიცებით, აქ რამდენიმე ადგილობრივი ტიპი გამოირჩევა: სომხური, ქართული, ყაბარდული, ოსური, აზერბაიჯანული და სხვ. პანტიუხოვის მიხედვით კი, კავკასიაში შემდეგი რასის წარმომადგენლებია მოცემული: ჩრდილო-ევროპული, დინა-რული, ირანული და სემიტური. ზოგიერთი ანთროპოლოგი (ჯიუფრიტა-ანოჯიერი, ჰედონი, ჯავახიშვილი) აღნიშნავდა, რომ კავკასიურ ვარიანტებში ზოგიერთი სპეციფიკური სახეობა მოიპოვება.

ვ. ბუნაკი თავის მსჯელობას ახალი მონაცემების საფუძველზე აგებს, რის გამოც სხვაგვარადაა წარმოდგენილი კავკასიური ვარიანტების გავრცელების არე, მათი ურთიერთკავშირი და ადგილი რასათა სისტემაში.

A. I. ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე ანაპიდან ბაქომდე, თავიანთი ფიზიკური თავისებურებების მიხედვით ნაწილდებიან რამდენიმე ლოკალურ ტიპად, მაგრამ ამავე დროს ახასიათებთ რიგი საერთო მაჩვენებლები, კერძოდ: შედარებით მუქი ფერის თმა, თვალის გუგების მუქი და გარდამავალი ფერი, ხშირი თმის საფარველი სახესა და ტანზე, წვრილი ცხვირი (ე.წ. ლონტორინია), პირდაპირი ან კეხიანი მოყვანილობით, წვრილი ან საშუალო სისქის ტუჩები და სხვ. დახასიათებული ტიპის ყველაზე მკვეთრად განსხვავებული სახეობანი მოცემულია ამ გეოგრაფიული ზოლის უკიდურეს აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებში:

ა). **ადაღეური** ხალხები - **ბეკეტუნები, შაფსუღები, ნიმჩუები, აბაძეხები** რომლებიც ცხოვრობენ მდინარეების ყუბანის შუა, ხოლო ბელაიასა და ლაბის ქვემო წელზე.

ბ). **დაღესტნელები** – **აკარები, დარგინელები** და **ლეკები.**

პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მეზოკეფალია (მაჩვენებელი არის 80), ხოლო მეორესათვის ბრაქიკეფალია (მაჩვ. 85-87). სისხლის მაჩვენებლის მიხედვით აღმოსავლეთში A ჯგუფი ჭარბობს, ხოლო ადიღეელებში უპირატესად O ჯგუფია მოცემული. რაც შეეხება ცენტრალურ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას, აქ რამდენიმე თავისებური სახეობაა დადასტურებული, რომელიც არ შეიძლება ადიღეელებისა და ლეკებს შორის გარდამავალ ტიპად ჩაითვალოს, ან კიდევ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩამოუყალიბებელ სახეობად.

ამგვარად, ჩრდილოეთ კავკასიაში სამი ტიპია მოცემული: შუა-ყუბანური, თერგისა და დაღესტნური ანუ სამურული. მეორეში შედიან ინგუშები და ოსები. ცალკე დგას ჩაჩნური ჯგუფი, რომელიც ზოგადად ახლოა თერგის ტიპთან, მაგრამ აქვს თავისებური ნიშნებიც. ის შეიძლება გამოიყოს არღუნის ტიპად. მისი გავრცელების არე, ალბათ, დაღესტნისა და ხევსურეთის მახლობელ უბნებზეც ვრცელდება.

2. დასავლეთ-ამიერკავკასია. ამ მხარის ძირითადი მოსახლეობა ქართველებია, რომლებიც სომატური ნიშნების მიხედვით ახლო დგანან ჩრდილო კავკასიურ ტიპთან, განსაკუთრებით, თერგის მოსახლეობასთან. ქართველები ზომიერი ბრაქიკეფალები არიან, საშუალო სიმაღლის, აქვთ მუქი ფერის თმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო ან წვრილი სახე, წვრილი ცხვირი, რომლის ფორმა ხშირად კეხიანია და ხშირი თმა.

აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი ზოგად ქართული ტიპისაგან განსხვავდებიან და აღმოსავლეთისაკენ იხრებიან. ქართველები და კახელები გურულებისა და მეგრელებისაგან, შეიძლება ითქვას აჭარლებისა, ლაზებისა და ჭანებისაგანაც განსხვავდებიან ნაკლები სიმაღლით, თმისა და თვალის გუგების შეფერილობის მეტი სიმუქით, უფრო ძლიერი თმის საფარველით, ტუჩების მეტი სისქით, კეხიანი ცხვირის მეტი სიხშირით და სხვ. აღმოსავლეთ ქართველების სახე და თავი რამდენადმე განიერია; მათი თავის ქალის მაჩვენებელი არის 84, მაშინ როცა დასავლეთში 82. ქართველებისა და კახელების სისხლი უფრო ხშირად A ჯგუფისაა, ხოლო გურულებისა და მეგრელებისა 0 ჯგუფის.

იმერლები ნაწილობრივ დასავლეთის ქართველებთან არიან ახლოს (სისხლის ჯგუფი, თმისა და თვალების შეფერილობა), ნაწილობრივ კი აღმოსავლეთის ქართველებთან (თმის სიხშირე); ზოგიერთი მახასიათებლის მიხედვით მათ გარდამავალი ადგილი უჭირავს. ამრიგად დასავლეთ ამიერკავკასიაში სამი ანთროპოლოგიური ტიპი დასტურდება: დასავლური ანუ ქვემო რიონის, აღმოსავლური ანუ ლიახვ-ალაზნის და ცენტრალური ყვირილის.

სურ. 58. იმერლები
XIX ს.

ზოგადად დასავლეთ ამიერკავკასიის ტიპები უფრო მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის სათანადო ტიპებს. ისინი უკანასკნელთაგან ზოგადი ქართული მაჩვენებლებით განირჩევიან. ასე მაგალითად, ქვემო რიონის ვარიანტი შუა ყუბანურთან შედარებით უფრო მუქი შეფერილობით გამოირჩევა, ნაკლები სიმაღლის და უფრო ვიწრო სახის არის. ამგვარივე განსხვავება დასტურდება აღმოსავლური ჯგუფების შედარების დროსაც.

საქართველოს მაღალი მთის მოსახლეობა არადამკმაყოფილებლად არის შესწავლილი.

ხევსურები და აგრეთვე, ალბათ, მოხეველებიც სამხრეთის ჯგუფისაგან – ქართლელებისა და კახელებისაგან – განსხვავდებიან ნაკლებად მუქი ფერით, შედარებით სუსტი თმის საფარველით, მაგრამ ემსგავსებიან თავის ქალის მაჩვენებლით (84). არასრული მონაცემების მიხედვით, ზემო რაჭასა, ლეჩხუმსა და სვანეთში ღია ფერი ჭარბობს. ავტორი ასკვნის, რომ შეიძლება ზემოაღნიშნული ნიშნები საკმარისი იყოს, რათა ცალკე გამოვყოთ მაღალმთის კავკასიური ტიპი, რომელიც ახლოს დგას თერგის, კერძოდ, ოსურ ტიპთან. ჯერჯერობით ეს ტიპი შეიძლება პროვიზორულად აღინიშნოს.

სომატური ნიშნების რამდენიმე თავისებური შერწყმა შეიმჩნევა აფხაზურ ჯგუფში. აფხაზები დასავლეთის ქართველებს ემსგავსებიან სიმაღლით, თვალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგების ფერით, ცხვირის ზომით, მაგრამ უფრო ბრაჭიკეფალები არიან ტა-განიერი სახე აქვთ, რითაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიურ ჯგუფთან ამეღლავნებენ მსგავსებას, მაგ., ყბარდოელებთან. ამიტომ, ვ. ბუნაკის მიხედვით, აფხაზური ანთროპოლოგიური ტიპი შეიძლება იყოს ადგილობრივი ვარიანტი ქვემო რიონის ტიპისა, ან კიდევ შუალედური ხასიათი ჰქონდეს, რომელშიც ჩრდილო-კავკასიური და დასავლურ-კავკასიური ელემენტებია წარმოდგენილი.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, არსებული მონაცემების მიხედვით ისინი დასავლეთ ამიერკავკასიის რომელიც გნებავთ ტიპთან უფრო ახლო არიან, ე.ი. ზოგად ქართულთან, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიურთან.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური ზეგანი (სომხეთი).

სურ. 16. იმერელი
XIX ს.

სომხეთში ყველაზე მეტად გავრცელებულია ლორი-ბამბაკის ტიპი.ცალკე გამოიყოფა ზოგად სომხურის უკიდურესი ვარიანტები: ყარაბაღული და ღენინაკანური. ლორი-ბამბაკის ტიპი არ შეიძლება ორი უკანასკნელის შუალედურ რგოლად იქნას მიჩნეული. სომხური ტიპი ქართულისაგან განსხვავდება თმის ხშირი საფარით, უფრო სქელი ტუჩებით, ნაკლები სიმაღლით, თავის ქალის დიამეტრის სიმცირით, მეტი ბრაჭიკეფალობით, უფრო წვრილი სახით და ცხვირით.

რაც შეეხება სომხეთის ცენტრალურ ალაგიოზ–სევანის ზონას, იქ მეტი ტიპობრივი სხვადასხვაობა შეიმჩნევა, რაც შეიძლება მცირე აზიის სომხური რაიონებიდან უკანასკნელ ხანებში მომხდარი მოსახლეობის მიგრაციით აიხსნას.

4. აღმოსავლეთ ამიერკავკასია. ამ ტიპისათვის ანუ აზერბაიჯანულისათვის დამახასიათებელია: ქართველებთან და სომხეთთან შედარებით უფრო მუქი ფერის თმა და თვალის გუგები, ქართველებისათვის დამახასიათებელი ხარისხის თმის საფარველი, მათგან განსხვავებით ვიწრო (წვრილი სახე), უფრო სწორი ცხვირი, მეზოკეფალია, მაგრამ ჩრდილო-კავკასიელი მეზობლებისაგან განსხვავებით რამდენადმე უფრო მეტი სიმოკლე თავისა. მისი ქვეტიპებია: მტკვრის ქვემო წელის, შუა-არაქსის და ელბრუსის (ირანის კასპიისპირა აზერბაიჯანი).

ვ. ბუნაკი აღნიშნავს, რომ მახლობელ წარსულში აზერბაიჯანის მიმდებარე ქართულ, სომხურ და ლეკურ რაიონებში მომხდარა მოსახლეობის თურქიზაცია, რის გამოც აზერბაიჯანელებს სხვა ფიზიკური ტიპის ელემენტები შეერია. ასეთი არიან, მაგალითად, ზაქათალას (კახის) აზერბაიჯანელები, რომლებიც სომატური ნიშნების მიხედვით მეტად ახლო დგანან მეზობელ დაღესტნელებთან. ცდა იმისა, განაგრძობს ავტორი, რომ აზერბაიჯანელების ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ ტიპში დაგვედგინა აზიური ანთროპოლოგიური ტიპი, უნაყოფო შეიქნა ამგვარი გაკვლევის კვალი შეიმჩნევა, მაგრამ სხვაობათა მთლიან კომპლექსთან შედარებით ისინი მცირე როლს თამაშობენ და არ ამეღავნებენ გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებს.

5. ამერკავკასიის მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები.

ვ. ბუნაკის მიხედვით, ტატები აღმოსავლეთ ამერკავკასიის ადრინდელი მოსახლეობის უშუალო ეთნიკური მემკვიდრენი უნდა იყვნენ. ამის დამადასტურებლად მიაჩნია ავტორს ის, რომ ტატები განნეულად მოსახლეობენ, რის გამოც სომხების, აზერბაიჯანელებისა და ებრაელების მხრივ ინტენსიურ ასიმილაციას განიცდიან, თუმცა დღემდე შემოინახეს ცეცხლის კულტის კვალი და ირანული ენა, რომელსაც ხანდახან თურქული და ებრაული ცვლის. ზოგიერთ რაიონებში სამურის ტიპია წარმოწეული, მაგრამ ტატები, მეზობლებთან შედარებით, ნაკლებ ბრაქიკეფალებია. ძველი ტატების ეთნიკური თავისებურებები უკეთ არის შემონახული აფშერონის ნახევარკუნძულის უკიდურეს ჯგუფში (ირანული ენა, ყოფისა და კულტურის ზოგიერთი მხარე).

ქურთ-ეზიდები ირანული ჯგუფის წარმომადგენლები არიან, რომლებიც დღევანდელ მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე გვიან მოსულან მაკუს სახანოდან. ისინი არაქსის ან ელბრუსის ანთროპოლოგიური ტიპის მცირე ვარიანტს წარმოადგენენ.

ამერკავკასიის მესამე ენობრივ- ირანული ჯგუფი ტალიშები არიან, რომლებიც ლენქორანში ბინადრობენ. კასპიისპირეთის ასტარის რაიონის ტალიშები ყარაბაღის ტიპის მკვეთრი ბრაქიკეფალები არიან, ლერიკის მთის რაიონში თავის ქალის მაჩვენებელი აღწევს 84-ს, ხოლო კოსმლინის რაიონის ტალიშები ელბრუსის ან არაქსის ტიპის მეზოკეფალები არიან.

ურმიიდან გადმოსახლებული აისორები ანთროპოლოგიურად ყარაბაღულ ტიპს ეკუთვნიან.

ებრაელებს, რომლებიც ქუთაისიდან დარუბანდამდე ყველგან გვხვდებიან, ანთროპოლოგიურად შემდეგი საერთო ხასიათის ნიშნები აქვთ: ისინი ბრაქიკეფალები არიან, აქვთ წვრილი ცხვირი, ვიწრო სახე, დაბალი ან საშუალო სიმაღლე, მუქი შეფერილობა, ძლიერი თმის საფარველი და კეხიანი ცხვირი. ამის გამო გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ტიპის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ერთი ელემენტი, რომელიც შეიძლება ყარაბაღული ანუ ვანური ვარიანტი იყოს. სხვა ნიშნები მეტად განსხვავებულია და გარემოცულ მოსახლეობას შეეფარდება.

6. ჩრდილოეთ კავკასიის ზეგანისა და დაბლობის ეთნიკური ჯგუფები.

საერთოდ, რუსული და უკრაინული ტიპები, ყაზახების გარდა, ჯერ არ ჩამოყალიბებულან.

თურქულენოვანი ხალხები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ზეგანსა და დაბლობებზე ბინადრობენ–ნოღაელები, ყუმუხები, თარაქამა– ანთროპოლოგიურად მეტად ნაირგვარი არიან. თარაქამა ახლო დგას ხვარეზმის თურქმენებთან.

ნაწილი ნოღაელებისა ახლო არიან თურქმენულ ტიპთან (ედისანის ნოღაელები), მეორე ნაწილი (ემბულაკისა, ხისანიურეტისა) დიდ მსგავსებას ამეღავნებენ მთის კავკასიის ვარიანტებთან, რომელთა თავის ქალის მაჩვენებელი 83-84 უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმუხები მეზობელი დაღესტნური ტიპიდან ოდნავ განსხვავდებიან. ხშირად შეიმჩნევა არაკავკასიური ელემენტების, კერძოდ, აზიურ თურქულოიდურის და მონღოლოიდურის გავლენა, მაგრამ არსად ეს ელემენტები ისე არ მეღავნდებიან, რომ შეიძლებოდეს მათი მიკუთვნება აზიური ანთროპოლოგიური ტიპისათვის. სწორი იქნება ვთქვათ, განაგრძობს ვ. ბუნაკი, რომ საქმე გვაქვს ძირითადი კავკასიური ტიპის ზოგიერთ მოდიფიკაციასთან. აზიური ანთროპოლოგიური ელემენტი უფრო გარკვევით ჩანს ყალმუხების ტიპში. ძირითადი აზიური რასიული ტიპის ვარიანტად შეიძლება მაინცდამაინც მანიჩიოლოის ყალმუხები ჩაითვალოს.

ჩრდილოეთ კავკასიის ებრაელების ანთროპოლოგიური დახასიათება იგივეა, რაც ამიერკავკასიის ებრაელებისა, თუმცა შესამჩნევია ზოგიერთი ლოკალური თავისებურებაც, მაგალითად, ნალჩიკის ებრაელებში შერწყმულია ოსებისა და ბალყარელებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი.

B. ურთიერთობა გარდამავალ ჯგუფებს შორის და მათი ადგილი რასების სისტემაში.

ამრიგად ვ. ბუნაკი კავკასიაში გამოჰყოფს 16 ანთროპოლოგიურ ტიპს, რომლებიც ოთხ ძირითად რასად ერთიანდებიან:

1. პონტური რასა, რომელიც თავის მხრივ დიდ ხმელთაშუა ზღვის რასაში შედის, ხოლო მის ქვე-რასას შუა ყუბანური ტიპი წარმოადგენს;

2. პონტო-ზაგროსული ანუ წინააზიური-არმენოიდული რასა, რომელიც დიდ პალმირო-ალპიურ რასაში შედის; მის ქვერასას ყარაბაღული ვარიანტი წარმოადგენს. ამგვარივე ქვერასა უნდა იყოს ლენინაკანური ვარიანტი; ლორი-ბამბაკის ვარიანტს კი გარდამავალი ადგილი უჭირავს. ვინაიდან ლორი-ბამბაკის ვარიანტი სომეხი ხალხის ფორმირების ტერიტორიაზეა მოცემული, ეს ავტორს საფუძველს აძლევს ლორი-ბამბაკის ტიპი პროვიზორულად პონტო-ზაგროსის რასის ქვერასად ჩათვალოს. ალაგიოზ-სევანის ვარიანტი კონსოლიდაციის პროცესშია და იგი ლენინაკანურისა და ყარაბაღულის ნარევი უნდა იყოს.

3. პონტო-ზაგროსის რასის ცალკე ქვერასად უნდა ჩაითვალოს დაღესტანის სამურის ტიპი. ყოველ შემთხვევაში, ეს ქვერასა უფრო ახლოა პონტო-ზაგროსულ ვარიანტთან, ვიდრე ჩრდილო ან დასავლურ კავკასიურთან, როგორც მორფოლოგიურად, ისევე ისტორიულად.

დასავლეთ კასპიის ქვერასას ეკუთვნიან ქვემო მტკვრის, არაქსის და ელბრუსის ტიპები. დასავლეთ კასპური ქვერასისა და აღმოსავლეთ კასპური ქვერასის ტიპები შეადგენენ კასპურ რასას; ეს უკანასკნელი პონტურ რასასთან გაერთიანებულია სისტემატურ რასაში.

4. ლიახვ-ალაზნის, ფირილისა და ქვემო რიონის, აგრეთვე, პროვიზორულად მაღალი მთის ზოლის ტიპები შეადგენენ განსაკუთრებულ სერიას; მასში შეიძლება შეფენილი იყოს ზემოთერგის და, პირობითად, ქვემო არგუნის ტიპები. ეს სერია თუმცა ზოგადად ახლო დგას ლენინაკანის ქვერასასთან, მაგრამ მაინც სპეციფიკურობით ხასიათდება. ჯიფორდ-როდჯიერი და ჰედონი, სრულიად სამართლიანად, აღიარებენ დასავლეთ საქართველოს ანთროპოლოგიური ტიპების დამოუკიდებელ არსებობას. კავკასიის ეს მეტად სპეციფიკური ტიპი შეიძლება მივიჩნიოთ კავკასიურ რასად, ხოლო ქვემო რიონისა და სხვ. ვარიანტები კი ქვერასად.

ტერმინ „კავკასიური რასის" ქვეშ ნაგულისხმევი გეოგრაფიული არე თანდათან მცირდება: ბლუმენ-ბახის მიხედვით ის მთელი თეთრი რასის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავად გამოიყენებოდა; ა. ჯავახიშვილი მას ქართველების, სომხების, ჩერქეზებისა და ლეკების ერთიანი ანთროპოლოგიური რასის აღსანიშნავად იყენებდა; ამჟამად კი, ე.ი. ვ. ბუნაკის მიხედვით, მასში შედის საქართველოს ტიპები, მაგრამ არა პონტოსი და პონტო-ზაგროსის. ამგვარად, არმენოიდული ტიპი იმდენადაა კავკასიური, როგორც ზემო-მესოპოტამიური ან ზაგროსულ-ირანული.

სურ. 17. მეგრელი
XIX ს.

პონტური ტიპი კავკასიისათვის არ არის უფრო მეტად სპეციფიკური, ვიდრე ძველი შავიზღვისპირეთის ანუ თანამედროვე დუნაის ოლქისათვის. ლეკები ყველა მონაცემის მიხედვით ახლო დგანან პონტო-ზაგროსის ვარიანტებთან, ვიდრე ქართველებთან. საკუთრივ კავკასიურად რჩება მხოლოდ დასავლეთ ამიერკავკასიის ტიპი.

იბადება საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს ამ რასას დიდ რასათა სისტემაში.

კავკასიური რასა უნდა იყოს განტოტება ან ხმელთაშუა ზღვის რასისა, ან კიდევ პალმირო-ალპიური რასის, ან ნარევი ამ ორი დიდი რასის განტოტებებისა, რაც სრულებით არ უარყოფს მის დამოუკიდებლობას.

კავკასიური რასა სხვადასხვა ელემენტების, კერძოდ, დასავლურის მსგავსი პონტურის და აღმოსავლურთან ახლო მდგომი პონტო-ზაგროსის რასების, შერწყმის შედეგი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია ამ რასების, ძველი ფორმები. კავკასიური რასის ჩამოყალიბებაში სპეციალისტების უმრავლესობა აღმოსავლურ ელემენტს ანიჭებს უპირა-ტესობას და, ამდენად, კავკასიური რასა დიდ პალმირო-ალპიური რასის სერიაში შეჰყავთ; მათივე აზრით (ჯ. რუჯიერი, ჰუდონი), მეორე განშტოება იგივე დიდი რასისა არის პონტო-ზაგროსული, რაც სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



სურ. XI. მეგრელი ქალები
XIX ს.

ამ სისტემას არღვევს ის, რომ არგუნის ტიპში ევროპული ელემენტებია შესული, ხოლო ნოღაელებში, ყარაჩაელებში, დაღესტნელებში და ქვემო მტკვრის ტიპებში აზიური (თურქული). ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ეს შუააზიური ელემენტები ტერიტორიის მხრივ ფართოდ არიან გავრცელებული, ხოლო ინტენსივობის მხრივ სისუსტე ახასიათებთ.

ახალი მოსახლეობიდან რასიულად გამოიყოფიან რუსები და კალმიკები.

ვ. ბუნაკის მიხედვით, ვღებულობთ შემდეგს: პონტური რასა წინათ გამოყოფილი სახით არ არსებობდა; კასპიური რასა შეეფარდებოდა ირანულს: კავკასიური რასას ახალი განმარტება აქვს, ხოლო პონტო-ზაგროსის ტიპი, ახალი მონაცემების მიხედვით, არ არის მონოლითური– მისი ქვერასები გავრცელებულია ანატოლიაში ეგეოსის ზღვამდე, აგრეთვე მესოპოტამიაში და ირანში. ეს უკანასკნელი ახლოა ყარაბაღის ვარიანტთან, ხოლო პირველი ლენინაკანურთან.

ერთი ცხადია, რომ წინა აზიასა და კავკასიაში რასების ჩამოყალიბება ხდებოდა ერთგვარი ამოსავალი ელემენტის ბაზაზე და ამიტომ სირიულ-მესოპოტამური ტიპების არსებობა ამიერკავკასიაში და პირუკუ, კავკასიურისა მესოპოტამიასა, სირიასა და ქურთისტანში, სავსებით გასაგებია.

სურ. XII. მეგრელი
XIX ს.

C. ძველი ხანის ანთროპოლოგიური ტიპები. ძველი კრანიოლოგიური მასალა ძვ.წ. XII-IX საუკუნეებიდან მოიპოვება, ნეოლითური ხანის კი არ გვაქვს. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და რკინის ხანის დასაწყისისათვის კავკასიაში რამდენიმე ანთროპოლოგიური ტიპი იყო: ა). დოლიქოკეფალური – მთიანი ოსეთი, კავკასიის ვაკე, რომლებიც პონტური რასის ერთ-ერთ უძველეს ვარიანტს შეეხაბამება; ბ). აგრეთვე დოლიქოკეფალური, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული, სევანიდან დაწყებული; მასში უნდა გვქონდეს კასპური რასის ძველი ვარიანტი; გ). მეზოკეფალური ტიპი – სამთავროსი, რომელიც კავკასიური რასის უძველეს ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ; ის იჭრება ჩრდილოეთში, მაგრამ როდის მოხდა ეს პროცესი გაურკვეველია. შემდგომ საუკუნეებში მიმდინარეობდა ადგილობრივი ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც მივიღეთ რასათა თანამედროვე ტიპები.

D. ანთროპოლოგიური ტიპები და ეთნიკური დაჯგუფებანი. ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების არე არ ემთხვევა თანამედროვე ეთნიკურ არეალებს. ეს საზოგადო კანონზომიერებაა. ანთროპოლოგიური ტიპები უფრო მყარია და განეკუთვნებიან უფრო შორეულ წარსულს, ვიდრე თანამედროვე ეთნიკური დაჯგუფებანი. ამაშია ანთროპოლოგიური მონაცემების ღირებულება.

ისტორიული მონაცემების მიხედვით თანამედროვე ოლქები და საზღვრები სხვადასხვა ენის გავრცელებისა შედარებით გვიან დამყარდა და ხშირად ცვლილებებს განიცდიდა.

ყარაჩაისა და ბალყარეთში თურქული ენები უკანასკნელ საუკუნეებში გავრცელდა. ისტორიული და ტოპონომიკური მონაცემები (მილერი) არკვევენ, რომ ახლო წარსულში ამ მხარეში ირანული ჯგუფის ენები (ალანური) ბატონობდა, ხოლო შორეულ წარსულში ცენტრალური კავკასიის მოსახლეობა ლაპარაკობდა ჩრდილოეთ კავკასიის ტიპის ენაზე (ნ. მარი). ასევე გვიან შევიდა თურქული აზერბაიჯანში.

ზემოთქმული ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ დასტურდება ერთგვარი ეთნიკური კომპლექსების მიხედვით – კოსტუმი, ბინა, ჩვეულებები, გადმოცემები. ესენი შეიმჩნევიან კავკასიის სამხრეთ მთიანეთში.

E. ჩრდილოეთ კავკასიის ენები. შორეულ წარსულში ჩრდილოეთ კავკასიის ენების ჯგუფს დიდი გავრცელ ლების არე ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ადიღეელები ცხოვრობდნენ დასავლეთ ამიერკავკასიაში. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში უცხოვრიათ ჩაჩნებსა და დაღისტნელებს. ეს აზრი ამგვარადვე შეიძლება დასაბუთდეს აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის. ამის მიხედვით ავტორი ასკვნის, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის ეთნიკური ფენა ერთიანი იყო.

ამას უკავშირდება ს. ჯანაშიას მტკიცება, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ჭოროხსა და არაქსს შორის ხდებოდა; მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ ხურისა და მიოანის ძველ ხალხებთან. ქართველი ხალხის ეს ეთნიკური ტიპი თანდათან შეიჭრა ჩრდილოეთში ძველი მოსხების, კოლხების და იბერების ქვეყნებში, – გაბატონდა დასავლეთ და ცენტრალური კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე, სადაც მას წინ უსწრებდა ენობრივი ტიპი, რომელიც უფრო მეტად ახლოს იდგა თანამედროვე ჩრდილო-კავკასიურ ენებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ამიერკავკასია იმყოფებოდა იმ კულტურული ცენტრების გავლენის ქვეშ, რომლებიც ჰყოაოდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთი განაპირზე. პირველ ათასწლეულში ამგვარი ცენტრები იყვნენ ასურეთი, ხალდე-ურარტუ, რომლის პროვინციას თანამედროვე სომხეთი შეადგენდა (**ბ. პიოტროვსკი**). ქვემო მტკვრისა და კასპიისპირა რაიონების ინტენსიური კავშირს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებთან ადგილი ჰქონდა შორეულ წარსულში, რასაც მოწმობენ აზერბაიჯანელებისა და კასპების გეოგრაფიული ლოკალიზაცია, რომელთა ენა, ყოველ შემთხვევაში, არც ქართული იყო და არც ჩრდილო კავკასიური.

კავკასიური ენები სიტყვათა აღნაგობის მიხედვით იყოფიან სუფიქსურ და პრეფიქსურ ენებად. პირველი უკავშირდება ხურულს, მითანურს, ურარტულს (ე.ი. აღმოსავლურს), ხოლო მეორე დასავლურ-სამხრეთულს-პროტოხეთურს ანუ ხატიურს და ეგეურს.

კუფტინის მიერ თრიალეთში ჩატარებული გათხრების დროს მოპოვებული ენეოლითის ხანის მასალა ამქღაენებს მრავალმხრივ კავშირს დასავლეთ მცირე აზიის ძველ ცენტრებთან.

დასავლეთის ელემენტების გავლენა კავკასიის ეთნიკური ტიპების ფორმირებაში დიდი იყო, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. ეს ელემენტები უფრო ძველია ვიდრე აღმოსავლური (მესოპოტამია, ელამი), რომელიც უფრო მკვეთრად ჩანს ამიერკავკასიის ცენტრალურ ზეგანზე, თუმცა აქვე ჩნდება ხეთური გავლენაც.

შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს:

1). უძველეს ხანაში კავკასიის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით დასავლურ და ცენტრალურ ნაწილში, ერთიანი ეთნიკური ქვეყნის არსებობა. ამის ნაშთებია უმთავრესად ადიღეურ ენებში;

2). სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნაწილში რამდენიმე განსხვავებული ფენის არსებობა, რომლის ლინგვისტიკური კვალი დღემდე არ შენახულა, ან არ არის ცნობილი;

3). არაქსისა და ჭოროხის მხრიდან მოგვიანო ხანაში (ბრინჯაოს?) მესამე კულტურული ელემენტის-პროქართული გავრცელება, რომელიც დამკვიდრდა დასავლეთ ამიერკავკასიაში, ნაწილობრივ გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

4). სხვადასხვა ეპოქაში ვანისა და ზაგროსის მხრიდან მეოთხე ელემენტის გადმოსვლა, რომელიც დაკავშირებულია წინა აზიის აღმოსავლეთთან და მისი დამკვიდრება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შემდგომი ეტაპები კარგად არის ცნობილი. მათი მნიშვნელობა მეტად დიდია: სომხეთის სახელმწიფოს წარმოშობა, ძველი ალბანეთის ფორმირება, სკვითურ-კიმერიული გავლენა ამიერკავკასიაზე, კავშირი ძველსა და საშუალო საუკუნეების ირანთან, ალანია სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში, ხაზარების გავლენა აღმოსავლეთზე, გვიანდელი თურქული დაპყრობანი და სხვ.

ამგვარად ირკვევა:

1. პონტური რასა – უძველესი ზოგად-კავკასიური ეთნიკური ფენის წარმომადგენელია, რომელიც ამკამად, შედარებით მცირედ შეცვლილი, შემონახულია ადიღეველთა სახით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კასპიური რასა – მეორე ეთნიკური ფორმაცია – სამხრეთ-აღმოსავლეთით ტატებისა და აზერბაიჯანელების სახით არის წარმოდგენილი, რომელთა ეთნიკური ტიპი ენობრივად შეცვლილია;

3. პონტო-ზაგროსის რასა – წარმოდგენილია ეთნიკური ჯგუფით, რომელიც კავშრში იყო ასურულ და ურარტულ ელემენტებთან, ხოლო შემდეგში სომხურ ეროვნებასთან. დღეს მოცემულია სომხეთისა და დაღისტანში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის სამხრეთ ნაწილში;

4. კავკასიური რასა – ეთნიკური ტიპი თანამედროვე დასავლეთ ამიერკავკასიაში, შექმნილია სამხრეთით – პონტო-ზაგროსის ტიპის მეზობლად, შემდეგში ძირითადად ფორმირებულია საქართველოს ჩრდილოეთით, ნაწილობრივ კავკასიის ჩრდილოეთის ფერდობებზე.

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, პირველი და მეორე ფენა ძველი ფენებია, ხოლო მესამე და მეოთხე შედარებით ახალი. ამ მონაცემების საფუძველზე აშკარა ხდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტიპების სხვაობაც, ამასთან ერთად, ჩრდილოეთის და სამხრეთის ტიპები ინარჩუნებენ თავიანთ სხვაობას.

თავი IV

ტ. მარგველაშვილი

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება ტ. მარგველაშვილი ნაშრომში: „Der Kaukasus und der alte Orient" (Zf., 1937, H 4/5, Berlin 1938, გვ. 141 და შემდ.). აღნიშნულ ნაშრომს წამძღვარებული აქვს მოკლე შესავალი, რომელშიც ფიქსირებულია ავტორის შემდეგი შეხედულებები:

სურ. 20. გურული XIX ს. შუა წლები

1. ენეოლითის ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში ხალხთა და რასათა ნაირსახეობა იყო წარმოდგენილი. სამხრეთ პალესტინაში აღმოჩენილია ნეანდერტალური ტიპის ადამიანის ნაშთები. სპეციალისტები ადასტურებენ, როგორც თეთრკანიანის, ისევე ნეგროიდული ტიპის ადამიანის არსებობას.

კულტურული თვალსაზრისით ეს ეპოქა ხასიათდება: ა) სპილენძის ხანის ჩანასახით; ბ) ხტონიური რელიგიით; გ) მატრიარქატით.

ხალხთა და რასათა ეს ნარევი წარმოადგენს ძველი წინა აზიის სუბსტრატს, რომელიც ერთიან ადგილობრივ კულტურას ფლობდა. ამ ნარევი რასის ერთ-ერთი ვარიანტია არმენოიდული ტიპი, რომელიც მასში არასრულყოფილადაა ასახული.

ამ პერიოდში, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხებს ერთმანეთში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და კულტურულ ერთიანობას ჰქმნიდნენ.

2. ლითონის ხანა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 5000 წლის წინათ, ჩრდილოეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლებულთა მრავალი ახალი ტალღა შემოიჭრა აღმოსავლეთში. ჩანს ეს ტალღები კავკასიიდან მოემართებიან. ახალ ხალხებს მრავალი ახალი ელემენტი მოჰყვა. ჯარბობდა კავკასიური ელემენტი, ე.ი. ხალხები რომლებიც დღეს კავკასიელებად არიან ცნობილნი. ამ ხალხმა დიდი გავლენა მოახდინეს აღმოსავლეთის ხალხებზე თავიანთი სამხედრო უპირატესობის გამო: მათ ჰქონდათ ლითონის საჭურველი. ისინი თავისებურ სამხედრო კასტას წარმოადგენდნენ.

კავკასიელების, ე.ი. ქართველების, გავლენის კვალი განსაკუთრებით ჩანს სუმერელებზე. მათ თავიანთი კვალი დაუტოვებიათ სხვა ხალხთა ცხოვრებაშიც: სამხრეთით – პალესტინასა და ეგვიპტეში, ჩრდილო დასავლეთით – უკრაინასა, პოლონეთსა და სამხრეთ სკანდინავიაში, დასავლეთით – სამხრეთ ევროპაში და თვით შორეულ აღმოსავლეთამდეც.

ამ ახალ რასას, ავტორის აზრით, უნდა ეწოდოს კავკასიური, ზაგროს–პონტური, იაფეტური ანუ ქართული.

სურ. 21 ჯვრული
XIX ს. დასასრული

სპეციალისტების აზრით, ეს რასა ზემოთ მოხსენიებული ენეოლითურ, წინაარიულ სუბსტრატული რასისაგან სავსებით და მთლიანად განსხვავებულია. კულტურული ყოფით ამ რასას მიეწერება: ლითონის ხელოვნება, მესაქონლეობა, სახვნელი კულტურა. შეიძლება მათვე მივაკუთვნოთ კერამიკული მორგვის გამოგონება და ცხენის მოშინაურება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ხელოვნება, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელოვნება. ეს ხალხი იყო პირველი პატრიარქალური ფენა წინა აზიაში რომ შევიდა.

ამ რასას დღემდე აქვს შემონახული გასაოცარი არსებითი ნათესაობა არიელებთან, რაც შორეულ წარსულში მათ შორის მჭიდრო კავშირს ადასტურებს. განსაკუთრებით მისი მაღალი წოდება გაჟღენთილია (durchsetzt) არიელებით.

ამ რასების მოძრაობაც თითქმის ერთსა და იმავე დროში ამეღლავნებს დამთხვევას და თანაბარ გზებს. ამავე დროს ეს ორი რასა არსებითად უცხოა სხვა რასებისათვის, მაგ.: მონღოლებისათვის, სემიტებისათვის და სხვა.

ძველი დროის კავკასიური რასის სამაგალითო პარალელს იძლევა შუა საუკუნეების ისტორია:

1. ჩერქეზული დინასტია და ქართველი სულთანები ეგვიპტეში;

2. ქართულ-კავკასიური წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწეები და სარდლები იყენენ თურქეთში, სპარსეთში და განსაკუთრებით ბიზანტიაში;

3. ახ. წ. V-VI საუკუნიდან ყველგან ახლო აღმოსავლეთში – ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე, პალესტინაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებობდა ქართულ-ლაზური მონასტრები.

კავკასიელებს აღმოსავლეთით შესრულებული აქვთ იგივე როლი, რაც გერმანელებმა დასავლეთში შეასრულეს. კავკასიისა და აღმოსავლეთის კულტურული ერთიანობა უფრო ცხადი ხდება მეტალის ხანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ ავტორი ცდილობს უჩვენოს კავკასიისა და წინაღმოსავლეთის ხალხების კულტურული ურთიერთობა ზედნაშენური მოვლენების – 1. ჩვეულებითი სამართალი და 2. წარმართული რელიგია–შედარება-შეპირისპირების გზით.

ის თავის მსჯელობას ძველი მცირე აზიის ხალხების სამართლებრივი ნორმების განხილვიდან იწყებს. ავტორის აზრით, სუმერების, აქადების, ასურელების და ხეთების კანონები ერთი შეხედულებიდან გამომდინარეობენ, რაც მათი კულტურის ჰომოგენობაზე მიუთითებს. ისინი ამ ხალხების მაღალი ეთიკის დამადასტურებელიც არიან. ამ კანონებმა დიდი გავლენა იქონიეს ბერძნებისა და რომაელების სამართალზეც, რაც მჟღავნდება არცთუ იშვიათ ანალოგიებში.

1. ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა კეთილ ეცერე აზიაში

ტ. მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ მკვლევართა საერთო შეხედულების თანახმად, ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის აუზში მაღლა იდგა. მცირე აზიაში, იაფეტურ ანუ კავკასიურ ხალხებში, რომლებიც აქ ინდოგერმანელ და სემიტ რასებზე ადრინდელად ივარაუდებიან, ეს მოვლენა კიდევ უფრო შესამჩნევია:

ა. ქორწინება თავისუფალ და არათავისუფალ პიროვნებებს შორის ნებადართული იყო;

ბ. ქორწინება შედგებოდა რიგი ცერემონიებისაგან: დანიშნა და სხვ.;

გ. საქმრო საცოლის ოჯახში გზავნიდა გამოსაღებს – tirhatu – რომელიც არ შეიძლება ავრიოთ საფასურში;

დ. სარძალს სახლი თავის მხრივ სასიძოს უგზავნიდა გამოსაღებს – šeriqtu.

ე. ქალი მესაკუთრე იყო თავისი მზითვისა და პირადი ქონების, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა შვილებზე;

ვ. ქვრივი ქალი უფლებამოსილი იყო კვლავ გათხოვილიყო;

ზ. ზოგიერთ შემთხვევაში ქალს მეუღლესთან გაყრის უფლებაც ჰქონდა;

თ. სასიძო საჩუქრებს აძლევდა ქალის ნათესავებს, რომელსაც ბიბლუ (biblu) ეწოდებოდა (გერმანულად Morgengabe);

ი. გარდა ამისა, ქმარი თავის ცოლს ხშირად აძლევდა საჩუქარს, რასაც nudunnu ეწოდებოდა;

ი. ქალს ჰქონდა უფლება სასამართლოში წარდგომისა, ხელშეკრულების დადებისა, ყიდვა-გაყიდვისა, გაცვლის, მემკვიდრეობის განაწილების და სხვ. სასამართლოში მას შეეძლო ყოფილიყო არა მარტო მოწმე, არამედ მომჩივანი ან მოპასუხე მხარეც;

ია. ხელშეკრულებები იდებოდა ცოლისა და ქმრის სახელით; ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ქალი იურიდიულ პიროვნებად გვევლინება;

იბ. ქალი ქმართან ერთად აქტიურად მონაწილეობს ყველა საოჯახო საქმეში: ქორწინება, დონაცია, შვილად აყვანა და სხვა;

იგ. ასურული კანონების მიხედვით დანიშნის დროს სასიძო საცოლეს თავზე სურნელოვან ზეთს გადასხამდა, ამავე დროს, ქადას, სამკაულს და tirhatu-ს გადასცემდა (tirhatu იგივეა, რაც ებრაული Khetouba და გერმანული exmarito);

საცოლის შობლები სასიძოს უგზავნიდნენ ვერცხლს, მარცვლეულს, ცხვარს და სხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდ. ქორწინება დარღვეულად ითვლებოდა თუ ქმარი ხუთი წლის განმავ-ლობაში არ იყო სახლში. ქმრის ტყვედ ყოფნის შემთხვევაში ამისათვის ორი წელიც საკმარისი იყო.

იე. ასურეთში ლევირატი ვრცელდებოდა დანიშნულ ზედაც;

იზ. გათხოვილი ქალის ნიშანი იყო ქუჩაში მანდილის ტარება;

იზ. ასურული კანონების მიხედვით ქმარი ცოლის ოჯახში ცხოვრობდა. ეს ი ზვიათი შემთხვევაა გარდა გამონაკლისისა (ფორმოზის კუნძულები, ჩინეთისა და იაპონიის პრიმიტიული ხალხები).

ხეთური კანონების მიხედვითაც ზემოთ აღწერილი ვითარებაა მოცემული, ოღონდ, თუ შვილი სახლიდან გადის, დედა ვალდებულია მისი პირადი კუთვნილების ნივთები – ტანსაცმელი და სხვ. გაატანოს.

სუმერული კანონები ასხვავებდა მუცლის მოწყვეტის ნებით და უნებლიე შემთხვევებს. პირველ შემთხვევაში ჯარიმა ორმაგი იყო.

ხეთური კანონები მუცლის მიწყვეტის დანაშაულს ნაყოფის სიმწიფის მიხედვით არჩევდნენ.

ძველი მცირე აზიის კანონები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მოქმე-დებდა არა მარტო სუმერებში, ბაბილონელებში, ასურელებსა და ხეთებში, არამედ გუთებშიც, რომელებიც, აგრეთვე, სხვა მცირეაზიურ იაფეტურ ხალხებთან ერთად კავკასიელებს ეკუთვნიან.

2. საკუთრების საკითხი ძველ მცირე აზიაში

ძველ ბაბილონში კერძო საკუთრების პრინციპი უძველესი – განსაკუთრებით მესამე დინასტიის ხანიდან სავსებით გაბატონებულია.

კასიტების დროიდან იჭრება გვაროვნული საკუთრება, რომელიც თუმცა ვერ სპობს კერძო საკუთრების პრინციპს, მაგრამ ამცირებს და ზღუდავს მას. აქ არსებული კერძო საკუთრების პრინციპი მეფეებზედაც ვრცელდებოდა. ისინი – ფარაონებისაგან განსხვავებით – სხვა მოქალაქეების მსგავსად, მიწა-წყალს ყიდულობდნენ.

კანონი ითვალისწინებდა ღვიაების მიერ საკუთრების მფარველობას (ხატის მამულში შესვლა). გათვალისწინებული იყო ცხოველზე არაპირდაპირი გზით მიყენებული ზიანის (ორმოში ჩავარდნილი ცხოველი და სხვ.) სასჯელის ზომაც. კანონის თანახმად, თუ ყანის პატრონმა სხვისი ცხოველი დაიჭირა, ვალდებული იყო ვარსკვლავის ამოსვლისას დაჭერილი საქონელი პატრონისათვის მიეყვანა (გამოთვლა „მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე" ხეთურია, რომელიც შემდეგში ათენშიც გადავიდა).

გამყიდველი გასაყიდი ნივთის შესახებ თანამეუბნეთ განუცხადებდა და თუ ერთი თვის განმავლობაში მოდავე არავინ ყავდა, მაშინ მთავრობის მოხელე გააფორმებდა ხელშეკრულებას (ასურეთი); ხელშეკრულებას ბეჭედი დაესმე-ბოდა და სანოტარო წესით ფორმდებოდა.

კასიტებმა მინდვრების საზღვრების და გვარის საკუთრების ნიშნებად **კუდურუ** შემოიღეს. კუდურუები საუკეთესო წყაროა საკუთრების ვითარებაზე ცვლილებათა შესატყობად.

კუდურუებზე გამოყვანილია საკუთრების მცველი ღმერთები და წყველა მის ხელმყოფთა წინააღმდეგ, რაც საქართველოში **სამანის** ჩაგდების ჩვევებს გვაგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაროვნული საკუთრების პრინციპი იყო ხეთაშიც. საკუთრების დადგენა სათვის უნდა დაკითხულიყო გვარის წევრები და გვარის უფროსი.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ბაბილონში არსებობდა საკრედიტო ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციები რომში მხოლოდ ძვ.წ.II ს. შეიქმნა. არსებობდა აგრეთვე პროცენტის აღების სისტემა, ვალისგან განთავისუფლება[11] (Seisachtheia და Moratorium-ი).

ბაბილონსა და რომში სასიძოს ტაძრის სავარძელზე ბანდნენ ფეხებს. იცოდნენ **გადასაგდები** ქორწილის დროს ბაბილონში ამისათვის ლანგარი იხმარებოდა, საბერძნეთსა და რომში, გარდა ლანგარისა, კალათი, თასები და სხვ. ამ ჩვეულებამ კავკასიაში დღემდე შემოინახა თავი.

სურ. 22. აჭარელი
XIX ს.

ჰამურაბის კანონებში სიკვდილის გადასახადის 35 შემთხვევაა დასახელებული, ხოლო ნაპოლეონის კოდექსში 20. ძველაღმოსავლური კანონები თავისი ჰუმანურობით მაღლა დგას რომაულთან შედარებით. ყველა ისინი ერთი საერთო ძირიდან სუმერულიდან მომდინარეობენ. რომაული კანონებისა და სხვათა დასაწყისი ფორმულები ხეთური კანონების დასაწყისს ემთხვევიან.

ბაბილონში შესაძენ საგანზე ჯოხის დარტყმა იყო მიღებული, რომელსაც bukannu-ს ეძახდნენ, ხოლო რომში hásta-ს (შუბი, ჭოკი). ეს ჩვეულება ბაბილონიდან გავრცელდა ეგვიპტეში, სპარსეთში, იონიაში. ალექსანდრე დიდის დროს კი საბერძნეთში, შემდეგ რომში.

მინდორ-ველის შეძენა სპარსეთში რელიგიური ცერემონიით მტკიცდებოდა – იკვლებოდა ცხვარი, ცხვებოდა პური, ჭქონდათ ლუდი.

ხეთელების სასახლეების კარებზე იყო შუბი, რომში hásta (შუბი, ჭოკი)– სიმბოლო საზოგადოებრივი ძალისა.

ხეთურ კანონებში ნათლად ჩანს ზრუნვა მოსახლეობის ქვედა ფენების დასაცავად: ხელფასის და პირველი მოთხოვნილების საგნების ფასების რეგულირება; კანონი არჩევდა განზრახ და უნებლიე მკვლელობას.

ეს და სხვა დამთხვევები ნათელს ყოფენ იმ ფაქტს, რომ სუმერლების და ბაბილონელების, ასურელების, ხეთების და ებრაელების, ისევე როგორც ბერძნებისა და რომაელების კანონები ერთი საერთო წყაროდან, ძველი აღმოსავლეთის აღრინდელი მოსახლეობის უფლებრივი და რელიგიური შეხედულებებიდან მომდინარეობენ. ამიტომ ნათელი უნდა იყოს, დაასკვნის

[11] ჯასიტების მეფემ კაშტილიაშმა (ელამელ-კავკასიური მოდგმა) ორჯერ მიმართა Seisachtheia-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ. მარგველაშვილი, თუ რამდენად აუცილებელია და საჭირო კავკასიის ხალხების ჩვეულებითი სამართლის შესწავლა-გამოკვლევა; კავკასიის ხალხები ხომ ეთნიკურ კავშირში იმყოფებიან მცირე აზიის ხალხებთან.

3. კავკასიის ხალხების უფლებრივი შეხედულებების სამყაროდან

ჩვეულებით სამართალს რელიგიური საწყისი უდევს საფუძვლად, რომელიც თითქმის გენური საერთო წარმართული რელიგიიდან მომდინარეობს. თემისა და ოჯახის მთელი ცხოვრება კავკასიაში, უპირველეს ყოვლისა, რელიგიით და შემდეგ მისგან შეპირობებული ჩვეულებებით, ქცევებით, წესებით და ცერემონიებით იყო გამოხატული. მათი აზრი და მნიშვნელობა ამჟამად, უმეტეს შემთხვევაში, დავიწყებულია. ამიტომ, განგრძობს ავტორი, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიცვალებულთა, წინაპართა და სულის კულტის შესწავლა, რომელიც დღემდე შემოინახა თავიანთი უფლებების მქონე მთიელებში.

ს. 23. რაჭველი
XIX ს.

დაღესტნელებს მიცვალებულთა სულები ოქროს ვერძის და ოქროს მამლის სახით ჰყავთ წარმოდგენილი და მათ მსხვერპლს სწირავენ. ამავე შეხედულების მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლით შურისძიებას. რაკი ყველგან კავკასიაში, მსგავსად აღნიშნულისა, ზედაშენური მოვლენები – რელიგიური და იურიდიული – ერთმანეთში გადახლართული სახით არიან წარმოდგენილი, ამიტომ ქვემოთ მოტანილ მასალაშიც ისინი ერთმანეთის გვერდით მოთავსდებიან.

ოსეთი. ოსეთში აღმოსავლური კულტურის მაჩვენებელია შემდეგი ჩვეულებები: ადამიანის – ტყვეების, ქვრივისა და ბავშვების – მსხვერპლად შეწირვა; შემდგომში დამკვიდრდა ქალის ნაცვლად მისი თმის შეწირვა; ოჯახისა და მიცვალებულთა კულტი, კერა; ადამიანის ქანდაკებები, მიცვალებულისათვის სასმელ-საჭმელის მიტანა საფლავზე, ახალ წელს კი ცეცხლის დანთება, სამარხების სახლის ახლოს კეთება და გადასახლების შემთხვევაში მათი თან წაღება. ოჯახის მიცვალებული წვერის მარჯვენა ხელით ფიცი. ქორწინების ხაზით აღმოსავლური კულტურის ნაშთებად უნდა ჩაითვალოს: ზედსიძედ (midagmaj) შესვლის ჩვეულება, ასევე, სასიძოს მიერ სარძლოს დედ-მამისადმი საჩუქრის გადაცემა, ძღვენის მირთმევა საცოლის ძმის, გამზრდელისა და ბიძისადმი (დედის ხაზით) – ყალიმი და ირადი; ქვრივის მამამთილზე მითხოვების წესის არსებობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში უარის თქმა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ქვრივი თავის სახლში დაბრუნდებოდა და გაუთხოვარი დარჩებოდა. მამამთილის უფლება ეცხოვრა რძალთან თუ შვილი მცირეწლოვანი იყო; დანიშნული საჩუქრებს აძლევს სიმამრ-სიდედრს; თუ ქვრივი შეფარებულისგან შვილს იყოლიებს, მაშინ საყვარელი ცხოვრობს მის სახლში.

ოსეთში სასამართლოს წარმოება წმინდა მთის წვერებზე და წმინდა ადგილებზე ხდებოდა. ამ ადგილების მფარველი ქალი ღვთაებაა, რაც დედის უფლებაზე მიგვითითებს (Mutterrecht). უსულო საგნებისა და ცხოველების განსჯა-გასამართლება წარმოებს ისე, როგორც მცირე აზიაში.

ოსეთში არსებობს შვილის გაძღიავების ჩვეულება, და აკედან წარმომდგარი ნათესაობა – მამა-მძუძე, დედა-მძუძე, ძიძა, ძიძისშვილი, ატალიკი, ასევე, დამშობილება. გვხვდება წარმართული სახელები; ზოგიერთი ღვთაების სახელიც წარმართულია. მაგ. Sapha=ჰეფესტი.

ოსების მსგავსია სვანების, ხევსურების, ფშავების, თუშებისა და ლეკების ჩვეულებითი სამართალი.

აფხაზები. ტ. მარგველაშვილს აფხაზეთში აღმოსავლური კულტურის არსებობის დამადასტურებლად მიაჩნია: მანდილის ახდა სიტყვის გატეხვის დროს; სისხლის აღების ჩვეულება; გამზრდელის შვილის წინა პლანზე წამოწევა; მათი სტუმრობის წესი; საჩუქრების გაცემა-აღება ქორწილის დროს; დანიშნულთაოვის განკუთვნილი კონუსისებური ნაგებობის – **ამხარას** – აშენება, სადაც ისინი ცალ- ცალკე იმყოფებიან დანიშვნის წინ და შემდგომ თავიანთ მშობლებთან და ნათესავებთან ერთად – სასიძოს ძმას შემდეგ მიაქვს ტანსაცმელი, სარკე, სამკაულები, ღვინო, მიჰყავს ხარები, თხები და სხვ. ამხარაში ეწყობა ე.წ. პირისსანახავი – მანდილის ახდა საძღოსადმი[12]; შესაწირი.

აფხაზების ქორწილში ძუძუმტე საქორწილო ცერემონიალის მთავარი ფიგურაა. დედოფალი სახლიდან წასვლისას მისიანებს ტირილით ეთხოვება, სასიძოს ოჯახში მისვლისას კი მას თეთრებში გამოაწყობენ, ხელზე კი ვერცხლის ბეჭედს გაუკეთებენ შემდეგი სიტყვებით - „ჯიჯლან, წყლის მეუფეო, შენი სახელით ვაძლევთ მას ამ ბეჭედს."

აფხაზებს ჩვეულებად აქვთ სუფრაზე გულ-ღვიძლის კურთხევა. პირის სანახავი. ქორწილიდან ორი-სამი კვირის განმავლობაში ახალმოყვანილი პატარძალი ყველასთან მუნჯია. მისი როლი ოჯახში დაკვეთილებული არის.

რძალი, რომელიც ჯერ კიდევ ამხარაში იმყოფება, მუშაობს ასასატჰარაში. მის სახლში გადაყვანას თან ახლავს ცერემონიები – ლოცვა,მიცვალებულთა საფლავის ნახვა და ლიბაცია. პირველი მოლოგინების შემდეგ ქალი დედ-მამის სახლში ბრუნდება და თავის ოჯახის ღვთაებებისადმი ლოცულობს, ნაჭის შემოვლა, თხოვს მათ პატიებას გვარის გამოცელისათვის. ის დიდი რაოდენობის საჩუქრებს იღებს ძუძუმტედან.

საერთოდ, აფხაზებისა და აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრების სამ ძირითად მომენტთან დაკავშირებული ცერემონიები – დაბადება და ძუძუმტეობა, ქორწინება და სიკვდილი – ერთმანეთს ემსგავსებიან.

ჩერქეზები. ჩერქეზებში, აღნიშნავს ავტორი, ჩვენ ვეცნობით სხვაგვარ წესებს, რომლებიც სპარტანულ ლიკურგულს მოგვაგონებენ. მათში წინა-

[12] მანდილის (ჩიხთის) ახდა – Anakalupteria, შდრ., **Dr. Jeremias**, Der Schleier von Sumer bis heute, 1931, გვ. 48. ფედანში „პირისსანახავს" ეწერია (ეს ჰომეროსულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლანზეა წამოწეული გმირობის გრძნობის აღზრდა, მისი გამომქღაველნი ჭურდობასა და ყაჩაღობაში, სიცოცხლის თამაშად მიჩნევა. პიროვნების მამაცობის მაჩვენებელია მის მფარველობაში არსებული საბრძოლო ტროფეები, მოკლული მტრის ხელის მტევანი ან ყური. ქურდობისა და ყაჩაღობისათვის მზადების პერიოდში ისინი წმინდა ტყეში იმყოფებიან. უმეტესად იტაცებენ და იპარავენ, საკულტო ცხოველებს: ძროხას, თხას, ხარს, ცხენს, ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოებს და ძალის წარმომადგენლებს. მხოლოდ მამაცობის ამგვარი ნიმუშების ჩადენის შემდეგ აქვს მამაკაცს უფლება შეირთოს ცოლი.

შეჯიბრებები, რომლებსაც ჩერქეზები მართავენ, საკულტო დანიშნულების არის. ჩერქეზებში სტუმართმოყვარეობა წმინდათაწმინდა მოვალეობაა.

თუ საჭიროა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, წმინდა ტყეში იწვევენ საერთო კრებას; მათ თავისებური ორი „პარლამენტი" ჰქონდათ. ჩერქეზების ჩვეულების თანახმად, ქმარი ცოლს საზოგადოებაში ვერ შეხვდება; ის თავის მეუღლესთან მხოლოდ ღამით მიდის. საქმრო თავის საცოლეს პირველ ღამეს ხმლით უჭრის კორსეტს. მამისათვის მიზანშეწონილი ქცევა არ არის ბავშვის ნახვა და მასზე ლაპარაკი. ქალი ვალდებელია ფეხები დაობანინოს ქმარს, ასევე, სტუმარს, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ ხელის დასაბანად დაუსხას წყალი.

თანამედროვე ჩერქეზების ყოფაში შემონახულია მატერიალური კულტურის ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც უძველესი ხალხების ყოფაში არსებული საგნების ადეკვატურია როგორც ფუნქციონალურად, ასევე სახობრივად (ჩერქეზული ჭინტიანი ფეხსაცმელი პარალელია ხეთურისა).

ჩერქეზების გადმოცემით ისინი დღევანდელ მათს საცხოვრისზე მოსული ხალხია, ადრე კი აქ სხვა ხალხს უცხოვრია.

ჩერქეზები იცნობენ ხელოვნური დანათესავების სხვადასხვა ფორმებს – ინცესტი, რომელსაც სვანებში ლინთურალი შეესაბამება, ასევე – შვილად აყვანა, რძით ძმობა და სხვ.

ჩერქეზებში ბოლო დრომდე შემოინახა მატრიარქატის ნიშნები: ა) მატრილოკალიზაციის შემთხვევები (ზედსიძე), რომლის დროსაც სიძე მუშაობს როგორც ნაშვილვი; ბ) საჩუქრის მირთმევა საცოლის მშობლებისადმი, ნათესავებისადმი, განსაკუთრებით დედის ძმისადმი, ასევე რძით დედ-მამისადმი. ეს ჩვეულება მთელ მცირე აზიაში არსებობდა. ადგილობრივია მიცვალებულთა დაქორწინება ცოცხლების მიერ (ინგუშებში). ლევირატის ჩვეულება ჩერქეზეთში ცნობილია XV საუკუნეში.

საყურადღებო ცნობები ხელოვნური ნათესაობის შესახებ შემონახულია ქართულ ისტორიულ წყაროებშიც. ქართველი ანალისტის მტკიცებით ჩვენი წინაპრები თავიანთ მამამძუძეებთან და დედამძუძეებთან ერთად სამხრეთიდან კავკასიაში გადმოსახლდნენ. მამამძუძე და დედამძუძე ნიშნავს შვილად აყვან დედ- მამას, რომლებიც თავიანთ აღზრდილებთან ერთად ახალ სამშობლოში მოსულან.

რძით ანუ ძუძუთი დაძმობილება გვართა გაერთიანებასა და მათს საბრძოლო ერთიანობასაც უდრიდა. მკვებავი დედის (ძიძის) რძის ძალა სოციალური თვალსაზრისით ღვიძლი დედის სისხლის თანაბარი იყო. კავკასიაში ეს დღესაც ასეა და ამაზე მიუთითებს ისიც, რომ სუმბერელი მეფეები ქალღმერთის მიერ იყვნენ გამოზრდილი – ძუძუნაჭამები. ამიტომ ისინი ღმერთის შვილებად ითვლებოდნენ; დედაღვთაება თვით იყო „რძითდედა, რძითმკვებავი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციამდე კავკასიის მთიელი თავადები თავიანთ ჩვილ ბავშვებს, ვიდრე ისინი გაიზრდებოდნენ, ძუძუს საწოვებლად გზავნიდნენ იქაური მხარის ყველა სოფელში; ამის გამო, აღზრდილი ბავშვი იმ ოჯახებისა და თემის წევრად ითვლებოდა, სადაც მას ძუძუ ჰქონდა ნაწოვი. ყაბარდოელი თავადები თავიანთ შვილებს ოსეთში ზრდიდნენ . ამგვარ დანათესავებას სისხლით ნათესაობის ტოლი ძალა ჰქონდა და იმდენსავე თაობაზე ვრცელდებოდა, როგორც ღვიძლი ნათესაობა. დანათესავებული მხარეები ეგზოგამიას მთელი სისრულით იცავენ.

ეს ინსტიტუტი კავკასიაში ნამდვილი ნათესაობაა და არა მარტო რძით – დედა, არამედ მამა – აღმზრდელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ღვიძლი მამის თანაბარია.

ხურ. 24. ხალხი
XIX ს.

რძით დაძმობილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფლებრივსა და სოციალურ ცხოვრებაში. მას საფუძვლად უდევს მატრიარქალური კულტურის შეხედულებები. მნიშვნელოვანია არა მარტო დამბადებელი, არამედ აგრეთვე მკვებავი ქალის უფლებრივი მდგომარეობა, რომლის ნათესაობას მისი აღზრდილისათვის იგივე ფასი აქვს, როგორც საკუთარი, ღვიძლი ნათესავისათვის.

კავკასიაში, კერძოდ კი სვანეთში, დამოწმებულია, რომ თუ მკვლელი მოკლულის გვარის შვილს მოიპარავს და აღზრდის, ამით ის გვარის წევრი ხდება.

აღნიშნული ინსტიტუტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა დასტურდება არამარტო ძველ აღმოსავლეთში, არამედ ძველ საბერძნეთშიც.

ნათესაობის სხვაგვარი ფორმა არის ძმადნაფიცობა.

არის ისეთი დაძმობილებაც, რომელიც გვარებს შორის ხდება; ეს გვაგონებს ბერძნულ ფრატრიებს. ამგვარი დაძმობილება კავკასიის გარდა დადასტურებულია სუმერეთსა და ხეთებში.

ამასთანავე კავკასიის ხალხთა გადმოცემაში, ხალხური ეპოსი გმირებს ასახელებს არა მამის, არამედ დედის მიხედვით; მაგ., ჩაჩნური 60 გმირი წარმოშობილან იმდენივე სხვადასხვა დედისაგან. დავის დროს დის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ხალხურ გადმოცემებში აშკარად ჩანს მატრიარქატის კვალი: სახელდება დედის მიხედვით, დაფიცება დედის ძმისა და მოწმედ მისი აყვანა. მას შემდეგ მოსდევენ ძმის შვილი, ღვიძლი ძმა და რძით ძმა.

სარძლოს მზითევში შედის რძით დედისა და დედის ძმის ნაჩუქარი, რომელიც მნიშვნელობით და რაოდენობით ისეთივეა, როგორც ძმისა: ცხენი ან ყვარი ხარი.

დედის ძმას კავკასიის ხალხებში განსაკუთრებული როლი აქვს მიკუთვნებული ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის სისხლის აღება, ქორწინება და სხვ.

ეგზოგამია კავკასიაში გაბატონებული მოვლენაა.

აქ ქალები თავიანთი ფართო უფლებრივი მდგომარეობით გამოირჩევიან; ასე მაგალითად, ფშავში მანდილოსნები ფლობენ პირად საკუთრებას, ამასთან ერთად ისინი არ იხდიან ქმრის ვალს. სვან ქალს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს მის მსვლელობაში, ასევე უფლებამოსილია ის სასამართლო პროცესში მონაწილეობის მხრივ; ისინი საზოგადოებრივი პატივისცემითაც სარგებლობდნენ – მოჩხუბრები, თუ კი მათ შორის ქალი მანდილს ჩაგდებდა, უცილობლად უნდა გაზავებულიყვნენ. კავკასიაში ქალი ძმის სიკვდილის შემთხვევაში იერის თმას და საფლავში ატანს მიცვალებულს, მაგრამ არა ქმარს.

კავკასიაში გვარების დამაარსებლადაც კი ქალები გვევლინებიან: ქართველი ტფილ ქალი დამაარსებელია **იადგა აბაკარის** გვარის[3].

*

* *

სურ. 25. სვანი
XIX ს.

კლაპროტი, ბელი, კოხი და **ფონ სტალი** აღიღელების ჩვეულებებსა და ადათურ სამართალს უდარებდნენ კლასიკური ხანის ჩვეულებებს; იგივე თვალსაზრისით სწავლობდნენ **ბერეჟ, ლატაევი** და **გრაბოვსკი** ჩეჩნების, ხოლო **მ. კოვალევსკი** ოსების ხალხურ სამართალს. მათი მტკიცებანი და ზოგიერთი შეხედულებანი დაუსაბუთებელია და მიუღებელი, მაგრამ ცნობები და მასალა ძვირფასია, რადგან კავკასიელი ტომების ჩვეულებები და ადათური სამართალი ეკვმიუტანლად ღრმად არის დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის წარმართულ კულტურასა და რელიგიასთან. მხოლოდ ამგვარი შედარების გზით არის შესაძლებელი სწორად გავიგოთ კლასიკოს მწერალთა ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ.

კავკასიის მთიელ ტომებში დღემდე შემოინახა ჩვეულება ტროფეებად მტრის ხელის მტევნის შენახვისა. ამგვარი ჩვეულება ძველ სუმერელებსაც ჰქონიათ, სცოდნიათ ლურისტანშიც (საფლავებში გვხვდება ხელის მტევნების ბრინჯაოს ფიგურები).

კავკასიაში არის ჩვეულება დოკუმენტებზე თითის ანაბეჭდის დასმისა; ხელის ჩამორთმევა ნიშნავს ყოველი ქმედობის კურთხევას. ესენი გვაგონებენ ძველი ხანის ჩვეულებას დოკუმენტებზე ბეჭდად საკუთარი ფრჩხილის ანაბეჭდი დასვან. ძველ აღმოსავლეთში მოიპოვება თავისებური პარალელი – ფრჩხილის ჩაგდება ღვინის ზედაშეში[4]. მას ემსგავსება სამანის ჩაგდების დროს ფრჩხილის მოჭრის ჩვეულება.

---

[3] ანალოგიურია კიშის დინასტიის დამაარსებელი ქალი – Ku-Ba-სი.

[4] **Lehmann-Haupt**, Arm., I, 112 und a.a.O; ebd, Aus Georgien, s. 466-470, 500-503, Die Zeit, I. 41-42; A.E.D. Allen, Asiat. Rev., 1928, S. 533)

ავტორის შეხედულებით კავკასიის სუბსტრატული მოსახლეობისაგან მატრიარქალური ინსტიტუტები წმინდა იაფეტური მონაპოვარი არ არიან. მათ ანალოგიები უფრო მეტად მოეპოვებათ ჩრდილოეთში, ვიდრე სამხრეთში. ისინი, როგორც ჩანს, შეთვისებული უნდა იყვნენ სხვა ხალხებიდან.

იაფეტიდებში უფრო ძველი დროის მოვლენად გამოიყურება პატრიარქატი. ის მძლავრად იყო წარმოდგენილი, მაშინ როცა მატრიარქატის მხოლოდ კვალიღა არის დარჩენილი. მატრიარქატი ეთნიურად და რასიულად კავკასიელებისათვის დამახასიათებელი არ არის[5]. სხვა აზრს იცავს **შ. კოკოლევსკი** (ტ. 1, ამასთან ერთად იხილეთ **A. Allen**, History of Georgia, s. 35-40.).

სურ. 26. ფშაველი XIX ს.

სხვა იაფეტურ ტომებთან შედარებით უფრო მკაფიოდ, ან მათდა მსგავსად, მატრიარქატის გადმონაშთები შემორჩენილი უნდა იყოს ჯველას მოწყვეტილ სვანეთში, მაგრამ ის აკ არ დასტურდება. სვანეთში არ გვაქვს ლევირატი, მამის უფლება შეუზღუდველია, ბიძა, დედის ხაზით, უკანა რიგში დგას, ქალი – მამასთან შედარებით – ქმრის მორჩილია.

ასევეა ფშაველებშიც: 1) ქალი იცავს თავის უმანკოებას; 2) ის გათხოვებამდე მამის, შემდეგ კი ქმრის ყორმოჭრილი მონაა; 3) ქალის საზოგადოებრივი ღირებულება მცირეა; 4) ის მშობიარობის პერიოდში და რიგის დროს უწმინდურად ითვლება. ასე იყო ხეთაშიც – ქალი სახლს გარეთ მშობიარობდა[6]; 5) ქმარს საბელით ვერ მიმართავს; 6) ქმარს „ბატონს ეძახის"; 7) ქმარი იტყვის – უკაცრავად პასუხია, ჩემი ცოლია; 8) არსებობს სპარტანული ჩვეულება – თუ ბავშვი არასრულყოფილია დაბადებისთანავე უნდა მოიკლას; 9) ცაში ერთი ღმერთია, დედამიწაზე კი მეორე, ე.ი. ქმარი თავის ცოლისათვის.

უნდა ითქვას, რომ მატრიარქატის ინსტიტუტები უმრავლეს შემთხვევაში მოისპო. ამაზე მიუთითებს კავკასიაში და პონტში **კუვადას** არსებობა. ტიბარენებში მისი არსებობა დადასტურებული აქვს სტრაბონს[7], აპოლონ როდოსელს[8]. კუვადა არსებობდა ხეთებშიც[9], კვიპროსზე, კორსიკაზე, ბალიარებზე, ალბანეთში, ესპანეთის იბერიაში და ბალკანეთზე[10]. შეიძლება მას უკავშირდებოდეს მეგრელების ჩვეულება – ახლად დაბადებული ბავშვი

---

[5] **H. R. K. Jünther**-ის მიხედვით [Rassenkunde Europos, s. 111-114, 116, 202-203, (1929)] დასავლეთის, ხმელთაშუა ზღვის ხალხებისათვის დამახასიათებელია მატრიარქატი, თუმცა საკითხი იმის შესახებ - არსებობდა, თუ შემდეგ სხვებისაგან გადაილეს მათ მატრიარქატი - ღიად რჩება.

[6] **F. Sommer** und **H. Eheloff**, Papanukzi ete., S. 14, 46, 78.

[7] **Strabo**, 7, 214, 319

[8] **Argonautica**, Bd. II, S. 1011; **E. Kornemann**, Die Stellund der Frau usw. S. 10, 21, 34, 54 ff; **J. Karst**, Drig. Med., S. 326.

[9] **F. Semmer** und **H. Kornemann**, Parunurzi von . . . S. 14, 35, 46, 78.

[10] შდრ. **Bashofen**, Das Mutterrecht, გვ. 255.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუგორონ მამას[11]. კუვადა დღემდე შემოინახა ზანგეზურში[12]. მის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს ქალის გამოთქმები: ჩემს ქმარს მხოლოდ ორი შვილი ჰყავს.

კუვადასთან დაკავშირებული მატრიარქატის ელემენტები უფრო მეტად შემონახულია ეთიოპიაში: ქალთა მმართველობა, ქალთა გაერთიანებების არსებობა, ქალების ყოფნა სამხედრო სამსახურში, ბავშვის გადაცემა დაბადებიდან სამი თვის შემდეგ მამისათვის და სხვ.

კუვადას რელიგიურ მემკვიდრეობად განხილვას, რომელიც ტიბარენებმა და ხატებმა შეითვისეს სუბსტრატ-ხალხისაგან, ხელს უწყობს ისიც, რომ კვალი მატრიარქალური ელემენტებისა განსაკუთრებით ძლიერად ეთიოპიაშია კონცენტრირებული, ვიდრე წინა აზიაში.

სურ. 27. ფშაველი XIX ს.

ავტორის შეხედულებით მატრიარქატი წინა აზიის ხალხს და ქმიტებს საერთო წყაროდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, ან კიდევ, პრიმატი ამ საკითხში ეკუთვნით ქმიტოიდებს ან ნეგროიდებს.

წინა აზიაში ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ არა მატრიარქალური, არამედ მატრიარქატის გავლენის ქვეშ მყოფი ხალხები, ვინაიდან აქ მხოლოდ მისი კვალია შენახული და ისიც მხოლოდ რელიგიურ წარმოდგენებსა, კულტსა და მითიურ გადმოცემებში, რაც ხალხთა გადასახლების ახალ ტალღებს უნდა უკავშირდებოდეს.

ვინაიდან კავკასიურ-იაფეტური ფენა მატრიარქალური ხალხების პირველი „დამთრგუნავი" იყო, ამიტომ, ცხადია, მან თავის მხრივ ბევრი შეითვისა და შემონახა. პატრიარქატი, ისევე, როგორც ბერძნებისათვის, რასიული თვისებაა სვანებისა და ქართველებისათვის.

მატრიარქალური ინსტიტუტები და ფორმები კავკასიურ-იაფეტურ ხალხებს მიღებული აქვთ წინააზიისა და კავკასიის უძველესი ხალხიდან. ეს ხალხი ეთნიურად ქამიტოიდებს ან ნეგროიდებს, ყოველ შემთხვევაში, ფერადკანიანებს ეკუთვნოდა და კულტურული განვითარების მხრივ ნეოლით-ენეოლითის საფეხურზე იმყოფებოდნენ – სპილენძი მათ შორის ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული.

თამარ მეფის მართვა-გამგებლობა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ არის, ისევე, როგორც ინდუსებისათვის ქალთა ბატონობა საუკუნეების განმავლობაში. ეს მოვლენები ძველი მოსახლეობის კულტურული მონაპოვრიდან მომდინარეობენ.

ძვ.წ.I ათასწლეულის დასაწყისისათვის ქალთა ღვთაებებზე იმარჯვებს მამაკაცი ღვთაება (მის დამადასტურებელია ორსქესოვანი ფიგურები ყაზე-

[11] **Сахокия Т.**, По менгрелии, Брачные обряды, Ведемости, Петер., 1916, გვ. 11-36.
[12] ვ. ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, გვ. 259; Меликсет-беков Л.М., Введение в историю государственных образований юга Кавказа; Caucasica, I, 1924, გვ. 26.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიდან, გორიდან და ლურისტანისა). ეს ცვლილებები მხოლოდ რელიგიის სფეროს შეეხო, თუ ყოფაშიც დამკვიდრდა, გარკვეული არ არის.

ჩრდილოეთ კავკასიაში მატრიარქატის გავლენა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში. ქართველები საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდნენ მატრიარქალური სუბსტრატი ხალხის გავლენის ქვეშ. ეს გავლენა დასაწყისიდანვე მცირე ძალის იყო. ის ფაქტი, რომ მატრიარქატისათვის დამახასიათებელია ხარის კულტი, ჩვენი შეხედულების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ვინაიდან იაფეტური ხალხები არიან მეჯოგეობის (ხარის) კულტურის შემქმნელი[13], ამიტომ დასაშვებია ვარაუდი, რომ მისი სრული მოშინაურება და ადამიანის სამსახურში ჩაყენებაც მათთან მოხდა, რაც ამავე დროს ამ ცხოველის პროფანირებას (გაუწმინდურებას) ნიშნავს, ვინაიდან ადამიანი ხანგრძლივად პატივს სცემს არა იმას, რაც მას ემსახურება, არამედ პირიქით, ემსახურება იმ არსებას, რომელსაც პატივს სცემს.

სურ. 27. თუში
XIX ს.

მეჯოგეობის კულტურა შეპირობებულია პატრიარქალური მაღალი კულტურით, რომელსაც შეწოვილი აქვს მასთან არსებითად დაკავშირებული მატრიარქატის ელემენტები. ავტორის მტკიცებით, ცხოველები მათ მოშინაურებამდე სამსხვერპლოდ გამოიყენებოდნენ (პანთერა, ავაზა, ვეფხვი და სხვ.)[14]. ა. მოორგატს მაღალ პოსტამენტზე გამოსახული ხარის ღვთაებაც უძველესი ფენიდან მომდინარედ მიაჩნია[15].

თუ ვ. შმიდტს იაფეტური ენობრივი ოჯახი მიაჩნია დიდ წინსვლად ენის განვითარებაში, ასევე არანაკლები რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა – განაგრძობს მარგველაშვილი – დასავლეთ აზიის სოციალურ ყოფაზე იაფეტურ პატრიარქალური მეჯოგეობის კულტურას, რომელმაც შეარყია მატრიარქალური რელიგიური შეხედულებანი, გააძევა ცხოველები ღვთაებათა პანთეონიდან და დაიკავა უმაღლესი რელიგიის ღვთაებათა საბრძანებელი: მთის მწვერვალებზე, ზეცაში და სხვ.

მოტანილ მტკიცებას მხარს უჭერს ისიც, რომ იაფეტიდები წინა აზიაში ლითონის ინარა-ღებით აღჭურვილი ჩნდებიან. მათ სამხედრო შეტევას უდავოდ წინ უსწრებდა სამხედრო ფენის შექმნა, რაც მათში პატრიარქალური წყობილების არსებობის მაჩვენებელია.

---

[13] **O. Menghin**, Weltgeschichte der Steinzeit, S. 540-569; **V. Christian,** Untersuchung zur Palioethnologie der Orients, Mittelung der Anthropologischen gesellschaft, Wien, 1924, Bd. 54, გვ. 45-49; Bd. 55, 1925, S. 187, 214-217; შდრ. **Günter Ipsen**, Der alte Orient und der Indogermanen in Streitberg, Festscher, 1924, S, 226 ff, 234, - auch der Indogermanische Rinderzucht sei von Anatolien-Sumerien bekinflusst.

[14] **H. Friedrichs**, Zur Kenntnis der Frühgeschichte. Tierwelt Sudwestasiens, 1933.

[15] Die bildende Kunst des alten Orients und der Bergvölker, 80, 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატრიარქატის არსებობაზე მიუთითებს წანარებში[16] არსებული დედასა და ქალიშვილებზე ქორწინების ჩვეულება. შემდეგში ეს ხალხი გაქართველდა და ამასთან ერთად გაქრა მათში არსებული მატრიარქატის ნიშნები. ასევე შეარყიეს და მოსპეს იაფეტიდებმა მატრიარქატი წინა აზიაში ეს პროცესი დაასრულეს სემიტებმა, ინდო-გერმანელებმა და თურქებმა.

ავტორს თავის შეხედულების დამადასტურებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ ქართველებში გინება –„ჩემი დედა შემერთოს ცოლად" – მიჩნეულია მხეცურ, შეუფერებელ რამედ, ღვთის რისხვად, მისი საფუძველი კი მატრიარქალური კულტურისადმი ზიზღია-ო.

სურ. 29. თუშები
XIX ს.

უკეთუ ქართველები და კავკასიელი ტომები თავდაპირველად საერთოდ პატრიარქალური იყენენ, –საკითხი მათი ჩამომავლობის შესახებ სხვა მიმართებაში უნდა იყოს დასმული. მათი თავდაპირველი სამშობლო იქ უნდა ყოფილიყო, საიდანაც პატრიარქალური ხალხები ხმელთაშუა ზღვის აუზში და, მაშასადამე, წინა აზიაში მოვიდნენ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ ეს ორივე მხარე მათი თავდაპირველი სამშობლო იყოს, ვინაიდან აქ კავკასიელების მოსვლამდე მატრიარქალური კულტურა ბატონობდა.

ამ დასკვნას ჩვენ სხვაგან გავარკვევთ.

*

* *

ხალხურ სამართალში უდიდეს როლს თამაშობს ფიცი და ხატზე გადაცემა. ამის მაგალითები მრავლადაა აფხაზეთში, რომელიც აღწერილი აქვთ ა. ლამბერტის, ნ. ჯანაშიას და მ. კოვალევსკის.

საკუთრება, ისევე როგორც ხეთაში, წმინდათაწმინდა და ხელშეუვალია. ხეთაში მისი დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა. ქართველებში საკუთრება ერთი თაობის – 40 წლის მანძილზე ხელუხლებელი იყო პატრონის არ ყოფნის შემთხვევაში.

ძველ ბაბილონში საკუთრება ძვ.წ. 3000–2800 წლებში წარმოიშვა (ლაგაში); 1750– 1117 წწ. ჩნდება კუდურუები (კასიტების ხანა).

კავკასიელებში, ისევე როგორც ძველ მცირე აზიაში, ადგილი ჰქონდა ცხოველებისა და უსულო საგნების გასამართლებას (ხმალი, სატევარი, ხარი, ძაღლი, ხე და სხვ.). ეს შეხედულება ანიმისტურ თვალსაზრისზეა დამყარებული. მსგავსი მოვლენა დადასტურებულია არა მარტო ხეთებში, არამედ პალესტინასა და სირიაში[17].

---

[16] წანარების შესახებ იხილეთ: **ს. კაკაბაძე** ისტორიული ძიებანი. III, 1928; **Марр Н.Я.**, О религиозных верований..., Христианский Восток, т. IV, 1925; **J. Sehlumberger**, L'Epopee... B, I, 487.

[17] **Dr. Sheftelowitz**, Altpalästina, Bauernglaube, გვ. 34 ff.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის მთაში უძრავი ქონების გაყოფა მხოლოდ გვარის შეგნებაში შეიძლებოდა.

საზღვრის დადების დროს ჩვეულებად იყო საზღვრის ადგილზე კუნძის ჩაგდება, მოწმეების დასწრება და მომხდარი აქტის პურითა და ღვინით დანათვლა. რელიგიური ხასიათის ცერემონიები სრულდებოდა ყიდვა-გაყიდვის დროსაც. ამ შემთხვევაში მღვართთან ერთად მიცვალებულებსაც იხსენებდნენ (მაგ., ძროხის გაყიდვის შესახებ იხ. ლამბერტი).

საკუთრებაზე, როგორც უწმინდეს და ხელშეუვალ რამეზე, შეხედულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სამოქალაქო, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამითი აიხსნება ის, რომ ისტორიის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ქართველები ბაგრატიდების ერთგულნი იყვნენ, მაშინ როცა გარშემო მონარქთა ტახტები ხელიდან ხელში გადადიოდა – სომხეთი, ბიზანტია, სპარსეთი და სხვ. ამ ისტორიულ ფაქტს მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ძველი დინასტიის – ბაგრატიდების არსებობისათვის, არამედ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის არსებობისათვისაც.

სურ. 30. ხევსური XIX ს.

ქართულ კულტურასა და ხელოვნებას მთელი თავისი არსებით ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ძველი აღმოსავლეთის – მესოპოტამიის, ეგვიპტის, მცირე აზიის და სხვ. – კულტურასა და ხელოვნებაში.

დაახლოებით ამგვარივე ვითარებაა კავკასიის სხვა ხალხების მიმართაც.

მიუხედავად ამისა, ქართული ისტორიის სული და არსება მისი საწყისებიდანვე, ყოველგვარი პირობის გარეშე, ევროპულია, დასავლური.

ეს არის კავკასიურ-ქართული ისტორიის, მისი წარსულის და მისი ტრაგიკული აწყმოს ნამდვილი ნიშანი, რომელიც ამის გამო, შეიძლება, უფრო მეტად ტრაგიკულია.

ჩვენ, განაგრძობს ავტორი, განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ კავკასიურ-ქართული არსების ამ გაორებას, რადგანაც მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ამაზე მიგვითითებს ქართველი ხალხის უფლებრივი შეხედულებები, რომლებიც ძირითადში ემთხვევიან ძველ ხეთურსა და ბაბილონურს. მ. კოვალევსკი და სხვა რუსი და ქართველი მკვლევარები დიდად აფასებდნენ ქართული ჩვეულებით სამართლისა და კანონების დამთხვევას ანტიკურთან – ე.ი. ბერძნულ-რომაულ კანონებთან, ასევე ირანულ უფლებრივ ნორმებთან; ამ მხრივ არა ნაკლებ საინტერესოა ხეთურ, ასირიულ, ხალდურ და სხვა მცირე აზიური ქვეყნების სამართალთან მისი მიმართება; ჯერ კიდევ 1889 წელს მითითებული იყო ამ უკანასკნელთა გენეტიკურ კავშირზე, თანაც გამოთქმული იყო სურვილი თარგმნილიყო ქართული უფლებრივი წყაროები

სურ. 31. ხევსურები
XIX ს.

ევროპულ ენებზე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ძველი ბერძნული, რომაული და დასავლეთ ევროპული სამართლის ძეგლების ღრმად გაგება. ქართულ კანონთა კრებულს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ასირიოლოგიისათვის[18].

ქართული კანონები ხასიათდებიან თავიანთი ჰუმანურობით. მან დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა. რუსების მიერ იგი ითარგმნა და მოთავსებული იყო რუსულ კანონთა კრებულში; ამასთან ერთად, დიდი ხნის განმავლობაში შემდეგაც მოქმედებდა კავკასიაში. ქართული კანონები მიღებული იყო ბუხარის სახელმწიფოს მიერ, ითარგმნა ამ ქვეყნის ოფიციალურ – სარატულ- ირანულ ენაზე. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთისათვის და თავის დროზე ევროპულ კანონებთან შედარებით უპირატესობა ეძლეოდა[19].

ზემოთ განხილულ თეორიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის კვლევაში. მიუხედავად იმისა, რომ ამათგან რიგი საკითხებისა დაუსაბუთებლად მიგვაჩნია, რიგი კი, შემდგომ აქტიურ კვლევა-ძიებას და არგუმენტირებული დასკვნების მიღებას საჭიროებს, რასაც ეთნოგრაფიული კვლევა და ახალი არქეოლოგიური მონაცემები შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე ჩვენი მოვალეობაა თვალსაწიერს გარეთ არ დარჩეს არც ერთი თეორია, რომელიც ქართველი ხალხის წარმოშობას, თავდაპირველ საცხოვრისს და განსახლების საკითხებს შეეხება.

1938 წ.

---

[18] Sir **Oliver Wardrop**, Dans of King George V of Georgia, Journ. of the Roy. Asiat. Soc., July, 1914, S. 608.

[19] **Jos. Karst**, Corpus Juris Ibero-Caucasia, t. I, 1934.

ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არა ერთი გამოჩენილი მოღვაწე ჰყოფდა, საკვეყნო გმირი, „პიროფლიანები", რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის შედეგების მიხედვით პირველ რიგში დგანან და სამშობლოს ჩაუყრნიელ ლამპარად ეელინებიან. თუ ფარნავაზი ქართული მწერლობის ამაღორძინებლად არის ცნობილი, ვახტანგ გორგასალი – თბილისის დამაარსებლად, დავით აღმაშენებელი – ქართველთა ერთიანობის განმახორციელებლად, შოთა რუსთაველი – ქართული კულტურის მედროშედ, ილია ჭავჭავაძე – ერის გამათვითმცნობიერებლად, ივანე ჯავახიშვილი ჭეშმარიტად ქართული მეცნიერების ამაღორძინებელია.

უაღრესად მრავალმხრივი და შინაარსიანი იყო აკად. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა. სტუდენტობის ხანიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მან თავისი უშრეტი ენერგია, დიდი ნიჭი და გატაცება მრავალფეროვანი ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლა-აღორძინებას შეალია. სათანადო პროგრამა ივანე ჯავახიშვილმა იმთავითვე შეიმუშავა (1903) და მის შესრულებას ბოლო დრომდე მისდევდა.

ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „[მავანი][1] უეჭველია ნიჭიერია, მაგრამ სამეცნიერო მუშაობისათვის, ნიჭს გარდა, ცოდნის მოფარეობის დაუშრეტელი სიყვარული, კვლევა-ძიების წყურვილით თავდავიწყებამდე გატაცება და შეუდრეკელი ნებისყოფაა საჭირო. უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულობისათვის მზაობის გარეშე, არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს მეცნიერებაში, რადგან მეცნიერის პასუხისმგებლობა დიდია და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით მძიმე, ამიტომაც მას ყველა ამ სიძნელეთა დასაძლევად ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე ესაჭიროება".

ამ ამონაწერში მკაფიოდაა მითითებული, თუ რა მოეთხოვება მეცნიერ მუშაკს:

1. ნიჭი;
2. ცოდნისმოფარეობის დაუშრეტელი სიყვარული;
3. კვლევა-ძიებით თავდავიწყებამდე გატაცება;
4. შეუდრეკელი ნებისყოფა;
5. თავგანწირულებისათვის მზაობა;
6. ზნეობრივი პასუხისმგებლობა;
7. მატერიალური სიმძიმის ატანა და
8. ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე.

აღნიშნული თვისებებით უხვად იყო დაჯილდოებული ივანე ჯავახიშვილი. ყოველივე ამან და ტიტანურმა შრომამ შეაძლებინა მას ყოველივე ის, რაც ერთი ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელია. განსაკუთრებული ნიჭის წყალობით იგი აღწევდა მოვლენათა ისეთ განჭვრეტას, რაც მხოლოდ მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას შეეძლო.

საქართველოს ისტორიის ბედის კარნახი იყო, რომ მისი სამეცნიერო-სამწერლობო ცენტრები სხვადასხვა დროს, საუკუნეების მანძილზე, მის გარეთ, მშობლიურ მიჯნებს იქით ეწყობოდა. ამ ცენტრებში სამეცნიერო კვლევა-

[1] საუბარია ერთ-ერთ სტუდენტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიო
(მხატვარი ზ.წერეთელი)



ᲨᲣᲗᲜᲘᲡᲬᲘᲚᲘ (მხატვარი ზ.წერეთელი)

ძიებასთან ერთად აზრის ბრძმედში იწრთობოდა და იჭედებოდა ეროვნული შეგნება და ქართული მსოფლმხედველობა. ეს იყო პეტერბურგის სამეცნიერო კერა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოდან გადახვეწილი ბატონიშვილების მიერ დანთებული თანდათან გაძლიერდა საუკუნის ბოლოს ნ. მარის მიერ, ხოლო შემდეგში ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მძლავრ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა.

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე მიზნად დაისახა საპატიო ამოცანა – ქართული მეცნიერების აღორძინება; ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, კადრების აღზრდა იყო საჭირო. ამ მიზნით იგი ფართოდ იყენებდა როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრას, საჯარო ლექციებს, ისე ქართველი სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმას. 1907 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში მის მიერ დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. წრის აქტიური წევრები იყვნენ: იოსებ ყიფშიძე, ვუკოლ ბერიძე, აკაკი შანიძე, დავით კაკაბაძე, დავით ყიფშიძე, გიორგი თარხნიშვილი, იოსებ ანთაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ევსევი მიქელაძე, კონსტანტინე გამსახურდია, სილიბისტრო ლომია, ვლადიმერ ფუთურიძე, ნიკო მაჭავარიანი, მალაქია გობეჯიშვილი და სხვები. სამეცნიერო წრის წევრები მუშაობდნენ სამეცნიერო-კვლევით თემებზე, რომლებიც მითითებული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ, ან თვით მომხსენებლის მიერ იყო არჩეული.

წრის გამგეობა იკრიბებოდა თვეში ერთხელ ივ. ჯავახიშვილის ბინაში, ლახტინის ქუჩაზე, სადაც იხილებოდა წრის მუშაობის მიმდინარეობა: ძველი ხელნაწერების ჩხრეკა, სიძველეების რეგისტრაცია, ტერმინების ამოკრება, სალექსიკონო მასალის შეგროვება, საბიბლიოგრაფიო მუშაობა შეადგენდა წრის საქმიანობის საგანს. წრემ დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული პერიოდული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შესადგენად, რომელიც დაიბეჭდა ცალკე წიგნად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ იოსებ ყიფშიძის რედაქციით. დამუშავდა ცალკეული თემები, კერძოდ, ქართული ხელოვნება – დავით კაკაბაძე, დემოგრაფიაზე – იოსებ ანთაძე, იურიდიული თემატიკაზე – გიორგი თარხნიშვილი, მთის კილოები ქართულში – აკაკი შანიძე, იოსებ პეტრიწონელი – ევსევი მიქელაძე, ფეშანგი ფაშვი ბარტყაძე – ვლადიმერ ფუთურიძე, ნ. ბარათაშვილი – სილიბისტრო ლომია, ქრონოგრაფები – სიმონ ყაუხჩიშვილი.

ივ. ჯავახიშვილის გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდობა დაუღალავ და თავგანწირულ მუშაობას აწარმოებდა ქართული მეცნიერების შესაქმნელად. პეტერბურგელთა მცირე კრებული ერთგვარი ძმადნაფიცთა წრე იყო, რომელიც სამეცნიერო გრდემლზე ერის მომავალ ბედნიერებას კვერავდა და როდესაც მთელ საქართველოში შეიძლება ერთიც არ იყო ვინმე, ქართული უნივერსიტეტის შესახებ ეოცნება – აქ ეს წრე ამისათვის უკვე ბალავარს ჭკირავდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებთან წამოწყებული ქართველოგიური კვლევა-ძიება ფართოდ გაიშალა ივ. ჯავახიშვილის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როცა ის სათავეში ჩაუდგა ქართულ მეცნიერებას და როცა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრიდან გამოსული ახალგაზრდა სპეციალისტები მეცნიერების სხვადასხვა დარგში ინტენსიურ მუშაობას შეუდგნენ. საქართველოში მან გარშემო შემოიკრიბა თავისი კოლეგები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეები და როგორც ეროვნული მეცნიერების აღიარებულმა თავაცამა მისი განვითარების პერსპექტიულ გეგმაში ისტორიის მომიჯნავე დარგებსაც, მათ შორის ეთნოგრაფიასაც თავისი ადგილი მიუჩინა. საქართველოში კი ამ დროისათვის ეთნოგრაფია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ცალკე დისციპლინად.

ეთნოგრაფიის საკითხებით ივ. ჯავახიშვილი ახალგაზრდობიდანვე იყო დაინტერესებული. ჯერ კიდევ 1904 წ., პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატი, კ. ინოსტრანცევთან ერთად მონაწილეობას იღებდა რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელიც დაღისტანში მუშაობდა. მან მოგალო ხუნძახი, დიდოეთი და სხვა მხარეები და შესანიშნავი ეთნოგრაფიული კოლექციები შეაგროვა. ამ იშვიათი კოლექციების კომპლექსში შედიოდა: ტაგრუცები, ჩხუტები, ჯამები, სკივრები, კიდობნები და ა.შ. ეს თავისი ფორმითა და ორნამენტით მდიდარი კოლექცია, ამჟამად ამკობს რუსულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს ლენინგრადში. მისი ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია კიდეც[2].

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ ეთნოლოგიურ პრობლემებს. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, სოციალური ურთიერთობის, ნივთიერი და სულიერი კულტურის ძველი ფორმების კვლევისას იგი წერილობით წყაროებთან ერთად ხშირად მიმართავდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელსაც მკვლევარი გარკვეული სიფრთხილით ეკიდებოდა და რიგ მოთხოვნილებებს უყენებდა. ივ. ჯავახიშვილის ეს წყაროთმცოდნეობითი კონცეფცია ეთნოგრაფიულ მასალაზე, როგორც პოტენციურ ისტორიულ წყაროზე, საველე მასალის მოპოვების მეთოდოლოგიაზე და ეთნოგრაფიული კვლევაძიების შედეგების ისტორიული თვალსაზრისით განზოგადოების აუცილებლობაზე, ცალკეული შენიშვნების, ისტორიულ-ეთნოლოგიური შეტუდიების სახით გაბნეულია თითქმის ყველა მის ძირითად გამოკვლევაში, საიდანაც კარგად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიას ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის საშენ მასალად ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებას თუმცა საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია, მაინც პირველი მეცნიერი მკვლევარი, რომელმაც თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მოკლე ეთნოგრაფიული ნაწილი „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი" წაუმძღვარა, ვახუშტი ბაგრატიონი იყო.[3] ამით, XVIII ს. ამ სახელოვანმა მეცნიერმა ეთნოგრაფია უშუალოდ ისტორიას დაუკავშირა და მის განუყოფელ ნაწილად მიიჩნია. ვახუშტისეულ ამ ეთნოგრაფიულ აღწერილობას ივ. ჯავახიშვილი მისი შრომის ერთ-ერთ დიდ სამკაულად თვლიდა. ის წერდა: „ამ ხანის ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად ბატონიშვილი ვახუშტის განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი წყაროების შესანიშნავი განხილვით, ხოლო მეორე – საქართველოს

[2] **Миллер А.**, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана. Материалы по этнографии, т. IV, Л., 1927.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV თბ., 1973, გვ. 13-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წესწყობილებისა, ზნე-ჩვეულებებისა და ტანისამოსთავისებურავის მოკლე, მაგრამ საუცხოო მკაფიო ისტორიული მიმოხილვაც არის შემკული".[4]

ქართულ საისტორიო მწერლობაში ვახუშტის მიერ დანერგილი ამ ტრადიციის საუკეთესო გამგრძელებელი თვითონ ივანე ჯავახიშვილი იყო. ის არაერთხელ მიუთითებდა წინა თაობების მეცნიერული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის აუცილებლობაზე. უფრო მეტიც, წინამორბედ მკვლევართა „საბუთიან აზრთა" გათვალისწინება ივ. ჯავახიშვილს ყოველი მეცნიერის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნდა.[5] კულტურის ისტორიის რიგი პრობლემების კვლევისას, იქნებოდა ეს ქართველი ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობის, სამეურნეო ყოფის, ნივთიერი კულტურის ისტორიის თუ სხვა საკითხები, ივ. ჯავახიშვილი წერილობით წყაროებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური მონაცემების კრიტიკულ შესწავლას. ასეთი მიდგომით ის არამარტო ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფთა მიერ მოპოვებულ მასალასა და მათი კვლევაძიების შედეგებს, არამედ თვითონაც აგროვებდა ხოლმე ასეთ მასალას როგორც სპეციალურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, ისე კორესპონდენტების საშუალებით. ამიტომაც ი. ჯავახიშვილის წყაროთმცოდნეობით თვალსაზრისს იმაზე, თუ რა მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს ეთნოგრაფიული მასალა, რომ იგი ისტორიული წყაროს დონეზე იქნეს აყვანილი, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შენიშვნები ყოფაში შემონახული ეთნოგრაფიული მონაცემების კრიტიკული შესწავლის შესახებ.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: ქართველი ხალხის, ისევე როგორც სხვა კაკასიელი ხალხების ყოფაში უხვადაა შემონახული მრავალი საუკუნის გადანაცხოვრები, დიდი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშთები; ხალხში წარსული კულტურის მრავალი მარგალიტია გაბნეული, რომელთა შემწეობით მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადაჭრა და ისტორიული წარსულის მრავალი საკითხის გარკვევა შეიძლებაო.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრი ამ საკითხზე სავსებით ემთხვეოდა მეორე დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის შეხედულებას. ილია წერდა: „სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერს ტოვებენო. მხოლოდ ამგვარი შესწავლითა და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი ავი და კარგიო". (თხზ. ტ. IV).

ივანე ჯავახიშვილის მიერ ხალხის ყოფაში შემონახული ეთნოგრაფიული მონაცემების მნიშვნელობის ასეთი შეფასება ბოლო ხანებში შემუშავებული შეხედულება კი არ იყო, არამედ ეს თვალსაზრისი მას სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის პირველსავე წლებში ჰქონდა გამომუშავებული და ასეთი დამოკიდებულება ეთნოგრაფიისადმი მთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის იყო

[4] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV თბილისი, 1967, გვ. 400.

[5] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თბილისი, 1926, გვ. 300.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში იყო კონცენტრირებული, სადაც მაშინ წარმოდგენილი იყო ფორმირების პროცესში მყოფი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მცირერიცხოვანი ბირთვი. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ეთნოგრაფიის როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის პირველი წარმატებები, რომლებიც საკმაოდ რთულ პირობებში ხორციელდებოდა. იმ წლებში პირველ ეთნოგრაფ-სპეციალისტთა კადრების ორგანიზებული მომზადების პარალელურად მიმდინარეობდა ეთნოგრაფიული მეცნიერების ძველი თეორიული პრინციპების მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე გადახალისება, როგორც რევოლუციამდელი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული შეფასებისა და ათვისების, ისე ახალი მეცნიერული და მეთოდოლოგიური კრიტერიუმების შემუშავების გზით. ამას ზედ ემატებოდა ის, რომ იმ წლებში მთელი საბჭოთა ეთნოგრაფია იმყოფებოდა თავისი ფორმირების პროცესში, რომლის განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენდა ეთნოგრაფიაში მარქსისტული მეთოდოლოგიის დანერგვა და მარქსიზმის კლასიკური თეორიული მემკვიდრეობის ათვისება[6]. ამ პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების საფუძველზე ეთნოგრაფიის საგნისა და მეთოდის გადახალისება, ძირითადი საკვლევაძიებო პრობლემატიკის დასახვა და მეცნიერებათა სისტემაში ეთნოგრაფიის ადგილის განსაზღვრა. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ იმ წლებში საბჭოთა ეთნოგრაფიაში მთელი რიგი ერთმანეთის საპირისპირო თეორიული შეხედულებები იყო გავრცელებული; მარქსისტებთან ერთად ეთნოგრაფთა შორის იყნენ ევოლუციონისტებიც, რომლებიც ცდილობდნენ სხვადასხვა სკოლის პრინციპების მარქსიზმთან შეწყობას[7] იმ წლების საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1929 წლის ეთნოგრაფიული და 1932 წლის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ დისკუსიებს. ამ თათბირებზე გამოქვეყნდა ეთნოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც გამოიხატებოდა მისი როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის უარყოფაში. ანალოგიურმა ტენდენციებმა თავი იჩინა 1930 წ. საბჭოთა მუზეუმების პირველ ყრილობაზე მიღებულ ზოგიერთ მცდარ დადგენილებაშიც. ყრილობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სამუზეუმო ნივთებს (მათ შორის ეთნოგრაფიულსაც), რითაც სპეციფიკა მოუშალა მუზეუმებს როგორც სიძველეთა საცავებს. . . დადგენილებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „მუზეუმი ჰვენებს არა ნივთებს, არამედ პროცესებს." მიუხედავად ასეთი ნეგატიური მოვლენებისა ამ დისკუსიებმა საბოლოო ჯამში მაინც კარგი სამსახური გაუწია ეთნოგრაფიას, რომელიც მთელი ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმების შემსწავლელ დამოუკიდებელ ისტორიულ მეცნიერებად ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ამ წლებში ასეთი ნეგატიური მოვლენები სრულებით უცნობი იყო. ეთნოგრაფიისადმი არც

---

[6] **Бромлей Ю.И**. Этнос и Этнография, М., 1973, გვ. 198-200. შდრ. **Толстов С.П.** Советская школа в этнографии, СЭ, 1947, № 4. **მასალა**, Ленин В.И. и актуальные проблемы этнографии, СЭ, 1949, № 4, **მასალა**, Сорок лет советской этнографии, СЭ, 1957, № 5.

[7] **Бромлей Ю.И**. დასახ. ნაშრ.

ნიჰილისტურ გამოვლინებას და არც სამუზეუმო ნივთების დევნას საქართველოში ადგილი არა ჰქონია და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელიც თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებას. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდელი ეთნოგრაფიული ლიტერატურა საქართველოზე აღსავსე იყო მეტწილად გაუგებრობის საფუძველზე შემუშავებული მრავალრიცხოვანი ფსევდომეცნიერული თეორიებით ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ქართველი მთიელების ეთნოგენეზის, ყოფისა და კულტურის საკითხებზე, ქართული კულტურის უცხოურ ძირებზე და ბართან შედარებით მთის მუდმივ ჩამორჩენილობაზე, XIX ს. საქართველოს მთაში გვაროვნული წობილების არსებობაზე და სხვა.

ეს ლიტერატურა რაოდენობრივად თუმცა არ იყო მცირერიცხოვანი, მაგრამ მასში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა მეცნიერული განზოგადებისათვის საჭირო სანდო ეთნოგრაფიული ფაქტების სიმცირე, ამიტომაც ქართული ეთნოგრაფია იმთავითვე უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებას, საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ძველი მეთოდოლოგიის კრიტიკულ დაძლევასა და მეცნიერულ საფუძველზე გადაბალისებას.

ცნობილია, რომ საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მეტად რთულია; ამ გზით მოპოვებული მასალა განსაკუთრებული რიგისაა.[8] ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები ჩვენამდე ხშირად გადმონაშთური ფორმებითაა მოღწეული, რომლებშიც სხვადასხვა დროის დანალექებია წარმოდგენილი და მათი მეცნიერული ფიქსაციისა და სწორი გაარჩევნისათვის აუცილებელია ისტორიზმის პრინციპის გამოყენება, რაზედაც მიუთითებდა ხოლმე ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიული ფაქტების ისტორიული თვალსაზრისით ანალიზის დროს.

მისი შეხედულებები ეთნოგრაფიული მასალის წყაროთმცოდნეობით ხასიათზე და მისი მოპოვების მეთოდოლოგიაზე ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია შრომებში „ქართველი ერის ისტორიის შესავალი" და „შინაურეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი". პირველში მოკლედ გადმოცემულია მკვლევრის კონცეფცია ეთნოგრაფიულ მასალაზე როგორც ისტორიულ წყაროზე, მეორეში წარმოდგენილია მისი მეთოდოლოგიური შენიშვნები საველე მუშაობის ტექნიკაზე.

ქართველი ერის ისტორიის შესავალში, წიგნის იმ ნაკვეთში, რომელშიც ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობაა განხილული, ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ქართველთა უძველესი რწმენის შესასწავლად წერილობით წყაროებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხალხში დარჩენილ თქმულებებს, ხატობათა დღესასწაულების წესებსა და ხუცების წარმოსათქმელ ლოცვა-ვედრებასა და სადიდებლებს. მაგრამ, განაგრძობს მკვლევარი, თვით უძველესი დამწერლობის მქონე ხალხების წერილობით ძეგლებში უმთავრესად ღვთაებათა სახელები გვხვდება ხოლმე ჩამოთვლილი, ანდა მოწოდება-ვედრების, ფიცისა, ან დამრევევთა წყევლა-კრულვის შემცველი ტექსტებიო. ასეთ ვითარებაში ღვთაებათა ბუნების გარკვევა და მათი თავდა-

[8] დაწერ. ნ ი ტ ა ა ა გ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი, ტ. I, თბ. გვ. 362 და შემდ.

პირველი კულტის დადგენა შეუძლებელია ეთნოგრაფიული მონაცემების გარეშეო. მკვლევარი წერს: „ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრებენ ხოლმე, რომელთაც რასაკვირველია თავიანთი მიზანი აქვთ, რომლებიც ისტორიკოსის მიზნებისაგან განსხვავდება, მაგრამ, თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლია, რა თქმა უნდა ჯეროვანი მეთოდების მოშველიებითო"[9]. ცნობების და ჩაწერილი ტექსტების ღირებულება იმაზეა მთლიანად დამოკიდებული, როგორ არის ასეთი მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილია.

როგორც ჩანს, აქ მკვლევარს მხედველობაში აქვს ძველი, თანაც ისეთი ეთნოგრაფიული ალწერილობანი, რომლებშიც ხშირად დაცული არ იყო საველე მუშაობისათვის სავალდებულო ის ელემენტარული მეცნიერული ნორმები, რომლებიც ანიჭებენ ეთნოგრაფიულ მასალას ისტორიული წყაროს მნიშვნელობას. ამ ნორმების დაცვის გარეშე კი არა მარტო წარმოუდგენელია თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, არამედ საერთოდ ეთნოგრაფიული მასალის გამოყენება კულტურის ისტორიის რომელიც გინდა დარგისათვის, მკვლევარი განაგრძობს: წინათ ეთნოგრაფებს თავიანთი შეკრებილი მასალა თვითონვე თავიანთი სიტყვებით აქვთ ხოლმე მოთხრობილი, სიტყვა-სიტყვით კი მხოლოდ ლოცვა-ვედრებისა და კურთხევის წარმოსათქმელები და ლექსად დაცული მასალა აქვთ მოტანილი. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ისინი მარტო მთხრობელის ან მთქმელის სახელ-გვარის და ჩანაწერის ადგილის აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენო. ამ მასალას რომ „საბუთის მაგვარი ღირსება" ჰქონდეს ამისათვის აუცილებელია „მომთხრობელის და მთქმელისაგან შეკრებილი ცნობა და სხვა ყოველნაირი მასალა სიტყვა-სიტყვით იყოს აღბეჭდილი;" ამასთან მასალის მომწოდებლის მარტო სახელ-გვარის აღნიშვნა საკმარისი არ არის, საჭიროა წლოვანებაც და ჩვეულებრივი ხელობაც იყოს აღნიშნულიო.

ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი მოთხოვნილებით თვით გადმოცემების წარმოსათქმელი ლექსების პირვანდელი და სრული სახის აღდგენისათვის საჭიროა რომ **ერთი და იგივე** მასალა სხვადასხვა პირის მიერ იყოს **სხვადასხვა თემში** და ადგილას **მოსმენილი** და **ჩაწერილი**, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს დაადგინოს ჭეშმარიტი ფაქტები და გაითვალისწინოს ეთნოგრაფიული მოვლენების დინამიკა დროსა და სივრცეში. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ყოფაში შემონახული ზეპირსიტყვიერი (ეთნოგრაფიული) მონაცემების წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შეფასებისას ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ერთი და იმავე მასალის საკონტროლო (გადაჯვარედინებულ) ფიქსაციას „სხვადასხვა თემში"... მკლევარი აღნიშნავს, რომ ისეთ წერილობით ძეგლებში, რომლებმაც დედნების სახით კი არ მოაღწია ჩვენამდე, არამედ გადანაწერების სახით „თხზულებისა თუ საბუთის ტექსტი ი"შვიათად თუ არის ხოლმე იმ სახით დაცული, როგორც ავტორს ჰქონდა დაწერილი"-ო.

ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური შენიშვნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შეხედულება ქართველთა წარმართული სარწმუნოების

[9] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950, გვ. 169-170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმონაშთების ამსახველი ეთნოგრაფიული მონაცემების ისტორიულ ჭრილში შესწავლის აუცილებლობაზე, რაც მას ერთადერთ სწორ სამეცნიერო გზად მიაჩნდა. მკლევარი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ადგილობრივი მონაცემები უნდა იყოს ამომწურავად შესწავლილი და მერე კი შეიძლება უცხო პარალელებს მივმართოთო. მთავრის თაყვანისცემის ქართული წესების შედარებითი მიმოხილვისას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ამამდის ჩვენ მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე ვმოქმედებდით: შედარებისთვის არ მიგვიმართავს და მარტოდენ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა და თქმულებათა ისტორიულ შესწავლას ვაქცევდით ყურადღებას. მეთოდის მხრივ ჩვენ ამგვარი გზა ერთადერთ სამეცნიერო გზად მიგვაჩნია: მკვლევარი მოვალეა ჯერ ადგილობრივი მასალები ისტორიულად შეისწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს უცხო ერთა ზნე-ჩვეულებასა, თქმულებასა და სარწმუნოებასთან შედარებას"[10].

ამავე ასპექტში დღესაც აქტუალურად ჟღერს არსებითად დიფუზიონისტების წინააღმდეგ მიმართული ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „უეჭველად მცდარი და მეტად გადაჭარბებული უნდა იყოს ორიენტალისტიკაში ამჟამად გავრცელებული მიმართულება, რომელიც სუჯელაფერს ხეთურად აცხადებს და ძველი აღმოსავლეთის კულტურის თითქმის ყოველი მოვლენა ხეთელთა გავლენის შედეგად, ან მათგან შეთვისებულად მიაჩნია. ეს ისეთივე უკიდურესობაა და გაზვიადება, როგორც წინათ ყველაფერი ბერძნებისაგან აღმოჩენილად იყო აღიარებული, ხოლო შემდეგ ასირიულად აცხადებდნენ"[11].

ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხასიათის შეხედულებებში ეთნოგრაფიულ მეცნიერების შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა პირად გამოცდილებაზე დამყარებული მისი თვალსაზრისი საველე ეთნოგრაფიული კვლევის ტექნიკაზე. ივ. ჯავახიშვილი არა მარტო დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართველი ეთნოგრაფების პირველ წარმატებებს და ყოველნაირად მხარს უჭერდა ეთნოგრაფიული მეცნიერების დაწინაურებას და პირველ რიგში რეგიონალური ეთნოგრაფიული ექსპედიციების ჩატარებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, არამედ ზოგჯერ თვითონაც გამოდიოდა მათი ინიციატორის როლში. მაგალითად, 1930-იან წლებში, როცა ცხოვრებამ წამოაყენა საქართველოში შინამრეწველობის ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხი, ივ. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ამ დიდ წამოწყებას, შეარჩია და დარაზმა ამ საქმის გარშემო ახალგაზრდა მეცნიერული ძალები (ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ენათმეცნიერები და სხვ.) და სპეციალურად შეადგინა მათთვის სანიმუშო სამუშაო პროგრამა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტში. ამ პროგრამაში გათვალისწინებული თემატიკა ძირითადად მოიცავს ქართული ნივთიერი კულტურისა და მეურნეობის იმ მთავარ დარგებს, რომლებზეც უნდა შეგროვებულიყო არსებითად ეთნოგრაფიული მასალა (როგორც სიტყვიერი, ისე სამუზეუმო ნივთების სახით) უშუალოდ ხალხს ყოფაში. ამ მასალის შეგროვების ძირითადი მიზანი იყო ხალხური ემპირიული ცოდნის მდიდარი შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების გამოვლინება და ფიქსაცია შინამრეწველობის ტრადიციული დარგების მიხედვით, ე.ი. ისეთი მონაცემების დადგენა, რომლებიც გამოავლენდა ქართული ხალხური კულტურის ტრადიციულ ფორმებს მათ ეთნიკურ სპეციფიკაში.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, თბ. 1960, გვ. 60.

[11] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 103.

ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემების შედარებითი შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა თავისი ცნობილი კონცეფცია ქართული წარმართობისა და ძველ ქართულ ღვთაებათა პანთეონის შესახებ. თავისი უტყუარი ალღოთი და გამჭრიახობით მან შესანიშნავად აღადგინა ქართული წარმართული პანთეონი. ეს მეტად ძნელი და მძიმე საქმე იყო. იმჟამად ძველ ქართულ რწმენა-წარმოდგენებს ყველას და ყველაფერს ირანიზმისა და არაბიზმის საფუძველზე ხსნიდნენ, ხოლო ადგილობრივი არ ჩანდა. ასე იყო გაშუქებული ეს საკითხი მ. კოვალევსკის, კ. ინოსტრანცევისა და ნ. მარის ნაშრომებში. საჭირო იყო ეროვნული ნიადაგის დაძებნა და მასზე დაყრდნობით წარმართული პანთეონის აღდგენა.

ივ. ჯავახიშვილი მიმართავს ხალხურ მასალას, მითებს, გადმოცემებს, ხალხურ დღესასწაულებს, აგრეთვე წერილობით წყაროებს. იმ დროისათვის დაგროვილი უამრავი, ზღვა მასალიდან იგი ერთ გადმოცემას აქცევს ყურადღებას. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ გამოსაკვლევი საგანი უფრო გაადვილებული და მარტივი გამხდარიყო, თავდაპირველად უნდა გამორკვეულიყო, თუ როგორ ეხატება ჩვენს ხალხს უზენაესი ღვთაება. ამ საკითხის შესწავლა, რასაკვირველია, ზღაპრებისა და სხვადასხვა თქმულებების განხილვის საშუალებით შეიძლებოდა. ზღვა მასალიდან იგი შეჩერდა ს. ბარალეთის მასწავლებლის მიერ ჩაწერილ თქმულებაზე „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი". ამგვარად მიგნებულ იქნა ის გასაღები, რომლის წყალობითაც ამოიშიფრა არა მარტო წარმართული მთავარი ღვთაება, არამედ მთელი პანთეონი. შეიქმნა ერთიანი კონცეფცია ქართული წარმართობის შესახებ. მკვლევარი ასკვნიდა: „მაშასადამე ქართულ წარმართობას უძველესი ხანისა და რწმენის ბეჭედი აზის და მისი სრული გამორკვევა მხოლოდ თანდათანობით შეიძლება, მეტადრე მაშინ, როცა ქართველთა წარმართობის დროინდელი მწერლობა აღმოჩნდება და შესწავლილი იქნება".[12]

ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „როგორც სახალხო თქმულებების შესწავლა, ისე დღიურებისა და ხატობის დაკვირვება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმიდა გიორგის უკავია, მეორე – ღმერთს – შემოქმედს, მესამე – ელიას".[13] წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანულ წმიდა გიორგის ქართველების წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების, მამაკაცად მიჩნეული მთავარის ღვთაების ადგილი დაუკავებიაო.[14] ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი ოსტატობით გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა ხალხში შემონახული თეთრი გიორგის კულტი ქართველთა ძველი რელიგიური მსოფლმხედველობის, მნათობთა თაყვანისცემის დასადგენად.

ვ. ბარდაველიძის აზრით, ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ძველი ქართულ ღვთაებათა პანთეონი შეესატყვისება ქართული წარმართული

---

[12] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, ტ. I-II, გვ. 145.

[13] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, მეხუთე გამოცემა, წ. I, გვ. 49.

[14] *ივ. ჯავახიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოების განვითარების ყველაზე გვიან საფეხურს, განვითარებულ კლასობრივი საზოგადოების რელიგიას.[15]

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა ლეონტი მროველის თხზულების „ჰამბავნი ჩვენ მამათანი. . .“-ს კონცეფცია ქართველი და კავკასიელი ხალხის ეპონიმების შესახებ არ მიიჩნია სარწმუნოდ, რამდენადაც მას მიაჩნდა, რომ ეს კონცეპცია მწიგნობრული გზით არის შეთხზული და ხელოვნურია. ამის გამო ქართველების წარმომავლობისა და მათი წინაპრების შესახებ ცნობა სხვა წყაროებში უნდა დაეძებნა.

ასეთ წყაროდ მან, მსგავსად უსლარისა, ლენორმანისა, მასპეროსა, მარისა „დაბადება“ მიიჩნია, სადაც ხალხთა გენეალოგიური ცხრილია მოყვანილი, ხოლო ცხრილში დასახელებულ ეპონიმებიდან თობალი და მეშები ქართველი ტომების წინაპრად ჩათვალა. ამის საბუთს ივ. ჯავახიშვილი სხვა მონაცემებთან ერთად ძველებრაული ისტორიკოსის იოსებ ფლაბიოსის მონაცემებში პოულობდა.

იოსებ ფლაბიოსი წერდა, რომ ადრე თობალებად მოხსენიებული ტომი ამჟამად იბერებად იწოდებიან, ხოლო მეშეხები იხსენებიან მოსხო-დ. იოსებ ფლაბიოსის ტექსტის ეს ადგილი იოანე პეტრიწონელის თარგმანში ასე იკითხება: „ხოლო სკვითარ მის მიერ სახელდებულნი და იაფეტოჲს უკუნ ჴრმათაგან იოვანჲსა და მადოჲსა მადჲს ვიდრე მიერ მადელნი იქნებიან წარმართნი, რომელნიც ელლინთა მიერ მიდად იწოდებიან, ხოლო იოვანჲსგან იონაჲ და ყოველნი ელლინნი იქმნებიან და დაამკრებს უკუნ თოვილოსცა თოვილ-თასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან, ხოლო მესქენნი მესხეოჲს მიერ აღშენებული აწ კაპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში ნიშუენებენს. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკაჲ ცხად მყოფელი გულის – ჴმის ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმა სახელის – დებასა ყოვლისა ნათესაესსა. ხოლო თირასს – თირად იწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა – თრაკად გარდასახელნეს ოვინი“.[16] როგორც ვრწმუნდებით იოსებ ფლაბიოსის მსჯელობის საგანია ხალხთა გენეალოგიური ცხრილი.

ამ საბუთს თან ერთვოდა ლინგვისტური ანალიზი ეთნიკური სახელებისა: თობელ-იბერი და მეშეხ-მესხი. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ნ. მარი ქართულს სემიტური ენების უახლოეს ნათესავად თვლიდა, ხოლო სემიტების სამხრეთელობა ეჭვშიუტანელია და იბერები და მესხები გვიან ხანაში უკვე საქართველოში ბინადრობენ – თობელ-იბერებისა და მეშეხ-მესხების სამხრეთიდან გადმოსახლება უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქართველების გადმოსახლებას სამხრეთიდან მხარს უჭერდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემა ამ საკითხში.

ასევე იდგა საკითხი კოლხების გადმოსახლების შესახებ.

შემდეგში, როდესაც ნ. მარის თეორიას ქართულ-სემიტური ენების ნათესაობას წყალი შეუდგა, მას თითქმის არავინ არ იზიარებდა, ხოლო თვით ნ. მარი კავკასიის ძველი მოსახლეობის კულტურის დვრიტას ძიებას შეუდგა და კავკასიურ-იაფეტური ე.წ. „შესამე ეთნიკურ ელემენტს“ საყრდენი გაუჩნდა და

[15] **Бардавелидзе В.В.**, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 113.

[16] **იოსებ ᲤᲚᲐᲕᲘᲐᲡ** თხზულების ქართული თარგმანი, შესრულებული იოანე პეტრიწონის მიერ გადმოწერილი მ. კახაძის პირიდან.

გაღრმავებულმა კვლევა-ძიებამ წინა აზიაში ინდოევროპული ჩამომავლობის ენები და ტომები აღმოაჩინა (...ჰროზნი, ფრ. ფოერერი), რომლებიც ადრე თობალებისა და მეშეხების ნათესავებად იყენენ მიჩნეული, – ქართველი ტომების გადმოსახლების თეორიას კრიზისი დაუდგა.

ასეთი ვითარების გამო ივ. ჯავახიშვილი შეშფოთებული წერდა: „ხატების (ნესიტების), მუშკებისა და სხვათა ინდოევროპული წარმოშობის დებულების სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში საერთო აღიარებამ – დასავა გადაუდებელ ამოცანად საქართველოსა და კავკასიის უძველესი პერიოდის ისტორიის სქემის სრული გადასინჯვა“[17].

ივ. ჯავახიშვილი მიზნად ისახავს: „რადგან ცხადი შეიქმნა, რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია, ცალკე ნაშრომი უნდა მიეძღვნას ქართულ-ქართველური და ე.წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხების გარკვევას, ცალკე მონოგრაფია – საქართველოს, იმიერ-ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების შესწავლას, ხოლო მესამე წიგნში ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი უნდა იქნეს წარმოდგენილი ენისა, ზნე-ჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით“.

ამ სამი წიგნიდან პირველი (ენების ბუნებისა და ნათესაობის შესახებ) დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლის დროს, ხოლო მეორე, ივ. ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ, დარჩენილია ხელნაწერი დედნების მიხედვით, რომელიც ივ. ჯავახიშვილის არქივშია დაცული. როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, ამ ნაშრომს არა აქვს საბოლოოდ დასრულებული სახე. ნაშრომში დასმული საკითხები მეტწილად დამუშავების საბოლოო საფეხურამდეა მიყვანილი, მაგრამ აკლია დებულებების სახით ჩამოყალიბებული დასკვნითი ნაწილი. სამაგიეროდ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ შემაჯამებელ ნაშრომს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის მიერ 1939 წელს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ფილოსოფიისა და ისტორიის განყოფილების სესიაზე წაკითხული მოხსენება „Основные историко-этнологические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшего периода“, რომელიც დაიბეჭდა ჟურ. Вестник Древней истории, 1939 წელს, აგრეთვე ამავე მოხსენების თეზისები ოდნავ შეცვლილი სათაურით: „Основные проблемы истории древнейшего населения и культуры Грузии, Кавказа и Ближнего Востока“. გარდა ამისა ჩვენს ხელთ არის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი „მოხსენებითი ბარათი“, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობის დონის მიხედვით ქართველებისა და ჩრდილო-კავკასიის ხალხების (საურომატ-შარომატების) წარმოშობისა და მათი ეთნიკური ისტორია შეიძლება გაირკვეს როგორც ისტორიული ცნობების ასევე საკუთარი, ტომობრივი და ტოპონიმიკური სახელების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ტოპონიმების კვლევის

[17] **Джавахишвили И.А.** Основные проблемы истории древнейшего населения и культуры Грузии, Кавказа и Ближнего Востока. Тезисы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მათი გავრცელების მიმართულებაზე. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ მას შემდეგ როდესაც ამ სახის მუშაობაა ჩატარებული, უნდა იქნეს გამოყენებული ისიც, მხოლოდ როგორც საკონტროლო-შემამოწმებელი, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და აღმოჩენილი მატერიალური კულტურის შედარებითი შესწავლის შედეგები.

ამ მიმართულებით თხუთმეტი წლის მანძილზე წარმოებულ დაძაბული მუშაობის შედეგებს ივ. ჯავახიშვილი ასე აჯამებს:

1. საურომატები – შარომატები წარმომობით არ არიან ინდო-ევროპელები, არამედ ჩრდილო კავკასიის არა არიული მოსახლეობის ადიღეურ-ჩაჩნურ-დაღესტნური ტომების წინაპრებია. ამასთანავე ისინი ქართველ-ქართველური ტომების გენეტიკურად მონათესავე ტომებია.

2. ამერიკავკასიის ტოპონიმიკური მასალის ანალიზის საფუძველზე ეჭვმიუტანლად ირკვევა სრული უსაფუძვლობა საურომატების ჩრდილოეთიდან მოსულობის შესახებ და სრული სიცხადით დგინდება, რომ ამ ტომების მოძრაობის მაგისტრალური ხაზი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამის გამო უმართებულოა ვარაუდი ქართველების ჩრდილოეთიდან მოსულობის შესახებ.

3. ასეთსავე დასკვნას იძლევა შედარებითი შესწავლა ქართული და ჩრდილო-კავკასიური (შარომატული) ეთნიკური და ტოპონომიკური სახელების პროტო-ხალდურ და პროტო-ხეთურთან და რომ ქართულ-შარომატული ნაკვალევი უხვად მოიპოვება მცირე აზიისა და მახლობელ აღმოსავლეთში.

4. ტოპონიმიკური მონაცემების ლინგვისტიკური ანალიზის შედეგს მხარს უჭერს ისტორიული ცნობა, რომელიც მოიპოვება ევსევი კესარიელის თხზულებაში (პროპარასკევე ევანგელიკე). ევსევი კესარიელი წერს: „აბედნოსის ასირიელთა შესახებ ნაწერში ნაბუქოდონოსორზე შემდეგი მოიპოვე: „ხოლო მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა, ჰერაკლეზე უძლიერესმა, ლიბიასა და იბერიაში გაილაშქრა, ხოლო დაიმორჩილა და ხელთ იგდო რა ისინი, ნაწილი მათგანი პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე (ე.ი. პონტოს აღმოსავლეთით) დაასახლა".

ევსევი კესარიელის თხზულების ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ცნობა იბერიელთა ნაბუქოდონოსორისაგან გადმოსახლების შესახებ პირადად აბედნოსს – კი არ ეკუთვნის, არამედ მეგასთენეს. ამგვარად ეს ცნობა ძვ.წ. III ს.-ის დროისა ყოფილა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ იბერიელნი უკვე ამაზე დიდი ხნით უწინარეს უნდა ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ და კერძოდ შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს მახლობლად. მეგასთენეს ცნობა ამტკიცებს, წერს ივ. ჯავახიშვილი, რომ იბერთა პოლიტიკური ჰეგემონია III საუკუნის უწინარეს უნდა დაწყებულიყო. III საუკუნის ბერძენთა ამ ისტორიკოსის აზრით იბერთა კავკასიაში დასახლება თითქოს VI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. გამოსარკვევია თუ რომელ ქვეყანას გულისხმობდა მეგასთენე იბერიელთა პირვანდელ სამშობლოდ და თვითვე პასუხობდა: „უეჭველია სამხრეთითვე უნდა ვიგულისხმოთ იბერიელთა წინანდელი მიწა-წყალიც" (გვ. 58).

ამავე ასპეკტშია განხილული ჩრდილო კავკასიელებისა – შარომატებისა და ქართველ-ქართველური ტომების უძველესი მსოფლმხედველობის და წარმართული პანთეონის პრობლემები ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. ეს პრობლემები შესულია ქართველი ერის ისტორიის შესავალის პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ დასმული პრობლემის გაშუქებას არქეოლოგიური განათხარი მასალის მიხედვით, ეს სამუშაო დარჩა მას შეუსრულებელი, თუმცა ჩვენს ხელთ არის ერთი დოკუმენტი რომელიც გამოუქვეყნებელია, მაგრამ დოკუმენტის შინაარსიდან კარგად ჩანს ივ. ჯავახიშვილის შეხედულება აღძრულ საკითხზე.

ეს დოკუმენტია „მოხსენებითი ბარათი", რომელსაც ხელს აწერს ივ. ჯავახიშვილთან ერთად აკად. გ. ჩუბინაშვილი. დოკუმენტი უთარიღოა. ტექსტიდან ჩანს, რომ ის დაწერილია 1938 წლის შემდეგ.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ უძველესი საამშენებლო ეპოქიდან მოწმდება ცხოვრების ქალაქური ყაიდაზე მოწყობისაკენ მიდრეკილება და მონუმენტური გამოქვაბული ნაგებობებისაკენ მიდრეკილება. ეს ტრადიცია სხვა მსგავსთან ერთად გვანიშნებს ქართველების კულტურის ერთიანობას ხეთებსა და ხალდებთან. ამგვარივე კულტურული ერთობა მეორე და პირველ ათასწლეულში ჩვენ დრომდე მოწმდება უახლესი გათხრებით წალკაში, სადაც ბრინჯაოს ნივთების გვერდით აღმოჩენილია მოხატული კერამიკა, რომელიც თუმცა პოულობს მსგავსებას ამგვარ წინააზიურ კერამიკასთან, მაგრამ მაინც თავისთავადი მნიშვნელობისაა, ამას გარდა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია – აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომლებსაც პარალელები მოეპოვებათ ხეთურსა და სუმერის ხელოვნების ძეგლებში, და რომლებიც ფაქიზი ხელობის ნიმუშია.

მომდევნო აბზაცში ვკითხულობთ: „ამგვარ ფართო და ძვ.წ. უძველეს რამდენიმე ათასწლეულის განვითარების საფუძველზე გაიზარდა ისტორიული საქართველოს კულტურა, როგორც ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფო. ეხლა უკვე შეიძლება დაისახოს ევოლუციონური განვითარების შინაგანი კანონზომიერება და საფეხურები ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე".

აქვე ვურთავთ ჩვენი განმარტების გაგრძელებად ხსენებულ დოკუმენტს და ივ. ჯავახიშვილის მოხსენების თეზისებს:

„Изучение вещественных памятников древней культуры Грузии ведется сейчас в широком масштабе целым рядом научных и общественных организаций планомерно и систематически. Благодаря этому, проблемы культуры народов Кавказа, впервые сформулированные наукой еще в 80-ых годах прошлого века, то[illegible]ко теперь получают свое надлежащее освещение и разъясняется место, [illegible]имаемое Грузией в общем развитии бронзовой и железной культуры.

[illegible]ции. Длительность

В последние годы установлено также широкое распространение по всей Грузии мегалитических сооружений жилищно-крепостного и культового назначения (менгиры, кромлехи, "вышапы") уходящих глубоко в период родового строя и племенной организации. Длительность переживания этих форм и даже позднейшая трансформация некоторых из них в интересах христианского культа дает многообещающие параллели к западно-европейским примерам. От тех же древнейших строительных эпох тянется склонность к организации городской жизни и в монументальных скальных сооружениях, пережившая не только римскую и ранне-христианскую эпохи, но сохранившаяся до высокого

средневековья; в Уплис-Цихе и в Вардзиа имеются крупные дворцовые залы с высокими, кесонированными сводами и иной отделкой. Эта традиция является в числе многих других несомненно показателем единства древнейшей культуры грузинских племен с хеттскими и халдскими, точно также культивировавшими обработку камня и также высекавшими сооружения в скалах. Та же картина общности древнешей культуры за одно и два тысячелетия до нашей эры подтверждается новейшими раскопками, которые производятся уже второй год над курганами и могильниками Цалки, и дают громадный и совершенно изумительный материал находок. Здесь помимо бронзовых предметов, инвентарь дал расписную керамику, хотя увязанную с таковой передней Азии, но представляющую обособленный круг, и, что наиболее важно, поделки из золота и серебра, имеющие также непосредственные параллели в хеттском и сумерийском искусстве и являющиеся произведениями утонченного мастерства.

На такой широкой и древней базе развития в несколько тысячелетий, предшествовавших нашей эре, выросла культура исторической Грузии, как оформленного национального государства. Уже сейчас можно наметить внутреннюю закономерность эволюции в периоды до начала нашей эры, когда находки греческой и римской культуры в Грузии составляют лишь незначительную часть, как показывают вновь и последние раскопки в Анаклии, в Бори и развернутые в настоящее время грандиозные раскопки некрополя на Самтаврском поле во Мцхете, которое частью, но бессистемно исследовали еще в 70-ых годах прошлого века. Но действительно ясную картину последовательности исторического развития страны и ее культуры с вещественными памятниками – как архитектурными, так и иными – сохранившимися непрерывной цепью из века в век, мы имеем за период полуторатысячелетие нашей эры. Здесь памятники дают возможность проследить основные этапы и формы развития с полной отчетливостью и красноречивой убедительностью.

Грузинская монументальная архитектура выступает перед нами уже в первый период расцвета, в VI и VII веках, как развившаяся на родной почве из глубоких основ народного искусства и творчества. Она культивирует камень, как основной строительный материал этих монументальных построек, в то время как жилая архитектура по-прежнему в широком масштабе пользуется деревом и деревянными конструкциями со всеми возможностями его декоративного освоения. В конструкциях бутобетонная кладка и разных типов сводчатые перекрытия до купольных включительно. Большое разнообразие конструктивных форм и элементов, равно как и плановых композиций купольной архитектуры, органически выросшей на местном опыте, характеризует грузинскую культуру уже с первых веков нашей эры. Вместе с тем в памятниках расцвета, в VI и VII вв. грузинская архитектура выделяется из числа одновременных ясным пониманием фасадной проблемы и строгим разработанным фасадным обликом с применением декоративной

резьбы по камню, лучшими образцами чего является Джвари во Мцхете (конца VI века) и Цроми (20-ых годов VII века). Таким образом, грузинская архитектура заполняет для первого тысячелетия такие страницы в мировой истории архитектуры, которые по другим странам остаются незаполненными. Из большого числа памятников этого древнего периода в последние два года проведено детальное изучение и раскопки всей площади знаменитого кафедрального собора в Болниси, причем обнаружена надпись, уточнившая датировку этой постройки на последнюю четверть V века.

Главный же упор по изучению памятников грузинской культуры в последние два-три года был, однако, естественно сделан на эпохе, одним из блестящих и ведущих гениев которой является автор поэмы "Витязь в тигровой шкуре" Шота Руставели, 750-летний юбилей которого отпраздновали недавно по всему Советскому Союзу. Широко развернутые разведки и разыскания выявили дотоле неизвестные страницы блестящего культурного прошлого Грузии. Раскопки одного из торговых центров – городища Дманиси – дало богатый материал находок обиходных вещей местной промышленности (керамики XI-XIII вв., стекла, металла и т.д.). То же повторилось при пробных раскопках охотничьего дворца современных Руставели царей Грузии в Гегути, где выяснены архитектурные формы громадного дворца с центральным залом, перекрытым куполом со световым отверстием в центре по типу римского Пантеона. В текущем году, наконец, проведена расчистка здания Академии в Икалто, где строения разных эпох, в том числе и в предполагаемом здании Академии, в котором найдена керамика той же эпохи, что и в Гегути др. Разыскания захватили и ряд инженерных сооружений, как водопровод 1202 года в Схалтба-Шиомгвимэ, система орошения Алазанского канала, регулировавшего хозяйство целого района, Беслетский каменный, одноарочный мост близ Сухуми с совершенно точным рассчетом и др.

В разрезе же изучения художественных памятников архитектуры эти годы ознаменованы исследованием, фиксацией в обмерах и закреплением в натуре таких памятников, как величайшие кафедральные соборы страны во Мцхете 1029 года и в Кутаиси 1003 года, как в Руиси, Эхвеви, Саване, Спети и других X–XI вв., как Тигви и Гелатский комплекс зданий XII века с замечательной мозаикой той же эпохи и с росписями как Кинцвиси, также с замечательной фресковой росписью и портретом царицы Тамары, Питарети, Гударехи, Цугругашени начала XIII века и многие другие. Здесь отражены как архитектурное мастерство, представляющее как параллель, так и соперника романской архитектуры Запада, а также неиссякаемое творчество декоративных мотивов в каменной резьбе, по праву прославленной в науке еще с середины прошлого столетия.

Изучение памятников эпохи расцвета и вершин грузинской культуры средних веков не поглотило всей остальной планомерной

исследовательской работы. Рядом с этим проведены работы по изучению городских домов в Тбилиси и некоторых других городах Грузии. В этих деревянных зданиях со всеобразным очарованием претворены формы европейского ампира. Обследованы и своеобразные формы крестьянских жилищ Грузии, характеризующиеся чрезвычайным разнообразием по отдельным районам Грузии. В самое последнее время проведено широкое обследование в одной из западных провинций, давшее не только фиксацию планового решения и строительных приемов, но и своеобразной деревянной резьбы и отделкой зданий.

Проф. И. Джавахишвили
Проф. Г. Чубинашвили

ОСНОВНЫЕ ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ ДРЕВНЕЙШЕГО НАСЕЛЕНИЯ И КУЛЬТУРЫ ГРУЗИИ, КАВКАЗА И БЛИЖНЕГО ВОСТОКА

ТЕЗИСЫ

1. Всеобщее признание в научной исторической литературе тезиса об индогерманском происхождении хетов (неситов), лувитов, мушков и др., выдвинуло неотложной задачей полный пересмотр всей схемы истории Грузии и Кавказа древнейшего периода.

2. Вопрос о происхождении и национальности грузин и северо-кавказских народностей (сауроматов) может быть решен как на основании исторических сведений, так и при помощи анализа личных, племенных и географических наименований с учетом направления их распространения.

3. Для решения вышеуказанных задач необходимо предварительное знание характерных свойств и взаимоотношений картвельских и сарматских (северо-кавказских) языков в древнейшую эпоху.

4. Если после этого приступим к рассмотрению вопроса о племенной принадлежности древнего населения Северного Кавказа и Юго-Восточной Европы, вновь пересмотрим общепризнанное в данный момент в науке положение об индоевропейском, арийском, происхождении скифо-сарматских племен и подойдем к нему как на основании исторических данных, так и при помощи лингвистического анализа языка, личных имен, племенных названий и топонимики, то станет ясным, что сауроматы и сарматы были не арийцами, а предками северо-кавказских неарийских народностей, находившихся в ближайшем генетическом родстве с предками грузин.

5. При выяснении этнологических проблем Ближнего Востока древнейшего периода, в виду крайней малочисленности протохетских, налайских, хурритских и др. языковых памятников, вопрос об их лингвистических свойствах и племенной принадлежности этих народов может быть решен, при данном состоянии наших знаний, лишь при

помощи анализа этнических наименований и топонимики. Лишь после этого и только в виде контрольного средства, могут и должны быть использованы и результаты сравнительного изучения религиозных верований и обнаруженных памятников материальной культуры.

6. Пестрота лексики и свойств сумерийского языка III-II тыс. судя по дошедшим до нас письменным памятникам, является видимо результатом существовавшего уже в эту эпоху смешения с инородными племенными и языковыми элементами. Но данные, добытые путем лингвистического анализа некоторых своеобразных элементов, уцелевших как в структуре глагола, так и в лексике, дают возможность выявить первоначальную природу этого языка и родства его с грузино-сауроматским языковым миром.

7. Равным образом племенные наименования и топонимика убеждают и на основании их анализа может быть доказано, что мушки и табалы не могли быть первоначально индогерманскими народностями и что в данном случае возможно предполагать лишь результат позднейшего смешения.

8. Вопрос о прародине сумеро-протохето-грузино-сауроматского языкового мира, общие проблемы истории миграций этих племен и наши ближайшие научно-исследовательские задачи в связи с данными проблемами в исторических и лингвистических дисциплинах.

И. Джавахишвили

ეთნოგრაფიულ მასალას ივ. ჯავახიშვილი ხშირად მიმართავდა აგრეთვე ქართველი ხალხის ნივთიერი კულტურის და სამეურნეო ყოფის ძველი ფორმების კვლევის დროსაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მისი გამოკვლევა ქართული ტანსაცმლის ისტორიაზე, რომელშიც მკვლევარი უჩივის ამ თემაზე წერილობითი წყაროების სიმცირეს და მიუთითებს: ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი წყარო, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს არის ეთნოგრაფიული მასალები. თუმცა ყველაზე სახიფათო გამოსაყენებელია. მაგრამ სიფრთხილით თუ მოეკიდება ადამიანი ძალიან ძვირფასი დასკვნები შეიძლება გამოიტანოს. ამ მასალის გამოუყენებლობა შეუძლებელიც არისო[18].

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ მიუთითებს ქართული ხალხური კოსტუმის ეთნოგრაფიულ თავისებურებაზე, რაც საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით მის დიდ მრავალფეროვანებაში გამოიხატებოდა. ისტორიკოსი წერს: სრულიად სხვადასხვანაირად იმოსებიან: ხევსურები, თუშები, ფშაველები, რაჭველები, სვანები, გურულები და საერთოდ – აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს ხალხიო. რით აიხსნება და რით არის გამოწვეული ეს მრავალფეროვნება ძალიან საყურადღებო საკითხია და მისთვის ყურადღება ჯერ კიდევ არავის მიუქცევიაო. ამ საკითხზე მკვლევარი ამბობს – ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტანისამოსის განსხვავება თემების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საუკუნეთა განმავლობაში არსებული ტანისამოსის

[18] „ივ. ჯავახიშვილი", მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ. 1963. გვ. 3.

ხოფლის ყოფა (მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი ფეხსით (მხატვარი ზ.წერეთელი)

ჭადაობა (მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშთიო. ამის საილუსტრაციოდ მას მოტანილი აქვს თუში ქალის მეტად თავისებური, წინიდან ტოტებჩამოშვებული თავსაბურავი, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთ სხვა თემში არაა ცნობილიო. მაგრამ, განაგრძობს ავტორი, თუ შედარებისათვის საქართველოს ისტორიული კედლის მხატვრობას მივმართავთ IX საუკუნიდან მოყოლებული იქ ქალის ამგვარ თავსაბურავს ვნახავთო. ამგვარად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ის თავსაბურავი, რომელიც XVIII-XIX სს. მხოლოდ თუშურად იყო მიჩნეული, სინამდვილეში ძველად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული თავსაბურავის ნაშთს წარმოადგენსო[19]. ამავე თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული თუშური ნაბდის ქუდებიც – ის მართლაც თუშურია, თუ მხოლოდ თუშებმა შემოინახესო? ასევეა სვანური ქუდის საკითხიც, რომელიც მხოლოდ სვანეთში კი არ არის შემონახული, არამედ იქ გაცილებით მეტადაა გავრცელებულიო[20].

ქართული ხალხური ჩაცმულობის მრავალფეროვანებაში ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გამოყოფს ხევსურულ ჩაცმულობას, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთი თემის მოსახლეობაში არ არის შემონახულიო და შენიშნავს: თუ საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებულ ტანისამოსს, მის თავისებურებასა და მრავალფეროვანებასთან დაკავშირებით განვიხილავთ, ამ შემთხვევაში არც ერთი თემის ტანისამოსი ისეთი ყურადღების ღირსი არ იქნება, როგორც ხევსურული. თავის დროზე ხევსურული კოსტუმის წარმომავლობის საკითხზე პ. უვაროვას გამოთქმული ჰქონდა დებულება, რომ ეს ტანისამოსი რუსეთიდან წამოსული უნდა იყოსო. სინამდვილეში კი იგი არაფერით არ მიაგავს რუსულ ტანსაცმელს. ასეთ მსჯელობას პ. უვაროვა იმ შეხედულებაზე ამყარებდა, რომ სკვით-სარმატების ტომები რუსი ტომები იყვნენ და რადგანაც ხევსურულსა და სარმატულ ტანისამოსს შორის მსგავსება არსებობს, მაშასადამე ხევსურული ტანისამოსი რუსული ტანსაცმელი უნდა იყოსო. ამ საკითხებშია – განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი –, არავითარი ექვი არ შეიძლება არსებობდეს (სარმატებს არაფერი საერთო არ ჰქონდათ რუსებთანო). სარმატები წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მობინადრე ტომთა წინაპრებს, რომლებიც ჩვენი წინაპრების ღვიძლი ძმები იყვნენო.[21]

თუმცა ხევსურული კოსტუმის წარმომავლობის შესახებ სხვა შეხედულებებიც არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურის საერთო ელემენტების შესახებ, კერძოდ, ქართველი და ჩრდილო-კავკასიელი მთიელების ჩაცმულობაში ანალოგიური ფორმების ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ხანაში არსებობას, ეთნოგრაფიული მონაცემებიც კარგად ადასტურებენ.

ხევსურული და სარმატული ჩაცმულობის მსგავსების დასამტკიცებლად ივ. ჯავახშვილი მიმართავს ეთნოგრაფიული, წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშედარებას. სტრაბონის სიტყვითო, აღნიშნავს ისტორიკოსი, იბერიის მოსახლეობა ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: ბარისად და მთისად, ანუ ბარელებად და მთიელებად, რომლებიც სხვადასხვანაირად ცხოვრობდნენ და სხვადასხვანაირად იმოსებოდნენო. ამასთან ბარელები მიდიელების მსგავსად იმოსებოდნენ, მთიელები კი სარმატებისა და სკვითებისავით, რომელთა

[19] ფ. ჯაჯანიშვილი, მასალები ქართველი ერის მეტერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 4.

[20] იქვე.

[21] დასახ. ნაშრ., გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონათესავე არიანო. ამის შემდეგ მკვლევარი დაასკვნის: ხევსურული ტანისამოსის ზოგადი მოფენილობა, შეკერილობა და ფერები რომ შევადაროთ სკვითურსა და სარმატულ ტანისამოსს, რომელიც ბერძნულ ფიალებზეა გამოხატული, გასაოცარ მსგავსებას დავინახავთო.[22]

საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის კულტურის თავისებურებათა სწორად შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვლევარის შენიშვნას – ერის წარმატებებთან ერთად მისი ენისა და ლექსიკური საგანძურის გამდიდრებაზე. მაგრამ „წარმატების ეს პროცესი ყოველ თემსა და ტომს, თუ ფენას ერთდროულად და თანასწორად არ ემჩნევა ხოლმე. კულტურული ცენტრისა და სავაჭრო, თუ შარაგზების მახლობლად მდებარე თემის მოსახლეობა, ახალს, თავისას, თუ უცხოს, დაშორებულზე უფრო ადვილად ითვისებდა, ცენტრს მოწყვეტილი ტომების ცხოვრება – კი ახალახალ შენაერთსა თუ მონაპოვარს არ ეტანებოდა და ძველი კულტურული საგანძურის დამცველი იყო-ო. ასევეა ენის სფეროშიო" – დასძენს ისტორიკოსი.[23]

ქართული კულტურის ცალკეული საკითხების ისტორიული შედარებითი შესწავლის პროცესში, ლიტერატურული მონაცემების გარდა, რიგ შემთხვევაში მკვლევარი მის მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებსაც ი შველიებდა. მაგალითად, ჯვრის მონასტრის კედლის ქანდაკებაზე გამოსახული წამოსასხამების თავისებურების განხილვისას ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს – ამ წამოსასხამებს, რომლებიც თითო საკინძით იკვრებოდა, სახელოები ისე ვიწრო ჰქონდა, რომ შიგ ხელის გაყრა არ შეიძლებოდაო. ასევეა ცრუსახელოიანი წამოსასხამი გამოსახულია ატენის ქანდაკებებზედაც. აქედან ჩანს, რომ VII ს. საქართველოში გავრცელებული წამოსასხამების გრძელი სახელოები მხოლოდ სამკაულს წარმოადგენდა და ჩასაცმელად არ ყოფილა განკუთვნილი. ამის საბუთად ივ. ჯავახიშვილი დაღესტანში მისი მონაწილეობით ჩატარებულ საველე ეთნოგრაფიულ მუშაობას იგონებს და აღნიშნავს – ამის მსგავსი წამოსასხამი დაღესტანში ყოფნის დროს (1904 წ.) მინახავს, გრძელი ქურქები, გრძელი სახელოები კოჭამდე და ისეთი ვიწრო, რომ ხელი არ გაეტეოდაო.[24] ასეთი ცრუსახელოებიანი საქორწინო წამოსასხამები ქალისა ხევსურეთშიცაა დამოწმებული. ამ სამოსელის ორი ძველი ნიმუში დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში.[25]

ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართველი ხალხის ნივთიერი კულტურის რიგ პრობლემებს განიხილავდა საქართველოს ეკონომიურ ისტორიასთან უშუალო კავშირში[26] და ფართოდ იშველიებდა ხალხის სამეურნეო ყოფაში დამოწმებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველ წიგნში, ქართული სახვნელი იარაღების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული პროცესის

---

22 *ივ. ჯავახიშვილი*, დასახ. ნაშრ., იქვე.

23 *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 103.

24 *ივ. ჯავახიშვილი*, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV, გვ. 6.

25 *ც. ბეზარაშვილი*, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1974, გვ. 58-62.

26 *დაწერ. დ. გურეტაშვილი, ივანე ჯავახიშვილი*, თბილისი, 1949, გვ. 104 და შმ.

მიმოხილვისას, მკვლევარი სპეციალურ პარაგრაფს უთმობს ამ თემის ეთნოგრაფიულ ასპექტებს.[27]

სულიერი კულტურის ძველი ფორმების მსგავსად, იმ წლებში, ქართული ნივთიერი კულტურის ტრადიციული ფორმების, კერძოდ სახვნელი იარაღების ეთნოგრაფიული შესწავლის რეგიონალური სფეროც აღწერილობითი ხასიათის მასალებთან ერთად, რამდენიმე სპეციალური გამოკვლევით იყო შემოფარგლული. როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ სახვნელი იარაღების ისტორიის ამსახველი მონაცემები წერილობით წყაროებში მცირე რაოდენობითაა შემონახული და ხალხის ყოფაში დაცული მდიდარი მასალები ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველ წიგნში ისტორიკოსი[28] სინანდულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალები ამ თვალსაზრისით ჯერ სათანადო სისრულით შესწავლილი არ არისო.[29]

ქართული სახვნელი იარაღების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლების განხილვისას მკვლევარი სპეციალურად მიუთითებდა – ამ მიზნით წერილობით წყაროებში დაცულ და გადარჩენილ ცნობებთან ერთად თანამედროვე ეთნოგრაფიულ მასალებსაც უნდა დავემყაროთო. უნდა ანგარიში გავუწიოთ საქართველოს სხვადასხვა თემში დღემდე დაცული სახვნელის სხვადასხვა სახეობას, მათი აგებულების ნიშანდობლივ თვისებებს, მათ აღსანიშნავად ამქამად ხალხში მიღებულ სახელებს და მათი ნაწილებისათვის არსებულ ტერმინოლოგიასო.[30]

ცნობილია, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული მარტივი და რთული კონსტრუქციის სახვნელების დიდი მრავალფეროვნების გამო ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდა. ამ ფაქტს მკვლევარმა შესანიშნავი მეცნიერული ახსნა მოუპოვა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გავიხსენებთ, მაშინ ადამიანს არ გაუნელდება იმის გაგება თუ სახვნელი იარაღების ისტორიული განვითარების პროცესში ახალმა სახეებმა რატომ ვერ გამოდევნა მათი წინამორბედი ფორმები. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ერთსა და იმავე დროს მარტივი და რთული კონსტრუქციის სახვნელი იარაღების გამოყენება სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეზე კი არ მიუთითებს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, არამედ

---

27 **იუ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 163-169.

28 **იუ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

29 იქვე დასძენს რომ, ამჟამად მხოლოდ ერთადერთი ასეთი ნაშრომი მოგვეპოვება, სახელდობრ, აღმოსავლეთ საქართველოში აწინდელი სახნავი იარაღები გ. ჩიტაიას აქვს დაწერილებით აღწერილი ერთ პატარა, მაგრამ მშვენიერ მონოგრაფიაში, რომელსაც სათაურად ეწოდება „ეთნოგრაფიული მოგზაურობანი აღმულაღის რაიონში" (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 208-222). ამ ნაშრომში სახვნელის სხვადასხვა სახის სურათ-ნახაზებთან ერთად მათი აგებულება და სახელები ზედმიწევნით განმარტებული, კლასიფიკაციის ცდაც მოიპოვება და გენეზისის პრობლემაცაა განხილული. სამწუხაროა, რომ საქართველოს დანარჩენ თემებში გავრცელებული სახნავი იარაღების ასეთივე დაწერილებითი აღწერილობა ჯერ არავის შეუდგენიაო (რედ. თ.ც.).

30 **იუ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედების რაციონალურ ხასიათზე, როცა სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში სხვადასხვა თვისების მქონე ნიადაგების დასამუშავებლად სახვნელი იარაღების შესაბამისი ფორმები იყო ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებული და ამიტომაც ხშირად მარტივი და რთული კონსტრუქციის სახვნელები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა[31].

ამ დებულებას ივანე ჯავახიშვილი შემდეგნაირად ასაბუთებდა: საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში (მთა, ბარი, მაღლობი, ზეგანი, დაბლობი, ფერდობი, ვაკე და სხვ.) სხვადასხვა ნიადაგებია წარმოდგენილი. ამის[32] შესაბამისად ყანა ზოგან ღრმად უნდა მოიხნას, ზოგან ზედაპირულად, ზოგან მძიმე და ღონიერი სახვნელია საჭირო, ზოგან კი მსუბუქი და მარტივი აგებულების მქონეო. ამიტომაც სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით არამც თუ მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ხშირად შესაძლებელია საზიანოც კი გამხდარიყო ფხვიერი და ადვილად მოსახნავი მიწა რომ მიწათმოქმედს მძიმე გუთნით მოჭარბებულ სიღრმეზე მოვეხნა, ისევე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილუბრალოდ მეტი შრომა და ენერგია დაეხარჯაო.

საქართველოს ნიადაგების ასეთმა მრავალგვარობამ და ბუნების მრავალფეროვნებამ – განაგრძობს ისტორიკოსი, სხვადასხვა სირთულისა და სიმძიმის სახნავი იარაღი მას შემდგომაც, როცა ახალი, გაუმჯობესებული სახეობა გაჩნდა, არამც თუ ზედმეტად არ აქცია, არამედ სათანადო პირობებში მაინც აუცილებელი გახდაო. ამის წყალობით ერთსა და იმავე თემში, ზოგჯერ ერთსა და იმავე მეურნეობისათვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახვნელი იყო ხელმე საჭიროო. ამიტომ ცხოვრების სინამდვილემ ქართველ ხალხს სახვნელის განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამომხატველი და სხვადასხვა სირთულის მქონებელი სახეობა დღევანდლამდეც კი შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია და სასოფლო მეურნეობის კულტურის მკვლევარს დაკვირვებისა და შესწავლის საუცხოო ასპარეზი შეუქმნაო.[33]

კულტურის ელემენტების ასეთი თვალსაზრისით შეფასება ერთ-ერთი შესანიშნავი მონაპოვარია ივ. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიულ შტუდიებში საერთოდ.

ისტორიული განვითარების პროცესში კულტურის ელემენტების უწყვეტი მიმდინარეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოხსენებაში „გათხრები მცხეთა-სამთავროში", შენიშვნა, მცხეთაში 1938 წ. აღმოჩენილ თიხის სადღვებელთან დაკავშირებით. მცხეთის განათხარ მასალებში სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების ჭურჭლებს შორის უადრესად საყურადღებოა კარაქის სადღვებელი, რომლის მსგავსმა საქართველოს მთიანეთში და ნაწილობრივ ბარადაც XX საუკ. დამდეგამდეც კი მოაღწიაო. ჰიპოკრატეს ცნობის საფუძველზე ხის ჭურჭელში

---

[31] დაწერა. **ჭ ე ვ ე ბ ი ს ა ვ ე.** ივანე ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი კულტურული სამეურნეო ყაიშრატუთიერთობის შესახებ. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 2, გვ. 51.

[32] **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.**, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 173.

[33] **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძის რხევით კარაქის დღეების სკვითური წესის მოხსენიების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში თიხის სადღეებლის აღმოჩენას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს ჭურჭელი ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, V-ს-ზე გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის და ამასთანავე ნისა კი არა, არამედ გამძლე და უფრო გამოსადეგი, გამომწვარი თიხისგან არის გაკეთებულია. მაშასადამე, ქართველებს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში სკოდნიათ კარაქის დღვება, იმის და მიუხედავად, რომ საქართველოში ნიგვზის ზეთიც ძალზე იყო გავრცელებული და დასავლეთ საქართველოში უმთავრესად მას ხმარობდნენ[34].

კულტურის ელემენტების ასეთი მსგავსების ფაქტებს ივ. ჯავახიშვილი ხშირად სამუზეუმო კოლექციების შესწავლაზე ამყარებდა. ზემოთ იყო აღნიშნული, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი შინამრეწველობის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით საველე ეთნოგრაფიული მუშაობის პროცესში სიტყვიერი მასალის ფიქსაციასთან ერთად ხალხს ყოფაში შემონახული სამუზეუმო ნივთების შეგროვებას. ეს, ცხადია შემთხვევითი არ იყო. ივანე ჯავახიშვილი როგორც კულტურის ისტორიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული მეცნიერების განვითარებასა და მისი მონაპოვრების პოპულარიზაციაში სამუზეუმო საქმიანობას,[35] როგორც კოლექციების შეგროვებისა და დაცვის, ისე მათი მეცნიერული შესწავლისა და ექსპოზიციის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე იჩენდა სამუზეუმო კოლექციების, მათ შორის ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვებასა და მუზეუმის ფონდებში დაუნჯებაზე. განსაკუთრებითაა დავალებული ივანე ჯავახიშვილისაგან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სადაც ის 1931 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა, ჯერ მეცნიერ კონსულტანტად, შემდეგ კი ისტორიის განყოფილების გამგედ.

1937 წ. შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით, საქართველოს მუზეუმში მოეწყო შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის გამოფენა, რომლის ერთ-ერთი მთავარი სექტორის („ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორი") ხელმძღვანელობა მასვე ჰქონდა დავალებული. ამ გამოფენის მოწყობისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაში „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა"[36] ივ. ჯავახიშვილს ჩამოყალიბებული აქვს ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის ექსპოზიციის ძირითადი პრინციპები. პირველ რიგში განსაზღვრულია გამოფენის მთავარი თემა, (შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა), ქრონოლოგია XI-XIII სს. და სტრუქტურა (ლიტერატურა, ხელოვნება, ყოფა-ცხოვრება და მეურნობა). გამოფენის ეს ბოლო ნაწილი არსებითად მიზნად ისახავდა შოთა რუსთაველის ეპოქის ეთნოგრაფიული სინამდვილის ჩვენებას, უმთავრესად მატერიალური კულტურის დარგში. „ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა, წერდა ივ. ჯავახიშვილი, თოელი მაშინდელი

[34] *ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, მეხუთე გამოცემა, გვ. 463.

[35] დაწერ. *დაკით გურგენიშვილი*, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1949, გვ. 139 და შმ.

[36] *ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი*, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. თბ., 1956, გვ. 49-56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს"[37]. გამოფენამ უნდა. უჩვენოს მნახველს თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII სს., როგორი იყო მისი წესწყობილება... რას იცვამდნენ და იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭელეული ჰქონდათ, რა საბურნეო და საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მემინდვრეობას, მევენახეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა"[38]. ამ მიზნის მისაღწევად მარტო წერილობითი წყაროები არ კმარა და იმდროინდელი ნივთების ჩვენებაა აუცილებელი. მაგრამ XI-XIII სს. მატერიალური კულტურის ამსახველი სამუზეუმო ნივთები (საყოფაცხოვრებო საგნები, ტანსაცმელი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქოვილები, ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი და სხვ.) მეტად ცოტაა გადარჩენილი. სამწუხაროდო, განაგრძობს მკვლევარი, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში აშკარად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება, მხოლოდ ბერლინის ეთნოგ-ჰაუს-ში (იარაღების მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX ს. გატანილს, მანეკენზე ჩამოცმულს XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიან საუცხოო ანაკრებს[39]. ამიტომ იმდროინდელი აბჯრისა და ყოველგვარი საჭურვლის სურათები, ქოვილები, ტანსაცმელი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, სამკაულები და სხვ. ისტორიული კიდლის მხატვრობის და მინიატურების მიხედვით იქნება წარმოდგენილი. თან დასძენდა – ასეთი მასალა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის შესახებ უნდა იყოს გამოფენაზე ნაჩვენებიო[40]. მაშინდელი სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები ექსპოზიციაში ეთნობოტანიკური და ეთნოზოოლოგიური მონაცემების საფუძველზე უნდა იყოს ასახულიო[41]. ქართველი მნახველისათვის კარგად არის ცნობილი თუ რა დიდი წარმატება ხვდა თავის დროზე ამ გამოფენას[42].

სამუზეუმო კოლექციების შეგროვებასთან ერთად ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულად ზრუნავდა მათ დაცვაზე. თითოეულ სამუზეუმო საგანს განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმი ისეთი სამეცნიერო ლაბორატორია იყო, რომელიც მოწოდებულია ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგები გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაავრცელოს. მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილს მუზეუმთან აკავშირებდა არა მარტო ამგვარი ინტერესები.

საქართველოს მუზეუმს ის უდიდეს როლს აკისრებდა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი ფართოდ სახავდა მუზეუმის ამოცანებს და ამ ამოცანების შესასრულებლად იღვწოდა.

მისი შეხედულება საქართველოს მუზეუმის ამოცანებზე სცილდებოდა ჩვეულებრივ ტრაფარეტებს. მისი აზრით, საქართველოს მუზეუმი უნდა

[37] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. თბ., 1956, გვ. 49.
[38] დასახ. ნაშრ. გვ. 49.
[39] დასახ. ნაშრ. გვ. 49.
[40] დასახ. ნაშრ. გვ. 50.
[41] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 53.
[42] XI-XIII ს.ს. საქართველოს მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკვლევი. ალ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაქცეულიყო ისეთ დაწესებულებად, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ნოვანი კულტურის ისტორია იქნებოდა ასახული. ამ ამოცანის განხორციელება განსვენებულს სავსებით ორიგინალურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ კულტურის ისტორიის ეექსპოზიცია საქართველოს მუზეუმმა უნდა განახორციელოს ყოველგვარი შაბლონის გარეშეო და არა ისე, როგორც ამას ჩვეულებრივად ბევრ მუზეუმში აკეთებენ ხოლმე, არამედ თავისებურად. აქ ასახული უნდა იყოს შრომისა და კულტურის ისტორია შერწყმით, და როდესაც საქართველოს მუზეუმის მთავარ გამოფენაში ეს ასე განხორციელდება, მაშინ გამოჩნდება, თუ რამდენად მდიდარია, იშვიათი და თვალწარმტაცი საქართველოს კულტურის ისტორიაო[43].

ამ შესანიშნავ იდეას ივ. ჯავახიშვილი საჯაროდ იშვიათად თუ გამოთქვამდა. ისე კი ამ აზრს ელოლიავებოდა და მის განსახორციელებლად ყოველგვარ წინაპირობებს ჰქმნიდა. . . ოფიციალური გამოსვლების დროს მოკლედ მოჭრილი სიტყვით ეაყოფილდებოდა: საქართველოს მუზეუმს დიდი ამოცანები აქვს შესასრულებელი და დაუღალავი მუშაობა გვმართებსო. . .

ივ. ჯავახიშვილი მუზეუმის მთლიანი, კომპლექსური სახის შენარჩუნებას მოითხოვდა, მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. ამით იყო გამოწვეული აგრეთვე მოთხოვნილება, რომლის მიხედვით მუზეუმის სტრუქტურაში ნავარაუდევი უნდა ყოფილიყო პალეო-ბიოლოგიური და შინაური ცხოველების ქვეგანყოფილებები. ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა ივ. ჯავახიშვილი მუზეუმის პროფანატორებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ. იყო ეს ასე საქართველოს მუზეუმში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, თუ მუზეუმის მუშაკთა ყრილობაზე[44].

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა ეთნოგრაფიის განვითარებაში, ღრმა კვალი გაავლო ქართული მეცნიერების ყამირს და საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემა გაარკვია. მან ისტორიოგრაფიული ხასიათის კლასიკური ნაშრომები შექმნა, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად და იმ სახითაა გაკეთებული, რომ ამ საკითხზე წერა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ნიშნავს, როგორც იტყიან ხოლმე, ილიადის წერას ჰომეროსის შემდეგ.

1975 წ.

---

[43] ვ. ჩიტაია, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, ტ.XII, თბ. 1942, გვ. 281.

[44] ვ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა

მეტად შინაარსიანი და მრავალმხრივი იყო უდროოდ სიცოცხლეს მოწყვეტილი აკადემიკოსის **სიმონ ჯანაშიას** მოღვაწეობა. სტუდენტობის ხანიდან, თუ უფრო ადრე არა - სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ამ გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა და შესანიშნავმა პატრიოტმა თავისი ძლიერი ნებისყოფა, უშრეტი ენერგია და ნიჭი საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესწავლის საქმეს შეალია.

მკვლევრის მიერ თავიდანვე კარგად შერჩეული, სწორად გამიზნული და წინასწარ ყოველმხრივ შემზადებული თითოეული საკითხის, თემისა თუ პრობლემის დამუშავება აკად. ს. ჯანაშიას ხელში, მისი მარქსისტულ-ლენინური მომზადების, დიდი ერუდიციის, კრიტიკული ალღოსი და ფართო განზოგადების უნარის წყალობით ბრწყინვალე შედეგებს და მტკიცე დასკვნებს იძლეოდა.

იგი ერთადერთი იყო თანამოსაგრეთა შორის, რომელიც მაღალღირსების კეთილშობილურ თავაზიანობასა და საკვირველ სულგრძელობას ფლობდა.

ამავე დროს ს. ჯანაშია ერთადერთი იყო ჩვენს სამეცნიერო მოღვაწეთა წრეში, რომელიც ადვილად ახერხებდა ურთულეს საორგანიზაციო ვითარებაში გარკვევას და სასურველი შედეგის მოპოვებას. ის, რაც სხვებისაგან დიდ დროსა და შრომას მოითხოვდა, ამას ს. ჯანაშია მოკლე ვადაში დიდი შედეგით ახორციელებდა. ს. ჯანაშიას ახლო მეგობრებისა და ამხანაგების წრეში არა ერთხელ თქმულა, რომ ურთულესი სიტუაციის გარკვევაში, სწორი გეზის დასახვასა და ეფექტური შედეგის მიღწევაში სიმონ ჯანაშიას უთუოდ მეექვსე გრძნობა ზეველისო.

თავის დროზე ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველმხრივ და სათანადოდ იქნება გაშუქებული.

ამჟამად, ჩვენ გვინდა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ მხარეს შევეხოთ, რომელიც ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემას შეეხება. ამ პრობლემის დამუშავებას განსვენებულმა თავისი სიცოცხლის არა მცირედი დრო და ენერგია მოახმარა.

1

საბჭოთა მეცნიერება ეთნოგენეზის საკითხებში თავის ძირითად დებულებად აღიარებს, რომ ეთნოსი ისტორიული კატეგორიაა და არა ბიოლოგიური, რომ ყოველი ეთნიკური წარმონაქმნი არ არის მარადიული, უცვლელი და თავისი ძირითადი თვისებებით ერთსახეანი რამ, არამედ იგი, როგორც ყოველგვარი სხვა ისტორიული მოვლენა, წარმოიშობა, ვითარდება და გადადის ახალ ერთობლიობაში. ასევეა თანამედროვე ხალხებიც. მათ ტრანსფორმირებული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და შედარებით გვიანი ხანის წარმონაქმნი არიან. მათში სხვადასხვა ეთნიკური ერთეულია შერწყმული. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას თავისი ხარისხობრივად განსხვავებული და მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური წარმონაქმნი გააჩნია. ასე, მაგალითად, პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ტომი, ხოლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში ისტორიული პროცესის შედეგად ხალხი ნაციად ყალიბდება[1].

[1] **ა. ხ ტ ა ლ ი ნ ი**, შარჟაზმი და ნაციონალური საკითხი, თხზულებანი ტ. II. თბილისი 1947.

ამ თვალსაზრისის მიხედვით შეუძლებელია ვეძებოთ ქართველების წარმოშობა ისტორიის უძველეს ხანაში–პალეოლითსა და ნეოლითში, ისევე როგორც შეუძლებელია ქართველობა უცველი სახით წარმოვიდგინოთ მისი არსებობის ისტორიულ მანძილზე. ამის მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია გაირკვეს თუნდაც რომელიმე ეტაპზე ქართველების ჩამოყალიბების კონკრეტულ-ისტორიული პირობები[2].

ამ საკითხში ბურჟუაზიული მეცნიერები დიამეტრულად საწინააღმდეგო დებულებიდან ამოდიან. ისინი ემყარებიან რასიული უპირატესობის პრინციპს და ინდო-გერმანული წარმოშობილობის განდიდებას ემსახურებიან. მოვიყვანთ მაგალითებს. ერთი მათგანის, **ა. კარსტის** მიხედვით ქართველები წარმოშობით არიელები არიან, ვინაიდან ქართველები შეადგენენ არიელების იმ მაღალ ფენას, რომელიც გაბატონდა კავკასიის იბერებზე. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორი იშველიებს როგორც ლინგვისტიკურს, ასევე კულტურის ისტორიის მონაცემებს.

მისი აზრით ტერმინი „ქართველი" ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია ქარ || კარ, ხოლო მეორე-თველ || თუვალ || თუბალ || ტუბალ. კარსტის მიხედვით ქარ || კარ აღნიშნავს კარიელების ტომს, ხოლო თველ || თუვალ თუბალებს, ერთად კი ქართველი || კარიელ-თუბალს[3].

ამგვარი, სრულ უცოდინარობაზე დამყარებული, ეტიმოლოგიის წამოჯენების შემდეგ კარსტი აღნიშნავს, რომ მეტალურგიული კულტურის პირველი აღმომჩენნი და მატარებელნი აღმოსავლურ-არიელი ტომები იყვნენ, რომლებიც გაბატონებულ ფენას შეადგენდნენ წინა აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ავტორის ძირითადი დებულების მიხედვით ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი მხოლოდ არიელებს შეიძლება მიეწეროს და არა სხვა ვინმეს. რამდენადაც თუბალები შესანიშნავ მეტალურგებად ითვლებიან, ამიტომ ისინი და ქართველები კარსტის მიხედვით არიელები არიან[4].

კარსტის „დასაბუთებაში" სწორია მხოლოდ ის, რომ თუბალები ეს ოდინდელი ქართველი ტომი, მართლაც განთქმული მეტალურგები იყვნენ. მაგრამ, ცნობილია ისიც, რომ თუბალებთან ერთად მეტალურგიაში თავი ისახელეს ქართველების სხვა ტომებმაც. საერთოდ, ქართველ ტომებს ლიფონის დაუშავების მაღალი ხელოვნება ახასიათებთ. ეს ეხება როგორც ბრინჯაოს, ისევე და მით უფრო რკინას, ვერცხლსა და ოქროს. დავასახელებთ ამ ხელოვნების ზოგიერთ ხერხს: ჩამოსხმა მკვრივი და ღრუ, პასტის გამოჯენება, კვერცა და გრავირება, ფილიგრანი, სევადა და სხვა, რაზედაც მჭერმეტყველურად მიუთითებენ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი თუბალური და ურარტული XI-VII სს. ძვ. წ. ნივთები[5]. კარგად არის აგრეთვე ცნობილი ხალიბების მიერ მაღალხარისხოვანი ფოლადის დამზადება[6].

[2] **Читая Г.С.**, Этнографические исследования в Грузинской ССР, "Советская этнография", т. IV, Москва 1948.

[3] **Karst J.**, Urgeschichtliche Mittelmeervölker, Heidelberg 1931.

[4] **Karst J.**, იქვე.

[5] **Schachêrmeyer**, Die Yorgerschichte der Ethrusker, Wien 1928.

[6] **ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია**, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ. 1944; **ნ. რეხვიაშვილი**, წედლური ფოლადი, სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ სახელწოდება ქართველ-ს ქართველ-ენის გრამატიკული კანონების მიხედვით სულ სხვა ეტიმოლოგია აქვს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს კარსტის მიერ მოწოდებულ ფანტასტიკურ ახსნასთან. მაგვარადვე სახელწოდება თუბალ-ი ძველი ავტორების მოწმობით (იოსებ ფლავიოსი) და თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევების მიხედვით (**ს ვ ნ - მ ა რ ტ ვ ს კ ა ბ ვ რ ტ ი , მ ა ნ ა , ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , შ ა ნ ი ძ ე**, ხოლო ბოლო ხანებში განსაკუთრებით **ჯ ა ნ ა შ ი ა**) არის ქართველი იბერების სახელწოდება, სავსებით რეალურ-ისტორიული, არა ინდო-ევროპელი-არიელი ხალხისა.

ასეთივე არადამაკმაყოფილებელი თეორია ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ ეკუთვნის მეორე ინდო-გერმანისტს **ბ. ტ ე ბ ე ნ კ ო ვ ს ,** რომლის მტკიცების მიხედვით ქართველი ხალხის შემადგენლობაში ცხენოსანი ხალხის –მონღოლებისა და თურქების, ელემენტებია შერწყმული. ამ ავტორის დებულება ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ინდო-გერმანელი ხალხებისათვის დამახასიათებელია მიწისმოქმედება და მეურნეობაში ხარის გამოყენება, ხოლო თურქულ-მონღოლური ხალხებისათვის–მეჯოგეობა და უპირატესად მეცხენეობა. ავტორის აზრით ტერმინი საქართველო თავის პირველ ნაწილში უნდა შეიცავდეს საქ || საკ-ს, რაც ხალხის–საკ-ების სახელწოდებას აღნიშნავსო. ამდენად, ტებენკოვი ქართველ ხალხში საკებს–ცხენოსან ხალხს ვარაუდობს. ამ მტკიცებისათვის ის იშველიებს ქართულში ტერმინ „აზნაური"-ს არსებობას, რომელიც ასპ-აურს ე.ი. ცხენოსანს აღნიშნავსო. ცხადია, სიტყვა საქართველოს ტებენკოვისეული ეტიმოლოგია ყოველგვარ დამაჯერებლობას არის მოკლებული და ამდენად ქართველების საკებად წარმოსახვა მიუღებელია ისევე, როგორც მთლიანად ტებენკოვის თეორია ქართველი ხალხის არიელობის შესახებ[7].

ამავე ხასიათის მესამე თეორიას, ქართველები კავკასიაში შუა აზიიდან მოჰყავს შეხუთე-მეოთხე ათასეულში ძვ. წელთაცრიცხვით, სადაც ამ თეორიის ავტორს ქართველების პირვანდელი სამშობლო ეგულება და სადაც ქართველი ხალხი ყალიბდება არიელების მეზობლად. ამავე თეორიის მიხედვით ქართველები და არიელები მოძმე, მონათესავე ხალხია. ქართველებს თან მოაქვთ ლითონის საჭურველი, რომლის შემწეობით ბატონდებიან, როგორც კავკასიაში, ასევე წინა აზიაში. ამასთანავე ისინი არიან კავკასიაში პატრიარქალური წესწყობილების პირველი შემომტანნი. ავტორის აზრით პატრიარქატი ქართველების რასიული თვისებაა, ხოლო მატრიარქატი მათთვის უცხოა. ამის საფუძველზე ის ბრძანებს, რომ ჩვეულება – **კუკადა** ქართველებმა შეითვისეს წინა აზიისა არა იაფეტიანთა მოსახლეობიდან, ნეგროიდული ტომებიდან, ხოლო იგივე ქართველები წანარებში პატრიარქატს აბატონებენ[8], სპობენ მატრიარქატს.

წინააღმდეგ ზემოთ დასახელებული და მის მსგავსი თეორიებისა, **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა** ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხში მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან ამოდის და ძირითადად ქართულ ეროვნულ წყაროებს ემყარება. ამ საკითხის კვლევის დროს ს. ჯანაშიამ იმთავითვე ფართო გეგმა დასახა, ინტენსიური მუშაობა ჩაატარა, მრავალი ქართული თუ უცხოური

[7] **Т е б е н ь к о в М.**, На рубеже мифа и истории, Тифлис 1914.

[8] Zeitschrift d. Ethnologie, 1937 წ., 4-6 ნაკ., 1938, 1 ნაკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წყარო გამოიკვლია და ჩატარებული მუშაობის საფუძველზე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ახალსა და მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ამ პრობლემას მან რამდენიმე დიდი და მცირე მონოგრაფია უძღვნა, მათ შორის პირველ რიგში დასახელებული უნდა იყოს „თუბალ-თაბალი, ტაბარენი, იბერი" („ენიმიკის მოამბე" ტ. I, 1937.), „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცნაურისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ნათელზე" („ენიმიკის მოამბე" ტ. V-VI, 1940.), „კავკასიელ ეთნარქეპონიმების ანტიკური სქემა" (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, №4, 1943.), „ნერქეზული (ადიღური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიკაში" (საკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, 1940.), „ფსევდო-არსენი" (საქ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №6, 1940.), „აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის" („ენიმკის მოამბე", ტ. XIII) და სხვ.

ს. ჯანაშიას მიერ საკითხის შესასწავლად დამუშავებული გეგმა ითვალისწინებდა როგორც კვლევის ობიექტებს: ისტორიულ ცნობებს, ტოპონიმიკას, უძველეს მსოფლმხედველობას და მატერიალური კულტურის ნაშთებს.

ამ მრავალფეროვანი მასალიდან ს. ჯანაშიას მხოლოდ ერთი ნაწილის დამუშავება დასცალდა. მაგრამ ის, რაც დამუშავებულია, ავტორის ნიჭის მადლითაა გაშუქებული და ღრმა ანალიზისა და განზოგადების ბეჭედს ატარებს.

2

თავის ნაშრომში „**თუბალ-თაბალი, ტაბარენი, იბერი**" ს. ჯ ა ნ ა შ ი ა წერდა, რომ „ქართული კულტურის ფესვები ღრმად არის გადგმული შორეულ საუკუნეებსა და სივრცეებში. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერებს: **ფრ. პოშელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლეშან-ჰაუპტს, ლენორმანს,** აკად. **მარს,** აკად. **ტურაევს** და მრავალ სხვას არაერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრება, რომ ქართველი ტომები **შ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ს კ ა ვ კ ა ს ი ო ნ შ ი** იმყოფებიან წინაზიის იმ უძველეს მოსახლეობასთან (სუმერები, ხეთები, მიტანიელები, ხალდები და სხვ.), რომელმაც შექმნა საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები" (გვ. 185).

ს. ჯანაშია იქვე განაგრძობს: „მართლაც, ქართული კულტურის ისტორიულად მოცემული შედგენილობა ამქღაენებს ა ღ ნ ი შ ნ ე ულ ი კ ა ვ შ ი რ ი ს მრავალგვარსა და მრავალრიცხოვან ფაქტებს. ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა ამიტომ შეუძლებელია ამ კულტურის წყაროსთვალის (სათავის) ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე" (გვ. 185, ხაზგასმა ჩვენია, გ.ჩ.).

თავისთავად იბადება საკითხი რომელია ეს მრავალგვარი, და მრავალრიცხოვანი ფაქტები.

ამ ფაქტებს მკვლევარი პირველ რიგში ქართულ საისტორიო წყაროებში ეძიებს და ძველი წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს აკეთებს.

საკითხი ეხება ქართველების უძველეს გადმოცემას მათი წარმოშობის შესახებ, რომელიც დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ" მატიანეში. როგორც ცნობილია, ამ უძველეს ქართულ მატიანეს თავის პირველ-ორ კაბადონზე შემოუნახავს შემდეგი ცნობა (მოგვყავს მთლიანი თხრობის ერთი ნაწილი):

„ესე აზოდ წარვიდა არან ქართლად მამისა თჳსისა და წარმოიეკითხა ... სახელი და ათნი სახელნი მამამძუთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოდ ძჱ არან ქართველთა მეფისაჲ“[9].

როგორც ვიცით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი სხვადასხვა მკვლევართა მიერ მრავალგზის იქნა გამოცემული და ცხარე მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, განსაკუთრებით მატიანეს პირველ ორ გვერდზე მოთავსებული თხრობა, მაგრამ ამ პაექრობას დიდი შედეგი მაინცადამაინც არ მოჰყოლია. კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას. მატიანის სწავლულ გამომცემლებიდან არავინ არ ცდილა ტექსტის ზუსტ ამოკითხვაზე ეზრუნა, რომ პაექრობის საგანი ტექსტის უტყუარ მონაცემებზე ყოფილიყო დამყარებული. გამოცემებში ამ მიმართულებით მხოლოდ ერთადერთი დაკვირვება იყო წარმოებული, სახელდობრ, რომ ქართლის მოქცევის პირველი ორი პერგამენტის გვერდის ტექსტი, მელნის სიფერმკრთალის გამო, განახლებულია მერმინდელი ხელით და, რომ შემოწმება ამტკიცებს ამ განახლების ზუსტად და წესიერად შესრულებას-ო.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა პირველყოვლისა ტექსტის ამ მხარეს აქცევს ყურადღებას და ზუსტი, სკრუპულოზური მუშაობის შედეგად არკვევს, რომ „განახლება გამოიხატა (ორი გვერდის) მთელი ტექსტის ხელმეორედ დაწერაში, ძველის ზემოდან, უფრო მუქი მელნით. განახლების მიზეზი ყოფილა არა სხვა რაიმე დეფექტი ხელნაწერისა, არამედ მხოლოდ ძველი ტექსტის მელნის სიმკრთალე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ძალიან ხშირად იკითხება ძველი ტექსტიც იმიტომ, რომ ძველი და ახალი ასოები ყოველთვის ერთმანეთს არ ფარავენ, თუმცა განმაახლებელი მისდევდა ძველად დაწერილის კვალს. უფრო საყურადღებოა ის გარემობა, რომ განმაახლებელი შეუცვლია ძველის ორთოგრაფია და ზოგიერთი „საკითხავები“. ასე მაგ., აშკარად ჩანს, რომ ძველს ტექსტში ეწერა აზოს ღმერთებიდან მეორე კერპის სახელად „გა“, ხოლო ფორმა „გაიმ“ განმაახლებელს ეკუთვნის[10].

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელი ფაქტის დადგენას, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ **ნ. ბ ა რ ი** თავის ნაშრომში „წარმართული საქართველოს ღმერთები“ ამოდიოდა კერპის სახელწოდებიდან გაიმ. მან ამ სიტყვის დაბოლოება იმ ებრაული მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლად ჩათვალა და ამის საფუძველზე ღვთაების სახელი, შეთხზული განმაახლებლის მიერ, ქართულში მწიგნობრული გზით შემოსულ ფორმად მიიჩნია, ხოლო ქართველების ერთი ეროვნული ღვთაებათაგანი უცხოელების პანთეონს მიაკუთვნა[11].

მეტად საყურადღებოა ის გარემობა, რომ **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს** „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პირველი-ორი გვერდის განახლების თარიღიც დადგინა. მაგრამ მთავარი, რაც მან ამასთან დაკავშირებით გაარკვია, ის არის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში განმაახლებელს სამიდან ორ შემთხვევაში საკითხავი „არიან“ დაუტოვებია უცვლელად ძვ. ტექსტის მონაცემების მიხედვით, ხოლო ერთ შემთხვევაში დაუწერია „არან“.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ძეგლის ყველა გამომცემელს რატომღაც უპირატესობა მიუნიჭებია გადამწერის მიერ შეთხზული ხელოვნური ფორმისათვის „არან“ ამასთან დაკავშირებით ამგვარი შეცდომა მით უფრო გაუგებარია,

---

[9] **ჯ თ ა ვ ა ი შ ვ ი ლ ი**, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890.

[10] **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 647.

[11] **M a p p Н.Я.**, Боги языческой Грузии, Зап. Вост. Отд. РАО, ტ. XIV, ნაკ. I, გვ. 21-22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მოუვიდა ძეგლის ყველა გამომცემელს და მათ შორის იმასაც, ვინც სხვა ედავებოდა ძეგლის სწორად წაკითხვაში.

ამის საფუძველზე ს. ჯანაშია სავსებით სამართლიანად უკუაგდებს ფორმას „არან", როგორც სრულიად მცდარს და გაუგებრობის საფუძველზე აღმოცენებულს და მის მაგივრ შემოაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ძველი წაკითხვა „არიან". იგი მატიანის ამ თხრობას ასე აღადგენს:

„ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართველად, მამისა თჳსისა და წარმოიეყვანა რვაჲ ხახლი და ათნი ხახლნი ძმა-შჳილთანი და დაჯდა ბუელ მცხეთას. და თანა ჰეუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და ეა. და ესე იეო პირველი მეფემ მცხეთას შინა-აზოი, ძმ არიან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა"[12].

ს. ჯანაშია მის მიერ შედგენილი ტექსტის შესახებ შენიშნავს, რომ „თხრობა შეიცავს ისეთი გადმოცემების ელემენტებს, რომელნიც პირველი გაცნობისთანავე მკითხველში გარკვეული ნდობის გრძნობას იწვევენ, ხოლო მათი ჩაღრმავებული ანალიზი კიდევ აქ ძველი ტრადიციის ნაკვალევს აღმოაჩენს"[13]. ეს ელემენტებია, ერთი მხრით, ცნობა გადმოსახლების შესახებ, ხოლო მეორე მხრით, ცნობა აზოს მცხეთაში სამეფო ტახტზე ასვლის შესახებ.

ზუსტი და ყოველმხრივი ლინგვისტიკური კვლევა-ძიების საფუძველზე გარკვეულია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" **ა რ ი ა ნ** მსაზღვრელი სიტყვაა, რომელიც ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების სახელს მიემართება, ხოლო სინტაქსური წყობის მიხედვით, „არიან" და მისი მომდევნო სიტყვა ერთად კომპოზიტს შეადგენს. ამიტომ ეს ორი სიტყვა ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დეფიზით უნდა იწერებოდეს. საერთოდ კი მატიანის ავტორის თავური აზრი ის არის, რომ მკითხველი დაარწმუნოს ისტორიული ქართლის გარდა სხვა ქართლის სხვაგან არსებობაში. ამ ორი ქართლის გასარჩევად მატიანის ავტორს, ცხადია, სპირდებოდა მსაზღვრელი სიტყვა. ამ მიზნით მან გამოიყენა სიტყვა „არიან".

ბუნებრივად იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა გაირკვეს არიან–ქართლის ე.ი. უძველესი ქართლის ადგილ-მდებარეობა და „არიან ქართლის" არსებობის დრო.

მაგრამ ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მეცნიერული სიფრთხილე მოითხოვს შემოწმდეს რაიმე გზითა და ხერხით „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანის ცნობის ისტორიული სინამდვილე და მისი სიძველე. ხომ არ არის შესაძლებელი სხვა წყაროებში გადმოცემის სინამდვილის მხარის დამჭერი და მისი გამამართლებელი საბუთის მოძებნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ქართული უძველესი გადმოცემის მეცნიერული ანალიზის საკითხში, **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა** ამ შემთხვევაშიც შესანიშნავ შედეგებს აღწევს. მისი კრიტიკული ანალიზის უნარი სამეცნიერო კვლევის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს.

ს ა ბ უ თ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ს. ჯანაშიას მიხედვით ამ გადმოცემის სიძველეს ამტკიცებს ის გარემოება, რომ ამ გადმოცემას არ იცნობს სომხური და ალბანური მწერლობა მაშინ, როდესაც ქართულმა იგი ორიგინალური ფორმით ისეთ ძველ ძეგლში დაიცვა, როგორიც არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელიც ს. ჯანაშიას აზრით დაწერილია არა უგვიანეს VII საუკუნისა[14].

12 **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 648-649.

13 **იქვე**, გვ. 650.

14 **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა**, კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სჯმა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, 4, 1943.

სამუშაო მეორე. გადმოცემის სიძველეს ადასტურებს აგრეთვე ისტორიულად დამოწმებული (ქართულ და სომხურ წყაროებში დადასტურებული) ქართლის გეოგრაფიული დანაწილება, რომელშიც მოცემულია სახელწოდებანი „ზენა სოფელი", „ზემო ქვეყანა" და „შიდა ქართლი". ს. ჯანაშიას გარკვეული აქვს, რომ ზენა სოფელს შემდეგში სცვლის სახელწოდება შიდა ქართლი. ამით დასტურდება, რომ ქვეყნის ადრინდელი უკიდურესი ნაწილი ზენა სოფელი შემდეგში ქვეყნის ცენტრში მოექცა. ეს გარემოება ეჭვმიუტანლად გვაკარაუდებინებს, რომ პირველ შემთხვევაში საზოგადოებრივ-კულტურული კოლექტივის ამოსავალი საორიენტაციო პუნქტი, ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრები სამხრეთით მდებარეობენ, მცხეთისა და თბილისის ქვეშოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამით მოპოვებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი, ახალი დებულება ქართველების ეთნოგენეზის კვლევის საქმეში, სახელდობრ: ქართველების პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების გადმონაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთით. რომ სახელწოდება „ზენა სოფელი" უფრო ძველია, ვიდრე „ზემო ქვეყანა" და „შიდა ქართლი" ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ზენა სოფელი" მოხსენებულია მხოლოდ ძველ ძეგლებში[15].

სამუშაო მესამე. ს. ჯანაშია პირველი აქცევს ყურადღებას და იკვლევს ბერძნულ-რომაულ გადმოცემას კავკასიის ეთნარქების შესახებ, იმის შესახებ, რომ იასონმა თესალიელ არმენთან ერთად თავისი მოგზაურობის დროს გაიარა კოლხიდა, იბერია, ალბანია, არმენიისა და მიდიის ბევრი ნაწილი, რასაც მოწმობს ამ ქვეყნებში იასონის სახელზე აგებული სალოცავები და მრავალი სხვა ძეგლი. თქმულების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იასონი სასპერიტიდას ანუ სპერისა და აკილისენეს ეთნარქია. ეს პროვინციები ძველთაძველი და მშობლიური თემები იყო იბერებისა.

ამასთანავე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი გადმოცემის არსებობა, რომელიც იბერების წინაპრად ასახელებდა იასონს ან ამ სახელის მსგავს სახელის მატარებელ ეთნარქს. საკითხი იმის შესახებ ეს გადმოცემა, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტებში ვიცნობთ ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებიდან (**ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი და ტაციტი**), ბერძნებმა და რომაელებმა კავკასიელებისაგან შეითვისეს, თუ პირუკუ, ეს იგივე არგონავტების თქმულებაა, ბერძნებისაგან შეთვისებული კავკასიელი ხალხების მიერ პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; ვინაიდან „ბერძენი ყაჩაღი იასონი, რომელმაც მოიტაცა კოლხების უდიდესი განძი და კოლხეთის მეფის ასული, ცხადია, ვერ გახდებოდა ეთნარქი ადგილობრივი ხალხის თვალში"[16].

ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ონომასტიკონის მსგავსება გვაქვს იასონისა და აზოსა და არიანისა და არმენის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-რომაული გადმოცემა გასაოცრად ემსგავსება ძველ ქართულ გადმოცემას არიან–ქართლის მეფის ძის აზოს ისტორიული ქართლის ეთნარქის შესახებ. კიდევ მეტიც: გადმოცემა ქართველთა ჩამომავლობის შესახებ

---

[15] **ს. ჯანაშია**, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, „ენიმკი"-ს მოამბე, ტ. XIII.

[16] **ს. ჯანაშია**, კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, 4, 1943 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო მსგავსების მქონე ქართლის მოქცევის თხრობასთან აზოს შესახებ, ძველი და ფართოდ გავრცელებული ადგილობრივი ტრადიცია იყო. ამ თქმულების სხვადასხვა ნაწილს ბერძნები უკვე VI-VII საუკუნეებში ეცნობიან და ამ ქართული თქმულების გაბერძნულება თანდათან იზრდებოდა. შემდეგში ეს თქმულება ლიტერატურული გზით საბერძნეთიდან საქართველოში შემოდის უკუქცევითი გზით, რომლის ანარეკლი ლეონტი მროველის აზონი მაკედონელია, ქართლის მოქცევის აზოსა და არგონავტიკის იასონის კონტამინაციის შედეგი[17].

ამგვარად, „ქართლის მოქცევის" გადმოცემა **უძველეს ხანას ეკუთვნის, ადგილობრივი წარმოშობილობისაა და მასში დაცული ცნობები ისტორიული ღირებულების მქონეა.**

რაკი ეს ასეა, იბადება კითხვა, რა რეალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სახელს არიან-ს. აკად. ს. ჯანაშია არიან-ს ჰყოფს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველია **არ ი**, ხოლო მეორე–სუფიქსი **ან-ი**. ეს უკანასკნელი ერთი უძველესი სუფიქსთაგანია ქართველურ ენებში, როგორც ეს გაარკვია ს. ჯანაშიამ[18] ის აკეთებს ზედსართავსაც, როგორც მაგ., ყიციანი (ყითელი) და შემკრებლობით ეთნიკურ-ტოპონიმიკურ კატეგორიის სიტყვებსაც: არტა-ანი, ტიბა-ანი და სხვ.. ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ამათგან რომელი მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ არიანის -ან სუფიქსში გადასაწყვეტად ძნელია, რადგან საჭირო მასალა ამჟამად ჩვენ არ მოგვეპოვებაო.

რაც შეეხება სიტყვა **არი**-ს, ამის დაახლოებას ისტორიულად ცნობილ ხალხთან **ხარი || ჰარი**-თან არაფერი დაუშლის ხელს, მით უფრო რომ ფუძე ამ სახელებში ერთი და იგივეა, **თუ ხ || ჰ**-ს დაკარგვას შესაძლებლად მივიჩნევთ. ამ უკანასკნელ შესაძლებლობას ადასტურებს ის გარემოება, რომ ასურულ ლურსმულ ტექსტებში „არი" ფორმაცაა მოცემული ხალხის სახელწოდებად[19].

ამით ჩვენ მივაღწიეთ ფრიად საინტერესო საკითხს იმის შესახებ თუ ვინ არიან **ჰარი || ხურები**.

3

ჰარი || ხური ქვეყნები ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის პირველ ნახევარში არიან ცნობილი წინა აზიაში. **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს** აზრით ამ სახელს, შესაძლებელია, რამდენიმე ფორმა ჰქონდა უკვე სხვადასხვა ენობრივი წრეების მიხედვით ისევე, როგორც გვაქვს თაბალ-თუბალ-ტიბარა-იბერ, ურარტუ-არარატ-ალარიდი **„ა რ ი ც"** საყურადღებო ფორმაა. იგი ხალდი- ალდის მოგვაგონებსო[20].

ჰარული-ხურული ენა მკვეთრად განსხვავდება წინა აზიის ყველა ცნობილი სემიტური და ინდოევროპული ენებისაგან. ხური ენა თითქმის მთლიანად ეიგივება მიტანი ქვეყნის არა არიულ ენას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მიტანის მეფის ტუშრატას გრძელი, ეგვიპტეში, ტელ-ამარნაში ნაპოვნი წერილიდან. მიტანის სახელმწიფო ერთ-ერთი ქვეყანაა მრავალი ხური ქვეყნებიდან.

---

17 **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ,** კაკასიელ ეთნარქ-ეპონიმების...

18 **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ,** თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, თბილისი 1937.

19 **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა** , უძველესი ეროვნული ცნობა.

20 **ი ქ ჯ ჯ**

საყურადღებოა, რომ ხური ქვეყნების ფარგლებში სამი მნიშვნელოვანი მხარე შედიოდა: მიტანელების სახელმწიფო, ხური ქვეყანა ვიწრო გაგებით და სირია. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელი **ხური**-ს მეშვეობით აღინიშნება საერთოდ ხური ქვეყნებისა და განსაკუთრებით **მიტანი** ქვეყნისა და ხალხის ენა. ვიწროდ გაგებული **ხური** ქვეყნის ცენტრი **ჯანას ტბა** და მისი სანახებია.

მართლაც, ვანისა და დავანის ტბის აუზის პროვინცია წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ერთიან მუზეუმს ხურიტული სახელებისა და ძეგლებისას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საკუთრივ ხურიტების ქვეყანა გადაჭიმული იყო ევფრატიდან კავკასიონის ქედამდე და კასპიის ზღვამდე. ამასთანავე არსად დასავლეთ აზიაში ისტორიული ტრადიცია ისე არ იყო მტკიცე, როგორც ხურების ქვეყნებსა და ქვეყანაში, რაც იმას ამტკიცებს რომ ჰურები ამ ტერიტორიის ავტოხტონური უძველესი მოსახლეობაა, რომ ხური ადგილობრივი სახელწოდებაა[21].

მიტანსავე უდრის შემდეგი ხანის ასურული სახელწოდება **ნაირი** ქვეყნები. როგორც ცნობილია, მრავალი **ნაირი**-ქვეყნის შეერთების ნიადაგზე წარმოიშვა ურარტუ. ზემოთქმულს დავსძენთ, რომ მიტანის აღმოსავლეთის საზღვარი ერთ დროს დაახლოებით ბითლის-სუსთან არის საგულვებელი.

მეცნიერებაში მიღებულია ის დებულება, რომ ურარტუს სახელმწიფოში ადგილი აქვს ხურიტების ადგილების ხანიდან მომდინარე პოლიტიკური ტრადიციების განახლებას, რაც ახალ საბუთს გვაძლევს ვანის ტბის ქვეყანა ძველ ხურულ ქვეყნად მივიჩნიოთ (**გოლტცე**).

ყოველივე ამასთან ერთად **ს. ჯანაშია** „ქართლის მოქცევის" არიან-ის რეალურ მნიშვნელობის გარკვევისას, სტრაბონის მიერ დასახელებული ქვეყნის სახელწოდებას „არიანას" იგონებს, მას თავისი დაკვირვების საგნად ხდის და რიგი მოსაზრებების წამოყენების შემდეგ ასკვნის: „**როგორც არ უნდა გადაწყდეს „არიანას" საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართლის მოქცევის თხრობის არიან-ქართლი წარმოადგენს მოგონება პარი-ქეყეანის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია ოგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც. ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც, როგორც ვნახეთ, პარი-ქეყეანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც**"[22].

ს. ჯანაშია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ურარტუს ქვეყნის შიგნით მწვავე პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა უფროსობისისათვის. როგორც ცნობილია, ურარტუ თავის დროზე ხური ქვეყანას შეეცალა. ამ დროს ურარტუს გარდა ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფო მანა იყო. გეოგრაფიულად ეს მხარე საკუთრივ ურარტუსაგან (ვანის ტბის რაიონი) ჩრდილოეთით მდებარეობდა არაკსის ხეობაში. მანას სამეფოს სუბიც ეწოდებოდა, რომელიც „სუბარ", „სუბარ-ეთიდან" მომდინარე ჩანს. აღსანიშნავია, რომ სუბი ისევე განთქმულია მეცხენეობით, როგორც მიტანი იყო (შდრ. კიკული მიტანიელის ნაშრომი ცხენის მოვლისა და წრთვნის შესახებ)[23]. დაკვირვებული მკლევარი[24] ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მანა-

[21] "**Georgia**", 4, London, 1937.

[22] **ჯ**ანაშია **ს.**, უძველესი ეროვნული ცნობა.

[23] **H. Potratz**, Pferd in d. Fruhzeit, Rostock 1934.

[24] **ჯ**ანაშია **ს.**, უძველესი ეროვნული ცნობა, გვ. 677.

სუბის სამეფო-საგვარეულო სახელი **აზა-აზუ** || **აზა** ყოფილა, რაც მოგვაგონებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თხრობის აზოს, არან-ქართლის მეფის შვილის სახელს.

მკვლევარი არ კმაყოფილდება მიღწეული შედეგებით და კვლევა-ძიების ასპარეზი შომდევნო საუკუნეებზე გადმოაქვს.

ირკვევა, რომ არაქსის სათავეებში შემდეგ ხანაში მატიენები || მიტანიელები ცხოვრობენ, ხოლო სუბი || მანას ნაცვლად VI-V საუკუნეებში სასპეირები ჩნდებიან. მათ უჭირავთ ევფრატის სათავეები და არზუმის მხარე მიახლოებით ერზინჯანამდე, ჭოროხის აუზის ზემო ნაწილი, არაქსის აუზის მთელი ზემო და შუა წელი და მერმინდელი იბერიის (საკუთრივ ქართლის) უმნიშვნელოვანესი ნაწილიც. ავტორი[25] ფიქრობს, რომ სასპეირების ბატონობა შეიძლება კავკასიონამდეც აღწევდა. ამავე ხანაში დამოწმებული არიან ალაროდიელები, რომლებიც ადრინდელ ურარტელებს შეესაბამებიან, ხოლო სტრაბონის მიერ მოხსენიებული სასპირიტიდასა სპეირების უკიდურესი სამხრეთი მხარე, უკვე სხვას ეკუთვნოდა.

მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ სასპერ-საბირების ჩამომავალნი იბერები ამ დროს თავის ძველ მამულზე ისხდნენ, რომელიც მეზობელმა სახელმწიფომ საბერ-იბერების სამყაროს მოსწყვიტა მეორე საუკუნის დამდეგს ძვ. წელთაღრიცხვით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ საკუთარ ქართულ ანუ იბერიის სამეფოს, მაინც შეინახეს თავისი ინდივიდუალურობა ორი საუკუნის განმავლობაში. ეს გარემოება ახალი საბუთია სასპეირ-იბერების გაიგივების სასარგებლოდ[26]. ამგვარად, შეიძლება ძალდაუტანებლად ითქვას, რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობის აზო თავის უშუალო დასაყრდენს პოულობს სწორედ სუბი-მანას მერმინდელ საბერ-სასპეირების რეალურ ისტორიულ სინამდვილეში. ტრადიციის უწყვეტელობა გასაოცარი სიცხადით ჩანს. ამიტომ ქართველების უშუალო წინაპრად უნდა მიჩნეულ იქნას თაბალ-თუბალ იგივე სუბარი. სუბარების ეთნიკური ერთობლიობა ყალიბდება ტბის პირის მთიანეთის-ტიგროსისა და ევფრატის სათავეების სამხრეთ დასავლეთით და ჭოროხის აუზისა და კაპადუკიის სამხრეთ აღმოსავლეთს შორის.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ **ს. ჯანაშია** მიერ მოპოვებულ შედეგს ქართველების ეთნიკური წარმოშობილობის შესახებ დადებითად უპასუხებს საბჭოთა ანთროპოლოგის პროფ. **ჯ. ბუნაკის** მიერ ანთროპოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები. ვ. ბუნაკი არკვევს, რომ საკუთრივ კავკასიური, ანუ პრაქართული რასა, რომელიც დღეს დასავლეთ-ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ ჩრდილო-კავკასიაში, უმთავრესად თერგის აუზში მოსახლეობს, ისტორიულად სამხრეთით, არაქსისა და ჭოროხის შუა მდებარე ტერიტორიაზეა წარმოშობილი პონტო-ზაგროსის ტიპის მოსახლეობასთან უახლოეს მეზობლურ კავშირში[27].

უნდა ისიც ითქვას, რომ კ. ლემან-ჰაუპტს დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე აქვს ნაგულისხმევი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება. მისი შეხედულებით, ქართველი ხალხი წარმომდგარა ქსენოფონტეს მიერ აღწერილი კარდუხების,

[25] **ს. ჯანაშია**, დასახ. ნაშრ., გვ. 687.

[26] **ს. ჯანაშია**, დასახ. ნაშრ., გვ. 687.

[27] **Бунак В.**, Антропологический состав населения Кавказа, Москва 1946, (ხელნაწერი). პროფ. **ჯ. ბუნაკს** მადლობას მოვახსენებ ხელნაწერით სარგებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხებისა და ხალდების შერწყმით. ლემან-ჰაუპტი თავისი აზრის დასაბუთებლად ემყარება სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიის საზღვარი ტიგრანოკერტის მახლობლად მდებარეობდა. ავტორის მიერ დასახელებული სტრაბონის ცნობა სანდოდაა მისაჩნევი, რამდენადაც ის დამყარებულია ისეთ პირველ წყაროზე, როგორიცაა ლუკულის აღწერილობა, რომელიც ავტორიტეტულ და სანდო მწერლად ითვლება. ლემან-ჰაუპტის მტკიცებით, აქაური სამხრეთელი ქართველ-კარდუხები ალექსანდრე მაკედონელის დროს ჩრდილოეთით დაიძრნენ, რაც ქართული მატიანის ტრადიციას კარგად ეთანხმებაო. მისივე მტკიცებით ტერმინი კარდუხი ქართველის შესაბამისია, ოღონდ მასში ხ მრავლობითობის მაჩვენებელი სომხური ნიშანია[28].

ამ მონაცემების საფუძველზე ლემან-ჰაუპტი ადგენს, რომ ქსენოფონტეს „ანაბაზისში", სახელდობრ, მის ანგარიშში კარდუხების ქვეყანაში ჩატარებული შვიდდღიანი მარშის შესახებ უნდა იყოს მოცემული ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი უძველესი თავი. ქსენოფონტეს მიხედვით ეს ხალხი თავისუფლების მოყვარულია. მან არ იცის პირის გატეხა, ეკონომიკურად ძლიერია, აქვთ კარგი სახლები სურსათ-სანოვაგით სავსე, ბევრი ღვინო, რომელსაც უწყლოდ სვამენ და ღვინის ქვევრები. მათ აქვთ საკუთარი საომარი ხერხები; კარგად იციან ისრისა და შურდულის ხმარება, ჩვეულებად აქვთ ბრძოლის დროს სიმღერა, ქალები ლამაზები არიან. რაც შეეხება მესხებსა და ხალდებს, პირველნი ლემან-ჰაუპტს VI ს. ძვ. წელთაღრიცხვისა ფრიგიიდან მოჰყავს საქართველოში. მისივე აზრით, მათი მაღალი ფენა ინდოევროპული წარმოშობისაა. ასევე, ხალდებიც ლიკიიდან მოდიან და მათშიც გაბატონებული ფენა ინდო-გერმანულია.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ **ლ ე მ ა ნ-ჰ ა უ პ ტ ი** ქართველების ფორმირების ტერიტორიის განსაზღვრის საკითხში მართებულ დებულებას იცავს, მაინც მიგრაციის თეორიისა და მაღალი ფენის ინდო-გერმანულობის გარეშე საკითხის გადაწყვეტა არ ძალუძს. ის ქართული ისტორიის ტრადიციას 2 v ეj ქართლისაას" ალექსანდრე მაკედონელის ეპიზოდში ვარაუდობს. თუ ჩვენ **ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს** კონცეფციას ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ, ლემან-ჰაუპტის შეხედულებას ამავე საკითხზე, თუნდაც ზერელედ, შევადარებთ, ადვილად დავრწმუნდებით–რამდენად მდიდარია ს. ჯანაშიას არგუმენტაცია, რამდენად თანამიმდევრულია მისი კონცეპციის ძირითადი დებულებები, რამდენად კრიტიკულია მისი დამოკიდებულება წყაროებისადმი და შესანიშნავი პირველწყაროების ანალიზი. ამის საპირისპიროდ ლემან-ჰაუპტის შეხედულების საბუთიანობა ღარიბია და სუსტი.

ყოველივე იმის შემდეგ რაც ითქვა, ჩვენ წინაშე დგება საკითხი როდის უნდა მომხდარიყო ქართველი ხალხის ჩამოყალიბება და რამ შეუწყო ხელი ამ პროცესს.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს არ დასცალდა ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემა ისევე როგორც, არ დასცალდა მას ხური წრის ხალხთა ენობრივი მემკვიდრეობის ისტორიული შესწავლა, მათი მსოფლმხედველობის შედარებითი ანალიზი და მატერიალური კულტურის ნაშთების კულტურულ-ისტორიული ღირებულების გარკვევა. რაც შეეხება ქართველი ხალხის წარმოშობის დროს, თუ ჩვენ ამოვალთ ს. ჯანაშიას კონცეპციის ძირითადი საფუძვლებიდან, უნდა ვივარაუდოთ ბრინჯაოს ხანის დასასრული და რკინის ხანის დასაწყისი.

---

[28] C. Lehmann-Haupt, "Georgia" 1937, London.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პერიოდში მოცემულია ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, როდესაც ყალიბდება ამ ხალხისათვის დამახასიათებელი კულტურის თავისებურებანი; ეს არის ამჟამადჩვენთვის გარკვეული შემდეგი მონაცემებით: **მიწისმოქმედებაში რკინის სახნისი და ვარაუდით რკინის საკვეთელიც, სახვნელი იარაღი სათესი აპარატით, შერეული თესლის გამოყენება მოსავლის გადიდების მიზნით, კვერი, წყლის წისქვილი, ღვინის დაყენებისა და შენახვის წესები (დიდი ქვევრები), კარაქის დამზადება; ლითონის დამუშავებაში - ნამოსხმა, გრავირება, ფილიგრანი, მოოქყა, კვერვა, ხვევადა; გამოქვაბული ქალაქები, კვადრატული სახლი შუაეცეცხლით, მატრიარქატის გადმონაშთები, ხარის კულტი, ქვა - თეკზები- „ვეშაპები“**[29], **ამირანის ლეგენდის ახალი ფენა, ჭაბანთან და რკინასთან დაკავშირებული**[30].

როგორც ითქვა, **ს. ჯანაშია** ვერ მოასწრო ქართველი ტომების, ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ პრობლემა ყოველმხრივ გაეშუქებინა და თავისი კონცეფცია საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა. მაგრამ ის, რაც ამ კონცეფციისათვის ძირითადი და მთავარია გაკეთებულია და რაც გაკეთებულია, ისეთ მყარ ნიადაგზეა აგებული, რომ ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების ბრწყინვალე მონაპოვარს შეადგენს.

1950 წ.

---

[29] როგორც დამტკიცებულია ვეშაპი ჰარული-ხურული სიტყვაა, რომელიც ხურულად იწერება ფა-სტი-ი-შა-აპ-პი || პი-შა-სა-აპ-პი (**Bleishteiner**).

[30] **Читая Г.С.**, Этнография Грузии, ч. I. (ხელნაწერი), 1946.

საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ[1]

საკითხი, რომელიც ჩვენი დისკუსიის საგანს შეადგენს შეეხება კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობას საქართველოში. ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლა, რომელიც ეხება ქვეშ აფენს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოში სახელმწიფოს არსებობას, მე უმართებულად მიმაჩნია, მითუმეტეს თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემების შემდეგ. პირველ რიგში მე მხედველობაში მაქვს ეპიგრაფიული ძეგლები, რომელთა მონაცემები უკვე აშკარას ხდის სახელმწიფოს არსებობას. ამ ძეგლებში მოხსენიებული სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი პირი **რან-დარჯან ეპიტროპი**, ეზოსმოძღვარია. რამდენადაც სავსებით დამაჯერებლადაა გარკვეული, რომ ამ სახელწოდებით მეფის კარზე მოქმედი პირი სამეფო ქონების მცველია, ამდენად ის

[1] შენიშვნა: მოხსენება წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხმეის და თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე 1954 წ. 30 დეკემბერს, სადაც ჩატარდა დისკუსია საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე. სპეციალური მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ქართველთა ეთნოგენეზის (ქართველი ხალხის წარმოშობის) საკითხებმა, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხს. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერთანამშრომლებმა: მ. ლორთქიფანიძემ, შ. მესხიამ, ნ. ხოშტარიამ, ზ. ანჩაბაძემ, დოც. ო. ჯაფარიძემ, დოც. დ. გვრიტიშვილმა, საკავშ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, საკ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ, დოც. მ. ალექსიშვილმა, ისუ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგემ პროფ. ი. ტალახაძემ, საქ. ცენტრ. სასისტორიო არქივის მეცნ. თანამშრ. პროფ. ს. კაკაბაძემ და სხვ. სხდომაზე გამოითქვა აზრი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების კვლევის საქმეში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის უარყოფის (ი. ტალახაძე) და შეუფასებლობის (ს. კაკაბაძე), საქართველოში მონათმფლობელური წყობილების არსებობის უარყოფის და ანტიკური ხანაში საქართველოში გვაროვნული წყობილების დასაბუთების ცდაში (ი. ტალახაძე).

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის გარკვევისათვის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მნიშვნელობაზე მიუთითეს: შ. ამირანაშვილმა, ა. აფაჩიძემ, ო. ჯაფარიძემ, გ. მელიქიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, გ. ჩიტაიამ. გ. ჩიტაიამ გააშუქა ანტიკურ საქართველოში კერძო საკუთრების წარმოშობის ზოგი საკითხი. „ამ საკითხთან დაკავშირებით, მან მიუთითა ეპიტროპ-ეზოსმოძღვრის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, რომლის დანიშნულებას გაბატონებული კლასის კერძო საკუთრების დაცვა შეადგენს. მანვე მიუთითა ს. კაკაბაძის მოსაზრების უსაფუძვლობაზე მუშკების და ტაბალების ქართულ ეთნიკურ კუთვნილებისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხში. სამწყათმოქმედო იარაღების (გუთანი და სხვ.) შესწავლა აღნიშნა მან – „მოწმობს საქართველოს ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო კულტურის სიძველეს და მის კავშირს წინაზიურ სამიწათმოქმედო კულტურასთან". (იხ. **ზ. ანჩაბაძე, შ. ლორთქიფანიძე**, დისკუსია საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, სსსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 409-421).

დისკუსიაზე მიღებულ მძიმე შთაბეჭდილებაზე გ. ჩიტაიას მოკლე ჩანაწერში ვკითხულობთ: „არ უნდა ავფეთ გულისთქმას, უპირველესია სწორი განსჯა და დასაბუთება. რიული პრობლემაა, მეცნიერების ყველა დარგი უნდა მოვიშველიოთ".

გ. ჩიტაიას პირად არქივში დაცული ამ წერილის გამოქვეყნება გადაწყვიტა საკითხის ისტორიოგრაფიულმა მნიშვნელობამ. (თ.ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს და მეფის არსებობას ეჭვმიუტანლად ვარაუდობს. თვით სამოხელეო სახელწოდება როგორც ქართული **ეზოსმოძღვარი**, ისევე ბაბილონური **რაბ-დარვაზ** კარგად ხსნის ამ თანამდებობის შინაარს. ბაბილონური დარვაზ თავდაპირველად საჭონლის სადგომს, შემდეგ საქონელს და ლარს აღნიშნავს, ისევე, როგორც ქართული **ეზო** ჯერ საქონლის სადგომია, შემდეგ ქონების შესანახი სალარო. ამას კარგად არკვევს ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ხევსურეთსა და შავშეთში ეზო სახლის იმ ნაწილს ეწოდება, სადაც ტანსაცმელი და ოჭახის სხვა **ბუნაგი**-ა შენახული, დაცული.

მაშასადამე პირველ საუკუნეების იბერიაში ეზოსმოძღვარის სამოხელეო ინსტიტუტის არსებობა მიუთითებს სახელმწიფოს არსებობაზეც, ბევრი სხვა არსებითი მონაცემების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ ყველას მოყვანის საშუალება ეხლა არა გვაქვს. სხვა, ჩვენ ვიკამათოთ იმის შესახებ, არსებობს თუ არა ძვ.წ.ა. VI-IV სს-ში სახელმწიფო იბერიასა და კოლხიდაში. ამ საკითხის გარკვევა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

მე მგონი სავსებით მართებულად იქცევა მომხსენებელი[2], როდესაც ყურადღებას ამახვილებს ისეთ ქართველ ტომებზე, როგორიც არიან თუბალები და მუშკები. მე არ ვიზიარებ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სპეციალისტის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ თუბალები და მუშკები ინდოევროპული ტომებია. ეს მოსაზრება არაფრით არ არის დასაბუთებული. პირიქით, როგორც ენობრივი ისე ისტორიული წყაროები მათ ქართველურ წარმოშობილობას ადასტურებენ. ეტიმოლოგიურად რომ მუშკი, მეშეხი, მოსხოი, მესხი იდენტური ძირის სიტყვებია – უდავოა. ამას ერთვის ის გარემოება, რომ მეშეხისა და მესხების ერთი და იმავე ხალხის სახელწოდებას ისტორიკოს იოსებ ფლავიოსის ცნობაც ამოწმებს. ის წერს, რომ იმ ხალხს, რომელსაც წინათ მეშეხი ეწოდებოდა დღეს (იოსებ ფლავიოსის დროს) მოსხოი ჰქვიაო. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე რომ გვაქვს ქართველ ტომებთან, იქიდანაც მტკიცდება, რომ ეს სახელწოდება დღესაც ცოცხალია. დაღესტნის ზოგიერთი ხალხი თუშებს მოიხსენიებს მ ო ს ო ყ-ის სახელით.

ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენ ტაბალების შესახებაც. ამ შემთხვევაშიც ძვირფასს ცნობას გვაწვდის იოსებ ფლავიოსი „იმ ხალხს, რომელსაც ადრე თობალები ერქვა, ამჟამად (ი. ფლავიოსის დროს) იბერები ეწოდებაო". ამ მაგალითზეც შეიძლება მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ ჩერქეზულ ტომებში მეგრელებს – თობალს უწოდებენ. ენობრივად ეს სახელიც იბერებს უკავშირდება და ლინგვისტიკური კანონზომიერების მიხედვით ეს კავშირი სავსებით გამარტლებულია, რასაც ისტორიული წყაროც გვიმოწმებს.

ამ სახელწოდების ეტიმოლოგიის ახსნა, რომელიც სენ-მარტენმა, ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ მოგვცა, სარწმუნოდ გამოიყურება. მტკიცება იმის შესახებ, რომ ხეთური ხატოვანი დამწერლობა თუბალურია, ხოლო ამ დამწერლობის ენა ინდოევროპული ბუნებისაა — ნაჩქარევია, რამდენადაც ჯერ კიდევ ხატოვანი დამწერლობის ამოშიფვრა დამთავრებული არ არის.

ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება მესხები და ტაბალები არ მივიჩნიოთ ქართველ ტომებად, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი გვირჩევს, რასაკვირველია არა.

უფრო მეტის თქმაც შეგვიძლია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერთიც და მეორეც, სავსებით კონკრეტული ისტორიული ხალხია, რომელთა დრო და ადგილი

[2] შენიშვნა: იგულისხმება ძირითადი მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გ. მელიქიშვილი.** (თ.ც.)

ზედმიწევნით სიზუსტითაა გარკვეული. ცნობილია მათი გავრცელების ტერიტორია და მათი კულტურის რაობა. ამ სახელმწიფოთა კულტურული განვითარების დონეზე მიუთითებენ შემდეგი მაჩვენებლები: 1. ქალაქური ტიპის დასახლება; 2. განვითარებული მიწისმოქმედება (სახვნელის კულტურა); 3. ინტენსიური მესაქონლეობა; 4. მეტალურგია; 5. ბორბლიანი ტრანსპორტი; 6. დამწერლობა (კოლხური, არამეული, ბერძნული).

ძვ.წ. IX-VI სს-ში ტაბალები წამყვან როლს ასრულებენ მეტალურგიაში. დადასტურებულია ლითონის დამუშავების მაღალი დონე: ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის დამუშავების მრავალი ხერხები, როგორიცაა: ცივი კვერვა, ჩამოსხმა, გრეხილი, ზარნაში, სეკადა, მოოქვა. ჯერ კიდევ ჰომეროსი აღნიშნავდა ალიბების (იგივე ხალიბების) ქვეყანას, როგორც ლეგენდარულ „ვერცხლის ქვეყანა"-ს. იგივე ხალიბები შემდეგში რკინის დამუშავების საუკეთესო ოსტატებად გვევლინებიან. მათი პროდუქცია ერთის მხრით უარტუს აღწევდა, ხოლო მეორე მხრით–სირია-პალესტინას. ამავე დროს კავკასია ლითონის ნედლეულის მომწოდებლად ითვლებოდა წინაარზიისათვის.

სპეციალისტები თვლიან, რომ ძვ.წ. IX-VII სს-ში ამ ხალხებში მეტალურგიულმა ოსტატობამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ეჭვსგარეშეა, რომ ლითონის კულტურის ეს აფეთქება მჭიდრო კავშირშია ამ ქვეყნის მადნეულ სიმდიდრესთან (ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ოქრო). ამ ვითარებას კარგადეთანხმება ბერძნული მითი იმის შესახებ, რომ მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოს სამოქმედო ასპარეზია კავკასია.

დაახლოებით ასეთივე დაწინაურებული ვითარებაა კოლხეთშიც, რომელთა სელის ნაწარმი, როგორც საუკეთესო ღირსების საქონელი, მეტოქეობას უწევს ეგვიპტურ სელს და მსოფლიო ბაზარზე გადის. შეიმჩნევა, რომ უკვე იმ დროს ადგილი აქვს ქართველ ტომებში ცალკეული სამეურნეო საქმიანობის დაწინაურებას. გამოკვეთება მეტალურგები (ხალიბები), მიწისმოქმედნი (მუსკები), მესაქონლენი (კოლხები) და სხვა. ამ ხანის თობალების, მოსხების და სხვა ქართველი ტომების შესახებ ჩვენ სხვა მონაცემებიც მოგვაქვს.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დადასტურებულია, რომ აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ქართველი ტომების მიერ გამოყენებული იყო თავისი დროისათვის ისეთი დაწინაურებული იარაღი, როგორიცაა კვერი. ის რომში მხოლოდ ძვ.წ. II საუკუნეში ჩნდება. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვერთან გარკვეული ჯიშის პურეულია დაკავშირებული, რომელთაც წებოვანება ახასიათებთ. ივარაუდება დოლის პური, რადგან ამ პურეულს თან ახლავს კულტურის ისეთი მონაპოვარი, როგორიცაა პურის საცხობი თიხის ჭურჭელი თორნე, რომელიც არქეოლოგიური მონაცემებით იმ პერიოდისათვის დასტურდება ქართველ ტომებში, იგი ამიერკავკასიისა და წინა აზიის ძველი მოსახლეობის კულტურის საგანძურს მიეკუთვნება.

ასეთი დაწინაურება შეიძლება მიღწეულიყო სამეურნეო განვითარების მაღალი დონის საფუძველზე: რთულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იქმნება ერქვანის ტიპის წინარე გუთანი, ფართოვდება სარწყავი არხების ქსელი.

ამ პერიოდისათვის ქართველ ტომებში საცხვნელი იარაღის გარკვეული სახეობა ივარაუდება, სახელდობრ, ქუსლიანი სახვნელი იარაღი შედგენილი მხარით. ამას ადასტურებს მესხურ ყოფაში შემონახული სახვნელი იარაღი, რომელსაც **არონაი** II **არუნაი** ეწოდება. ეს სახელწოდება ქართულ-კავკასიურ ენობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებით არ იხსნება. სამაგიეროდ, ანალოგიური სახელწოდება ხეთურ-ნესიტურ ენაში მოიპოვება არაუს [araua] ფორმით*. რადგან მესხური სახელწოდება ძველ ხანას განეკუთვნება, ხოლო სხვა წყარო არ ჩანს რომლიდანაც ეს სიტყვა მესხურს უნდა შეეთვისებინა, იბადება საკითხი მისი ხეთურიდან მომდინარეობის შესახებ. ამას დავძენთ, რომ რამდენადაც მესხური არონაი კონსტრუქციის მიხედვით გარკვეული სახის სახვნელი იარაღია, შესაძლებელია ძვ. წ. VI-IV სს. მესხებისათვის ქუსლიანი და შედგენილი მხრიანი სახვნელი ვივარაუდოთ. ამ ტიპის სახვნელი იარაღის არსებობა მიწისმოქმედების დაწინაურებულ ვითარებას გვავარაუდებინებს.

თუ ზემოთ მოტანილ მონაცემებს გავითვალისწინებთ, შეიძლება დაისვას საკითხი, რომ ქართველ ტომებში არა სამხედრო დემოკრატია, არამედ ამაზედ უფრო დაწინაურებული ადრე კლასობრივი საზოგადოებრივი განვითარების საფეხური ჩანს.

როგორც დავინახეთ, ეთნოგრაფიული მონაცემები ხელს უწყობს აქ დასმული საკითხის ჯეროვან გადაჭრას და სათანადოდ აშუქებენ ქართველი ტომების უძველესი ხანის ყოფასა და კულტურას. ის რაც დღემდე გაკეთებულია საქართველოს ეთნოგრაფიაში გამოყენებულ უნდა იქნას ამ სახის საკითხების დამუშავების დროს.

დასასრულს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: დისკუსიის მიმდინარეობის პროცესში ითქვა, რომ ისტორიული საკითხები მხოლოდ ისტორიკოსების მიერ უნდა იქნას დამუშავებული და სხვა ისტორიული დისციპლინები (ეთნოგრაფია, არქეოლოგია) მხოლოდ მასალის მიმწოდებელი უნდა იყოს.

დღეს მეცნიერებაში უკვე აღარავინ ამტკიცებს რომ ეს უკანასკნელნი არა მარტო დამხმარე დისციპლინებია. ჩვენ ვიცნობთ არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების გამოკვლევებს, რომლებშიც წარმატებითაა გამოკვლეული მთელი რიგი ისტორიული საკითხები.

1954 წ.

---

* შდრ. **Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс.**, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984, გვ. 477, 630, 687, 688, 860 (თ.ც.)

საქართველოსა და კაკასიის მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისას მკვლევრები დღემდე უმთავრესად ისტორიული მონაცემებითა და ტოპონიმიკური ცნობების გამოყენებით კმაყოფილდებოდნენ. ყურადღება არ ექცეოდა იმ მნიშვნელოვან, თუმცაღა თავისებურ, წყაროს, რომელიც გადმოცემების სახით ხალხშია დაცული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხალხურ გადმოცემებში მოიპოვება არა მცირედი ცნობა მოსახლეობის ძველი ფენების შესახებ, რომელთა შესწავლა, სხვა მონაცემებთან ერთად, ხელს შეუწყობს ძველი მოსახლეობის საკითხის გარკვევას.

ასეთ მკვლევართა შორის გამონაკლისია აკად. **ხ. ჯ ა ნ ა შ ი ა.** ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისადმი ინტერესი მას ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში აღეძრა; მან, საშუალო სკოლის მოწაფემ, მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში, რომელსაც ცნობილი ეთნოგრაფი სერპუტეკესკი ხელმძღვანელობდა. მის მიერ ამ ექსპედიციის მუშაობის დროს შეგროვებული კოლექციები ამჟამად ლენინგრადის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. შემდეგ შიც ეს ინტერესი მას არ შენელებია და დროდადრო, როგორც საქართველოში, ისევე მის გარეთ ჰკრებდა სხვადასხვა ხასიათის ეთნოგრაფიულ ცნობებს.

როგორც ვიცით, **ხ. ჯანაშიას** სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქართველი ხალხის წარმოშობა და მისი ისტორიული შედგენილობა იყო. ამ საკითხის კვლევისას **ხ. ჯანაშიამ** იმთავითვე ფართო გეგმა დაისახა, ინტენსიური მუშაობა ჩაატარა და მრავალი პირველი წყარო გამოიკვლია, რომლის საფუძველზე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიული მეცნიერებისათვის ახალსა და მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. საკითხის შესასწავლად შედგენილი გეგმა, როგორც კვლევის ობიექტებს, ითვალისწინებდა: ისტორიულ ცნობებს, ტოპონიმიკის მონაცემებს, უძველესი მსოფლმხედველობისა და მატერიალური კულტურის ნაშთებს. ამასთან ერთად, მან გაამახვილა ყურადღება და შეკრიბა ამ საკითხთან დაკავშირებული ხალხში დაცული გადმოცემები.

ასე, მაგალითად, **ხ. ჯანაშიამ** 1929 წელს ყუმუხში (დღესტანი) ჩაიწერა, რომ ლაკების წარმოდგენით ლაკები, ქართველები და სომხები სამი ძმის: ლაკუსის, ქართუსისა და მარკუსის შთამომავალნი არიან. ამ გადმოცემას მანვე საათანადო მეცნიერული განმარტება მისცა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხში დაცულ ეთნონიმიკურ გადმოცემებს მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისათვის, ქვემოთ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

ბ ი რ ყ ე ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი. 1934 წლის ზაფხულს სვანეთში, ეცერის საზოგადოების სოფ. ისკარში მუშაობის დროს ჩვენ მიერ ფიქსირებული იყო გადმოცემა იმის შესახებ, რომ ძველად ეცერის ხეობაში მოსახლეობდა ხალხი, რომელსაც გადმოცემა **ბუშარს** (ბუშ-ები) უწოდებს. აქვე მიგვითითეს ბუშების ნასახლარზე, სოფელ ისკარის ველზე სკოლის შენობიდან სამხრეთით 300-350 მეტრის დაშორებით, სადაც გლეხებს მიწის ხვნის დროს არაერთგზის უპოვნიათ არქეოლოგიური ნივთები და დადგშქილიანისათვის გადაუცია თ. გადმოცემა აღნიშნავს, რომ ეს ხალხი მეტად უსაქციელო ყოფა-ცხოვრებისა იყო. სვანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მკვეთრად ემიჯნებოდნენ. ამათ შორის ქალის მითხოვება და მოყვანა აღკვეთილი იყო, სტუმრად ბუშების მიღება არ შეიძლებოდა. თუ ბუშები შემთხვევით სვანების შეკრებას შეეყრებოდნენ და რომელიმე მათგანი სვან ქალს ხელს შეახებდა, ეს ქალი ამის შემდეგ მირეულ, უწმინდურ, პირზორიან არსებად ითვლებოდა. მასზე, რაგინდ ლამაზიც არ უნდა ყოფილიყო, არც ერთი სვანი მამაკაცი არ დაქორწინდებოდა და ეს ქალი ძალაუნებურად ბუშს უნდა მისთხოვებოდა.

ამ გადმოცემის ის ცნობა, რომელიც ბუშებსა და სვანებს შორის არსებულ ეგ ზოგამურ აღკვეთას შეეხება, ჩვენ გვაგონებს მეორე, დაახლოებით ამგვარივე აღკვეთას, სვანების ზოგიერთ თემებს შორის რომ ყოფილა.

ლიტერატურული მონაცემების[1] და ჩვენ მიერ ადგილზე დამოწმებული ცნობების მიხედვით[2] დასტურდება, რომ წინათ სვანები ლახამულელებს ქალს არ მიათხოვებდნენ და არც თვითონ მოიყვანდნენ იმათგან. ამას გარდა, ისეთ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ამ თემის კაცი სხვა თემის სვანს ეწვეოდა, მისი წასვლის შემდეგ სვანს ყოველივე ის, რასაც ლახამულელი შეეხო და რაც მის ხმარებაში იყო: ჭამი, კოვზი, საწყლე და სხვა — უნდა დაეხვა, დაერეცხა და მხოლოდ ამის შემდეგ ეხმარა.

ასეთი დამოკიდებულების საფუძვლად გადმოცემა ასახელებს იმ გარეგმოებას, რომ ლახამულელები სხვა სარწმუნოების, არაქრისტიანულის, მიმდევრები იყვნენ, კერძოდ, თალმუდის მაღიარებელნი. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ გადმოცემა ასახავს წარსული დროის რომელიღაც რეალურ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც გარკვევა უნდა.

ცნობილია, რომ გარკვეულ ისტორიულ ხანაში სვანეთი ესაზღვრებოდა ხაზარების სამეფოს, რომელთანაც საუღელტეხილო გზების შემწეობით ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ერთ-ერთ ასეთ შარაგზაზე მდებარეობდა რკინის მადნის დამუშავებით ცნობილი VIII საუკუნის ჭუბერის სარეწაო. აქვეა ლახამულაც. ასევე ცნობილია, რომ ხაზარეთში VIII–X საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული თალმუდის მოძღვრება. ამ პერიოდზე მოდის, საერთოდ, თალმუდის მოძღვრების ფართოდ გავრცელება იმდროინდელ მსოფლიოში, როგორც ჩრდილოეთით (ხაზარეთი), ასევე სამხრეთით (აბისინია) და დასავლეთით (ესპანეთი). თბილისშიც X-XI საუკუნეებში დამოწმებულია ებრაული სექტის არსებობა აბუ-ბენიამინ თბილელის მეთაურობით. ამიტომ, შესაძლებელია ვიფიქროთ (განსაკუთრებით ხაზართა მეზობლობის გამო), რომ სვანების ერთ-ერთი თემი გარკვეულ ხანაში თალმუდის მოძღვრების მიმდეკარი იყო.

რაც შეეხება **ბუშ-არ-ს**, მათ შესახებ ჩვენ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. საქმე იმაშია, რომ ბუშების არსებობა დამოწმებულია ისტორიულ წყაროში. ანანია შირაქელის გეოგრაფიაში იკითხება: „ *Եւ ընակին ի Սարմատիս աղգ բազում որպեն այտրիկ, խազիրք բուշ*[3] *, բասիկ ք. ասփսագ ք...*“ ამ ძეგლის გამოქეყნელი კ. პატკანოვი ამ ადგილს რუსულად ასე თარგმნის: „следующие народы живут в Сарматии: 1. Хазары, 2. Буши, 3. Басилики, 4. Апшили, 5. Апхазы“[4].

---

1 **Радде Г.**, Путешествие в мигрельских альпах и в трех их верхних продольных ущельях (Ингури, Цхенисцхали, Риони). ЗКОРГО, т. VII.

2 დღიური 1931 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციისა სვანეთში.

3 ვარიანტი *բուշ*, რაც გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი.

4 **Патканов К.**, Армянская анонимная географія, СПб; 1892, გვ. 42.

სომხური გეოგრაფიიდან მოტანილი ამონაწერი იმას მოწმობს, რომ ბუშები ცალკე ტომის სახით ფულისხმებიან. ამას გარდა, იმდენად, რამდენადაც იგივე ბუშები ხაზარების, ბასილიკების, აფშილებისა და აფხაზების გვერდით არიან დასახელებული, სავარაუდოა, რომ ტერიტორიულად ისინი ამათ მეზობლად უნდა ივარაუდებოდნენ. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ სვანურ გადმოცემას ბუშების შესახებ, რომ ისინი ეცერის თემში ცხოვრობდნენ, ეს გარემოება სომხური გეოგრაფიის ცნობას და ბუშების ლოკალიზაციას უფრო სანდოდ ხდის. რამდენადაც ეს გეოგრაფია მერვე საუკუნის ძეგლია, აშკარაა, რომ ბუშები, როგორც რეალური ეთნიკური ერთეული, არსებობენ VIII საუკუნეში. მათი ადგილ-საცხოვრისი საძებარია დასავლეთ სვანეთის, აფხაზეთ-აფშილეთის, ბასილეთ-ხაზარეთის ტერიტორიაზე. გარკვეულ ხანაში ისინი სვანებისაგან განსხვავებული რელიგიის მიმდევარი უნდა ყოფილიყვნენ. როგორც **ი ო ა ნ ე ს ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე** მოწმობს, მერვე საუკუნეში ხაზარეთიდან აფხაზეთში გარდამავალ გზაზე „ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ“ ყოფილა. იოანე წერს: „ხოლო ნერსე, ლტოლვილი ქუეყანით თ ესით შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკ**ი** ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მ კეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან“.

ამგვარად, სვანებს შემოუნახავთ ხსოვნა სავსებით რეალური ხალხისაარა მარტო ამ ხალხის სახელწოდების სახით, არამედ ამ ხალხისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულების სახითაც.

მ ე ო რ ე მ ა გ ა ლ ი თ ი ინგილოების გადმოცემას ადრინდელი გმირი ფან კაც–კაცების სახელწოდებად ეთნიკური სახელი შემოუნახავს. მათი შეხედულებით ფან კაც–კაცები **ოღუზები** ყოფილან. მოგვყავს გადმოცემა.

„ოღუზებ უწინ ქნილან. ოღუზ მაღალ ფან კაცა კაცებ ყოფილან. სამ-ოთხ ეხლანდელ კაცის წორა. იმათ საქონელიც, შესაჭიდომ-შესაბმელიც მაღალ ყოფილ. ჭკო კი ბევრ არ ჰქონიაყ. აგე უჭკო, მაუკერ კიბელ ყოფილან, რუმ ახერ მაღლა ყინაზე ჰუდგმიაყ. დაბლა მიწაზე რუმ დუბადგათ ცხენ ვერ დასწდ ე ბავ. ყინაჲ კი ცხენის სიმაღლეზე არისავ.

ერთხელ ოღუზებს საკნავ ჰუკნავ. ერ დაბალ კაცს აჲმ მინაკნავ ადგილიპირში ჰუტრიალნი. ოღუზებ რუმ დაუნახია, ჰუთქომ:—ე როგო დევ-კაცებია, რუმ დევებ შეუბამყ. კნენ. ჰუსრივენი, ერ ოღუზიბიჲ ისარ ბარკალში დაუსომ. ოღზუს ფუტკრი ნაკმევნი დაჰწ ე კორც. ისარ გამოუღი, გაუშინჴავ, გაჰკურები. ჰუთქომ: ა ღმერთო, ე ჩონ ნანახ რაჲსა ე როგო რაჲმია. ნეტა საჲთი გადმუარდა ეეს, მინ მესროვნა. შაუხდნი, დაუნახი, ერთ დაბალ რაჲმ ზ ე ზ ე ბში მირბის. ოღუზ გამოხდომი. ბრულები ზ ე ჲ ზ ე ჲ ორ-სამ ვეყ გადაუდგამ, დაბალ კაცს დაჰწევენი, დაუჭერი. დაბალ კაც შეჰხეწნები:

— ამა, ჟან, ბევრ ტერ მყავ. ჩემ მოკულუაჲ ჰუნდაყ დამმალ, მადლი.

ოღუზს ლაფჩინი ყელში ჩაუზრ ე ნი, დაუმალი, მემღან თავი ულაყებთან წასულ, პატაჲც მოუ ჴნავ, ულაყებ გამოუშუ, უღელ, ჰაჩიჩაჲ აჲქავ დაუყრი (ჰკა გამოუყრი). შინ მოსულ დედაიზე ჰუთქომ: დედა, ერ გააკურებულ კაც მამიყონი, ჩონსავე ბიღებ, წერებ, აქ ჩონსკი ცხ ურ-პირ, ჩონსკი ქართულ სიტყუ ჲ, ამმა თუთონ პინწა, რაჲმი.

— ჰაბა მაჩ ე ნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ლაფჩინი ჯელით ამოვყონი დაბალ კაც.

— ჰუ ა, მეამ მამიკდ ე ბთოოვ, ჰეგუმ პატარა კაცი. დ ჭნ ჭას ჩონს უკან ჰეგენ შეკმელნი. ეხლა ჰემაგე დაბალ კაცები ზამანა ა გამოდის, მაგადს უკან ქონდრი კაცები ზამანა ა დადგებ.

— დედა, ქერ ჰეეგ რაასა, რუმ ქონდრი-კაც რაა ეკოს. ჰემგათ რუგრუმ გააკეთონ საქმე ა, რუგრუმ იცოცხლონ, რუგრუმ გზას წაიდნენ.

— ჭკუთ ჩონზე მეტ იქნებიან, შ ულო.

— ეემ წორა ცხენს ჰემგამ რუგრუმ მოუაროს, ქერ რუგრუმ აკმს.

— როგო აკმასა, მო კერ კებით აკმებს. ჰაბა თარბა ათი ქერ მეეც, თუ ვერ აკმებსა.

შ ულმა თორბაში ბზე ა ჩაყარა, შიგ ქერ გაურთვა, პატარა კაცს მიჰკა. აბამ (ამან) ა ადლ, ცხენს ქერ-ბზე ა დაანბა, დაუზონა:

— თვრუშე, თვრუშე.

ცხენმა გაახ ჭბ ჭნა, ატარა კაცთან მოუდა, თავ ჩამაგ ზელა, ქერს დაჰწდო, დაწდომაში პატარა კაცმა თავზე თორბა ა ჩამოჰკიდა. ცხენმა თავი აიწევა, თორბა ა მაღლა წაადო, ხრამახრუმით ქერ ჰმჭა ა დაიწყო.

— ჰემგა, გებნებოდი, ჰიგი, პატარა კაცს ჰემთონ ჭკუა. მო კერ კებ აქ, შულო. ჰეგენ ოღუზებს ამაადგებენ, მაგათ კი ქონდრი-კაცებ"[5].

ინგილოებს გარდა გადმოცემა ოღუზების შესახებ დაცულია აგრეთვე ნუხის რაიონის სოფ. კუტკაშენის მოსახლეობაში. აქაც გადმოცემა ოღუზებს დევგმირებად სახავს და იმგვარადვე ახასიათებს მათ, როგორც ზემოთ მოტანილი ინგილოური გადმოცემა. ამასთანავე, სოფ. კუტკაშენის მცხოვრებნი სოფლის მახლობლად მდებარე ძველ სამარხებს ოღუზების სამარხებად თვლიდნენ და ამ სამარხებიდან ამოღებულ ძვლებს იყენებდნენ გვალვის საწინააღმდეგო წესს-ჩვეულების შესასრულებლად[6].

სამარხებიდან ამოღებული ძვლების გვალვის საწინააღმდეგოდ გამოყენება და მათი მდინარეში ჩაყრა, როგორც ვიცით, მიმართულია იქით, რომ ლოცვა-ვედრებისა და თხოვნის მაგიერ, დადებითი შედეგები მიღწეულ იქნეს ისეთი მოქმედებით, რომელიც უმაღლეს არსებას გააჯავრებს, გააბოროტებს და ადამიანის სურვილებს შეასრულებინებს.

ამ მოვლენის ანალოგი ჩვენ გვაქვს სვანეთში, სადაც ამგვარადვე გვალვის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ „გიმირების" (იმავე კიმერიელების) სამარხებიდან ამოღებულ ძვლებს („გრიმნარე ნამთხორა"), ასევეა ხევსურეთშიც[7].

როგორც დავინახეთ, ინგილოური გადმოცემა ოღუზებს არასა-ხარბიელოდ ახასიათებს, სადაც ისინი თუმცა ძლიერ არსებებად არიან წარმოდგენილი, მაგრამ უჭკუო და მოუხერხებელი ჩანან. ეს კარგად ჩანს გადმოცემის იმ ადგილიდან, რომლის მიხედვით ოღუზებს სათიეე ბაგა პირუტყვის სიმაღლეზე აუგიათ, ვინაიდან ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება პირუტყვმა ჭამის დროს თავი დახაროს.

[5] **ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი**, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 201—203.

[6] **Р а ш и д-б е г Э ф е н д и е в**, Село Куткашен, Нухинского уезда, СМОМПК, вып. IX, гз. 140

[7] **ჯ ბ ა რ დ ა ჯ ე ლ ი ძ ე**, გვალვისა და დელგის საწინააღმდეგო ძველი ქართული წესი (ლაზარობა), (ხელნაწერი). შენი შენ: აღნიშნული ნაშრომი დაიბეჭდა აკად. გ. ჩიტაიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში, „აია", თსუ გამომცემლობა, თბ. 1991წ. (თ.ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად იბადება საკითხი, ვინ იგულისხმება ოღუზებში.

ისტორიულად ცნობილია, რომ ოღუზები, თურქული ჩამომავლობის ტომი, სელჯუკების მეთაურობით XI საუკუნეში შუა აზიიდან მცირე აზიაში შემოიჭრნენ და შემდეგ ამიერკავკასიაშიც დაიწყეს თარეში[8].

ვ. გორდლევსკის მიხედვით, უძველესი ოღუზები (ორქონის წარწერებისა, VII ს.) ცხრა გვარისაგან შედგებოდნენ, ხოლო მცირე აზიაში მოსვლის დროს 24 მუხლსა თუ გვარს მოითვლიდნენ[9].

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ალ-მასუდის მიხედვით ხაზარეთის გვარდია, რომლის ძალას ერთ დროს ეს სამეფო ემყარებოდა, თურქ-ოღუზებისაგან შედგებოდა[10]. ოღუზების გადმონაშთს თანამედროვე თურქეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც ვხვდებით—ურუკების სახით. ურუკები თავისი ანთროპოლოგიური და ყოფაცხოვრებითი მონაცემებით თურქებს—ოღუზებს ემსგავსებიან. აღსანიშნავია, რომ ისინი დღესაც მომთაბარენი არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მთელი წლის მანძილზე კარვებში ცხოვრობენ და მათთვის უცხოა მკვიდრი ნაგებობა. მათ დღემდე შემორჩენილი აქვთ ბავშვების თავის ქალის დეფორმაციის ჩვეულება[11].

შეიძლება ეჭვმიუტანლად ითქვას, რომ ინგილოების გადმოცემა ამ ისტორიულად ცნობილ ოღუზებს გულისხმობს. აქაც ვრწმუნდებით, რომ ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს ძველი ისტორიული სინამდვილის ამსახველი ეთნიკური ვითარება.

მ ე ხ ა ბ ე შ ა ბ ა ვ ლ ი თ ი. XIX საუკუნის სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებულია ხევსურული გადმოცემა იმის შესახებ, რომ ხევსურეთში თავდაპირველად სამი ძმა (არაბაჲ, ჯინჭარაჲ და გოგოჭაჲ) დასახლდა იმ დროისათვის უკაცრიელ ქვეყანაში.

ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში ახლად მოპოვებული სხვადასხვა ვარიანტების სახით ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით ხევსურებზე ადრე ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის სხვა ფენა ივარაუდება.

გადმოცემის მიხედვით, სოფ. გუდანში, იქ, სადაც ხევსურთა წინაპარი სამი ძმა დასახლდა, ადრე **კავკაზიურები** უცხოვრიათ, რომლებიც გუდანის ხატს ამოუწყვეტია. მთხრობლები მიუთითებენ გუდანში კავკაზიურების ჯოლების (ნასახლარების) არსებობაზე. „საღმრთო გუდანის ჯვარში წისქვილის ქვა იყო დაყუდებული. ეს ქვა დარჩენილი იყო კიმკაზიურებისა და ქიჩპარაულებისაგან, როდესაც ისინი ჯვარმა აყარა"[12].

მოვიყვანოთ თვით გადმოცემა გუდანელი ბაბუა არაბულის მონათხრობის მიხედვით: „წინ-წინ დიდ ხატ რო ას (იგულისხმება გუდანის ხატი[13]), იქ კავკაზაურ (ვარ. კიკაზაურ) ყოფილას დასახლებული. იქ დიდ სოფელ ყოფილას. მაში ჯვარ

---

[8] **Г о р д л е в с к и й В.**, Государство сельджукидов в Малой Азии, 1941, М.-Л; გვ. 43 და შმდ.

[9] დასახ. ნაშრ; გვ. 43.

[10] **Я к у б о в с к и й А.**, О русско-хазарских и русско-кавказских отношениях в IX X вв; Изв. АН СССР, серия ист.-фил; т. III; 5, 1946. გვ. 461.

[11] **Luschan F.**, Volker, Rassen und Sprachen, Brl; 1922, გვ. 23.

[12] **ვ. ბარდაველიძის** დღიურები, გვ. 37. შენიშვნა: [ჩამატება გაკეთებულია **ვ. ჩიტაიას** მიერ 1983 წელს] (**ოც.**).

[13] გუდანის ხატი ხევსურეთში ცენტრალური ხატი იყო.

არ ყოფილ. ერთხან ერთის კავკაზაურის სახლის ყვერფში იფნ ამასულა, კავკაზაურს იფნ მაუჭრავ. მეორეს დღეს ის იფნ იქავ ამასულა, ისიც მაუჭრავ. მესამეს დღეს ამასულ იფნიდ თან გველ ამახყოლივ. კავკაზაურს იფნიც მაუჭრავა-დ გველიც აუკაფავ. ამის მემრ სანეს[14] აქათი კავკაზაურს უკნავის. ჯართ-ულელ ბ გველ დახვევივს. კავკაზაურს ი გველ დაუჭრავ. მეორეზე დახვევვ კიდევა-დ ისიც დაუჭრავ. მესამეზე რო დაუჭრავ, არეულან გველ — ჯარ-გუთანნი, ჯარ-გუთან კლდეჩი გარდმაყრილ. მემრ შეუყენებავ ავადობაჲ იმ სოფელ ზედა, ჭირეულება აუტეხავ, ნახევარ წელნი სრუ მოელ გაუწყვეტავ ი ხალხი, არვინ არ დამრჩალ. მემრ იმათ ნაფუძვარჩი თაოად (იგულისხმება გუდანის ჯვარი) დაარსებულას. ყარელ მითი ერთ მენადირე წამასულ: მაუღწევავ გუდანამდენა-დ აქ მზვარეში ფსიტ მაუკლავ, რომენიც ყარელ წაუღავ. ოქით ქერ მაუტანავ, დაუთესავ. ძალია კა მასავალ მასულ. ამდგარ ისი ყარელ-შიით გუდან გადმასახლებულ ქოოდ, —აქვ კა ადგილ ყოფილავ. იმას სამ შვილ გასჩენივ.

ერთ ძმას ქვინებულ ჯინჭარაჲ, მეორეს არაბაჲ, მესამეს გოგოჭაჲ. ის ჭინჭარა კოჭლუაი ყოფილას. ის აქ დამრჩალ. არაბაჲ თავ ქმელ ყოფილას, ყმედ კაცი. ის გასულას გარეთ — შენ ბეჩავ კაცი ხარავ, მე დავხპატრონდებიავ ამ ადგილსავ, მტერს არ შამაუშობავ. მაშინისაეს ჯვარი საერთიანოი ყოფილას — არაბაისაიც, ჯინჭარაისაიც, გოგოჭაჲსაიც. ის არაბაჲ ბაცალიგოშია-დ ზეისტეჩოში მდგარ, ორგან, ორგან, გოგოჭა—ჯორმეშავჩი".

ზემოთ მოყვანილი გადმოცემა მრავალმხრივაა საყურადღებო. გადმოცემის სიძველეზე უნდა მიეთითებდეს ბრძოლის ის სახე, რომელიც ძველი და ახალი მოსახლეობის შეჯახებას გამოხატავს, სახელდობრ, კავკაზაურებსა და გუდანელებს შორის. გუდანელების ღვთაებ-ხატი გუდა ებრძვის კავკაზაურებს ჯერ ყვერფის ანუ კერის მოწლის გზით, ხოლო შემდეგ მეურნეობის მოწლის გზით. უკანასკნელად კი ავადმყოფობას გააჩენს, რითაც სპობს ძველ მოსახლეობას. საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც, აგრეთვე, გადმოცემის სიძველეს ამტკიცებს. ღვთაება გველის სახით ეელინება კავკაზაურებს[15].

სამწუხაროდ, თქმულებას არ შემოუნახავს კავკაზაურების ღვთაების სახელწოდება, ხოლო რაც შეეხება გუდა-გუდანს, მას ჩვენ ვხვდებით ფართოდ გავრცელებულ ეთნოგრაფიულსა და ეთნიკურ სახელებში. დავასახელებთ მათგან ზოგიერთს: ღუდა (მთიულეთის არაგვის სათავეებში), გუდაური (მთიულეთის არაგვი), გუდარეხი (ქვემო ქართლი), გუდრუხი (ფშავის არაგვი), გუდამაყარი (გუდამაყრის არაგვი). აღსანიშნავია, რომ გუდამაყრელთა უმრავლესობა ხევსურეთიდან გადმოსახლებულად მიიჩნევს თავიანთ წინაპრებს.

თუ ჩვენ შეეცდომაში არ შევყავართ ზემოთ მითითებულ მონაცემებს გადმოცემის სიძველის შესახებ, იბადება საკითხი: ხომ არ არის გადმოცემაში დასახელებული ეთნიკური სახელწოდება კავკაზაური, აგრეთვე სიძველის მატარებელი.

---

[14] ადგილია გუდანში, სოფ. ბაცალიგოს მხარეზე.

[15] ბრძოლის ამგვარი სახე ძველ და ახალ მოსახლეობას შორის ცნობილია უძველესი ხანიდან. შდრ. **С. Толстов**, Древний Хорезм, Москва 1948, стр. 294; **Ա. Մ ա ց ա կ ա ն յ ա ն**. Հայկական Ռադիոակտիվ կապար. Երևան, 1955, գլ. 534—536. მოვიგონოთ **Ձերոպոտեն** ცნობა, დაკავშირებული ლიდიაში ახალი მოსახლეობის მოსვლასთან. აქ გველებისა (აბორიგენების) და ცხენების (მოსულები) ბრძოლაა აღწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვიცით, **ლეონტი მროველის** მიხედვით კავკასი **თარგამოსის** ერთ-ერთი რვაშვილთაგანია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში ლომპეის მდინარის დასავლეთით დასახლდა[16]. ეპონიმის ამ სახელწოდებას ამავე ფორმით (კოკასს) ასახელებს სომეხი ისტორიკოსი **ჯარდანი**[17]. ამ ისტორიკოსსაც ეს მოსახლეობა კავკასიის ჩრდილოეთით ეგულება. ჩვენ ვიცით, რომ როგორც ლეონტი მროველის, ისე ვარდანის კონცეფცია კავკასიის მოსახლეობის ჩამომავლობის შესახებ ბიბლიაზეა დამყარებული და ამდენად მწიგნობრული წარმოშობისაა. მაგრამ ამ კონცეფციის ძირითადი დებულების ხელოვნურობის მიუხედავად, ლეონტი მროველის თხრობაში ისტორიული სინამდვილის ანარეკლიც გამოსჭვივის.

საურმაგ მეფემ კავკასის ნათესავთა ნახევარი წამოიყვანა და „რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყნნა და სხვანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი". ამ ცნობის მიხედვით კავკასანის განსახლების ტერიტორია დიდოეთიდან სვანეთამდე ივარაუდება. ისტორიკოსი შემდეგ მოგვითხრობს: „გარდამოვიდეს ძურძუკეთს მყოფნი, და გააერთნეს თანა ჯართათუის (ჯართალსა) მსხდომნი კავკასანი, მოტყვენეს კახეთი და ბაზალეთი"[18]. ამ ბრძოლის დროს, რომელიც ძურძუკებს სამხრეთით უწარმოებიათ, მთიულეთის ერთი კანტონი ჯართალი კავკასანთ ყოფილა დასახლებული და მათ ძურძუკების მხარეზე უბრძოლიათ.

ამჟამად ჯართალი მთიულეთის სამხრეთ ნაწილში, არაგვის ნაპირზე მდებარე ხეობას ეწოდება.

ეტყობა, იმ დროისათვის, როცა ძურძუკებსა და იბერებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, კავკასის ეთნიკური ფენა იბერია – საქართველოს ლიმიტროპულ ზოლში იმდენად შემცირებულა, რომ მხოლოდ ჯართალშიღა შემორჩენილა[19]. ცნობილია აგრეთვე, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით ჯართალელები, „მოქცევი ქართლისას" მიხედვით, აიყარნენ და გადასახლდნენ თავიანთ ადრინდელი ტერიტორიიდან[20].

დღეს ჯართალში მოსახლეობის ორი ფენაა დადასტურებული: მოსულები მთლიანად გიგაურები არიან, რომლებიც თავის თავს ხევსურეთიდან გადმოსულებად სთვლიან, ხოლო ძველი „ბალახად მოსული" გვარებია: ხუციანნი და ლალიანნი, როგორც ეს გაარკვია ილ. ჭყონიამ[21].

ამგვარად, ისტორიული ცნობა და გადმოცემაში დაცული მონაცემები ვარაუდობს კავკასან-კავკაზიურების არსებობას კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, პირაქეთ-პირიქითში, დიდოეთიდან მოყოლებული ვიდრე სუანეთამდე. ეს ის ტერიტორიაა, სადაც მოცემულია კულტურის ელემენტების რიგი დამახასიათებელი თავისებურება, რაც ამ მოსახლეობის ჩამომავლობით ერთიანობაზედაც შეიძლება მიუთითებდეს. ერთია საომარი და საცხოვრებელი კონკები, ხოლო მეორე მიწის ზემოთ დგმული აკლდამები.

---

16 **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი**, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა, ანასეული ვარიანტი, გვ. I, 3.

17 **ჯარდანი**, მსოფლიო ისტორია, მოსკოვი, 1861. (სომხურ ენაზე).

18 **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი** დასახ. ნაშრ., გვ. 20.

19 **იუ. ჯაკანიშვილი**, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბ. 1952, გვ. 148.

20 **მოქცევა ქართლისა**, თ. ყორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 42.

21 **ილ. ჭყონია**, საქორწინო ინსტიტუტი მთიულეთში, ტ. I, 1955. გვ. 45-46.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1. ხევსურული გადმოცემა კავკაზიურების შესახებ მიუთითებს საქართველოს ამ კუთხეში ხევსურებზე ადრინდელი მოსახლეობის არსებობაზე, და რომ ეს ძველი ეთნიკური ფენა კულტურულ-ეთნიკურ კავშირშია ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან. 2. ინგილოების გადმოცემაში ფანხაც-კაცების-ოღუზების შესახებ შემონახულია მოგონება ისტორიულად ცნობილ თურქ-ოღუზებზე, რომელნიც სელჯუკიანთა მეთაურობით XI საუკუნეში შუა აზიიდან წინა აზიასა და ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. 3. სვანური გადმოცემა **ბუშარ**-ების შესახებ ემთხვევა სომხურ გეოგრაფიაში VIII-ს მოხსენი ებულ **ბუშ-ქ**-ს, რომელთან პირველს ტერიტორიული დამთხვევაც აკავშირებს.

1955 წ.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს შევეხოთ პაველ ინგოროყვას[1] საყურადღებო ნაშრომს „გიორგი მერჩულეს"[2] მთლიანად ან მის რომელიმე ნაწილს, ჩვენი სურვილია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ საკითხზე, რომელიც ამ შრომაში აღძრულ სხვა საკითხთა შორის, თითქოს, კერძო ხასიათის პრობლემად გამოიყურება, თუმცა მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა მართებული არ იქნება. საკითხი შეეხება ისტორიულ გეოგრაფიას, რომლის შესწავლას ავტორი ეთნოგენეზის პრობლემის, კერძოდ, ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის გარკვევას უკავშირებს.

---

[1] **პ ა ვ ლ ე ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ** ცნობილი მკვლევარია, რომელსაც არა ერთი სამეცნიერო მონოგრაფია დაუწერია, არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ხელნაწერი–ძეგლი გამოუქვეყნებია და გამოუკვლევია. მას ჩვენ ვიცნობთ, როგორც საუკეთესო მეცოდნეს ძველი ქართული ხელნაწერებისა. პ. ინგოროყვას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლის საქმეში. იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად სისტემატურად, გეგმაშეწონილად და უწყვეტლივ მუშაობს პ. ინგოროყვა მის მიერ არჩეულ სპეციალობაში, საკმარისია მოვიგონოთ პ. ინგოროყვას მიერ 1914 წელს დაბეჭდილი სასულიერო პოეზიის ნიმუშები და 1954 წელს მერჩულეს მონოგრაფიაში გამოქვეყნებული იმავე შინაარსის ტექსტები, რომლითაც მკვლევარმა დაადგინა მის მიერ ორმოცი წლის წინათ დაწყებული საქმე. ზემოთქმულთან ერთად უნდა ისიც აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვა ერთ-ერთი თვალსაჩინო რუსთველოლოგია და ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი. გარდა ამისა პ. ინგოროყვას სამეცნიერო ინტერესების ორბიტაში დიდი ხანია მოქცეულია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, რომელთაც ის აგრეთვე წლების მანძილზე წარმატებით იკვლევს.

პ. ინგოროყვა საპრობლემო საკითხების კვლევა-ძიებას ჩვეულებრივ ამა თუ იმ სალიტერატურო ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებით აწარმოებს და ამიტომ მის მიერ გამოცემულ ძეგლს ურთავს ვრცელ გამოკვლევას, ფართო კომენტარებსა და სპეციალურ ექსკურსებს. არა იშვიათად ისეც ხდება ხოლმე, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ექსკურსები და წიაღსვლები მეტად შორეულადაა დაკავშირებული გამოქვეყნებულ ტექსტთან, მაგრამ ამის გამო ავტორს საფიდელი არ ეკუთვნის, ვინაიდან ასეთ ექსკურსებსა და წიაღსვლებში საკითხები ახლებურადაა დასმული, ორიგინალური აზრებია გამოთქმული და საყურადღებო დებულებებია მოცემული. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს ისიც, რომ პ. ინგოროყვა თავის გამოკვლევებში წამოყენებულ დებულებებს თითქმის ყოველთვის (თუ შეთბეჭდილება არ მაცდენს) კატეგორიულ ფორმებში აყალიბებს, რომელთა სისწორეში ის ყოველთვის ეჭვმიუტანლად არის დაჯერებული, მიუხედავად იმისა, რომ დებულებას ამა თუ იმ შემთხვევაში მხოლოდ ეარაუდის ხასიათი შეიძლება ჰქონდეს.

პ. ინგოროყვას მონოგრაფიას „გიორგი მერჩულე" წინ უსწრებდა „გრიგოლ ხანძთელის" ტექსტის გამოცემა, რომელიც შესრულდა 1949 წელს. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მკვლევარი ცდილობს, იმ საშუალებებით, რაც მას გააჩნია, ის საკითხები დასვას და განიხილოს, რომლებიც, ავტორის აზრით, ამ ძეგლთან არის დაკავშირებული და ძეგლის შინაარსის გახსნასა და გაგებას შველის.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი (გვ. 5-547) შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების განხილვას, ხოლო მეორე – გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობას ეხება და ძველი ქართული პოეზიის საკითხებს იკვლევს. მონოგრაფიას აგრეთვე ახლავს დამატებები. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფიაში დასმულია და განხილულია ძველი ქართული ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საკვანძო საკითხები, ფართოდაა შესწავლილი ისტორიული გეოგრაფიის მასალები.

[2] **პ. ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ**, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.

ჩვენი მეცნიერება ეთნოგენეზის საკითხში თავის ძირითად დებულებად აღიარებს, რომ ეთნოსი ისტორიული კატეგორიაა, რომ არც ერთი ეთნიკური წარმონაქმნი არ არის უცვლელი და ყველა თავისი ძირითადი თვისებებით ურყევი ერთობლიობა, არამედ ის, როგორც ყოველგვარი ისტორიული მოვლენა წარმოიშობა, ვითარდება და გადადის ახალ ერთობლიობაში. ამ პროცესში ეთნოსი განიცდის ტრანსფორმირებას და შერწყმული სახით ვლინდება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ისტორიულ პერიოდს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური წარმონაქმნი გააჩნია.

ეთნოგენეზის პრობლემის ამ მიდგომით განხილვა მოითხოვს საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებითი ხასიათის წყაროს შესწავლას, მის დამუშავებას კომპლექსურად იმ მონაცემების მიხედვით, რომელთაც იძლევიან ტოპონიმიკა და ეთნონიმიკა, წერილობითი წყაროები, ლინგვისტიკური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგები.

პ. ინგოროყვა თავის მონოგრაფიაში აღძრულ საკითხს უმთავრესად და ძირითადად თუმცა ტოპონიმიკისა და ეთნონიმიკის მასალაზე დაყრდნობით იკვლევს, პრობლემას ერთი კუთხიდან უდგება; თუმცა მას, ჯეროვნად არ აქვს გამოყენებული ის მიღწევები, რომლებიც ჩვენს საენათმეცნიერო სკოლას გააჩნია. მიუხედავად ამისა ავტორი საყურადღებო დებულებას აყენებს და მისაღებ დასკვნამდე მიდის.

პ. ინგოროყვას დებულების თანახმად: „აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული. აფხაზეთის მხარეების მოსახლეობა ქართული იყო როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და, კერძოდ, საშუალო საუკუნეთა იმ მონაკვეთზე, მე-VIII საუკუნეში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“[3].

ეს დებულება, ჩვენი აზრით, მართებული ჩანს, თუმცა დამატებით არგუმენტაციას საჭიროებს.

პ. ინგოროყვას სავსებით გადაწყვეტილად მიაჩნია, რომ საკუთრივ აფხაზები, აბაზგები, იგივე მოსხები-მესხეთია, რომლებიც ცხოვრობდნენ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეების მზიმთისა და ბზიფის მდინარეთა ზემო წელში, მთიან ზოლში (იხ. კარტოგრამა). პ. ინგოროყვა წერს: „აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთანავე, რომ უძველეს ხანაში მესხთა ტომი, როგორც ირკვევა, ბევრად უფრო ფართოდ ყოფილა განსახლებული საქართველოს მიწა-წყალზე, ვიდრე შემდგომ პერიოდში. მესხებით ყოფილა დასახლებული არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, შემდეგდროინდელი ს ა მ ე ბ ნ ე და მისი მიმდგომი თემები; მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე შიდაქართლშიც, რის მაჩვენებელია შიდაქართლის დედაქალაქის თვით სახელწოდება მცხეთა-სამცხე. მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში: როგორც ცნობილია, კავკასიის მთიულები – ავარები ფშავ-ხევსურებს „მოსახი-ს“ (ანუ „მოსოქი“-ს) სახელით იცნობენ. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენიეთ, ადგილი ჰქონია ისეთსავე ტერიტორიულ თანამეზობლობას, მესხური ტომისა ეგრისელ ტომებთან, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც ეგრისელ ტომებს მეგრელებსა და ჭანებს შორის სახლობს მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ – აჭარლები)“[4].

---

[3] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 188.

[4] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლადაც, თუ ჩვენ მეტ-ნაკლებად შეიძლება ვარაუდი ვიქმნიოთ მესხთა მოსახლეობის შიდა ქართლში გავრცელების შესახებ „მოქცევაი ქართლისაჲ"-ზე დამყარებით[5], ამისივე თქმა აფხაზეთის მიმართ გაჭირდებოდა. თვით ის გარემოება, რომ ავარები ფშავ-ხევსურებს **მოსხეს** უწოდებენ იმ შორეული წარსულის ნაშთი შეიძლება იყოს, როდესაც მოსახი ქართველთა ზოგადი სახელი იყო[6]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარაუდს ასუსტებს ის გარემოება, რომ მიახლოებითაც კი არ არის გარკვეული თუ დროის რომელ მონაკვეთშია საფიქრებელი მესხების განსახლება შიდა ქართლში.

დებულება აფხაზების მესხებად მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ **ნ. მარს** ჰქონდა წამოყენებული, რომელიც ამ მოსაზრებას გარდა იმისა, რომ ეთნიკური სახელის ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე ამყარებდა, მასვე ჰქონდა მითითებული, რომ მესხებ-აფხაზების აფხაზეთში მისვლის მარშრუტი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მესხეთის აბასთუმანზე გავლით ზეკარით მიემართებოდა. ამავე დროს **ნ. მარს** მიაჩნდა, რომ აბასთუმნის ეტიმოლოგია ვარაუდობს აბაზგების **უმანს** (უმანი ურარტულად ქალაქი), აბაზგების ქალაქს, რომელიც აბაზგების დაარსებული უნდა ყოფილიყო.

პ. ინგოროყვა ნ. მარზე მიუთითებლად ასევე ეთნიკური სახელის ძიებით ემყარებოდა, შიდა ქართლის მოსახლეობის სავარაუდო ანალოგს იშველიებს და მესხებ-აფხაზების გარკვეულ ლოკალიზაციას იძლევა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც დაუსაბუთებლად გამოიყურება.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვას მონაცემებიდან არ ჩანს, თუ რა დროისათვის ვარაუდობს მკვლევარი მესხებ-აბაზგების აფხაზეთის მთიანეთში განსახლებას, გამონათქვამი, „რომ უძველეს ხანაში მესხთა ტომს" იქ უცხოვრია არათუ ზუსტ, არამედ მიახლოებით თარიღსაც კი არ იძლევა.

მეორე მხრით, მესხების მოსახლეობის შიდა ქართლში სავარაუდებელი გავრცელების შემთხვევა ანალოგად არ გამოდგება მესხებ-აბაზგების განსახლებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზეთის არც ერთი მეზობელი ტომი აფხაზეთის მოსახლეებს მოსხებად არ მოიხსენიებს. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ჩერქეზები მეგრელებს თობალებს უწოდებენ. აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად არამართებულია ამგვარ მონაცემებზე დამყარება ეთნიკური ერთეულის გავრცელების შესახებ. ავტორს კარგად მოეხსენება, რომ იფენენ ისეთი სწავლულები, რომლებიც მოსხებს ხაზარებთან აიგივებდნენ და მოსკოველების წინაპრად თვლიდნენ (**რაუფლსონი, ლეკ-მორგანი** და სხვ.)[7].

აქვე შეიძლება აშიაზე აღინიშნოს, რომ ძველ საქართველოში ცენტრალური ძლიერი ხელისუფლების არსებობის დროს სახელმწიფო საზღვრების დაცვის მიზნით საქართველოს ლიმიტროპულ ზოლში, მთავრობას არა ერთგზის მოსახლეობისეა თუ ნაწილი ჩაუსახლებია, როგორც, მაგალითად, ჩვენ ეს ვიცით მესხების ერთი ნაწილის ხევში ჩასახლების შესახებ[8]. აფხაზეთის მიმართ ამგვარ ცნობაზე ჯერჯერობით სათანადო წყარო მითითებას არ იძლევა.

---

[5] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბ. 1950, გვ. 60.

[6] **ივ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 61; П. Услар, Древнейшие сказания о Кавказе, გვ. 312.

[7] მოსხების ახალი ეტიმოლოგია იხ. კ. წერეთლის ნაშრომში, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხნი" ისტორიისათვის, საქართ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, 2, 1954 წ.

[8] **ჯ. ათინაშვილი**, ჭორწინების ინსტიტუტი ხევში, (ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ზემოდასახელებული ორი საბუთის გარდა, ავტორი თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად იყენებს კლასიკური ხანის ავტორების ცნობებს, კერძოდ, ის ასახელებს **პელანიკე მიტილენელს** (ძვ.წ. V ს.), **პალეფატუ ამიდოსელს** (ძვ.წ. VI ს.) და **სტრაბონს**.

აშკარად თავი რომ დავნებოთ ჰ. მიტილენელისა და პ. ამიდოსელის ცნობებს, რამდენადაც ისინი ფრაგმენტული ხასიათის არიან და ამიტომ მათი გამოყენება ძნელია, მივმართოთ შედარებით კარგად გაკითხულს სტრაბონს.

პ. ინგოროყვას მონოგრაფიაში ვკითხულობთ: უფრო გვიან ხანაშიაც, მითრიდატ დიდის ომების ისტორიკოსები და აგრეთვე თვით სტრაბონი აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით მოსხი (მათ მოსაზღვრედ მოიხსენიებიან იგივე ჰენიოხები და კერკეტები). **ლატაშვილს**[9] რუსული თარგმანის მიხედვით ეს ადგილი ასე აკითხება: „За **Ватами Артемидор** называет побережье **Керкетов** с пристанями и селениями, на пространстве около 850 стадий, затем побережье **Ахеян**, на пространстве 500 стадий, далее берег **Иннохов** в 100 стадий и наконец **Великий Питиунт** в 360 стадий до **Диоскурианы.** Но историки мифридатовых деяний, которым следует придавать более значения, первым называют **Ахеян**, за ними **Зигов**, затем **Ипиофов**, далее **Керкетов**, **Мосхов**, **Колхов**, живущих над ними **Птейрофагов**, **Соанов** и другие мелкие народы у **Кавказа**".

თ. ყაუხჩიშვილის ქართულ თარგმანში ეს ადგილი შემდეგი სახითაა მოცემული: „არტემიდორე ამბობს, რომ ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელ ზედაც არის ნავთსაყუდლები და სოფლები, დაახლოებით 850 სტადია, შემდეგ **აქეელთა** (სანაპირო) 500 (სტადი), მერე **ჰენიოხთა** (სანაპირო) - 1000 (სტადი), ხოლო **დიდი პიტიუნტისა – დიოსკურიამდე** 360, ხოლო მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან **აქეელები**, შემდეგ **ზიგები**, მერე **ჰენიოხები**, კვლავ **კერკეტები**, **მოსხები**, **კოლხები**, შემდეგ ამათ ზემოთ **ფთეინოფაგები**, **სეანები** და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან"[10].

თ. ყაუხჩიშვილი თავის თარგმანს ურთავს კომენტარებს, სადაც მოსხებთან დაკავშირებით ის წერს: „ამ ცნობის მიხედვით მოსხები ზღვისპირის მობინადრე ტომი ჩანს. მეორეს მხრივ მათი ქვეყანა (Μοσχική) სამ ნაწილად არის გაყოფილი, მისი ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე – იბერებს, ხოლო მესამე – არმენიელებს. ამის მიხედვით მოსხების საცხოვრისი დაახლოებით შემდეგი დროის მესხეთია. მოსხების ქვეყანაშია ცნობილი ლეკკოთეას სამლოცველო"[11].

სტრაბონის იმ მონაცემებიდან, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გარკვეული ზოლის მოსახლეობას შეეხება, კარგად ჩანს, რომ ის ცდილობს დააზუსტოს არტემიდორეს ცნობა სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობისა და განლაგების შესახებ.

არტემიდორეს მიხედვით ჩრდილოეთიდან მოყოლებული ჯერ სახლობენ კერკეტები, შემდეგ აქეელები, შემდეგ ჰენიოხები, ხოლო ამათ შემდეგ პიტიუნტიდან დიოსკურიამდე მოსახლე ტომის ვინაობა დასახელებული არ არის. სტრაბონს, რომელიც ემყარება ჩვენამდე არ მოღწეულ მითრიდატეს მოღვაწეობის აღმწერ ისტორიკოსებს, შესწორება შეაქვს არტემიდორეს მონაცემებში იმ მხრივ, რომ ჯერ არის დასახელებული აქეელები, შემდეგ ზიგები, შემდეგ ჰენიოხები და კვლავ კერკეტები, მოსხები და კოლხები.

---

[9] მითითებულია **ლატაშვილის** SC, I, გვ. 135, მონოგრაფია, გვ. 137.

[10] **თ. ყაუხჩიშვილი**, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი 1957 წ. გვ. 120.

[11] **თ. ყაუხჩიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

ორივე შემთხვევაში, დავეყრდნობით არტემიდორეს თუ სტრაბონის მონაცემებს მოსახლეობის ტომობრივი განლაგების შესახებ, ის ტომებია დასახელებული, რომლებიც ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, კერძოდ, კერკეტები ორივე შემთხვევაში ზღვის სანაპიროს მცხოვრებია. ამიტომ მცდარია ის მოსაზრება, რომლის მიხედვით კერკეტები მთის იქით მცხოვრებ ტომადაა მითითებული. მცდარია აგრეთვე შეხედულება იმის შესახებ რომ მოსხები-აფხაზები მთიულებია და არა ზღვისპირელები. ამ აზრს არც ერთი კლასიკური ხანის მწერლის ცნობა არ ამართლებს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ხაზგასმულია, რომ სტრაბონი არტემიდორეს ცნობაში აზუსტებს ზღვის სანაპიროს მოსახლეობის მცირე ტომებს. მას არტემიდორეს ცხრილში დამატებით შეაქვს ზიგები და ჩამოთვლის რა მცირე ტომების განლაგებას, ის ასახელებს მსხვილ სატომო გაერთიანებებს, როგორიც არიან კერკეტები, მოსხები და კოლხები. მან კარგად იცის, რომ კერკეტები ამ დროს ჰენიოხების სამხრეთით კი არ მოსახლეობენ, არამედ მათთგან ჩრდილოეთით, ისევე როგორც იმავე სტრაბონმა კარგად იცის, რომ მესხები ამავე ხანაში მოსახლეობდნენ არა აფხაზეთის სანაპიროზე, არამედ მტკვრის ზედა წელის აუზში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარს, რომელთაც შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობის ტომობრივ შედგენილობასა და განლაგებაზე უმუშავნიათ, მოსხების ადგილსამყოფელი მითითებული აქვთ ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელის აუზში, გურია-აჭარის მთის სამხრეთით.

ასე, მაგალითად, რ. ვეინპოლდსა და დ. ტრეიდეს ნაშრომში[12], რომელსაც დართული აქვს სტრაბონის ცნობების მიხედვით შედგენილი ეთნოგრაფიული რუკა, მოსხები ნაჩვენებია ჭოროხის აუზსა და მტკვრის სათავეებში, ხოლო ტომთა განლაგება ზღვის სანაპიროზე შემდეგი თანრიგითაა წარმოდგენილი: სინდები, აქეელები, კერკეტები, ზიგები, ჰენიოხები და კოლხები.

ამდენად, პ. ინგოროყვას მოსაზრება, თითქოს „მიტრიდატ დიდის ომების ისტორიკოსები და აგრეთვე ოვით სტრაბონი აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით მოსხი"[13], დასაბუთებულად არ გამოიყურება.

ამით არ ირღვევა პ. ინგოროყვას ძირითადი დებულება ისევე, როგორც არ იხსენება საკითხი აფხაზების ქართული წარმოშობის შესახებ. მანამდის, სანამ მართებულია დებულება იმის შესახებ, რომ კოლხური ტომები ქართველებია, შეუძლებელია აფხაზების არა ქართველობაზე ლაპარაკი.

აფხაზების წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში ნაირი სახის თეორიები და შეხედულებებია წამოყენებული.

ნ. მარის მიხედვით აფხაზები მესხური ტომია, რომელთა ენა ჩერქეზულ-ადიღეური ჩამომავლობისაა[14].

არნ. ჩიქობავასა[15] და ლ. ბლაიხშტეინერისათვის[16] აფხაზები ჩერქეზულ-ადიღეურ ენობრივ შტოს განეკუთვნებიან, რომლებიც კულტურულად ახლო მონათესავენი არიან ქართველებისა.

---

[12] „Die Völkersehaften des Kaukasus im Alferfum nasch verschiedenen anfirken Auforen vom 6 Jahrhundert v.u. Z. bis zum 2 Jahrh n.u.Z", მოთავსებულია კრებულში: Ethnographisch-archäologische Forschungen, I, Brl. 1953.

[13] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[14] **Марр Н.Я.**, Племенный состав населения Кавказа, Птб. 1920.

[15] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, შესავალი, თბ. 1953.

[16] **Bleichsteiner R.**, Die Kaukasier, RV, B VIII, Brl. 1928.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით აფხაზები სამხრეთიდან, ანატოლიიდან ძვ.წ. პირველ ათასწლეულში მოსული მოსახლეობაა, რომელმაც აქ ჩერქეზების გავლენა განიცადა და გაჩერქეზდა. ამავე მკვლევრის აზრით აფხაზური ენა ორფენოვანია, რომელშიც როგორც ჩრდილო-დასავლური, ისევე სამხრეთ კავკასიური ენების ელემენტებია შერწყმული[17]. სხვების შეხედულებით, აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან მოდიან პირველ საუკუნეში[18], ხოლო სხვების შეხედულებით აფხაზები ჩრდილოეთიდან კიმერიულ-კავკასიური უფელტეხილით კიმერიელებთან ერთად გადმოდიან და აქ მკვიდრდებიან. ამ უკანასკნელი აზრის ავტორი ა. ნამიტოკი აფხაზებს აზო-მედების ჩამომავლებად თვლის, რომელიც თავის მხრივ კიმერიელ-ჩერქეზების განშტოებას წარმოადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი თრაკიიდან მოსულები არიანო[19]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტის მიხედვით: აფხაზური ანუ აბაზური და ჩერქეზული ენების დედა ერთია, ოღონდ ესენი იმდენად განსხვავებული დიალექტებია, რომ ნათესაობის ნიშნების დაძებნა ჭირსო[20].

აფხაზთა ჩამომავლობის შესახებ აქ ზოგიერთი შეხედულება მოვიყვანეთ და სქემატური გადმოცემით დავკმაყოფილდით, თუმცა უადგილო არ იქნებოდა მათი დებულების საბუთიანობა გაგვერჩია. ყოველ შემთხვევაში ზემოთ დასახელებული შეხედულებების მიხედვით ცხადია, რომ აფხაზები რთული შედგენილობის ხალხია, რომელშიც არა ერთი ეთნიკური ფენაა შერწყმული. კერძოდ, აფხაზური ენის შესახებ ჩვენ გვაგონდება ნ. მარის მიერ ლეკციის დროს გამოთქმული შედარება, რომ აფხაზური იმ ნაგებობასა ჰგავს, რომელშიც დაფქვის დროს ერთიმეორეში შერეული იყო სხვადასხვა მარცვლეული: ქერი, ხორბალი, შვრია, ასლი და სხვა. ასეთი ნაირსახის ეთნიკურ შედგენილობიდან საჭიროა მისი შემდგენელი როგორც სუბსტრატქტული ისევე სხვა ფენების გამოყოფა, რაც, ცხადია, ადვილი საქმე არ არის.

ამ მიმართულებით საყურადღებო ჩვენებებს იძლევა საათანადო ლიტერატურული წყაროები, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეთნიკური ნომენკლატურა ნაირი წარმოშობისა და ნაირი წყაროდან მომდინარეობს ხალხი, რომელიც თავის თავს ერთ სახელს უწოდებს, იგივე მეზობლების მიერ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენება. მრავალი სახელი ერთსა და იმავე ხალხს რომ განეკუთვნება, ეს იმის გამოა, რომ სახელები ან ეპონიმის მიხედვითაა შერჭეული, ან გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, ან კიდევ ხალხს მთლიანად აღნიშნავს, ან მის ნაწილს, ან გვაროვნულ განაყოფს. ასეთ პირობებში ეთნიკური ნომენკლატურის გათვალისწინების დროს მთავარი ყურადღება მაინცდამაინც იმ სახელწოდებას უნდა მიექცეს, რომელსაც ესა თუ ის ხალხი თავისთავს აკუთვნებს. თანამედროვე აფხაზები თავიანთ თავს უწოდებენ **აფხუა**-ს, ხოლო თავიანთ ქვეყანას **აფხნე**-ს. ანტიკური, ბიზანტიური, საშუალო საუკუნეებისა და რუსი ავტორების მიხედვით დადასტურებულია სახელები: **აბასგა**, (არგონავტ. 154), **აბასკოი** (არიანე), **აკაზგი, ობეზი.**

---

[17] **A. Baschmakoff**, Cinquante siecles d'evolution ethnique autour de la mer Noire, Paris,1937, გვ. 13.

[18] **Kissling**, Pauly-Kroll, Eb.B. VIII, გვ. 500.

[19] **A. Namitok**, Oriqienes des lircassiens, I, Paris, 1939.

[20] **J. Güldenstadt**, Reise durch Russlaund, B. I, გვ. 464.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის ვითარებაში კარგად ჩახედული ი. გიულდენშტედტი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში წერდა, რომ „ქართველები ამ კავკასიურ პროვინციას აფხაზეთ და აფხაზეთს უწოდებენ, ასევე უწოდებენ ისინი ამ ქვეყნის მოსახლეს, რომელიც თავისთავს **აბასა-ს** (Abasie) ეძახის; ჩერქეზები მათ უწოდებენ **აბასა-ს** (Abasa). ამას მოსდევს **აბასიის** საზღვრების აღნიშვნა, საიდანაც ვიგებთ, რომ **აბასა** მოსახლეობდა **კავკასიონის** მთებში და მის განტოტებებზე შავ ზღვასთან. ი. გიულდენშტედტის მიხედვით **აბასა** სამ ნაწილად იყოფოდა: სამხრეთ-დასავლეთისა, ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილებად. ამათგან სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი „საკუთრივ ძველი აფხაზეთია"[21]. ამ მონაცემების შუქზე საფიქრებელია, რომ აბასა აფსუას შესატყვისი სახელწოდება უნდა იყოს[22].

აბაზების სახელწოდებით იცნობს აფხაზებს მინას მედიჩი-ბეკშაიანი, რომელმაც იმოგზაურა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე 1815-1819 წლებში. იგი წერს: „რამდენადაც იმათი (მეგრელების) ზნე-ჩვეულება და მორთულობა ემსგავსება აბასურს, ზოგიერთი მათ ერთ ხალხად მიიჩნევს ყველა გურჯთან ერთად. მაგრამ გურჯები და მეგრელები – ქართველი ქრისტიანებია, რომლებიც თუმცა სხვადასხვა ტომია, ერთ ხალხად ითვლებიან"[23]. ავტორი აღნიშნავს, რომ „აბასა-სკვითური ტომია, როგორც ჩანს, დიდი სათათრეთიდან მოსული და აქ დასახლებული და ცხოვრობდნენ რა მეგრელების მეზობლად, მათ ქამთაგანმავლობაში მიიღეს ქრისტიანობა და შეერივნენ მეგრელებს შავი ზღვის სანაპიროზე. შემდგომ მათ, აბასებმა დაუტყვევს ქრისტიანობა და ხის თაყვანისმცემლები შეიქმნენ"[24]. მ. ბეიშაიანი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ „უთუოდ სოხუმელი აბასებიც ამ ტომებს (მეგრელებს - გ.ჩ.) ეკუთვნიან. შემდეგში ისინი, გახდნენ რა ხის თაყვანისმცემლები, შეუერთდნენ ძირითად აბასებს"[25].

ასევე საყურადღებოა, რომ სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში აბასი აფსილთანაა გაიგივებული (Des Abazove, c'est-à-dire des Apsilae)[26]. არანაკლებ საყურადღებოა, რომ წმინდა გრიგორის ცხოვრებაში, მის არაბულ ვერსიაში აფხაზი გაიგივებულია ლაზთან. G. Gariffe-ი მის მიერ მიკვლეულ გრიგოლის ცხოვრების ახალ ბერძნულ ვერსიის გამოცემაში (არაბულ ვერსიასთან დაკავშირებით) წერს: „არაბული ვერსია ხშირად ამ სიტყვას (Les Lazes) თარგმნის აფხაზები ("Aphkhazes"); მართლაც აფხაზები საკმარისად ხშირად შერეულია (confoudns) ლაზებში"[27]. სახელწოდება რუსი არ იხსენიება არც არაბულსა და არც ბერძნულ ტექსტებში (ნ. მარი შეცდა - გ.ჩ.).

[21] **Güldenstadt**, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[22] **Namitok A.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 31 – „Apsua ou Abase," გვ. 109 – „Dans la suite la désignation Abassa" se change en „Apsua".

[23] Միհրան Բէյշիան, Պատմու իւն պրնաուի, Վենետիկ, 1819, გვ. 105; აბასასთანაა დაკავშირებული ლეგენდა აფხაზების წარმოშობის შესახებ, იხ. **Namitok A.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 30-31; შდრ. **Меликсет-Беков Л.М.**, Pontica Transcaucasica Ethnica, Советская этнография, М. 1950, № 2, გვ. 169.

[24] დასახ. ნაშრ., გვ. 103.

[25] დასახ. ნაშრ., გვ. 103.

[26] სუყრის გამოცემის მიხედვით.

[27] **Gariffe G.**, Documents pur L'etude du livre d'Agathange, Studi e Testi, 127, Coffs del Vaticano, NCNXLVI, გვ. 221-222. "Va p. 114[3], 134[6,9], 136[11] (ابهة 'bh'z); 132[17] (اطروس 'l-rws); 116[24] (لزون lzwn); 136[7] (ارزقيت arzqy't). N apparaît que dans le groupe "rois (un pays) des Ibères, des Lazes et des Albans." "Les Lazes, peuple habitant le littoral est

ზემოთ მოტანილი მითითებებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზები, საკუთრივ ძველი აფხაზები განსხვავდებიან აბასა-აფსუა-აფსილებისაგან. რომ ეს უკანასკნელი მთის იქიდან მოსული ტომია, ხოლო საკუთრივ აფხაზები – ადგილობრივი ძველი მოსახლეობაა. თუ ერთ მათგანი **სკვითური** ჩამომავლობისაა, მეორე – **კოლხურ-ქართული** მოდგმისაა.

ამ ასპექტში საყურადღებოა ი. გიულდენშტედტის დაკვირვება აბასების ყოფაცხოვრებაზე. ის წერს: „ისინი (აბასები-გ.ჩ.) საოჯახო ყოფის მიხედვით ჩერქეზებს ემსგავსებიან. იმათდა გვარად აცვიათ, მხოლოდ მოკლე ჩოხებს (“Röcke”) ატარებენ. ისინი, რომლებიც ესაზღვრებიან სამეგრელოს – იმერულ ქუდს იხურავენ. მათი სახლები, როგორც ჩერქეზებისა, მსუბუქი ნაგებობაა (“Fachwerk”) წანელისაგან მოწნული კედლებით. სახლები ერთმანეთთან მიჯრილი კი არ არიან, არამედ როგორც იმერეთში, ერთმანეთისაგან დაშორებული, დიდ მანძილზეა განლაგებული. მათი მთავარი საქმიანობა მეჯოგეობაა. მემინდვრეობა განისაზღვრება მხოლოდ ღომით, თუმცა მაღალი მთის ზოლში მცირე რაოდენობით ითესება ახალთესილი პური და ქერი“[28].

ამ ამონაწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აბასების მხრივ საქმე გვაქვს მეჯოგე ტომთან, რომელსაც დასახლების ტიპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე მასშტაბის პარცელარული მიწისმოქმედებაც შეუქმნია. აქვე შეიძლება მითითებული იქნეს ერთ წვრილმანზე, რომელიც მეტად დამახასიათებელია მეჯოგე ხალხისათვის. საქმე ეხება ბეჭზე მკოთხაობას, რაც აღნიშნული აქვს მ. მედიჩს თავის შრომაში[29]. ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება საკითხი საკუთრივ აფხაზების, ძველი აფხაზების ეთნიკური ვინაობის შესახებ.

ამ კითხვაზე კარგად პასუხობს პ. ინგოროყვას მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელშიც საგანგებოდაა განხილული ადგილობრივი ტოპონიმიკა. დიდი უმეტესება აქ მოტანილი სახელების ქართული წარმოშობილობისაა და ამდენად მათი შემრქმევი მოსახლეობა ქართველებია. საგულისმო და საყურადღებოა, რომ ტოპონიმიკურ სახელებს შორის ეთნიკური სახელებიც დასტურდება, კერძოდ, ისეთები როგორიცაა „ძველი ლაზიკა“ და „გურჯიპსი“ – აღნიშნავს ქართველების მდინარეს[30]. აქ ძველი ქართული ფენის არსებობაზე მიუთითებს როგორც არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები, ისევე ხალხის ყოფაში შემონახული მეტერიალური კულტურის ძეგლები და მათი ტერმინოლოგია. მაგალითისათვის ერთ მათგანს დავასახელებთ.

---

de la Mer Noire;" voir **M. Brosset**, Additions . . ., St. Pétersburg, 1851, p. 81,107; Hermann, art. Lazai, dans Pauly-Wissowa, Real-Encycl, XII, 1924, col, 1042–1043; **V. Minorsky** art. Lāz dans Encycl. Islam. III, 37, 1928, p. 20–22; **Kékélidzé**, **Bekehrmy**, Géorgienş. p. 15–16; **P. Peeters,** dans Anal Boll., 50 (1932), p. 18; **J. Markwart**, dans Caucasica, 10 (1932), p. 25–27. [Va] traduit le plus souvent ce nom par "Aphkhazes" (sur ce peuple, voir bibl. dans Laurent, L, Arm entre Byz. et l'Isl, p. 18–21); **W. Barthold**, dans Encycl. Istām, I, 1908, p. 71–72; Les Aphkhazes, en effet, sont assez souvent confondus avec les Lazes: voir **P. Peeters**, dans Ann. Boll., 52 (1934), p. 43, note 2; Marz, p. 160, 165–166". შდრ. **Мар Н.Я.**, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, ЗВОИРАО, XVI, вып. IV, 1906, გვ. 63–211. სქოლიოს დედანთან შედარებისათვის ვ. სდალბანდის მადლობას მოვახსენებთ. (ოქ.).

[28] **გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ,** დასახ. ნაშრ., გვ. 464.

[29] **მ ე დ ი ჩ ი - ბ ე ი შ კ ი ა ნ ი ,** დასახ. ნაშრ. გვ. 107. ამ ადგილის მელიქსეთ-ბეგისეული რუსული თარგმანი ბუნდოვანია.

[30] **N a m i t o k A .**, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ტერმინი ასაფჯ-ი დამოწმებულია აფხაზური ენის ბზიფის დიალექტში, სადაც ის კონკილს აღნიშნავს[31]. ეს ქართული წარმოშობის სიტყვა შედგება სა და ბიჯი II ბიჯგ-ისაგან, რაც სავსებით კანონზომიერად ქართულ სა-ბიჯგ-ს შეესატყვისება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეგრულში კონკილა აღინიშნება ისეთი სიტყვებით როგორიცაა კოკინია, ქესადგუმე და ოხო-ბიჯი[32], ცხადი გახდება, რომ ეს სახელწოდება ადგილობრივი, ძველი ქართული ფენის კუთვნილებაა. მძლავრი ქართული ფენა აფხაზურის ბზიფურ დიალექტში დამოწმებული აქვთ პ. ჭარაიას, ს. ჯანაშიას და ქ. ლომთათიძეს. ეს ფენა ძირითადად სა-პრეფიქსითა და ეფ დაბოლოებითაა წარმოდგენილი. საგულისხმო გარემოებაა, რომ ამგვარი პრეფიქსებითა და დაბოლოებით სიტყვების ერთი ფენა სვანურშიც მოწმდება. საფიქრებელია, რომ ეს გარემოება შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ სა—პრეფიქსი ერთ-ერთი ძველი ნაწილაკია უძველესი, პროტო-ქართულისათვის (იგულისხმება სა-პრეფიქსიანი სიტყვა ჰეროდოტესთან: სა-სპეირი).

უნდა ისიც ითქვას, რომ აფხაზეთში ამაზე უფრო ძველი ფენაც უნდა იყოს დამოწმებული, რამდენადაც რიგი სახელებისა (ტოპონიმიკური და სხვ.) საერთო კუთვნილებას უნდა შეადგენდნენ პროტოჩრქეზულისა და პროტოქართულისათვის. ამათგან აქ სანიმუშოდ ერთი-ორი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ.

ამ რიგის სიტყვებია ტოპოგრაფიული სახელების ის წყება, რომელიც **ფსა** ნაწილაკით რომ ბოლოვდებიან. მაგრამ ასეთ საერთო მარაგის ძირითად სიტყვებს განეკუთვნება ის სიტყვა, რომელიც ჯერ კიდევ ამინ მარცელინს 359 წელს ჰქონდა დადასტურებული, როგორც **სარმატული**. ეს სიტყვაა „მარჰა", რაც მარცელინის მიხედვით აღნიშნავდა ბრძოლის დროს შეძახილს მებრძოლთა გასამხნევებლად. არ შეიძლება დავეჭვდეთ, რომ ამ სიტყვის ჩერქეზული შესატყვისია მარჯა, ხოლო აფხაზური ასევე –მარჯა. ქართულში ის მოცემულია სიტყვებში ვა-მარჯ-ობა, მარჯ-ვენა და, შეიძლება, მარდ-იც. დასახელებული ჩერქეზული, აფხაზური და ქართული სიტყვები იმავე მნიშვნელობით იხმარება როგორც ა. მარცელინის მიერ დამოწ-მებული მარჰა. ამ თვალსაზრისით მიუღებელი ჩანს ის ეტიმოლოგია, რომელსაც ე. ბენვენისტი ამ სარმატული სიტყვისათვის იძლევა[33], ვ. ბენვენისტი მას სპარსულ სიტყვად მიიჩნევს და ფაჰლურსა და სპარსულ მაჰრკა – მარკა-ს უკავშირებს, რომლებიც აღნიშნავს სიკვდილს[34]. ასევე მასუდის მიერ მეათე საუკუნისათვის ჩერქეზებში დამოწმებული სიტყვა ტალ, ქსოვილის აღმნიშვნელი, ქართულ ტილოსა და ხევსურულ კილოში შემონახულ ტოლთან ერთად საერთო კუთვნი-ლების სახელწოდებაა.

როგორც ვხედავთ, აფხაზურისათვის სამი ფენა გამოიყოფა: პროტო-ჩერქეზული – პროტო-ქართული, ძველი ქართული და აბასური. დროის მიხედვით მათი თანამიმდევრობა ასეთივე თანრიგით არის სავარაუდებელი. უფრო მეტი სიცხადის შეტანა ამ ფენების ხანიერობის შესახებ, ამჟამად საკითხის შესწავლის დღეევანდელ დონეზე გაძნელებულია. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვგონია, რომ

---

[31] **ს. ჯანაშია**, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

[32] **Кипшидзе И.**, Грамматика менгрельского (иверскаго) языка, Петербург, 1914.

[33] Journal Asiatique, CCXXI, 1932, გვ. 135 და შმდ.

[34] შდრ. **Namitok A.**, დასახ. ნაშრ. გვ. 121; სარმატების ჩამომავლობის შესახებ, იხ. **ფ. ჯაჯანიშვილი**, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბილისი 1950 წ.

ბ. ინგოროყვას მოსაზრება აბასების ჩრდილოეთიდან მოსვლის შესახებ აფუბაზეთში სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

ზემოთ მოტანილი იყო სათანადო მასალა, რომელიც ამ დებულებას ამართლებს (გიულდენშტიდტი, მედიჩი, აბასების მეურნეობის ხასიათი). ამავე დებულებას, ჩვენი აზრით, სხვა რიგის მონაცემებიც უნდა ამაგრებდეს.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივად კავკასიის ხალხთა გადაადგილებას წარმოიდგენენ ხოლმე, როგორც ბარიდან მთაში შეხიზნვას[35]. ამავე დროს უგულებელყოფილია ის მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს მთიდან ბარში ჩამოსახლების სახით. თავის დროზე ამ მოძრაობას ყურადღება მიაქცია ვახუშტი ბატონიშვილმა და მნიშვნელოვანი მომენტები აღნიშნა. ვახუშტი ქსნის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დაუსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი ეგლეხნი. შემდგომად შეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შეშცირებულან"[36].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ვ. ბაგრატიონი მთიდან ბარში მოძრაობას ორმაგობისა და შეშვიდობიანობის პირობებს უკავშირებს და მოვლენის ახსნას ომში ეძებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთიდან ბარში გადმოსახლების პროცესი მარტოდმარტო ერთდროული მოვლენა კი არ არის, არამედ ხანგრძლივად მოქმედი აქციაა, რომელიც დაკავშირებულია იმ სამეურნეო ვითარებასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთაში. ის დაკავშირებულია იმ თავისებურებასთან, რომელიც მთის მეურნეობას ახასიათებს.

ჩვენს ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მთის მეურნეობის თავისებურება, მისი არაინტენსიური არსებობის პირობებში აპირობებს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილურობას, რომლის ნაჭარბი იძულებულია მთიდან ბარში გადასახლდეს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში ლიმიტირებულია და ამის გამო ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მეტად მცირეა. ამით აიხსნება, რომ როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა რიცხობრივად თავის დონეს აღწევს, მოსახლეობის ნაწილი იძულებულია ბარში გადასახლდეს. როგორც ვხედავთ, ამ პროცესს ღრმა ეკონომიური პირობები უდევს საჩრდილად და ამით არის გამოწვეული. ამავე დროს უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა მეტწილად დიფუზურია, თანდათანი გაეონვის ხასიათს ატარებს, ხოლო დრო და დრო მსხვილი ჩამოსახლების პროცესთან გვაქვს საქმე.

ზემოთქმულის კონკრეტულ, საილუსტრაციო მაგალითს ყოფილი მთიელები – ფარლელები წარმოადგენენ. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, გარკვეული დროის მონაკვეთზე ფარლელები მდინარე იორის ხეობის ზედა წელში არიან დასახლებულები. XIX საუკუნეში ამავე მოსახლეობას ეთნოგრაფიული მონაცემები ამოწმებენენ ალაზნის გაღმა, კახეთში (ს. შილდა), სადაც ისინი შერწყმული არიან მეურნეობის ხასიათით, კულტურულად და ენობრივად ადგილობრივ კახელებთან. ერთადერთი, რაც ამ მოსახლეობას შერჩა ძველი მდგომარეობიდან, ეს არის მოგონება იორიდან გადმოსახლების შესახებ და ისიც, რომ ისინი თითქმის ბოლო ხანამდე დადიოდნენ სალოცავად თავიანთ სათემო ხატში – თამარის ჯვარში ივრის ხეობაში, სოფ. ფარაში. ეთნოგრაფიული მონაცემები

[35] **Худадов В.Н.**, Опыт этнографии Кавказа в классическую эпоху, Известия РГО, т. LXII, ნაკ. 4, Л. 1930, გვ. 444.

[36] **ვახუშტი ბაგრატიონი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 104.

აგრეთვე იმასაც ადასტურებენ, რომ ამ გადასახლებას გაეონვის ხასიათი ჰქონდა და არა ერთდროული[37].

ამგვარი მაგალითები ბევრი სხვაც იცის ქართულმა ეთნოგრაფიამ, მაგრამ მათ აქ აღარ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ სახის პროცესს ადგილი ჰქონია აბასებშიც.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1953 წელს აფხაზეთში ჩატარებულმა მუშაობამ გამოავლინა, რომ გუდაუთის რაიონის მოსახლეობის რიგი გვარებისა მთიდან არის მოსული. მოხუცების გადმოცემის მიხედვით, მათი წინაპარი ფსხუდან ანკიდეე საჩერქეზოდან მოდენილან და აქ დასახლებულან. გარდა ამისა დადასტურდა, რომ ამათი ძირი სალოცავი ინალყუბას ხატია ფსხუში, რომლის სახელზე მათ ოჯახებში საზედაშე ღვინის ქვევრები ჰქონდათ დათქმული. ასე, მაგალითად, სოფ. ჯგერდის მეცხოვრების გუჯუ გიდას-ძე არშბას აჯიჯანგხა (ძირი სალოცავი) ინალყუბა ფსხუშია. იმავე სოფლის მეცხოვრების მაჰითბე ალუმბეს-ძე მარშანიას თქმით „ჩვენი ძველი ფსხუდან არის მოსული. სამი ძმაა ჩამოსული. სულ ძველი კი საჩერქეზოდანაა. ჩვენი ძირი ხატი ინალყუბაა, ის ფსხუშია"[38].

საგულისხმოა, რომ თუ ერთი ფენა მოსახლეობისათვის ძირი ხატი მთაშია, მეორე ფენისათვის ძირი სალოცავი ბარშია, კერძოდ, ილორში. თუ ამ მონაცემებს ჩვენ შეცდომაში არ შევყავართ, შეიძლება ითქვას, რომ აბასების – აფსუების მთიდან ბარში ჩამოსახლების ფაქტს ვერწმუნოთ და მით ნათელი მოვფინოთ ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობას.

ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომში გაღრმავებული და გაფართოებული კვლევა-ძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მრავალ ახალ საბუთსა და დასაყრდენს შემატებს **პაატა ინგოროყვას** მართებულ დებულებას **ძველი აფხაზეთის** მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის შესახებ.

1955 წ.

მინაწერი: ვ. ინგოროყვას მონოგრაფიის „ვეფხისტყაოსანი" ბოლოს ერთ-ერთ ადგილზე ასეთი ფრაზა: „ეს ადგილი ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები[1]

ეთნოგენეზის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის თავისებური ელემენტების გამოვლინებას, იმ თავისებურებებისა, რომლებიც ხალხს შეუქმნია თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე. ეს თავისებურებები ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს ამ საგანძურს.

თავისთავად ცხადია, რომ ცნებაში „კულტურა" შედის არა მარტო სულიერი მხარე, ფსიქიკური წყობა ამა თუ იმ ხალხის, არამედ მატერიალური კულტურის თავისებურებანიც. ამის საფუძველზე საჭიროა მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის შრომითი ჩვევების, საწარმოო გამოცდილების, ხალხური კულტურის თავისებურებების გამოვლინება, ყოველივე იმისა, რაც შესულია ყოფასა და ჩვევებში.

ეთნოგრაფია პარალელებს ამ მიზნით იყენებს. ის ეთნოგრაფიული პარალელების თვისობრივობას აქცევს ყურადღებას. ეთნოგრაფიული პარალელები შემთხვევითი და იზოლირებული მოვლენები არ არიან, არამედ, კულტურის დამახასიათებელ თავისებურ მოვლენებს ასახავენ. ასეთი პარალელები ეთნიკურ ერთიულებს შორის კულტურულ-გენეტიკური ნათესაობისა და ისტორიული ერთობლიობის მაუწყებელნი არიან.

ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები თავისი საკუთრებით უძველეს ხანას განეკუთვნებიან. ისინი ხალხური კულტურის ძირითად დარგებში, მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის საწარმოო გამოცდილებას და შრომით ჩვევებს ასახავენ და ქართველებისა და აფხაზების კულტურულ-გენეტიკურ კავშირსა და ისტორიულ ერთობლიობაზე მიუთითებენ[2]. შიდა ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის სოფ. ზემო აშში მუშაობის დროს (1947 წ. 17 ივლისი), ისტორიის მეცნ. კანდიდატის შ. გეგეშიძის მიერ ჩაწერილი მასალა მოგვითხრობს შემდეგს: „დაკვირვების მიხედვით შემოდგომაზე დათესილი პურის თესლი გაზაფხულზე ხელახლა იწყებს მუშაობას, მუხლს იკეთებს, ფხას ამოუშვებს, რომ იმას თავთავი მოყვეს. ნიადაგ პურის თავთავში მარცვალი ტყუპადაა დალაგებული, მაგრამ დროდადრო ასეთი თავთავს ტყუპს შუა პატარა მარცვალი ჩაუჯდება ხოლმე. ამ ზედმეტ მარცვალს **სანაკმაზე** ჰქვიან. როგორც სიმინდმა ორი ტარო გაიკეთოს, გათამამდეს, თავთავიც ასე იკეთებს მარცვალს. სახნისმა შვიდ წელიწადში ერთხელ ოქროს უნდა წამოჭკრას წვერი, კაი ნამუშევარი მოვიდეს. შვიდ წელიწადში ერთხელ ნამუშევარი ჭოჩორაობს, თამამობს, კარგი მოდის, ნაკმაზიანი. სანაკმაზე მოსავალს კარგად ადიდებს. ასეთი პურის ორ ათეულ ძნას კოდი (სამი ფუთი) მარცვალი გასცევიდება, ხოლო უნაკმაზო პურს, საშუალო მოსავლის დროს ერთ კოდ მარცვალს სამი ათეული ძნა უნდა"[3].

[1] მოხსენება წაკითხულია აკად. **ს. ჯანაშიას** ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგ. მეცნ. განყ-ის 32 სამეცნიერო სესიაზე, 1952 წ. 13–15 დეკემბერს. (თ.ც.).

[2] რამდენადაც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ წარმოებული აფხაზეთის ეთნოგრაფიული შესწავლა ჯერჯერობით დაზვერვითი ხასიათის მუშაობას არ გასცილებია, ამდენად აფხაზთა ეთნიკური შედგენილობის საკითხი მოხსენებაში განხილული არ არის.

[3] **გ. ჩიტაია**, 1948 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, მიმომხილველი, ტ. I. 1949 წ.

ზემოთ მოყვანილი მასალა მრავალ ელემენტს შეიცავს, რომლებიც კულტურულ-ისტორიული კვლევა-ძიებისათვის მეტად საყურადღებოა. ამაზე აქვერ შეჩერდებით. ჩვენ მხოლოდ ერთ ელემენტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

საგულისხმოა, რომ მონათხრობი ხაზს უსვამს მოსავლის ციკლიურობას, სახელდობრ, გლეხების ფიგურალური (ხატოვანი) გამოთქმით „შვიდ წელი-წადში ერთხელ სახნისმა ოქროს უნდა წამოკრას წვერი", რაც ვარაუდობს რომ, შვიდ წელიწადში ერთხელ კარგი მოსავლი უნდა მოვიდეს.

ეს ხალხური გადმოცემა შეიძლება ისეთ ფანტაზიად და მითად გვეჩვენოს, რომელიც ისტორიული სინამდვილის არც ერთ მარცვალს არ შეიცავს. არსებითად კი საქმე ეხება სრულიად რეალურ ვითარებას. გადმოცემა ხატოვან ფორმებში ასახავს მეტად საყურადღებო დროგასული მოვლენის თავისებურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გადმოცემა შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. ეს მტკიცდება იმითიც, რომ ის ასეთივე ფიგურალური გამოთქმა აფხაზებშიც იქნა დამოწმებული და ჩაწერილი. 1949 წელს სოფელ ჭილოუში, სადაც გლეხებმა არამცთუ ჩაგვაწერინეს ეს გადმოცემა, არამედ მისი არსი ახსნეს კიდეც.

თუ შევეცდებით არსებითად გავარკვიოთ გადმოცემის დედააზრი, ცხადი გახდება, რომ თხრობაში არეკლილია მიწისდამუშავების გარკვეული წესი, რომელიც საერთო ყოფილა ქართლსა და აფხაზეთში. საკითხი ეხება სასოფლო მეურნეობაში მიწის დასვენების წესს, სახელდობრ მიწის დასვენების სამწლიან წესს. თუ მიწას სამ წელიწადს ამუშავებენ, შემდგომ სამ წელიწადს დასვენებენ, მომდევნო მე შვიდე წელიწადს, როგორც დასვენებული და ჯანმოკრებილი ბუნრა, კარგ მოსავალს მისცემს მუშაკს.

ამჟამად გადმოცემის ეს მნიშვნელობა ქართლის გლეხებს დავიწყებული აქვთ. მათი ყოფიდან დიდი ხანია ამოვარდნილია მიწის დამუშავების და დასვენების სამწლიანი სისტემა. ქართლელი გლეხები ნაკმაზიანი მოსავლის წინაპირობად ღრმად ხვნას მიიჩნევენ, რომელიც ქართული დიდი გუთნის გამოყენებასთანაა დაკავშირებული. მიწის ღრმად მოხვნის სისტემა მიწაითმოქმედების განვითარების შემდგომი საფეხურია მიწის სამწლიან დასვენებასთან შედარებით და სოფლის მეურნეობაში ახალი ვითარების ამსახველია.

ზემოთ მოტანილი ქართულ-აფხაზური პარალელური დამთხვევა, დაკავშირებული მიწის დამუშავების სისტემასთან, საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ ერთი სისტემა ემთხვევა მეორეს, არამედ იმითაც, რომ ეს მონაცემი ერთი და იმავე ხატოვანი გამოთქმებით არის წარმოდგენილი (სახნისის წვერი – ხვნას ასახავს, ოქრო – მოსავალს). ასეთი დამთხვევა – შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

აფხაზეთის ყოფაში სახვნელი იარაღების სამი სახეობა დასტურდება, რომლებიც სახვნელი იარაღების ერთ ძირითად ტიპს განეკუთვნებიან. ეს ტიპი ხასიათდება: გრძელი, მოხრილი და ჭუსლი ჩამჯდარი მხარით, ჭუსლით და ხელნათი. ამ იარაღის გამწევი ძალის რაოდენობა ერთი უღლით განისაზღვრება და თავისი ფუნქციის მიხედვით ნიადაგის გახარვის, ჰიეჩვის შემძლეა მხოლოდ. ამ სახვნელი იარაღის პარალელები უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს ბარსა და მთაში. ის სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: კავი, სახვნელი, აგაფა-ოგაფა, ღენწტი-ში, ოქოქა, ანაჩა და სხვა. გურიაში მას ეწოდება **ხარწაღარა**// **ხარსარაღი.** ეს სახელწოდება დაახლოებით ისევეა შედგენილი როგორც აფხაზური **აკამთა.** ეს უკანასკნელი ხარის საჭურველს აღნიშნავს.

არსებული ულასიფიკაციის მიხედვით, რომელსაც დაყოფის საფუძველად უდევს სახვნელი იარაღების ფუნქცია, სახვნელი იარაღების ეს სახეობა განეკუთვნება კავწერასა და კავსახვნელების ტიპს, რომელთა დანიშნულებაა ნიადაგის გაწერა და აჩეჩვა. კონსტრუქციულად სახვნელი იარაღის ეს სახეობა განსხვავდება მომდევნო საფეხურის სახვნელი იარაღებისგან თავისი გრძელი მხარით იმ დროს, როდესაც მომდევნო და შემდგომი ხანის სახვნელებს უკვე მოკლე მხარი ახასიათებს. როგორც ფუნქციით, ასევე თავისი კონსტრუქციით ეს სახვნელი უძველესი სახეობაა, რომელსაც პარალელი მოეპოვება წინა აზიის უძველესი ხანის სახვნელ იარაღებში. თავისი წარმოშობით ეს სახვნელი იარაღი, როგორც ვვარაუდობთ, იმ ხანას განეკუთვნება, როდესაც საქართველოში ენდემური პურეულები მახა, ზანდური, ფეტვი იყო გავრცელებული.

ამიტომ სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზური სახვნელი იარაღის ერთ-ერთი ქვე-სახეობა აფხაზეთში გენუელების მიერ კალაბრიიდან არის შემოტანილი.

ეს „მტკიცება" საფუძველს მოკლებულია იმის გამოც, რომ კალაბრიულ სახვნელ იარაღს არ ახასიათებს ის თავისებური ელემენტი, სახელდობრ **კაკბი**, რომელიც აფხაზურს აქვს და რომელიც მას კიდევ უფრო მეტად სუმერული ტიპის სახვნელ იარაღთან ანათესავებს. ზოგადი ტიპოლოგიური მსგავსება კალაბრიის სახვნელი იარაღისა აფხაზურ-ქართულთან ახსნას პოულობს იმ ურთიერთობაში, რომელიც ეტრუსკულ სახვნელ იარაღსა და ქართულ (ხალხური) სახვნელ იარაღებს შორის დასტურდება. ეტრუსკების კოლხებთან კულტურულ-გენეტიკური კავშირის შესახებ არა ერთ მეცნიერს გამოუთქვამს დასაბუთებული აზრი და სხვა დროს ჩვენც გვქონდა მსჯელობა ამ საგანზე, ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდებით.

მიწისმოქმედების ხაზით ჩვენ მიერ დადასტურებული ზემოთ მოყვანილი პარალელურ მოვლენებზე შემდეგს დავძენთ.

აფხაზების ყოფაში დამოწმებული ვაზის მეურნეობა, ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების ხალხური წესები როგორც ძირითად ელემენტებში, ასევე ცალკეულ დეტალებსა და წვრილმანებშიც, ვაზის მოვლა-მოშენებასა და ღვინის დაყენების ქართულ წესებთან სავსებით იდენტურია. ამ დარგში მსგავსება იმდენად სრულია, რომ ის დასტურდება არა მარტო მატერიალური მხრით, არამედ ამ მეურნეობასთან დაკავშირებული იდეოლოგიის მიხედვითაც. მაგალითად, ამგვარია ღვინის ზედაშეებთან დაკავშირებული ყველა უმთავრესი საწესო ჩვეულებები. კერძოდ, ღვინის შეწირვის ადგილი, საზედაშე ღვინის მოვლა, ლოცვა-ვედრება, საზედაში ღვინის მოხმარება, შეწირული ღვინის სახვები და სხვა.

საწესო ჩვევების ასეთი ერთგვარობა როგორც ფორმით, ისევე თავისი შინაარსითა და ბუნებით ისეთი რიგის მაჩვენებელია, რომელიც აფხაზებისა და ქართველების მჭიდრო და ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობაზე ლაპარაკობს.

ვაზის კულტურის დარგში ამ ხასიათის მსგავსება არანაკლები სიძლიერით თავს იჩენს ამ კულტურის მატერიალურ მხარეებში. რომ ვრცლად არ შევეხოთ ამ მხრივ ნიშანდობლივ მონაცემებს, შევჩერდებით მატერიალური კულტურის მხოლოდ ერთ მონაცემზე, რომელიც ვფიქრობთ, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება.

ეს ელემენტია ღვინის დაჟენებისა და შენახვის წესი. ქართველ ტომებში ღვინის დაჟენებისა და შენახვის ძველებური წესი სპეციფიკურია და თავისებური. ამ წესის მიხედვით ღვინის დაჟენება, გარდა იმისა, რომ ის საწნახელში დუღდება ხოლმე, უმთავრესად და უპირატესად მიწაში დაფლულ ქვევრებში წარმოების, ღვინის დაცვა-შენახვაც მიწაში დაფლულ ქვევრებში ხდება. ეს თავისებურება იმდენად ნიშანდობლივია ქართველი ხალხისათვის, რომ მასზე დამყარებულია ღვინოს სხვადასხვა ხარისხის მიიღება.

ამჟამად ჩვენ არა რას ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად რთულია ქვევრების აშენება-დამზადება და რამდენად ძველია ეს კულტურა ჩვენში. აფხაზებში დამოწმებული ღვინის დადუღებისა და შენახვის წესი, მიწაში ჩადგმული ქვევრების საშუალებით საერთოა ქართულთან. დამთხვევა აქ სრულია.

ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ როგორც გარკვეულია ღვინის სახელწოდება ქართულ, აფხაზურ, ინდოევროპულსა და სემიტურ ენებში ქართველური ენებისაგან არის შესული. სახელწოდება **ისრაიმი**-ც სემიტურში ქართველური ენებიდანაა მიღებული.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ქართული **ლაგვინი, ლაგვანარი** და **ლოგინი,** მეგრული ლ ო გ ვ ა ნ ი , გ ვ ა ნ ი , აფხაზურში ა ლ ა გ უ ა ნ ა ადგილის სახელები, რაჭულშიც **ლაგვანთა** (ადგილის სახელი), რაც ჭურს ნიშნავს, ეტიმოლოგიურად იხმარება როგორც საღვინე[4], ლა-გვინი-ლა-სა, გვინი-ღვინი.

ამავე ხასიათის პარალელური მოვლენები აშკარავდება მესაქონლეობაშიც. ერთი მხრივ, ძირითადი რძის ნაწარმი, მისი დამზადების წესი და ამ მეურნეობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, ხშირად მათი სახელებიც საერთო ქართულია. ასევეა საქონლის მოვლა-მოშენების წესებიც. მთაში, ბარში და ზეგანში საქონლის ყოლა ზაფხულს, ზამთარსა და შემოდგომაზე. მწყემსების შეამხანაგება მთაში წასვლისას. შეამხანაგებულნი ერთი-მეორეს აშინჯვინებენ მთაში წასაყვან საქონელს, ირჩევენ გამოცდილ მწყემს, რომელსაც მთელი „მთობის" მანძილზე ემორჩილებიან. თხის ჯოგის მწყემსები უფრო დაბალ მთებს ეტანებიან საბალახოდ, სადაც ტყისა და ალპური მცენარეების საზღვარია. მეცხვარეებს ცხვარი შიშველ მთებზე მიუდით, სადაც ალპური ბალახის მეტი არაფერია.

ჯელის დედოდ აქაც ძროხის, თხისა ან ცხვრის კუჭს ხმარობენ, რომელსაც **აცა** || **ნაწი** ეწოდება. აქაც საუკეთესო ჯელის დედად, როგორც სხვა ქართველ ტომებში, დვრიტა ითვლება, რომელიც იმავე წესით მზადდება, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში. დედის რძით ნაკვებ ბატკანს ან ციკანს როცა დაჭლავენ, კუჭიდან აფცელებულ ხსენს (ქვეცერე) ამოუღებენ, გაახვევენ რამეში, შეინახავენ და საჭიროების შემთხვევაში თითო ბეწოს რძეში გაურევენ. საყურადღებო დამთხვევა მესაქონლეობის ხაზით შეიმჩნევა ამ მეურნეობის ისეთ ძირეულ ელემენტში, როგორცაა აფხაზური **აგუარა**. აფხაზური აგუარა შემოღობილს, შემოზღუდულს აღნიშნავს. საქონლის სადგომია, როგორც ბარის, ისევე მთის პირობებში და ამ მეურნეობის იმ სპეციფიკურობასთანაა დაკავშირებული, რომელიც წლის დროებთან შეფარდებით ზაფხულში საქონელი იალაღზე ჰყავთ, ხოლო ზამთარში– ბარში, თბილ ადგილებში უდგათ.

---

[4] ქართული მევენახეობა. **ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ს** რედაქციით. წინასიტყვაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის პირობებში აგუარა ყორისგან ნაგებიც გვხვდება, მოწნულიც და ლატნებისაგან შედგენილიც. აფხაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ეს სახელწოდება ისეთ შედგენილ სიტყვაშიც გვხვდება როგორიცაა **აწანგუარა**, რომელიც ჩვეულებრივად წანების (წანარების) სადგურად არის განმარტებული. ამგვარი აწანგვარები აფხაზეთის მთის ზოლში მრავლადაა დადასტურებული.

აფხაზურ აგუარა სიტყვიდან ნაწარმოები სახელწოდება **აგუართა** – აღნიშნავს ჯოგს, საფუტკრეს და სხვა ამგვარ შემკრებილობით ცნებებს. მეგრულში ამ ტერმინით აგვარა, ისევე როგორც აფხაზურში საქონლის სადგომი (ქართა) აღინიშნება. ილ. ჭყონიას ლექსიკონის მიხედვით გურულში აგვარა მწყემსისა და მონადირის საყარაულო ქოხია. დაწვრილებით ცნობებს გურული აგვართას შესახებ ალექსი რობაქიძე გვაწვდის ეხლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში „მეფუტკრეობა გურიაში“[5]. აღნიშნავს: „ძველად ლანჩხუთის რაიონის გლეხებს დაბლობ ადგილებსა და უმთავრესად რიონის ჭალებში, ტყეში შერჩეული ჰქონდათ ტიალი ადგილი, რომლებშიც ისინი კარავს იდგამდნენ, ზაფხულ–შემოდგომით ყანას ამუშავებდნენ და ზამთრობით საქონელს ბალა-ხებდნენ რიონის ჭალებში. მისი რბილი ბალავის გამო ზამთარში საქონლის შენახვა უფრო იოლი იყო. ამ მეურნეობას, უკეთ რომ ვთქვათ, ამ ადგილს აგვართა ეწოდებოდა. აგვართაში ყანა იხნებოდა და ითესებოდა მთელი ოჯახის ძალით (გარდა ოჯახის წევრებისა, რომლებიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსული დაბლობში). სიმინდის აღების უმალვე საქონელს აგვართაში ჩამოდენიდენ; კარავში რჩებოდა ოჯახის ერთი წევრი, რომელიც საქონელს უვლიდა, რძის ნაწარმს ამზადებდა და ამავე დროს ნადირობამეთევზეობას მისდევდა. თუ რომ ოჯახის ეს წევრი მცირეწლოვანი იყო და რძის ნაწარმის დამზადებას ვერ მოერეოდა, იგი შეეზიარებოდა მეზობელს; შეზიარებულნი ერთად ჩაიდგამდნენ კარავს აგვართაში და, უმცროსი რომ საქონლის მოვლაში ეხმარებოდა უფროსს, უფროსი წველასა და ყველის დამზადებას აწარმოებდა“.

ზემოთ მოტანილი მასალა მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგვართას შესახებ.

პირველი, რასაც ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ის არის, რომ აგვართა სადგომია ზამთრის პირობებში და რომ აქ მესაქონლეობის წარმოებისათვის შეამხანაგებას აქვს ადგილი. ეს ის სპეციფიკური მეურნეობაა, რომელიც საქონლისათვის წელიწადის დროების მიხედვით ადგილმონაცვლეობას ვარაუდობს, სახელდობრ, მთის – ზაფხულში, ზეგანს – შემოდგომაზე, ბარს – ზამთარში.

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა რომ აგვართასთვის ჭალებში მომაღლო ადგილს არჩევდნენ, დიხაზურგის, დიხაგუძუბას, რომლებიც არქეოლოგიური განათხარი მასალების მიხედვით წარსულიდან მომდინარე ჩანს, რაც თავისთავად ამ სახის მეურნეობის სიძველეზე მიუთითებს. აფხაზეთში დამოწმებულ აწანგუარებს, ამავე სპეციფიკურ მეურნეობასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ზღვისპირეთში საზამთრო აგვართას მომაღლო ადგილებზე გამართვას ის აზრი ჰქონდა, რომ წყალდიდობის დროს აგვართას მდგარი საქონელი დახრჩობას გადარჩენოდა.

[5] **ალ. რობაქიძე**, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, ტ. V, თბ., 1952, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე, რაც აგრეთვე აშკარად ჩანს ეთნოგრაფიული მასალიდან, ის არის, რომ აგვართას მნიშვნელობა გაფართოებულია, მასში მიწისმოქმედების მომენტებია ჩართული. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა და აზრი მაინც ჩანს.

ეს კარგად ჩანს სხვა მონაცემებითაც.

მართლაც, აფხაზურ-მეგრულ-გურული, აგუარა-აგვართა, აგვარა-თას გვერდით ამ სიტყვებს ოდნავი სახეცვლილებით სვანურშიც ვადასტურებთ. აქ ის **ვაალ**-ის სახითაა წარმოდგენილი და აღნიშნავს სვანური სახლის იმ ნაწილს საგანგებოდ გადატიხრულს, რომელშიც ზამთარში საქონელი (მსხვილფეხა და წვრილფეხა) უდგათ ხოლმე. სვანური სახლის გვალი გამოირჩევა თავისი კონსტრუქციით და მეტად თავისებური ნაგებობაა. ხშირად ის ორ და სამ სართულებია ხოლმე.

აფხაზურ აგუარას პარალელი უნდა იყოს აგრეთვე ქართული **გომ-ური**, რომელიც ქართლში საქონლის სადგომს (საბასთან „სახლი ვლეხური") აღნიშნავს.

როგორც ვხედავთ, აგუარა-აგვარა-აგვართას თავდაპირველი მნიშვნელობა კარგადაა შემონახული. ის მეურნეობის გარკვეულ სახეობასთანაა დაკავშირებული, საქონლის სადგომს აღნიშნავს. ამასთან ერთად აფხაზურსა და მეგრულს შემოუნახავს ამ სიტყვის ის მნიშვნელობა, რომლითაც ჯოგს, სიმრავლეს აღნიშნავს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით თავისთავად იბადება საკითხი იმის შესახებ, ხომ არ არის აგუარა-აგვარა-აგვართა-გვალ-გომი ქართულ გვართან კავშირში. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ეს სოციალური მნიშვნელობის მქონე ტერმინი **გორაა** სახითაა დამოწმებული.

ზემოთ ეს ამ ეტაპზე ერთ-ერთ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარის თავდაპირველი მნიშვნელობის გასარკვევად ზემოთ დასახელებული ვითარება სოციალური ტერმინების წარმოქმნისათვის, ჩვენი აზრით, ბუნებრივ პროცესს უნდა ასახავდეს, როგორც ამას სხვა მონაცემებშიც ვხედავთ. სიტყვა **დარბაზი**, რომელიც საკრებულოს მნიშვნელობით იყო ქართულში ჩვენამდე მოღწეული (სვანურში დარბაზი სვანური ქორის იმ ნაწილს აღნიშნავს, რომელშიც ადამიანთა და საქონლის მარაგია დაცული) და რომელიც ირანულ სიტყვად იყო მიჩნეული, სემიტურ ენებიდან მომდინარეობს. ბაბილონურში სიტყვა დარბაზ **ეზოს** აღნიშნავს, ხოლო თავდაპირველად ამ სიტყვით საქონლის სადგომი აღინიშნებოდა, შემდეგ – საქონლის საწყობი (სალარო), ნაგებობა, დაბოლოს საკრებულო. ასევე ბერძნული **აგორა** თავდაპირველად ჯოგს ეწოდებოდა.

ზემოთ მიწისმოქმედებასთან დაკავშირებით ჩვენ ვუჩვენეთ ეთნოგრაფიული პარალელები, როგორც მატერიალურ კულტურაში, ისევე იდეოლოგიაში. ასეთივე ვითარება მოწმდება მესაქონლეობის ხაზითაც. „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში (1928 წ.) აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ხევსურული ღვთაება **ანატორს** მეგრულ **ფინი (ზენა) ანთარსა** და აფხაზურ **აჲთართან** აქვს პარალელი და რომ მეგრულ-აფხაზური ეს ღვთაებები ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქონლისა და მოსახლეობის მფარველი ღვთაებები იყო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ამ ღვთაების სახელს უძველეს და სრულ სახედ ხევსურული **ანატორი** უნდა ჩაითვალოს, რომელიც აგებულების მიხედვით უნდა რთული ორნაწილიანი სიტყვა იყოს და შედგებოდეს **ან** და **ტური** || **ტურისაგან**. ამათგან **ანა** აფხაზურ ღმერთს უდრის, ხოლო **ტორ** || **ტურ** აფხაზურსავე **თარ** || **თურს**". ამგვარად ირკვევა, რომ **ანატორი, ანთარი, აჲთარი** ძველის ძველი ღვთაებაა მესაქონლეობასთან დაკავშირებული და საერთო ქართულ-აფხაზურ სამყაროსათვის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დასაბუთებულ ზემოთ მოყვანილ დებულებას მხარს უჭერს ახალი მონაცემებიც.

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ღვთაება ანატორის მიწიერ ადგილ-სამყოფთან მიწის ზემოთ დგმული აკლდამებია დაკავშირებული. ამის გამო ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი მკვლევარი მიწის ზემოთ დგმულ აკლდამებს ანატორს უწოდებდა, ხოლო ხევსურეთში დამოწმებული მიწის ზემოთ დამარხვის ჩვეულებას მაზდეანობიდან მომდინარე წეს ჩვეულებად მიიჩნევდა.

ახლა, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ **ანატორ-ფინი ანთარი- აჲთარ, ეტლარ**-ის შესახებ იყო ნათქვამი და იმასაც მოვიგონებთ, რომ მიწის ზემოთ დამარხვის ჩვეულება ძველ კოლხეთშიც და აფხაზეთში ვახუშტის დროსაც იყო დამოწმებული, ხარის ტყავში გახვეული მიცვალებულის გვამის ხეზე შედება, ხევსურული ჩვეულება მიწის ზემოთ დაკრძალვისა – პარალელს პოვებს კოლხურ-აფხაზურ ჩვეულებებში.

როგორც დავინახეთ, ზემოთ ნაჩვენები ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები უძველეს ხანას განეკუთვნებიან, ისინი უშუალო მწარმოებლის მატერიალური კულტურისა და იდეოლოგიის სხვადასხვა მხარეებს ასახავენ, პარალელური მოვლენების თვისობრივ ერთიანობას ამოწმებენ და

ქართველების და აფხაზების კულტურულ-გენეტიკურ კავშირსა და ისტორიულ ერთობლიობაზე მიუთითებენ*.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია თავის შრომებში ნიადაგ იმას უსვამდა ხაზს, რომ აფხაზებისა და ქართველების ისტორიული ერთობლიობა დამახასიათებელი ვითარებაა აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის განვითარების ყველა საფეხურზე. ეს დებულება თავის დასაბუთებას, ვფიქრობთ, ჩვენს ნაშრომშიც ჰპოვებს**.

1952 წ.

---

* **შენიშვნა:** აფხაზებისა და ქართველების მყარ კულტურულ-ისტორიულ ფესვებსა და ტრადიციული ურთიერთობის ფორმებზე მიუთითებდა აკად. **გ. ჩიტაია** პროფ. **ზ. ანჩაბაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილშიც (1984 წ.), სადაც აღნიშნავდა, რომ „ქართველებსა და აფხაზებს შორის რევოლუციამდელ ხანაში ტრადიციული კეთილ-შობილური და მეგობრული ურთიერთობები სუფევედა, როცა ქართველი ბავშვები აფხაზების ოჯახში იზრდებოდნენ და პირიქით. მაგრამ, ჩვენს ოჯახში, ფოთში, ჩემს უფროს ძმა ნიკიტასთან ერთად ორი აფხაზი ჰაბუკი იზრდებოდა. ისინი, ისევე როგორც ჩემი ძმა სწავლობდნენ სამოქალაქო სასწავლებელში. ერთის გვარი იყო ლაკარბია და მეორესი კირტბაია. ორივენი ბზიფის ხეობიდან იყვნენ ჩამოსულნი. მამაჩემი გუდაუთაში ყიდულობდა აფხაზურ ღვინოს და იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა. მათი შვილები იყვნენ ეს ჰაბუკები. სწორედ ასეთ ძველთაძველი კეთილმეგობრული დანაოსური ურთიერთობების გაღრმავებასა და გაფართოებას ჩვენი ზურაბი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა". (იხ. გ. ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ. 1991, გვ. 86. ი.ც.)

** **შენიშვნა:** ამავე დებულებას ასაბუთებს გ. ჩიტაია შ. ინალიფს ნაშრომის „Абхазы, историко-этнографические очерки, Сухуми, 1960" რეცენზიაში (თანაავტორი მ. გეგეშიძე), რომელიც კარგად ცნობილი მიზეზების გამო არ დაიბეჭდა. ვინაიდან ზემოთ აღნიშნული წერილი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ამავე დროს აქტუალურია ქართულ-აფხაზური პარალელების გააზრებისათვის, საჭიროდ ვეცანით მისი სრული სახით გამოქვეყნება კრებულში „ია", რომელიც მიძღვნილია აკად. გ. ჩიტაიას დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ.. 1991, გვ. 295-209. ამჟერად აქ მოგვყავს მცირეოდენი შემოკლებით:

„საჭიროა პირველადვე ითქვას იმ მთავარი შენიშვნის შესახებ, რომელსაც ეს წიგნი ზოგადად იწვევს. აფსუები (აფხაზები) ანთროპოლოგიურად დასავლეთ ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს განეკუთვნებიან, ენობრივად ჩრდილო-დასავლურ ენებთან ახლო კავშირში იმყოფებიან, ხოლო კულტურულ-ისტორიულად ქართულ კულტურას ენთესავებიან, თუმცა იმათ კულტურაში მომთაბარულ-მეჩოგური კულტურული ფენაც ძლაერადაა წარმოდგენილი. ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართველებთან უშუალო ურთიერთობამ, აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულმა მჭიდრო კავშირმა და თანაცხოვრებამ აფსუების (აფხაზების) და ქართველების ყოფა და კულტურა იმდენად დაუახლოდა ერთმანეთს, რომ გაჩნდა ორივე ხალხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მრავალი საერთო თავისებურება, რომელსაც სწორედ ეთნოგრაფიული დაკვირვება და კვლევა-ძიება პირველ რიგში გამოავლენს. ამიტომ იყო, რომ აფხაზების ეთნოგრაფიის სპეციალურ, ერცელ ნარკვევებში ეს მხარე შესაფერ ასახვას ჰპოვებდა, რადგან, როგორც ჩვენ გვესახება, ეს უნდა ყოფილიყო ამ ნარკვევების ერთ-ერთი ძირითადი შეცნიერული საფუძველი, ურომლისოდაც ეთნოგრაფიული მოვლენებისა თუ ფაქტების სრული და მართებული ახსნა შეუძლებელია. სამწუხაროდ, აღნიშნულ წიგნში ასეთი მიდგომა არ არის გამოყენებული. ვერ ვიტყვით, რომ ავტორი საერთოდ გვერდს უვლიდეს აფხაზებისა და ქართველების ყოფისა და კულტურის ურთიერთობის საკითხებს, ურთიერგაელენებს და სხვ., მაგრამ ყველაფერი ის, რაც ამ თვალსაზრისით წიგნშია მოცემული, ცოტაა. დაეასახელებთ ერთ მათგანს. შ. ინალიფა აფსუების მეზღვაურობის შესახებ ფართოდ მსჯელობს (გვ. 177, 180), ჰენიოხ-მეზღვაურებს აფსუებად მიიჩნევენ, მოყვს

კლასიკური ავტორების ცნობა „კამარების“ (ნავების) შესახებ, ხოლო ავიწყდება, რომ ვახუშტი ბაგრატიონი „კამარებს“ შეგრული სახელწოდებით „ოლიეჭვანდარით“ მოიხსენიებს.

ავტორს აგრეთვე ავიწყდება ისიც, რომ სახელწოდება აფხაზი ისტორიულად ყოველთვის როდი ნიშნავდა აფსუას; აფხაზი აღნიშნავდა ლაზსა და ქართველს. (გვ. 216).

როგორც ჩანს, ავტორისათვის ეს გარემოება ცნობილი ყოფილა და ამიტომ გასამართლებელი მიზეზებიც მოაქვს. აი, რას წერს იგი წიგნის ბოლოსიტყვაობაში: „Абхазия, расположенная на юго-западных строгах Главного Кавказского хребта и населенная издревле абхазами, является связующим звеном в географическом, но и в этно-культурном отношениях, прежде всего между картвельскими (грузинскими) и адыгенскими (черкесскими) группами. Это нашло свое глубокое отражение в языке, антропологической классификации, материальной и духовной культуре абхазского народа. Поэтому историко-сравнительное изучение данных этнографии Абхазии представляет, как известно, исключительный научный интерес, выходящий далеко за пределы этнографического изучения собственно абхазов. Тем не менее неразработанность вопросов исторической этнографии Абхазии, а также характер настоящих очерков не позволяли автору распространяться в отношении привлечения паралельных материалов из быта указанных родственных народов“.

როგორც ვხედავთ, ავტორი აღნიშნული ვითარების მიზეზად აფხაზების ეთნოგრაფიის საკითხების ჯეროვანად დაუმუშავებლობას მიიჩნევს, ასევე წიგნის სპეციალურ ხასიათსაც შემზღუდველ გარემოებად თვლის. ჩვენ ამაში ვეთანხმებითო ავტორს, მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენადაც ვიცით, რომ აფხაზების ეთნოგრაფიის საკითხები მართლაც ღრმად და სპეციალურად დამუშავებული არ არის, მაგრამ რაც უკვე გაკეთებულია (და ამაში ამხ. შ. ინალიფას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის), იმის სათანადოდ ჩვენება ნამდვილად შეიძლებოდა. რაც შეეხება წიგნის ხასიათს („ნარკვევები“), არც ეს გვეჩვენება არსებით შეფერხებად.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა ამ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთში მოაწყო სპეციალური ეთნოგრაფიული ექსპედიციები (ხელმძღვანელები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კ გ. ჩიტაია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჭყონია). ექსპედიციებმა უადრესად მდიდარი და საყურადღებო მასალები შეკრიბეს აფხაზების მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ. ამ მასალების დამუშავების წინასწარი შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა აფხაზების სამეურნეო, მატერიალური, საოჯახო, საზოგადოებრივი ყოფისა და იდეოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი საერთო თავისებურებანი ქართულთან. ასეთივე მასალები სხვადასხვა დროს უხვად იყო გამოვლინებული დასავლეთ საქართველოში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს. ყოფასა და კულტურაში შეხვედრებით, საერთო თავისებურებებით განსაკუთრებით გამოირჩევა სამურზაყანო, აფხაზებითა და მეგრელებით დასახლებული. მსგავსი მოვლენები შეიმჩნევა აგრეთვე კოდორისა და ბზიფის აფხაზებში. დასანანია, რომ ამ მასალებმა, რომელთაც შ. ინალიფა მეტნაკლებად იცნობდა (ზოგიერთ ექსპედიციებში თვით შ. ინალიფაც იღებდა მონაწილეობას), სათანადო ასახვა ვერ პოვეს წიგნში. ორი მეზობელი ხალხის ყოფასა და კულტურაში დადგენილი საერთო მოვლენები მათს ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებს. იგულისხმება, რომ ადგილი აქვს ურთიერთგავლენას, კულტურის ურთიერთგამდიდრებას.

ასეთია ჩვენი ზოგადი შენიშვნა ამ წიგნზე. ჩვენ თავს ვიკავებთ იმის თქმისაგან, რომ ავტორი შეგნებულად გაურბოდეს ქართულ-აფხაზურ ეთნოგრაფიულ პარალელებს. მის მიერ დასახლებული მიზეზები უთუოდ მხედველობაშია მისაღები, საიდანაც ჩვენი შეხედულებით ისიც უნდა გამომდინარეობდეს რომ მომავალში, აფხაზეთის ეთნოგრაფიის საკითხების დამუშავების გაღრმავება უფრო კარგად და სრულად წარმოაჩენს აფხაზებისა და ქართველების ყოფისა და კულტურის თავისებურებებს.“

1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი II

კულტურულ – ისტორიული პრობლემები

ცნება „კულტურა“*

კულტურის ცნებაში შედის ფიზიკური წყობა და ის ნაციონალური თავისებურებები, რომლებიც მეღავნდებიან მატერიალურ კულტურაში, საწარმოო გამოცდილებებსა და შრომით ჩვევებში.

ნაციონალური კულტურის ეს თავისებურებანი, საწარმოო გამოცდილებანი და შრომითი ჩვევები ის წვლილია, რომელიც ამა თუ იმ ერს, დიდსა თუ მცირეს, შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

ეს თავისებურებები იქმნება საუკუნეების მანძილზე და თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე. ეს ის მონაპოვარია, რომელიც მშრომელი ხალხის მიერაა მიკვლეული ემპირიულად, პრაქტიკულად.

მართლადაც, ხალხი ყოველდღიურად შრომასა და ყოფაში, თუმც არაყოველთვის შეგნებულად იყენებს ბუნების ობიექტურ კანონებს. თუ ადამიანი თავის მოქმედებას არ შლის ამ კანონებთან შეფარდებით, ის ვეღარ იარსებებს. „გარეშე სამყაროს, ბუნების კანონები წარმოადგენენ ადამიანთა მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველს“[1].

ბუნების ობიექტურ კანონებზე დამყარებით ადამიანი იყენებს ბუნების სიმდიდრეს, მის ძალებს, სხვადასხვა სახის ენერგიას. ბუნების ამა თუ იმ კანონის გამოყენების პროცესში ადამიანებს შეიძლება არც კი ჰქონდეთ ის შეცნობილი, შემდეგში აღმოაჩენენ ხოლმე მას პრაქტიკული ან თეორიული მოღვაწეობის შედეგად. მაგალითად, ჩვენ წინაპრებს, რომლებიც ცეცხლს ხის ნაჭრების ერთმანეთზე ხახუნით აჩენდნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ერთი სახის ენერგიის მეორე სახის ენერგიად გარდაქმნის კანონის შესახებ.

გარემოს დამორჩილების პროცესში და გარემოსთან შეგუებისას ადამიანებს პრაქტიკულად უნდა გამოეყენებინათ ბუნების კანონები, ანგარიში უნდა გაეწიათ მათთვის, უნდა ემოქმედათ ამ კანონების შესაბამისად. ეს უნდა ყოფილიყო შესაძლებელი იმის გამო, რომ ადამიანი უკვე შეგრძნების შემწეობით ქმნის საერთოდ სწორ წარმოდგენას მისი გარემოცვის შესახებ. ვ. ლენინი გვასწავლის, რომ „ადამიანი ვერ შესძლებდა შეგუებოდა ბიოლოგიურად გარემოს თუ მისი შეგრძნება არ მისცემდა მას ობიექტურად სწორ წარმოდგენას მასზე“[2].

მაგრამ მხოლოდ შეგრძნებას, რომელიც ახორციელებს ადამიანის უშუალო კავშირს გარემოსთან, ცხადია, არ შეუძლია აღმოაჩინოს ბუნების კანონები. ამ ამოცანას წყვეტს პრაქტიკა, მეცნიერება, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების პრაქტიკული საჭიროებიდან, ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მარტივი წარმოდგენების საფუძველზე შექმნილი პრაქტიკული ღირებულების მონაპოვარი ისტორიის მანძილზე არა

* იბეჭდება შემოკლებით.

[1] Ленин В.И. Философские тетради, Москва, 1947, გვ. 161.

[2] Ленин В.И. Соч., т. XIV, Москва, 1947, გვ. 166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირედია, ვინაიდან პრაქტიკული შეგუების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საჭიროება ადამიანს გაუჩნდა უმალვე, როგორც კი ადამიანად იქცა და კულტურის მქონე არსებად შეიქმნა. ამიტომ საგსებით გასაგებია საბჭოური ეთნოგრაფიის თვალთახედვა, რომელიც, წინაადმდეგ ბურჟუაზიული ეთნოგრაფიისა, არ ჰყოფს მსოფლიოს ხალხებს კულტურულ და არაკულტურულ ხალხებად. საბჭოთა ეთნოგრაფია თვლის, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს უკულტურო ხალხები, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ადამიანი გაადამიანდა და მას მარტივი წარმოდგენები შეუფუშავდა, ის მეტნაკლებად კულტურულ ღირებულებათა შემქმნელი გახდა და ამა თუ იმ სახის კულტურის მატარებელიც იყო, ამიტომ უკულტურო ხალხის არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია, ეს სრული უაზრობაა[3].

რაც შეეხება მარტივი წარმოდგენების საფუძველზე შექმნილ კულტურულ ღირებულებებს, ამ ხაზით ჩვენს განკარგულებაში უამრავი ფაქტიური მონაცემია. ეთნოგრაფია ამგვარი მონაცემებით მეტად მდიდარია, პირველ-ყოველისა იმ მონაცემებით, რომლებიც ცოცხალ სინამდვილეში თანამედროვე კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში გვხვდება. მაგრამ ისინი მეტნაკლებად მოიპოვებიან თანამედროვე კულტურულად დაწინაურებულ ხალხებშიც და მათ ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებას პოულობენ. ეს მონაცემები მნიშვნელოვანი განძია, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე და რომელიც ხალხის კულტურის ფონდს შეადგენს, მის ძირითად მონაპოვარს ეკუთვნის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანმა ცეცხლის გამოყენება უძველესი ხანიდან მოახერხა. ადამიანმა ცეცხლის „გაჩენის" რამდენიმე ხერხი შექმნა, რომელთა გამოყენების საფუძველზე პრაქტიკულად დაიმორჩილა ბუნების ერთ-ერთი სტიქიონი და თავის სამსახურში ჩააყენა – განათება, გათბობა, ცეცხლზე საკმლის დამზადება, ყოველივე ეს ამ კულტურული მონაპოვრის საფუძველზე მოხერხდა.

ამიტომ არის, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ბუნებრივი ცეცხლის გამოყენება და ხელოვნური ცეცხლის მოპოვება უდიდეს მიღწევად არის მიჩნეული.

თუ ჩვენ დავაკვირდებით ცეცხლის მოპოვების ყველა ხერხს, დავინახავთ, რომ ისინი ყველანი ერთს ძირითად, ფიზიკაში კარგად ცნობილ, კანონს ემყარებიან და მის გამოყენებაზე არიან დაფუძნებული. ეს კანონია: ფიზიკური ენერგიის ერთი სახეობიდან მეორე სახეობაში გადასვლა ხახუნით, რა სახითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული. ცეცხლის გაჩენა ამ კანონზეა დამყარებული და ამ კანონის გამოყენებიდან გამომდინარეობს, ამის გარეშე ცეცხლის მოპოვება შეუძლებელია.

მაგრამ ეს კანონი მიკვლეულია ფიზიკის მეცნიერებაში გარკვეული ხანიდან, რაც იმას არ ნიშნავს, რომ თავისთავად ეს კანონი მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ის ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს. სრულიადაც არა. ეს კანონი ბუნებაში არსებობს უხსოვარი დროიდან. მაგრამ სანამ მას ფიზიკური მეცნიერება აღმოაჩენდა, კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი

[3] შდრ. საწინააღმდეგო შეხედულება **Ed. M a y e r**, Die Lebensgesetze der Kultur, Halle, 1918, გვ. 7–8; **K. W e u l e**, Kulnr der Kulturloser, Leipzig, 1918; **Pia Laviosa-Zamboti**, Ursprung und Ausbreitung der kultur. Baden-Baden, 1950.

ადამიანი მას იყენებდა უმარტივესი წარმოდგენების საფუძველზე, მას იყენებდა შეუცნობლად, პრაქტიკული საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით და იმ უნარის წყალობით, რომელიც ადამიანის გარემოსთან შეგუების გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა. უნდა ისიც ითქვას, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანის მიერ შეუცნობლად „აღმოჩენილი" კანონი, ენერგიის ერთი სახეობის მეორე სახეობაში გადასვლისა, კაცობრიობის მიერ დღესაც გამოიყენება. ის გამოიყენება უკვე ახალ სამეცნიერო ბაზაზე, რაციონალური ცოდნის საფუძველზე, ახალ საფეხურზეა აყვანილი მისი გამოყენების ხერხები.

არანაკლებ საგულისხმო მაგალითს მეორე შემთხვევა იძლევა.

შორეულ აღმოსავლეთში, ოკეანის მოსახლეობაში, მისი სამხრეთ ნაწილიდან დაწყებული კუნძულ ტიავანამდე (ფორმოზა), ერთი საყურადღებო ალკოჰოლური სასმელის დაყენების წესი არსებობს (აქვე უნდა შევნიშნოთ ამგვარი ალკოჰოლური სასმელის არსებობა ჩინეთში ჩვენი წელთაღრიცხვის მე-12 საუკუნეში დასტურდება)[4].

ეს წესი ძირითადად შემდეგში მდგომარეობს.

ხის დიდ კასრში ჩასხამდნენ წყალს და ჩაყრიდნენ შიგ ღომის მარცვალს. ამავე დროს ოცი-ოცდაათი ქალი იქვე მახლობლად დასხდებოდა, პირით ღეჭავდნენ ღომის მარცვალს და დაღეჭილს კასრში ყრიდნენ. გამომუშავებული იყო წესი, რომელიც განსაზღვრავდა კასრში ჩასაყრელი დაღეჭილი ღომის რაოდენობას. ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ კასრს ჩუსს დაახურავდნენ, რომ საღუეველი დამთბარიყო. ღომი აფუვდებოდა, დუღილს დაიწყებდა. რამდენიმე დღის შემდეგ კასრს ჩუსს ახდიდნენ და დადუღებული ღომის მარცვლის წვენს სასმელად იყენებდნენ. ასეთნაირად მიღებულ სასმელს ორი-სამი პროცენტი სიმაგრე თუ ჰქონდა, მაგრამ მაინც ალკოჰოლურ სასმელად ითვლებოდა. ამგვარად მომზადებული სასმელი დიდად საპატიოდ იყო მიჩნეული და საწესო გამოყენებაც ჰქონდა. ამ ხალხებში ეს სასმელი ქორწინებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში აუცილებელი ელემენტი იყო და დღესაც არის.

თანამედროვე მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი და მეცნიერული ექსპერიმენტითაც დამტკიცებულია, რომ ალკოჰოლური სასმელი დუღილის პროცესით მიიღება, როდესაც დუღილის პროცესში ჩართულია ამისათვის საჭირო სათანადო მასალა. ისიც ცნობილია, რომ ამა თუ იმ მასალის დუღილის მდგომარეობაში გადაყანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია ამ პროცესის გამომწვევი სათანადო „დედა". ცნობილია ისიც, თუ ასეთ დედად რა მასალა შეიძლება იყოს გამოყენებული. ზემოთქმულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ გარკვეულია, თუ რა ბუნებისაა დუღილი, რომელთაც ამ შემთხვევაში შაქარს გამოყოფს და რომელიც ამ პროცესის მომდევნო საფეხურზე სპირტად, ალკოჰოლად გადაიქცევა.

ეს ყველაფერი ასე კარგადაა ცნობილი თანამედროვე ქიმიაში. უკვე დადგენილია და გარკვეული ამ კანონის მოქმედების ფარგლები, მისი ეფექტურობა. მისი გამოყენების საფუძველზე მიღწეულია ალკოჰოლიანი სასმელის დამზადების მაღალხარისხოვან „მარკები".

ამის გვერდით რას ვხედავთ ჩვენ ზემოთ მოყვანილ მაგალითზე, დუღილის ძირითად ფერმენტად ამ შემთხვევაში გამოყენებულია ადამიანის ნერწყვი.

---

[4] შდრ. Невский А., Материаль по говорам (языка) цоу, Ленинград, 1929, გვ. 14–16.

ქალების მიერ დომის მარცვლის პირში ღეჭვა ემსახურება იმას, რომ დაღეჭილი ღომის მარცვალი ნერწყვით გაიჟღინთოს და რომ შემდეგ კასრში ამ ნერწყვმა თავისი თვისებები გამოამჟღავნოს. თანამედროვე მეცნიერებას ეს თვისებები კარგად აქვს გარკვეული. ცნობილია, რომ ნერწყვი შეიცავს პეპსინს, რომლის ძირითადი მოქმედი ელემენტი დუღილს იწვევს. ეს ის ელემენტია, რომელიც ჩვენს ლუკმას კუჭში ჩაყვება და იქ განსაზღრული ტემპერატურის პირობებში დუღილს იწვევს, დაშლის ლუკმასთან ერთად ჩაყლილ მასალას და მათ ნიადაგს მოუმზადებს ამ ნივთიერებათა ათვისების შემდეგ პროცესებს.

ჩვენს შემთხვევაში ნერწყვით გაჟღენთილი ღომის ლუკმის შერევა კასრში მოქცეულ ღომთან, ამ მიზანს ემსახურება და გარკვეულ ეფექტსაც იძლევა.

პეპსინის ეს თვისება, რომელიც მეცნიერულად მიკვლეულია ქიმიკოსების მიერ, უცნობია პოლინეზიელი ან მელანეზიელი ტომებისათვის. დუღილის ის შინაგანი პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ ამ შემთხვევაში, ისე დაშორებულია ამ ტომების მიერ „შეგრძნობილი" ვითარებისაგან, როგორც თანამედროვე მეცნიერება მარტივი წარმოდგენებისაგან არსის, ცოდნის პირველი კატეგორია არსის ცოდნის მეორე კატეგორიისაგან. მიუხედავად ამისა, ეს ტომები ქიმიის კანონების ცოდნის გარეშე პრაქტიკულად იყენებენ ამ კანონებს, რომლებიც ობიექტურად არსებობენ, რომლებიც პრაქტიკული მოთხოვნილების საფუძველზე მიკვლეული აქვთ მარტივი წარმოდგენების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, მარტივი წარმოდგენების საფუძველზე წარმოშობილი „მიღწევები" კულტურული მონაპოვარია, რომელსაც უაღრესად პრაქტიკული გამოყენება აქვს, ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება და სათანადო ეფექტის მომცემია. ეს მონაპოვარი კაცობრიობის განვითარების შემდეგ საფეხურზე მეცნიერების მიერ არის დასაბუთებული. მეცნიერული გზით შემოწმებული ამ ობიექტური კანონის დასაბუთება, მისი ექსპერიმენტის გამოყენების ახალ შესაძლებლობას ქმნის.

კიდევ უფრო საყურადღებო მაგალითია რგოლის ტრიალის პრინციპის გამოყენება.

კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილია, თუ როგორი ხანიერებისაა ბორბლის გამოყენება. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ეს გამოგონება უშუალო მწარმოებლის პრაქტიკული დაკვირვების, მარტივი წარმოდგენების საფუძველზეა მიღწეული და არამეცნიერული ცდითა და აზროვნებით შექმნილი.

თავისთავად ცხადია, რომ იმ თეორიებიდან, რომლებიც ბორბლის წარმოშობის შესახებ არსებობს, სინამდვილესთან ახლო ის თეორია შეიძლება ვივარაუდოთ, რომელიც ამ გამოგონებას უშუალო მწარმოებლის პრაქტიკას უკავშირებს (საგორავი, თითისტარი) და არა ის თეორიები, რომლებიც იმდროინდელი ადამიანის რელიგიური სიმბოლიკიდან ამოდიან. აქ, ამ შემთხვევაშიც მართლდება ისტორიული მატერიალიზმის ის დებულება, რომლის მიხედვით ტექნიკის ისტორიაში ყოველგვარი გამოგონება იბადება საჭიროების მიხედვით. ამას ეთნოგრაფიული მასალა კარგად გვიჩვენებს[5].

თანამედროვე მეცნიერებაში რგოლის ტრიალის პრინციპი დასაბუთებულია ექსპერიმენტის გზით, გაანგარიშებულია ამ სახის მოძრაობის

[5] **Гегешидзе М.К.**, О некоторых видах грузинских народных средств перевозки, Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952, стр. 180–181.

კანონზომიერებანი, დადგენილია მისი გამოყენების ეფექტური ფორმები. ოღესღაც პრაქტიკული გზით მოპოვებული კულტურული აღმოჩენა მეცნიერების მიერ დასაბუთებულია, განზოგადებულია და კვლავ პრაქტიკაში განხორციელებული – გამოყენებულია ნაირი სახით.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ ეთნოგრაფიული მასალებიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქართლის სოფელში საანეულო პურის თესლი „ღილის პური" ყანის მოცდენისა თუ სხვა მიზეზის გამო გაწყდებოდა, გლეხი საგაზაფხულო პურის თესლს (დიკას) აიღებდა და შემოდგომაზე დათესავდა. ამ ნათესის დიდი უმეტესობა დაიკარგებოდა, გაცდებოდა. ზამთრის სიცივეს მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩებოდა და ყანად დადგებოდა. მოწეულ ნაზამთრალ დიკას გლეხი საანეულო თესლად იყენებდა და შემოდგომაზე კვლავ თესავდა. მეორედ დათესილი დიკა ზამთრის სიცივეს ადვილად იტანდა, დაჯეჯილდებოდა და შემდეგ ყანად დადგებოდა. მოწეული თავთავი უკვე ღოლის პური იყო და არა დიკა.

დიკა საქართველოში უძველესი პურეულია. საქართველოს მთის ძირში ის ღღესაც გაბატონებული საგაზაფხულო მარცვლეულია და ნაირი სახითაა წარმოდგენილი. არამცირედი ხნისაა ღოლის პურიც. ის გაბატონებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, როგორც საანეულო თესლი. ეს ჯიშიც სხვადასხვა სახისაა. საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხს ამ პურეულებზე დაკვირვების შედეგად პრაქტიკული ღონისძიებები შეუმუშავებია.

გლეხების მიერ პრაქტიკული დაკვირვების შედეგად მიღებული თესლის ამგვარ გარდაქმნას მეცნიერები ეჭვის თვალით უცქერდნენ და შეუძლებლად მიაჩნდათ. ისინი პრინციპულად შეუძლებლად თვლიდნენ თესლის ამგვარ გარდაქმნას და თუ ყანაში მაინცდამაინც დიკის ნაცვლად ღოლის პურს პოულობდნენ, ამის მიზეზად აცხადებდნენ იმას, რომ თესლში უთუოდ შერეული იყო ღოლის მარცვლები ან კიდევ ფრინველმა, ან წყალმა მოიტანა მარცვლის ეს ჯიში. საბჭოურმა აგრონომიამ სავსებით გაანათილა მეცნიერთა ეს მცდარი შეხედულება და ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ გლეხების მიერ პრაქტიკაში გამოყენებული თესლის გარდაქმნას ნამდვილად აქვს ადგილი[6].

აქაც, პრაქტიკულად მოპოვებული აღმოჩენა, მეცნიერულმა ექსპერიმენტმა გაამართლა და ექსპერიმენტული გზით დადასტურებული დებულება პრაქტიკაში ფართოდ ინერგება. თუ ზემოთ მოყვანილი მაგალითები განეკუთვნება ხალხური კულტურის ძველ ხანას, დაახლოებით ამგვარი მაგალითი შეიძლება თანამედროვე პრაქტიკიდანაც დავასახელოთ.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვენი დროის წარმოების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები და ნოვატორები.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ წარმოების მოწინავენი და ნოვატორები ხშირად მეცნიერებაში ახალ გზებს სახავენ. მათი გამოცდილება ახალი წყაროა მკვლევრებისათვის. მოწინავე გამოცდილების განზოგადება, გარდა იმისა რომ ეხმარება წარმოებას, ამდიდრებს მეცნიერებას.

---

[6] **Лысенко Т.**, Новое в науке о биологическом виде. Вестн. АН СССР, 1951, გვ. 3, 7, 73 და გაზეთი „Правда", 1950; **Читая Г.С.**, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952, стр. 105–106. **ვ. ჩ ი ტ ა ი ა**, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, მიმომხილველი, ტ. I, თბილისი, 1948, გვ. 379–380.

ერთი მაგალითი. კოლმეურნე ქალმა ნათელა ხარატმა ჩაის პლანტაციებზე მუშაობის გაადვილების პრაქტიკული მოთხოვნილების საფუძველზე გააუმჯობესა საჭრელი იარაღი, სასხლავი. ფაბრიკულ სასხლავ იარაღში მან გაუმჯობესება შეიტანა. ადგილობრივ მეჭედელს მიუთითა, თუ რა უნდა გაემჯობესებინა მოქმედ სასხლავ იარაღში და ამ გაუმჯობესების შემდეგ, პრაქტიკული ცდის შედეგად, ამ ახალი იარაღის უპირატესობა დადგინდა – ძველთან შედარებით, და ფართო გავრცელება მოუპოვა მას[7].

ზემომოყვანილი მაგალითები, ჩვენი აზრით, სავსებით ამართლებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იმ დებულებას, რომლის მიხედვით ხალხი ყოველდღიურ შრომასა და ყოფაში, თუმცა არა ყოველთვის შეგნებულად, ხელმძღვანელობს ბუნების ობიექტური კანონებით. თუ ადამიანი თავის მოქმედებას ამ კანონებთან შეუფარდებით არ შლის, ის ვეღარ იარსებებს. „გარეშე სამყაროს, ბუნების კანონები წარმოადგენენ ადამიანთა მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველს". „ადამიანი ვერ შეძლებდა შეგუებოდა ბიოლოგიურად გარემოს, თუ მისი შეგრძნება არ მისცემდა მას ობიექტურად სწორ წარმოდგენას გარემოზე" (ლენინი, თხზ., ტ.14, გვ. 166). შეგრძნების საფუძველზე შექმნილი მარტივი წარმოდგენები, რომლებიც ამყარებენ უშუალო კავშირს გარემოცვასთან, ცხადია, ვერ აღმოაჩენენ ბუნების კანონებს, მაგრამ ადამიანები პრაქტიკის საფუძველზე მეტ-ნაკლები სისრულით იყენებენ მას.

აქ ჩვენ იმ ვითარებას ვადასტურებთ, რომელიც კაცობრიობის ისტორიის უძველეს საფეხურზე აშკარად მოწმდება.

ამ საფეხურზე ადამიანის მიერ მიღწეული მონაპოვარი ხალხური კულტურის ის ძირითადი მარაგია, რომელიც, მსგავსად ენის ლექსიკის ძირითადი ფონდისა, მეტნაკლებად მყარია, თაობიდან თაობაზე გადადის, ივსება ახალი მონაპოვრით. ბევრი მათგანი შემდეგში მეცნიერების მიერ დასაბუთებას და განზოგადოებას პოულობს.

ამრიგად ცნება „კულტურა", ფართო გაგებით ფართოა შედარებით იმასთან, რასაც პოლიტიკური, იურიდიული და სხვა ამგვარი დაწესებულებები მოიცავს. მასში შედის როგორც ექსპერიმენტული, ასევე ემპირიული გზით მოპოვებული კულტურა, რომელიც შეგრძნების საფუძველზე წარმოშობილ მარტივ წარმოდგენებს ემყარება და ემპირიულ ცოდნას შეიცავს. ხალხური კულტურის ეს ელემენტები თავისი ფესვებით შორეულ წარსულს უკავშირდებიან. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირული ცოდნა, შრომითი გამოცდილება და საწარმოო ჩვევები შეადგენენ ხალხის კულტურის ძირითად ფონდს.

უნდა ითქვას, რომ ხალხური ემპირიული ცოდნა არ ისპობა სავსებით (მთლიანად მისი წარმომშობი ბაზისის ლიკვიდაციასთან ერთად), არამედ მისი ესა თუ ის ნაწილი უმჯობესდება და მტკიცედ რჩება ხალხის ყოფაში, როგორც ერთი შემადგენელი კომპონენტი მისი კულტურის ძირითადი ფონდისა. მრავალი მათგანი სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტის გზით პოულობს დასაბუთებას და ახალი საზოგადოების მშენებლობის სამსახურში დგება.

ზემოთ ჩვენ მიერ გარკვეული იყო ცნება კულტურის თუმცა არსებითი, მაგრამ მაინც ერთი მხარე. საკითხს მეორე მხარეც გააჩნია, რომელიც ჩვენი დაკვირვების საგანი უნდა გახდეს. ეს არის კულტურის შინაარსის საკითხი.

---

[7] ილ. ჭყონია, ახალი ყოფა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, მსმ., ტ.VI, გვ. 11.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში კულტურის შედგენილობის საკითხი ხაზგ მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ედ. ტეილორის მიხედვით „კულტურა შედგება რწმენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, წეს-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა ნიჭისა და ჩვეულებისაგან, რომლებიც ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს შეთვისებული", თ. ტურნვალდისათვის „კულტურა ადამიანის მოქმედების დანალექია". ი. პრეობრაჟენსკის აზრით „კულტურა არის თავისებური მატერიალიზაცია საზოგადოების შრომისა".

ფრ. რატცელის შეხედულებით „კულტურის ინვენტარს მიეკუთვნება: ცეცხლი, ნადირობა, მეთევზეობა, გარეული მცენარეების საზრდოდ გამოყენება, ცეცხლის შემწეობით საკმლის დამზადება, სამკაულები, ჩაცმულობა, ბინა, საამარი იარაღი, ხელოსნობა, მიწის მოქმედება, საქონლის მოშინაურება, ჭორწინება, სახელმწიფოს ჩასახვა, უფლება, რელიგიის ჩასახვა, მიცვალებულის დაკრძალვა".

ბურჟუაზიული მეცნიერები ამ ელემენტებს სწავლობენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლივ, მოწყვეტილად და ამგვარი შესწავლის მექანიკურ შენაერთს კულტურის ისტორიას უწოდებენ. ნაცვლად საზოგადოების საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შესწავლისა, ისინი შრომის პროდუქტების შესწავლით კმაყოფილდებიან, რაც ფეტიშად აქვთ გადაქცეული.

ედ. ტეილორი კულტურას განიხილავს როგორც ცალკეულ ელემენტებს საგნებს, ჩვევებსა და ინსტიტუტებს, დამოუკიდებლად ურთიერთისაგან, ადამიანისაგან დამოუკიდებლად, რომლის საზოგადოებრივმა შრომამ ისინი წარმოშვა. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ტეილორის მიხედვით კულტურის ეს ელემენტები ვითარდება ორგანული სამყაროს კანონების მიხედვით. ტეილორის მიხედვით, რამდენადაც ადამიანის ფსიქიკა და გონების კანონები უცვლელია, ამდენად უკვე ცნობილი, ისტორიულად ცნობილი, საზოგადოების განვითარების მიმართულების მიხედვით თამამად შეგვიძლია წინაისტორიული ხანა აღვადგინოთ და რომ ამგვარი აღდგენის და რეკონსტრუქციის მეთოდი ერთადერთი სწორი მეთოდია ეთნოგრაფიაში.

თანამედროვე ამერიკული რეაქციონური ფსიქო-რასისტული თეორია კულტურის განვითარებას ადამიანის ფსიქიკის რასიული თავისებურებებით აპირობებს. ამ ჯგუფა ეთნოლოგებს „კულტურა" წარმოდგენილი აქვთ როგორც „შიშველი და ცარიელი აბსტრაქცია, როგორც ადამიანის სული" (შდრ. Man, 1951, J., November, London).

კიდევ უფრო შორს მიდიან ფსიქორასისტები იურ. რუსკი და გრ. ბატსონი, რომლებიც ამერიკული კულტურის არსის გასარკვევად მოითხოვენ ამერიკული „ზეკაცობრიული" კომუნიკაციის სათანადო მატრიცებისა და მოდელების დადგენას. მათი შეხედულებით ამგვარი მატრიცებისა და მოდელების მიკვლევა მხოლოდ ფსიქიატრებს შეუძლიათ[8].

ზემოთ უკვე გავარკვიეთ ბურჟუაზიულ-რეაქციონური მეცნიერების ამგვარი უსუსური და გზაბნეული შეხედულების ძირითადი წყარო.

წინააღმდეგ ამისა მარქსისტულ-ლენინური გაგებით კულტურა სავსებით კონკრეტული შინაარსის ცნებაა. ამ გაგებით კულტურა არის არა მარტო სულიერი მხარე და ფსიქიკური წყობა (თავისებურებანი) ხალხისა, არამედ

[8] **J. Ruesch** and **Gr. Bateson**, Communication: The Soceial Matrix of Psychiatry. New–York, 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება.

ლენინის მიხედვით კულტურა არის ჯამი ჩვევებისა, ქცევებისა და იდეებისა, ე.ი. კულტურა შეიცავს საზოგადოებრივი მოვლენების უფრო ფართო წრეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივად იდეოლოგიის ქვეშ არის გაგებული[9]. იგი ასკვნის „რომ ამ საქმეში მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რაც შევიდა კულტურაში, ყოფაში, ჩვევებში"[10]. ე.ი. კულტურა საზოგადოებრივი წარმოების რეზულტატია, რაც ნათელყოფს საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთობასაც. პირველი, საწარმოო ურთიერთობათა ნაკრებია, ხოლო მეორე – ადამიანთა შრომის მიერ დაგროვილი პროდუქციის ნაკრები.

ი.ბ. სტალინის მიხედვით ფსიქიკური წყობის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ეს ნიშანი სხვადასხვა ხალხში იქმნება მისი „თაობიდან თაობამდე არსებობის არა თანაბარი პირობების შედეგად"[11]. ეს ის თავისებურებაა, რომელიც ნაციონალური კულტურის შინაარსში ჩნდება, როგორც ერთი ხალხის კულტურის გამომყოფი მეორე ხალხის კულტურისაგან. ეს თავისებურება არ არის მარადიული და უცვლელი კატეგორია, არამედ იგი იცვლება, როგორც ყოველგვარი ისტორიული მოვლენა, ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად[12].

1955 წ.

---

[9] Ленин В., Соч., т. XVIII, ч. 2, стр. 145.

[10] Ленин В., Соч., т. XVII, ч. 2, стр. 125.

[11] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი. 1947, გვ. 318–319.

[12] ამ წერილში დასმული საკითხის შესახებ სწორ ორიენტაციას იძლევა **დ. ჩხიკვიშვილის** ნაშრომი „О национальной форме социалистической культуры", Тбилиси, 1954. ამასვე ჩვენ ვერ ვიტყვით **А. Першиц**-ის წერილზე „К вопросу о предмете этнографической науки" („Советская Этнография" т. IV. М., 1954). ამ წერილში მოცემული კულტურის ცნების გაგება ჩვენთვის სავსებით ნათელი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანური „საკურცხელ“

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცის დამდეგს ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ თავის განვითარების სარბიელზე გიგანტური ნაბიჯებით წარსდგა წინ. ეს სამეცნიერო დარგი, ნახევარი საუკუნის წინათ მხოლოდღა ჩასახვის პერიოდში რომ იმყოფებოდა და პირველ „ამოსაღებს“ იკვეთდა–ორმოცდაათი წლის მანძილზე ისე დაწინაურდა, რომ აღწერილობითი ეთნოგრაფიიდან, რომელიც გეოგრაფიის ნაწილად ითვლებოდა–დამოუკიდებელ, აღმხსნელობითი, ხალხთა შესწავლის (ეთნოლოგია – Volkskunde, Völkerkunde, ხალხთცნობა) მეცნიერებად იქცა. ეს დაწინაურება იმდენად საგრძნობი შეიქმნა და ამ დარგის საკითხები თეორეთიულად ისე ღრმად დამუშავდა, რომ ასეთი მიღწევებით შექმნილ მდგომარეობის გამო კარგად ცნობილი მეცნიერი ფ. ლ უ შ ა ნ ი ბოლო ხანებში ამბობდა: უკვე დრო დადგა ეთნოლოგიამ თეორეთიულ ჩაღრმავებასთან ერთად თავის სამეცნიერო ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად პრაქტიკულ ამოცანების განხილვასაც შეუდგესო[1].

და საკვირველი არ უნდა იყოს, თუ ეთნოლოგიის ასეთი ზრდასთან ერთად მეტად გაბასრდა ეთნოლოგიური საგნის საკვლევი მეთოდები და გართულდა ამ ობიექტის შესწავლისათვის საჭირო მისადგომი საშვალებები. აქ დიდად ნაყოფიერ შედეგებით მეთოდის მომარჯვებას თანდაყოლევნა მრავალი ახალი მიდგომა და ამ ნიადაგზე მრავალნაირი მიმდინარეობა წარმოიშვა. გეოგრაფიზმი, კულტურულ-ისტორიული სკოლა, მასათა ფსიქოლოგიზმი, ევოლუციონური ფსიქოლოგიზმი, სოციოლოგიური თეორიები, კომპლექსიზმი და სხვა[2] —ამ მრავალმხრივობის სხვადასხვა სახეებია. მეთოდოლოგიური ძიება დღესაც გრძელდება. საკითხის სირთულე და სიძნელე დავას იწვევს არა თუ სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენელთა შორის, არამედ თვით ერთი და იმავე სკოლის მიმდევარნიც კი ზშირად კამათობენ მათ სკოლაში მიღებული მეთოდის შესახებ. ამის მაგალითს ჩვენ გვაძლევს კულტურულ-ისტორიული მეთოდის შესახებ ამჟამად წარმოებული კამათი ამერიკელ და გერმანელ ეთნოლოგებს შორის. მათ, ერთი და იმავე სკოლის ადეპტებს, სხვადასხვა გვარად ესმით ეს ისტორიულ-კულტურული მეთოდი და მისი გამოყენება სხვადასხვანაირად სურთ[3].

მაგრამ ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს, არც ეს სამეცნიერო კამათი და არც ეთნოლოგიური მეთოდოლოგიის მრავალმხრივობის საკითხი. ამ მრავალ-

---

[1] ეურ. A n t r o p o s für J. 1907, t. 1. Heft 1. გვ. 162; აგრეთვე, Dr. Ottomar T h i e l e, Ueber wirtschaftliche Verwertung ethnologischer Forschungen mit besonderer Rücksicht auf die oekonomischen Beziehungen der Ethnologie zur Industrie. Tübingen, 1906.

[2] Fr. G r e b n e r, Methode der Ethnologie. Heidelberg. 1911; J. S. G u e n t h e r, Die Zielle, Richtpunkte und Metoden der modernen Völkerkunde, Stuttgart, 1904; W. S c h m i d t, Die moderne Ethnologie, Wien, 1906. Felix K r u e g e r, Ueber Entwicklungs-psychologie, ihre sachliche und geschichtliche Notwendigkeit (Arb. zur Entwicklungspsychologie, herausgegeben von P. K r u e g e r, Bd. 1, Hef. 1), Leipzig, 1913. W. W u n d t, Probleme der Voelkerpsychologie, 2-te Auflage von Max W u n d t. Stuttgardt, 1921.

[3] W. S c h m i d t, Die kulturhistorische Methode und die nordamericanische Ethnologie, A n t h r o p o s B. XIV–XV, Heft 1, 2, 3, 1919–1920, Januar–Juni. Franz B o a s, The Methods of Ethnology. American Anthropologist N. S, XXII (1920). A. L. K r o e b e r and Catharine H o l f, Masks and moieties as a Culture complexe. Jornal of the Royal Anthropol. Institute. L. (1920).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივობიდან ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს და ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც, ჩვენის შეხედულებით, ქართული[4] ეთნოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებისათვის შეიძლება განსაკუთრებით შესაფერისი იყოს და ნაყოფიერიც გამოდგეს. უნდა ითქვას, რომ ქართულ ეთნოლოგიურ დარგში ნ. მარრის პალეო-ეთნოლოგიურ და ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ, უმთავრესად მის სხვადასხვა თხზულებაში გაბნეულ, გზის ყოლაუზების მაჩვენებელ შენიშვნებისა[5] და იუ. ჯავახიშვილის ეპოქალურ მონოგრაფიის „ქართული წარმართობის“[6] გარდა, თითქმის არაფერი მოგვეპოვება ისეთი, რომ ხელშესახები და მეცნიერულად მისაღები იყოს. სწორედ ამიტომ, განვითარების ასეთ საფეხურზე მდგომ ჩვენი დარგის მეცნიერებისათვის, ეთნოლოგიურ დეტალების უღწურესად დამუშავების მეთოდი შესაფერის და დამაჯერებელ საკვლევ მიდგომად უნდა მივიჩნიოთ.

ადვილი მისახვედრია, თუ რად უნდა იყოს ეს ასე. ეთნოლოგიურ მეცნიერებისათვის (და არა მხოლოდ ეთნოლოგიურის) ყოველივე ახსნის უწინარეს ყოველისა საჭიროა ყოველგვარი ფაქტის დეტალური სისრულით აღნუსხვა, სადაც საჭიროა სიფრთხილით მისი აღდგენა და ფაქტის ყოველმხრივობის დასანახად გაადვილება, რაგინდ ცხოვრების წვრილმანს არ უნდა შეადგენდეს ეს ფაქტი და ცხოვრების სულ უკანასკნელი ფენების რკალში არ უნდა შედიოდეს იგი. შემჩნეულია, რომ წვრილმანი თავისი ერთი შტრიხით ხშირად იძლევა ცხოვრების უდიდესი საკითხების ახსნას, როგორც ამბობენ დიდი საკითხების ფსიქოლოგიურ ჩაჭრას, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკითხი ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და სხვა ამგვართ ეხება[7]. ფაქტების გაზოგადება, ტიპოლოგიის შედგენა და თვით შედარებითი მეთოდის მომარჯვებაც კი დეტალების ამგვარად დამუშავების შემდეგ ადვილად შესასრულებელი გახდება. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება მკვლევარი დაზღვეული შეცდომებისაგან, რომ სხვადასხვა ეპოქისა და დამოუკიდებელ კულტურულ რკალთა ობიექტების ზერელე შედარებებით და უნიადაგო ანალოგიებით არ დაიბნელოს გამოსარკვევად მოცემული საკითხები.

სვანური „საყურცხილ“ ჩვენთვის ერთს ასეთ დეტალის საკითხს წარმოადგენს.

---

[4] ჯერხნმით ვხმარობთ ტერმინ „ქართულს“ იმ გაგებით, როგორც ეს ნახმარი აქვს იუ. ჯავახეთ შვილს თავის „ქართველი ერის ისტორია“-ში, 1 წიგნი; აგრეთვე, ამ. წერეთელს, სუმერული და ქართული, კრებული „ვეფხვნი“, ტფ., 1923 წ. შეადარე Н. Марръ, О религіозныхъ вѣрованіяхъ абхазцевъ, ХВ. т. IV, в. 1. გვ. 112–122. ა ქ ა ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, ძველი მწერლობა. ტფ., 1923, გვ. 19. შენიშვნა 1.

[5] იხილე განსაკუთრებით—Н. Марръ, О религіозныхъ вѣрованіяхъ абхазцевъ ХВ. т. IV, в. 1; მისივე, Еще о словѣ "челеби" (К вопросу о культурномъ значеніи курдской народности въ исторіи Передней Азіи), ЗВОИРАО, т. XX, в. 2; მისივე, Боги языческой Грузіи, ЗВОИРАО, т. XIV.

[6] იუ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. თავი მეორე. ტფ., 1913, 2 გამოცემა.

[7] S. Guenther, დასახ. ნაშრომი, გვ. 46 და შემდეგი; К. Иностранцевъ, Торжественный выѣздъ фатымидскихъ халифовъ, Введеніе, ЗВОИРАО. ტ. XVII. вып. II–III; И. Забѣлинъ, Домашный бытъ, 3-ее изданіе, 1895, Моск. გვ. XII და შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

არაერთს სვანეთში ნამყოფ მოგზაურ-მკვლევარს აღუნიშნავს, რომ სვანური ავეჯი მეტად საგულისხმო და შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. **ი. ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ი ს** თქმით სვანური ავეჯი უძველეს ხანას ეკუთვნის და ოსურ და დაღესტნის ზოგიერთ ხალხის ავეჯთან ერთად თავისი ორიგინალობით გამოიყოფა საზოგადოდ აღმოსავლეთის ავეჯისაგან[8]. **გ რ ა დ დ ე ც** ამოწმებს, რომ ეს ავეჯი მეტად საყურადღებოა[9]. ეს საგულისხმო სვანური ავეჯი უმთავრესად შესდგება: „საკურცხილ"—სავარძელისა; „სკამ"—„ლირგიმ"—გრძელი სკამი—მერხისა; „ბოჯგ"—სამფეხა სკამისა და „ფიჩქ"—„ტაბაკ"—მრგვალი სამფეხა მაგიდისაგან[10]. – ამათგან ჩვენს ყურადღებას ამჟამად „საკურცხილ" იპყრობს.



სურ. 1 საკურცხილი (ი. ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ი ს მიერ სვანეთში ჩახატული 1854 წ.)

საკურცხილის ერთი სახე ჩვენ მოცემული გვაქვს **ი. ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ი ს** ზემოთ ნაჩვენებ თხზულების დამატებაში, სადაც მას წარმოდგენილი აქვს მის მიერ სვანეთში მოგზაურობის დროს 1854 წ. სოფელ მესტიაში ჩახატული საკურცხილის (სურ. 1) ერთი ეგზემპლიარი[11]. მეორე ეგზემპლიარი საქართველოს მუზეუმის კუთვნილებას შეადგენს. ეს კოლექცია ჩამოტანილია სოფ. უშგულიდან 1910 წ. **ა. კ ა ზ ნ ა კ ო ვ ი ს** მიერ და აღნიშნულია მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილების კატალოგში 50–10/146 ნომრის ქვეშ. როგორც მკითხველი ხედავს ჩვენი საკვლევი ობიექტის ორივე ეგზემპლიარი სვანეთის ზემოხევიდან (ყაბეკე), ანუ უფრო ახალი სახელწოდებით თავისუფალ სვანეთიდანაა[12].

---

[8] И. Б а р т о л о м е й, Поѣздка в Вольную Сванетію, ЗКОИРГО, кн. III, გვ. 198.

[9] Г. Р а д д е, Путешествіе въ мингрельскихъ Альпахъ и въ трёхъ ихъ верхнихъ продольныхъ долинахъ, ЗКОИРГО, кн. VIII. от. 1. გვ. 73.

[10] თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, უშგულის აღწერა, ივერია, 1888 წ. №35; Д. М а р г і а н и, Сванеты. Нѣкоторые черты быта, СМОМПК, вып. X. т. 1. გვ. 73; Р. Э р и с т о в ъ, Замѣтки о Сванетіи, Тиф., 1898, გვ. 22.

[11] И. Б а р т о л о м е й, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III.

[12] თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, ივ. № 35.

სურ. 2. საკურცხალი en face (საქ. მუზ. კოლ. № 50–10/146.)

საქართველოს მუზეუმში დაცული საკურცხილი (იხ. სურათი 2. და 3. გვ. 92, 94) წარმოადგენს კეთილ-ჭრელებულ დასადგმელს, თლილი ხის სავარძელ-სკამს, რომელსაც აქვს, როგორც ზურგის მისაყრდნობი საზურგე, აგრეთვე მკლავთ სადრეკის დასაბჯენი ზეწრები. იგი ოთხი სვეტისაგან შედგება. სვეტები ოთხკუთხედებია და თითეული მათგანი სიმაღლით 67-ი სანტიმეტრია. ისინი ძირთან უფრო სქელია, ვიდრე ზემო ნაწილებში. ძირის სისქე არის 10–8 სანტ., შუა ნაწილის 8–7 სანტ. და ზემო ნაწილი 5–6 სანტ. უკანა სვეტები წელში მოღნავ შეხრილია, უფრო იმ შთაბეჭდილების მოსახდენად, რომ ადამიანის ზურგის მისაყრდნობად თითქოს ბუნებრივი მდგომარეობა არის შექმნილი. წინა სვეტების პირი კი ზემო ტანში მარცხენა - მარჯვენა[13] შიდა გვერდებიდან მოხდენილად არის ჩამოთლილი, რომ ამით მჯდომარე ადამიანს ხელთ მეტი არე დაურჩეს. იგივე წინა სვეტები გარე გვერდებში შესაფერისად არის ჩაჭრილი. ოთხივე სვეტის წვერები კუშტულოებით ბოლოვდება.

ძირითგან 8 სანტიმეტრის სიმაღლეზე სვეტებში, მათი შესაკვრელად უკან და გვერდებში, გუფთიანი ჩალანგირებია გაყრილი. უკანა ჩალანგირი სხვა ჩალანგირთან შედარებით უფრო ფართოა, მას ორი გუფთი ჩასდევს, როგორც ზედა ისე ქვედა პირზე, მაშინ, როდესაც გვერდის ჩალანგირებს გუფთი მხოლოდ ქვედა პირზე აქვთ. გუფთიან ჩალანგირების თარაზულზე წინა სვეტები მთლიანი, მრგვალი ხარატულებით (ხარატულები რიცხვით 12-ია) შემკულ ჩალანგირით არის შეკრული. ამ ჩალანგირის ქვემოთ 8 და 8 სანტიმეტრზე ორი ამგვარადვე შემკული სარტყელი ჩასდევს. ამ სარტყლებს შორის, პირველ წყებაში (ჩალანგირი და პირველი სარტყელი) სიმეტრიულად ერთი მეორისგან ექვსი შუასფეროებიანი კოჭია მოთავსებული და მეორე წყებაში (პირველი და მეორე სარტყელი) ამგვარივე ხუთი კოჭი. გვერდების გუფთიან ჩალანგირებიდან 33 სანტიმეტრით ზემოთ მთლიანი, ხარატულებით (თვითეული 12–12-ი ხარატულით) შემკული ზეწრებია გაყრილი. ზეწრებს პარალელურად ორი წყება სარტყელი მიჰყვება. თვითეული ერთი მეორისაგან 11 და 13 სანტიმეტრის დაშორებით. ზეწრებსა და სარტყლებს შორის ზემოთ მოხსენებული სახის კოჭებია გაყრილი ორივე გვერდზე: ზემო პირველ ჯგუფში ხუთ-ხუთი და ქვემო მეორე ჯგუფში ოთხ-ოთხი კოჭი.

[13] მარცხენა-მარჯვენას ეხმარობთ თვით ასაწერ საგნის მხრივ, როგორც ეს ამ ბოლო ხანს არის მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში.



სურ. 3. საკურცხილი ზურგიდან (საქ. მუზ. კოლ. № 50–10/146.)

უკანა სვეტებს შორის, ჩალანგირის ზემოთ 11 სმ. მოშორებით, ამგვარივე სარტყლებია გაყრილი, მხოლოდ ზემო სარტყლები უფრო მსხვილია ვიდრე წინა პირის და გვერდების სარტყლები და თითეული მათგანი 12–13 ხარატულით არის შემკული. ამათ ზემოთ, ზემო სარტყლიდან 13 სმ. მოშორებით, სარტყლების პარალელურად მისდევს 13 ხარატულით შემკული ზეწარი. ამათ შუა ზემოთ აწერილი რიგის კოჭებია მოთავსებული. ზემო პირველ ჯგუფში ექვსი, მეორე ჯგუფში კი ყოფილა ხუთი, მაგრამ ამჟამად ოთხი კოჭიღაა წარმოდგენილი. გვერდების და უკანა ჩალანგირებიდან 9 სანტიმეტრის ქვემოთ სვეტებში გაყრილია სამი, ეგრედ წოდებული „ხიდი" თითოო თითო. ეს ხიდები იმგვარივე სახისაა, როგორც სარტყლები, მხოლოდ მათთან შედარებით უფრო წვრილებია, ხარატულები ნაკლებად ასხია და ამოკრილობით ესენი ყ�sველა მრგვალი სახის როდია. ხიდებს სვეტებთან ხარატულები სულაც არ აქვს.

გვერდების ჩალანგირებზე გადახურულია საჯდომი ფიცრები. ესენი რიცხვით სამია. წინა ფიცარი სხვა ფიცრებთან შედარებით უფრო ფართოა და როგორც უკანა ფიცარს, მასაც ჩაჭრილი აქვს ყურები, რომ სვეტებს მჭიდროდ მოადგეს. ამას გარდა წინა ფიცარს წინა ჩალანგირის ხარატულებთან შეფარდებით 12 შეღრმავებული ჩაჭრა აქვს საჩრეტლით გაკეთებული, რომ აქაც ზუსტად იყოს ფიცარი ჩალანგირთან მისული.

საკურცხლის წინა სვეტების პირი მოჩუქურთმებულია. აქმარცხენა[14] სვეტზე ქვემოდან შემდეგი სახეებია გამოფენილი: ჩაჭრილი ოთხკუთხი, რომელიც ოთხი დიაგონალით რვა თანასწორ ნაწილად იყოფა. ნაწილები სამკუთხედებად არის ჩაღრმავებული. ამ ოთხკუთხედის ზემოთ წრეა გამოფენილი, რომელიც ცენტრიდან (ცენტრი ცოტათი დაშორებულია წრის ნამდვილ ცენტრს) 11 რადიუსი გამოდის. რადიუსებს შორის კვლავ სამკუთხოვან ჩაჭრას აქვს ადგილი დათმობილი. წრეს გარშემო ულის ზოგან ორი და ზოგან სამი, სადაც თავის უფალი ადგილი კია დარჩენილი, ზოლი. წრის ზემოთ ამოჭრილია ოთხკუთხი. ამ ოთხკუთხს 4 დიაგონალი აქვს და იმგვარივე, როგორც ზემოთ აღწერილ ოთხკუთხედს, დიაგონალებს შუა სამკუთხოვანი ჩაჭრა. ამ ოთხკუთხედს ასდევს კვლავ წრე, მომცრო ვიდრე აღწერილი. აქაც ცენტრი ოდნავ დაცილებულია ნამდვილს. მას აქვს 9 რადიუსი და ირგვლივ ზოგან ერთი და ზოგან ორი ნაწილ-ნაწილი ზოლი ულის. კიდევ ზევით, მარჯვენა ნაწილში ორ წყვილ ექვს საფეხურიანი კიბეებია ამოჭრილი,

[14] იხ. ზემოთ გვ. 143, შენიშვნა 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლით თითეული 14,5 სანტ. კიბეები ერთი მეორისაგან ღარით არის დაშორებული. აქვე მარცხენა ნაწილში აღწერილი კიბეების სიმაღლის ნახევრამდე ორი წყება ორ საფეხურიანი კიბეებია–(თუ ტეხილი ხაზები) და ამათ ზემოთ განიერი კიბე, რომელსაც აგრეთვე მხოლოდ ორი საფეხური აქვს. კიდევ უფრო ზევით არის აღწერილი სახის პატარა ოთხკუთხედი, რომელსაც 4 დიაგონალი აქვს და იმის ზევით სვეტის დარჩენილ ფართთან შეფარდებით ნახევრად ოვალური წრეა, რომელსაც 9 რადიუსი აქვს.

საკურცხლის მარჯვენა სვეტზედაც ამგვარივე ჩუქურთმებია ამოჭრილი სიმეტრიულად მარცხენა სვეტის ჩუქურთმების სახეებთან. განსხვავება შემდგომში მდგომარეობს: მარჯვენა სვეტის პირველ წრეს (ქვემოდან) რადიუსი მხოლოდ რვა აქვს, მარცხენა სვეტის პირველ წრეს ზე კი ასეთი თერმიტია. მეორე წრეებში: მარცხენაზე 9 რადიუსია, მარჯვენაზე 10-ი. მარცხენა სვეტზე კიბეები სამწყობად არის ამოჭრილი თანატოლი სიმაღლის: პირველი ორი, მარჯვენა მხრიდან, ექვს-ექვს საფეხურიანია, მესამე დიდს კი ოთხი საფეხური აქვს. ნახევრად ოვალურ წრის ცენტრიდან 8 რადიუსი გამოდის.

აქ აღწერილი საკურცხილი სხვადასხვა მასალისაგან არის გაკეთებული. მისი სვეტები ცაცხვისაა. სარტყლები, ზეწრები, ჩალანგირები, ხიდები და კოქები ნაძვისგან არის გამოთლილი[15]; ხოლო საჯდომი ფიცრები ფიჭვია. საკურცხილის ნაწილები შეერულია უწებოდ და ულურსმოდ: ხის ლურსმანიც კი არ არის დასამაგრებლად ნახმარი. ამ ავეჯის გასაკეთებლად ნახმარია შემდეგი იარაღები: საჩრეტელი, ჩქუთი და თხელი წალდი[16] (სვ. — ეჩოლ, ჩორთაჲ, ლატხი).

ხელობა უთუოდ ადგილობრივია. თუმცა **ჯ. კალვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყერძოდ, რომ სადურგლო სამუშაოები სვანეთში სწარმოებდა **ჩამაკაძეც** და **სტოიანოვიც** ადასტურებენ[20]. სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენ ისიც კი ვიცით, რომ ამეგამთაც სვანებს ჯვარისა და ლიას ბაზარზე გამოაქვთ ხეზე ნამუშავარი ნივთები; სვანების ნახელოვნები ხის ნაწარმოებნი მთელს სამეგრელოშია განთქმული „შონურ"-ის (სვანურის) სახელწოდებით. ჩ ე ბ ი ლ ი[21]. ასევე თუ ისე, საკურცხილი ადგილობრივი სვანური ხელობაა და თუ დღეს შეიძლება მას იქ არ აკეთებენ, ეს სრულიადაც იმას არ უნდა ნიშნავდეს,რომ სვანებს არ შეეძლოთ წარსულში მისი გაკეთება და შესაფერისი ხელობ მათ არ იცოდენ. დასაშვებია, რომ სვანებს ძველადაც არ ჰქონდათ გამოყოფილი სადურგლო სამუშაოები, როგორც განკერძოებული სპეციალობა, როგორც საამქრო ხელობა, მაგრამ სადურგლო საქმეებს შინაური წესით წინათაც და ეხლაც ასრულებენ.

ზემოთ აღწერილ საკურცხლის მსგავსი ტიპისაა დაახლოებით ის საკურცხლიც, რომელიც **ბართოლომეოს** მიერ არის ჩახატული (იხ. სურ. 1, გვ. 91). იმის წინა სვეტების პირზე ამოჩუქურთმებულია გეომეტრიული ხაზების ხლართი. კოჭები, რომელიც ამ საკურცხლის აქვს, თოკისებური ჩუქურთმით არის შემკული. წინ, ჩალანგირის ქვემოთ, გვერდებზე და უკან ჩალანგირების ზემოთ ოთხი ხის წრე აქვს მრავალფეროვან სვასტიკის მსგავსი სახეებით. ვერ ვიტყვით, თუ რა ხისგან იყო ეს საკურცხილი გაკეთებული. სამწუხაროდ ცნობას ამის შესახებ **ა. ბართოლომეი** არ გვაწვდის.

მაგრამ ვიკითხოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს საკურცხლის სვანთა ყოფა-ცხოვრებაში და უფროს ერთ შემთხვევაში რა ფუნქციების შესასრულებლად არის იგი განკუთვნილი.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანეთში საკურცხილი მეტად გავრცელებულია. ჩვენ მას ვნახულობთ არა თუ სვანის ოჯახში–იგი იქაურ ეკლესიებშიც ბლომად მოიპოვება. სვანეთის არა ერთ ეკლესიაში უნახავთ მოგზაურებს საკურცხილი და სხვა ავეჯიც ერთად დახორგილი[22]. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ დროში საკურცხილი საკულტო შეწირულება უნდა ყოფილიყო. ამავე დროს საკურცხილი სვანის სახლის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს. რაგინდ ღარიბი არ უნდა იყოს სვანი, მას ოჯახში საკურცხილი უსათუოდ უდგას[23]. ეს ასევე უნდა იყოს, ვინაიდან საკურცხილი სვანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

ეს სკამი-სავარძელი, ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის არის განკუთვნილი[24] იგი საპატიო სკამი[25], რომელიც ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდა უცხო.

[20] **ნ. ჩ ა მ ა კ ა ძ ე** თავის უფალი სვანეთი, ძველი საქართველო, ტ. II, ტფილ. 1911–13 წ., გვ. 9; А. С т о я н о в, Путешествие по Сванетии, ЗКОПРГО, кн. 10, вып. 2, გვ. 426.

[21] ეს ცნობა მომაწოდა სამეგრელოს მუზეუმის დირექტორმა პატივცემულმა **ა.ა. ჭანტურიამ**, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[22] С т о я н о в ъ, დასახ. ნაშრომი, გვ. 391 და 393. „В одной (во имя Спасителя) между прочим нѣсколько старыхъ сванетскихъ стульевъ (деревянные съ рѣзьбой,) со спинкой и поручами". "Церковь (во имя Архангеловъ) загромождена старою сванетскою мебелью".

[23] М а р г і а н и, დასახ. ნაშრომი, გვ. 74–75.

[24] М а р г і а н и, დასახ. ნაშრომი, იქვე; შეადარე აგრეთვე „სამარტო შკამი" მოხევეებისა. საქართველოს მუზეუმის კოლექცია №32–23/I.

[25] **ნ. ჩ ა მ ა კ ა ძ ე** დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად საპატიო სტუმარს თუ დაეთმობა. ასე, მაგალითად, საკურცხელი დაუდგეს სვანებმა მეფის ნაცვლის გაგზავნილს, მათს საპატიო სტუმარს, **ი. ბართოლომეის** სოფელ მესტიაში 1854 წ[26].

საკურცხელი ჩვეულებრივად დგას კერასთან[27], სადაც მამასახლისის მეთაურობით იკრიბება ოჯახის სამჯო და სწყდება სვანთა ოჯახური ყოფა-ცხოვრების უდიდესი საკითხები[28]. კერას კი სვანებისთვის განსაკუთრებული სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აქვს[29]. სხვათა შორის მასთანვეა დაკავშირებული წინაპართა კულტიც[30]. ამგვარ სარიტუალო კულტის შესრულების დროს საკურცხელსაც საპატიო როლი აქვს დაკისრებული.

სვანების შეხედულებით მიცვალებულის სული ერთი წლის განმავლობაში სახლში რჩება, როდესაც მას განსაკუთრებული პატივი და მზრუნველობა ჭირდება ოჯახისაგან. ასეთივე მზრუნველობა მისთვის შემდეგშიაც დიდად საჭიროა, მაგრამ გარდაცვლილის წლის თავზე ოჯახი ვალდებულია, რაგინდ ღარიბი არ უნდა იყოს იგი მიცვალებულს დიდი აღაპი გაუმართოს. სხვა დროს სასირცხვოდ მიჩნეული მამაპაპეული მამული გაყიდვაც კი ჩვეულების მიხედვით დასაშვებია ოჯახის ამ საჭიროებისათვის[31]. მართლადაც სვანი მთელი წლის განმავლობაში ემზადება ამ დღისათვის, რომელსაც ისინი „კათხტამაკს", „კათდაბაგ", „ლაგვან", ანუ „კონჩ-ხობს" ეძახიან[32]. წინასწარ დაასუქებენ საქონელს, დამაზადებენ პურეულს, გამოხდიან არაყს და აღაპის დღეც დგება. ყველაფერი შემზადებულია. სუფრები გაშლილი და წვეულებიც მოსულია. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად აი რა სურათი იშლება მხილველის თვალწინ: „ხუთი ექვსი სუფრა სავსეა ყველაფრით. სუფრის ბოლოს სვანების საპატიო სკამზე წამოსკუპებულია რაღაც არა ჩვეულებრივი არსება. როცა კარგად დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ მოგრძო კვრივისათვის ჩაუცმევიათ ჩოხა-ახალუხი, დაუხურავთ ქუდი და წამოუსკუპებიათ ამ საპატიო ადგილზე. ყოველივე ეს ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლის სულის მოსახსენებლადაც არის დანიშნული აღაპი"[33]. უნდა დავსძინოთ, რომ ასეთ სულის სასარგებლო აღაპს ზოგიერთი სვანი სიცოცხლეშივე მართავს ხოლმე თავისათვის. ამ შემთხვევაშიც „ლაგვანის" ცოცხლისათვის იმავე წესით ასრულებენ, როგორც მიცვალებულთათვის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სავარძელში, რომელზედაც მიცვალებლის „ლილშან" უნდა იდოს, ზის ის პირი, რომელიც თავის-

---

[26] **И. Бартоломей**, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[27] **ნ. ჩიბაკაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 29; **А. Долгушин**, Через Сванетію к Эльбрусу, СМОНПК вып. XXVIII. от. I. გვ. 153; **Р. Эристовъ**, Замѣтки о Сванетіи, Тиф., 1895, გვ. 22.

[28] **А. Долгушин**, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; **Стояновъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[29] **ლ. დ ა დ უ ა ნ ი**, ჩვეულებები სვანეთში, დროება, 1873, № 41.

[30] **И. Иваноковъ и М. Ковалевский**, Въ Сванетіи, Вѣстникъ Европы, 1887. იანვარი. отд. II გვ. 29.

[31] **М. Ковалевский**, Законъ и обычай на Кавказе, Москва 1890, т. II გვ. 58.

[32] **ნ. ჩიბაკაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 29; **მარგიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 39–42; არსენაძ ჯონაშ ბესლ შაშ, ლუშნუ-ამბარ ლგლ შახუ შუმი ნინშ, Мат. по яфет. языкозн. IX. Птгр. 1917. გვ. 41–42.

[33] **ნ. ჩიბაკაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 29; სხვათაშორის ამ ნიშანს სვანები „ლილშან" ეძახიან (იხ. არ. ჯონაშ, **დასახ. ნაშრომი**, გვ. 41.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უხდის „ლაგვანს“ ახალ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და აბჯარი ასხმია. მასთანავე გვერდით ზის მისი ცოლ-შვილი (თუ ყვნე) და ნათესავები[34].

მაგრამ ამით როდი ამოიწურება საკურცხილის საკულტო დანიშნულება. იგი კვლავ საპატიო როლს ასრულებს მიცვალებულთა მოსაგონარ სარიტუალო ჩვეულების დროსაც. ერთს ასეთს ჩვეულებას სვანები ასრულებენ სანათლიღებოდ. იგი იწყება 5 იანვარს და ამ დღიდან პირველი კვირის ორშაბათამდე გრძელდება. გარდაცვლილთა ამ მოსაგონარს („ლიფ Თნალ“ს) სვანები „ადგომს“ ეძახიან.

სვანებს სწამთ, რომ მიცვალებულთა სულები წელიწადში ერთხელ იმ ქვეყნიდან ამ ქვეყნად მოდიან. აქ თავიანთ სახლებში რამდენიმე დღეს სტუმრობენ და შემდეგ ისევ უკანვე ბრუნდებიან. და აი სვანის მოვალეობაა თავის წინაპრებს კარგად დაუხვდეს, ჩინებულად უმასპინძლოს, არ გააჯავროს ისინი, საწყენი არა მიაყენოს რა და როგორც მოსცალა, ისე წასცალა მათ დაულოცოს. ამიტომ Თიანვარს სვანები ოჯახში ყველაფერს დახეხვენ, დაწმედენ, დაასუფთავებენ–სულებს არაფერი ეწყინოთ და ოჯახი არ დაწყევლონო. კერის გარშემო[35] სულებისთვის სუფრებს გაშლიან. ზედალაგებენ სხვადასხვა სამარხვო ხორაგს მიცვალებულთა საპმელად. დიდ მაგიდებს გარდა კერის თავში პატარა სამფეხი მრგვალი მაგიდა დგას, რომელიც აგრეთვე საპმელებითაა მორთული და რომელსაც თან უდგას საპატიო სკამი-სავარძელი–„საკურცხელი“. ეს მაგიდა და სავარძელი გარდაცვლილ უმთავრეს წინაპარისათვის, გვარის უფროსისათვის არის განკუთვნილი. შეღამებისას მაგიდების კიდეებზე თაფლის სანთლებს დაანთებენ და აი სვანების შეხედულებით– სულები, ოჯახის ყოფილი წევრები წინათ თუ ახლად გარდაცვლილნი, მოვიდენ კიდეც და მათთვის გაშლილ სუფრებზე ვახშმს შეეცქეიანან. ამ დროს ოთახში სრული სიჩუმე სუფევს. ოჯახის წევრები კუთხეებშია მიმალული. ოჯახის უფროსი კი ჭუდაოხდილი მოკრძალებით უახლოვდება საპატიო მაგიდას და საკურცხელს. აიღებს ხელში არაყით სავსე ჭიქას და მთავარ წინაპრის სახით ყველა იქ „დამსწრე“ სულებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ხოჩავ ლაქუნ ჯარხ, საბლუ, ჩის“ და სხ.- ქეთილი განსვენება მოგენიჭოთ თქვენ დასს. ამავე დროს ოთახის კუთხეში მიცვალებულთა სულების დასატკბობად მინორულ ჰანგზე უკრავს „ჭუნირი“[36].

ასეთი გამასპინძლება, შემდეგ უკვე ხორცეული, რამდენიმე დღეს გრძელდება. მიცვალებულთა იმ ქვეყნად გაბრუნების დღეს აცხობენ მათთვის შესაფერისს კვერებს. საყურადღებოა ამ კვერების ფორმები. ერთი ამ ფორმათაგანი კიბის მსგავსია, რომელსაც სვანები პატარი კიბეს „კიჩხილდოს“ ეძახიან[37]. ამ დღესაც ხდება მიცვალებულთა სულების დალოცვა და მათი

---

[34] **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 42; **Стояновъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 438; არ. ᲯონᲐᲜ, დასახ. ნაშრომი, გვ.42 (II.ლᲐᲨᲗ ლაგᲯან-ლᲐᲨᲗᲐᲜ ᲚᲔ ᲚᲔᲯᲒრიᲜ ᲚᲐᲨრᲐᲯᲐᲜ).

[35] კერის გარშემო მიცვალებულთა სულებისთვის სუფრის დაგება სვანების შეზობლებს ბოლკარელებსაც აქვთ ჩვეულებად. იხილე **М. Ковалевскій**, დასახ. ნაშრომი, т. I. გვ. 202. ბოლკარები ითვლებიან ძველი ბასიანელების ნაშთად. **С. Rommel**, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[36] **Маргіани**, დასახ. ნაშრომი, გვ. 84–85; **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 42–44; **ნ. ჩიბაკაძე**, დასახ. ნაშრომი.

[37] „საღრმათ“ და „საქუნაშ“ პურების შესახებ იხილე **Н. Марръ**, Изъ поѣздки в Сваніи, XB. т. II-ой, გვ. 9–10; **დ Ა Დ Ე Შ Ქ Ე Ლ Ო Ა Ნ Ი**, შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“, ძველი საქართველო ტ. II. განყ. II. გვ. 139–144, იქვე ნახე „დასტაგის“ სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცილებაეზოს იქით. ამისათვის ოჯახის უფროსს ეზოში გააქვს საპატიო მაგიდა, რომელზედაც ყოველ გვარ ხორაგის ნამცეცები აწყვია. ტაბლის გატანა ეზოში იმას ნიშნავს, რომ „სტუმრები" ოჯახიდან გადიან გვარის უფროსის მეთაურობით და იქაურობას ემშვიდობებიან[38]. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ტაბაკლიფანობისას, ბავშვებს უბრალო ფიცრისგან გაკეთებულს ან კიდევ უფეხო მაგიდებს უდგამენ და სკამების ნაცვლად „კვილს"[39].

როგორც აღწერილობიდან ირკვევა, ამ საკულტო ჩვეულებაშიც საკურცხილი საპატიო როლს ასრულებს და მას განსაზღვრული მოვალეობა აქვს დაკისრებული. და თუ გარეშე საკულტო ჩვეულებებისა სვანთა ყოფა ცხოვრების სხვა მხარეებს მივმართავთ, განსაკუთრებით სოციალურს, აქაც აღმოჩნდება, რომ საკურცხილი განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა გარკვეული ატრიბუტია.

ზემოთ (გვ. 98–99) ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სვანური საკურცხილი ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის არის განკუთვნილი. თუ ახლა ჩაუკვირდებით ოჯახის ამ უფროსის (ქორა მახჯშის) უფლება-მოვალეობებს, ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ „ქორა მახჯშს" მაზედ დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა შესრულების ჟამს განსაზღრულ პირობებში თან ახლავს საკურცხილი, როგორც მახჯშის უფლების ატრიბუტი და შეიძლება ემბლემაც.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვეულებითი სასამართლოს წარმოების წესი.

სვანეთში, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო, ზოგიერთის გამოკლებით– საქმეთა გასარჩევად მომჩივან-მოპასუხე მხრეები ირჩევდნ სანდო პირებს, ანუ, როგორც სვანები ეძახიან, მორვებს (მხოლ. რიცხვში „მორავ, მრავ. რიც. მორვარ"). ერთი მხარე იმდენს მორვებს ირჩევდა, რამდენსაც მეორე. მორვები ვიდრე საქმის გარჩევას შეუდგებოდენ ერთად უნდა სტუმრებოდენ ხან მომჩინავს, ხან მოპასუხეს. ამ საშუალებით ისინი, ეცნობოდენ ბრალდებებს, რომ ესენი მეორე მხარისათვის გადაეცათ. შემდეგ ამათზე პასუხი და პასუხის პასუხები მომჩივან-მოპასუხისათვის უნდა მიეწოდებინათ. ეგეთი სტუმრობა 4–5 ან კიდევ მეტს დღეს გასტანდა ხოლმე. მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ სანაქებოდ გამასპინძლებოდენ „ღვთისგან გაჩენილ მორვებს" („მორვარ ღერთემი ნაწასვლიხ")[40]. ამიტომ მორვების გამასპინძლება საარაკოდ იყო კიდეც გამხდარი. ასეთ სტუმრობის დროს, როდესაც მასპინძელს სუფრა გულუბვად აქვს გაშლილი, რომ კარგი პატივისცემით იქნება მორვების გული მოიგოს, –თვით მასპინძელი სუფრის თავში საპატიო სკამ-სავარძელში ზის და აქედან მოახსენებს მედიატორებს, ბრალდებებს და იძლევა პასუხებს. აღსანიშნავია რომ ამ შემთხვევაში ქორა მახჯში მუდამ თავის საპატიო ალაგას საპატიო სკამზე ზის, რაგინდ საპატიო პირები არ უნდა იყოს მორვების რიცხვში: სოფლის მახჯში, პაპი, მღვდელი და თუ გინდ თვით ხევის მახჯშიც კი[41]. ამ წესიდან აშკარაა, თუ ოჯახის უფროსი ოჯახში როგორ სრულუფლებიან ბატონად და პატივსაცემ პირად ითვლება. ბრალდების წარმოთქმის წესის შესახებ განსხვა-

---

[38] **Маргіани**, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[39] **Н. Марръ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 10–11.

[40] **ხ ვ ა ნ ა** სამართლის წარმოება სვანეთში, ივერია, 1886 წ., № 27.

[41] **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; **ხ ვ ა ნ ა** იქვე; **Ковалевский**, Законъ и обыч. на Кавк., ტ. II, გვ. 22–23.

ვებულ ვარიანტს იძლევა **არ. ჯონდარ**[42]: საჩივარის მთქმელი ჩერქეზი „მათსკარაშ"-თან (კერიის ნაწილია), ჯოხს იბჯენს და ისე მოუყვება მორეგეს თავის საჩივარის თქმას. მაგრამ არსებითად აქაც ხაზგასმულია ამ წესის ოსიალურ-რიტუალური მომენტები, მხოლოდ ნაცვლად სუფრის თავისა აქ კერაა და საკურცხილის–ჯოხი-კვერთხი, როგორც უფლების ემბლემა.

ან კიდევ მეორე მაგალითი.

შობის ღღესასწაულებზე, როდესაც წლიური მორიგეობით ესა თუ ის პირი მთელი სოფლის წვეულებას მართავს, გაშლილ სუფრასთან სოფლელები ასე ჩამოლაგდებიან ხოლმე: სუფრის თავში საპატიო სკამზე ოჯახის უფროსია; მის გვერდით სოფლის მამასახლისი და რომელიმე იმ სოფლის უხუცესი. კიდევ იქით სხვები ხნოვანობის მიხედვით, ასე რომ პირველი ადგილები ოჯახის უფროსის შემდგომ მოხუცებულებს ეთმობათ, ხოლო უკანასკნელი კი ახალგაზრდებს[43].

ამგვარად ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, თუ რა უფლებებით არის აღჭურვილი ოჯახის უფროსი გარეშებთან დამოკიდებულებაში და განსაკუთრებით, როდესაც ამ დამოკიდებულებას მისი ოჯახის ჭერს ქვეშ აქვს ადგილი. აქ იგი სრული უფლებიანი ბატონია და მისგან ამ ხაზიდან გადასვლა დაუშვებელია. ამ მხრივ ის, ოჯახის სახელით ისე მოქმედებს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი მეორე ამგვარ სახელმწიფოს წარმომადგენელთან დამოკიდებულებაში. აქ ოჯახი, გვარი წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ერთეული, რომელსაც სხვა ამგვარ ერთეულთან დამოკიდებულებებში დიდად მართებს თავის ღირსების დაცვა. ამ ღირსების დაცვა საკურცხილთან დაკავშირებით ქორა მახჯ'შის სახით ტარდება.

თუმცაღა მართალია, რომ სვანეთში ხნოვანობა დიდად პატივცემულია, მაგრამ ამ წესს სვანი გვარების, ოჯახების ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში მაინცდამაინც არ მისდევს. ჭეშმარიტად იქ ველად გბატონებული ყოფილა პრინციპი–ხნით უფროსი–უფლებითაც უფროსიაო[44], მაგრამ ეს უფროს-უმცროსობის პრინციპი ეტყობა განსაკუთრებით გვარის, ოჯახის წევრებში ტარდებოდა. გამონაკლის შემთხვევაში აქაც, ოჯახშიც შეიძლება უფლების თანაზიარობა უფროს-უმცროს შორის. სხვათა შორის ასეთი თანაზიარობის მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ოჯახის უფროსი ოჯახის გაძღოლის უნარს დაჰკარგავს. ამ შემთხვევაში ქორა მახ'ში თავის უფლება-მოვალეობას ოჯახის შესახებ უმცროსს გადასცემს, „ხოლო რჯული წესთა ასრულება,–რაც უნდა სუსტი იყოს მეუფროსე ხნით, მაინც მის ხელში რჩება უნაკლულოდ"[45]. ასეთ ორ მამაკაცის საუფროსო ოჯახში, ბუნებრივად, ორი საკურცხილი, ორი საპატიო სკამი უნდა გაჩენილიყო. სწორედ ამ გარემოებას ადასტურებს კიდეც სვანების ყოფაცხოვრების ერთი აღმწერთაგანი[46].

---

[42] **არ. ჯონდარ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 13. „ლისყლეშ ლიმორაჯ ლისორაჯ გ'ეშარ ლშხისა," გვ. 48. „სარჩელი მქონ ჩუიჩრავი მთსსკარშ, ფუთეს ჩუიბჯგეი ეაეი ხაქომ თქუმნეშ სარჩელი ლმბ'ჯის".

[43] **И. Иванюковъ** и **М. Ковалевскій**, Въ Сванетіи, Вѣстникъ Евр. т. 5. августъ, გვ. 587; **ჯონდარ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 35–36.

[44] **ხ'ვანა**, დასახ. ნაშრომი, ივერია № 55; **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[45] **ხ'ვანა**, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[46] **Д. Маргіани**, დასახ. ნაშრომი, გვ.74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩვენ ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარა ვყავით სვანური საკურცხლის საკულტო და სოციალური მხარე „ჭორა მახუშის" უფლებებთან დაკავშირებით, როგორც ამ უფლების ერთ-ერთი ატრიბუტის–გვმართებს ჩაუფრმავდეთ საკვლევი საგნის გერმენევტიკულ გამოძიებასაც. მოცემულ შემთხვევაში საკითხი უპირველეს ყოვლისა ჩვენი საკვლევი ობიექტის ორნამენტიას ეხება.

რა ხასიათისაა აქმოცემული ჩუქურთმები; აქვთ მათ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა, თუ გარკვეული იდეის დაღს ატარებენ–სამწუხაროდ, ამის გადაჭრა შეუძლებელი ხდება. ამჟამად ჩვენ არ გვაქვს საშვალება შეუსწავლობის გამო ეს ჩუქურთმები სხვა ამგვარივე ჯგუფის საგნებზე ამოჭრილ ჩუქურთმებს შევადაროთ, რომ ასეთ ორნამენტების საერთო ხასიათის შესახებ დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ.

ამ საკითხში გადამწყვეტ როლს მასალის სიმრავლე თამაშობს. ერთი ან ორი შემთხვევის მიხედვით რაიმე აზრის დასკვნა შეუძლებელი ხდება. აქ მკვლევარი, სწორედ ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომლის შესახებ დიდმა მეცნიერმა **ედუარდ გერჰარდმა** მოსწრებულად შენიშნა: „monumentorum artis, qui unum vidit, nullum vidit, qui milia vidit, unum vidit". განსაკუთრებით ქართული ეთნოლოგიური მასალაა ამ მხრივ სრულიად ხელუხლებელი. ის ჯერ გაუტეხელი კორდია-ნიადაგი კი კვლევისათვის ფრიად ნაყოფიერი ჩანს. შესაძლებელია, რომ ამ ნიადაგზე წარმოებულმა კვლევა-ძიებამ უძველესი ეპოქის მოვლენები აღადგინოს და ბევრი დღეს ჩვენთვის გაუგებარი ფენომენი გასაგები გახადოს. სულ ადვილი დასაშვებია, რომ ჩვენს საკურცხლებზე მოცემულ ჩუქურთმებში სვანების უძველესი ეოსმოგონის ანარეკლი გვქონდეს. ეს მით უფრო საფიქრებელია, თუ ჩვენ აქ მოცემულ კონცენტრიულ წრეებში, ოთხკუთხედებში და სვასტიკაში შესაფარისად დავინახავთ უძველეს ხალხთა გეოცენტრიულ შეხედულებას, პირველ შემთხვევაში მრგვალ და მეორე შემთხვევაში ოთხკუთოვან ქვეყნიერების შესახებ.

მეორის მხრივ, საკურცხლზე მოცემულ კიბეების სახეებს, თუ არ დავკმაყოფილდებით ამ სახეების სარიტუალო (საქონაშ)პურის ფორმასთან შედარებით,– შეუძლია მკვლევარი მიიყვანოს ესპანეთის იბერთა უძველეს ორნამენტებთან, იმგვარადვე როგორც ზემოთ მოხსენებულ კონცენტრიულ წრეებს, ოთხკუთხედებს და სვასტიკას ჩვენ მივყვავართ მათი ურფორმის წყაროსთან, პროტო-ელამურ ორნამენტებთან[47]. მაგრამ ეს, სხვათა შორის, როგორც არა ვთქვით, ეს საკითხი მეტად სპეციალურია. მას ყოველმხრივი და სერიოზული დამუშავება სჭირდება, უპირატესად ადგილობრივ მასალების მიხედვით.

ჩვენი საკვლევი საგანის გერმენევტიკული მხარე ამოწურული არ იქნებოდა, თუ არ შევეხებოდით ამ საგნის სახელწოდებასაც. ეს სახელი სხვადასხვა ფორმა'ში გვაქვს მოცემული. „უშგულის აღწერაში" **თ ა ვ ი ხ უ შ ვ ა ლ ხ ვ ა ნ ს** ეს სიტყვა ასე მოყავს: „საკურცხელ"[48]. **რ ე რ ი ხ თ ა ვ ი ც** ამავე ფორმას ხმარობს– „Сакурцхвилъ"[49]. **დ. შ ა რ გ ვ ა ნ ი ა** ასახელებს ფორმას „საკურცხელ" Сакурцхилъ[50]; **ფ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ა** ხრუსულ-სვანურ ლექსიკონში ჩვენ გვაქვს:

---

[47] **W. Gertte**, Das Weltbild der protoelamischen Kultur, Wien, 1921. გვ 1–14; **Sieret**, Questions de chronologie et ethnographie iberique. გვ. 34. შეადარე **ნ. შ ა ბ ა ტ ა**, რითი ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, Петроград, 1923, გვ. 35–36. **ფ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, ქართველი ერის ისტორია. ტფ., 1913 წ. ტ. I, გვ 129–131.

[48] **თ ა ვ ი ხ უ შ ვ ა ლ ხ ვ ა ნ ს**, უშგულის აღწერა, ივ. 1888, № 35.

[49] **Р. Эристовъ**, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[50] **Д. Маргіани**, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

„кресло,–скамъ, Сакурцхвелъ სავარძელი[51]“; საქართველოს მუზეუმის კატალოგში კი აღნიშნულია ფორმა– „საკ ურცხელ“[52].

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა სხვადასხვა სახით გვევლინება–აშკარაა, იგი ყველა ვარიაციებში სამგვარ ელემენტებისგან შემდგარადა ჩანს. ესე მისი პრეფიქსი – სა[53] ქართულია, სვანურად იქნებოდა ნა- (<ма>)ლა; სუფიქსი- ელ სვანურია (ქართ. ური||ული), ხოლო ფუძის ახმოვანება მეგრულ-ჭანურის ან სვანური ენის მეგრულ-ჭანურ ფენს ეკუთვნის.

ამავე სიტყვის ქართული ფორმა საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ორჯერ აქვს მოყვანილი. პირველი შემთხვევა ჩვენ გვაქვს ხელთნაწერ– ლექსიკონში, რომელიც ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს (ხელთნაწერი №2664 ნუსხა-ხუცური), როდესაც ეს ხელთნაწერი სიტყვა „სკამს“ ხსნის. აქმოხსენებულია: „ს ა კ ა რ ც ხ უ ლ ი (წყნოდება) მსგავსად სკამისა დასაჯდომელსა და მისაყრდნობელსა რასამე მცირესა“[54]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სიტყვა „სკამთან“ ამგვარი ახსნა რ. ერისთავის მიერ გამოცემულ საბას ლექსიკონში არ არის. არ არის ეს ასე, არც ლექსიკონის ზოგიერთი ხელთ-ნაწერშიც. მაგალითად, სიძველეთა მუზეუმის ხელთნაწერში № 75, წერაკითხვის მუზეუმის ხელთნაწერში № 82; ამავე მუზეუმის ხელთნაწერში № 1503. სამაგიეროდ ეს სიტყვა სკამთან ერთად ახსნილია სვანეთიდან ჩამოტანილ საბას ლექსიკონის ხელთნაწერში, რომელიც ამჟამად ეკუთვნის **ს ა ი ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს**[55] და ასეა განმარტებული: „**ს ა კ ა რ ც ხ უ ლ ი** მცირე სავარძელი“.

მეორე შემთხვევაში ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ნ ი ცალკე ხსნის სიტყვა „საკარცხულს“: „საკარცხული არის სკამებრ უკან საჯდომელი და“ (sic)[56]. „საკარცხული სკამი უკუ საჯდომი და მისაყრდნობი ძილისათვის“[57]; „საკარცხული არის სკამსავით უკუ საჯდომი მისაყრდნობელი სკამ-ლოგინი“[58]; „საკარცხული მცირე სკამ-ლოგინი ბბ (2, 2) დიალოღ“[59]. შემოწმების შემდეგ ეს სიტყვა მართლადაც აღმოჩნდა ე ყ ო ი ე მ თ ა წ მ ი ნ დ ვ ე ლ ი ს მიერ თარგმნილ[60] **გ რ ი გ ო ლ ჰ რ ო მ თ ა პ ა პ ი ს** „დიალოღონ-ში“, მაგრამ „დიალოღონის“ არა მეორე თავის მეორე მუხლში, როგორც მიუთითებს ლექსიკონი, არამედ მესამე თავის მეორე მუხლში. აქ ეს სიტყვა ორჯერაა

---

[51] **Ив. Нижарадзе**, Русско- Сванскій Словарь, Тифлисъ, 1910, სიტყვის ქვეშ кресло.

[52] საქართველოს მუზეუმის კატალოგი 1910 წლისა, გვ. 89.

[53] **ნ ა** ფარრა ალნიშნავს, რომ ქართული **სა**პრეფიქსის ხმარება სვანური ენის ეცერის თქმაშია გავრცელებული (იხ. Н. Маррь, Изъ поѣздки въ Сванію, XB. т.II. вып. 1. გვ. 9. შენ. 1.).

[54] **დ ა კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი** კატალოგი წერა-კითხვის საზოგად. წიგნთსაც. ტფ., 1905, გვ. 302.

[55] **ს ა ი ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს** ხელთნაწერის ოხოვებისათვის მადლობას მოვახსენებთ.

[56] წერა-კითხვის საზ. მუზეუმის ნუსხა ხუც. ხელთნაწერი № 2664.

[57] **ი ქ ვე**, ნუსხა-ხუცური ხელთნაწერი № 1509.

[58] **ი ქ ვე**, ხელთნაწერი № 82.

[59] სიძველეთა მუზეუმის ხელთნაწერი № 75; ასეა **რ. ერისთავის** მიერ დაბეჭდილ **საბას** ლექსიკონში; **დ ი უ ბ ნ ა შ ვ ი ლ ი** ს ლექსიკონის პირველ გამოცემაში მოფანილია ამ სიტყვის საყურადღებო ფორმა–„**ს ა კ ა რ თ უ ლ ი**“, თუ რაიმე გაუგებრობას არ აქვს აქ ადგილი.

[60] **ჯ ე ქ ე ლ ი ძ ე** ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, ტფ., 1923, გვ. 202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახმარი (სიძველეთა მუზეუმის ხელთნაწერი № 238, ფურცელი 175)[61]. ამავე ხელთნაწერში წოილი მელნით ხელთნაწერის ხელით ეს სიტყვა არშიაზე ახსნილია ასე: **„საკარცხული** – სამი არს უკუ საჯდომი და მისაყრდნობელი (ფურ. 175)".

ამ ექსკურსიდან ირკვევა, რომ ჩვენი საკვლევი სიტყვა ძველთა-ძველი ყოფილა; იგი დამოწმებულია მეათე საუკუნის ძეგლისათვის. ამავე დროს მისი სემასიოლოგიაც, მიუხედავად უმნიშვნელო მერყეობისა, გარკვეულ იდეის მატარებელია. თავისი ძირეულებით იგი უკავშირდება, ერთის მხრით, სიტყვას „კვარცხლ"-ბეკს და, მეორეს მხრით, „სა-კაცო" (სამამკაცო) „სა-კაცებოს"[62]. ორთავე შემთხვევაში შედარებიდან ჩვენთვის მეტლავნდება გამოსარკვევი სიტყვა–სახელწოდების საპატიო[63] მნიშვნელობა.

ამ გვარად საკურცხლის ყოველმხრივი შესწავლა, სხვადასხვა მხრიდან მომდინარე ხაზების კონვერგენცია ნებას გვაძლევს შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: საკურცხლი სვანთა რიტუალურ და სოციალურ ყოფა-ცხოვრების გარკვეული ატრიბუტია; იგი საპატიო ადგილი ოჯახის უხუცესის (resp. უფროსის), უკვე გარდაცვლილის, თუ მომქმედისათვის განკუთვნილი. მაგრამ ამ დასკვნასთან ერთად იბადება საკითხი, თუ რა გვარ სოციალურ ურთიერთობას და რომელ საფეხურის საკულტო წყობას შეესატყვისება სვანებისათვის ეს საპატიო სკამ-სავარძელი.

ამ პრობლემის გადაჭრა მარტოდ მარტო აქ შემოტანილი მასალების მიხედვით უმართებულო და ნაჩქარევი იქნებოდა. თავისი სიმძიმით ეს კითხვა ჯეროვან პასუხს იმ დრომდე დაუცდის, ვიდრე არ იქნება დეტალურად შესწავლილი სვანთა ყოფა-ცხოვრების სხვა საკითხებიც.

1924 წ.

---

[61] **Ѳ. Ж о р д а н і я**, Описаніе рукописей Тифлисскаго церковнаго музея, Тиф., 1903, кн. I, გვ. 256. ხელთნაწერი გადაწერილია **ჩ̣ლ̣ꙁ̣** (1793) წელს ცნობილი კალიგრაფის გაბრიელის მიერ. „დიალოღონის" უძველეს ხელნაწერში (სიძველეთა მუზ. № 1141) ეს სიტყვა არ აღმოჩნდა, ვინაიდან ამ ხელთნაწერს მესამე თავში შესატყვისი ფურცლები აკლია. სამწუხაროდ, ტფილის შიგერ ვიპოვეთ „დიალოღონის" ბერძნული ტექსტი, რომ ქართული „საკურცხლი" ლედნის ბერძნულ სიტყვასთან შეგვეჯერებინა.

[62] კაც||კოჩ||ბაშ resp. ჯ ᲂ̈ შ, ელამ. ტაშშ. და შუმ. ტაშ||ტას ის ეტიმოლოგია. იხილე **Н. М а р р ъ**, Определеніе языка второй категоріи Ахеменид. клинообр. надписей, ЗВОИРАО т. XXII, გვ.51/84, § 46; მისივე, Заметки по яфетическим клинописям, 2–3, шумерская sal||gal и nin, Изв. Росс. Ак. Ист. Мат. Культ. 1923, т. III, გვ. 293–294.

[63] შეადარე „საკაცრავი-საქციელ მართებული" ს ა ბ ა ს ლექსიკონი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სწორუპოვარია არა მარტო თავისი მხატვრული ღირსებებით, ფილოსოფიური აზროვნებით, ეთიკური სწავლებით, ფსიქოლოგიური ჩაწვდომით, არამედ იმითაც, რომ მასში უხვადაა ასახული საყოფაცხოვრებო რეალიები, საგნები და მოვლენები.

მეშვიდეულიდან „საქართველოს მატიანე“
ბარელიეფი
მხატვარი ზ. წერეთელი

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან საქართველოს ისტორიული ცხოვრების ის სურათი, რომელიც მოცემულია შოთა რუსთაველის პოემაში. შესაძლებლობა რომ მქონდეს განვიხილო ეს საკითხი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ძნელი არ იქნებოდა დამემტკიცებინა, რომ ამ პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებები, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა“[1].

ხოლო ნ. მარი[2] ამაზე ადრე 1912 წელს თავის კარგად ცნობილ მონოგრაფიაში წერდა: „ამჟამად მორიგი ამოცანაა იმ ძაფების გარკვევა, რომლებიც ვეფხისტყაოსანს აკავშირებენ ქართულ მშობლიურ კულტურულ ცხოვრებასთან“.

ეს ამოცანა თავის დროზე, ნახევარი საუკუნის წინათ დასახული დღემდე შესრულებული არ არის. მართალია, ვეფხისტყაოსანი მრავალი თვალსაზრისითაა გამოკვლეული, მრავალი მონოგრაფიაა გამოცემული, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის მხრით ბევრ მუშაობას მოითხოვს.

საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიული, ცხოვრებისეული საგნები და მოვლენები, რომლებიც ქართულ ხალხურ სინამდვილესთანაა დაკავშირებული, ვეფხისტყაოსანში ბევრზე ბევრია. თავისი ეპოქის შვილი, გენიალური შოთა რუსთაველი

[1] ივ. ჯავახიშვილი, რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი, გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 29 დეკემბერი. მიძღვნილი შ. რუსთაველის იუბილესადმი.

[2] **Н. М а р р.** Вступительные и заключительные строфы "Витязя в барсовой коже" Шоты из Рустава с этюдом культ женщины и рыцарство в поэме. зд. VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი დროის ეთნოგრაფიული მოვლენების თანამხილველია, მრავალი მათგანი მის მიერ განცდილია და არეკლილი ერთი კალმის მოსმით მის პოემაში.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეთნოგრაფიული მეცნიერების ისტორიამ იცის ისეთი ფაქტები, როდესაც საყოფაცხოვრებო მოვლენები უკვე შეუნიშნავს და ზუსტად აღუნუსხავს მხატვრული სიტყვის ოსტატს, ვიდრე განსწავლულ ეთნოგრაფს. ამის მაგალითი ბევრია მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო ბოლო დროის ლიტერატურული მოვლენებიდან თვალსაჩინო მაგალითია ფრანგი მწერლის რენე მარანის მიერ კორობორის რიტუალის აღწერა თავის რომანში „**შატუალა**".

ამ მხრივ შოთა რუსთაველის მიერ დანახული, მხატვრულად აღქმული და სიტყვით აღბეჭდილი საყოფაცხოვრებო, ცხოვრებისეული საგნები, მოვლენები და სიტუაციები დიდად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ამკაზავნებენ პოემის კავშირს საქართველოს სინამდვილესთან, იმასთან, რაც ხალხიდან იღებს სათავეს და ხალხიდან გამომდინარეობს.

ასეთ თემებს განეკუთვნებიან: ეთნიკური სამყარო, ენის ხალხურობა, ნადირობა, ნაურობა, ქორწილი, ძმობილობა, კაი ყმა, სამეურნეო ყოფა და სხვა, რომელთაგან ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით.[3]

დავიწყოთ წვრილმანიდან.

1. ᲐᲥᲔᲜᲐ

როდესაც ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული ავთანდილი თინათინს მოახსენებს, თუ რა გაიგო მან ველად გაჭრილი ტარიელის შესახებ, თინათინის შეკითხვაზე „ჰპოვეა, პატიჟინი ჰნახენ ძებნითა ვისითა?" (სტრ. 689), ავთანდილი სხვათა შორის პასუხობს:

„ვითა ვეფხსა წავარნა და
ქვაბი აქვსო სახლად-მენად,
ქალი ახლავს სასურველად,
სულთა – დგმად და ჭირთა თმენად,
ვა, სოფელმან სოფელს მყოფი
ყოველი დაჰსვა ცრემლთა დენად" (სტრ. 694).

ვახტანგ მეფის გამოცემაში ეს სტროფი ასე იკითხება:

„ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად მენად
ქალი ახლავს სასურველად სულთა– დგმად და ჭირთა თმენად,
ვაჲ, სოფელმან სოფელს მყოფი ყოველი დაჰსვა ცრემლთა დენად"
(სტრ. ქ.ფ.)

აკადემიური გამოცემისაგან განსხვავებით, ვახტანგ მეფის გამოცემაში სიტყვები სახლად მენად ცალ-ცალკეა დაბეჭდილი, ხოლო პირველში ეს ორი სიტყვა დეფიზითაა შეერთებული. შეიმჩნევა აგრეთვე სხვა განსხვავებაც: ვა-ს ნაცვლად წერია ვაჲ, ხოლო სოფელ მყოფი-ს მაგიერ სოფელს მყოფი.

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამოთქმა სახლად-მენად, რომელიც გამომცემელს სამართლიანად დეფიზით აქვს დაბეჭდილი, რადგან ეს ორი სიტყვა ერთი ცნების გამომხატველია და ამდენად მათი ცალ-ცალკე დაბეჭდვა არ არის მართებული. ამგვარი ხერხით ორი სიტყვით ერთი ცნების

[3] ამ ხასიათის თემებიდან გამოკვლევები დამზადებული აქვთ ეთნოგრაფებს: ს. ბეჟუკაძეს, ა.ქ. სოხაძეს, კ. ჩოლოყაშვილს, ც. ჯარაულაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატვა შოთას პოემაში ბევრია. მაგ. ამავე თავში, საიდანაც ჩვენ ეს სტროფი მოვიყვანეთ, რამდენიმე სტროფით ადრე ასეთივე ხასიათის გამოთქმაა: „სახლ-სამყოფი არ ჰქმართებს, ცამცა გაიდარბაზესა“ (სტრ. 679).

ნ. მარს აქვს გამორკვეული, რომ ამგვარი ორმაგი სიტყვით ცნების გამოთქმა შოთა რუსთაველისათვის ჩვეულებრივია. ამ ხერხის წყალობით ავტორი ზოგიერთი შემთხვევაში აძლიერებს გამოთქმის პირველი სიტყვის აზრს, ზოგიერთ შემთხვევაში აზუსტებს ამავე სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო სხვა შემთხვევაში პარალელური სიტყვის მოყვანით მუსიკალურს ხდის ტაეპს.

რა მიზანს ისახავს მოცემული შემთხვევაში სიტყვის გაორმაგება. რამდენადაც სიტყვა სახლი ადამიანის საცხოვრებელი ნაგებობის ზოგადი სახელია, შოთა რუსთაველი ორმაგი სიტყვის შემწეობით აზუსტებს ზოგად ცნებას და მკითხველს წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა სახის საცხოვრებელია ნაგულისხმევი ტარიელის სადგომად.

ვახტანგ მეფე სიტყვა მენას მნიშვნელობას ასე განმარტავს: „მენა სანიადაგოსა სადგომსა ჰქვან“ (გვ. ტლდ), ხოლო საბასთან ვკითხულობთ: „მენა-სამყოფი, სადგომი: მენასა კახნი ტაგარს უწოდებენ და იგიცა ტკბილის სადგომია“. ნიკოლოზ ჩუბინაშვილის მიხედვითაც „მენას კახნი ტაგარს უბმობენ„ ხოლო „ტაგარი ახლად დაწურვალის ტკბილის ჩასადინარი აუზი საწნახელის ქვეშ (ანგია, 2, 17)“. დავით ჩუბინაშვილის მიხედვით „მენა – подточилие, сосуд поставляемый под виноградное точило, cuve sons le pressoire. იუსტინე აბულაძის მიხედვით „მენა-ბინა, ჭერი, ქედელ-ყურე“[4]. თუ რას ემყარება ი. აბულაძის განმარტება – არ ჩანს. სარგის კაკაბაძე მიუთითებს არაბულ-სპარსულ სიტყვაზე ساه, რომლის მნიშვნელობაა, „სახლის მოწყობილობა, სახლი“[5].

დაბადებაში, წინასწარმეტყველის ანგიას ტექსტის მითითებულ მუხლში ბაჭარის გამოცემის მიხედვით, ზის სიტყვა ტაგარი: „ვიეთნი იყვენთ ოდეს შთასთესევდით ურნატად ოცსა სეტასა და იქმნა ათი სეტა ქრთილი. და შეხვიდოდეთ ტაგარისა მიმართ აღმოღებად ერგასისათა მართა და იქმნა ოცად“. შესაბამის რუსულსა და გერმანულ (ლუთერის) თარგმანში იკითხება: „приходили к подточило, чтобы подчерпать пятьдесять мер из подточилия, а оказалось только двадцать“ (Агней 2, 76) და „kam er zur kelter, und meinte fünfzig Eimer zu schüpfen, sowaren kaum zwanzigda“ (Haggai, 2416-17). ამგვარივე ჭურჭლის მნიშვნელობით ტაგარი ნახმარია იოელოს 3, 13 ტექსტში. როგორც ირკვევა შემდეგში ტაგარი და თაღარი აღნიშნავდა როგორც ტკბილის ჭურჭელს, ასევე საწყაოს მარცვლეულისა და ღვინისა. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით თაღარი მონღოლების მიერ შემოტანილი სიტყვა უნდა იყოს („ჰულაგუ ყაენის მიერ შემოღებულ გადასახადს ეწოდებოდა“)[6].

თუ ტაგარი II თაღარი ერთთავად მონღოლების ხანამდე ღვინის ჭურჭელს აღნიშნავდა, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა, ამგვარივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა **მენა**-საც, უკეთუ „**მენა**“-ს კახნი „**ტაგარს**“-ს

---

[4] ვეფხისტყაოსანი, **იუსტ. აბულაძის** გამოცემა, თბ., 1926.

[5] ვეფხისტყაოსანი, **სარგ. კაკაბაძის** გამოცემა, თბ., 1927.

[6] **ივ. ჯავახიშვილი** საქართველოს ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბილისი, 1925, გვ. 88;
ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1949, გვ. 220,222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდებენ და იგიცა ტკბილის სადგომია". ჩვენ თუ ამ აზრის დავადგებით, მაშინ გაუგებარი რჩება სახლთან მენას გამოყენება, რადგან სახლად-ტკბილი ჭურჭლად გამოთქმა უაზრად გამოიყურება. არ გამოდგება ამ შემთხვევაში არც არაბულ-სპარსული სიტყვა, რომელიც სახლის მოწყობილობას და ზოგადად სახლს უნდა აღნიშნავდეს.[7]

1947 წლის ზაფხულში შიდა ქართლში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელმაც არაგვისპირის მიკრორაიონში ჩვენთვის საყურადღებო მასალა ჩაიწერა.

არაგვისპირი შეიცავს როგორც ბარის, ასე მთის სოფლებს. ამ მიკროაიონის ბარში ვენახის მეურნეობისათვის კარგი პირობებია. ამ რაიონის ერთ სოფელს, სახელდობრ ჭოპორტს პატარა კახეთს უწოდებენ. სამაგიეროდ მთის ზოლის სოფლებში ვენახის მოშენებისათვის არახელსაყრელი პირობებია. ამიტომ მთის სოფლები (ბოდორნა, მეზრიანთ-კარი და რიგი სხვა) ვენახებს ბარის სოფლების ტერიტორიაზე აშენებდნენ და აქვე ვენახებში წუტავდნენ ყურძენს და ტკბილი აქონდათ თავიანთ სოფლებში ქვევრებში დასადუღებლად და შესანახავად. ყურძნის დასაწურავი საწნახელი (ქვიტკირისა) და საწნახელიდან ტკბილის დასაგროვებელი ჭურჭელი იდგა სახელდახელო ნაგებობის ჭერქვეშ, საიდანაც ტკბილს 2–3 დღის დაგროვების შემდეგ ეზიდებოდნენ ზემო სოფლებში. ნაგებობა დროებითი ხასიათისა იყო. იმის გამო, რომ ტკბილის აზიდვის შემდეგ იგი გამოიყენებოდა მხოლოდ ახალი რთველის დროს. ამ ნაგებობას მენა ეწოდებოდა, ისევე როგორც ტკბილის ჭურჭელს, რომელიც აქ იდგა.

საყურადღებოა, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ამგვარი წარმოების წესი საქართველოში ბევრგანაა დადასტურებული. ეს გარემოება კარგად ჰქონდა შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც თრიალეთ-წალკის შესახებ წერდა: „ვენახნი, ხილნი, და მტილოვანნი არა რაი არს აქა და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩასახამენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი"[8].

ასეთივე ხასიათის მეურნეობა დასტურდება რაჭის სოფლებში, დასტურდება იგი მაღალმთიანეთის სოფლებშიც. გვაგონდება ხევსურების და ფშაველების ზვრები კახეთში და სხვ. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ ამგვარი სამეურნეო-ურთიერთობა არსებობდა ბარსა და მთას შორის წარსულში, ასეთივე ტენდენცია ამჟამადაც შეიმჩნევა: მთის კოლმეურნეობები მიიღტვიან იერონიონ ბარში ზვრები, ხოლო ბარისა – მთაში საძოვრები.

მენას მნიშვნელობა ჭურჭლის სახით დღემდე შემოუნახავს საინგილოს, სადაც მოსე ჯანაშვილის მიხედვით „მენაი თიხის ნახევარქვევრა, რომელშიც ბაწრებსა და შალებს ღებენ".[9] როგორც ვხედავთ, აქ ამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა მიუღია.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხალხურ ყოფაში შემონახული მონაცემების საფუძველზე მენას თავდაპირველი მნიშვნელობა დროებითი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო, რომელიც შემდგომში ნაგებობაში მოთავსებულ ჭურჭელს დაუკავშირდა – ტკბილის ჭურჭელს და საღებავის ჭურჭელსაც.

---

[7] مان - домашняя утварь, **Б. М и л л е р**, Персидско-русский словарь, М.,1960.

[8] **ვახუშტი ბაგრატიონი** – აღწერა სამეფოსა საქართ., გვ. 42.

[9] **მ ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი**, საინგილო, ძველი საქართველო, II, გვნყ 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველი იყენებს მის დროს არსებული სიტყვის ხალხურ მნიშვნელობას და ამის საფუძველზე ტარიელის სადგომის აღსანიშნავად სახლის ზოგად მნიშვნელობას აზუსტებს სახელდახელო ნაგებობის აღმნიშვნელი სიტყვის შემწეობით.

ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ხალხურია ვეფხისტყაოსანი, თუ რამდენად ღრმად წვდება მისი ავტორი ხალხურ მონაცემებს და ჩინებულად იყენებს მათ.

2. თ ა ვ შ ე დ გ მ უ ლ ი

ვეფხისტყაოსნის იმ თავში, რომელშიც მოთხრობილია ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან და რომელიც მრავალ საყოფაცხოვრებო ელემენტებს შეიცავს, ძღვნობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ როსტევანმა

„ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი
მარგალიტი თავ-შედგმული,
ცხრა ტაიჭი, ძვირფასისა
უნაგრითა შეკაზმული.“ (სტრ. 1548).

ამ სტროფის ეს ტაპები ასევე იკითხება ვახტანგ მეფის გამოცემაში. აქაც ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ხალხურ გამოთქმასთან. იგი დაკავშირებულია საწყოს ტერმინოლოგიასთან და უაღრესად პრაქტიკული დანიშნულებისაა.

ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ, მაგ., ხევსურეთში სხვადასხვა ღირებულებისაა ისეთი საზომი ერთეული, როგორიცაა ლიტრა. მარცვლეულის აწყვის დროს ერთი და იგივე ლიტრა სხვადასხვა რაოდენობის მარცვლის დამტევია იმის მიხედვით, თუ როგორაა გავსებული ლიტრიანი. ერთ შემთხვევაში ლიტრა შეიძლება თავშებმული იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში პირგადასმული. თავშებმული იმას ნიშნავს, რომ ლიტრაში იმდენი მარცვალია მოთავსებული, რამდენსაც დაიტევს, თავს შეიდგამს, ხოლო პირზე სავსე ლიტრაში ლიტრის ნაპირზეა გადასწორებული.

ასევეა დახასიათებული პინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში: მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოში და ჭართალში („პინა თავშებმული და პინა პირზე“).

ასევე ანსხვავებენ საწყაო ჭურჭელს სავსე მდგომარეობაში ბარის საქართველოში.

ქიზიყში **ნიტრა** გარჩეულია იმის მიხედვით თუ როგორ არის გავსებული: **პირგადასმული ნიტრა** და **თავშობმული ნიტრა**, ან კიდევ **ს�ლიზე სავსე ნიტრა** და **ფოფალიან სავსე ნიტრა**. სილაზე სავსე ნიტრა („**სილაზე სამსე ნიტრა**“). აღნიშნავს საწყაო ლიტრას, რომელიც პირამდეა ავსებული მარცვლით ან ფქვილით და შემდეგ გადასმულია გადასასმელით, რომ არც მეტი იყოს და არც ნაკლები[10].

ასევეა შიდა ქართლშიც, ს. არღუნში: „პინა უნდა დადგას, გაამსოს და ერთი გაჩეჩოს, მერე შეამსოს და ხელი დაუსოს ან ჯოხი, ასე რომ უნდა იყოს სილით. ეს არის წესი იმისი, სწორედ იქნება; ის არის სილა თავი ჰქონდეს გადასწორებული. თუ სილა არ გადაუსვი იმას თავშებმული ჰქვია. თუ მინდა თავშაუბამ

[10] **სტ. შენთეშაშვილი**, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა და არა, როგორც მაურიგდებით სილითა თუ თავშებმითა, სილით რო ყოველ ჯოხს გადაუსომთ, სწორე კი რამე იყოს გადაუსო, თუნდა ცულისტარი, თუნდა ჯოხი".

ასეთივე ვითარებაა ქვემო ქართლის სოფლებში. აწყვა ორნაირია: ან სილა ან თავდაბმული. „სილა მმართებიაო თუ თავდაბმულიო. . . „არაო, სილა იყოო" – იტყვიან ხოლმე. რაცა დადგება იმ ჩანახზე იმას ეძახიან თავდაბმულს".

დასავლეთ საქართველოში იმას, რაც აღმოსავლეთ საქართველოში სილით აღინიშნება, აქ **ლაღად გადასმული** ეწოდება. ასევე რაჭასა და ლეჩხუმში **„ლაღადმოსმული"** – მოსწორებულს, გათანასწორებულს აღნიშნავს. ლაღა ჯობია, რომელსაც ხორბლეულის წყვის დროს ხმარობენ.[11] რაც შეეხება „თავმდგმულს" და „თავშედგმულს" ამათ ნაცვლად აქ **თაყანს** იტყვიან. სილას შესატყვისია სამეგრელოსა, სვანეთისა და აფხაზეთში **ლაღე, ლაღა** და **ალაღ**. თავიანი და ბაგე საწყაო დადასტურებულია რაჭის მთიანს ზოლში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზემო იმერეთში ლაღა ეწოდება კარგად გათლილ სწორ ჯოხს, რომლითაც ასწორებენ საადგურე და საკრამატე თიხას კალაპოტში.[12] ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი შიდა კახეთის კერამიკულ წარმოებაში.[13]

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება **თაუშედგმული** და **სილა გადასმული** პინა თუ ჩანახი, ხოლო დასავლეთ საქართველოში – **თაყიანი** და **ლაღაგადასმული** საწყაოები.

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში დამოწმებული ლაღა, რომელიც ამჟამად გადასასმელს აღნიშნავს, ადრე წონის ერთეულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ თანამედროვე სამეგრელოში[14] და ძველადაც XVII–XVIII სს. დასავლეთ საქართველოში[15] **ლაღანკონი** და **ლაღარიკონი** წონის ერთეულია, ხოლო **საბას** და **ნ. და დ. ჩუბინაშვილების** განმარტებით, **ლაღირიკი, ლაღანკაკი, ლაღარაკი** ცალ-სასწორს აღნიშნავს.[16]

რაც შეეხება სილას, აქაც კიდევ უფრო მეტი კავშირი ჩანს სილასა და საწყაოს შორის. **საბას** ლექსიკონში ეს ტერმინი ახსნილია ასე: „სილა – რაიც საწყაო პილპილი თავშუდგმელი". აქედან ცხადია, რომ სილა იმ მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც დაკავშირებულია საწყაო ერთეულთან, როგორც გარკვეული რაოდენობის შემცველ ჭურჭელთან და არა იმ მოქმედებასთან,

---

[11] **ივან ბერიძე** სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912. **მ. ალავიძე**, ლეჩხუმური ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა" თბ., 1938 გვ. 149.

[12] **ბ. წერეთელი**, ზემო იმერული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა", გვ. 113.

[13] **ლ. ბოჭორიშვილი**, მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 44.

[14] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 271. იხ. აგრეთვე **ბორის ზდანი**, ბატონ-ყმობა სამეგრელოში.

[15] **ივ. ჯავახიშვილი**, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ქართული საფას–სზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა–მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 113.

[16] **ს. ორბელიანი**, სიტყვის კონა, სპბას ავტოგრაფში (ხელნაწერი № 1658) ლაღანკაკი განმარტებულია, როგორც ყანთარი; **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1961; **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, საუნჯე ქართული ენისა, სპბ., 1887.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც თავშედგმული ან თავშეუდგამი საწყაოს სისავსე თუ ნაკლოვანება მყარდებოდა.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ძველად საქართველოში სილა საწყაო ჭურჭელი უნდა ყოფილიყო. ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ძველ აღმოსავლეთში სილა საუკუნეების მანძილზე პურეულის საწყაო ერთეულს აღნიშნავდა. მაგ., კასიტემების ხანაში სათესლე მარცვალი აიწყოდა სილის მიხედვით (30 სილა 1 კუ საყანეზე და სხვ.)[17]. ზემოთქმულს დავძენთ, რომ საქართველოს ზოგიერთი ძველი საწონ-საწყაო, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის საზომ-საწყაოების სახელებს ემსგავსება.

ტერმინ თავმოდგმულთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ისეთი სახელწოდება, რომელიც დამოწმებულია ვაჰანის ქვაბის ტიპიკონის ტექსტში. ეს ძველი ეკუთვნის, როგორც გარკვეულია, XIII საუკუნის პირველ მესამედს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მონასტრის ძმებს შორის ჭიშპს არ ჰქონდეს ადგილი და ძმები ტიპიკონის განჩინებას უდრტვინელად იცავდნენ, ტიპიკონის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ „თითოეული (ძმა) დასჯერდნ საყოველთაოსა ეკლოგიასა და ნუცა ოდეს იკადრენი კიდეგანისა წუენისა დაგებაი ტრაპეზსა ზედა და განწვალვისა და განხეთქილებისა შემოღებაი ერთსა მას შინა გუამსა ძმათასა და ტრაპეზობისა... ერთი და იგი და სწორიმცა დაეგების საჰმელიცა და სასუმელი და სხვაჲ ყოველივე"[18].

კიდეგანი საბას განმარტებული აქვს როგორც „განაპირებულივით", ხოლო ტექსტის გამომცემელი აღნიშნავს: „კიდეგანი-განაპირებულს, პირთამდე სავსეს ნიშნავს". ეს უკანასკნელი კონტექსტის გაგებაზეა დაფუძნებული.

ზემოთ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ საწყაო ჭურჭლის გამოყენება იქნება ეს ლიტრა, პინა, ჩანახი, ბათმანი თუ სხვა, ვარაუდობს ასარწყავი ნივთიერების მდგომარეობას საწყაოებში სილად, ლაღად თუ თავშედგმულად. უკანასკნელი წესი ნაირი სახელებითაა შემონახული ხალხის სამეურნეო ყოფაში: თავშებმული, თავმოდგმული, თავდაბმული, თავიანი და სხვა. ამ წესის აღსანიშნავად შოთა რუსთაველს გამოყენებული აქვს თავშედგმული, რაც ხალხური გამოთქმის კალკია.

ამით ერთხელ კიდევ მეღავნდება **შოთა რუსთაველის** მიერ ხალხური ყოფის ღრმა ცოდნა და მისი ენის ხალხურობა.

1962 წ.

---

[17] Br. M e i s s n e r, Babylonien und Assyrien, I, 1920, გვ. 195, 213, 218.

[18] ვაჰანის ქვაბთა განგება, **ლ. შუხნელიშვილის** გამოცემა, თბ., 1939, გვ. 68.

ხეცოცხლის ხე
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ქართული ორნამენტი
ფრაგმენტები მოზაიკური კომპოზიციებიდან
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურული ორნამენტი*

ხევსურულ ორნამენტთან დაკავშირებით XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ერთი ყალში შეხედულება იყო გამოთქმული. ამ შეხედულების მიხედვით ხევსურები ბალესტენინიდან დაბრუნებული ეფროპელი ჯვაროსნების ნაშთნი უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც კავკასიის მთებს შეეხიზნენ და ხევსურეთის მიწა-წყალზე გამრავლდნენ. ეს აზრი პირველად ა. ზ ი ს ე რ მ ა ნ მ ა[1] გამოთქვა. მას შემდეგ ის არა ერთ მოგზაურმკვლევარს გაუმეორებია. ამ შეხედულებას ჩვენ ბოლო ხანების ლიტერატურაშიც ავა-იქ ვხვდებით ხოლმე.

თავისი აზრის დასასაბუთებლად ა. ზ ი ს ე რ მ ა ნ ი ასახელებდა, ერთი მხრით, ხევსური მამაკაცის კოსტუმის ორნამენტად ჯვარის გამოსახულების გამოყენების ფაქტს, ხოლო, მეორე მხრით, ხევსურეთში ჯვაროსნების ხანის იარაღის, კერძოდ, ხმლის პირების შემონახვას. ავტორს ეს მოსაზრებები საკმარისად მიაჩნდა იმისათვის, რომ ხევსურების წარმოშობის საკითხი გადაეწყვიტა.

ცნობილი ფაქტია, რომ ხევსურული **ტალავარი** (კოსტუმი) ი ზვიათ ნიმუშს წარმოადგენს კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ტანსაცმელებს შორის[2]. ეს ტანსაცმელი მნიშვნელოვანია როგორც თავისი მასალის და თარგის გამო, ისევე და კიდევ უფრო მეტად ორნამენტების გამოც. ხევსურული კოსტუმის ზემოთ მოხსენებული ი ზვიათობა და მნიშვნელობა ეხება არა მარტო ხევსურული მამაკაცის ტანსაცმელს, არამედ ამდენადვე, თუ უფრო მეტად არა, ქალის ტანსაცმელსაც[3].

რაც შეეხება ორნამენტს ხევსურულ კოსტუმზე, კერძოდ, **ჯვარის ორნამენტს**, უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარის ორნამენტი აქ მოცემულია არა მარტო ხევსური მამაკაცის კოსტუმზე, არამედ ის ამდენადვე, თუ მეტად არა, გვხვდება ხევსური დედაკაცის კოსტუმზედაც. ამის მიხედვით ცხადია რომ ჯვარის ორნამენტი არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ხევსური მამაკაცის კოსტუმის დამახასიათებელ ელემენტს, არამედ იგი მოცემულია ხევსურის, როგორც ქალის, ისე კაცის კოსტუმზე. ამიტომ ზისერმანის შეხედულების ამოსავალი წერტილი ჯვარის ორნამენტთან დაკავშირებით თავიდანვე მცდარია. ამდენადვე მცდარია და მიუღებელი ის მოსაზრება, რომ ხევსურული ორნა-

---

* თანაავტორი **ჯვარა ბარდაველიძე**.

[1] **А. Зиссерман**, Очерки Хевсуретии, "Кавказ", 1851, № 22.

[2] ხევსურული კოსტუმის ძველი კოლექცია იხ. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში № 10-65/1-4. ეს კოლექცია ჩამოტანილია ხევსურეთიდან 1852 წელს იმ ხანად ტფილისში არსებულ რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმში, რომელსაც „Кавказский Музеум" ეწოდებოდა. ხევსურული კოსტუმის ძველი ჩანახატი იხ. **A. Gamba**, Voyages dans la Russie méridionale et perticuliérment dans les provinces situées au dela du Caucase, faits depuis 1820 jusqu'au 1824, Paris, 1826. ამავე ხანის თუ ცოტათი უფრო ადრინდელი კოსტუმების სურათები ზემოხსენებულ ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული.

[3] **G. Radde**, Chev'suren und ihr Land, Kassel 1879; **M. Tilke**, Orientalische Kostüme in Schnitt und Farbe, Brl., 1922; ამ ნაშრომზე **გ. ჩიტაიას** რეცენზია იხ. „ჩვენი მეცნიერება", 1924 წ., № 2, გვ. 134; **A. Byhan**, Kaukasus, Ostrussland, Finland, **Buschan**-ის Illustrirte Völkerkunde-ში, ტ. II, 2, Stuttgart 1925, ამ ნაშრომზე **გ. ჩიტაიას** რეცენზია იხ. ქართული ეთნოლოგია, მ ი მ ო ხ ი ლ ვ ე ლ ი, 1926, ტ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტის ეს ელემენტი მომდინარეობს ჯვაროსნებისაგან და თვით ხევსურეთში წარმოშობითაც ევროპელი ჯვაროსნები არიან. საქმე იმაშია, რომ, როგორც ქვემოთ უფრო მეტად დავრწმუნდებით, ჯვარი ხევსურეთში უძველესი ხანის ორნამენტია. იგი უფრო ადრინდელია ვიდრე ჯვაროსნების გამოჩენა ისტორიულ სარბიელზე. ჯვარი ხევსურულ კოსტუმზე იზოლირებულად კი არ არის მოცემული, არამედ მისი ანტურაჟი წარმართული სახეებითაა წარმოდგენილი. ჯვარი აქ მაგიურ-პოთრიმპეული მნიშვნელობითაა გამოყენებული, რაც დაკავშრებულია ხევსურთა წარმართულ სარწმუნოებასთან. სხვათა შორის იგი (ხატი) წარმართულ საკულტო შენობას აღნიშნავს და ამდენად რამდენიმე საუკუნით ადრინდელია ჯვაროსნებზე და საზოგადოდ ქრისტიანობაზე. უკეთ რომ ვსთქვათ, ჯვარი ხევსურთა გვაროვნული საზოგადოების რელიგიასთანაა დაკავშირებული.

სურ. 1 სათაურა
ს. ბარისახო

რაც შეეხება ხევსურეთში შემონახულ ძველი ხანის იარაღს, კერძოდ ხმლის პირებს,–მართლაც ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ასეთი მრავლადაა წარმოდგენილი. ისინი მიეკუთვნებიან სხვადასხვა ხანას და მათ შეტანას ხევსურეთში არავითარი კავშირი არ აქვს ჯვაროსნების მოსვლის ზღაპრულ ამბავთან.

ხევსურეთში მრავლად მოიპოვებოდა XIV–XVII სს. ხმლის პირები, რომელთაგან ერთი ნაწილი ხატების კუთვნილებას შეადგენდა. იქ დამოწმებული იყო A. Ferrara-ს ხმლის პირები, აგრეთვე: ფრანგული, გორდა, კალდიმი, ქართული დავით-ფერული, უნგრული ხმლის პირები და სხვა (იხ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ მოწყობილი ხევსურეთის გამოფენა, ფარები № 5 და № 6), რომელნიც ხევსურეთში სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს შეჰქონდათ ხოლმე, უმთავრესად კი ტფილისიდან და თელავიდან.



სურ. 2. ჭანქიკის
სახელური
ს. ჭალა

დასავლეთ ევროპის ხმლები, ერთდროს, ვენეციელების და გენუელების მეშვეობით საქართველოს სავაჭრო გზებს აღწევდა და შემდეგ ამ გზებით ხევსურეთშიც შედიოდა.

უნდა ისიც ითქვას, რომ ხევსურეთში ამგვარ იარაღზე დიდი მთთხოვნილება არსებობდა.

საქართველოს მთაში გვაროვნული წყობილების დაშლის გახანგრძლივებული პროცესი ყველაზე უკეთ დამახასიათებელი და ნიშანდობლივი სახით ხევსურეთში იყო შემონახული. ამ მოვლენას გარკვეული ეკონომიური მიზეზები ედვა საფუძვლად. აქ მოცემული იყო მეურნეობა, რომელიც პრიმიტიულ მსხვილფეხა მესაქონლეობას ემყარებოდა. ეს პრიმიტიული

ეკონომიკა და მისგან გამომდინარე ხევსურეთის კარჩაკეტილობა მძლავრად ასაზრდოებდნენ გვაროვნული წყობილების მთავარ ძარღვებს, კერძოდ, სისხლის აღების ტრადიციულ წესებს და მათთან უშუალოდ დაკავში-რებულ საბრძოლველი იარაღის, უმთავრესად ციცი იარაღის, მოთხოვნილებას. გვართა შორის ატეხილ სასისხლო ჟიების დროს იარაღი მნიშვნელოვან და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

სურ. 3. სათაურა
ს. ღული

ხშირად ის გვარი, რომელსაც საუკეთესო იარაღი გააჩნდა, საგვაროენო სასისხლო ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა. მაგრამ საუკეთესო იარაღი ხევსურისათვის მეორე მხრითაც, უდიდესი მნიშვნელობისა იყო. საუკეთესო იარაღს გადამწყვეტი მნიშვნელობა **სამეკობრო**[4] ბრძოლებშიც ჰქონდა. ამიტომ ხევსური ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა კარგი იარაღის შესაძენად. ხევსურეთში დღე-საცაა შენახული ხმლის პირები,რომლებშიც მიცემულია 20–40 ძროხა თითოეულში. ბევრი მათგანი გვარის საკუთრებას შეადგენდა.



სურ. 4. ტაგრუცი. ს. ბარისახო

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურის ამგვარი დამოკიდებულება მეღავნდებოდა არა მარტო ხმლების მიმართ, არამედ სხვა საბრძოლველი და თავის დასაცავ იარაღებისადმიც. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ ხევსურეთში მრავლად ვხვდებით

[4] „მეკობრობა" ეწოდება მეზობელ ტომზე თავდასხმას ნადავლისათვის. „მეკობრობა", ისევე როგორც „ფირალობის" ერთი მხარე, გვაროვნული წყობილების საყურადღებო თავისებურებაა, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს

ჯაჭვის პერანგებს, სამკლავეებს, ფარებს, ჩაჩქნებს, ხირიმებს, შუბებს, სამხარ-
ილლიოებს, ღაჯია-საცერულებს[5], საჩერნეებს, საფუხრეებს და სხვებს. ამათგან
ზოგიერთი ხევსურების მიერ მზადდებოდა, კერძოდ ღაჯიები, ფარები, სამხარ-
ილლიოები, შუბები და სხვა. მათზე საყურადღებო ძველი სახის ორნამენტებია
შემონახული.

სურ. 5. სირიელები
მ. ტოლჯეს მიხედვით

ზემოთქმულის მიხედვით ნათელია, რომ ამგვარი იარაღი ხევსურეთის გვაროვნული საზოგადოების მოთხოვნილებას ემსახურებოდა. ამ მოთხოვნილებას ეს საზოგადოება სხვადასხვა გზით იკმაყოფილებდა, რასაკვირველია, ყოველგვარი ჯვაროსნების გარეშე.

ამდენად ხევსურების იარაღს ევროპელ ჯვაროსნებთან და მათ იარაღთან კავშირი არა აქვს და ზისერმანის ეს მტკიცებაც მცდარია. ასევე კავშირი არა აქვს, როგორც ზემოთ ითქვა, ხევსურული ჯვარის ორნამენტს ჯვაროსანთა ტანსაცმლის ორნამენტთან, რადგანაც ჯვარის ორნამენტი ხევსურეთში სხვაგვარ მოთხოვნილების ნიადაგზეა წარმოშობილი. იგი ქრისტიანობაზე ადრინდელ ხანის კუთვნილებაა და ამდენად ჯვაროსნების ქრისტიანულ ჯვართან წარმოშობილობით საერთო არაფერი აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მცდარია და მიუღებელი ზისერმანისშეხედულება ხევსურების ჯვაროსნებისგან წარმოშობის შესახებ[6]. **ზისერმანის** აზრის წინააღმდეგ ხევსურები ერთ-ერთი უძველესი ტომია, რომელსაც უძველესი ქართული კულტურის მრავალი გადანაშთი შემოუნახავს, მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი. ამის საილუსტრაციო მაგალითს ხევსურული ორნამენტი წარმოადგენს.

*

* *

ხევსურული ორნამენტი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მეტად მდიდრად და მრავალი სახითაა წარმოდგენილი. მას ჩვენ ვხედავთ ხეზე, ქსოვილსა და ლითონზე; მცირე რაოდენობით ძვალზე და ქვაზეც მოიპოვება. საყურადღებო გარემოებაა ის ფაქტი, რომ ამ ორნამენტის ცალკეული ელემენტებისათვის

---

[5] **გ. ჩ ი ტ ა ი ა**, ხევსურული საცერული, ს ა ქ. მ უ ზ. მ ო ა მ ბ ე, ტ. V, გვ. 287; **G. R a d d e**, დასახ. ნაშრომი, გვ. 87 შდ.

[6] **ზ ი ს ე რ მ ა ნ ი ს** მსგავს მკვლევარებს ყუბაჩლები წარმოშობით „ფრანგებად" მიაჩნდათ, შდრ. **E. Вейденбаум**, Путеводитель по Кавказу, Тифл., 1888, გვ. 111–112.


ᲑᲝᲚᲝᲠᲗᲘᲗ-ᲡᲐᲙᲘᲠᲗᲐᲕᲘ
ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ
ᲡᲐᲥᲔᲚᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲘ
ᲡᲐᲓᲒᲔᲑᲚᲘ
1,2,3,4-
ᲭᲠᲔᲚᲔᲑᲘ
ᲛᲘᲡᲘ
ᲛᲔᲠᲔ ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲡᲐᲥᲔᲚᲘ
ᲭᲠᲔᲚᲔᲑᲘ
1
2
3
4
ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲛᲔᲠᲔ ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲐᲡᲢᲠᲘᲩᲘ
ᲛᲣᲭᲘᲠᲔᲑᲘ

სურ. 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად მდიდარი და კარგად გამართული ტერმინოლოგიაა დაცული. ეს ფენომენი უპირველეს ყოვლისა და უპირატესად ქსოვილისა და ხის ორნამენტების ტერმინების შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერმინების უმრავლესობა ქართული სიტყვის ძირებიდანაა წარმომდგარი, რაც უდავოდ ამჟღავნებს ხევსურული ორნამენტის ელემენტების დიდი უმრავლესობის წარმოშობილობას ქართულ ეთნიკურ წრეში და გამორიცხავს მათს სესხებას უცხო და გარეშე ტომთაგან. ცნობილია, რომ ნასესხები ორნამენტი ჩვეულებრივად კონკრეტულ სახელწოდებას მოკლებულია და ზოგადი ტერმინით აღინიშნება, როგორც მაგალითად–**სახეში, დაჭრელებული** და სხვა. ან ის ინარჩუნებს ნასესხებ სახეთანერთად ნასესხებ სახელსაც.

ს ა ღ ი ა ც ო
(წინიდან)



სურ. 7

ხევსურული ორნამენტის ტერმინოლოგია შეიცავს მეტად საყურადღებო სახელებს. კერძოდ, ჯვარისათვის ჩვენ მოცემული გვაქვს ტერმინი **ხატი** და მისგან წარმოებული სიტყვები: **ხატნი, ხატის-ხატნი, ხატულა**· და სხვა. ხატი აქ აღნიშნავს არა მარტო ჯვარის გამოსახულებას, არამედ იმას, რასაც ჩვენ ხატს ვეძახით. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავს აგრეთვე წარმართულ საკულტო შენობასაც. ხევსურული საკულტო შენობა, **ხატი**, მკვეთრად განსხვავდება ქრისტიანული საკულტო შენობისგან. ხევსურული ხატის გეგმა შესდგება **საქვაბესა**, **დარბაზისა** და **საკოდესაგან**[7], რომელთაგან პირველში ლუდი მზადდება, მეორეში– **ხატის-ყმების** განსაზღვრული კატეგორია დღეობებზე **სადღეგელოა**-ის და **პირის-ქარა**-ს რიტუალის ასრულებაში მონაწილეობს, ხოლო მესამეში–დღეობებისათვის განკუთვნილი ლუდი ინახება კოდებში და მასში ხუცის გარდა სხვა ვერვინ შევა.

ს ა ღ ი ბ ი ო
(მშრალდან)



სურ. 8

ზემოთქმულთან ერთად, თუ ჩვენ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ქართველების სამხრეთელ ტომებში ჯვარისათვის ტერმინი **ხაჩი-ა** უპირატესად გავრცელებული, ხოლო დასავლურ-აღმოსავლურში–**ჯვარი** თავისი სხვადასხვა დიალექტური ფორმებით,–ხევსურულში ამავე ცნებისათვის შემონახული

[7] **В. Бардавелидзе**, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис, 1932, გვ. 26–27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 9. საჭრეთლები

ტერმინი **ხატი** კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ხაჩი** აჭარულში საგვაროვნო საკუთრების ნიშნებს ეწოდება. მისი პარალელური სახელწოდებაა–**თარჯი**[8]. აჭარულ საგვაროვნო საკუთრების ნიშნებს საგულისხმო პარალელები აქვთ ძველი აღმოსავლეთის პიქტოგრაფიულ ნიშნებთან[9].

სურ. 10. ძველის საჭრელელი

ასევე მნიშვნელოვანია ხევსურული ორნამენტის სხვა ტერმინები: **კვერა, ხუთა, ბორჯღალა, დაკაკაული, მეზაერა, მარტუღელა, „რქაღახრილა** და სხვ. მაგრამ ხევსურული ორნამენტი თავის მდიდარ ტერმინოლოგიასთან ერთად – მეტად ღირებულია თავისი შინაარსითაც.

როგორც ირკვევა, ეს ორნამენტი თავის ესთეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად აპოთროპეულ დანიშნულებას ემსახურება და ხევსურთა უძველეს მსოფლმხედველობას უკავშირდება. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ხევსურული ქსოვილის და ხის ორნამენტებზე.

სურ. 11. ორნამენტი მუსიერიდან, J. de Morgan-ით

სურ. 12. ყელსაბები მუსიერიდან, J. de Morgan-ით

ხევსურთა უძველესი მსოფლმხედველობა დუალიზმის საფუძველზე იყო აგებული. ხევსურს მსოფლიო კეთილი და ბორტი ძალების ჭიდილის ასპარეზად

---

[8] შდრ. „თარჯი" ლეჩხუმურში (გურული, ზემო იმერულ და ლეჩხუმური ლექს.) და „შემოთარჯვა" **ს ა ბ ა ს, ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს** და **ჭ უ ო ნ ი ა ს** ლექსიკონებში.

[9] გვაროვნული ნიშნებისა და პიქტოგრაფიული წერის შესახებ იხ. **T. Scheltema**, Ornamentik. A. Europa, **M. E b e r t**-ის, Reallex, der Vorgeschichte.

ჰქონდა წარმოდგენილი. ბოროტი ძალა მუდმივ იმის ცდაში იყო, რომ ზიანი მიეყენებინა ადამიანისათვის. ბოროტი ძალის გამოვლინებას განსაკუთრებით მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც ადამიანი დაუძლურებული და ძალშიხდილი იყო, ან კიდევ სუსტი და უსუსური.



სურ. 13. სუმერული ორნამენტების ნიმუშები. M. Oppenheim-ის

ამიტომ იყო, რომ ავი სულები პირველ რიგში ბავშვებსა და ქალებს ეტანებოდნენ, ამათგან ქალებს, თვიურისა და მშობიარობის დროს.

ბოროტი ძალები წარმართი ხევსურის წარმოდგენაში სხვადასხვა სახისანი იყვნენ: დიბილები, ალი და სხვ. არსებითად ეს სარწმუნოება ძველი აღმოსავლეთის დუალიზმისა და დემონოლოგიის ძირითად ელემენტებს შეიცავდა.

სურ. 14. ხეთური ორნამენტი. Ed. Meyer-ის

სურ. 15. მაკენური ორნამენტი. D. Fimmen-ის

სურ. 16. ხეთური ხატოვანი წარწერის ნაწყვეტი. B. Hrozny-ის

ბოროტი ძალებისაგან თავის დასაცავად წარმართი ხევსური სხვადასხვა აპოთროპეულ საშუალებების გამოყენებას მიმართავდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ აღმოსავლეთშიც. ხევსური ჯვარს გამოიყენებდა იმ ნანგრევებზე, სადაც ბოროტი ძალების (დიბილები) სამყოფი ეგულებოდა. ასევე იქცეოდა ის სახლში: სახლის კარზე და კეზ-ზე ჯვარს გახატავდა. ამავე მიზნით იყენებდა ის სხვა ორნამენტსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დავაკვირდებით ხევსურის კოსტუმის ორნამენტს, შევამჩნევთ, რომ ორნამენტი წარმოდგენილია განსაკუთრებით მდიდრად ბავშვის, დედაკაცისა და მამაკაცის როგორც **ჰერანგის**, ისე **სადაიცოს** ფარაგებზე. **ფარაგი ჰერანგის** და **სადაიცოს** ის ნაწილია, რომელიც გულმკერდს ჰფარავს და საგულეს დანიშნულებას ასრულებს.

სურ. 17. რეტინუ-ელები. M. Tilke-ს მახედვით

როგორც ცნობილია, წინა აზიის უძველეს კულტურაში აპოთროპეული დანიშნულების საგნებს დიდი როლი ჰქონდათ დაკისრებული, კერძოდ, სუმერეთსა და ასურეთ-ბაბილონში, ისევე როგორც სუბარელ-ალაროიდელ ტომებში. ამ მიზნით ამ ხალხებში სახლების მისავალთან, თვით სახლში–სანოვაგის ჭურჭელთან, ან ჭურჭელზე სხვადასხვა აპოთროპეული დანიშნულების საგნები თუ მათი სიმბოლიური გამოსახულება იყო ხოლმე მოთავსებული.

ამავე ხალხებში ასეთივე დანიშნულებას ასრულებდა ორნამენტი კოსტუმზე, კერძოდ ჯვარის ორნამენტი, რომელიც დამოწმებულია XVI–XIV საუკუნეებისათვის ქრ.წ. საყურადღებოა ისიც, რომ ჯვარი აქაც, როგორც ხევსურის ფარაგზე, კოსტუმის საგულეზეა მოცემული(იხ. სურ. 5).

ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმ აპოთროპეული დანიშნულების საგნებზე, რომლებიც მრავლად იყო შემონახული კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში: მარილისა და სხვა სანოვაგის ჭურჭელი, თიხისა და ხის, რომლებიც ამჟამად საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში მრავლადაა დაცული და ზოგიერთი მათგანი ლიტერატურაშიც ცნობილია[10].

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ აპოთროპეული დანიშნულების თვალსაზრისით საგულე ფარაგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ჩანს არა მარტო ხევსურული მასალის მიხედვით, არამედ სხვა კავკასიელი ხალხების კოსტუმის მიხედვითაც.

ხევსურული **სადაიცოს ფარაგი** მეტად რთულ კომპლექსს წარმოადგენს. თარგის მიხედვით (იხ. სურ. 6 და 7). იგი შესდგება:

საყელო-სამართისა, სამწყვეტლისა, ჭრელანისა, ზიკისა და **კანჭირისაგან.** ამათგან თითოეული საკუთარი ორნამენტითაა შემოსილი და ყოველ ხევსურ

---

[10] **E u g. Z i c h y**, Vayages au Caucase et en Asie central, Budapest, 1897, t. I, ტაბ. 83; **J. M o u r i e r**, L'art au Caucase, Bruxelles, 1912, გვ.13; **Br. P l a e t s c h k e**, Die Tschetschenen, *Veröfentlichungen des Geographischen Instituts der Universität Königsberg Pr,* Heft XI, Hamburg, 1929, გვ. 99; **F. M y r e s**, A. figurine vase from Tiflis, *Man,* XXXVII february, 1937, გვ. 27–30; მისივე, A. modern "kernos" vessel from Tiflis, *Man,* XXXVII february 1937, გვ. 25–27; **გ. ჩ ი ტ ა ი ა ხ** რეცენზია ამ ნაშრომებზე იხ. ენიმკი-ს მ ო ა მ ბ ე, ტ. I, გვ. 309 და ტ. II, გვ. 227.

დიაცს დიდი ოსტატობა სჭირია, რომ ფარაგი და მისი ნაწილები სათანადოდ მორთოს. სხვათა შორის, აქ ყველაფერი წინასწარ მოზომილი და მოფიქრებულია. სად რა სახე უნდა გამოვიდეს, რომელი ფერი სად უნდა მოჰყვეს და სხვ. ქალს დიდი ოსტატობა და „თვალის ხაზი" უნდა ჰქონდეს, რომ ყველაფერი რიგზე მოვიდეს. ფარაგზე წარმოდგენილი უნდა იყოს **ჯვარანი, ხატნი, კუთხანი, აკუშერა, თეკალა, კბილა** და სხვა ორნამენტის ელემენტები.

სურ. 10. ხელი კობანიდან. Er. Hančar-ით

ასევე დიდი ყურადღება ექცევა ხევსური მამაკაცის **პერანგის ფარაგს**. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია რამდენიმე საინტერესო ფარაგიანი პერანგი. ერთი მათგანი ხელით ნაქარგობის შედევრს წარმოადგენს (კოლ. № დრ. 34–35)[11].

ქარგვით შემკული ფარაგის აპოთროპეული დანიშნულების გასაძლიერებლად ხევსურები ფარაგზე აკერებდნენ ლითონის სამკაულებს, სადაფისა და შუშის ღილებსა და მძივებს.

თეთრი მძივებისა და ღილების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მათი აპოთროპეული დანიშნულება აშკარად ჩანს იმ ანალოგებიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხევსურების ყოფაში. კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ხევსურული სახლის ბანზე რამდენიმე თეთრი, ბროლის ქვა იყო ჩამოდებული ავი თვალის საწინააღმდეგოდ. ეგევე ქვები სახლის ბანზე „მობრძანებული" დროშის ბუნის საყრდენი იყო. თეთრი ქვა ამავე მიზნით ხევსურეთში ყოველ წყაროს თავზე იყო მოთავსებული.

სურ. 11. აქარული თარგი

სვანეთში ასეთ თეთრ ქვას, **ჩერსა**-ს, ჩასდებდნენ კიდობნებში, ყელის საკეთლის შესანახ ჭურჭელში, დასდებდნენ კერასთან, ყანაში–ავი თვალის საწინააღმდეგოდ. საყურადღებოა აგრეთვე ფარაგის ლითონის სამკაულები მათი სიმბოლური სახეებით: **ჯვარი**, საფარაგე **ალი, თეკალის ზეგრა, რქა-დასხილა** და სხვ.

ცნობილია ქართული კაბის გულისპირის შემკულობა. ქართელი გლეხის პერანგის საგულე განსაკუთრებულად ჯოფილა მორთული (იხ. კოლ. № 64-26/5).

საგულე-ფარაგის დანიშნულება კიდევ უფრო აშკარად ჩანს თუშური მასალების მიხედვით. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია (კოლ. № დრ. 46) თუში ქალის ძველებური საგულე, რომელიც მუზეუმში შემოსულია 1852 წელს[12]. ის შედგება ფერად ქსოვილის ნაჭრებისაგან, რომლებზედაც უხვადაა დაკერული ლითონის სამკაულები მეტად საგულისხმო სიმბოლური სახეებით, მაგ. **მირგაალა-წრეები**.

---

[11] უნდა აღინიშნოს, რომ ხევსური ჩვეულებრივად „პერანგის" საგულეს–ფარაგს იშვიათად თუ იხსნის ხოლმე.

[12] 1852 წელს "Кавказский музеум"-ის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში მუშაობდა **რაფაელ ერისთავი**. ამ განყოფილებაში რამდენიმე საყურადღებო კოლექცია იყო დაგროვილი. შემდეგში ეს კოლექციები გადაეცა "Кавказский музей"-ს (დაარსდა 1865 წ.), ამდენად ეს კოლექციები საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

1

2

3

4

5

6



7

1. ოთხიფაფლიანის ხატულანი
2. შიბან შამაგლებულ ხატულანი
3. ხატულანი
4. ხატულანი
5. ხატულანი
6. ხატისხატნი შიბანშამაგლებულნი
7. დაკაკუკულიანის ხატულანი

ამ სახის საგულეები დიდოელებსაც, ისევე როგორც დაღისტნის სხვა ტომებს, მოეპოებათ; განსაკუთრებით აღსანიშნავია **ყელსაკიდები**, რომლებიც მეტისმეტად ძველებური ტრადიციას ამჟღავნებენ (შდრ. საქ. მუზ. ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციები).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხევსურული **მანდილი**, რომელზედაც მეტად საყურადღებო ორნამენტებია ამოქარგული, იშვიათი ხელობით შესრულებული. მანდილი ყოველ გასათხოვარ ხევსურ ქალს წინასწარ უნდა ჰქონოდა დამზადებული. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა **მანდილს** ხევსურების შუღლისა და კეჩნაობის დროს, კარგად ცნობილი ფაქტია (საქ. მუზ. ეთნოგ. განყ. კოლ. №№ 7–29/3).

სურ. 20. ქალი ხევსურეთიდან, ს. როშკა

ჩვენი თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სარტყელსა და ქამარზე მოცემულ ორნამენტებს. ხევსურეთში სარტყლის ასეთ მნიშვნელობას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მხოლოდ მისი ფერები ამჟღავნებენ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ დაღისტნის ტომების ლითონის სარტყლის ორნამენტებს და მოვიგონებთ ჩვენშინაპოვნ განათხარ ქამრებს, მათი მაგიურ-პოთოროპიული დანიშნულება აშკარა გახდება (საქ. მუზ. ეთნოგრ. განყ. კოლექციები).

ხევსურული კოსტუმის ორნამენტების პოთოროპიული დანიშნულება სხვა მხრივაც მეღავნდება.

როგორც ცნობილია ხალხურ ხელოვნებაში ფერებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. რამდენადაც ეს კოსტუმს ეხება, ჩვენ საქმე გვაქვს როგორც კოსტუმთან მთლიანად, ისე მის ნაწილებთან და კიდევ უფრო მეტად კოსტუმის ორნამენტებთან.

ხევსურული **სპექტრი** შესდგება: შავი, ლურჯი, წითელი, სისვი და ყვითელი ფერებისაგან. ამათგან კოსტუმისათვის უპირატესობა ეძლევა ლურჯ ფერს. ორნამენტებში ვხვდებით ხევსურული ფერების ურთიერთთან შეხამებას, გამონაკლისს მამაკაცის ნაბდის ქუდი შეადგენს, რომელსაც შავ ფონზე შავი გრეხილის ორნამენტები აქვს ამოქარგული. საერთოდ მყირალა ფერები აქ მოწონებაში არ არის[13]. ნაზი ჰარმონიული ფერების ორნამენტების საუკეთესო ოსტატებად ბუდე–ხევსურეთის ქალები არიან ცნობილნი.

[13] შეადარე თუშების და ფშაველების შავი კოსტუმი და ძველი ცნობა აბაზგების ამავე ფერის კოსტუმის შესახებ.

ფერადი ქსოვილისა და ძაფის მისაღებად ხევსურები ბუნებრივ საღებავებს იყენებდნენ: **ენდრო, წერთხალა, მურყანა** და **ლები**-ს[14].

სურ. 21. ჭელი წალკადან, ს. გუნია-ყალა

ამავე თვალსაზრისით საყურადღებო ობიექტია ხევსურული **სადიაცო**. იგი რთული თარგის მიხედვით იჭრება და იკერება. სადიაცო შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან (იხ. სურ. 7 და 8): **უბე-ფარავანა, უბე-კალთანა, აზდოტანა, ქოქომონანა, შალიფანანა, ბოლოდ საკერებლთა** და **სახელთაგან**.

სადიაცოს ამ ნაწილებიდან მკითხველის ყურადღებას ჩვენს თემასთან დაკავშირებით სადიაცოს ერთ საინტერესო კომპონენტზე–**ქოქომონზე** შევაჩერებთ. **ქოქომონი** შედგება: ოთხი სხვადასხვა ფერის **სამირგვლესაგან** და **შიბებისაგან**. **ქოქომონი** უბე-კალთაზეა მიკერებული. აქ საყურადღებოა გარემოება, რომ სამირგვლეების ერთი-მეორესთან მიკერება გარკვეულ წესს ემორჩილება და მტკიცე ნორმებს ეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ ზემო სამირგვლე ლურჯი ფერისაა, მას უნდა მიჰყვეს მწვანე, წითელი და შავი სამირგვლეები. ხოლო, თუ **ქოქომონის** ზედა ზოლი

სურ. 22. კარნეგიშის ხატოვანი წარწერის ფრაგმენტი, B. Hrozny-ით

სხვა ფერის სამირგვლით იწყება, მომდევნო სამირგვლეები ფერების მიხედვით სხვა თანრიგს უნდა მისდევდეს და მათი სამირგვლეები სხვა წესზე უნდა განლაგდნენ. ფერების ამ რიგზე განლაგების მნიშვნელობა დღეს ხევსურების

[14] **G. R a d d e**, დასახ. ნაშრომი, გვ. 87; მ ი ს ი ვ ე, О постепенном исчезновении этнографических особенностей на Кавказе, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ დავიწყებულია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ წესს თავისი აზრი ჰქონდა და უთუოდ მაგიურ–აპოთროპეულ დანიშნულებით იყო გამართლებული. რომ



სურ. 23. ორნამენტი მიკენიდან, D. Fimmen-ით

ფერების გამოყენებას ასეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იქიდან ჩანს, რომ ხევსურები, როგორც დამოწმებულია, თავიანთ მიცვალებულებს სხვადასხვა ფერის სუდარაში ხვევდნენ. პირველი სუდარა თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო, მეორე ლურჯი და

სურ. 24. ორნამენტი ტროიადან, D. Fimmen-ით

მესამე წითელი. აქედან აშკარაა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონია ფერების თანმიმდევრობა-შეხამებას.

ხევსურული ორნამენტი

შედარებითი გიპოლოგია



სურ. 25. ხევსურული ორნამენტის შედარებითი ტაბულა



ეთნოგრაფიული მოტივები
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახი არაგველი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

II



1

3



2



4



5

1. სკლავტის ხატი მძივ-ქუჩვებით და ხატულებით.
2. სკლავტის ხატი თითოღობით მძივმაკრულია.
3. სკლავტის ხატი.
4. სკლავტის ხატი მძივ-ღილებით.
5. კუთხანის ხატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ასევე უნდა ყოფილიყო ქოქომონის სამირგვლეს თანრიგის მიმართ, ისევე როგორც, საერთოდ ორნამენტის და კოსტუმის მიმართაც.



სურ. 26. ხეზე ორნამენტის ამოჭრა.

არა ნაკლები სიცხადით ჩანს მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულება იმ ორნამენტებისა, რომლებიც ხეზეა გამოყვანილი. აქ ჩვენ გვაქვს **მზის, მთვარის, ქვლის** და სხვათა სახეები, რომელთა პირველადი დანიშნულება სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. მიუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ხის **საჭრეთ-ლებით** ხევსურებს ამოყავთ ორნამენტები რიტუალურ პურებზე, ნაწილობრივ ძვლის საჭრეთლებითაც (იხ. სურ. 9 და 10) და ჩვენი დებულება დამტკიცებულად შეიძლება ჩავთვალოთ.



სურ. 27. ხეზე ორნამენტის ამოჭრა

მეტნაკლებად ესევე ითქმის ხევსურულ ორნამენტის შესახებ ლითონზე, ყველ შემთხვევაში, უდაოდ მისი ერთი ნაწილის შესახებ მაინც. ორნამენტი ქვაზე ჩვენ მიერ ხევსურეთში მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა დადასტურებული, სახელდობრ, სოფელ ლებაის-კარში მიტოვებული და აყრილი სოფლის ძველ უბანში დარღვეული სახლის ზემო ზღურბლზე და ბალავარის ქვაზე.

ყველა ზემოთქმულის მიხედვით ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ხევსურულ ორნამენტს ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად აპოთროპეული დანიშნულება აქვს მიკუთვნებული და რომ ის ხევსურის უძველეს მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული.

ეს დებულება კიდევ უფრო მეტად დამტკიცდება, თუ ჩვენ განვიხილავთ ხევსურული ორნამენტის ძირითად ელემენტებს და მათს შინაარს გავარკვევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

როგორც ზემოთ ითქვა, ხევსურული ორნამენტი მრავალი სახით და მეტად მდიდრადაა ჩვენამდე მოღწეული. ამას აქ მოტანილი ნიმუშები ცხადად ამტკიცებენ (იხ. ტაბულები). ორნამენტის იმ ელემენტებიდან, რომლებიც აქ ტაბულებზე** არის წარმოდგენილი, ბევრი არქაული ხანისაა და უძველესი კულტურის კომპლექსს ეკუთვნის. ასეთების რიგს შეადგენენ **ხატი, ქელი, ციკოკანა, კუთხანა,** ანთროპომორფული და ზოომორფული სახეები და სხვ.



სურ. 28. ხელსაწყო ორნამენტის ამოსაკვერად.

ხევსურული **ხატის** ორნამენტის მაგიურ-ანთროპეული წარმართული მნიშვნელობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. თვით ხევსურეთშიეს ორნამენტი ნაირ-ნაირი სახითაა დამოწმებული. იგი მრავლად მოიპოვება როგორც ქსოვილზე (იხ. ტაბულები I, II და III), ისე ხეზე (ტაბულები IV და V).

ამ სახეს ეკუთვნის აგრეთვე ირიბი ჯვარის სახით წარმოდგენილი ორნამენტი, მით უფრო, რომ ხევსურები ამ სახეს **გახატულს** უწოდებდნენ.

ხატი, როგორც ძველი კულტურის ორნამენტი, ხევსურების მეზობლებშიც მოიპოვება. კერძოდ იგი ჩაჩნებსაც აქვთ და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს Br. Plaetschke, ამ სახეს კავშირი ჩაჩნების ქრისტიანობასთან არ აქვს, არამედ იგი წინაისტორიული ხანის სხვა ორნამენტებთანაა დაკავშირებული და ქრისტიანობაზე ადრინდელი კულტურის კომპლექსს ეკუთვნის[15].

მრავლადაა იგი აგრეთვე მოცემული გლეხის დარბაზული სახლის დედაბოძებზე[16], დგამებზე, ჭურჭლებზე და სხვებზე[17]. იგი წარმოდგენილია სხვათა შორის სვანური რიტუალური პურების სახითაც[18].

De Morgan-ით ამგვარი წარმართული **ხატები** მოიპოვება მუსიერის

** ტაბულები მოგვყავს ტექსტთან შეფარდებით (თ.ც.)

[15] Br. P l a e t s c h k e, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[16] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის დარბაზი, I, დარბაზი დიღომში, ტფ., 1927, ტაბულები II და V; მ ი ს ი ვ ე, III. დარბაზი ყარაღაჯსა და ნადარბაზევში, ტაბულები VI და VIII; მ ი ს ი ვ ე, დარბაზი წილკანსა და მცხეთაში, ტფ., 1927 წ. ტაბულები III, IV და VI. გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი, ტ. I, 1926, გვ. 137.

[17] იხ. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციები: №№ 5–38–1–5.

[18] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური დღეობათა კალენდარი, ტ. I, ტაბ. I–II.

De Morgan-ით ამგვარი წარმართული **ხატები** მოიპოვება მუსეენების მასალებში (იხ. სურ. 11 და 12). მათი ანალოგები გვაქვს ძველი აღმოსავლეთის კულტურის არეში. ჩვენ მათ ვხვდებით სუმერეთში (იხ. სურ. 13)[19], ელამში[20], ხეთის სამეფოში (იხ. სურ. 14)[21] და კრეტა-მიკენის ძეგლებზე (იხ. სურ. 15)[22]. **ხატი** მოიპოვება აგრეთვე ეტრუსკების სიძველეებშიც.

კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ **ხატის** გამოსახულება გვაქვს ეგრეთ წოდებულ ხეთურ ხატოვან დამწერლობაში (იხ. სურ. 16)[23]. იგივე **ხატი** კოსტუმის ორნამენტის სახით მოიპოება ფარაონ თუტამერ III ხანის სურათზე. სურათი ეკუთვნის XVI საუკუნეს ქრ. წ. სურათზე დახატული არიან ფარაონისადმი ხარკის მიმტანი „რეტენუ"-ელები[24] (იხ. სურათი 18). Rtnw, Retenu, Rezenu (Ed. Meyer-ის მიხედვით)[25] ეგვიპტის საშუალო სამეფოს ხანაში (დაახლოებით 2160–1788 წწ. ქ.წ.) პალესტინა-სირიას და მის მომდევნო ქვეყნებს ეეფრატამდე ეწოდებოდა[26].

მომდევნო ეპოქაშიც, ეგვიპტელების ბატონობის მოსპობის შემდეგ, თუმცა ამ ტერიტორიას არა ერთხელ უცვლია სახელწოდება, მაგრამ ეგვიპტეში ის ტრადიციით ძველი სახელით იხსენიებოდა.

ყოველ შემთხვევაში XVI საუკუნისათვის ქრ.წ. ამ ქვეყნის ჩრდილოეთის პროვინციებში მაინც, თუ უფრო სამხრეთით არა, ხურებისა და ხეთების მოსახლეობა იყო გავრცელებული. როგორც ვიცით ხურები

სურ. 29. ხელსაწყო ორნამენტის ამოსაკვრაად

[19] M. Oppenheim, Der Tell-Halaf, Lpz. 1931, გვ. 251.

[20] И. Мещанинов, Эламские древности, Птг, 1917, ტაბულები V, IX, XIII და სხვ.; W. Gertte, Das Weltbild der protoelamishen Kultur, Anthropos, 1921, გვ. 1–14; შდრ. ვ. ჩიტაია, სვანური საკურკხილი, საქ. მუზ. მოამბე, ტ. II, გვ. 106.

[21] Ed. Meyer, Reich und Kultur der Chetiter, Brl. 1914, გვ. 52.

[22] D. Fimmen, Die Kretisch-Mykenische Kultur, Lpz.-Brl. 1921, გვ. 155.

[23] B. Hrozny, Les inscriptions hittites hierogliphiques, livr 2, Praha, 1933, გვ. 193, ტაბ. VII და სხვა.

[24] M. Tilke, Studien zu der Entwicklungsgeschichte des orientalischen Kostüms, Brl. 1923, გვ. 19.

[25] Ed. Meyer, Geschichte des Altertums, Stuttgart-Brl. 1928, ტ. II, 1^2, გვ. 81,1, 87, 135 და შდ.

[26] B. Hrozny, Die Länder Churri und Mitanni und die ältesten Inder: *Archiv orientalni*, 1929, V, I, 2, გვ. 100–103; შდრ. Ed. Meyer, op. cit, II, 1^2, გვ. 135 და შდ; შდრ. აგრეთვე W. Belck, Hanigalbat und Melitene, *Vorl.d.B.A.d.W.*, Bd. LI, გვ. 555–568.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

1. რქაფაფხიცლანი.
2. ლუკლანი
3. ლუკლანი
4. ხატი ჩამაკოქჯალანთ.
5. ჩამაკოქჯალანი.
6. ცოცხას ფეკანი.
7. ცხენის ტბილანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხეთები, მოსოხ-თუბალებთან, თირსენ-ლიდიელებთან და ხალდებთან ერთად,– წინა აზიის უძველეს აბორიგენ სუბარულ-ალაროდიული მოდგმის ტომებს ეკუთვნოდნენ[27]. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ეს მხარე შედის იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც დადასტურებულია ამ ტომების ერთი ნაწილის მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობის გავრცელების არე. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რეტენუ-ელის სურათებში ჩვენამდე მოღწეულია რომელიმე ამ ტომის (ხური, მოსოხი, თუბალი ან სხვა) წარმომადგენელთაგანი (იხ. სურ. 17). ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ დამთხვევა ხატოვანი დამწერლობის ნიშნისა,–**ხატის**, რეტენუ-ელის კოსტუმის ორნამენტთან, აგრეთვე **ხატოთან**, შეიძლება შემთხვევითი არ იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეტენუ-ელის კოსტუმის **ხატი**, ხატოვანი, დამწერლობის **ხატი** და ხევსურული ქსოვილის **ხატი** (ძირითადი ტიპი) სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ (შდრ. სურ. 16). რაც შეეხება რეტენუ-ელის კოსტუმის **ხატს** და ხევსურულ ქსოვილის **ხატს**[28] მსგავსება აქ უფრო შორს მიდის. ეს ეხება, ერთის მხრივ, რეტენუ-ელისა და ხევსურის კოსტუმის შემკულობას (ორნამენტი ორივე შემთხვევაში აპლიკაციის წესითაა შესრულებული, შდრ. საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია,– ხევსურული ჩოჯა (№ 16–73/3), ისევე რეტენუ-ელის ქუდს (შდრ. სვანური ფაჯ-ი).

სურ. 30. ხელსაწყო ორნამენტის ჩამოსასხმელად

ზემოთქმულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ **ხატი** რეტენუ-ელის და ხევსურის კოსტუმის საგულე ფარაგზეა მოცემული (იხ. სურ. 17 და საქ. მუზ. კოლ.). ამიტომ რეტენუ-ელის კოსტუმის **ხატის** მაგიურ-აპოთროპიული დანიშნულება ცხადია.

---

[27] შდრ. A. Christian, Altkleinasiatische Völker: Reallex d. Assyriologie, ტ. I, ნაკვ. 1–2, გვ. 82–83; გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტომი I, გვ. 287; კერძოდ ხურების შესახებ იხ. B. Hrozny, op.cit, გვ. 91 შმდ.

[28] M. Tilke საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "Die Chewsuren verwenden, wie die alten Retennu, die im vorderen Orient wohnten, zu ihren Gewand-verziehrungen mit Vorlibe das Kreuz" (Orientalisehe Kostüme in Schnitt und Farbe, Brl. 1923, გვ. 23). საყურადღებოა, რომ სკვითების კოსტუმსაც ჰქონია „ხატის" (აგრეთვე წრის „მირგვალას") ორნამენტი (იხ. კულობის და ვორონეژის ვაზები და სოლოხის მშვილდის ბუდე). სკვითების და კოლხური ტომების ურთიერთობის შესახებ იხ. **ივ. ჯავახიშვილი**, საქ. ეკონომ. ისტორია, ტ. I², გვ. 264, შდრ. **ვ. ჩიტაია**, რაჭული სახვნელი, **ენიმკის მოამბე**, ტ. I, გვ. 288. აქ მოსატანია აგრეთვე Strabo-ს ცნობა იბერიის მთიელების ტანსაცმლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

1.



2.



3.

4.

5.



6.

1. ბორჯღლიან-მრგვალი
2. მრგვალი ჩამოკოტვით
3. ხატი დაკაკულით გახატული
4. ოთხკუთხი გახატულით
5. ოთხკუთხი გახატულით
6. მრგვალი ჩამოკოტვით

ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ჭელის გამოსახულება. ხევსურულ ორნამენტებში ის ტაგრუცებსა და „ბეჭზეა“ (იხ. ტაბ. VI) მოცემული. ჭელი მრავლად გვხვდება ჩვენ გლეხის დარბაზების დედა-ბოძებსა და თავზეებზე, სადაც ის წარმოდგენილია ხეზე ამოკვეთილის სახით, ან კიდევ შინაურების ხელის ანასახი აღბეჭდილია თიხით, კირით და სხვა მასალით[29]. ამგვარივე ჭელები არის სვანური ქორის ლეჭინდგ რებზედაც.

ჭელი აგრეთვე მოიპოება ინგუშეთსა, საჩაჩნოსა[30] და დაღისტანში[31]. ჭელი ამულეტის მნიშვნელობით იხმარებოდა კავკასიის მრავალ ხალხში[32]



სურ. 31. ხელსაწყო ორნამენტის ჩამოსასხმელად.

---

[29] **გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი**, ქართლის დარბაზი, I, დარბაზი დიღომში, ტფ., 1927, ტაბ. II. **გ. ჩ ი ტ ა ი ა**, გლეხის სახლი ქვაბლიანში: მ ი ნ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი, ტომი I, გვ. 237.

[30] Br. P l a e t s c h k e, op. cit., გვ. 58–59; Л. С е м е н о в, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1928 и 1929 гг.: Изв. Ингушского Научно-исслед. Института Краеведения, Влк. ტ. II–III, გვ. 282.

[31] **Т. Ч у р с и н**, Амулеты и талисманы, Махач-Кала 1929, ცალკე ამონაბეჭდი СМОМПК, ნაკვ. 45, გვ. 8.

[32] **Т. Ч у р с и н**, დასახ. ნაშრომი, გვ. 7–8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V



1. გახატული.
2. ხატი სამრგვალივ შემოწერილი.
3. მრგვალი მატრუდულითა.
4. მრგვალი.
5. მრგვალი ხუთა-სამკუთხითა.
6. თეთალითა გახატული.
7. ოთხკუთხა გახატულით და მრგვალანით.
8. ხატი სამრგვალივ ხატულანით.
9. მრგვალი ხატით ჩაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 32. „კბილაკის“ გამოყენების ტექნიკა

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში მრავალი ხელის ex voto-ა დაცული, რომლებიც ეკუთვნიან კავკასიის სხვადასხვა ხალხს (კოლექციის №№ 1–04/3, 2–10/5). სვანეთში საახალწლო დღეობების (ზომხა) კომპლექსში შედიოდა სპეციალური ხელის გახსნის რიტუალი–**შიმი ლიფშუტდე** და **ლიშაშალლეჩხუმში** ამ წეს-ჩვეულებას **ხელი დაპწა** ეწოდება[33]. კავკასიის განათხარ მასალებშიც გვხვდება **ჭელი** სხვადასხვა სახით[34]. იგი, სხვათა შორის, კობანის განათხარ მასალაშიც მოიპოვება[35] (იხ. სურ. 18, შდრ. სურ. 19).

განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჭელს ხევსურულ გვაროვნულ საზოგადოებაში. წეს-ჩვეულებით მიღებული იყო, რომ ხევსური სისხლის აღების შემთხვევაში მოკლულ მტერს არა ხევსურს მარჯვენა ხელის მტევანს მოსჭრიდა და ამ ხელის მტევანს, როგორც ტროფეიას, მიაკრავდა საკუთარი სახლის გარე კედელზე, სადაც ეს **ჭელი** მზეზე და ქარში ბუნებრივად მუმიფიცირდებოდა. ასეთივე წეს-ჩვეულება იყო თუშეთშიც. ხევსურეთიდან ჩამოტანილი ერთი ასეთი **ჭელის** მუმიფიცირებულ ეგზემპლარის სურათს აქვე ვაქვეყნებთ (იხ. სურ.20).

როგორც მკითხველი სურათიდან დარწმუნდება მუმიფიცირებული ჭელი, ისევე როგორც ტაგრუცსა და ბეჭზე, სიბრტყითაა მოცემული. ამისივე მსგავსად ძველ საქართველოში გაშლილი ხელის მტევანი სიმტკიცის და უფლების ნიშნად იყო მიჩნეული. შემონახულია რამდენიმე ასეთი ქვა-ძეგლი, რომელზედაც გაშლილი ხელის მტევანია წარმოდგენილი. ქვა-ძეგლის ერთი შესანიშნავი ეგზემპლარი აღმოჩენილია წალკაში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის

[33] ასპ. ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით.

[34] M A K, I, 33, 38; MAK, I, ტაბ. XXVI (სურ. 105); ტაბულები VIII, XXV, XXVI.

[35] Fr. H a n č a r, Kaukasus-Luristan: E S A, IX, Minns volume, Helsinki, 93–94. H a n č a r-ი კობანის კოლექციის ჭელებს უდარებს ლურისტანში აღმოჩენილ ჭელს.



1

2



3

4

5



6

1, 3. ნაჭრელია
2. ჭალი
4. ახალმიყვარე
5. თეკეზის-ზეკოვა
6. კეთილის-კეთილანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს 1936 წ. ზაფხულში. ამჟამად ეს ძეგლი დაცულია საქართველოს მუზეუმში (იხ. სურ. 21). ეს ძეგლი ეკუთვნის შოთა რუსთაველის ეპოქას[36].

აგრეთვე კარგად ცნობილია ხელის გამოსახულებანი ქართულ მონუმენტალურ ძეგლებზე. საქართველოს მოგვიანო ხანის (XVI–XVIII სს.) საფლავის ქვებზე ჯვარი და ჭელი ერთადაა გამოსახული (მაგ. წალკაში: ს. ედდიქილისა, სასაფლაო „ხანთან"; დელიხარობაში და სხვა). უნდა აქვე აღინიშნოს, რომ ხელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული ქართული ენის მონაცემების მიხედვით. იგი–იარაღსაც, უფლებასაც, თანამდებობასაც და მრავალ სხვას აღნიშნავს. ამა თუ იმ სახით **ჭელი** უძველეს დროიდანაა დამოწმებული და მრავალ ხალხშია ცნობილი. ჩვენ მას ვხვდებით ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში. ვადასტურებთ მას ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურაში, ძველ ეგვიპტეში, ირანში[37], ალბანეთში[38].



სურ. 33. დაყენებული ნაჭრელა კბილა-მუზაყრათი

მეტად საყურადღებოა **ჭელის** გამოსახულება ხეთურ ხატოვან დამწერლობაში. აქ ის სხვადასხვა სახითაა მოცემული[39]: გაშლილი (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად), და თითებდახრილი (ასევე ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად). კარხემიშის ხატოვან წარწერაში, წარწერის ბოლო სტრიქონში 16 ხელის მტევანი და ადამიანის სამი სახეა გამოხატული. როგორც ფიქრობენ, ეს სახეები მცველ ღვთაებებისა უნდა იყოს (იხ. სურ. 22)[40].

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ხელის გაშლილი მტევნები სიმტკიცეს და უფლებას უნდა აღნიშნავდნენ, როგორც საშუალო საუკუნეების საქართველოს ქვა-ძეგლებზე აქვს ადგილი.

სპეციალურ ლიტერატურაში **ჭელის** გამოსახულების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. J. Bing-ის მიხედვით[41] **ჭელის** ვერტიკალური

[36] ძეგლის წარწერას ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა აქარაგმების გახსნით კითხულობს ასე: „საბელითა ღმრთისადთა, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელისა, ზაქარია, შალვა, ოსეიყმა, [ი]ვანესითა, ჯულაბაას მოჭირვებითა; სანობაას ძისა ინაასა ჭელითა, დაასუა ჭელი ესე ღმრთასა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგ ისი".
ამგვარი ქვა-ძეგლების პირველი აღმოჩენია პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი. შდრ: „ახალი სკოლისაკენ", 1924 წ., №22.

[37] G. W i l k e, Spiral-Mäander-keramik und Gefässmalerei, Mannus-Bibliothek 10, 1911, გვ. 228.

[38] Fr. N o p c s a, Albanien. Bauten, Geräte, Trachten Nordalbaniens. Brl. 1925, გვ. 65.

[39] B. Hrozny, Les inscriptions hittites hierogliphiques, livr. I, გვ. 45, 58, 60, 62–64, 111, 114.

[40] B. H r o z n y, Les inscriptions hittites hierogliphiques, livr. II, ტაბ. VII.

[41] I. B i n g, Germanische Religion der älteren Bronze-Zeit. Studien über Skandinavische Felszeichnungen: *M a n n u s*, Bd. VI, 1914, გვ. 156.

1

2

3

4



5



6

1. სკლატის რქაბაბახრიდი მარტუღელაა.
2. რქან მარტუღელანი.
3. ჯვარ-რქან მარტუღელაა.
4. სკლატის მარტუღელაი ღილაათ.
5. რქან მარტუღელაა.
6. სკლატის რქაბაბახრიდი მარტუღელაა.

გამოსახულება მზის კულტს უკავშირდება, სახელდობრ განთიადის მზეს. Fr.Hančar-ის აზრით ეს გამოსახულება ქალ-ღმერთის კომპლექსში უნდა შედიოდეს[42] ისევე, როგორც ამ კომპლექსში შედის ჯიქის გამოხატულება. ჩვენი მასალების მიხედვით ხელი, ერთის მხრით, მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულებისაა, ხოლო, მეორე, მხრით ძალისა და სიმტკიცის სიმბოლო.

ასევე ორნამენტის ძველებურ სახეებს ეკუთვნიან ხევსურული **ცოკოკაკა, კბილა, კუთხა, თეფშის ზურგა.** მათი ანალოგი მრავლად მოიპოვება სუმერეთში (იხ. სურ. 13)[43], ელამში[44], მიკენსა და ტროაში[45] (იხ. სურ. 23 და 24), აგრეთვე ამიერკავკასიის განათხარ მასალებში. ამათი სემანტიკა დადგენილი არ არის და მიუხედავად მრავალი თეორიის და დიდი ლიტერატურის არსებობისა საგანგებო განხილვას საჭიროებს.



სურ. 34. „რქანი".

საათანადო ლიტერატურაში დამაკმაყოფილებლადაა გადაწყვეტილი **მირგვალას** ორნამენტის საკითხი (იხ. ტაბ. IV). იგი სოლარულ ნიშნად, მზისა და ვარსკვლავთა გამოსახულებადაა მიჩნეული[46]. ხევსურეთში ეს ორნამენტი მრავალი სახითაა დამოწმებული. ზოგიერთი მათგანი „ჩაუწერელია", შეუსებლადაა მოცემული, ხოლო ზოგიერთი **ხატებით**, ხაზებით, **ხუთებით** და სხვათა ჩაწერილებით არის მოხატული. ერთი ასეთი **მირგვალა** ჩაწერილია გაურკვეველი ნახაზით. აქ **ჩაწერილი** (იხ. ტაბ. IV) შესდგება მრავალი ხაზისაგან, რომელთაც ერთი ამოსავალი წერტილი აქვთ. ამასთანავე ამავე წერტილიდან წრეხაზისაკენ წრე-ხაზამდე, გამოყვანილია გასასვლელი.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს თავისებურ ლაბირინტთან და რომ ჩვენი ნიმუში ამ ტიპის პრიმიტიულ სახეს უნდა წარმოადგენდეს[47].

---

[42] Fr. H a n č a r, Kaukasus-Luristan: ESA, IX, Minns volume, გვ. 94; შდრ. В. Б о г а е в с к и й, Мужское божество на Крите, *Яфетический сборник*, VI, გვ. 165–204. ამ აზრთან დაკავშირებით საყურადღებოა რაჭული ახალი წლის რიტუალში მონაწილე ხავსი, რომელსაც „დედოფლის ხელი" ეწოდება. შდრ. „ფატმას ხელის" ამულეტი (საქ. მუზ. კოლ. № 15–11/3).

[43] M. O p p e n h e i m, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

[44] Edm. P o t t i e r, L'art hittit, fasc. II, Paris, 1931, გვ. 16, 17, შდგ., 21; W. G e r t t e, op. cit. გვ. 1-14; И. М е щ а н и н о в, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, 40; XIV, 38; XVII, 2; IX, 30.

[45] D. F i m m e n, Die kretisch-Mykenische Kultur, Lpz.-Brl., გვ. 94.

[46] I. D é c h e l e t t e, Le culte du soleil aux temps préhistorique: *Revue Arhéologique* 1909, I, გვ. 305; Br. P l a e t s c h k e, დასახ. ნაშრომი, გვ. 55–57.

[47] შდრ. Ern. W e i d n e r, Zur babilonischen Eingeweideschau. Zugleich ein Beitrag zur Geschichte des Labyrinths, *Orientalische Studien*, Lpz. 1917, Bd. I, გვ. 191–198.



1

2

3

4

5

6

7

8

9

1. თათის ფსრეული
2. აკეშურია
3. ცალ-ცალკე აკეშურანი
4. თათის ფსრე
5. კენია
6. ცალ-ცალკე კენა.
7. აკეშურია
8. აკეშურანი
9. აკეშურანი

ლაბირინტის მკვეთრად გამოსახული სურათი ჩვენ მოგვეპოება სვანურ ორნამენტში (იხ. საქ. მუზ. ეთნოგრ. განყ. კოლ. № 16–31/3). გაუგებარი სახეა მოცემული ტაბ. VI, სურ. 1. აქ საკმაოდ რთული სახის ორნამენტია გამოყვანილი.



სურ. 35. „ჩოვის შიბაა“

კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო ხანამდე შემონახული იყო წრე-მირგვალაის მაგიური მნიშვნელობა. ჩვენ შემთხვევა გვქონდა წალკაში (ს. ედდიქილისა) დაგვედასტურებინა, რომ მოსახლეობაში ერთი ჯურა მათხოვრები დადიოდნენ, რომელთაც **საიებს** უწოდებდნენ და რომლებიც ძალას მიმართავდნენ თუ თხოვნით ვერას მიიღებდნენ. ამათი ძალადობისაგან თავის დასაცავად საკმარისი იყო წრე შემოეხაზათ მათ სადგომ ტერიტორიაზე, რომ ისინი ამ წრიდან ვეღარ გადმოვიდოდნენ.

სვანეთში ლახამულას თემში ჯგერაგ ბოგაშ-ისა და ხტალმიშ-ის გალავანში „ლასკარ“-ისათვის („ლასკარ“-ი ეწოდება მეზობელ მოსახლეების სადღეობო გაერთიანებას საერთო რიტუალის შესასრულებლად) მოწყობილია პურობის ჩასატარებლად ქვები წრედ. წრის საკულტო მნიშვნელობას ადასტურებს იმავე სვანეთში წმინდა ხეების („სუფ“) გარშემო შემოწყობილი



სურ. 36. „ორმაგ შიბაა“

1

2

3

4

5

6

I - 6. დახატული კაცი

ქვა-ფრეები. სვანეთშივე იყენებდნენ ავი თვალის საწინააღმდეგოდ მრგვალად მოწნულ არყის ტოტებს, რომელთაც ამ მიზნით ყანებში დაარჭობდნენ ხოლმე. ამ რგოლებს **ჩჩჩნალ**-ი ეწოდებოდა.

ამგვარივე რიტუალურ დანიშნულებას ამჟღავნებენ: **ვირუშდარ**-ი (წნელის რგოლებია; აკეთებდნენ საახალწლოდ–სვანეთის ზოგიერთ თემში–წვრილფეხა საქონლის გამრავლების მიზნით), **ვირვეედ**-ი (ბრინჯაოს რგოლი,–ეცერსა და ლახამულაში,–საკრალური საგანი, რომელსაც იყენებდნენ დაფიცებისა და გადაცემის დროს და ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ), **ჭადაშ ლიგუან**''-ი (მამაკაცების მიერ მამაკაცი მიცვალებულის დასაფლავებისას საფლავის გარშემო წრედ მდგომთა ტირილი).



სურ. 37. „ტყომრის შიბაი"

თვით ხევსურეთში **მარგალა**–წრის მაგიურ–ალეგორიული დანიშნულება შემდეგი მაგალითიდან მჟღავნდება.

ხევსურეთში **კუდიან წუსრა** (აღდგომის წინა ხუთშაბათს იყო) კუდიანებისა და ეშმაკების, ბოროტი ძალების თავშეყრილობის დღედ იყო მიჩნეული. ამ



სურ. 38. „საბეჭურის ვანემსვა"



სურ. 39. „საბეჭურის ვანემსვა"

1



2

3

4

5

6



7

1 - 7. ნიმუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისათვის ცრუმორწმუნე ხევსურს მართებდა განსაკუთრებული ზომიერების მიღება, რათა ბოროტ ძალებს მისთვის ზიანი არ მიეყენებია. სხვათა შორის **კუდიან წუხრას**-ს ცოდნიათ **მესმინაედ დაჯდომაა** ანუ **სმინაობა**.



სურ. 40. „წერის მხარათ ვანემსვა“

მესმინაედ დაჯდებოდა მამაკაცი სოფლის გარეთ, სადაც კუდიანებისა და ეშმაკების საკრებულო ეგულებოდა. **მესმინაედ ჯდომის** მიზანი იყო–მოესმინა კუდიანების და ეშმაკების საუბარი: ისინი იმ ღამით ილაპარაკებდნენ, თუ ვის რა ზარალი მიეცემა, ვინ გარდაიცვლება და სხვ.



სურ. 41. „ვანემსვა“



სურ. 42. „ვანემსვა“



სურ. 43. „შატაა“

იმისათვის, რომ მესმინაეს მათი საუბარი მოესმინა, საჭირო იყო მას კუდიანებისა და ეშმაკების არ შეშინებოდა, ადგილიდან არ დაძრულიყო და წრე შემოევლო თავის გარშემო მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI



1

2



3

4

5

6

7

8

1. შამაყრილ ოთხთუალანი
2. ოთხთუალანი
3. მწკეცრა-დაკბილულანი
4. სკლიატის დაკბილულანი
5. გაკვიდულ კვერანი
6. ოთხკუთხა გაკვიდულნი
7, 8. ცხრათუალანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოგვცემენ, რომ არხოტიონი „ჩოჩაური“, რომელსაც მეტ სახელად „კრუა“ ეწოდებოდა, „მესმინაედ დამჯდარიყო“ და თავის მესმინაედ ყოფნის შემთხვევას ასე უამბობდა ხალხს[48]: „მე რომ წავედი (სმინაობაში) თან წავიღე ერთი თითისტარი და ნახშირი. დავჯექი და თითის ტარით გარშემო დიდი წრე შემოვიხაზე და ჩემს გარშემო ნახშირიც გადავყარე. მერე მოვიდნენ ეშმაკები და დაიწყეს ლაპარაკი. ჩემზე ამბობდნენ: ის რა გდია იქ, რომ შავად არის; ის „ყუნჯია“ (კუნძი), მიდი და გადააგორეო ერთი მეორეს ეუბნებოდნენ. წამოვიდნენ ჩემს გადასაგორებლად, მაგრამ მე გავმაგრდი და არ გავინძერი. „მოვიდნენ ახლო და შემოხაზულს და ნახშირს ვეღარ გადმოვიდნენ. მერე თქვეს–ზვავს წავაღებინოთო. გამოუშვეს დიდი ზვავი, მაგრამ მე არ გავინძერი და ზვავი შემოხაზულს არ გამოცდათ. შემდეგ გამოუშვეს საშინელი წყალი და ამასაც გადაურჩი. ბომინდომეს შეეშა, მაგრამ მაინც გავმაგრდი და ვერაფერი დამაკლესო. მერე დაიწყეს ლაპარაკი, ვინ როგორი კაცი იყო, ვის რა მოელოდა, ვინ რამდენს წელიწადს იცოცხლებდა, ვინ ზვავით მოკვდებოდა, ვინ მტრის ხელით და ვინ თავის დღით. . . ბოლოს სთქვეს ჩემზედ: ადგეს კრუა და შინ წავიდესო, მე მე შინოდა, ვერ ავდექი და ვერ წამოვედი. ის კი ვიცოდი, რომ ეშმაკები იმ მოხაზულის შიგნით ვერ შემოვიდოდნენ და იქა არ მე შინოდა და ადგომისა კი მე შინოდა, რადგან იქ, წრეხაზის გარეთ ძალიან ბევრი ეშმაკები იყვნენო“[49].



სურ. 44. „შატაა“ სურ. 45. „შატაა“

რქა-დანრნილნი ხევსურულ ორნამენტში მრავალი სახითაა მოცემული. აქ ანსხვავებენ **ხეკსურული რქას**, **კბილას რქას** და **მგზავრაის რქას** (იხ. სურ. 34). გარდა ამისა არის აგრეთვე **რქიან მარტუელია** (ტაბ. VII) და **რქიან ყაწია**. ასევე ნაირნაირი სახისაა **აკეშურა**-ც (ტაბ. VIII).

ამ ორნამენტებიდან **რქებს** ზოგიერთის აზრით კავშირი აქვს სამხრეთ რუსეთის რუნებთან[50] და თურქულ-მონღოლურ ორნამენტთან[51]. მაგრამ არც

[48] ბომყავს ალ. ოჩიაურის ჩანაწერი (ენიმკი-ს ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი).
[49] ხელნაწერი: „ხევსურული დღეობები“, რეგიული 41, გვ. 485–87.
[50] Br. P l a e t s c h k e, Die Tschetschenen, გვ. 54–55; В. П о д ж и д а е в, Горцы Северного Кавказа, Москва–Ленинград, 1926.
[51] Д. П е т р и, Орнамент кудинских бурят, *Сборник Музея Антропологии и Этнографии*, ტ. V, ნაკვ. I, Пр., 1918, გვ. 237.



1. სკლატის კეთილა
2. სკლატის მარგალიტა
3. სკლატის მარგალიტა მარგალიტით
4., 7. კეერანა
5. შიბაით დაკეთებული
6, 8. სკლატის კეთილი თითოეულით მრავალკუთხა
9, 10. მარგალიტა ხატულაით
11. გრეხილაით დაკეთებული

ერთი და არც მეორე შეხედულება არ ითვალისწინებს ძველი წინააღმოსავლეთის ორნამენტის ამ ტიპის მასალას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურეთში ამ სახის ორნამენტის ერთ-ერთ ვარიანტს სპეციალური სახელი „ხევსურული" ეწოდება. მეორე მხრით საგულისხმოა ისიც, რომ ორნამენტის ეს სახე ჩვენს მასალებში ხეზე მოცემული არ არის. უმთავრესად ის ქსოვილზეა დამოწმებული და მცირე რაოდენობით ლითონზედაც მოიპოვება.

სურ. 46.
„შაბაის ვეკერდი"

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხევსურულ ორნამენტებს ბევრი შეხვედრა აქვს შემადგენელი ელემენტების მიხედვით ქსოვილში და ხეზე, ხოლო ნაკლები ლითონზე. ქსოვილის ორნამენტის თორმეტი სახიდან, თორმეტივე მოიპოვება ხეზე, ხოლო ლითონზე ეკვსია მოცემული (იხ. შედარებითი ტიპოლოგია სურ. 25).

აქ მოცემულ ტაბულაზე (იხ. ტაბ. IX) ანთროპომორფული სახეები საგულისხმო შეხვედრებს იძლევიან. ამათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ანთროპომორფული სახეები როგორც ქსოვილზე, ისე ხეზე თავის პირვანდელ, პრიმიტიულ ფორმამდეა დაყვანილი. მიუხედავად პრიმიტიულობისა მათში გამოირჩევიან ადორანტებისა, მოცეკვავებისა და სხვათა სახეები (ტაბ. IX).

*

* *

ხეზე ორნამენტის ამოჭრას ხევსურულად **დაჭრელება** ეწოდება. დასაჭრელებლად იხმარება შემდეგი იარაღები: **ურსა** (პატარა დანა), **დანა, დაშნა-ხანჯარი** და **ხოწი**. არსებობს ორნამენტის ამოჭრის სამი სახე: **ამოღარვით, ნუფკვით** და **ცერად ჩაჭრით** (იხ. სურ. 26,27 და ტაბ. VI და X). **ნუფკურად** ამოღებულს **დანაათ ნაფკუს** ეტყვიან. **ცერად ჩაჭრილი** ირიბად ამოღარულია. ამის ნიმუშს სოლისებური ორნამენტები წარმოადგენენ (იხ. ტაბ. X). ამ ორნამენტების ამოჭრის ტექნიკა ქვაზე ლურსმული წარწერის ნიშნების ამოჭრის ტექნიკის მსგავსია.

დაჭრელება ხეზე შამაკაცის საქმეა, ჩვეულებრივად აჭრელებენ ზამთარში. არიან ამ ხელობის განთქმული ოსტატები. ამზადებენ ორნამენტებით შემკულს შემდეგ საგნებს: „ტაგრუცებს" (იხ. სურ. 4), „სახრელებს", „კოვზ-ჭიტურებს", „სკამ-ლოგინებს", „ფანდურებს", „გალიებს", „ფხინებს", „კართანულებს", „კარადებს" და სხვა. დასაჭრელებელ მასალად იყენებენ ფიჭვს, ნაძვს და სხვ.

ხევსურული ლითონის ორნამენტი მზადდება ორი წესით:

1. **ამოკვერვით** და **ჩამოსხმით.**

ორნამენტის **ამოკვერვით** დამზადება საჭიროებს სათანადო **ყალიბს; კვერას** და **ლითონს. ლითონზე** უნდა–**ამოიკვერყოს** ესა თუ ის სახე. წინასწარ დამზადებული უნდა იყოს ბრინჯაოს (უპირატესად) **ყალიბი. ყალიბში**



1

2

3

4



5



6

1. მძივშამასვეულა
2, 4, 6. ბორვლადება
3. ღილზე მაკრული ქუსრემა
5. მძივ-ღილ კვერილანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყვანილია ორნამენტის ესა თუ ის სახე; მაგ. **ყვარი, კბილაი, ყაწიმი, საფარაგი, ალი** და სხვა. ასეთ ყალიბზე დაედება **თეგით** ან მაკრატლით გამოჭრილი თხელი ვერცხლის (ჩვეულებრივად) ფირფიტა–**ლითონი, კვერას** შემწეობით **ლითონი** ისე ჩაიზნიქება, რომ **ყალიბში** გამოყვანილი ორნამენტის სახეს მიიღებს, მასზე ყალიბში გამოყვანილი სახე **ამოიკვერება.** ამოკვერვის პროცესის გასაადვილებლად იხმარება ტყვიის ფირფიტა (იხ. სურ. 28 და 29). ასე ცივი კვერვით დამზადებულ ორნამენტს შემდეგ უკეთდება ორნამენტის ზურგზე **ალით** დაკავშირებული **ენა,** რომლითაც ორნამენტი გამოებმის **საფარაგის** და **ყელსაკიდის შალას,** ქამრის **საყრელს** და სხვა.



სურ. 47. „მაშწკალაკვება"

შედარებით რთულ მუშაობას მოითხოვს ორნამენტის **ჩამოსხმით** დამზადება.

უპირველეს ყოვლისა ეს საჭიროებს „ოქრომჭედლის" სახელოსნოს, საჭიროებს „ქურნას" (ქურა), „საბრეველს", ლითონის სადნობ „კოჭობას"[52], „ბორწკალს", „საყალიბოს" (ხისას), „საცრელ ლამს", „სათხრელებს" და სხვა. ჩამომსხმელს ხელთ უნდა ჰქონდეს ჩამოსასხმელი სახის ნიმუში. ის, ვიდრე ლითონის გადნობას შეუდგებოდა, ხის საყალიბოში მოთავსებულ ლამში ჩამოსასხმელი სახის ყალიბს ამზადებდა. შემდეგ ლითონს აღნობდა და საყალიბოს ყელით გამდნარ ლითონს ყალიბში ასხამდა. მას უკან, რაც ლითონი ყალიბში გაცივდებოდა, საყალიბოს ხსნიდა და ლამიდან ჩამოსხმული ორნამენტი გამოიჭონდა. ჩამოსხმული ორნამენტი საჭიროებდა გასუფთავებას, ზედმეტი ლითონის ჩამოცლას და ორნამენტის დეტალების გამომეღავნებას. ეს პროცედურები **სათხრელების** შემწეობით სრულდებოდა. ხევსურს ამ საჭიროებისათვის სხვადასხვა სახის სათხრელიჰქონდა გამოჭენებული: წვრილი, მსხვილი, ოთხკუთხედი და პირთხელი (იხ. სურ. 30 და 31).



სურ. 48. „მამხეკვერა„ და „დამხეკვერა"

ლითონის ორნამენტის დამზადებას ხევსურები აწარმოებდნენ შემდეგ სოფლებში: ჭიე'ში, ბაცალიგოში, ღულ'ში და ბარისახოში.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ სოციალურ დიფერენციაციაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხევსურეთში რევოლუციამდე, მატერიალურად ყველაზე უფრო

[52] აღსანიშნავია, რომ ხევსურეთში „ქურნა" და „კოჭობას" გარდა თიხისაგან მზოლოდ „ღომელის" კეცი მზადდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV



1

2

3

4

5

6

1. ცალად ორკბა ქუჩუმანი.
2. კუთხა ცალკბა ქუჩუმაითი.
3. სკლაბის კეერი თითოიბით მძიგმაკრული.
4. ბორკვლიანი მძიგშამაყრილი.
5. ორკბა ქუჩუმი.
6. კუთხა ცალკბა ქუჩუმაითი.

შემძღვ ლითონის ორნამენტების დამამზადებლები იგივე იარაღის მკეთებლები იყვნენ. ისინი მეტწილად ამ ხელობით საქმიანობდნენ და რამდენიმედ ძირწყვეტილი იყვნენ მესაქონლეობასა და მიწისმოქმედებისაგან. თუმცა ისინი თავიანთ ნაწარმს ამზადებდნენ არა ბაზარზე გასატანად, არამედ დაკვეთით, მაგრამ ამ პირობებშიც მოხერხებულად სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით და მდიდრდებოდნენ.



სურ. 49. „წერის მხარეა"

ხევსურეთში შემდეგი ლითონის ორნამენტიანი საგნები მზადდებოდა: „საფარაგეები", „ფილსადებეები", „სამაჯურები", „საყურეები", „ბეჭდები", „ამზინტები", „სამხარ-იღლიოები", ხმლისა და დაშნის ქარქაშის სამკაულები და სხვა.

ხევსურული ნაქსოვი ორნამენტი გამოჰყავთ ხოლმე: 1. **შილაი**-ზე (ხამზე) და 2. **ტოლ**-ზე (შალის ნაქსოვზე). ამ უკანასკნელში შედის, როგორც საკოსტუმე, ისე სატომრე შალი.

შილაი ბამბის ნაქსოვია. წინათ, როგორც ხევსურები ამბობენ, შილაი იქსოვებოდა ხევსურეთში. ამის საბუთს რამდენიმედ წარმოადგენს ზოგიერთი მიწის ზემოთ დგმული „აკალდამები"-ს ინვენტარი. აქ ჩვენ ვხედებით რამდენიმე ეგ ზემპლარს ბამბის ნაქსოვიდან დამზადებულ ბავშვის პერანგისას (იხ. საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ. № 6–38/7–8).

შილაი წმინდად ნაქსოვია, მას თანაბარი **დესთები** აქვს. დესთი ეწოდება წყვილი მისასთველი და სასთველი ძაფებისაგან გამოყვანილ თვალს.

იმის გამო, რომ შილაის თანაბარი დესთები აქვს, მასზე **ქარდა**[53] გაადგილებულია. ხევსურული ორნამენტის ურთულესი სახეები შილაი-ზეა ხოლმე ამოქარგული. ტოლს ჩვეულებრივად სასთველი „თხორი" ბევრი აქვს, მისასთველი („საზედაო") მცირე. შილა-ს კი სასთველი და მისასთველი თანაბარი აქვს. შილაი-ზე ამოიქარგება ხევსურული ორნამენტის ძირითადი სახე– „ნაჭრელაი". „ნაჭრელაი იკერება კბილაით და სახეები უკეთდება მგზავრაით" (იხ. სურათი 32 და 33)[54].

---

[53] „ნაქარდი" აღნიშნავს „ნაქარგს", შდრ. ლიტერატურული „არნადი" ხევსურულ– „არნაგს"; ს ა ბ ა ს აქვს დამოწმებული „არნაბი". იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელი, ე ნ ი მ კ ი-ს მ ო ა მ ბ ე, ტ. I, გვ. 257, შენ. 2.

[54] შდრ. Th. Dillmont, Encyclopédie des ouvrages de dames, Dornach, გვ. 16, სურ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილაი-ზე ორნამენტის ამოფვანის დროს პირველად დასთვლიან შილაის დესთებს და შემდეგ „დააფენებენ ნაჭრელას". აუცილებლად აითვლიან „ენტ დესტს" და არა „ლუჭყ"-ს. გადათვლილ დესტებს შუაზე გაყოფენ და შუა დესთიდან იწყებენ სათანადო სახის გამოფვანას „მგზავრაი"-თ (იხ. სურ. 33). „მგზავრაი" ირიბად გაფვანილი კბილაების ნაჭარგია (იხ. სურ. 33).



სურ. 50. „ცოკოკავა"

სურ. 51. „ეუდიქცეულა"

სურ. 52. ნემსები შეთან-ადაიდან, de Morgan-ით

ჩვეულებრივად ნაჭრელა იყო: 1 „აბაზიანი", – 25 ამოგდებისა ანუ 25 დესთი. ასეთი დაკვეთის დროს ჩვეულებრივად იაფფასიანი სახე გამოდიოდა „ოთხთვალიანა"; 2. „სამაბაზიანი" –65 ამოგდებისა, გამოდიოდა

„ცხრათვალიანა"; 3. „ოთხაბაზიანი"–ოთხმოცდა ერთი, ოთხმოცდა სამი და ოთხმოცდა ხუთი ამაგდებისა, აქ „მრავალთვალა" გამოდის და 4. „მანათინი" – ანუ „ხუთოც ამოგდებისა" (სინამდვილეში ასერთი, ასსამი, ასხუთისა)–ამ შემთხვევაში მდიდარი ორნამენტი გამოდიოდა. ამ უკანასკნელი წესით იქარგებოდა სწორფერისათვის განკუთვნილი ფარაგი. სხვათა შორის ნაკრელაით გამოყავდათ: „კბილაის რქა", „ხევსურული რქა", „მგზავრაის რქა", „პეპელა-კბილაი" დასხვა (იხ. სურ. 34). მგზავრაის რქა ხევსურული ორნამენტის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ის უნდა მოიხაროს „ხუთზე ან შვიდზე" (იხ. სურ. 34). ნაკრელაით ორნამენტის გამოყენება შალაის გარდა შეიძლება შალზედაც, როდესაც ის კარგი ნაქსოვია („ცალპირ ტოლზე").

სახელსაქმე იარაღები



სურ. 53
„საქარდაკი" იარაღი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შალის ქსელვა ხევსურეთში მაღალ დონეზეა აყვანილი. საქსელავ დაზგაზე სამგვარი შალი მზადდება: „ცალ-პირა", „ორ-პირა" და „წაღმ-უკუღმა". თითოეული ამათგანის დამზადება სასთველის და მისასთველის რაოდენობაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა კარგი ღირსების შალის მილება დამოკიდებულია ძაფის ხარისხისაგან.

„ტოლზე ამოქარდვა" „შიბა"-ის წესით სრულდება. ამ წესით მუშაობის დროს მკერავს თვალის ხაზი უნდა ჰქონდეს, დესთების გამოთვლას აქ იშვიათ შემთხვევაში აქვს ადგილი.

შიბაი სამი სახისაა:

1. **ჩოჯის შიბაი** (იხ. სურ. 35). კეთდება ასე: „მარჯვნიი ტოლის დაკერა, მარცხნიი ნემსით ძაფის ამოყრა".

2. **ორმაგ-შიბაი**–ორმაგად გაკეთებულ ჩოჯის შიბას ეწოდება (იხ. სურ. 36).

3. **ტომრის შიბაი**–ითვლება მდარედ, კეთდება ისე, რომ ამობურცული და მსხვილი გამოდის; ჩოჯის შიბაკი ბრტყელია (იხ. სურ. 37).

ზემოთ აღწერილი ორნამენტის დამზადების ორი ძირითადი სახის გარდა ხევსურეთში იციან ორნამენტის გამოყენა დალიანდაგებით, რასაც აქ „განემსვა" ეწოდება. განემსვა შეიძლება შალაზე, აგრეთვე თუშეა ი შვიათად, ტოლზე. ტექნიკის მხრით აქ შემდეგი სახეები გვაქვს მოცემული:

1. **საბეჭურის განემსვა**–ხუთ დესთს გამოითვლის, მეექვსეს ამოიღებს და ერთ დესთზე გააყოლებს (იხ. სურ. 38 და 39).

2. **წერის მსგავით განემსვა**–უმთავრესად საფარაგო შალაზე, აგრეთვე ქოქლის ბოლოზე და მამაკაცის პერანგის საბეჭურზე (იხ. სურ. 40) კეთდება.

3. **განეშსა**– „თხორის აღება, თხორის ამაყრა", შალვრის („ნიფხავის"–„მუქასარის გადანაყლის" და „ჩოქლოს" ბოლოს მონეშსა (იხ. სურ. 41 და 42).

ხევსურეთში მიღებულია აგრეთვე „ს კ ლ ა ტ ი ს" ორნამენტი. სრულდება აპლიკაციის წესით და „ამოფანჯვრით", ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ფონზე სახე გამოჭვანილია ამოკრილი ნაჭრის დაკერებით (იხ. საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 16–77). როგორც საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციის მიხედვით ირკვევა წარსულში აპლიკაცია ხევსურეთში ისევე იყო გავრცელებული როგორც ქარდა და განეშსა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო პარალელს რეტენუ-ელის და ხევსურის აპლიკაციანი ტანსაცმელები წარმოადგენენ (ამაზე ზემოთ, გვ. 17–18, იხ. სურ. 17 და საქ. მუზ. ეთნოგრ. განყ. კოლექცია № 16–77/3).

ხევსურული ორნამენტის დამზადების თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს კიდევ შემდეგი სახეები:

1. **შატაი**–კეთდება თვლებით (იხ. სურ. 43, 44 და 45). გადაატარებენ სადიაცოს ნაფთულაზე ან თათის წვერზე.

2. **შაბის გვერდაი**–კეთდება ნახევარ კბილაით (იხ. სურ. 46). გადაატარებენ ნაფთულაზე ან თათის წვერზე.

3. **მომწკლაკვაბაი**–კეთდება კილოთი (იხ. სურ. 47), იხმარება ტოლის წყრულზე (ნაპირზე).

4. **მამხვევრა და დამხვევრა.** ა) „მ ა მ ხ ვ ე ვ რ ა"–აქვს „სასხიპი" და „მ ა მ ხ ვ ე ვ რ ა ვ ი" (იხ. სურ. 48), იხმარება დიაცების საკისურის და ბავშვების „თათის" თითისწვერების დასაკერებლად. ბ) „დ ა მ ხ ვ ე ვ რ ა"– სკლატის ნაფთულების დამხვევრაა (იხ. სურ. 48).

5. **წერის მხარაი**–კეთდება სამკუთხაით (იხ. სურ. 49).

6. **ციკოკაკა**–მარტუფელაით ნაჭარდი (იხ. სურ. 50).

7. **კუდოქიკულაი**–ჩიგინით ნაჭარდი (იხ. სურ. 51).

მძივებით გაკეთებულ ორნამენტების შესრულებას აქ არ ვეხებით, რადგანაც ტაბულებზე (იხ. ტაბ. XII, XIII და XIV) გარკვევით ჩანს ამ სახის ორნამენტების შესრულების ტექნიკა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ XII ტაბულაზე მოცემული „სკლატის კუთხაი თითოობით მძივმაკრულის" დანიშნულება ხევსურეთში თავისებურია. ამგვარ კუთხაის ჩვეულებრივად კერავს ხევსური ქალი თავის **სწორფერისათვის** (მამაკაცისათვის). სწორფერი–მამაკაცი მას თავის პერანგზე ფარაგის მახლობლად ატარებს. ჩვეულებრივად ასე ხდება, რომ ხევსურს, რამდენი სწორფერიც ჰყავს, იმდენი **კუთხაი** აქვს პერანგის გაულზე მიმაგრებული და რაც მეტი ასეთი **კუთხაი** აქვს მას, იმდენად ეს მისთვის სასახელოა და საზოგადოებაშიც მეტი პატივის მომნიჭებელი.

ქსოვილის ორნამენტის დასამზადებლად ხევსურეთში შემდეგი იარაღი და მასალაა საჭირო: „ნემსი" (შდრ. განათხარი ნემსები, სურ. 52), „სანემსაი", „სააბრეშუმე ბალიაი", „საკერავ-სათითაი", „მაქცის ჩხირნი" (იხ. სურ. 53), „აბრეშუმი ფერად-ფერადი", „სკლატი" (წითელი, ყვითელი, სისვი, ლურჯი, შავი), „ნაჭერი" (შალის ძაფი)–უმთავრესად შიბებისათვის, „ხაითი"–„დაგრეხილი აბრეშუმი" (ხმარობენ შიბაში), „სირმა"-„გრეხილი", „დაწნილაი", „ბრტყელი" და „თათრული". გარდა ამისა მასალად საჭიროა უკვე ჩვენთვის ნაცნობი „შილა" და „ტოლი". ქსოვილის ორნამენტებით ხევსურები ამკობენ: „ფარაგს", „მანდილს", „ქუდს", „ქოქლუსს", „ჩოჯას", „პერანგს",

„ნიფხავს“ (შარვალი), „თათებს“, „საფუხრეებს“, „წინდებს“, „სათაფურებს“, „ჯანჭიქის სახვევებს“, „ბაჭიჭებს“, „საწვივეებს“ და სხვა. (იხ. სურ. 1–3).

*

* *

აქ მოცემული მასალა ძირითადად შეგროვილია ხევსურეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს 1929 წელს. ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი შეგროვდა მაშინვე, განსაკუთრებით ბუდე ხევსურეთის სოფლებში (იხ. კარტოგრამა, აქვე). ერთგან ჩაწერილ სახელწოდებებს ვაჯერებდით სხვა სოფლებში და ახალ სახეებსა და ტექნიკას ვიკვლევდით. განსაკუთრებით მდიდარი მასალა შევაგროვეთ სს. ბარისახოში, ბისო-ხახმატსა და უკანა-ხადუში, რომელთა ქალები ქსოვილი ორნამენტის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან. საკოლექციო მასალაც შეძენილ იქნა იმავე ექსპედიციის მუშაობის დროს.

მას შემდეგ ტფილისში ხევსურეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ხევსურებთან ვამოწმებდით შეგროვილ მასალას და ახალსაც ვიწერდით. ამავე დროს ვიკვლევდით საქართველოს მუზეუმში ძველად შემოსულ ორნამენტებიან ხის, ლითონისა და ქსოვილის კოლექციებს.

ამ მუშაობაში დახმარება გაგვიწიეს **მ. ბალიაურმა, ლ. ბალიაურმა** და **ნ. ოჩიაურმა.** ტაბულებზე მოცემული ორნამენტების სურათები დამზადებულია საქ. მუზ. ეთნოგრაფიული განყ ორიგინალების მიხედვით მხატვარ **რ. შმერლინგის** მიერ, ხოლო ტექსტის სურათები მხატვარ **რ. შმერლინგის** და მხატვარ **ნ. ბრაილაშვილის** მიერ. ყველა ზემოთ დასახელებულ პირს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ორნამენტების ფერებში დაბეჭდა სამწუხაროდ არ მოხერხდა.

ტაბულებზე მასალა შემდეგი თანრიგითაა მოცემული: ხის ორნამენტი, ქსოვილის ორნამენტი და ლითონის ორნამენტი. ტაბულების მიხედვით ორნამენტების ელემენტების სახელწოდებათა ნუსხა აქვე ცალკეა მოცემული.

ეს ნაშრომი პირველი ნაკვეთია ენიმკი-ს მიერ განზრახული სერიული გამოცემისა, რომელსაც „ქართული ხალხური ორნამენტი“ ეწოდება.

1939 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ქართული ხალხური ორნამენტის პირველი წიგნი გამოვიდა, კარგა ხანმა განვლო[1]. დამზადებულია და გამოცემას ელის სვანური ორნამენტი, ლაზური ორნამენტი, რომლებიც ამავე სერიაში უნდა გამოქვეყნდეს. ამჟამად ამ სერიის მეორე ტომად ვბეჭდავთ დაჩითული ჭრელების ნიმუშებს*.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხალხური ფიქრობა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის, ეჭვშიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ქსოვილების დამზადების საქმე საქართველოში მაღალ დონეზე იდგა[2]. ამაზე მჭერმეტყველურად მიუთითებენ ქსოვილების ნიმუშები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დროს იქნენ აღმოჩენილი. საფიქრებელია, რომ სახიანი ქსოვილების ტრადიციაც შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ქსოვილების ამ რიგს განეკუთვნება **დაჩითული ჭრელებიც** ანუ დაჩითული ორნამენტი.

სურ. 1 ხევსურული ორნამენტის ნიმუშები ხეზე ლითონზე

ხელით წარმოებული ქართული დაჩითვის ტექნიკის მაღალი განვითარების პარალელურად ხალხში შემონახულია მეტად მარტივი წესები.

საქართველოს ერთ-ერთ რაიონში, ბაზალეთში, ბოლო ხანამდე შემონახული იყო **სამღებრის ქვები**, ქსოვილების საჩითავი კენჭები, რომლებსაც **ჭითის** სახელწოდების მქონე ბამბის ქსოვილზე ჭრელის გამოსაყენებად ხმარობდნენ. საჩითავ კენჭებს ქსოვილში გამოკრავდნენ, ზედ **ტყლაპებს** (სხვა ქსოვილის ნაჭრებს) შემოაკრავდნენ, ძაფებს მოუჭერდნენ და სალებავში ჩაუშვებდნენ. მთელი ქსოვილი, მათ შორის **ტყლაპებგადაკრული** ადგილებიც შეიღებებოდა, ხოლო კენჭგამოკრული ნაწილები კი შეუღებავი დარჩებოდა. ანალოგიური წესით ქსოვილის დასავლეთ საქართველოში (ცაგერის რაიონი) დაჩითვას **ჭრელის ძოკვა** ეწოდებოდა.

[1] **ჯ. ბარდაველიძე** და **გ. ჩიტაია**, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბილისი, 1939 წ. ტექსტი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამ ტომში იბეჭდება ტექსტის ქართული ვარიანტი (იხ. გვ. 161—215).

* აღნიშნული ნაშრომი არ გამოქვეყნებულა (თ.ც.).

[2] **იკ. ჯავახიშვილი**, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III, თბილისი, 1958 წ.; **გ. ჩიტაია**, წინასიტყვაობა წიგნისათვის, **ი. ციციშვილი**, მასალები ქართული ჩაცმულობისათვის, თბილისი, 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რიგ ქალაქებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგანგებო საჩითავი სახელოსნოები არსებობდა, სადაც ქსოვილების დაჩითვა სპეციალური საჩითავი ყალიბებით წარმოებდა.

სურ. 2. საჩითავები (ყალიბები)

საჩითავი ყალიბები მზადდებოდა ხუროების მიერ, რომელთაც ხაზოვანი მოჭრილებით, დახრილი ჩაჭრის წესით ან რელიეფის ამოკვეთით გამოყვდათ ხეზე ნაირსახოვანი ჩუქურთმა. ხეზე ორნამენტის ამოჭრას ხალხში **დაჭრელება** ეწოდება (სურ. 1). არსებობს ორნამენტის ამოჭრის სამი სახე: „ამოღარვით", „ნუფაკვით" და „ცერადჩაჭრით". ცერადჩაჭრის წესით მზადდებოდა ის **საჭრელებლები**, რომელთაც იყენებდნენ რიტუალური პურების შესამკობად მზის, მთვარის, კელისა და სხვათა სახეების გამოსაყვანად[3]. სამუშაო იარაღად გამოყენებული იყო: ურსა (დანა), დაშნა-ხანჯარი, ხონი და საჭრეთლები. მასალად მეტწილად პანტას, მაყალოს, ბზას და სხვა მკვრივი ჯიშის მცენარეს. ასეთ მასალაზე მუშაობა ხით ხუროსაგან მოითხოვდა დიდ ხელოვნებას, გემოვნებასა და სიმარჯვეს.

საჩითავი ყალიბები (სურ. 2) სხვადასხვა დანიშნულებისა იყო: ერთი წყება სახიანი ქსოვილის არშიისათვის იყო განკუთვნილი, მეორე წყება სახის გამოსაყვანად, ზოგი კი ქსოვილის სახის კონტურის აღსაბეჭდად, რაც ცვი ღებვის წესით სრულდებოდა. ამ შემთხვევაში ყალიბის სათანადო ნაწილი სანთლით ან საგანგებო საცხით იფარებოდა ხოლმე. რთული და მრავალფეროვანი სახის საბეჭდავად მზადდებოდა გამოსაყვანი ფერების რაოდენობის შესაბამისი საჩითავები (ორი, სამი, ოთხი და მეტი).

საჩითავი ყალიბების საუკეთესო ოსტატებად ითვლებოდნენ ლაზები, რომლებიც ძველთადანვე იყენენ სახელგანთქმული ხით ხუროობით. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ქართული საჩითავების ჩუქურთმის ძირითადი მოტივები და მათი შესრულების ტექნიკა უახლოეს კავშირშია ლაზურ ჩუქურთმასთან, რომელიც გამოირჩევა რელიეფური კვეთილობის ოსტატობით, ნატიფად დამუშავებული მცენარეული და ცხოველების სახეებითა და რთული კომპოზიციებით.

დაჩითულ ქსოვილებს ფართო გამოყენება ჰქონდა ხალხის ყოფაში. მათ იყენებდნენ ქალებისა და ბავშვების ტანსაცმელად, მუთაქის, საბნებისა და ბალიშების პირებად, ბოხჩებად, სუფრებად, ხელსახოცებად, ფარდებად და სხვა სოყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებად. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ნაირსახოვანი სიუჟეტებით შემკული ლურჯი სუფრები, რომელთაც ხმარობდნენ დღეობის, საქორწინო ნადიმებისა და სხვადასხვა წვეულების დროს.

[3] ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, გვ. 12–14.





სურ. 3. ქართული ქსოვილის ორნამენტები:
ყვავილოვანი, მცენარეული და მცენარეულ-გეომეტრიული მოტივები

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სახიანი ქსოვილის ერთ-ერთ უძველეს ნაშთად საქართველოში შეიძლება მივიჩნიოთ მცხეთაში, ბაგინეთაზე აღმოჩენილი კუბოკრული ქსოვილის ფრაგმენტი, რომელზედაც თანმიმდევრულად გამოფენილია ჯადოკაული ჯარები.

ქართული სახიანი ქსოვილის შესწავლისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი წიგნების ყდებზე შემონახული ქსოვილების ფრაგმენტები. მეტ წილად ამ წიგნების ყდებზე სარჩულად დაჩითული ქსოვილია გამოყენებული. მათ შორისაა X, XI, XII, XV, XVII და XVIII საუკუნის ხელნაწერები.

აღნიშნულ ხელნაწერთა ყდების სარჩულად გამოყენებულ დაჩითულ ქსოვილებზე სხვადასხვა გვარი ‡რელაა გამოყენილი. აქ წარმოდგენილია ნაირნაირი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი და მრავალფეროვანი მხატვრული სახე. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს მხატვრულ-დეკორატიული ქსოვილების დამზადების ხანგრძლივ ტრადიციაზე საქართველოში (სურ. 3).

ამის შესახებ ნივთიერ ძეგლებთან ერთად ლიტერატურული მონაცემებიც არსებობს. ასე, მაგ. მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების თბილისის შესახებ გიულდენშტეტი მოგვითხრობს, რომ თბილისელები განსაკუთრებით ბამბის ქსოვილების დამუშავებას ეტანებიან, რომ აქ სხვა ხელოსნებთან ერთად ფეიქრები და მჩითავები არიანო".

XVII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარზე მყოფი რუსი ელჩები დარბაზობის აღწერილობისას აღნიშნავენ, რომ კარისკაცებსა და ნადიმის რიგით წევრებს დაჩითული სუფრები გაუშალეს (სურ. 4–1; 5). ასევითვე ცნობა სხვა შემთხვევაშიც გვხვდება, როცა თეიმურაზ მეფის კარზე მისული რუსი ელჩებისათვის ნადიმი გაუმართავთ და კარის კაცებისათვის დაჩითული სუფრები გაუშლიათ.

ქართულ ისტორიულ საბუთებში არა ერთგზისაა მოხსენებული მჩითავი, ვითარცა სახიანი ქსოვილის ხელოსანი. ასე, მაგ. თამარ ბატონიშვილის 1785 წ. მოკითხვის წიგნებში ნახსენებია „მუხათელი მჩითავი", „მჩითავის შვილი" და ა.შ. ამგვარივე მონაცემებით ირკვევა, რომ მარტო თბილისში 1838 წ. მჩითავთა სახელოსნოს რაოდენობა 11 –ს აღწევდა.

XVIII საუკუნის ქართულ საბუთებში მოხსენებული ნაირი სახის ჩითის ქსოვილები, მათ შორის „სურათის ჩითი", „განიერი წითელი წკეპლა ქვემოური ფრინველებიანი ჩითი", „თეთრხეებიანი ჩითი", „ჩაკრულა ჩითი", „ქალაქის წკეპლა ჩითი" და ა.შ. (სურ. 4–2) ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დაჩითულ ანუ სახიან ქსოვილთან, რასაც ჩითის საბასეული განმარტებაც ადასტურებს. საბას სიტყვით, „ჩითი ჭრელი ნარმა და ლაინი" ყოფილა. ამავე ძირიდანაა ნაწარმოები ამ ხელობასთან დაკავშირებული ტერმინებიც „დაჩითვა", „დაჩითული", „მჩითავი" და ა.შ.

დაჩითვა თავის მხრივ მღებრობასთან იყო დაკავშირებული. სამღებრო ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი არსებობის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში უკვე კარგად ჩამოყალიბებული და სათანადოდ რეგლამენტირებული საამქრო ორგანიზაცია არსებობდა მღებრებისა, რომელთაც თავისი უსტაბაში „მღებართუხუცესი ყავდა". საამქროში შედიოდნენ: ხელოსნები, უსტები და შეგირდები. მღებრები ნაწილდებოდნენ „მღებარადა" – სპეციალისტებად და

1

2

3

სურ. 4. 1 დამითეული „ლეკური“ ხეული.
2, 3. ჭრთეული დამითეული ქსოვილის ნიმუშები.

სურ. 5. დაჩითული „ლურჯა“ სუფრა

მღებავებად – უბრალო ხელოსნებად. დასტურლამალის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ სამღებრო საქმის მდგომარეობა, შრომის ორგანიზაცია, საწარმოო პროცესები, საწარმოო საშუალებები და პროდუქციის ფასები. აღსანიშნავია, რომ საფლავის ქვებზე ჩვენ გვაქვს გამოსახულებები მღებრებისა მათი საწარმოო ატრიბუტებითურთ.

1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში

I

ქართველების ძველ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების საკითხებზე მუშაობამ, რასაც ჩვენ კარგა ხანია ვაწარმოებთ, მოითხოვა ყურადღების გამახვილება ხალხური ხის ორნამენტზე. ამ მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორნამენტებს ხეზე საცხოვრებელი ნაგებობების კონსტრუქციაში საპატიო ადგილი ჰქონია განკუთვნილი და გარკვეული ფუნქცია უტარებია.

პირველ რიგში ეს ითქმის იმ ხის ორნამენტების შესახებ, რომლებიც კერასთან (ცეცხლთან) არის დაკავშირებული, ხალხის უძველეს მსოფლმხედველობას ამქვეყნებს და რიტუალურ დანიშნულებას ასრულებს. მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ამგვარი ელემენტები მრავლად შემოუნახავს ლაზურ ორნამენტს. ერთ მათგანს აქ განხილული **სიცოცხლის ხის** მოტივი წარმოადგენს.

კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. დეტალურმა შესწავლამ გაარკვია ლაზური ორნამენტის ელემენტების დიდი უმრავლესობის მაგიურ-ანთროპეული წარმოშობილობა[1].

მაგრამ ამ ტიპის ორნამენტის თავისებურება ამითაც არ ამოიწურება. მის დამზადების განსაკუთრებული ტექნიკა ახასიათებს: იგი უმთავრესად პლასტიკური რელიეფითაა შესრულებული. ამ ტექნიკით შესრულებული ორნამენტისაგან განსხვავებულია ეგრეთ წოდებული ხვესურული ორნამენტი. საერთოდ ხეზე ორნამენტის ამოჭრას ხვესურულად დაჭრელებაეწოდება. ჩვენს მთაში დაჭრელების სამგვარი სახე არსებობს: ამოღარვა, ნუფაკი და ცერი. დაჭრელების ეს სამი სახე არსებითად ორნამენტის ამოჭრის ტექნიკის ერთი და იმავე წესის მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტია, სახელდობრ ორნამენტის გამოფანა ჩაჭრით. ამ ტიპის ორნამენტი უმთავრესად გეომეტრიული სახეებითაა წარმოდგენილი.

გარდა ზემოთქმულისა, ამ ორნამენტისათვის დამახასიათებელია აგრეთვე, დასაჭრელებელი არეს გამოფენებისადმი არათავისუფალი მიდგომა.

რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი შედარებით უკეთ ხვესურულ მასალაზეა შესწავლილი, ამდენად მას, რასაკვირველია, პირობითად **ხვესურულს** ეწოდება; არსებითად ის მთური ორნამენტის ტიპია, რადგანაც იგი ფართოდ შემონახულია მთიელების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და უპირატესად მათთვისაა დამახასიათებელი[2].

ქართული ხალხური ხის ორნამენტის მეორე ტიპი უმთავრესად მცენარეებისა და ცხოველების სახეებითაა წარმოდგენილი. იგი მეტწილად საქართველოს ბარშია დაცული. მას ჩვენ ვხვდებით ლაზეთიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში.

ამ ტიპის ორნამენტებში უმთავრესად შემდეგი სახეებია მოცემული: ვაზი, ხე, ყვავილი, ლომი, ფრინველი და სხვ. ორნამენტის ეს ტიპიც თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციიდან მომდინარეობს. ამასთანავე, ორნამენტის ეს ტიპი, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული, მაღალი ტექნიკით არის შესრულებული (სურ. 1).

---

[1] შდრ. ჯ ბ ა რ დ ა ყ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხვესურული, ტფილისი, 1939, გვ. 17.

[2] ჯ ბ ა რ დ ა ყ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

სურ. 1 ლაზური ორნამენტი (ს. წინწყარო)

ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ორმაგ და სამმაგ სიბრტყის ფენებშია ამოკვეთილი. ყოველივე ამას ერთვის არეს გამოყენებისადმი თავისუფალი მიდგომა. ამ შემთხვევაში ოსტატი დიდსა და პატარა არეს ადვილად უმორჩილებს თავის ზრახვებს და დაუბრკოლებლად იყენებს მას.

რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი შედარებით უკეთ ლაზურ მასალაზეა შესწავლილი და ხალხშიც ლაზური (თათრული) ეწოდება, ამდენად ამ ტიპის ორნამენტს, რასაკვირველია, აქაც პირობითად ლაზურს ვუწოდებთ. არსებითად ის ბარული ორნამენტის ტიპია, რადგანაც იგი ფართოდ შემონახულია ბარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და უპირატესად ბარისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ამ ტიპის ორნამენტს ლაზური ეწოდება სხვა მოტივების გამოც.

ლაზების შესახებ ჯ ა ხ უ შ ტ ი ს საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობაში ნათქვამია:

„აცენ არიან კელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“[3]. ეს ცნობა, რომელიც სავსებით გარკვეულ ხანას და სანდო ავტორის კალამს ეკუთვნის, შეიცავს ისეთ ფაქტს, რომელიც, ერთი მხრით, გულისხმობს ლაზებისათვის ხის მუშაკობის ტრადიციების არსებობას, აქ მოტანილი ცნობის თარიღზე გაცილებით ადრინდელ ხანაში, ხოლო, მეორე მხრით, იგივე ცნობა სრულ გამართლებას პოულობს ჯ ა ხ უ შ ტ ი ს მომდევნო პერიოდში.

მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთ საქართველოში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც, მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხუროებად და ხის ნაგებობების საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ მიერ ნაგები სახლები, ჯამეები და ეკლესიები დღემდეა მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთს წარწერაც აქვს შემონახული მათი ამგების სახელის, გვარისა და სადაურობის აღნიშვნით. მაგ., მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანში ერთ-ერთს, აგებისა და ორნამენტების მხრივ, შესანიშნავ სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენაზე. ქართული წარწერა იკითხება ასე:

„ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“[4].

საყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა: ომერი, ახმედი და მუსტაფა, რომელთაც მთელს ხანის-წყლის ხეობაში ლაზური

[3] ჯ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გამოც. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა, გვ. 248.
[4] ენ ი მ კ ი-ს მ ო ა მ ბ ე, ტ. II, გვ. 68.

სახლები უშენებიათ, მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხუროობა და იმ[illegible] ყიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობები და ორნამენტები ხეზე.

მაგრამ, ლაზების ნაკეთები ორნამენტი ხეზე დამოწმებულია არა მარტო ხანის-წყლის ხეობაში, იგი ფიქსირებულია ქობულეთში, გურია-სამეგრელოში, ქვაბლიანის ხეობასა და თრიალეთში.

თრიალეთში შემონახული ლაზური ორნამენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა ის საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ადგილობრივი ლაზის მიერ არის გაკეთებული. სხვათა შორის, დადასტურდა, რომ თრიალეთში მცხოვრები ეგრეთ წოდებული „ურუმების" ეთნიკური შემადგენლობა ნარევი ყოფილა. ადგილობრივ შეკრებილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ თრიალეთიელ ურუმებს შეადგენენ „გუმიშხანელები", „ოველები", „ფასენები" და „კროები". ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან — ბასიანიდან არიან მოსულნი. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (თავსაბურავის ელემენტის ერთი სახე ფაბლა, აგრეთვე ქართული ხელნაწერები[5] და სხვ.).

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადია, რომ ურუმების (კონფესიონალური წარმოშობის სახელწოდებაა) ქვეშ გაერთიანებულია სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები: ქართველები, ბერძნები და სომხები.

მაგრამ, თრიალეთის ურუმების ეთნიკური ვითარება მარტოდმარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ ამ ნაკრებ ეთნიკურ ერთეულში, სხვათა შორის, ლაზებიც ყოფილან წარმოდგენილნი. დადასტურებულია, რომ სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრენი „ტურშოვ"-ები წარმოშობით ლაზები არიან. ამ სოფელში მათ საკუთარი „მაილა" (უბანი) ჰქონიათ („ტურში გილენ მაილა"). ამათ გვარში ყოფილან საუკეთესო ხუროები, რომელთაც თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მოჩუქურთმებული სახლები უკეთებიათ. მათ მიერ აგებული სახლები ჩვენ დავამოწმეთ სოფ. წინწყაროსა და გუნია-ყალაში. ჩუქურთმების ერთი ნაწილი შეძენილ იქნა წყალის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს და შემდეგ ეს კოლექცია გადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას, სადაც ის ამჟამად ინახება[6].

თრიალეთში შემონახული ლაზური ორნამენტი მეტად მდიდარია თავისი შინაარსით და სანიმუშოა თავისი ტექნიკით და კომპოზიციით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ამოფანჯრის ხერხითაა (à jour) შესრულებული. ასეთ ორნამენტს აქ, ქვემოთ ფერადი ქსოვილი ჰქონია („ფოლგა") დაგებული, რაც ამ ორნამენტის ტექნიკის წინა აღმოსავლეთის უძველეს კულტურის ტრადიციებს ამყოვანებს და საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს.

---

[5] ახალი აღთქმის ხელნაწერები ს. წინწყაროდან და მათთან დაკავშირებული გადმოცემები, შდრ. **Е. Такайшвили,** Археол. экск. и разыск; кн. I; **Меликиз.** არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 54, აღნიშნულია, რომ სოფ. ორთისში ჯამე ხისაა, „რომლის ხის აივანი შიგნით, პატრონიკეს წინ, შემკობილია ლამაზი ჩუქურთმებით **ქართულ** ორიგინალ"; **Н. Марр,** Из поездки в Турецкий Лазистан, Изв. Р А Н; 1910, 7—8, გვ. 630—631.

[6] ექსპონირებული იყო ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის პირველ ჯამეცნიერო სესიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, როგორც ძველი ცნობა ლაზებში ხის დამუშავების მაღალი ხელოვნების არსებობის შესახებ, ასევე ფაქტი მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზების, როგორც საუკეთესო ოსტატების, ხეოსების არსებობის შესახებ — მიუთითებენ ლაზების მიერ ხის დამუშავების საერთოდ მაღალ ხარისხზე.

ზემოთქმული კიდევ ერთი ზედმეტი საბუთია იმისა, რომ ამ ტიპის ორნამენტს ლაზური ეწოდოს.

II

როგორც ზემოთ ითქვა, ლაზური ორნამენტი ხეზე შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ძველ ტრადიციებს და ძველ სიუჟეტებს ამჟღავნებს. ცხადია, ეს მოტივები ზოგჯერ მოცემულია მათზე შემდეგი დროის დანალექებთან ერთად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ძველებური სახით გამოიყურებიან და ახალი ტექნიკით შესრულებულნი, თითქმის მთლიანად იცავენ უძველესი სიუჟეტის დეტალებს. ამგვარი ძველი ტრადიციებიდან მომდინარე სახეებისა და ობიექტების შემონახულობა ჩვენმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ არა ერთი და ორი იცის. ბევრი მათგანი უძველესი მითოლოგიიდან მომდინარეობს და ხალხის უძველეს მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

ლაზურ ორნამენტში ამგვარ მოტივს ეგრეთ წოდებული სიცოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს.



სურ. 2. ბუხრის კამარა (ს. გუნია-ყალა)

ეს მოტივი თრიალეთის ინამდვილეში ჩვენ გვხვდება როგორც ხეზე, ისე ქვაზე. იგი დამოწმებულია როგორც ბუხრის შემკულობის ხის ნაწილებში, ისევე ბუხრის კამარებზე (მაგ., ასლანოვის სახლი სოფ. წინწყაროში და ტურშოვის სახლი სოფ. გუნია-ყალაში).

ხეზე ამოკვეთილი „სიცოცხლის ხის" სიუჟეტი ჩვენ რამდენიმე შეგვხვდა. არისტინოვის სახლის „ოდაში" ის ორი სახითაა მოცემული. პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხემცენარე, რომლის გვერდებზე კუდდახვეული „ლომები", ანტიპოდებია გამოკვეთილი. აქვეა სიმეტრიულად გამოყვანილი ორი ექვსქმიანი ვარსკვლავი. მეორეზე წარმოდგენილია აგრეთვე ხე და გვერდებზე „ლომები", ანტიპოდები, კუთხეებში კი სიმეტრიულად განლაგებული მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავია გამოკვეთილი (ტაბ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ითქვა, სიცოცხლის ხის მოტივი თრიალეთში წარმოდგენილია სახლის იმ ნაწილში, რომელსაც აქ **ოდა** ეწოდება. საერთოდ, ურუმებში შემონახული სახლი ტიპურად შემდეგ ნაწილებს შეიცავს: „ჩარდახ"-ს, „ავლ"-ს, „ქომ"-ს, „ოდა"-ს, „ავ"-ს, „ყურუნ-ქომი"-ს და „ფურუნ"-ს. კონსტრუქციულად აქაური სახლები შემდეგი სახისანი არიან: „ყარნაუშ-ავ", „თაღარა ოდასი", „ყარს ოდასი", „ნახეშ ოდასი", „მარაგ", „იაზლუხ", „კონახ", „ბინა" და „ქორ-იაფი".

ყველაზე უფრო მეტი შემკულობა–ორნამენტი სახლის იმ ნაწილშია ჩვეულებრივ მოცემული, რომელსაც **ოდა** ეწოდება (სურ. 3).



სურ. 3. ლაზური ოდის კედელი (ს. წინწყარო)

ოდა განკუთვნილია ოჯახისათვის საზეიმო დღეობების ჩასატარებლად ან სტუმრის მისაღებად. ოდის აუცილებელ ატრიბუტს **ბუხარი** შეადგენს. უნდა ითქვას ისიც, რომ ბუხარი ლაზური სახლის ტიპში საოჯახო კულტის ცენტრს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ცეცხლის კულტის ბუხართან დაკავშირება ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ცეცხლის ადგილი კერიდან ბუხარში იქნა გადატანილი. ამიტომ როგორც ბუხარი, ისევე ის კედელი, რომელთანაც ბუხარია გამართული, ჩვეულებრივად კარგადაა ხოლმე შემკული. ასეთი კედელი მდიდრულად არის მორთული იმ სახლშიც, სოფ. წინწყაროში, რომელიც ნიკიფორე არისტინოვს ეკუთვნის და რომელიც აგებულია გუნია-ყალელი ლაზის კონსტანტინე ტურშოვის მიერ 1883 წელს, როგორც ამას ადასტურებს აქვე ამოკვეთილი თარიღი.

ოდის ეს კედელი პირველ რიგში შემკულია ბუხრის გვერდებზე და ბუხრის თავს ზემოთ, ჭერამდე. ბუხრის გვერდებზე, კედელში, მოწყობილია თახჩები, რომელთა პირი, აგრეთვე, შემკულია ჩუქურთმებით. აღსანიშნავია, რომ ამ თახჩებიდან ერთი განკუთვნილია ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის, ხოლო მეორე — ოჯახის უფროსი დედაკაცისათვის. თახჩებში ისინი ოჯახის „ქისებს" ინახავენ.

ხიდოცხლის ხე (ს. წინწყარო)

ხიდოცხლის ხე (ს. წინწყარო)

ოდას შემკულობა აქვს არა მარტო ბუხრის კედელზე, არამედ გვერდებისაც, და ბუხრის მოპირდაპირე კედლებზედაც. ხოლო განსაკუთრებით მდიდრადაა შემკული ამ ოთახის ჭერი. ჭერში მოცემულ ორნამენტს **გულბაჟ**-ი ეწოდება (ტაბ. II).

ამრიგად შემკული **ოდა** სოფ. წინწყაროში ორია. ერთი მათგანი ზემოთ დასახელებულ ნიკიფორე არისტინოვს ეკუთვნის. ამჟამად ამ ოდის ჩუქურთმების დიდი ნაწილი ჩამოტანილია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. მეორე ოდა იაკობ ასლანოვისაა. ორივე ოდა ლაზების მიერ არის გაკეთებული. ამავე ხელობის და სტილისაა მესამე ოდა სოფ. გუნია-ყალაში ეკორანოვისა, ისიც აგებულია ლაზის მიერ.

სოფ. გუნია-ყალაში არის სხვა სტილზე შემკული **ოდები** სომხების მიერ აგებული. განსხვავება **ლაზურ** და **სომხურ** ოდებს შორის შემკულობა–ორნამენტების მხრით დიდია. იმ დროს, როდესაც პირველი — ლაზური ოდა შემკულია მცენარეებისა და ცხოველების ორნამენტებით, მეორე — **სომხური** ოდის შემკულობაში განსაკუთრებით გეომეტრიული სახეებია წარმოდგენილი.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ ლაზურ ორნამენტში მოცემული სიცოცხლის ხის მოტივი დაკავშირებულია ბუხართან და ამდენად ცეცხლთან, კერასთან.

როგორც ცნობილია, კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა — მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. ქართველ და კავკასიელ ტომებში ცეცხლის კულტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (კერძოდ, ის დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში ან ოჯახში გარეშე ახალი პირის ინკორპორაცია ხდებოდა). ამიტომ იყო, რომ დიდი ყურადღება სახლის იმ ადგილს ექცეოდა, სადაც კერა, ცეცხლი იყო მოთავსებული. მას ამკობდნენ ევროპიული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაებების გამოსახულებებით და სიმბოლური ნიშნებით. იქ, სადაც კერა სახლის შუაგულიდან ბუხარში იყო გადატანილი, ზემოხსენებული სახის ატრიბუტები ბუხრის „ქამარზე", ,,ქამარაზე, ,ამარაზე, მის ზემოთ და გვერდებზე იყო გამოფენილი. ამიტომ სიცოცხლის ხის სიუჟეტის ფიქსირება კერის კულტის ენაში, როგორც ამას ადგილი აქვს თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კარგად ეთანხმება წარმართი ადამიანის მსოფლმხედველობას.

კერასთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულების ორნამენტი ჩვენ მოგვეპოვება ოდების გარდა, ეგრეთ წოდებულ გლეხურ დარბაზებსა და საერთოდ ბანიან სახლებში — ცეცხლის, კერის მახლობლად — დედაბოძზე და დედაბოძის ბუღაურებზე. ამ სახის შუმკულობით მდიდარი დედაბოძის ზოგიერთი იშვიათი ეგზემპლარი საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული. აქ შეიძლება აღნიშნულ იქნეს ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ქართლური და მესხურ დედაბოძზე მოცემული ორნამენტების უმრავლესობა ასტრალური ხასიათისანი არიან[7].

უნდა ისიც ითქვას, რომ ცეცხლთან, კერასთან იყო დაკავშირებული მიცვალებულის (წინაპრის) კულტი. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ლაზური სიცოცხლის ხეც ამავე კულტთანაა დაკავშირებული. რამდენადაც ლაზურ ორნამენტში შემონახული სიცოცხლის ხის მოტივი ცეცხლის, კერის და მიცვალებულის (წინაპრის) კულტებთან ყოფილა დაკავშირებული, ხოლო ეს კულტები

[7] შდრ. აქვე სიცოცხლის ხის მოტივში მოცემული — მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

„ბ ე ლ ბ ა ქ ი“ (ს. წინწყარო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესი ხანის წარმოშობილობისაა, ამდენად ეს მოტივიც, ცხადია, თავისი წარმოშობით უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული სიცოცხლის ხის სიუჟეტი მარტოდმარტო თრიალეთით არ შემოიფარგლება. მას მრავალი პარალელი მოეპოვება ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ სინამდვილეში. ჩვენ მას ვხვდებით როგორც ხეზე, ისე ქვაზე და ქსოვილზე. მაგალითად, ეს მოტივი მოიპოვება ხეზე: მესხეთი — ს. მლაშეს ჯამეში; აჭარა — ს. ღორჯომის ჯამეში; ქვაზე: იმერეთი — მაიაკოვსკის რაიონი — საფლავის ქვებზე; ქართლში – სოფ. მერეთი. გლეხის სასაფლაო, საფლავის ქვებზე; ქსოვილზე: ქობულეთი — ს. ბობოყათი — ხალიჩაზე; სვანეთი — მიცვალებულისათვის განკუთვნილ სურათებში და სხვა.



სურ. 4. სიცოცხლის ხე (თხაბა-აერდი)

საქართველოს გარეთ იგი მოიპოვება ინგუშეთსა და დაღისტანში. ინგუშეთში ეს სიუჟეტი არის გამოხატული თიხის ფილზე, რომელიც ნაპოვნია თხაბაიერდის საყდართან, მას აქვს წარწერა ქართული ასომთავრულით. ფილი ზომით 10X12 სმ, ნაპოვნია **ტულჩინსკის** მიერ 1901 წელს[9]. ფილზე ამოკვეთილია ტოტებგაშლილი ხე ნაყოფითურთ და მის გვერდებზე წვრილფეხა ცხოველები, ერთი, ერთ მხარეს და მეორე, მეორე მხარეს. ამათ ფეხებს შორის ასომთავრული ასოებია — ⵊⵥ თუ ⵊⵓ და ⵇⵓⵊⵊ. ამ ასოებით ქართული სიტყვებია გადმოცემული, თუ ისინი ინგუშური ან რომელიმე სხვა ადგილობრივი ენის სიტყვებს გადმოგვცემენ — ჯერჯერობით არ არის გარკვეული.

[8] ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

[9] პირველი ცნობა ამ ფილის შესახებ. იხ. *Терския Ведомости* (1901 ᲬᲚ., № 18), საიდანაც ის გადაიბეჭდა ორგანოში „*Изв. Археол. Комиссии*“, 1902, დამატება, ნაკ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ძეგლი[10] საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მის კომპოზიციაში წარმოდგენილია არა მარტო სიცოცხლის ხე და ცხოველები, არამედ ხის ქვემოთ გაკეთებულია ორი ჰორიზონტალური ხაზი მიწის ზედაპირის აღსანიშნავად, ხოლო მათ ქვემოთ ციკვიკავაა ამოკვეთილი, რაც წყალს უნდა აღნიშნავდეს. თარიღდება ეს ძეგლი პირობითად მე-13 საუკუნით (სურ. 4).

ჩვენი სიუჟეტის მნიშვნელოვანი პარალელები მოიპოვება დაღისტნის ძეგლებზე, ეგრეთ წოდებულ დაღისტნურ-ალბანურ ობიექტებზე. ერთ-ერთ ასეთ ძეგლის სიუჟეტში ხის ნაცვლად **თ ე კ ზ ი ა** გამოხატული, რაც გვიადვილებს სიუჟეტის დედა-აზრის მიკვლევას. ეს ძეგლი, რომელიც ყუბაჩშია აღმოჩენილი, ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტის მეტად ორიგინალურ სახეს შეიცავს (სურ. 5)[11].

სურ. 5. სიცოცხლის ხე (ს. ყუბანი)

III

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სიცოცხლის ხის მოტივი გარეშე სხვა ძეგლებისა მოცემულია, აგრეთვე, სვანების მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ სურათებზე. სვანების მიცვალებულის კულტის ერთ-ერთ დღეობას **ლიფალანი** ეწოდება. წარმართი სვანის შეხედულებით, ზამთრის არდადეგებზე, ლიფალანში, მიცვალებულის სულები თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ. სულების მოსვლას ოჯახის წევრები დიდი ზეიმით უნდა შეხვედროდნენ, გაეშალათ მათთვის სუფრა, მათ სასიამოვნოდ უნდა ემღერათ, ეცეკვათ და დაეკრათ ჭიანური; იმათ გასართობად უნდა ეთქვათ ზღაპრები და ლექსები. ასეთი შეხვედრა ჩვეულებრივად რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ზეიმით ხდებოდა, აგრეთვე, სულების გასტუმრება საიქიოს; ოჯახის უფროსი წინ მიუძღოდა წარმოდგენაში არსებულ სულებს, მათს სავალ გზაზე რძეს აპკურებდა და სულებს შესთხოვდა ოჯახისა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვას, ოჯახისა და საქონლისათვის მარცხისა და საფრთხის აცილებას და სხვა.

ლიფანალის შინაარსი აქ მოკლედ მოყვანილ აღწერილობით არ ამოიწურება. ამავე ლიფანალის დღეებში ნაცრისაგან („ჭულისა" და „გვიზისა") საღებავს

[10] Л. С е м е н о в, Арх. и этногр. Разыск. В Ингуш. В 1928–1929 гг., Изв. Ингушск. Н.-Иссл. Инст. Краев; II–III, გვ. 383.

[11] А. Б а ш к и р о в, Дагестанское искусство, Москва, 1931, ტაბ. 37.

ამზადებდნენ და ამ საღებავით ლეჭენდ-ებზე ანუ ისგენტაფ-ებზე გამოჰყვადა სხვადასხვა სახეები მიცვალებულთა სულების პატივსაცემად. ლეჭენდი სვანურ ქორში (სახლში) არის ის ტიხარი, რომელიც კერის მახლობლადაა გაკეთებული და გამოყოფს ქორის საცხოვრებელ ნაწილს საქონლის სადგომისაგან.

ლიფანალის დღეებში ლეჭენდებზე გამოხატულ სურათებს „ლეჭრელე" ეწოდება. დოც. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ი ს მიერ პირველად ასეთი ლეჭრელები აღმოჩენილი და დადგენილ იქნა სვანეთში 1931 წელს. აღმოჩნდნენ ისეთი პირები, მოხუცი ქალები, რომელთაც ასეთი სურათები უხატავთ. დღეისათვის დოც. ვ. ბარდაველიძეს ამ სურათების დიდი რაოდენობა აქვს შეგროვებული და გამოსაცემად დამზადებული.

რადგანაც ამ სურათებში მოცემულ სიცოცხლის ხის მოტივს ჩვენი თემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, დოც. ვ. ბარდაველიძის თანხმობით მოგვყავს ერთ-ერთი ლეჭრელეს აღწერილობა (სურ. 6).



სურ. 6. „ლ ე ჭ რ ე ლ ე" (ს. ნაკიფარი)

ზემო სვანეთში იფარის თემის სოფ. ნაკიფარის მცხოვრებ გულბას შემდეგი ლეჭრელე გაუკეთებია: 1—2. კიბდონ ̄ა̄რ (კიდობნები), 3. მგმზერი (მლოცველი ტაბლით — შესაწირავებით), 4. დაკელ (თხა), 5. ლეჩ ̄ ̄ ̄

ცხოველები უბრალო ხე და ცხოველები კი არ არის, არამედ ამ ხის სახით სიცოცხლის ხეა მოცემული თავისი ატრიბუტებით. არსებითად ეს ნახატი (გგგიბს ი ზბიბ დაკ ჯრ) ლაზური სიცოცხლის ხის სიუჟეტს იმეორებს (იხ. ზემოთ, გვ. 307). მასში უმთავრესად შეცვლილია ხის ჯიში და ცხოველების სახეობა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ცხოვრების ხის ეს სიუჟეტი მრავლად მოიპოვება საფლავის ქვებზე იმერეთსა და ქართლში, — რაც აგრეთვე იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სვანური ლეჭნდ-ებზე მოცემული ხისა და ცხოველების სურათების მოტივი რიტუალური დანიშნულებისაა. ის უშუალოდ მიცვალებულის კულტთანაა დაკავშირებული. მიცვალებულის კულტში მისი არსებობა გამართლებულია იმ ძველი შეხედულებით, რომელიც საიქოს სააქაოს გაგრძელებად წარმოიდგენდა, სააქაოს მოთხოვნილებებითა და საჭიროებებით. ის გარემოება, რომ „გგგიბს ი ზბიბ დაკ ჯრ"-ის სიუჟეტი მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული, რომ მას ქალები ხატავენ და ნახატი პრიმიტიული ტექნიკით სრულდება — ცხადია, ამ სიუჟეტის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს.

ზემოთქმულს დავსძენთ, რომ თვით სვანური ლიფანალი არქაული წარმოშობილობისაა: ასე ცხოვლად მიცვალებულების წარმოდგენა, ასე „რეალურად" მათი მიღება-გამასპინძლება და მათდამი შეწირული სიმბოლური ხასიათის სურათები — უთუოდ უძველეს ტრადიციას შეიცავს და ძველებურ მსოფლმხედველობას ამჟღავნებს. ამ წეს-ჩვეულებაში მეტად საგულისხმო თავისებურებებია შემონახული. ერთი ასეთი თავისებურება ის ლეჭრელებია, რომელთა შესახებ ზემოთ გაკვრით გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ ქართველი ხალხის მიცვალებულის კულტის თავისებურება მარტოდ-მარტო ლეჭრელებით არ ამოიწურება. ასეთ თავისებურებებს ეკუთვნიან: მოხევური — „დიდო", სვანური — „გიგი", შრომის პროცესებში მიცვალებულის მოგონება საგანგებოდ ქალების მიერ შეთხზული ლექსებით — „ხმით ნატირალებით"[12] და სხვა.

ასეთი თავისებურებებით მდიდარი ქართველი ტომების მიცვალებულის კულტში სიცოცხლის ხის სიუჟეტი ამ კულტის ორგანულ ელემენტს უნდა შეადგენდეს. რაც შეეხება თვით სიცოცხლის ხეს, მის ანალოგებს წარმოადგენს ჩვენში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო, კერძოდ, ხევსურული მეგრელაური მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა და აგრეთვე — მცხეთის სვეტი-ცხოველი, მარტვილის ჭყონდიდი და მეგრული „კელეპტარი" (მიცვალებულის ხე). ამავე კულტს ეკუთვნის ბავშვის სახელზე ხის დარგვის გურული წეს-ჩვეულება.

ლაზური სიცოცხლის ხის მოტივის ანალოგები დასტურდება არა მხოლოდ ქართველ-კავკასიელ ტომებში, არამედ ის მოცემულია წინა აზიის უძველესი კულტურის ძეგლებზე. განსაკუთრებით დამოწმებულია ხურების მეტად თავისებურ ხელოვნებაში. იგი მოიპოვება ტელ ჰალაფსა, კარხემიშსა, ბოღაზჭიოისა, იფლატუნ-ფუნარსა და ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე (იხ. სურ. 7, 8 და 9).

ზენჯირლში აღმოჩენილი ძეგლი თარიღდება 1000 წლით ჩვენ ერამდე. ამ ძეგლზე მოცემული სიცოცხლის ხის მოტივი სავსებით ემსგავსება სვანური გგგიბ დაკ ჯრი-ს სურათს[13].

---

[12] მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მ ა ს ა ლ ე ბ ი საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, გვ. 1—64, იქვე, წინასიტყვაობა, გვ. VIII, აგრეთვე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქვის კუბო ქვემო-ალმადან, ე ნ ი მ კ ი-ს მ ო ა მ ბ ე, ტ. VIII, გვ. 4—5.

[13] A. M o o r t g a t, Bildwerk und Volkstum Vorderasiens zur Hethiterzeit, Leipzig, 1934, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტების აზრით, ხურების ხელოვნებაში დაცული სიცოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს ძველი სუმერული სიცოცხლის ხის მოტივის თავისებურ ვარიანტს. იგი გენეტიკურად უკავშირდება ურში ეხლახან აღმოჩენილ მსგავს მოტივს[14].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-კავკასიური მასალების შეხვედრა ხურულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს.

იმ შემთხვევის გარდა (ხურულ-სვანური სიცოცხლის ხის მოტივი), რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ, საყურადღებოა აგრეთვე, სხვა შეხვედრებიც მატერიალური კულტურის დარგში. მაგალითად, სვანური ფაკი, ხევსურული ჩოხა და ხურული ტანსაცმელი, ქართული ხელა და ხურული ჰილანი, ხევსურული ჰაჩი, ქართულ-ხურული ილარი და სხვა.

ეს უკანასკნელი კულტურის ელემენტი დღემდე ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცული[15] (ხისა, ძვლისა და ლითონის) იმავე ფორმისა და ფუნქციისა, როგორც, ერთი მხრით, მუსიერში ნაპოვნი (12—10 საუკუნის ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ბრინჯაოს ილარი და, მეორე მხრივ, ოქროს ილარი ტელ-ჰალაფიდან, რომელიც თარიღდება 3000 წლით ჩვენ ერამდე.

სურ. 7. სიცოცხლის ხე ზენეხარალიდან, Moortgat-ის მახვედრით

მაგრამ ეთნოგრაფიული სინამდვილის მონაცემების მნიშვნელობა მარტო ზემოთქმულით არ განისაზღვრება.

---

[14] **C. L. Woolley**, Ur-Excavations, v. II: The royal cemetery, New-York, 1934, ტაბ. 87—89.

[15] შდრ. ი. სონღულაშვილი, ილარი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, აგრეთვე, **Er. Machay**, Excavations at Chahu-Daro, Smithsonian Institution, 3473.



სურ. 8. სიცოცხლის ხე კარსეშიშადან, Contenau-ს მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, ყუბაჩარ ძეგლზე, რომელიც ალბანურ-დაღისტნური წარმოშობისაა, სიცოცხლის ხის მოტივში ნაცვლად ხისა თევზია გამოხატული, თევზს კი ქართველ-კავკასიელების სარწმუნოებაში დიდი ადგილი ეჭირა, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალას. ამის დამადასტურებელი ფაქტები უხვად არის შემონახული ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.



სურ. 9. სიცოცხლის ხე ბიღაზჩეიიდან, Götze-ს მიხედვით

საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება: ლოცვა-ვედრება თევზებისადმი, რომელთაც შვილიერებას შესთხოვდნენ (თრიალეთი, ს. ჰოლიანქი), ცოცხალი თევზის („ალამალუში") გამოყენება ქალების მიერ — განაყოფიერების მიზნით (იქვე). გურიაში კალმახის დაკვლა საკალენდო ქვევრის თავზე– მოსავლიანი წელიწადის დადგომის მიზნით. თევზის ღვთაების ლარსას არსებობა იმერეთში, რომელიც სვანური ნადირთ პატრონის აფხზათისა და ბალის თანატოლი ჩანს, კალმახი, როგორც საკურთხის აუცილებელი ატრიბუტი სამეგრელოში, საქორწინო თარეი თევზით, თევზის ორნამენტი შეიდი შებსა და სვანურ ლეკვერთხებზე, თევზების გამოსახულებები საფლავის ქვებზე ჯავახეთში და უკანასკნელად თევზ-ვეშაპის ქანდაკებები საქართველოსა და სომხეთში.

სურ. 10. სუმერული სიცოცხლის ხე Nielsen-ის მიხედვით

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ Bleichsteiner-ის მტკიცების თანახმად, თვით ტერმინი ვეშაპი-ვიშაპი არ უნდა მომდინარეობდეს ავესტურ Visāpa-დან, არამედ როგორც ვეშაპი, ისე Visāpa ქართულ-კავკასიური წარმოშობისაა[16].

დიდი ადგილი უჭირავს თევზს აგრეთვე ქართულ მითებსა და ზღაპრებში (შდრ. მეღორის ცოლი — ძველი საქართვ., ტ. II. განყ. 4, გვ. 30—34, S. Finger, Märchen aus Lasistan, *Mitt. d. Anthr. Gesel. in Wien*, LXIX, H. 3, გვ. 208), „ბატონების" რიტუალში და სხვა.

ერთი სიტყვით, ყველა მონაცემი ადასტურებს, რომ თევზი ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალად იყო მიჩნეული.

ამის მიხედვით იბადება საკითხი: სიცოცხლის ხის შეცვლა ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალით, თევზით, ხომ არ გვაძლევს უფლებას სიცოცხლის ხეში ნაყოფიერების ძალა ვივარაუდოთ.

ის გარემოება, რომ სიცოცხლის ხის სუმერულ ვარიანტში (სურ. 10)[17] ხის გვერდით წარმოდგენილია ანტიპოდური ფიგურები მამრისა და მდედრის სახით ამ შესაძლებლობას ადასტურებს. ამ სახითაა ეს სიუჟეტი მოცემული ხურულ ძეგლებზე, ამავე სახითაა იგი ასურულ ძეგლებზე, როდესაც ისინი არ იმეორებენ ბაბილონურ-სემიტურ ვარიანტებს. ასევეა ლაზურ ორნამენტში, თხაბა-იერდის ფილზე, დაღისტნურ ნიმუშებზე და სხვა.

როგორც ცნობილია, სიცოცხლის ხის მოტივში წარმოდგენილმა მამრ და მდედრ არსებათა სახეებმა შემდეგში გაგრძელება ჰპოვა ეგრეთ წოდებულ Antithetische Gruppe-ს სიუჟეტებში (შდრ. Jahrb. d. Deutsch. Arch. Ints; B. XIX, 2 H. 1904, Jolles, Antithetische Gruppe).

რამდენადაც ეს ასეა, გასაგები ხდება სიცოცხლის ხის მოტივის დედააზრი ლაზურ და სვანურ ორნამენტში. აქ ის მოცემული იყო, ერთი მხრით, ცეცხლთან, კერასთან ერთად, ხოლო, მეორე მხრით, მიცვალებულის კულტში. ის წარმოადგენდა ამაღორძინებელ, გამანაყოფიერებელ და მაცოცხლებელ

[16] **Bleichsteiner,** Die Subaraer des alten Orients im Lichte der Japhetitenforschung, W. Schmidt's Festschrift, Wien, 1928, გვ. 46.

[17] **Д. Нильсен**, Библейская религия в свете новейших археологических расколок, *Вестник Дрейвней истории*, I, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალას. ამის გამო გასაგებია ისიც, თუ რად ახლავს ლაზური სიცოცხლის ხის მოტივს ასტრალური ანტურაჟი.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დავასკვნათ:

1. ქართულ ხალხურ ორნამენტში ხეზე მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება:

ა) მთური (ხევსურული — პირობითად) — უპირატესად გეომეტრიული სახეებით და

ბ) ბარული (ლაზური) — უპირატესად მცენარისა და ცხოველის სახეებით. ამ მიმართულებებს, გარდა სიუჟეტური სხვადასხვაობისა, ორნამენტის ტექნიკის სხვაობაც ახასიათებს („ამოღარული" დაჭრელება და პლასტიკური რელიეფი).

2. სიუჟეტის მხრივ ლაზურ ორნამენტში უძველესი მოტივებია მოცემული. ეს ორნამენტი კონსტრუქციულ-დეკორაციულ დანიშნულებასთან ერთად რიტუალურ ფუნქციას ასრულებს და მითოლოგიურ შინაარსს შეიცავს.

3. ლაზურ ორნამენტში მოცემული სიცოცხლის ხის მოტივს შეადგენს: სიცოცხლის ხე (ის სხვადასხვა ჯიშის ხეებითაა წარმოდგენილი), ცხოველები — წყვილი („ანტიპოდები") და მნათობები (ორი ან მეტი).

4. სიცოცხლის ხის მოტივი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი სიუჟეტია და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული. დამოწმებულია: ხეზე, ქვაზე და ქსოვილზე. იგი მოიპოვება ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, ინგუშურ ფილზე (თხაბა-იერდიდან) და ალბანურ-დაღისტნურ ძეგლებზე.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს მოტივი სვანების მიცვალებულის კულტში, „ლიფანალ-ში", სადაც ის „გგგიბ-დაკჯარ"-ის სახით არის მოცემული. რამდენადაც „ლიფანალ"-ი მიცვალებულის კულტის უძველესი წეს-ჩვეულებაა, იმდენად მასში დადასტურებული „გგგიბ-დაკჯარ"-ის მოტივი (იგივე, სიცოცხლის ხის მოტივი) უძველესი წარმოშობის საკულტო სიუჟეტია.

6. ლაზურ სიცოცხლის ხის მოტივს, განსაკუთრებით მის სვანურ ვარიანტს, ანალოგები მოიპოვება ხურულ ძეგლებზე (ტელ ჰალაფი, ზენჯირლი, იფლატუნფფუნარი და სხვ.). ამ ანალოგებს ამაგრებს ქართულ-ხურული კულტურის ელემენტების სხვა შეხვედრებიც.

7. სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით (ალბანურ-დაღისტნური ძეგლი) ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმბოლოა მოცემული. ქართველ ტომებში თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა, მრავალ წეს-ჩვეულებით დასტურდება: გურული საახალწლო კალმახი, თევზის ღვთაება ლარსა იმერეთში და სხვა.

8. სიცოცხლის ხის ნაყოფიერების ფუნქცია, მკვეთრად გამოსახული მის სუმერულ ვარიანტში („ადამ და ევა"), გამართლებას პოულობს ხურულ და ქართულ-კავკასიურ ანალოგიურ სიუჟეტებში.

1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიფანალის მხატვრობის შესახებ

1931 წელს საქართველოს მუზეუმმა მოაწყო პირველი ექსპედიცია სვანეთში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: გიორგი ჩუბინიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, ვერა ბარდაველიძე, რენე შმერლინგი, ეგნატე გაბლიანი, ფოტოგრაფი ვალენტინი [სკლიფასოვსკი?] და გიორგი ჩიტაია. ექსპედიციამ შეაგროვა დიდძალი მასალა კულტურის ყველა დარგში, მათ შორის 22 ცხენის საპალნე ეთნოგრაფიული ექსპონატები.

ამ ექსპედიციის მუშაობის დროს ვერა ბარდაველიძემ ყურადღება მიაქცია სვანური სახლის ლეპნიდირზე გამოსახული ლიფანალის სურათებს. ეს სურათები მაშინვე იქნა გადმოხატული რენე შმერლინგის მიერ.

ამით დაიწყო ლიფანალის მხატვრობის შესწავლა. მომდევნო წლებში ვ. ბარდაველიძე სისტემატურად აგროვებდა და იკვლევდა ლიფანალის მხატვრობას, სვანური ხალხური კალენდრის პარალელურად კვლევის უწყვეტი მეთოდის გამოყენებით.

თუ ადრე მკვლევრები ზოგადი აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ, რომ სვანი მანდილოსნები სახლის შიდა მორთულობას საახალწლოდ აჭრელებდნენ სხვადასხვა გამოსახულებებით – ვერა ბარდაველიძემ დაადგინა როგორც ხატვის პროცესი, აგრეთვე ნახატის შესრულების წესი და ნახატის შინაარსი. გაარკვია, რომ ლიფანალის მხატვრობა წარმოადგენს მწყობრ სისტემას და რთულ სიუჟეტებს შეიცავს. არ დარჩენილა სვანეთის არც ერთი თემი და თითოეულ თემში შემავალი არც ერთი სოფელი, რომელშიც ბარდაველიძეს მუშაობა არ ჩაუტარებია ლიფანალის მხატვრობის მასალების შეგროვების მიზნით. აქვე აღვნიშნავ, რომ ვერა ბარდაველიძე ქართველ ეთნოგრაფთა შორის პირველია, რომელიც ველზე მუშაობდა არა შერჩევის მეთოდით, არამედ უწყვეტლად თითოეული სოფლისა და სოფლის შიგნით უბნების მიხედვით.

მკვლევარმა საერთო ჯამში დაადგროვა 218 ნახატი. ამათგან 120 ცხოველთა გამოსახულებაა: ამათ რიცხვში – ხარ-ძროხების ნახირი და 22 ხარი, ძროხების ნახირი და 14 ძროხა, 15 თხა, 11 ჯიხვი, 11 ცხვარი, 9 ღორი, 9 ცხენი მხედრითურთ, 3 არჩვი, 2 სახედარი, 2 ძაღლი, 2 კატა, 1 ირემი, 1 დათვი; ამას გარდა 4 ქათამი, 1 ბატი; ხორცის კულტურის ამსახველი ობიექტები – პურის მარცვლისა და ფქვილის საცავი კიდობანი (15 ნახატი), საფუარის ჭურჭელი, გობი, ცხრილი, რიტუალური პურების საჭვრეთი, რიტუალური პურები. მცენარის გამოსახულების 17 შემთხვევა: ჯვარი –11 ნახატი, მთვარე – 8 ნახატი, მზე – 4 ნახატი, მამაკაცი –13 ნახატი, დედაკაცი – 4 ნახატი და ა.შ.

ამ საწესო გრაფიკულ ნახატებს ასრულებდნენ უფროსი ასაკის ქალები ზემო სვანეთში მიცვალებულთა დღეობის **ლიფანალის** (1–5 იანვარი) დროს, ხოლო ქვემო სვანეთში – ადრე გაზაფხულის, დღესასწაულის **ბოშდას**, დღეებში. ნახატები იხატებოდა გომურის ფასადზე, ხის ჭურჭლებსა და აგვჯზე. ლიფანალის ნახატებს სვანი ქალები ხატავდნენ დიდი ოსტატობითა და საუკუნეთა მანძილზე თაობების მიერ შემუშავებული ტრადიციის მიხედვით.

ნახატები ასახავენ: ჯვრებს, ცის მნათობებს – მზეს, მთვარეს, ვარსკლავებს; შინაურ ცხოველებს, მათგან პირველ რიგში – ხარებს, ძროხებს, ცხენებს, აგრეთვე ცხვარს, თხას; გარეულებიდან – ჯიხვი, შველი, სხვადასხვა მცენარეები, სიცოცხლის ხე და ა.შ.

აქ არის წარმოდგენილი სიუჟეტები, რომლებიც კარგად იკითხება ,,ბასეს" მოცემული ცალკეული სურათების მიხედვით. დავასახელებ მაგალითს. სოფელ ნაკიფარში (იფარის თემი) 1936 წლის აგვისტოს ბ. გულბანის ნახატი იკითხება: ა) კიდობნები (მარცვლით სავსე), ადორანტი შესაწირი ტაბლით, თხა, მხედარი, ხარი, ქათამი, ტიფოფალური მამაკაცი, სიცოცხლის ხე, მთვარე, ჯვარი, მზე, ძროხა, მოცეკვავე ქალ-ვაჟი და ჯიხვი.



სურ. 1.

ასევე სიუჟეტურია და ადვილად იკითხება ბევრი სხვა ჭრელა.

ლიფანალის ჭრელების დეტალური შესწავლის საფუძველზე ვ. ბარდაველიძე ადგენს ჭრელების ორ ძირითად ნაკადს: 1. რეალისტურს, რომელიც გრაფიკული გამოსახულებით ზოგად ხაზებში ჭრელას შინაარსს შეესატყვისება და 2. განყენებული (აბსტრაქტული), სადაც გრაფიკულად გამოხატულია ერთი საგანი, ხოლო ჭრელას სახელწოდებით წარმოსახულია სულ სხვა საგანი, მათი გრაფიკული გამოსახულება არ ემთხვევა მათ სახელწოდებაში ასახულ მნიშვნელობას.

მკვლევარმა აგრეთვე დაადგინა, რომ იდეური შინაარსით ლიფანალის მხატვრობა უკავშირდება: მიცვალებულის კულტს, ღვთაებათა თაყვანისცემას, ხოლო ბუნების ძალთა აღორძინებასთან დაკავშირებით იგი მაგიური მხატვრობაა, და რომ ეს ხელოვნება (შემოქმედება) წარმოადგენს ადამიანის მიერ სინამდვილის კონკრეტული ფორმით შეცნობის ერთ-ერთ მხარეს. დადგენილია აგრეთვე, რომ ეს საწესო გრაფიკულია. ხელოვნება გამოხატავს მესაქონლე-მიწათმოქმედი ხალხის ინტერესებს და ადამიანის საწარმოო საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

მაგიური ნახატის შექმნის აქტი განიხილება, როგორც ადამიანის გარემომცველ რეალურ სამყაროზე ზემოქმედების, ბუნების ძალების დამორჩილებისა და ადამიანის სანუკვარი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

მკვლევარი კრიტიკულად იხილავს ერნსტ გროსეს, ალფრედ ფირკანტის, მაქს ფერვორნის, ჰერბერ კიუნის თეორიებს ,,სიმბოლური", მაგიური ხელოვნების წარმოშობის შესახებ, ხოლო განსაკუთრებით ჩერდება ფრანც ბოასის დიფუზიონისტურ თეორიაზე. ბოასის თეორიის მიხედვით სიმბოლური გამოსახულებანი წარმოიშობიან არა ევოლუციის გზით და შინაგანი განვითარების მიხედვით, არამედ კულტურული კონტაქტების წყალობით, ბიოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ვ. ბარდაველიძემ სვანური გრაფიკული ხელოვნების მაგიურობა გაარკვია იმ მასალის ანალიზის შედეგად, რომელიც შეაგროვა კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა გამოკვლეულია პლასტიკური ხელოვნების შესწავლის საფუძველზე (საწესო

პურები), თითონ მხატვრისა და მისი გარემოცვის მონაცემების გამოყენებით, იმისათვის რომ შეეღწია მხატვრის შინაგან სამყაროში მკვლევარმა შეისწავლა სვანური სახლი, სვანური გომური, ურთიერთობა ადამიანსა და ცხოველებს შორის, შეისწავლა ხალხური დღეობები და ბევრი სხვა რამ ქართველი ტომების მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიიდან.

სვანურ მაგიურ შემოქმედებაში კარგად ჩანს კონკრეტულ-გრძნობადი და ემოციებით შეფერილი სახეები; ამასთან ერთად მათში ასახულია უწყვეტი კავშირი, რეალურისა და ირრეალურის, იმ ადამიანთა შეგრძნებაში, რომლებიც ჩაბმულია რელიგიურ-მაგიური ხელოვნების პრაქტიკაში და წარმოადგენს საწარმოო პროცესის ერთ-ერთ მხარეს; რადგანაც მაგიური ხატვის აქტი განიხილება იმ ხანის ადამიანის მიერ, როგორც ადამიანის გარემომცველ რეალურ ბუნებაზე ეფექტური ზემოქმედების, ბუნების ძალების დამორჩილებისა და მატერიალურ საჭიროების დაკმაყოფილების საშუალება.



სურ. 2

მოვიყვანთ ამ კონცეპციის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს. სურათ 2-ზე გამოსახულია სახვნელი იარაღი და ულლის ტაბიკები. ამ ნახატს 75 წლის მხატვარი მ. ნიკარაძე, სოფელ ქიბინინდან, უწოდებს კ ა ნ ე ი ხარს, იგი აღნიშნავს, რომ დახატა ხარი, სინამდვილეში კი ხარი არ ჩანს. ამავე დროს ეს ჭრელა სავსებით კონკრეტული საგანია – ტაბიკებით გაწყობილი სახვნელი იარაღის სქემატური სახეა. ცხადია, რომ ამ ნახატით მოცემული ხარი თავდაპირველად აბსტრაქტულად არ გაიაზრებოდა, ხარი ასოცირებული იყო წარმოდგენასთან მეორე საგანზე, ამ შემთხვევაში წარმოდგენასთან სახვნელ იარაღზე, რომელიც მიწათმოქმედების პერიოდში ყველაზე აშკარად და ხშირად ხართან იყო დაკავშირებული. ამდენად ეს ნახატი წარმოადგენს არა ხარს საზოგადოდ, არამედ, მიწათმოქმედების ხარს, რომელიც ხალხის წარმოდგენაში თავდაპირველად, როგორც ჩანს, იყო ხარი პლუს სახვნელი იარაღი, ან, უკეთ, ხარი– სახვნელი იარაღი მთლიანობაში მოცემული.

ამ დროს ადამიანი ხარს წარმოიდგენდა გარკვეული დინამიკური თვისებით, იმ გარკვეული ფუნქციით, რომელიც ამ ცხოველს ახასიათებდა სახვნელ იარაღთან დაკავშირების შემწეობით. ამიტომ, თუ ადამიანს არ გააჩნდა ასეთი კავშირის ძალით მოქმედი ხარი და სახვნელი იარაღი, – მიწის დამუშავებას ვერ შეძლებდა და მაშასადამე, მას წლის მოსავალი არ ექნებოდა. ამგვარად, ამ ორ ობიექტს თან სდევდა ერთი და იგივე ემოციები, რომლებთანაც მოსავლის მიღება იყო დაკავშირებული.

ასეთი წარმოდგენებითა და ემოციებით შეპყრობილი ადამიანი თავის მზრუნველობას აგრარული მუშაობის წარმატებით ჩატარებისათვის უწინარეს

ყოვლისა მაგიურ ქმედობაში გამოხატავდა. ბუნების ძალების გაცოცხლება–აღორძინების წინ, მის დასაწყისში იგი მხვნელი ხარის ჭრელას ხატავდა. ხატავდა სახვნელ იარაღს და მას ხარის სახელთან აკავშირებდა.

ამით იგი ნახატსა და ცხოველის სახელს შორის ისეთსავე კავშირს ამყარებდა, როგორც მისი, ამ მაგიური მოქმედების შედეგად რეალურ სინამდვილეში უნდა დამყარებულიყო ხარსა და სახვნელ იარაღს შორის იმისათვის, რომ ხარი, მხვნელი ხარი და სახვნელი იარაღი მხვნელი სახვნელი იარაღი გამხდარიყვნენ.

ამ იმიტატიური მაგიის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მხვნელი ხარის „გამოხატვით" გაცოცხლებულიყო და გაძლიერებულიყო ის კავშირი ხარისა სახვნელ იარაღთან, რომელიც ხარს დინამიკურ თვისებას, სპეციფიკურ ფუნქციას ანიჭებდა და ამით მას მხვნელ ხარად აქცევდა.

ამ მაგალითთან დაკავშირებით ვ. ბარდაველიძეს მოაქვს პარალელური მასალა აფხაზურიდან, სადაც სახვნელი იარაღის ზოგადი სახელწოდება და მისი ნაწილებიც დასახელებულია ხართან კავშირში: აცამათ–სახვნელი იარაღი, რაც სიტყვასიტყვითაა ხარის ქუსლი, ასევე ხელნა ხარის || ხელნა და სხვ. აქ როგორც ვხედავთ გაიგივებულია სახვნელი იარაღი და მისი ნაწილები ხართან და ხარის ნაწილებთან.

სვანურ მასალასთან შედარებისას ირკვევა, რომ საწესო მხატვრობასა და აფხაზურ ენობრივ სფეროში ჩვენ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე საგანთან – სახვნელ იარაღთან, რომელიც ერთ შემთხვევაში გრაფიკულად არის გამოსახული, მეორე შემთხვევაში კი ტერმინებით არის აღბეჭდილი და ორივე სახვნელი იარაღი ხარს უკავშირდება.

ასეთივე კავშირი მეღვნდება ტერმინთან ხარსარაღი II ხარწარაღი, რომელიც დამოწმებულია გურულსა და იმერულ დიალექტებში და რომლითაც ორივე შემთხვევაში სახვნელი იარაღი აღინიშნება. ამ კომპოზიტურ სიტყვაში სახელწოდება „იარაღი" გამორიცხულია, რამდენადაც იარაღი თურქული სიტყვაა, რომელიც გვიან ხანაშია შემოსული. ხარსარაღი II ხარწარაღი, ისევე როგორც სახვნელი იარაღის აღმნიშვნელში სვანური ღენწეშ II ქანწეში ძალიან ძველი სახელები უნდა იყოს.

ამგვარი, მოვლენების არსში ღრმად ჩამწვდომი შეხედულებები ბევრია იმ მონოგრაფიებში, რომლებიც ვ. ბარდაველიძემ უძღვნა სვანურ საწესო გრაფიკული ხელოვნების შესწავლას[1].

პროფ. ს. ტოლსტოვმა გაიზიარა ვ. ბარდაველიძის კონცეპცია ლიფანალის მხატვრობის შესახებ, აღიარა მისი დიდი მნიშვნელობა და დასძინა, რომ ლიფანალის მხატვრობა ხელს შეუწყობს იმის ამოხსნასაც თურას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ნახატები კლდეზე (გრაფიტი), რომლებიც მრავლადაა როგორც კავკასიაში, ისე მის გარეთ[2].

ჩვენის მხრით აღვნიშნავთ, რომ სვანური ლიფანალის მნიშვნელობა უფრო იზრდება წინა აზიაში ახალი უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. ჩათალ-ჰიუკში აღმოჩენილია ძვ.წ. VII ათასწლეულით დათარიღებული საცხოვრებელი ნაგებობანი, რომელთა შიდა კედლები მოხატულია ჯვრებით, ხარის რქებით და სხვა სურათებით, რომელთა მნიშვნელობის გარკვევას ლიფანალის მხატვრობა დაეხმარება.

1975 წ.

---

[1] **ვ. ბარდაველიძე**, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953 წ.; **მიხეკი**, По этапам развития древнейших религиозных верований и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957.

[2] **Толстов С.П.** რეცენზია მსმ, ტ. XII–XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ქალაქი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება. ის ამ საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ უჯრედს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ადრე წარმოქმნილი მსხვილი და დაბური ტიპის სამოსახლოები (მათთვის დამახასიათებელი ციხით, მის გარშემო გაშლილი მოსახლეობით და ცალკე გამოყოფილი სახელოსნო უბნით). ამგვარი ხასიათის სამოსახლოები ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვისას ქალაქად გადაზრდის ტენდენციას ამეღავნებენ და კლასობრივ საზოგადოებაში ქალაქებად ყალიბდებიან. თბილისის მაგალითზე ამგვარი ვითარება შეიმჩნევა და ადრე მსხვილი დასახლების ციხე-სიმაგრე ქალაქად და დედაქალაქად გადაიქცევა.

თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ თბილისი უძველესი ხანიდან წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს. ამ ძეგლების მიხედვით კარგად ჩანს, რომ უძველეს ხანაში მოსახლეობა დაბინავებული იყო ძირითადად მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას, ყველაზე უძველესი ძეგლი აღმოჩენილია დიდუბეში (ენეოლითის ხანისა ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული და III ათასწლეულის დასაწყისი). გვიან ბრინჯაოს ხანაში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა თანამედროვე ქალაქის მარცხენა მხარე, დაწყებული დიდუბის ახალი ნიდიდან ნავთლუღის ჩათვლით.

უფრო საყურადღებო მასალა აღმოჩნდა ერეკლე მეორის სახელობის სკვერში. აქ სამი ძირითადი ფენაა (არქეოლოგი ი. გძელიშვილი[1]) I. ახალი წელთაღრიცხვის IV–X საუკუნეებით თარიღდება. ამ ფენაში იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა ფერად მოჭიქული ჭურჭელი, საბეჭდავები, სასანური და არაბული მონეტები და სამკაული. II ფენა – XI–XIII საუკუნეების ასაკისაა. აქ აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო ჭურჭელი: მოჭიქული თიხის ჯამები, სურები, წმინდად დამუშავებული წითელი კეცის ჭურჭლები, მინის ჭურჭლები; თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, მინისა და რკინის წარმოების ნაშთები. ეს გარემოება მიუთითებს მასზე, რომ ამ ბაღის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სახელოსნოები ჩანს. ამავე ასაკისაა განჯის კართან აღმოჩენილი მეთუნეთა სახელოსნო. III ფენა – XIV–XVIII საუკუნეებით თარიღდება. ამ ფენაში აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლები, რომელთაგან ორზე ქართული წარწერაა. აქვე იქნა აღმოჩენილი XVII–XVIII საუკუნის წყალსადენის მილები წყლის გამანაწილებელი რეზერვუარით; აგრეთვე კედლის შელესილობის ფრაგმენტები, ჩუქურთმიანი დაგარაჯანი თონე და ფაიანსის ჯამი. ჩატარებული გათხრების დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე სხვადასხვა ტიპისა და ეპოქის ელემენტები. ბაღში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა უთუოდ დიდი მნიშვნელობის წყაროა თბილისის ისტორიის, კერძოდ, ფეოდალური ხანის ყოფაცხოვრების შესწავლისათვის.

თბილისის ქალაქად წარმოქმნა მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის მიჯნაზე მოხდა. მაგრამ მისი წარმატებების და აყვავების ხანა ფეოდალიზმის ხანას დაემთხვა. აქედან გასაგებია ფეოდალური ხანის თბილისის საყოფაცხოვრებო საკითხის შესწავლისადმი ჩვენი ინტერესი.

[1] ი. გძელიშვილი, ლ. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961 (მითითება ჩვენია თ.ც.).

ვიდრე ფეოდალური ხანის ტფილისის ყოფის საკითხებზე გადავიდოდეს, შევეხოთ თბილისის სახელწოდებას. სახელწოდება **ტ ფ ი ლ ი ს ი** უძველეს ქართულ სახელწოდებათა რიცხვს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა იმდენად ამ სიტყვის ძირს ტფილ-ის, არამედ მის მორფოლოგიურ ნაწილაკს ის-ს. გენეტივის აღმნიშვნელი ეს ნაწილაკი უძველესი დროის ქართველების დასახლებული პუნქტების სახელწოდებებშია დამოწმებული. მაგალითად, ურბნისი, ძალისი, ქუთაისი. ეს ნაწილაკი უხვადაა წარმოდგენილი ქართველი ტომებით დასახლებულ კაპადოკიის ტერიტორიაზე ხეთების დროს. რაც შეეხება ტფილის–თუბალ სახელთან დაკავშირებას, მართებულად არ გამოიცქირება, ვინაიდან თუბალის მეორეგვარი ახსნა, რომელიც ამ ძირს ტბას უკავშირებს, უფრო სწორი უნდა იყოს (ა. შანიძის ეტიმოლოგია). აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ სიტყვის–**ტფილ**ის მსგავსება ინდოევროპული ენების სისტემის ჯგუფის **темп**–ისთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. ქართულ ენას შემოუნახავს არა ერთი სახელწოდება, რომლებიც ინდოევროპულ ენებთან გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებენ.

სახელწოდება ტფილისი აღმოსავლურ ენებში Tafilis და Taflis–ფორმებითაა შემონახული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამავე ენებში თბილისი სხვა სახელწოდებითაც მოიხსენიება. მას შერქმეული ჰქონდა ეპითეტი დარუსსორური, რაც ნიშნავს სიხარულის სახლს, სიხარულის ქალაქს. ამგვარი ეპითეტები ჰქონდა შერქმეული ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ბევრ დიდ ქალაქს: სტამბოლს, იერუსალიმს, ისფაანს, არდებილს, სამარყანდს და სხვა.

აღმოსავლურ მწერლობაში გაბატონებული აზრის მიხედვით თბილისი იყო მზის, სიყვარულის, ღვინისა და გონებამახვილი ულამაზესი მოსახლეობის ქალაქი. დასახელებულ მწერლობაში თბილისის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების შესახებაც მოიპოვება საყურადღებო ცნობები. ერთი მწერლის ნაშრომში ვკითხულობთ: თემურ-ლენგის ჯარები საქართველოში შემოსევის დროს ჩეხდნენ ვენახებს და ხეხილს, არბევდნენ და აქცევდნენ ყველაფერს, რათა ეკონომიურად გაენადგურებინათ ქვეყანა. ირანელი ისტორიკოსი ვენახის გაჩეხვის შესახებ ამბობს, რომ ისლამის ლაშქარს უნდოდა ვენახების მოსპობით უგემური გაეხადათ ურჯულო ქართველების ცხოვრება, რადგან მათ (ქართველებს) ვერ წარმოედგინათ სიცოცხლე უღვინოდ და ულხინოდ.

მეორე ავტორი, საქართველოს ერთი მეტად ძლიერი ციხის (ბირთვისის?), გარემოცვის აღწერის დროს გადმოგვცემს, რომ ალაშმორტყმულ ქართველებს სრული იმედი ჰქონდათ თავისი ციხის მიუდგომლობისა და ლხინისა და სიმღერებში ატარებდნენ დროს, როგორც ეს მათ სჩვეოდათო.

გარდა ამისა, თბილისი სახელმოხვეჭილი ქალაქი იყო მახლობელ აღმოსავლეთში. მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფი იაყუტი ტფილისის ვრცელი აღწერილობის ბოლოს მოიხსენიებს აბუ აჰედ ჰამიდ ბენ თბილისელს, რომელიც განთქმული ყოფილა ბაღდადსა და სხვა ქალაქებში; ასევე ცნობილია თბილისელი მეცნიერის შრომები (არაბულ ენაზე), რომლებიც მედიცინასა და ფარმაკოლოგიის დარგს განეკუთვნება. უპირველეს ყოვლისა, მას იცნობდნენ როგორც მეცნიერებისა და პოეზიის მნიშვნელოვან ცენტრს. X–XIII სს. აქ აღმავლობის გზაზე იყო შემდგარი საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დარგები, კერძოდ: მედიცინა, ფარმაკოლოგია და ასტრონომია. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი XVIII საუკუნის თბილისში განაგრძობს არსებობას, რასაც

ეფემერული ფანტაზია

(ფანერაზე ტექნიკა, 90x60 სმ)

ეფემერული ფანტაზია

(ფანერაზე ტექნიკა, 90x60 სმ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელი (ილუსტრაცია ზ. ფეიქრიანისა)

ნიკოლოზ (ილუსტრაცია ზ. ფეიქრიანისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭერმეტყველურად ადასტურებს ვახტანგ მეექვსის ასტროლაბი, რომელიც ჩვენ დრომდეა მოღწეული და ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ძველი ხანის თბილისში საბუნებისმეტყველო დისციპლინების დაწინაურების შესახებ წერენ X–XIII საუკუნეების არაბი, ებრაელი და სპარსელი მწერლები (შდრ. ა. ბროკელმანი, არაბული ლიტერატურის ისტორია). არის აგრეთვე ყრუ ცნობა იმის შესახებ, რომ შუა აზიის ერთ დიდ კულტურულ ცენტრში მოწყობილ თავყრილობას თბილისელი მეცნიერიც ესწრებოდა.

შუა საუკუნეების მოგზაურები აღნიშნავენ, რომ ტფილისი თავისი გარეგანი ხედით და ყოფის შინაგანი რეალიებით ინდივიდუალურია: აღმოსავლურ უბნებში ევროპულია ჩაქსოვილი, ხოლო ევროპულში – აღმოსავლურიო. გიორგი ბრწყინვალეს თანამედროვე ევროპელი მოგზაურები კიხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ტფილისი მნიშვნელოვანი, მრავალმოსახლიანი, ყოველგვარი სიკეთით დაჯილდოებული ქალაქიაო“.

თუ დავეყრდნობით მოგზაურთა ცნობებს ქალაქის გარეგანი იერ-სახის აღწერისას დავინახავთ, რომ სახლების განლაგება ქალაქში ტერასულია, მათ ბანიანი სახურავები აქვთ, რომელზედაც მამაკაცები და დედაკაცები დასეირნობენ და ზაფხულის ცხელ ღამეებში სძინავთ ხოლმე.

ზემოთქმულს მოგზაურები დასძენენ, რომ შეძლებულ მოქალაქეს უმეტეს წილად **დარბაზული** ტიპის სახლები აქვთ, რომელთა დამახასიათებელი თავისებურება გვირგვინიანი სახურავიაო. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფეოდალური ხანის თბილისში ისეთი სახლებიც ყოფილა, რომლებიც ტიპოლოგიის თვალსაზრისით ძველ ქართულ გვირგვინიან–ბანიან სახლს განეკუთვნება. როგორც მოგზაურები აღნიშნავენ, ამ ტიპის სახლის თავისებურების მიხედვით შუქი მას ერდოდან ჩაუდიოდა ხოლმე, ხოლო თავისი კონსტრუქციის წყალობით ზაფხულში გრილი და ზამთარში – თბილი იყო ხოლმე, რაც ცხადია, კარგად იყო შეგუებული თბილისის კლიმატურ პირობებთან.

ზემოთქმულის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინიან–ბანიანი სახლის ტიპი ქართველი ხალხის უძველეს კულტურულ ფონდს ეკუთვნის. ნაგებობის ეს ტიპი ჩვენ დამოწმებული გვაქვს არა მარტო ფეოდალური ხანიდან, არამედ მასზე ადრეც. ასე იგი ცნობილია ვიტრუვის მონაცემების მიხედვით და აგრეთვე კაპადოკიასა და მცირე აზიაში, სადაც ქართველებით დასახლებულ ადგილებში გვხვდება ძვ.წ. IV–V საუკუნეებიდან. აქ ის გამოყენებულია აკლდამების ნაგებობებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამ სახის ნაგებობის მცირე აზიაში წარმოშობის შესახებ (ფ. ბაუმჰაუერი), მაგრამ ეს შეხედულება საჭიროებს უფრო მეტ დასაბუთებას.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების გავრცელების არეალი მეტად დიდია და ამ მასალის გათვალისწინება საკითხის გადაჭრის დროს აუცილებელია. რაც შეეხება ამ ნაგებობებისათვის განკუთვნილ სახელწოდებას, ის ძველი ჩანს და დაკავშირებულია არა სპარსულთან, რომელშიც ეს სახელწოდება შესულია არაბულიდან, არამედ ძველ ბაბილონურთან, სადაც ეს სიტყვა ისეთ ნაგებობას აღნიშნავს, რომელშიც საქონელი ინახება, სალარო (შდრ. სვანური–დერეფ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანო დროის ცნობებიდან ვიცით, რომ (X საუკუნეში) ტფილისის ციხეს მიუვალია, რომ აქ ბევრი შენობაა, ბაზრები და სავაჭრო სახლები ქვითკირით ნაშენი, ქარვასლები და მგზავრთა თავშესაფარი. საუცხო მეფის სასახლეები მტკვარზე გადაკიდებული იყენებიან.

მრეწველობა და ვაჭრობა ტფილისში წარმოდგენილი იყო **ქარხანასა** და **დუქანში**. ქარხანად ყოველგვარი, როგორც კერძო ისე სამეფო სამეურნეო-სამრეწველო დაწესებულება იწოდებოდა. იმისდა მიხედვით, თუ მრეწველობის რომელ დარგს აწარმოებდნენ, იწოდებოდა ყასაბხანად, დაბაღხანად, ან ჭურჭლის ქურახანად. ვახტანგ VI-ის დროს ზოგიერთი ქარხანა მეფის განსაკუთრებული საკუთრება იყო. მაგ. ყველა სამღებრო და ჭურჭლის ქარხანა. ორი ან სამი მუშახელიდან შემდგარი ერთეული **სახელოსნად** იწოდებოდა, ხოლო ხუთი, ექვსისა და მეტისაგან–ქარხანად; ქარხანაში მომუშავენი იყოფოდნენ: ხელოსნებად, ქარგლებად, შეგირდებად. დუქნებში დაზგები იდგა. დაზგა–სავაჭრო და სამრეწველო დახლსაც ჰრქმევია.

ტფილისი სავაჭრო ქალაქადაც იყო ცნობილი. თუ რა დიდი არეალი ჰქონდა თბილისის საგარეო ვაჭრობას საკმარისია ის ფაქტებიც, რომ თბილისში მოჭრილი მონეტები (X საუკუნე) ნაპოვნია შუა და ჩრდილოეთ რუსეთში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აგრეთვე გერმანიასა და სკანდინავიაში. უცხოეთში გაჭონდათ კახური და ქართული ღვინო, ენდრო; შემოქონდათ უშთავრესად მზა საქონელი ირანიდან და ოსმალეთიდან, ხოლო ევროპიდან – ეგრეთ წოდებული ფრანგული საქონელი.

მეორე მხრით, ფეოდალური თბილისის უმნიშვნელოვანეს ნაგებობებს **სახელოსნოები** წარმოადგენს, რომელთა არსებობა დასტურდება როგორც არქეოლოგიური, ასევე წერილობითი წყაროებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით. სახელოსნო ნაგებობებს ტფილისში ციხის გარეთა უბნებში ვხედავთ, სადაც სახელოსნოებთან ერთად სათანადო ქურებია დადასტურებული (ერეკლეს სახ. სკვერი[2], განჯის კარი[3]).

ვაჭარ-ხელოსანნი მრავალ **რიგად** იყოფოდნენ. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭლეულს. ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენაქლემის მოკაზმულობას, ვაჭრობდნენ პუოს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაუდს, ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანს და სანოვაგეს.

მე-XVII საუკუნის თბილისში ხელოსნობის შემდეგი დარგებია წარმოდგენილი: მეპურეები (ხაბაზები), ბაყლები, მეთევზეები, სირაჯნები, ბაზაზები, მეწვრილმანეეები, მკუპრავები, საზანდრები, მღებრები, მესატვრეები, ოქრომჭედლები, მეჩახმახეები, მჭედლები, მკალავები, მექვაბეები, ნალბანდები, დაბაღები, ჯონები, ხარაზები, მეწე უღლეები, ფეიქრები, მკერავები, მექუჩქეები, მჩითავები, მეწოსქვილეები, მეფურნეები, მზარეულები, კალატოზები, ხეროები, ქვის მჭრელები, მესანთლეები, მეზეთეები, მეურმეები, მეაბანოეები, ჩორვადრები, მეჯორეები, მენახშირეები, დალაქები, ჩარჩი, მუშა, ვაჭარი და სხვანი.

---

[2] **ი. გელეიშვილი, ო. ტყეშელაშვილი**, დასახ. ნაშრომი.

[3] **ვ. ლიმითაიძე**, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955; **ო. ჯაფარიძე**, „განჯისკარის" 1948 წლის გათხრის ანგარიში, იმავე კრებულში.

სურ. 1. თბილისის ოქროამჭედელთა სახელოსნო

თითოეული დარგის მოხელეები ეკუთვნოდნენ ერთ კავშირს, ერთ **ასნაფს** ან კიდევ **საამქროს**, ან **თაბუნი** ეწოდებოდა. თაბუნს ჰყავდა თავისი **უსტა-ბაშა**||**უხუცესი**||**უფროსი**, **მამასახლისი**, **ასკაკალი** (კეთილსინდისიერნი), **ხაზინადარი**, **ალამდარი** და **შიკრიკი**. საამქრო ემორჩილებოდა განსაზღვრულ წესებს და მტკიცედ იცავდა ტრადიციებს. საამქროს ჰქონდა აგრეთვე დროშა. ამქრის მედროშედ საგანგებო პირი იყო გამოყოფილი – **ალამდარი** (ი. გრიშაშვილი). ამქრის დროშაზე გამოსახული იყო ამქრის მფარველი წმინდანი, ხარაზების დროშაზე – **ელია**, ხუროების – **ნოეს კიდობანი**, მეთუნეების – **ღმერთი**, მეპურეების – **ქრისტე**, **ადამი** და **ევა**, მექვაბეებისა და მჭედლების – **ივანი** და **თობელი**. როგორც ცნობილია, ივანსა და თობელს როგორც ქართველების წინაპრებს, სახელი ჰქონდათ მოხვეული, როგორც რვალისა და რკინის პირველ ხუროებს. ამქრის დროშების უმრავლესობაზე **წმ. გიორგია** გამოსახული, რომელიც მრავალი ხელობის გამჩენად გვეელინება. ამის ანალოგი ქართველთა უძველესი სარწმუ-ნოების გადმონაშთებშია დადასტურებული. მაგ. სვანების **სოლანი** და

სურ. 2. თბილისელ ოქრომჭედელთა ამქარი

მეგრელების სალლიმ, წარმოდგენილი არიან, როგორც 363 ხელობის გამჩენი და მფარველი ღვთაებანი. ხევსურული პარეშეშიც რამდენიმე ხელობის გამჩენად ითვლება, ხოლო აფხაზების შშა სვანურ-მეგრული სოლან-ის მსგავსია.

ასნაფის თვითოეული წევრი ამქრის, ამხანაგობისა თუ უსტაბაშის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდა. საზოგადო, საამქრო საქმეების გარჩევა-გადაწყვეტა თვით ასნაფზე იყო დამოკიდებული; უსტაბაშსა და ასნაფის წევრებზე, ხელოსანთა საზოგადო კრებაზე. ასე მაგალითად, გათარხნებულ ასნაფის წევრს, გადასახადებიდან საამქრო ანთავისუფლებდა. უსტაბაში ასნაფის თავი და წარმომადგენელი იყო მთავრობის წინაშე და განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მთელი ამქარი რაიმე დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა, იგი თავის ასნაფს წინამძღოლობდა.

ამქრის წესდების მიხედვით შეგირდი 5 – 6 წელიწადს სწავლობდა ხელობას. შეგირდსა და ხელოსნის ურთიერთობას სათანადო ხელშეკრულება აწესრიგებდა. სწავლის დასრულების შემდეგ შეგირდს უფლება ენიჭებოდა დალოცვა გამოეთხოვა. შეგირდის ხელოსნად დალოცვა გაზაფხულზე ხდებოდა. კეთილ-სინდისიერთა ჯგუფი ჯერ გამოცდიდა შეგირდს–გააკეთებინებდნენ ხელობის ერთ-ერთ ნიმუშს.

დანიშნულ დღეს ამქარი დროშით ქალაქგარეთ წავიდოდა. ამქარს თან მიყვებოდა ხელდასასხმელი პირიც, რომელსაც აბრეშუმის განიერი სარტყელი ერტყა, რომელშიც მისი ხელობის დამახასიათებელი იარაღები ერჭო. ქალაქ გარეთ, ბაღში დასალოცად გამზადებულის ხარჯზე სუფრას გაშლიდნენ, დაიკვლებოდა საკლავი. ამქრის უსტაბაში ხელდასასმელ ჭარგალს ჯერ დალოცავდა სათანადო ტექსტით, შემდეგ ცალი ხელით ორივე ხელის ცერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჭერდა და სამჯერ შემოკრავდა სილას ლოყაზე (მარჯვნივ და მარცხნივ). წესის მიხედვით ხელდას-მული უსტაბაშს მიართმევდა სარტყელს ან ბაღდადს.

ხელდასმის წეს-ჩვეულების ძირითადი მიზანი იყო ახალი წევრის ინკორპორაცია საამქროს გაერთიანებაში. ამის შესაბამისად წეს-ჩვეულება ითვალისწინებდა ორ მომენტს: სილის გარტყმა და ცერების დაჭერა. სილის გარტყმა ხელდასასმელის მომწიფების სიმბოლური ნიშანი იუნდა ყოფილიყო; ცერების დაჭერა, ცერების შეკვრა, ამქრის წესების შეკრულობას, მის სიმტკიცესა და დაცვას ასახიერებდა. ეს უკანასკნელი ნამდვილი ხელით შეკრულობა-ხელ შეკრულება იყო, რომლის საფუძველზეც ახლად ხელდასმული ურაკუთვან უნდა მდგარიყო ამქრის წესებზე[4].

როგორც ცნობილია, ამქრული ორგანიზაცია დამოწმებულია ფეოდალური ხანის ბიზანტიის, სპარსეთისა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში. კ. მარქსი ამქრული ორგანიზაციას ნიშანდობლივ თავისებურებად მიიჩნევს დას. ევროპის შუა საუკუნეების ქალაქებისათვის. დამოწმებულია ის იმპერატორ ტრაიანეს ხანაში მცირე აზიაში (ახ.წ. I ს. დასასრული II ს. დასაწყისი). ეს კარგად ჩანს იმ მიმოწერიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტრაიანეს და პლინიუს უმცროსი სეკუნდუსის შორის. ირკვევა, რომ ამ დროს ამ გაერთიანებას **ერანოს**-ი ეწოდებოდა. იგი დამახასიათებელი მოვლენა ჩანს მცირე აზიისათვის, ხოლო რაც შეეხება ტერმინს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მცირე აზიის უძველესი აბორიგენი მოსახლეობის ენიდან არის ბერძნულში შესული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ ორგანიზაციის მიკუთვნება ადგილობრივი მცირეაზიელი ინ მოსახლეობისადმი, რომელიც განთქმული იყო ლიფონის დამუშავებით. ჩვენ მხედველობაში გვყავს ალიბები, ხალიბები, ხალდები, თობალები, მოსინიკები. ამქრული ორგანიზაცია დამოწმებულია ასურეთშიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისსა და საქართველოში ამქრული ორგანიზაცია სპარსეთიდან XVII–XVIII სს-ში შემოტანილი მოვლენაა და არა ადგილობრივ აღმოცენებული – ეს შეხედულება მართებული არ არის. მას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან წარსულში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და უძველესი ხანიდან მომდინარეობს.

კერძოდ, შევეხებით ხელოსნობის იმ დონეს, რომელიც თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მაღალ დონეზე იყო აყვანილი და საყურადღებო მონაპოვრებით ხასიათდებოდა – ოქრომჭედლობა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სევადის ორნამენტის გამოყენა. სევადის ხელობა საქართველოში დადასტურებულია მეათე საუკუნიდან, ხოლო შეუმოწმებელი ცნობით განათხარი მასალის მიხედვით–მეოთხე საუკუნის ნივთზე. ეს ყველაზე უძველესი თარიღია ამ ხელობისათვის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოლიხრომიის ყველაზე უძველესი ნიმუში კავკასიაში დადასტურებულია, საქართველოში, კერძოდ ახალციხის რაიონში. სპეციალისტები თვლიან, რომ პოლიქრომია კავკასიიდან გავრცელდა ძველ აღმოსავლეთში და აქედან კი სხვა ქვეყნებში.

სევადა საქართველოში რამდენიმე სახითაა წარმოდგენილი. სევადის დამზადების რამდენიმე წესი არსებობს: სვანეთში, ხევსურეთში, ლეჩხუმში და სხვა კუთხეებში. სვანეთში ამ ხელობას ქალებიც კი ფლობდნენ. სხვაგან ამგვარ

[4] შენიშვნა, დაწვრილებით იხ. **გ. ჩიტაია**, ოქრომჭედლობა საქართველოში, „შრომები", ტ. I, თბ., 1997, გვ. 237–280 (თ.ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებას და სევადის ნაირსახეობის არსებობას ჩვენ არ ვიცნობთ. ეს კი თავისთავად ამ ხელობის სიძველის მაუწყებელია. ამჭრელ ორგანიზაციაში მრავალი სხვა მხარეებიცაა საყურადღებო, მაგრამ მათზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

საინტერესოდ გამოიყურება ძველი თბილისის სოციალური ყოფა. ქალაქის გამგედ მოურავი ითვლებოდა. ქალაქში ერთი მოურავი იყო, რომელსაც მეფე ნიშნავდა. იგი იყო ქალაქის პატრონი, ზრუნავდა ქალაქისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე, მათი ქონებისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე. მას უნდა დაემყარებინა სამართლიანობა და მცხოვრებთა ზნეობისათვის თვალყური ედევნებინა. მის ფუნქციებში შედიოდა საჩივრების გარჩევა, დამნაშავის შეპყრობა-გასამართლება; ქალაქის მოურავი ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებასაც ადევნებდა თვალყურს: აღებმიცემობას და მის კანონიერ წარმოებას, ნიხრის დაწესებას ყასაბებზე, მეთევზეებზე, ახალქალაქისა და ახალციხის ხილზე, განჯის ყურძენზე. კანონი ბრძანებდა, რომ „მოურავმა სამ თვეში ერთხელ უნდა ნიხრი მისცეს ქალაქსო". ამავე დროს მეფის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი აწესრიგებდნენ ბაზარს, ამოწმებდნენ საწყავ-საზომებს. „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს, და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეამჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვასო".

თბილისის მართვის ამგვარი წესი რიდი იყო უცვლელი. ცნობილია, რომ ერთ დროს ტფილისში დემოკრატიული მმართველობაც იყო. დემეტრე მეფის სამსახურში მყოფი არაბი ისტორიკოსი წერს: „თბილისი დაახლოებით ორასი წლის მანძილზე ადგილობრივი მმართველი გვარის ბანუ-ჯაფარის ხელში იყო. შემდეგში ამ გვარის უფროსი წარმომადგენელი ამოწყდნენ და ქალაქის მართვა მოსახლეობის ხელში გადავიდა. თითოეული მათგანი მართავდა ქალაქს თითო თვე. ასე გაგრძელდა ორმოცი წელიწადი".

ცხადია, შინაგანი წინააღმდეგობა მოქალაქეებსა და არაბ მუსულმან სენიორებს შორის მოქალაქეების სრული გამარჯვებით დასრულებულა, მათ მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადაქცეულ **თბილისი** ქალაქ–რესპუბლიკად.

ვრცელი და მრავალფეროვანია თბილისის ისტორია. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მას მრავალი ავბედობა გამოუვლია და მრავალი ჭირი დავეება გადაუტანია. მრავალჯერ იყო თბილისი მტრების მიერ დაპყრობილი. თბილისი დაუნგრევიათ და თბილისელების სისხლში უბანავიათ: ხაზარების კაგანს, მურვან ყრუს, ალფარსლანს, ჯალალედინს, ჯალათას, ჩინგისყენს, ულუხანს, მანგუხანს, თემურლენგს[5], შაჰაბასს და დასაჭურისებულსა და კეთროვან აღამაჰმადხანს. გადმოგვეცემენ, რომ აღამაჰმადხანი მოილტვოდა თბილისში იმ იმედით, რომ თბილისის აბანოში ბანაობით განიკურნებოდა უკურნებელი სენისაგან. როდესაც ის დარწმუნდა, რომ თბილისის აბანოში ბანაობამ იგი კეთრისაგან ვერ იხსნა, ცოფმორეულმა დანგრეული ქალაქის მიწასთან გასწორება ბრძანა.

მაგრამ თბილისი არასოდეს არ დამორჩილებია სისხლისმსმელ ტირანებს და ვითარცა ზღაპრული ფასკუნჯი ფერფლიდან მკვდრეთით დგებოდა, სწრაფად იკრებდა ძალებს და აღორძინების გზაზე დგებოდა.

---

[5] **თემურლენგმა** შეიჭრერ იბანავა ქართველი ხალხის სისხლში და შეიჭრერე ამაოდ შეეცადა ჩამოერეცხა ის თბილისის აბანოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ერთი იმ ქალაქთაგანია, რომლის მჩქეფარე ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო მრავალფეროვანი, მდიდარი და ორიგინალური ხალხური სანახაობანი. ქალაქის მოსახლეობა მეტწილად დროს სახლის ბანზე ატარებდა, საიდანაც საღამოობით გაისმოდა მღერა და მუსიკა, იმართებოდა ტაშფანდური. მაგრამ ხალხურ სანახაობათა შორის ყველაზე უფრო მიმზიდველი ყაბახი, დოღი, ბერიკაობა–ჯენობა და შაირობა იყო. ყველა ამ სანახაობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მონაწილეთა შორის შეჯიბრს (ჯგუფურსა და პირადულს) ვარაუდობდა და მასში გამარჯვებულებს საყოველთაო მოწონება ხვდებოდა წილად. ამიტომაც ამბობდნენ იმ დროს: „მრავალნი არიან ასპარეზსა ზედა, ხოლო ერთმა მიიღოს ნიჭი", ჯილდო ერთს ერგებოდა.

ძველ თბილისურ სანახაობათა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ცხენბურთი. იგი წარმოადგენს ხალხური ცხენოსნული სპორტის ძველსა და მეტად საინტერესო სახეობას. სპორტის ამ სახეს ძველად **ჩოგანი, გადრი, რადი** და **რადრაბაგანი** ეწოდებოდა.

სურ. 3. ცხენბურთი – რადრაბაგანი ქრ. კასტელის მიხედვით

XVII საუკუნეში არსებობდა ცხენბურთის ორი მკვეთრად ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობა. ერთი მაგანი გულისხმობდა ორი დაპირისპირებული ჯგუფის ისეთ თამაშს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ბურთის გატანა ლელოში (მაყაში), ხოლო მეორე რამდენიმე პირთა შეჯიბრის ბურთის გატაცებასა და მის გათამაშებაში. ეს უკანასკნელი წესი ცხენბურთისა კარგად აქვს აღწერილი თეიმურაზ II ერთ-ერთ თავის ნაშრომში. ჩვენ აქ ვკითხულობთ:

„ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს ეძახიან,
გადრის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგზიან,
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კაცსა მებურთალსა შეადრიან
და ოთხისთვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.
ის არის, რომე ცხენ-ბალგთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეაგდოს მან მაღლა ცხენისა თამაშობითა,
როს ჩამოვიდეს, ხელ-ფიცხად მიუხდეს კაის ცოდნითა,
და ბურთი შეხტეს, შემოჰკრას, ხელ-რადათ მაღლა ტყორცნითა".

რადრაბაგანი ქართული წარმოშობის ბურთაობაა. „თბილისის აღწერაში" დოინჯო კარლი (XVII ს.) წერს: „ამ თამაშობაზე რადრაბაგანისათვის ჩოგნები

ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური რაკეტების (ბურთის სათამაშოდ რომ იხმარება) მსგავსადაა გაკეთებული, მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდომნი თამაშობენ. ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი სჯობია. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება (ჩვენს ბურთზე უფრო დიდია)... სპარსელები, რომელნიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა ამ და სხვა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღწერენ მათ, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებას".

ამ ქართული თამაშით არანაკლებ მოზიბლულან სხვა უცხოელებიც, რომელთაც ეს თამაში თბილისში ან კიდევ საქართველოს სხვა კუთხეებში უნახავთ.

თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარ მეფესთან ამირმირმანნის მიერ „შესახვწლად ძღუნითა ურიცხვითა" წარმოგზავნილ დესპანებს თბილისში „ბურთაობა" უჩვენეს, რასაც სტუმრები განცვიფრებაში მოუყვანია. სტუმრებს აღუნიშნავთ, რომ „ერაყსა, ადარბაგანსა და ერანსა ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილანო", არ ყაეთო.

ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ოდესღაც ფართოდ გავრცელებული რადრაბაგანი დავიწყებას მიეცა და ჩვენს დრომდე მხოლოდ მისმა გადმონაშთებმა მოაღწია.

ჩვენმა დედაქალაქმა დიდი როლი შეასრულა ამ უძველესი, ორიგინალური სპორტის სახეობის რადრაბაგან – ცხენბურთის აღდგენა-გავრცელებაში. თბილისში კვლავ ჩამოყალიბდა პირველი ცხენბურთელთა გუნდი, რომელიც მრავალგზის წარმატებით გამოვიდა თბილისსა და მოსკოვშიგამართულ შეჯიბრებებზე. ქართველებმა კვლავ გაუთქვეს სახელი ამ იშვიათ, შესანიშნავსა და სილამაზით აღსავსე სანახაობას.

წინათ არანაკლებ საინტერესო ასპარეზობა იყო **დოღი, ყაბახი, ისინდი** და სხვა სახალხო სანახაობანი, რომლებიც თბილისის მიდამოებში იმართებოდა. აქ შეჯიბრში მონაწილეობდნენ ხალხის წიაღიდან გამოსული მგოსნებიც, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს საჯაროდ კითხულობდნენ და ამით ხალხის მოწონებას იმსახურებდნენ. მათ შემოქმედებაში ჩაქსოვილი იყო ადამიანის სულის სინატიფე, ღრმა გრძნობა და სამშობლოს სიყვარული. მაყურებელი აქ ისმენდა **ვასსანაყს** –გამქირდავ ლექსებს, რომლებშიც დაგმობილი იყო ქვეყნის მმართველთა უარყოფითი მხარეები და საყოფაცხოვრებო ნაკლოვანები. ვისაც ასეთი გამქირდავი ლექსი შეეხებოდა – უფრო მძიმედ განიცდიდა მას, ვიდრე ტკივილს კენჭაობის დროს მიღებული ჭრილობისაგან. ხალხში გამომუშავებული იყო ის შეხედულება, რომ ადამიანი ჭრილობას ადვილად მოიშუშებს, ხოლო გამსენავი ლექსი თაობიდან თაობას გადაეცემა და სამუდამოდ რჩება ხალხის მეხსიერებაში, საიდანაც მას ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის.

თუ კარის პოეტები სასახლის კარზე იკრიბებოდნენ და იქ მართავდნენ შეჯიბრებას, ხალხის წრიდან გამოსული მგოსნები ასპარეზზე მოქმედებდნენ და თავიანთ ჯილდოს იქ იმსახურებდნენ. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ თბილისი დევნილი პოეტების თავშესაფარი ქალაქიც იყო, სადაც ისინი ნოყიერ ნიადაგს პოულობდნენ შემოქმედებითი მუშაობისათვის.

თბილისის ისტორიის ბრწყინვალე პერიოდშიკავკასიის სხვადასხვა კუთხის ხალხური მგოსნები თავყრილობას აქ ესწრებოდნენ და მასში მონაწილეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებდნენ. ძველად კავკასიაში ცნობილი იყო რამდენიმე სახელმოხვეჭილ მოშაირეთა მსხვილი ცენტრები. ამათ რიცხვს ეკუთვნოდნენ: თბილისი, ფშავი (ფხოეთი), მესხეთი, ყარაბაღი და საჩერქეზო. თბილისის სასპორტო მოედანს არაერთხელ უნახავს ფშაველი და მესხი მოშაირე, ყარაბაღელი აშუღი და ჩერქეზი გეკუაკო. მოშაირე, აშუღი და გეკუაკო თავიანთ სტვირს, ჭამაჩასა და ხაროს მომართავდნენ და ლექსს მოაყოლებდნენ. ხალხი მათ სულგანაბული უსმენდა და გამარჯვებულებს ქებით აჯილდოებდა.

სხვაც ბევრი იყო სანახაობა ძველ ტფილისში, რაც საუკუნეების მანძილზე გამომუშავდა, ხალხის გულსა და გონებაში შეიჭრა და მას შეესისხლხორცა.

თბილისის ყოფის შესწავლა ფეოდალურ ხანაში კიდევ ბევრ საინტერესო მოვლენებს გამოავლენს, როგორიცაა ჩაცმა-დახურვის, გართობა-სანახაობების, შრომითი და საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკური ფორმები, რაც შემდგომ შესწავლას საჭიროებს და ახლნის დღეისათვის ყველასათვის ცნობილ და თავისი შინაარსით ბევრის მთქმელ ცნებას „**თბილისური ყოფა**“.

1958 წ.

(ძველი ლეგენდები)

ქართველები, ისევე როგორც მონათესავე კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხები, ეკუთვნიან ხალხთა იმ დიდ ოჯახს, რომელსაც მეცნიერებაში იბერიულ-კავკასიური (ან სუბარული, ალაროდიული, აზიანური, კავკასიური) ხალხთა ოჯახი ეწოდება. ხალხთა ამ ოჯახში ივარაუდება სემიტებზე, ინდოევროპელებზე, თურქ-მონღოლებზე ადრინდელი კავკასიის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის მოსახლეობა. ამ ოჯახის წარმომადგენლებლად მიჩნეულია უკიდურეს დასავლეთით პირინეის იბერები. ამათგან დღემდე ცოცხლად შემონახული ბასკები, ხოლო უკიდურეს აღმოსავლეთით – სუმერები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმოსავლეთ ირანსა და წინა ინდოეთის არიელებზე ადრინდელ მოსახლეობას ჰებირებს[1].

ᲕᲐᲨᲘᲡ ᲧᲕᲐᲧᲘᲚᲝᲑᲐ
Ზ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘ
ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲤᲘᲡ

ქართველ ტომებს უძველესი ხანიდან ეჭირათ ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთით კავკასიის ქედიდან მოყოლებული ტბების ზეგნამდე და ევფრატისა და ტიგროსის სათავეებამდე სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო ჭოროხის აუზი და კაბადუკია სამხრეთ-დასავლეთით. ამ ტერიტორიაზე ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში (პირველი ათასეული ძვ.წ.) ქართველების წინაპრებმა შექმნეს რიგი მონათმფლობელური სამეფოები.

უძველესი ხანიდან ცნობილ ქართველ ტომებს ეკუთვნიან: თუბალები (ებრაული, ასურული წყაროების მიხედვით), მუსკები (ასურული წყაროების მიხედვით), ხალდები (იგივე ხალიბები, ჭანები), სასპეირები, ტაოხები (დიაუხი – ლურსმული წყაროების მიხედვით), კლარჯები (კატარზა – ლურსმული დამწ. მიხედვით), კოლხები (ლურსმული წყაროების მიხედვით კულხა), შავშელები (შოშეტინა – ლურსმული დამწერლობის მიხედვით), სვანები და სხვა, ხოლო შუა საუკუნეებში: ქართები, ჰერები, მესხები, კლარჯები, ჭანები, შეგრელები, სვანები, აფხაზები და სხვა.

ქართველ ტომებში ადრე ჩასახული ერთობლიობის შეგნება შემდგომ ხანებში უფრო მეტად მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა. ამას ხელს უწყობდა ქართული ენის, როგორც საყოველთაო სახალხო და სალიტერატურო ენის

[1] J. Karst, Urbevölkerung der Mediterraenusee, Strasburg, 1929.

ჩამოყალიბება, რომელიც ერთადერთი სალიტერატურო ენა იყო ყველა ქართველი ტომისათვის: ქართლელებისა, კახელებისა, ჰერებისა, მესხებისა, მეგრელებისა, ლაზებისა (ჭანებისა), სვანებისა, კლარჯებისა, აჭარლებისა, აფხაზებისა და სხვა.

უძველესი ხანიდან ქართველი ტომები ცნობილი იყვნენ როგორც დახელოვნებული მიწათმოქმედნი, მევენახეები და მეტალურგები.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთგზის იყო მითითებული ქართველების მიწათმოქმედების თავისებურ ხასიათზე და მისი განვითარების მაღალ დონეზე. ასე, მაგ., ი. კლინგენი, ცნობილი ავტორი კაპიტალური ნაშრომისა „Среди патриархов земледелия" სხვადასხვა ხალხის მიწათმოქმედების კულტურის შედარების საფუძველზე ასკვნიდა, რომ ქართველები ისე შესისხლხორცებული არიან მიწასთან, როგორც არავინ არსად დედამიწის ზურგზე. ასევე ცნობილია, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის პურეულის იმდენი სახეობა, როგორც საქართველოში, ამათგან ექვსი სახეობა ენდემურია და რომ სახელმოხვეჭილი კახური ღვინოები მიღებულია vitis vinifera-ს ქართული ჯიშებიდან, რომ ქართლის, ალაზნისა და ივრის ველებზე და რაჭა-ლეჩხუმში მარცვლეული კულტურები განვითარდა ადგილობრივი საწყისი სახეობებიდან.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქართველ ხალხში დაუნჯებულია საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული უშუალო მწარმოებლის შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილება, ის ემპირიული ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე.

მევენახეობა-მეღვინეობის რთული, მრავალსახოვანი ხალხური კულტურიდან ამჟამად ჩვენ ერთ ვიწრო საკითხს ვეხებით, სახელდობრ, ძველ ლეგენდებს ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ.

*

* *

თუმცა ველური ვაზი შორეული წარსულიდანაა ცნობილი განათხარი მასალის მიხედვით, მაგრამ ყურძნის ღვინო ისტორიულად მხოლოდ რძისა და ლუდის გამოყენების შემდეგ შედის ხმარებაში.

ძველს ბაბილონსა და ეგვიპტეში ხანგრძლივად თანაარსებობდნენ ლუდი და ღვინო, ხოლო სირიასა და პალესტინაში, მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ღვინო ლუდზე დიდი ხნით ადრე გაბატონდა და ეს უკანასკნელი თითქმის განდევნა ხმარებიდან.

სამაგიეროდ ინდოეთი და ჩინეთი დიდი ხნის მანძილზე არ იცნობდნენ ყურძნის ღვინოს. ჩინეთში მიღებული იყო და დღემდე ხმარებაშია ბრინჯისა და ღომის (ეს უკანასკნელი XII საუკუნემდე) „ღვინო", თუ მას შეიძლება ღვინო ეწოდოს, ხოლო ინდოეთში შაქრის ლერწმისა და სხვა მცენარეების „ღვინით" ოლზე გადიოდნენ. სამაგიეროდ აქაცა და ჰერატში ყურძენს უპირატესად ჩამიჩად იყენებდნენ.

საგულისხმო გარემოებაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში ღვინო მრავალი საუკუნის მანძილზე იყო გამოყენებული, მეზობელ აბიშეთში

(აბისინიაში), თუმცა ტყეში უხვადაა ველური ვაზი, მაინც უპირატესობას თაფლის ღვინოს ანიჭებდნენ და იქ ეს „ღვინო" იყო გაბატონებული.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ძველ კულტურულ სამყაროში, ძველი ცივილიზაციის (3000 წ.– 400 წ. ძვ. წელთაღრიცხვის) ხანაში წამყვანი მნიშვნელობის მქონე კულტურის ძირითადი ელემენტების გავრცელების არეს კულტურული ვაზის, ე.ი. მევენახეობა-მეღვინეობის გავრცელების არე სრულად არ ემთხვევა და მის მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავს. ასე, თუ ჩვენ ვიცით, რომ ხორბალი ევროპის, აზიისა და აფრიკის განსაზღვრულ ტერიტორიაზე – ატლანტიის ოკეანიდან თითქმის წყნარ ოკეანემდე იყო გავრცელებული. დაახლოებით ასეთივეა სახვნელი იარაღის გავრცელების არე და ასევე დაახლოებით ბორბლიანი ტრანსპორტისა (ურემი და ეტლი) და ბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალი, ვაზის კულტურის გავრცელება შეზღუდული სახით იყო წარმოდგენილი[2]. იგი ძირითადად მოიცავდა: სამხრეთ კავკასიას, ირანს, მესოპოტამიას, პალესტინა-სირიას, ეგვიპტეს, მცირე აზიასა და საბერძნეთს. ცნობილია, რომ ამ ტერიტორიის უძველესი, ძირითადი მოსახლეობა ხალხთა იმ დიდ ოჯახს ეკუთვნოდა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ მოდგმადაა მიჩნეული და რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა სემიტებზე, არიელებზე და მონღოლ-თურქებზე ადრე.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლო ვაზის კულტურის ძველად გავრცელების ამ არეშია საძებარი.

უკვე ეს წელზე მეტია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვაზის კულტურის თავდაპირველ სამშობლოდ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამიერკავკასია უნდა იქნეს მიჩნეული. დიბუა დე-მონპერიედან დაწყებული ჰრონზით გათავებული ეს აზრი არა ერთგზის გამოუთქვამთ სხვადასხვა დარგის სპეციალობის ავტორებს.

კარგად ცნობილ წინაისტორიის ხანის სპეციალურ ენციკლოპედიაში Reallexikon für vorgeschichte (ებერტის გამოცემა) ეგვიპტოლოგი როდერი წერს: „ვაზის სამშობლოდ ცნობილია სამხრეთი კავკასია და მისი მოსაზღვრე ქვეყნები და ოთარ ჰაქედან ეს კულტურა გავრცელდა სამხრეთით და დასავლეთით, აგრეთვე ეგვიპტეშიც". დაახლოებით ასევე წერენ სხვებიც.

ამ შეხედულების ძირითადი საფუძველი იყო ებრაული დაბადების ის მონაცემები, რომელთა მიხედვით ვაზის სამშობლოდ არარატის მიდამოებია ნაგულისხმევი. აგრეთვე ისიც, რომ ამიერკავკასია არის ის ქვეყანა, სადაც კულტურული ვაზის შესანიშნავი ჯიშებია გამოყვანილი, სადაც ვაზის მოვლის და ღვინის დაყენების ძველებური წესებია დამოწმებული, სადაც იზრდება კეთილშობილური კახური ვაზი „საფერავი", რომლის წვენი ისე სქელია და ამავე დროს მუქი წითელი ფერისა, რომ ქალები ამით წერილებს წერდნენ. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მარტოდმარტო ამგვარი მოსაზრებების წამოყენებით ისეთი დიდი საკითხი, როგორიც ვაზის კულტურის წარმოშობის საკითხია, არ შეიძლება გადაწყდეს. ეს მით უფრო ასეა, რომ ავტორები, რომლებიც ამიერკავკასიას ვაზის კულტურის სამშობლოდ მიიჩნევდნენ, აღიარებენ, რომ ეს კულტურა თითქოს შექმნილია აქ მობინადრე სემიტებისა (W. Hehn) და არიელების (Br. Hruzny) მიერ.

---

[2] E. Werth, Grabstok, Hacke und Pflug, Ludwigsburg, 1959, გვ. 428; Br. Meisner, Babylonien und Assyrien, I, Heidelberg, 1920.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები, ვაზის კულტურის სამშობლოს შესახებ, არავის გაუხდია სპეციალური მსჯელობის საგნად, არავინ არ ცდილა შეესწავლა წერილობითი წყაროები და ხალხის შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება ხსენებულ დარგში. ამიტომ მეცნიერთა ეს მოსაზრებები – ისევე მოსაზრებებია და არა დამტკიცებული დებულება.

საბჭოთა ხანაში პირველი მეცნიერი, რომელმაც ეს საკითხი მეცნიერულ საფუძველზე დასვა, სათანადო მასალა შეკრიბა და გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები მოიპოვა, განსვენებული ივანე ჯავახიშვილი იყო.

თავისი კაპიტალური ნაშრომის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" მეორე ტომის დასკვნით ნაწილში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე, ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომქვანებული დაკვირვების ნიჭი, ქართული ვაზის ყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა. „დაბადებაში" აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია. რაკი ამ წიგნში უადგილობის გამო, მეღვინეობის განხილვა ვერ მოთავსდება, ამის გამო საბოლოო მსჯელობაც მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველ სამშობლოზე უნდა შემდეგი წიგნისათვის გადაიდოს. მაგრამ, თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზე ჯერ მოსაზრების გამოთქმა არ შეიძლება, ყველაფერი, რაც ამ წიგნში გამოირკვა ხომ მაინც ცხადყოფს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული"[3].

ივ. ჯავახიშვილს არ დასცალდა ეს დებულება განევითარებინა და ვაზის კულტურის სამშობლოს პრობლემა გადაეწყვიტა. მას არ მოუხერხდა საქართველოს ეკონომიური ისტორიის მესამე ტომი გამოეცა, სადაც ეს საკითხი იქნებოდა განხილული და სათანადოდ გადაჭრილი. ამ დიდად მნიშვნელოვანი პრობლემის გარკვევა საქართველოს წარსული კულტურის შემსწავლელთა საპატიო მოვალეობაა.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს ნაყოფიერი მუშაობა. ამ საქმეში ჩაბმული არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებები: კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ეს პრობლემა კომპლექსური თემად გამოაცხადა. მასზე ამ ინსტიტუტის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებები მუშაობენ. უკვე დაგროვდა მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს პრობლემების ჯეროვან გადაჭრას.

კერძოდ, დაგროვდა ახალი მასალა საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ ემპირიული ცოდნის საფუძველზე გამომუშავებულ საწარმოო ხერხებზე ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების დარგში. ამ მხრივ ქართველი ხალხის პრაქტიკული გამოცდილება დაუშრეტელი წყაროა. მაგრამ ამჟამად ჩვენი მსჯელობა უფრო მეტად წერილობით წყაროს შეეხება, ვიდრე უშუალო მწარმოებლის, ხალხის ცოდნა-გამოცდილებას, რომელიც ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება სხვა დროს.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ.II, თბ., 1965, გვ.602–603.

ამ რამდენიმე წლის წინათ პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ ბერლინში შეიძინა ერთი ახალი, მანამდე უცნობი, სპარსული ხელნაწერი. ეს ხელნაწერი სპეციალისტების დასკვნით გადაწერილია 1365 წელს. ის წარმოადგენს შრომების კრებულს, რომელშიც ექვსი სხვადასხვა შინაარსის თხზულებაა შესული. ერთი ამ თხზულებათაგანი ეკუთვნის ცნობილი, თავის დროისთვის სახელმოხვეჭილი მათემატიკოსის, ფიზიკოსის, ფილოსოფოსისა და პოეტის ომარ ხაიამის (1040—1123წწ) კალამს. ამდენად, ცხადია ეს თხზულება თავისი დაწერის დროის მიხედვით განეკუთვნება არა უგვიანეს მეთორმეტე საუკუნის პირველი მეოთხედს.

ამ ნაშრომს ეწოდება „ნაურუზნამე". თხზულების პირველ თავში დადგენილია ნაურუზობის, ახალწლის დადგომის ასტრონომიული და კალენდარული ნიშნები. სახელდობრ, ის დროა აღნიშნული, როდესაც მზე კირჩხიდან გამოსული ვერძის ზოდიაკოში შედის. როგორც ცნობილია, ახალი წლის დასაწყისი მრავალ ხალხში გაზაფხულის დასაწყისად არის მიჩნეული. ამავე ნაშრომის სხვა თავებში მოთხრობილია: ოქროსა და დამარხულ განძზე, საბეჭდავებზე (გემებზე), ხმალსა და ხმლის პირებზე, მშვილდისარზე, საწერკალამზე, ცხენსა და ცხენის თვისებებზე, მომინოთი ნადირობაზე, ღვინისა და ღვინის თვისებებზე.

ამ უკანასკნელ თავში ავტორს, ომარ ხაიამს, შეუტანია ძველი გადმოცემა ყურძნის ღვინის წარმოშობის შესახებ სპარსეთში. გადმოცემის დასაწყისში ომარ ხაიამი აღნიშნავს, რომ მისი თხრობა ისტორიულ წყაროებში მოცემულ აღწერილობებზეა დამყარებული.

მოვიყვანთ ამ საყურადღებო გადმოცემის მოკლე შინაარს. ამ თხზულების დედანი დღემდე გამოქვეყნებული არ არის. ჩვენ გამოვიყენეთ გერმანული თარგმანი, რომელიც ირანისტის Fr. Rosen-ის[4] მიერ არის შესრულებული.

*

* *

ერთხელ, როდესაც ხორასნის სახელმოხვეჭილი მეფე შემირანი, ქალაქ შემირანის დამაარსებელი, თავისი შვილით ბადამით, რომელიც განთქმული შვილდოსანი იყო და თავისი დიდებულებით სათვალთვალო კოშკში იჯდა, მოფრინდა ძალზე შეძრწუნებული არწივი (როზენი ასე თარგმნის სპარსულ homa-ს, უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ, ფასკუნჯი) და მეფის ახლოს, თვალის საწიერზე დასკუპდა.

როდესაც მეფე არწივს დააკვირდა, აღმოჩნდა, რომ არწივს ყელზე შემოხვევია გველი და დახრჩობას უპირებს. მეფემ ბრძანა: გულშემატკივარო ადამიანებო, ვინ არის შემძლე ისრის წვერით არწივი უვნებლად დაიხსნას გველისაგანო.

ბადამი გატყორცნილი ისრით გველს მოკლავს და არწივს სიკვდილს გადაარჩენს. განთავისუფლებული არწივი წრეს დასცემს მეფისა და მისი ამალის თავზე და გაეშურება ჩრდილოეთისაკენ, თავის სამშობლოში. წლის თავზე, როდესაც მეფე შემირანი და მისი ამალა ისევ სათვალთვალო კოშკში ისხდნენ,

---

[4] **Fr. Rosen**, Altpersische Legende über die Herkunft des Weines. Auf fünf jahrtausenden morgenländisehe Kultur, Festschrift Max oppenheims, Berlin, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელავ მოფრინდა იგივე არწივი, დასკუპდა იქვე, სადაც ერთი წლის წინათ იწო და ნისკარტიდან რამდენიმე მარცვალი გადმოყარა.

ამის მნახველმა მეფემ თქვა, რომ ეს ის არწივი უნდა იყოს, რომელიც შარშან სიკვდილს გადავარჩინეთ და ახლა მადლობის ნიშნად რაღაც საჩუქარი მოგვიტანაო. გაგზავნილმა პირებმა მარცვლები მოიტანეს. დაჰკითხეს მცოდნე პირებს, მაგრამ ვერ გაარკვიეს, თუ როგორი მცენარის თესლია ეს მარცვლები. დათესეს, მცენარე ამოვიდა, ნაყოფი მოისხა, დაწურეს, ნაწური დადუღდა და ანკარა სასმელი დადგა. ეგონათ, რომ სასმელი შხამიანია და ამიტომ პირველად სიკვდილმისჯილ პატიმარს დაალევინეს. მასმურმა პირველი თასის შესმის შემდეგ, მეორე და მესამეც მოიითხოვა. თავს კარგად გრძნობდა და მალე ჩაეძინა კიდეც. ამის შემდეგ ის დაჰკითხეს, მასმურმა მეფეს უპასუხა: არ ვიცი რა დავლიე, ის კი ვიცი, რომ გემრიელი იყო, თვალთაგან ლიბრი ჩამომეცალა, ნეტარების გრძნობით გავიმსჭვალე და ყოველგვარი საზღვარი ჩემსა, მეფესა და დიდებულებს შორის წაიშალაო.

მეფის მრჩეველებმა დაასკვნეს, რომ არც ერთი ხილსა და არც ერთი სხვა ნაყოფს ისეთი სიტკბოება არ მოაქვს ადამიანისათვის, როგორც ღვინოსო.

მას შემდეგ მეფე შემირანის ბრძანებით მთელს ირანში გაშენდა ვაზი, გავრცელდა მეღვინეობა. ღვინის სმა და სიმთვრალე სასარგებლო ჩვეულებად გამოცხადდა. ამას მოჰყვა ალეანი მუსიკალური იარაღების გამოგონება და მემუსიკენი ხოტბას ასხამდნენ ღვინოს.

ზემოთაქმულს ომარ ხაიამი[5] დასძენს, რომ შამირანში დღესაც არის ის ბაღი, სადაც პირველი ვაზი ამოვიდა. ის ქალაქის კარიბჭესთანაა და მას ნაჭრი ულურე ეწოდებაო. ამბობენო, რომ ხორასანიდან (შამირანიდან) ვაზი მთელს მსოფლიოში გავრცელდა და არ არის არც ერთი ქალაქი და არც ერთი სოფელი, რომელშიაც იმდენი სახეობის ყურძენი იყოს, როგორც შამირანში: აქ ასზე მეტი სახელწოდების ვაზია და ჩინებული ღვინო იცისო.

ზემოთ შემოკლებით მოთხრობილი სპარსული ლეგენდა მრავალმხრივ არის საინტერესო ვაზის კულტურის ისტორიის მკვლევარისათვის[6].

თუ ჩვენ ამ გადმოცემას გამოვაკლებთ იმ ადგილებს, რომლებიც ომარ ხაიამის მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს და მის პირად სულისკვეთებას ასახავენ, – სპარსული ახლად აღმოჩენილი გადმოცემა ვაზის კულტურის წარმოების შესახებ ყველა დღემდე ცნობილ ლეგენდებზე უფრო ძველი ჩანს.

მართლაც, ვაზის გაშენება წიპწით, როგორც სხვადასხვა მონაცემებიდან ირკვევა, – ძველია. ამას ეთანხმება ქართული გამდოცემა ვაზის წიპწის გავრცელების შესახებ[7].

მეორე მხრით, სახელმწიფოს ზრუნვა ვაზზე აგრეთვე ძველია. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი მაგალითით დავკმაყოფილდეთ.

ხეთების უძველეს კანონთა წიგნის ორმოცდამეთექვსმეტე პარაგრაფში ვკითხულობთ: კვერით ხურონი, რომლებიც გაწეული იქნებიან ჯარში ომის დროს, თავისუფლდებიან ყოველგვარი სამუშაოდან, გარდა რთვლისა.

---

[5] შდრ. მეფე ჯამშიდთან დაკავშირებული გადმოცემა, „ფერია" 1892, № 52.

[6] უფრო დაწვრილებით ეს ლეგენდა განხილულია ჩვენს ნაშრომში: G. Thitaia, A grúz szölömüvelés és bortomelés történetéből; Ethnographia, ტ. LXVIII, 4, Budapest, 1957, გვ. 588–598.

[7] ა. ნანობაშვილი, ვაზის კულტურა ქიზიყში, თბილისი, 1949.

ლეგენდა იმასაც ადასტურებს, რომ სპარსეთში ვაზის კულტურა შეტანილია ჩრდილოეთიდან. ამას, გარდა ლეგენდის მონაცემებისა, ისტორიული ფაქტებიც მოწმობენ:

1. ძველს ასურეთსა და ბაბილონში ღვინო იმპორტის საგანია, უპირატესად „ჩრდილოეთის მთებიდან"[8].

2. უახლესი ხანის ასურეთში საუკეთესო იმპორტირებულ ღვინოდ ხალდური ღვინო ითვლებოდა[9].

3. ხორსაბადის მარნის ქვევრები უცხოური დაღებითაა დატვიფრული[10].

მაგრამ ჩვენთვის სპარსულ ლეგენდაში მთავარი მნიშვნელობისაა, თუ სად ვარაუდობს გადმოცემა ვაზის კულტურის თავდაპირველ სამშობლოს.

გადმოცემა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაზის წიაწის სამშობლო ჩრდილოეთი მხარეა. დღეისათვის გარკვეულია, რომ ჩრდილოეთის მხარე სპარსეთისა და მისგან სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის საქართველო — კავკასიაა.

სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „სპარსთა ქვეყანა ასე განიყოფება ოთხად: 1. ქუსტი ხორბარან, ე.ი. დასავლეთის მხარე, რომელშიც ცხრა ქვეყანაა. . ., 2. ქუსტი ნემბროჯ, ე.ი. შუადღის მხარე – სამხრეთი, რომელშიც ცამეტი ქვეყანაა. . ., 3. ქუსტი ხორასან ე.ი. აღმოსავლეთის მხარე, რომელშიც ათი ქვეყანაა და 4. ქუსტი კაპკოპ, ე.ი. კავკასიის მთების ქვეყანა, რომელშიც ცამეტი ქვეყანაა: ადარბაგანი, არმნ-ი ვარჯან-ი, რან-ი, ბალასაკანი, სისაკანი, გელანი, მუკანი, დილმანი, დემევენდი, ტაბრისტანი, ამულ-ი".

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „სპარსეთი 4 ნაწილად ყოფილა დაყოფილი: ამ ოთხიდან სამს ყველს თავისი სახელი ქვეყნის არეთა მიხედვით აქვს მიკუთვნებული, მხოლოდ მეოთხე ნაწილს სახელად „ქუსტი კაპკაპი", ე.ი. კავკასიონის მთათა მხარე ჰრქმევია. ამით მთელი სისტემა, რომელიც ქვეყნის არეს, გეოგრაფიული - ადმინისტრაციული ნაწილებისათვის გამოყენებას წარმოადგენს, ირღვევა. თავისთავად იბადება აზრი, რომ ეს სისტემის დარღვეულობა ამ გეოგრაფიული ძეგლის პირველადელი ტექსტის დამახინჯების ან უფრო სწორედ რომ ითქვას, დაზიანებულობის შედეგი უნდა იყოს და სპარსელებს ამ მეოთხე მხარისათვის ქვეყნის არეს მიხედვით უნდა ჰქონოდათ სახელი, ე.ი. უნდა ჩრდილოეთის მხარე რქმეოდა"[11].

მართლაც, განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, არაბი გეოგრაფები კავკასიის მხარეს „აპახტარს" უწოდებდნენ, რაც ჩრდილოეთის ნიშნავს. უეჭველია აქ ის დანაკლისი ტერმინი უნდა გვჭონდეს, რომელიც სპარსეთის მეოთხე მხარეს აღნიშნავდა, სახელდობრ, „ქუსტი აპახტარ, ანუ ჩრდილოეთის მხარე. ეს ასე ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან სამხრეთელებისათვის საქართველო –კავკასია ჩრდილოეთი მხარეა". ჩვენი მხრით დავძენთ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ასურეთ-ბაბილონისათვის ურარტუ – ამიერკავკასიის მხარე – ჩრდილოეთის მთების ქვეყანაა.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სახელწოდება „ქუსტი აპახტარ" შემთხვევითი და კერძო ხასიათის სახელწოდება კი არ არის, არამედ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული და განმტკიცებული პოლიტიკურ-გეოგრაფიული ტერმინია.

---

[8] **Br. Meisner**, დას. ნაშრომი, გვ. 134.

[9] **Br. Meisner**, დას. ნაშრომი, გვ. 140.

[10] იქვე.

[11] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბილისი, 1950.

ამგვარად, რაკი გაირკვა, რომ უძველეს სპარსულ გადმოცემაში ვაზის კულტურის სამშობლოდ ჩრდილოეთის მხარე, საქართველო-კავკასიის მხარე იგულისხმება, მეტი დამაჯერებლობა ენიჭება ძველ ებრაულ გადმოცემას, რომელშიც ვაზის კულტურის სამშობლოდ არარატის მხარე, სამხრეთი კავკასია, „ჩრდილოეთის ქვეყანა" დასახელებული. შეიძლება ითქვას, რომ ვაზის კულტურის თავდაპირველი სამშობლოს საკითხში ეს ორი ძველთაძველი გადმოცემა ერთიმეორეს ემთხვევა და მათ მონაცემებს სარწმუნოს ხდის.

ებრაული გადმოცემის ბოლო ნაწილი, დაბადების ქართულ თარგმანში ასე იკითხება: „და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქვეყნისა, და დაასხა ვენახი და სვა ღვინო მისგან და დაითრო და განშიშვლდა სახლსა შინა თვისსა" (შექმნათა 9, 20—21).

ეს გადმოცემა ქართველ ხალხში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „წინათ თლად პირველად ყოფილა წარღვნა წყლით. ქვეყანა არეულა, ყველაფერი დანგრეულა. ოცდახუთი დღე წვიმდა; ქვეყნიერება ეიცურა წყალში. ნოვემ გააკეთა კიდობანი, რაც რამ ქვეყნიერებაზე სულდგმული არის ყველაფერი შეიყვანა კიდობანში. როცა ეს კიდობანი გააკეთა ნოვემ და საჭონელი შეიყვანა შიგ, კიდევ ეიცურა კიდობანი წყალმა. კიდობანში მთლად მთავარი იყო ნოვე, ქრისტიანნი კაცი. ნოვეს კიდობნის გარეშე დარჩენოდა კამბეჩი, რომელიც ცურავდა და იძახდა: ნოვე, ნოვე. ნოვემ შეიყვანა შიგნით დედალი კამბეჩი, მამალი შიგნით ჰყავდა დამწყდეული.

ოცდაშვიდი დღე რომ გახდა, ნოვემ კიდობნიდან გამოიუშვა დედალი ყვავი და უთხრა: წადი, ამბავი მომიტანე, რა არის ქვეყნიერებაზე დარჩენილი,რომ კაცმა თავი ისაზრდოვოსო. ყვავი როცა გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ ყველაფერი დამხჩვალიყო, მკვდარი საქონლითა და ადამიანებით მოფენილი იყო ყველაფერი. ყვავმა რომ მძორი ნახა – დაადო და ყველაფერი დაავიწყდა და აღარ დაბრუნდა უკან. როცა ყვავს დაადგინდა, ნოვემ თქვა: ყვანჩალა გაუმაძღარია, ნახავდა რამეს და აღარ დაბრუნდაო. შემდეგ გაგზავნა მტრედი და უთხრა: მომიტანე ამბავი სანოვაგე თუ არის რამე, რომ შეინახოს კაცმა თავი. მტრედი გაფრინდა და დაინახა გუბეები იყო, დაიწყო ძებნა. ენკენისთვეა და გამოსულა ძლვამბელი, რომელიც მწიფს. მოკენკა მტრედმა ძღვამბელი, დაიკავა პირში და გაფრინდა და მიუტანა ნოვეს და უთხრა: ეს ენახე მეო; თხრილი არის ზოგან წყალი და ეს არის მოსხმულიო. ნოვემ უთხრა, რახან ეს ნახე მიწა დაშრებაო და შეინახავს კაცი თავსო. გამოვიდა კიდობნიდან ხალხი და იწყეს საზრდოობა. დაიწყო ხალხმა მუშაობა, გაიჩინეს საქონელი. ადამიანი მუშაობით ირჩენდა თავს, საქონელი კი ადამიანით. ეს მტრედის მიერ ნანახი ლერწი იყო ძღვამბელი. ძღვამბლს ნაშო ჰქონდა, მთლად ყურძნით იყო მიწაზე ამოსული. ეს ძღვამბელი წამოიღო ნოვემ თავის ახლოს. ამოიღო მიწა, ჩააყოფინა თავი მიწაში, დაუსვა ჯვარი და გამოვიდა კაპიშტონი ყურძენი და გაკეთდა კაპიშტონი ქვეყნიერებაზე. შემდეგ მრავლად გააკეთეს ყურძნის ვენახი"[12].

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს. აღსანიშნავია, რომ ამ ორი გადმოცემიდან ერთი, ებრაული, სემიტური სამყაროდან მომდინარეობს, ხოლო მეორე სპარსული – ირანული, ე.ი. ინდო-ევროპულ სამყაროდან. პირველი მათგანი კულტურული ვაზის სამშობლოდ გამორიცხავს ვაზის კულტურის ისეთ ძველს ცენტრს, როგორიცაა სირია-პალესტინა, ხოლო მეორე – სპარსეთს.

---

[12] ჩაწერილია **მაყვალა დავითულიანის** მიერ ს. ბარეულში (რაჭა) 1950.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ამგვარი ვითარება ისახება ძველი ორი გადმოცემის საფუძველზე, საკითხავია თუ რა მონაცემს შეიცავს ბერძნული და ეგვიპტური გადმოცემები კულტურული ვაზის წარმოშობის შესახებ, რამდენადაც ეგვიპტე და საბერძნეთი ხომ ასევე კულტურული ვაზის ძველი ცენტრებია.

ჰომეროსის[13] ეპოსისა და ჰეზიოდის პოეზიის ხანაში რეალური ვითარება საბერძნეთში ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ უკვე დიდი ხნით ადრე იყო დავიწყებული. საბერძნეთის კულტურაში ღრმად შეჭრილი მევენახეობა-მეღვინეობის ფაქტი წარმოდგენილი იყო როგორც თავისთავად გასაგები და თავისთავად სავარაუდებელი. ამიტომ ამ ხანად იქმნება ისეთი ლეგენდები, რომელთა მიხედვით ყოველი აღმოჩენა და ყოველგვარი სიკეთე ყველაფრის შემოქმედისა და ყოველის შემძლე ღვთაებას მიეწერებოდა.

ამ გადმოცემათა რიგს განეკუთვნება ის ლეგენდაც, რომლის მიხედვით საბერძნეთში ვაზის კულტურა ღვთაება დიონისეს წყალობად იყო აღიარებული.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ეს ღვთაება თავისი წარმოშობით მცირე აზიას უკავშირდება, სადაც იმ ამაღორძინებელი და მომაკვდავი ღვთაების სახით გვევლინება, რომელიც ვაზის კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობაშია. აქ შეიძლება ისიც მოვიგონოთ, რომ სტრაბონის ცნობით, პარხალის – პარიადრის მთის ძირში მდიდარი ვენახები იყო.

სხვა რიგის გადმოცემებიდან აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში ვაზის კულტურა დაიწყო იმით, რომ ძაღლმა, რომელსაც ოინოსი ეწოდებოდა და რომელიც ორესთეს ეკუთვნოდა, ვაზის ლერწი შობა. ეს ლერწი ორესთემ მაშინვე მიწაში დარგო და მას შემდეგ გამრავლდა ვაზი.

მესამე გადმოცემის მიხედვით, გარეული ვენახი პირველად ცხვარმა იპოვა, რომელიც ეკუთვნოდა ოინოსს. მწყემსი სტაფილოსი ცხვრის კვალს მიჰყვა, ნახა რომ ცხვარი მწყემსისთვის უცხო ნაყოფს ჭამდა, დაკრიფა ყურძენი და მიუტანა ფარის პატრონს. ოინოსმა ის დაწურა და ღვთაება დიონისეს შეწირა. ოინოსმა ის დაწურა და ღვთაება დიონისეს შეწირა. ამ ორ უკანასკნელ ლეგენდაში ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება იპყრობს, რომ ორივე შემთხვევაში ვაზის კულტურა წარმოშობით შინაურ ცხოველებთან არის დაკავშირებული.

ზოგიერთი მკლევარის აზრით ეს გარემოება მიუთითებს მასზე, რომ ვაზის კულტურა გაჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანი მუდმივ ბინადარ ცხოვრებაზე გადასული არ იყო და როდესაც უპირატესობა მომთაბარულ მესაქონლეობას ჰქონდა მინიჭებული.

მაგრამ, ჩვენი აზრით, უმართებულო იქნება ვაზის კულტურის როგორც მეტად რთული და კონდესირებული მეურნეობის, წარმოშობა მომთაბარეობის დროს მივაკუთვნოთ. ეს საკითხი სხვაგვარ ახსნას საჭიროებს.

მართლაც, თუ გავითვალსაწინებთ იმ გარემოებას, რომ ვაზის ზრდის პროცესს ძველი ბერძნები ციურ მოვლენებს უკავშირებდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ გადმოცემებში მოხსენებული შინაური ცხოველები ასტრალურ ნიშნებს ასახავენ – ძაღლი – სირიუსს, ცხვარი – ვერძს, და არა შინაურ ცხოველს პირდაპირი გაგებით. ამიტომ ამ რიგის გადმოცემები, როგორც გვიანდელი ხანის წარმონაქმნი, სულ სხვა საწყისებიდან მომდინარეობენ, ვინემ პირველ-ყოფილი მესაქონლეობა.

---

[13] ჰომეროსი ხოტბით იხსენიებს ფაზისის მხარის ცინცხლების მფრქვეველ (შუშხუნა) ღვინოს.

ამდენად ბერძნული თქმულებები – შინაურ ცხოველებთან ვაზის წარმოშობის დაკავშირების შესახებ – გვიანაა წარმოქმნილი და რეალურ ვითარებას ოდნავაც არ ასახავენ.

ასევე გვიან ხანაშია წარმოშობილი ეგვიპტური გადმოცემა ვაზის კულტურის ჩასახვის შესახებ, რამდენადაც ეს გადმოცემა ვაზის კულტურის წარმოშობას ეგვიპტეში ღვთაება ოზირისს მიაწერს, ე.ი. ის ეკუთვნის იმ დროს და ხანას, როდესაც უკვე დაიწყებული იყო ვაზის წარმოშობის რეალური ვითარება.

ამგვარად, თუ ჩვენი მსჯელობა მცდარი არ არის, ძველი სამყაროს უძველესი ლეგენდებიდან ორი გადმოცემაა საყურადღებო:

1. ძველი ებრაული და 2. ძველი ირანული.

ორივე ეს გადმოცემა ვაზის კულტურის წარმოშობას, ვაზის კულტურის უძველესი ცენტრებიდან სამხრეთ კავკასიას უკავშირებს. ორივე მიუთითებს იმ ტერიტორიას, რომელიც ოდითგანვე აბორიგენი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული და ამდენად გამორიცხავს სემიტურისა და ინდოევროპული ჩამომავლობის მოსახლეობის პიონერობას ამ დარგის მეურნეობის წარმოშობის საქმეში.

აქ მოტანილი მონაცემების საფუძველზე ოდნავადაც არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამით ვაზის კულტურის წარმოშობის პრობლემა გადაჭრილია. ჩვენი მიზანი იყო გაგვემახვილებინა ყურადღება მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ არსებულ უძველეს ლეგენდებზე. რაც აქ ითქვა უნდა იქმნას გათვალისწინებული ამ პრობლემის ძირითადი საკითხების გაღრმავებული კვლევის დროს.

1964 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში)

1

ქართულ ეთნოგრაფიას ძველი ტრადიციები აქვს. ქართველი ტომების ზნე-ჩვეულებების აღწერილობა მოწმდება ლურსმულ, ებრაულ, არაბულ, ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სომხურ და სხვ. მწერლობაში. ზოგი ძველი ავტორი აღწერილობითი მასალის გვერდით სვამს და თავისებურად წყვეტს საქართველოს ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან პრობლემებს. ამ პრობლემათა შორის აღსანიშნავია ქართველ ტომთა ეთნოგენეზისი (ჰეროდოტე, სტრაბონი, ლეონტი მროველი). მთიელთა ბარად და ბარელების მთაში გადაადგილების პროცესი (ვახუშტი ბაგრატიონი), მეურნეობათა განლაგება მიკროარაიონების მიხედვით (სტრაბონი, ვახუშტი ბაგრატიონი) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში გავრცელებულმა რარიტეტულმა მეთოდმა ეთნოგრაფიაში ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შემთხვევითი მასალა გვაქვს შემორჩენილი. ეფექტური მეთოდის არარსებობამ ხელი შეუშალა ავტორებს წესისამებრ აღეწერათ საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, მოეხდინათ ხალხური ყოფისა და კულტურის სპეციფიკური მხარეების ფიქსაცია, გამოეკვლინებინათ ხალხის ზნე-ჩვეულებათა არსებითი მომენტები. იგივე შეიძლება ითქვას სამეურნეო ყოფის მასალების შესახებაც, რაც შემთხვევითი ხასიათისაა, დეფექტურია და არაა სანდო[2].

მატერიალური დოკუმენტების უშუალო მწარმოებელთა ყოფა და კულტურა, ხალხის მდიდარი ემპირიული ცოდნა, მისი შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლა-გამოკვლევის ობიექტებად იქცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის, ძირითად აქტუალურ პრობლემებზე ათეული წლების განმავლობაში ამ გეგმით ჩატარებულმა მუშაობამ თავისი გამოხატულება პოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა გამოცემებში. ეს შრომები უმთავრესად ორ სერიულ გამოცემაშია გამოქვეყნებული – „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" და „მონოგრაფიები საქართველოს ეთნოგრაფიიდან"[3]. ნაბეჭდ გამოცემებში პოვა

[1] წაკითხულია აგრარული ეთნოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე ბერლინში 1955 წ. 30 სექტემბერს. მოხსენება გერმანულად დაიბეჭდა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში: Veröffeutlichungen des Instituts für Deutsche Volkskunde, Bd. 13, Berlin, 1957. გერმანულ გამოცემას ახლავს სათანადო ილუსტრაციები.

[2] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I. თბ., 1930, გვ. 29.

[3] გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მიმომხილველი". ტ. I, ტფილისი, 1927; **Читая Г.С.**, Этнография в Грузинской ССР, "Сов. Этнография",1, Ленинград, 1937; **Робакидзе А.И.**, Этнографическая работа Института истории им. И.А. Джавахишвили, "Сов. Этнография", Москва, 1946; Москва, 1946; **Читая Г.С.**, Этнографические исследования в ГССР, "Сов. Этнография", Москва, 1948; **Гегешидзе М.К.**, Защита диссертаций по этнографии в Институте истории им. И.А. Джавахишвили АН ГССР, "Сов. Этнография", Москва, 1952.

ასახვა ნაწილობრივ იმ შედეგებმაც, რომლებსაც მიაღწია ქართულმა საბჭოთა ეთნოგრაფიამ კოლხური ტომების ეთნოგენეზისის, მათი საწარმოო და სოციალური ყოფის, კულტურის მემკვიდრეობისა და იდეოლოგიის შესწავლის საქმეში[4].

ადამიანის შემოქმედებით შრომასა და დას. საქართველოს (კოლხეთის) იშვიათ ხელსაყრელ ბუნებრივ გარემოს შეეძლო განეპირობებინა აქ უძველესი დროიდანვე მკვეთრად გამოსახული კულტურის კერის შექმნა. კოლხური კულტურის თვითმყოფი თავისებურებანი ვლინდება არა მარტო უძველეს თქმულებებში, ლეგენდებსა და მითებში (არგონავტები, პრომეთე, ამირანი, აბრსკილ, სოლან მუქიელი და სხვა), არამედ მკვეთრადაა გამოსახული არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ მატერიალურ ნივთებშიც.

ასე მაგალითად, ცნობილია, რომ რიონის წყალი (ძველი ფაზისი) სამკერდ მეტ ნალექს შეიცავს, ვიდრე მდ. ნილოსის წყალი. დას. საქართველოს მშრომელი მოსახლეობა მიწის (მინდვრის) გასანაყოფიერებლად უძველესი დროიდანვე იყენებდა რიონისა და კოლხეთის სხვა მდინარეთა ნალექს[5]. იქვე დიდი წარმატებით სარგებლობს ტკილიანი ნიადაგის მიწის სასუქად გამოყენება, რომელიც 15–18 წლით უზრუნველყოფს მაღალ მოსავალსა და წელიწადში ორმოსავლიანობას[6].

მკვეთრად გამოსახული თვითმყოფი თავისებურებით ხასიათდება კოლხური ბრინჯაოს კულტურა[7], რაჭული სახვნელი იარაღი[8], გადასაზიდი საშუალებანი (აჩაჩა ურემი, თურში)[9], კოლხური ფუტკარი[10], ენდემური ხორბლეული[11],

---

[4] **ვ. ბარდაველიძე**, სვანურ დღეობათა კალენდარი, I, ტფილისი, 1937; **გ. ჩიტაია**, რაჭული სახვნელი იარაღი, „ენიმკის მოამბე", ტ. I, 1937; **რ. ხარაძე**, დიდი ოჯახი სვანეთში, ტფ., 1936; **ა. რობაქიძე**, შრომის კოლექტიური ფორმები რაჭაში, თბილისი. 1942; **ნ. რეხვიაშვილი**, მეგელობა რაჭაში, თბილისი, 1952; **ვ. ბარდაველიძე**, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1952.

[5] **Омедео А.**, О дренаже колхидской низменности, 17-ый год Великой Октябрьской революции, сборник под редакции М. Горького, Москва, 1934.

[6] 1955 წ. დასავლეთ-საქართველოს კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

[7] **Иващенко М.М.**, Материалы к изучению культуры колхов, Тбилиси, 1941; **Иессен А.А.**, К вопросу о древней металлургии меди на Кавказе, "Изв. ГАИМК", вып. 120, Москва–Ленинград, 1935; **Джапаридзе О.М.**, Бронзовые топоры западной Грузии, "Советская археология", XVIII, Москва, 1953; **Джапаридзе О.М.**, Земледельческие орудия позднебронзовой эпохи Западной Грузии, Труды Тбилисского Гос. университета, т. 49, Тбилиси, 1953; **Куфтин Б.А.**, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949.

[8] **ვ. ჩიტაია**, რაჭული სახვნელი, „ენიმკის მოამბე", 1956.

[9] **მ. გეგეშიძე**, ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, თბილისი, 1956.

[10] **Робакидзе А.И.**, Некоторые вопросы пчеловодства Грузии. Краткие сообщения Института этнографии АН СССР, Москва, 1949.

[11] **Жуковский П.**, Культурные растения и их сородичи, Москва, 1950; **Менабде В.**, Ботанико-систематические данные о хлебных злаках Колхиды, Вестник АН ГССР, т. I, № 9, Тбилиси, 1940; **მისივე**, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1949; **Хоштария Н.В.**, Диха-Гудзуба, Древнее поселение колхидской низменности, Вестник АН ГССР, т. IV, 1949.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზი[12], იმერული ცხვარი[13] და, აგრეთვე, რძით ნათესაობის ინსტიტუტი[14], სვანთა საწესო გრაფიკული ხელოვნება[15] და სხვა.

კოლხური კულტურის ზემოთ დასახელებულ სპეციფიურ თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლხეთის ბუნებრივ პირობათა თავისებურება. აქ წარმოდგენილი მესამეული პერიოდის უძველესი ფლორის წარმომადგენლების პარალელურად ძელქვა (Zelcova carp.), ურთხმელი (Taxus bac. L.), ბზიფის ფიჭვი (Pinus pithyusa Sh. Pelder) და სხვ. კოლხეთის თითქმის მთელი ტერიტორია ტყითაა დაფარული. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ შავი ზღვისპირა და კავკასიის მთავარი ქედის დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობსა, მესხეთის ქედსა და კავკასიის დასავლეთის კიდურ მთებს შორის მომწყდეული მთელი დასავლეთ საქართველო ხასიათდება მეტისმეტად ნესტიანი სუბტროპიკული ჰავით, რომელიც მზოლოდ აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ უფრო მშრალია. ასეთი დიდი ტენიანობის გამო (ნალექი – 1200–1500 მმ წელიწადში) აქ ტყის დიდი სიმრავლეა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს ქვეყანა წარმოადგენს ალაგ-ალაგ გაიშვიათებულსა და ადამიანის ხელით გაკაფულ ერთიან ტყეს. ტყე აქ ის ბუნებრივი ფაქტორია, რომელსაც ადამიანი მთელი თავისი შესაძლებლობით იყენებს.

კოლხეთის ბუნებრივი პირობის ეს თავისებურება თავის დროზე კარგად იქნა შემჩნეული სტრაბონისა[16] (ძვ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე) დავახუშტი ბაგრატიონის მიერ (XVIII ს. მეორე ნახევარში).

ვახუშტი წერდა: „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თჳნიერ საჴეზელთაკენ. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხიდიან-ჟენაჴიანი, ჴავითა კეთილ-მშვენი... თჳალთა ქმაშე შეენიერება ეგოდეს არა მჴენარეობს ტყეს გამო, თჳნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ უკჱცოდ დახედო მაღალს მთიდამ იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არსადა შენობასა“[17].

კოლხეთის ტყიან ზოლებს შეესატყვისებანიადაგის ზონებიც: ეწერი, რომდენადმე ზევით – წითელი მიწა (ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა რაიონი), უფრო ზემოთ – კირიან-ნაკროვანი ნიადაგი (მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი).

ეს გარემოება აიძულებდა მიწისმოქმედს მიწის ყოველი ნაგლეჯისათვის ეწარმოებინა ტყესთან ბრძოლა, დაეცვა სათესი მიწის ფართობი გარეულ მცენარეთა და ტყისაგან. ამასთანავე, საჭირო იყო ტყისაგან არა მარტო ყანის, არამედ საძოვრების, სათიბებისა და სხვათა დაცვაც.

---

[12] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბილისი, 1934; მ. რამიშვილი, ვაზის ჯიშები გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში, თბილისი, 1948; მ. გეგეშიძე, მეღვინეობის იარაღები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, 1956.

[13] Ручеулишвили М., К истории овцеводства Грузии, Тбилиси, 1953.

[14] Робакидзе А.И., Этнографическая работа Института Истории АН ГССР, Советская этнография, Москва, 1949.

[15] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953; მისივე, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957; მისივე, Песнопение Барбал-Долаши, Известия ИЯИМК, т. X, Тбилиси, 1944.

[16] Strabo, XI, თავი II, 2.

[17] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას, რომ კოლხეთში მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობაც ტყის გარემოცვაში და მისი ბაგრაცელების სამსავე ზონაში (დაბლობი, მთისძირა და მთიანი ზოლი) ტყის პირობებში ვითარდებოდა. აქედან გამომდინარეობს ამ მეურნეობათა სპეციფიკური ნიშნები და ტყის გაკაფვის სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ტყის გაკაფვას მიმართავდნენ აქ არა მარტო სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთების მისაღებად, არამედ მეცხოველეობისათვისაც, სათიბების, საძოვრების, მეფუტკრეობისა და ლეთონის დამუშავებისათვისაც (საწვავი მასალის ბაზა)[18]. ამასთან დაკავშირებით თავისთავად ცხადია, რომ აქ გვაქვს ტყიანი ზოლის ტიპის თოხის მიწისმოქმედება, რომელიც ათეული საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა და რომელმაც ჩვენ დრომდე გადმონაშთის სახით თავი შემოინახა.

2

დასავლეთ საქართველოს თოხის კულტურის დასახასიათებლად საჭიროა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გავეცნოთ ახოს აღების მეურნეობას, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი.

მხარის მთიან ნაწილში ახოს აღება იწყებოდა სახნავად ან სათიბად გამოსადეგი ადგილის შერჩევით. მომავალი სათიბებისათვის ადგილის შერჩევის შემდეგ (ჩვეულებრივ წიწვნარში) გლეხი სპეციალური ინსტრუმენტით – ხვეწით, ნაძვს, ფიჭვს ადამიანის სიმაღლეზე აცლიდა ქერქს. ამ პროცესს დაყვრა ეწოდებოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ხეები ხმებოდა და ძირზევე ლპებოდა. დამპალი ხე ადვილად იჭრებოდა. მოჭრილ ხეებს ერთად აწყობდნენ და წვავდნენ. დარჩენილ კუნძებსა და ფესვებს წერაქვითა და თოხებით ამოძირკავდნენ. შემდეგ, ნაკვეთამდე მოყვდათ მთის წყაროს წყალი. ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ ადგილი სათიბად გამზადებულად ითვლებოდა.

უფრო რთული იყო ფოთლოვან ტყეში ნაკვეთის სახნავად გაწმენდის პროცესი.

ასეთ შემთხვევაში წინასწარ ჩეხავენ ტყეს წალდებით. სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოსადეგი დიდი ხეები სახლში მიჰქონდათ; დარჩენილ გამოუსადეგარ ხე-ტყეს, დიდ ხეთა ტოტებსა და ახალგაზრდა წვრილ ხეებს წვავდნენ. ტყეს გაზაფხულზე ჩეხავდნენ, ზაფხულობით კი წვავდნენ. ცდილობდნენ მინდვრის სხვადასხვა ადგილებში დიდი ცეცხლის გაჩაღებას, ვინაიდან, რაც უფრო დიდი იყო ამ ხანძრით გამოწვეული სიმხურვალე, მით უფრო მეტად სკდებოდა მიწის ზედაპირი და ში შვლდებოდა ხის ფესვები. ამგვარად გაშიშვლებული ფესვები ადვილად ხმებოდა და კარგავდა ნაბარტყის აღმოცენების უნარს. მეორე მხრივ, ეს ხერხი ტყის ამოძირკვასაც ეხმარებოდა, რამდენადაც ფოთლოვან ხეთა ფესვები მიწაში ღრმადაა გადგმული და მათი ამოძირკვა ძნელია. ხეების დაწვის შედეგად მიღებულ ნაცარს მინდვრის გასანოყიერებლად იყენებდნენ.

მაგრამ მიწის განაყოფიერებამდე საჭირო იყო მისი კუნძებისა და ფესვებისგან გაწმენდა. მიწის მოქმედებაში ახოს აღების სისტემა ყველაზე შრომატევადი სამუშაოა. ამ საქმისათვის გამოიყენებოდა – წერაქვები, თოხ-წერაქვები, თოხები, ნაჯახები, ცულ-ქანჩები, წალდები. პირველ წელიწადს ეს სამუშაო მოითხოვდა ქცევაზე 60-დან 90-მდე დამატებით მუშახელს. მაგრამ ამითაც არ მთავრდებოდა ეს სამუშაო. ის შემდეგ წელიწადსაც გრძელდებოდა,

[18] ნ. რეხვიაშვილი. მეჭდლობა რაჭაში, თბილისი, 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ მინდორი სავსებით არ გაიწმინდებოდა. კუნძებისა და ფესვების გარდა მინდორი დიდ და პატარა ქვებისაგანაც უნდა გასუფთავებულიყო.

ასეთ ნაკვეთზე პირველი 2–3 წლის განმავლობაში მხოლოდ თოხითა და თოხ-ჭარჩით მუშაობდნენ, ამასთანავე პირველსა და მეორე წელს 4-ჯერ მეტი სამუშაო დრო იყო საჭირო, ვიდრე მომდევნო წლებში. ეს სამუშაო (თოხნა), ისევე, როგორც გაჩეხვა, დაწვა და ამოძირკვა, ყამირის პატრონის ნათესავთა და მეზობელთა კოლექტიური შრომით სრულდებოდა. ამის გარდა გასაწმენდი ნაკვეთის დამუშავების პროცესში, რომელიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა, ნაკვეთის ამომრჩევი პირი ხეებზე საგვარეულო კუთვნილების ნიშანს აჭედავდა. ეს ნიშნები მეტად მრავალფეროვანი იყო.

დათესვის წელთა რაოდენობა და მიწის დასვენება ნიადაგის ხარისხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში პირველი ადგილი წყლისპირა ნალექიან ნიადაგს ეკავა, რომელიც ყოველწლიურად წყლის ნალექით ნოყიერდებოდა, არ საჭიროებდა დასვენებას და იძლეოდა დიდ მოსავალს. ზოგიერთ მიწას 3–4 წლის განმავლობაში ზედიზედ თესავდნენ და შემდეგ კი 10 წლით ასვენებდნენ.

დასავლეთ საქართველოში მცენარეულის სწრაფი ზრდის გამო სახნავი ფართობი 5–7 წლის განმავლობაში შესვენების დროს ასწრებდა ხეებითა და ბუჩქნარით თუ სხვა მცენარეებით ისე დაფარვას, რომ ადგილობრივი ჰავისა და ნიადაგის პირობების ცოდნის გარეშე ძნელი დასაჯერებელი ხდებოდა, რომ ეს ძნელად გასავლელი ჭალა რამდენიმე წლის წინათ ნათეს ფართობს წარმოადგენდა. რამდენიმე წლის შემდეგ ხეები კვლავ იჭრებოდა, ნიადაგი შეძლებისამებრ იწმინდებოდა ფესვების, კუნძებისა თუ ქვებისაგან და ითესებოდა.

ქვემო ზოლში მინდორი გაწმენდის შემდეგ სახვნელი იარაღით მუშავდებოდა; ერთი და იგივე მიწა ყოველწლიურად ითესებოდა, ხოლო საუკეთესო ხარისხის ნიადაგიდან წელიწადში ორ მასავალსაც იღებდნენ. მთისძირა და მთიან ზოლში ნიადაგი მხოლოდ ნაწილობრივ მუშავდებოდა სახვნელი იარაღით, ნაწილობრივ კი მას თოხით ამუშავებდნენ. ერთი და იგივე ნაკვეთი აქ ყოველწლიურად არ ითესებოდა, არამედ პერიოდულად და უფრო ხანგრძლივადაც კი ასვენებდნენ.

საქართველოს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო კულტურა იცნობს მიწისმოქმედების შემდეგ სისტემებს: ახოს აღებას, აჩეჩვას, ბელტის გადაბრუნებასა და ღრმად ხვნას. მათ შეესატყვისება გარკვეული სახის სამი-წათმოქმედო იარაღები: ახოს აღების სისტემისათვის – თოხ-წერაქვები, კავწერა, სახვნელი; აჩეჩვისათვის – ქართული, ფშაური და რაჭული აჩაჩა; ბელტის გადაბრუნებისათვის – ჯილღა-გოგორა, ერქვანი და ღრმა ხვნისათვის – ფამფალაკიანი ბარდა და გუთანი. ამას გარდა, ახოს აღების სისტემა გულისხმობს ნიადაგის დამუშავებას გაწერის წესით, აჩეჩვა–ნიადაგის აქექვას, ბელტის მოჭრისას ადგილი აქვს ბელტის გადასვლას, ხოლო ღრმა ხვნის დროს მოჭრილი ბელტის გადაბრუნება-გადასვლას.

მიწათმოქმედების ამ სისტემიდან ჩვენს ყურადღებას ამჟამად იპყრობს დასავლეთ საქართველოს ახოს აღების სისტემა, რომელიც საკმარისად რთული მეურნეობა ჩანს. მის კომპლექსში შედის როგორც ნიადაგის დასამუშავებელი თავისებური იარაღები, ასევე, ნიადაგის თვისებებიც: ნოყიერება, ადგილის კლიმატური პირობები, სახნავი ადგილის ზედაპირის ფორმა, მიწის გათოხნის დრო, ნიადაგის ტენიანობა, ნაკვეთის დახრილობა, მოსაფანი პურეულის ჯიშები და სხვ.

პირველად ამგვარ ნაკვეთებზე თესავდნენ ფეტეს, შემდეგ ჭერს, მას შემდეგ სიმინდს და მეოთხე წელს კი ხორბალს. ამის შემდეგ თუ მიწა კვლავ ნაყოფიერი რჩებოდა კიდევ ერთხელ თესავდნენ ჯერ სიმინდს და მერე ხორბალს. ჭერის ან საშემოდგომო ხორბლის შემდეგ ამ ნაკვეთზე თესავდნენ სიმინდს, რომელიც ყოველთვის ბოლომდე მწიფდებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში ახოს აღების სისტემის მიწისმოქმედების დროს ითესებოდა უმთავრესად კოლხეთის პურეულის უძველესი სახეები. სახელდობრ: ფეტვი (Panicum.mil.L.), მთის ხორბლეული **ზანდური** || **ჩელტაზანდური** (Tr. Timoph.Zhuk.), მახა (Tr. macha Dek. et Men.) და სხვ.

ძველ ქართულ წერილობით წყაროთა შესწავლის საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ფეტვი ქართველ ტომთა უძველესი კულტურაა[19]. ამას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ. კოლხეთის ტერიტორიაზე, ანაკლიის მახლობლად დიხაგუძუბას გათხრის დროს აღმოჩნდა ფეტვის მარცვლები, რომლებიც მიახლოებით ნეოლითის დასასრულით თარიღდება[20].

კოლხურ ტომებში ფეტვის კულტურის სიძველეზე ისიც მიუთითებს, რომ თესლბრუნვაში იგი არსებით როლს ასრულებს. ასე, მაგალითად, სვანებმა დიდი ხანია შეაჩერნიეს, რომ ფეტვი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვა პურეული და რომ ამიტომ შესაძლებელია მისი გვიან გაზაფხულზე დათესვა. ჩვეულებრივ, ამ დროისათვის მინდვრად უკვე ჩნდებოდა სარეველა მაცენარეები. თოხით ან სახვნელი იარაღით ამ გვიან გაზაფხულზე დამუშავებული მიწა სარეველისაგან იწმინდებოდა. ამგვარი დამუშავების შემდეგ მაინც დარჩენილი სარეველა საბოლოოდ ისპობოდა ფეტვის გამარგვლის დროს სპეციალური ხის ინსტრუმენტებით, რომელსაც სვანები წამს უწოდებდნენ. ამგვარ ნაკვეთზე დათესილი ფეტვი იძლეოდა არა მარტო კარგ მოსავალს, არამედ ის ფეტვი ნიადაგს ასუფთავებდა სხვა კულტურებისათვის. მემინდვრეობაში ფეტვის გამოყენების ამგვარი ხერხი არ შეიძლება არ მიგვითითებდეს ამ კულტურის სიძველეზე. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თავის სიძველით იგი კოლხეთის თოხის კულტურის ეპოქის დასაწყისამდე აღწევს[21]. სხვათა შორის, შეიძლება მივუთითოთ იმაზეც, რომ აფრიკაში ფეტვის ყანის დასამუშავებლად დღემდე თოხს იყენებენ.

მთის ხორბალმა **ზანდურმა** || **ჩელტაზანდურმა** (Tr. Timoph.Zhuk.) საყოველთაო აღიარება პოვა, როგორც ყველაზე მეტად გამძლე სახეობამ. იგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია (რაჭა-ლეჩხუმში) შემონახული. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ზანდური Tr. monoc. v. Hern-ისგანაა წარმოშობილი. ზანდურის აღება მეტად თავისებურად წარმოებს: თავთავებს „შნაკვით" კრეფენ და კალათებში აწყობენ, რის შემდეგ ნამჯას ნამცეცებით მკიან. შნაკვით კრეფის ხერხი უეჭველად ძველია და, ალბათ, წინ უსწრებს კაკიანი ნამგლით მკას. დასავლეთ საქართველოს გარდა შნაკვი მხოლოდ ასტურიაში გვხვდება[22]. დაბოლოს, ზანდურს პურეულის მსგავსად კი არ ლეწავენ, არამედ ფეტესავით ბერტყავენ.

[19] **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, დასახ. ნაშრომი, I[2], 1930, გვ. 12, 322, 364.

[20] **М е н а б д е В.**, Ботанико-систем. данные..., "Вестник АН ГССР", т. I, 1940, გვ. 683–684.

[21] **ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე**, ქართველთა უძველეს სარწმუნოების ისტორიიდან, IV, იანდეცევ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბილისი, 1952.

[22] **В а в и л о в**, Мое путешествие в Испанию, Новый Мир, № 2, Москва, 1937.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ხორბალ **მახას** (Tr. macha Dek. et Men.) ისიც, **ზანდარის** მსგავსად, დასავლეთ საქართველოს ენდემური მცენარეა. მახა მხოლოდ ლეჩხუმშია ცნობილი. იგი გარეული ხორბლის ზოგიერთი თვისებით ხასიათდება. მახას მარცვლები აღმოჩენილ იქნა არქეოლოგიური გათხრების დროს. მას გარეული ხორბლიდან კულტურულისაკენ გარდამავალ საფეხურად მიიჩნევენ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მახას ძალიან ჰგავს ი კოლხური ასლი (Tr. paleo-kolch. Men.). ეს უკანასკნელი ენდემური კულტურაა კოლხეთისათვის. ვარაუდობენ, რომ საგაზაფხულო კოლხეთის ასლის საშემოდგომო ნათესებს შეეძლო გამოეწვია მახას წარმოქმნა. ქართველი გლეხის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში დიდი ხანია ცნობილია და ეფექტურად გამოიყენებოდა ერთი სახეობის მეორედ გადაქცევის ამგვარი შემთხვევები.

ასე მაგალითად, როდესაც სოფელში ყანის მოცდენისა თუ სხვა მიზეზის გამო აღარ იყო საშემოდგომო მარცვალი (Tr. vulg.) – **ფოლის პური**, გლეხები იღებდნენ საგაზაფხულო პურის მარცვალს (Tr. durum) **დიკას** და თესავდნენ შემოდგომაზე. ამ ნათესის დიდი ნიწილი იღუპებოდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილიღა უძლებდა ზამთრის სიცივეს და იკეთებდა თავთავს. მიღებულ საშემოდგომო დიკას კვლავ თესავდნენ მეორე შემოდგომაზე. ხელმეორედ დათესილი დიკა უკვე საშემოდგომო ხორბალს იძლეოდა. თანამედროვე ბიოლოგია ამგვარ გარდაქმნას ხსნის გარემოს შეცვლილ პირობათა ზემოქმედებით; ერთი სახის პურეულის ორგანიზმში წარმოიქმნება და ყალიბდება მეორე სახეობის ჩანასახები[23].

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევენ ხორბლის კულტურის ერთ-ერთ პირველად კერად. ცნობილ ნაშრომში „Культурные растения и их сородичи" ვ. ეუკოვსკი წერს: „ხორბლეულის სახეობათა უდიდესი რიცხვი თავმოყრილია საქართველოსა და სომხეთში. მათ შორის რამდენიმე ენდემური: Tr. urart., Tr. Timoph; Tr. macha, Tr. paleo-ko, lch., Tr. chald., Tr. karthl (მთელი ექვსი სახეობა). ამათგან ოთხი მოჰყავთ ძველადმისადგომ მთიან რაიონებში, რომლებიც ძველი მიწისმოქმედების ყველა ატრიბუტით ხასიათდებიან. მართალია, რელიქტების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კერის პირველადობას. არსებობს მოსაზრება, რომ დღემდე შემორჩენილ უძველეს ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან ქართველები, ბასკები (პირენეებში) და ვერშიკები (პამირზე)... მაშასადამე, შთამომავლობის თვალთახედვითაც არ უნდა იყოს წინააღმდეგობა ხორბლის კულტურის პირველად კერად საქართველოს აღიარებისათვის. როგორც ჩანს, რბილი ხორბალიც თავის საწყისს ამიერკავკასიიდან ღებულ"[24].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყის გაკაფვას დასავლეთ საქართველოს პირობებში მიმართავდნენ არა მარტო ისეთ შემთხვევებში, როცა აუცილებელი იყო მიწის ნაკვეთის მომზადება მარცვლეულის დასათესად, არამედ სხვა საჭიროებისთვისაც.

ასე, მაგალითად, ტყეს წმენდნენ მომთაბარე ფუტკრებისათვის, სადაც ზაფხულობით დაბლობი ადგილებიდან ეჰყოდათ სკა. ტყეს კაფავდნენ მსხვილფეხა

---

[23] **Segal I.**, Wie das Leben auf der Erde entstsnd; Weltall, Erde, Mensch, Berlin, 1954; **Лысенко Т.**, Новое в науке о биологическом виде, Вестник АН СССР, 1951, 71,73; **Читая Г.С.**, О задачах кавказской советской этнографии, Труды Института истории АН ГССР, т. I, Тбилиси, 1955.

[24] **Жуковский П.**, მით. ნაშრ., გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჭოსანი საქონლის საზაფხულო და საშემოდგომო სადგომისა და მწყემსობისა მეურნეობისათვის.

ტყეში ხეებს ჩეხავდნენ მაღლარი ვაზის მეურნეობისათვის. დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში ახოს აღება მელითონეობის სარეწაოების განვითარებასაც უკავშირდებოდა.

ნიადაგის დამუშავება ძირითადად შემდეგი იარაღებით სრულდებოდა: ხვეწით, ჩეკათი, ბუცხითა, წალდით, კინაშიკეტით, წალკატით, ჩენგოთი, ბერგით, ცულ-წერაქვით, კეკოთი, ბართოხით და სხვ.

ამ იარაღებიდან, ისინი, რომლებიც ნიადაგის დასამუშავებლად იხმარებოდა, მათ მიერ შესრულებულ ფუნქციათა მიხედვით, შეგვიძლია სამ კატეგორიად დავყოთ.

ესაა ერთი მხრით, მეტნაკლებად პირბასრი თოხ-წერაქვები (Spitzhacke), რომლებიც განკუთვნილია ადგილის პირველადი დამუშავებისათვისა და კუნძების და ფესვების ამოსაძირკვავად. მეორე მხრით, ფართო პირიანი თოხები (Scheufelhacke), რომლებიც გათოხვნის, მარგვლისა და სხვა მსგავსი სამუშაოებისათვის იხმარებოდა და, საბოლოოდ, მესამე, ესაა კომბინირებული თოხები, რომლებიც შეიცავენ თოხწერაქვსაც და თოხსაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დასავლურ-ქართული თოხის ტიპური სახე ბარია, რომელიც ხის ტართან ქმნის სწორ კუთხეს[25].

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან: წერაქვი, აწარკანტი, წალკატი, ჩეკი, ბარჯუკი, ჩენგი, ანაგა, კეკო, კაჩი.

მეორეს: ოკრიბულა, ლაბარგი, იმერული თოხი და ჩალის თოხი.

მესამეს: ცულქურჩი, თოხწალკატი, თოხწერაქვი, ბარათოხი და სხვ.

დასავლურ-ქართული თოხის დამზადება ექვემდებარება ლეთონის დამუშავების ძველ ქართულ წესს. ამ წესის მიხედვით ჯერ კიდევ მზადდება თოხის ფიდანი და შემდეგ იკეთება თვით იარაღი. მეორე მხრით, თოხის დამზადების პროცესში ყურადღებას იპყრობს ყურის გაფორმება ტარისათვის. თოხის ყური სხვადასხვა ფორმისა გვხვდება: მრგვალი, ოვალური, თოხწახნაგოვანი. ამ შემთხვევაშიც შენარჩუნებულია მეტალურგ-მჭედელთა ძველი ტრადიცია. ძველ ქართულ ნიმუშებში (ყური) უცვლელად ფართოვდება უკანა, გარეთა მხარისაკენ. მხედველობაში მიღებულია, რომ ტარი ყურის უკანა, გარეთა ნაწილიდან ჩაისმება, რათა იგი უფრო მაგრად ჩაჯდეს. ამასთანავე მხედველობაში იღებენ იმასაც, რომ სწორად ჩასმული ტარით შესაძლებელი იყოს მუშაობის პროცესში მომუშავის ძალისა და იარაღის მომუშავე ნაწილის სიმძიმის ძალის გაწონასწორება.

თოხით მუშაობა დარტყმითი წესით წარმოებს, მუშაობის პროცესში ამოთხრილი მიწა გვერდზე, მომუშავის ფეხებისაკენ გადაადგილდება. ეს პროცესი დიამეტრიულად ეწინააღმდეგება იმ სამუშაოს, რომელსაც სახვნელი იარაღი ასრულებს (მიწის გაჭრა, ბელტის გადაბრუნება გვერდით).

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული თოხებისა და თოხისმაგვარ იარაღთა ნაირსახეობა თავის ახსნას პოულობს მიწისმოქმედების მეურნეობის პროცესის ნაირსახეობაში. თავისთავად ცხადია, რომ ტყისაგან გაწმენდილი ფანა დამუშავების პირველ წელს მოითხოვს პირველი ტიპის თოხს, მაშინ, როდესაც მეორე და შემდეგ წლებში წარმატებით გამოიყენება განიერპირიანი თოხები. ზუსტად ასევე კომბინირებული თოხებით წარმატებით

[25] **ნ. რეხვიაშვილი**, ჭანური ჭარჩი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-B, თბილისი, 1954.

მუშაობენ იმ შემთხვევაში, როცა კუნძებისა და ხეთა ფესვების ამოძირკვა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მინდორი ჯერ კიდევ არაა გაწმენდილი მათგან და მუშას უხდება დროდადრო ხან თოხით და, ხან კი წერაქვით ნიადაგის აჩეჩვა თუ კუნძებისა და ფესვების ამოძირკვა.

ზუსტად ასევე, მიწის შემოყრის, მარგვლისა და ნიადაგის ბუდობრივი დამუშავებისათვის ხმარებულ თოხთა ნაირსახეობა თავის ახსნას პოულობს მათ მიერ შესრულებულ ფუნქციათა მრავალგვარობაში. ასე მაგალითად, ადგილებში, სადაც წინათ გაუვალი ტყე იყო და შემდეგ სიმინდი დაითესა, სიმინდის გასამარგლავად იხმარებოდა სპეციალური ფორმის თოხი, რომელსაც ჰქონდა მაღალი, გვერდზე გაშვერილი ფრთები. ამ ფრთა-მხარის დანიშნულება იყო ფართო რადიუსით სარველას ფესვების დაჭრა, როშლებიც ჭალის სპეციფიკურ პირობებში განზე გაშვერილი იზრდებოდა. იგივე უნდა ითქვას ბუდობრივი თოხის შესახებაც, რომელსაც ბასრი პირი და განიერი მხრები აქვს. იგი ბოსტანში მცენარეთა დასარგავადაა გამოსადეგი.

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ დასავლეთ საქართველოში თოხი ყველაზე მეტად აუცილებელი იარაღია, ურომლისოდაც ადგილობრივ მიწათმოქმედს არ შეუძლია გაძლება.

ამ იარაღით გლეხი წმენდს და თოხნის ნიადაგს, საყანე ნაკვეთს, ამუშავებს ბოსტანს, მარგლავს სიმინდს, წმენდს ღომს, ფეტვს, მახას და ზანდურს სარველასაგან; თოხი ცელის სახვნელ იარაღს, იქ სადაც სახვნელი იარაღი ვერ იმუშავებს: მაღალ მთიან რაიონებში, მთის ფერდობებზე, ტყის მცირე მინდვრებში, აგრეთვე, მაღლარვაზის ხეებთან და სხვ. დაბოლოს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს კლიმატური პირობებისა და ნიადაგის თვისებათა გამო გლეხები მხოლოდ ნიადაგის აჩეჩვით კმაყოფილდებოდნენ. ამასთანავე, თოხნა წარმოებდა ცოტათი ადრე თესვამდე, ანდა თესვის შემდეგ მაშინვე. ხშირად ჩათესვაც თოხითვე ხდებოდა. ასეთია თოხისა და თოხის მაგვარი შრომის იარაღების ჯოვლის მომცველი ფუნქციები დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

3

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში ჩვენ მიერ დადასტურებული თოხის კულტურა გამოძახილს პოულობს შუა საუკუნეების ქართულ, რუსულსა და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში.

ამ კულტურაზე მიგვითითებენ რუსეთის ელჩები და რუსი მოგზაური აკადემიკოსები XVII–XVIII საუკუნეებში.

რუსეთის ელჩი სამეგრელოში, თედორე ელჩინი წერს: ხორბალს ხნავენ „კაპანიცებით", მთებსა და ფერდობებში ჭვისა და ტყისგან ასუფთავებენ ნიადაგს და თესავენ[26].

ამავე პერიოდის რუსეთის სხვა ელჩები მიუთითებენ, რომ იმერეთსა და სამეგრელოში საყანეებს გუთნებითა და „კოპირალკებით" ხნავენ[27].

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რუსული სახელწოდებანი „კაპანიცა" და „კოპირიალკა" სხვას არას ნიშნავს, თუ არა ქართულ თოხს. იმერეთში

[26] **Белокуров С.**, Материалы для русской истории, Москва, 1888.

[27] **Полиевктов М.**, Посольство стольника Толачанова и дьяка Иевлева в Западную Грузию, Тбилиси, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხის კულტურის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს დასავლეთ საქართველოში მგზავრობის შედეგად აკად. ი. გიულდენშტეტი თავის ნაშრომში Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebürge (ტ. II, გვ. 128, Petersburg, 1791). თუ საუკუნეთა სიღრმეში ჩავიხედავთ, თოხის კულტურის არსებობაზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ XI ს-ის ავტორის გიორგი მთაწმინდელის მიხედვით, რომელიც მიგვითითებს, რომ ბულგარელთა შემოსევების დროს შექმნილ ძნელბედობის შედეგად ათონის ქართულ მონასტერში მიწას უმეტესად მთებში და ისიც მხოლოდ თოხით ამუშავებდნენ[28]. ამასვე აღნიშნავს მხატვრულად X ს-ის მწერალი გიორგი მერჩულე, თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (აკად. ნ. მარის გამოცემა, ტექსტები და ძიებანი, ტ. IX, Петербург, 1912). ზუსტად ასევე ძვირფასი ცნობები აქვს პროკოფი კესარიელს, რომელიც დაწვრილებით აღწერს ლაზების შემინდვრეობას ლაზეთის მთიან ნაწილში, შორაპნის რაიონში[29] (ზემო იმერეთი).

კიდევ უფრო შორს საუკუნეთა სიღრმეში მივყვავართ არქეოლოგიური მასალებს. განათხარი ინვენტარი და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი განძები ავლენენ ახოს აღების სისტემის არსებობას მისთვის დამახასიათებელი წარმოების წამყვანი იარაღებით: თოხებით, თოხისებური თოხწერაქვებით, ტყის ცულით, ხვეწით, წალდებით და სხვ.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ გათხრებში წარმოდგენილია სამიწისმოქმედო იარაღები: რკინის, ბრინჯაოს, სპილენძის, ქვისა და რქისა[30]. ამ იარაღთა შორის თვალში გვეცემა განსხვავებული ფორმების ბრინჯაოს თოხების სიმრავლე, რომელთაც დიდი რაოდენობით პოულობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში. განძი და სხვა ამგვარი აღმოჩენანი ცნობილია ბარცხანასა, სალიბაურსა, მახინჯაურსა, ბათუმის მიდამოებსა, ჩაქესა, ციხისძირსა, მაკარიასა, სამებასა, ხეთასა, თამაკონსა, ჯვარსა, საბერიოსა, სოხუმსა, ლესელიძესა, მაიაკოვსკისა, ოფშკვითისა და სხვა ადგილებიდან.

ეს გარემოება არ შეიძლება არ მიგვითითებდეს იმაზე, რომ თოხის კულტურამ აქ ფართო გასაქანი და განვითარება პოვა, რასაც ხელს უწყობდა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან ერთად, მეტად განვითარებული ლითონის წარმოება. სპეციალისტები თვლიან, რომ ამ ტერიტორიაზე ბრინჯაოს ინდუსტრიის თუ ორი არა, ერთი კერა მაინც არსებობდა მის სამხრეთით, საიდანაც ბრინჯაოს ნივთები სხვადასხვა მარშრუტით გადიოდა. ეს მეტალურგები უნდა ყოფილიყვნენ თუბალ კაინიტები, ე. ი. იბერ-ჭანები. ლითონის დამუშავების მათგან მომდინარე ხერხები აქამდე გვხვდება საქართველოში. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში ოქრომჭედლებად ქალებიც გვევლინებიან. ძველი ოქრომჭედლობის ხერხებია: მთლიანი და ღრუ ჩამოსხმა, კვერვა, გრავირება, ფილიგრანი, სვეადა და სხვ.

რაჭეულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მეტალურგიის შესწავლამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი ოსტატები რკინის მადანს, მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად, პიროლუზიტს ურევდნენ, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ ხალიბები ძველად.

ყოლეთის ბრინჯაოს თოხების სპეციფიკურობაზე, სხვათა შორის, ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ყოლეურ ბრინჯაოს ნივთებს პარალელები მოეძებნებათ ყობანის არქეოლოგიურ მასალებში, მაგრამ მათში ანალოგიებს ვერ

[28] **გიორგი მთაწმინდელი**, თბილისი, 1912.
[29] **Prokopius**. Персидские войны, Москва, 1880.
[30] **Иващенко М.М.**, მით. ნაშრ., გვ. 19; **ო. ჯაფარიძე**, სოფლის მეურნეობის იარაღები დასავლეთ საქართველოდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. 49; **ნინო ბერძენიშვილი**, არქეოლოგიური გათხრები საგურამოში, ხელნაწერი (1952–1953 წწ.).

ნახულობენ ბრინჯაოს თოხებისა და ხვეწებისათვის. ეს გარემოება შეიძლებოდა ნაწილ-ობრივ იქნეს მხოლოდ კოლხეთის მეურნეობის სპეციფიკურობით, სადაც, როგორც სწორად მიუთითებს იესენი[31], ტყეთა სიმრავლემ განაპირობა ტყის ტიპის მიწისმოქმედების წამყვანი როლი მეურნეობაში.

განათხარი ბრინჯაოს თოხების ნიმუშები მეტად ნაირგვარია. თუ კოლხეთის ბრინჯაოს თოხ-წერაქვები წინა აზიის ქვეყნებში პოულობს პარალელებს, თოხების, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანალოგებს ვერსად ვერ ვნახულობთ. ისინი ძველი კოლხეთის სპეციფიკას წარმოადგენენ. ეს იარაღები რომ ტყის ახოს აღების ტიპის მიწისმოქმედებას ეკუთვნიან, მტკიცდება თანმხლები საგნებით. კოლხეთში განათხარ ბრინჯაოს თოხებს ხშირად თან ახლავს დიდი ნაჯახები (ახოს აღებისათვის) და სეგმენტისებური იარაღი. ამ უკანასკნელის დანიშნულებას დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ დრომდე გავრცელებული რკინის იარაღი არკვევს. ესაა ხის ქერქის ასაპრელად ხმარებული ხვეწი. არქეოლოგიური ბრინჯაოსა და რკინის ტყის ნაჯახების ანალოგებს ვხვდებით ეთნოგრაფიულ ყოფაში.

კოლხეთის ბრინჯაოს თოხების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი შემდეგომ განვითარებას ეთნოგრაფიულ რკინის თოხებში პოვებენ და შესატყვისად რთულდებიან თვით მეურნეობის გართულებასთან ერთად. ამ მხრივ მტკიცდება კოლხური თოხის კულტურის მემკვიდრეობითობა, მისი შემდგომი განვითარების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში. მეორე მხრივ, ბრინჯაოს თოხები თავის თავად წარმოადგენენ რქის, ქვისა და სპილენძის თოხის შემდგომ განვითარებას[32]. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულია ნეოლითის პერიოდის ხანმოკლეობა და ლითონის ხანის ადრე ჩასახვა-განვითარება.

დასავლეთ საქართველოში თოხის კულტურის დიდ სიძველეზე მიუთითებს მისი აღმნიშვნელი მდიდარი და ნაირგვარი ტერმინოლოგია. გაკვრით შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

ასე მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით თოხი, სიტყვიდან, ცოხნა მომდინარეობს. ასევე ზანური სიტყვები: ბერგი, ბარჯი, ივ. ჯავახიშვილით, რგ ფუძისაა, რომელიც რგვას ნიშნავს (შეად. ნე-რგ-ი; მა-რგ-ილი) და მათი პრეფიქსებია ბე და ბა. შემდეგ[33], მეგრული ტერმინი ხაჩკუა-თოხნა შეიძლება გლეკასა და მოწყვეტის აღმნიშვნელ სიტყვებამდე – ხეჩა დავიყენოთ. ტერმინი კეკო– თოხის განსაკუთრებული ტიპი, კეკოს, გაგლეჯის მნიშვნელობის პარალელური ფორმაა. შეიძლება დარწმუნებით თქმა, რომ ზემოთ მოყვანილი ტერმინები ქართული ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებია.

თოხის კულტურის სიძველეს ადასტურებს იდეოლოგიური სახის შესატყვისი გადმონაშთური მასალაც.

უპირველეს ყოვლისა, ესაა არქეოლოგ ო. ჯაფარიძის მიერ საჩხერეში ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილი მინიატურული ბრინჯაოს თოხები– ავგაროზები, რომლებსაც ყელზე ატარებდნენ. ამ თოხების–თილისმების ანალოგებს წარმოადგენენ გრდემლისა და მარწუხის ბრინჯაოს განათხარი მინიატურული მოდელები, რომლებიც, როგორც ჩანს, ასევე დასავლეთ საქარ-

[31] **Иессен А.А.**, მით. ნაშრ., გვ. 113–114.

[32] **ივ. ჯავახიშვილი**, მით. ნაშრ., ტ. I, გვ. 124.

[33] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში უნდა იყოს ნაპოვნი (პიატიგორსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნაკოლექციები გ. სკანდერის მიერ შეგროვილი)[34].

დასავლეთ საქართველოში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობენ, რომ ძველი კოლხები მიწას თაყვანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების ქალღმერთს. დედამიწა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის ნაყოფიერების მიმნიჭებელ ღვთაებად ყოველთა წარმოდგენილი. სწირავდნენ საგანგებო შესაწირავებს. ერთ ასეთ შეწირვის წესს **„მიწის გაჯერიება“** ეწოდებოდა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა. ახლად მოლოგინებული ქალის ოჯახში, ბავშვის დაბადების უმალვე, ან მეორე დღეს, ბებიაქალი ამზადებდა პურებს: ერთს, მრგვალი სახისას, რომელშიც ყველსა (ახლად დაბადებულს ბევრი ტკბილი ექნებაო) და ბროწეულის მარცვლებს (ბავშვი ჯანსაღი იქნებაო) ურთავდა პატარა კოკრებს. ამის შემდეგ ბებიაქალი პატარა ორმოს ამოთხრიდა იმ ადგილის მახლობლად, კერასთან, სადაც ბავშვი იშვა და შიგ ჩასდებდა მრგვალ პურსა და გოჯის ძვლებს, ხოლო ბავშვის მამა ორმოს ზედაშეს დაასხამდა და დაილოცებოდა: „მიწავ გამიჯერიებიხარ, კარგი ფერი და ხორცი მიეცი ბაღანასო“. ამ ცერემონიის დროს ბავშვები სახლიდან დათხოვნილი იყვნენ. ოჯახის წევრებს გარდა, დალოცვაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ დედის უახლოეს ნათესავებს. ეს რიტუალი უეჭველია თოხის კულტურასთან კავშირშია, რამდენადაც წარმოდგენა დედამიწაზე, როგორც ნაყოფიერების ღვთაებაზე, განეკუთვნება მიწის მოქმედების დასაწყის საფეხურს. ამაზე მიუთითებს გადმონაშთური მასალების სხვა წყება, კერძოდ, სვანეთში შემონახული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი.

ვ. ბარდაველიძე მონოგრაფიაში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV, იან-დეცემ“ ფეტვის ღვთაებისათვის განკუთვნილ საგაზაფხულო დღესასწაულის დეტალური ანალიზის საფუძველზე ადგენს შემდეგ არსებით მომენტებს: 1). ზეიმი ფეტვის მოსავლის უზრუნველყოფის მიზნით; 2). ფეტვის საუკეთესო მარცვლების შერჩევა საწესო პურისათვის („გვიზი“) და პურის გამოცხობა; 3). შესაწირი ფეტვის ცომი; 4). საწესო ფეტვის კოკრები და მათ შორის „ფეტვა შდა“, ფეტვის თავთავის გამომსახველი კოკორი; 5). ფეტვის მოსავლის გადიდების მიზნით ჩასატარებელი ლოცვა–შესაწირავები. ეს მონაცემები ამტკიცებენ, რომ იანშიერის დღეობა ფეტვის კულტთან იყო დაკავშირებული და მასვე გამოხატავდა. ამ დღესასწაულის დროს ლოცვებითა და შესაწირავებით მიმართავდნენ ღვთაება იანს, როგორც ფეტვის მფარველსა და მის მოსავლის მომცემს. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ იანი ითვლებოდა ფეტვის პატრონად.

ამავე შრომაში ავტორი მიუთითებს, რომ ფეტვის სვანური ღვთაება იანი თავისი ზოგიერთი თვისებით უკავშირდება სუმერულ მითს ოანესის შესახებ. ოანესი, როგორც ცნობილია, თოხის მიწის მოქმედების ფუძემდებლად ითვლებოდა. წარმოდგენას ოანეს-იანზე, ისევე როგორც დედამიწის ღვთაებრივობაზე, მივყავართ სამიწისმოქმედო კულტურის საწყის სტადიამდე.

სამიწისმოქმედო კულტურის განვითარების უძველეს საფეხურზე მიუთითებს მასალები ხარის შესახებაც. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხარი წარმოდგენილია მიწისმოქმედების ფუძემდებლად. ძველი კოლხები მამაკაცებს მაღლა ხეზე გამოკიდებულ ხარის ტყავში მარხავდნენ: სვანები წმინდა ბუღა-ვისხვებს მიაწერდნენ ღვთაებრივ გამანაყოფიერებელ ძალას. ვისხვის კულტთან

[34] **Деген-Ковалевский Б.Е.**, К истории железного производства Закавказья, Изв. ГАИМК, 120 в.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებული იყო რიგი აკრძალვებისა. არ შეიძლებოდა მისი ცუდი სიტყვით მოხსენება, მისი თავისუფლების შეზღუდვა. მას არ კოდავდნენ და უღელში არ აბამდნენ. თავისუფლად გაშვებულ ვისხვა-ბუღა ველურდებოდა. ამასთანავე საზოგადოება, სადაც იყო ვისხვა, თავს ავი სულებისგან დაცულად თვლიდა. ვარაუდობდნენ, რომ ვისხვა ცხოველთა გამრავლების, წველადობისა და ყოველგვარი დოვლათის გადიდებას უწყობდა ხელს. სვანებთან ადგილი ჰქონდა აგრეთვე წმინდა ხართან ბრძოლასაც.

უაღრესად ფასოვანია ის მასალები, რომლებიც ბუღებთან შეჯიბრებას გამოხატავს. სამეგრელოში ძველად გავრცელებული ეს ჩვეულება კურულის სახელწოდებას ატარებდა.

კურული წარმოადგენდა ხალხური სპორტის ერთ-ერთ სახეს, რომელიც კვირა დღეს იმართებოდა სოფლის მახლობლად – მოედანზე. სპეციალურად მომზადებულ და გაწვრთნილ ბუღას აბამდნენ მოედნის ცენტრში დასმულ პალოზე და ორი კაცი იწყებდა მის გამოჯავრებას. ამასთანავე, სასტიკად იცავდნენ ბუღასთან მოქცევის წესებს: მას მხოლოდ სხეულის გარკვეულ ნაწილებში წვდებოდნენ – რქებში, ყურებში, ბეჭებსა და ზურგში. უკიდურესობამდე გაღიზიანებულ ბუღას აუშვებდნენ და ერთ-ერთი მებრძოლთაგანი შეეზმებოდა მას. გააფრთებული ბუღის შემოტევათა მოგერიებასთან ერთად, მას უნდა შეებოჭა და წაექცია იგი მიწაზე. იმავე საღამოს ბუღასთან შეჯიბრების ადგილზე იმართებოდა შეჯიბრება ჭიდაობაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპორტული სანახაობა „კურული" – ბუღასთან შეჯიბრება უნდა ასახავდეს ხარის მოთვინიერებას. იმ ბრძოლის მსგავსად, რომელსაც შუმერების გმირები გილგამეში და ენკიდუ გარეულ ხართან აწარმოებდნენ. კურული ასახავს ხარის წინააღმდეგ ადამიანის იმ თავდადებულ ბრძოლას, რომელიც წინ უსწრებდა მის მოშინაურებას.

ეს მატრიარქატიდან პატრიარქატში გარდამავალი პერიოდია, როცა კოლხეთში თოხის მიწისმოქმედება სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში თავიანი განვითარების უმაღლეს ფაზაში შედის.

დასასრულს, გაკვრით შეეხერდებით კიდევ ერთ საკითხზე. მიწისმოქმედების ისტორიაში თოხის კულტურას, რომელიც წინ უსწრებდა გუთნის კულტურას, მატრიარქატის ეპოქას მიაკუთვნებდნენ. ეს სწორია თოხის მიწისმოქმედების ხხოლოდ დასაწყისი სტადიისათვის. როგორც ამ წერილში მოყვანილი მასალებიდან ჩანს, ძველ კოლხეთში თოხის კულტურა განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი ბრინჯაოს ეპოქის მთელს მანძილზე. უდავოა, რომ თოხის კულტურის განვითარების მომდევნო სტადიებზე მამაკაცი თანდათან შედის ამ კულტურაში და იძენს მასში სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას. სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენადაც განვითარებული თოხის კულტურა უკვე ეყრდნოდა მძლავრ მეტალურგიას, რომელიც მამაკაცთა წარმოებაა. მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ ეს გარდამავალი პერიოდი თავის ასახვას პოულობს არა მარტო წარმოების იარაღთა განვითარებულ ფორმებში, არამედ ხალხურ ჩვეულებებშიც. მხედველობაში მაქვს ანტიკური ავტორთა მიერ კოლხურ ტომებში დამოწმებული „კუვადა", რომელიც საზოგადოების განვითარების ამ გარდამავალ საფეხურის ეჭვმიუტანელ მოწმობას წარმოადგენს.

1959 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესსა და მნიშვნელოვან მონაპოვარს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში უდავოდ სამოსლის დამზადება-გამოყენება წარმოადგენს. ცხელ ქვეყნებში ადამიანს ადვილად შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მცენარეული მასალით (ხისკანი, ბალახი და სხვ.), მაგრამ ზომიერი და განსაკუთრებით კი ცივი ჰავის ზოლში აუცილებელი შეიქმნა სიცივისაგან დასაცავად ეფექტური საფარველის მოპოვება. უძველესი ხანის ადამიანისათვის სამოსლად უთუოდ ნადირის ტყავი უნდა ყოფილიყო გამოსაყენებელი. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ნადირის ტყავი სათანადო დამუშავების გარეშე (გაწმენდა, გაწკიპვა და სხვ.) შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს, მაშინაც კი, როდესაც ტყავი მონდომებით გაწმენდილია ძარღვებისა და კუნთოვანი ნაშთებისაგან, ნოტიო ჰავაში ის სწრაფად ლპება, ხოლო ცხელ ჰავაში ისე ხმება, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია.

რასაკვირველია, პირველყოფილი განვითარების საფეხურზე მყოფი ადამიანისათვის არ იყო ადვილი საქმე უხეში, ტლანქი ტყავი ელასტური და რბილი გაეხადა, მაგრამ დაკვირვებამ, გამოცდილების დაგროვებამ, შრომითი ჩვევების გამომუშავებამ ადამიანს მისცა შესაძლებლობა ამ მიზნისათვის მიეღწია. საუკუნეების მანძილზე მან შეითვისა ტყავის შებოლება (სინესტისაგან დაცვის მიზნით), დაღეჭვა (ვიდრე ხმოვარს გამოიგონებდა კბილებით ღეჭავდა), გამოხვა, გაწკიპვა და შეღებვა (ხისკანის საშუალებით). ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ არის ცნობილი არც ერთი ისეთი პირველყოფილი ადამიანი, რომელიც მეტნაკლებად არ იცნობდეს ამა თუ იმ სახის მედაბღეობას.

სად და როდის იქნა თავდაპირველად მიღწეული ტყავის დამუშავება და სამოსლად მისი გამოყენება გარკვეული არ არის. ცნობილია, რომ მიწის ნიადაგში ტყავეული კიდევ უფრო იშვიათად ინახება, ვიდრე ხის მასალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ აღმოჩენას ადგილი ექნებოდა მონადირეობის მაღალ საფეხურზე, როდესაც პირველყოფილ ადამიანს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდა ნადირის ტყავზე დაკვირვების შედეგად გამოცდილება დაეგროვებინა. ის გარემოება, რომ მედაბღეობა მეტად ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ეიკუმენაში, იმას მოწმობს, რომ ის უძველესი ხანის მონაპოვარია. ამასთან ერთად, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ისიცაა გარკვეული, რომ პრიმიტიულ ხალხებში, უმეტეს შემთხვევაში, მედაბღედ ქალი გვეყოლინება. ეს გარემოება, დამოწმებულია როგორც ძველ, ისევე ახალ ქვეყნებში. ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკის ხალხებში ქალები ტყავს არამც თუ ამზადებენ, არამედ ტყავის სამოსელს მხოლოდ ქალები ატარებენ. არის ეს მოვლენა პირველადი ხასიათისა, თუ ის შემდეგ არის შექმნილი, საჭიროებს კვლევა-ძიებას და დღესდღეობით გაურკვეველია.

მომდევნო ეპოქაში, სახელდობრ ნეოლითში, გაჩნდა პრიმიტიული ქსელვა და მასთან დაკავშირებული ქსოვილის სამოსლად გამოყენება.

საქართველოს მიწის წიაღს შემოუნახავს არა მცირედი ნაშთები ქსოვილებისა, რომლებიც ჩვენს წინაპრებს სამოსლად გამოუყენებიათ. ასე, მაგ., კოლხეთში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ.წ. XIII–XII საუკუნეების ქსოვილის ნაშთები, რომლებიც სელისგან არის დამზადებული. აგრეთვე ძვ.წ. მე-IV საუკუნის კოლხურ ფულთან ერთად აღმოჩნდა ქსოვილის

ნაშთი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ძველი ანტიკური ხანის მწერლების ცნობების თანახმად, კოლხეთი განთქმული იყო სელის ნაწარმის მაღალი ხარისხით იმ დროინდელ მსოფლიოში. უთუოდ სახელწოდება – „სელი" ქართული სიტყვა უნდა იყოს და შეიძლება ქართულ „ქსელს" უკავშირდებოდეს და მისგან მომდინარეობდეს. ეს და მრავალი სხვა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკითხია უძველეს სამოსელთან, მის განვითარებასთან დაკავშირებული, რომელთა გარკვევა დიდძალი მასალის დაგროვებასა და წინასწარი ხასიათის მუშაობის ჩატარებას მოითხოვს.

იმ მასალებს შორის, რომლებიც სამოსლის ისტორიის გასარკვევად გამოდგებიან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალას. ეს მასალა, ყველა სხვა წყაროსთან შედარებით, შეიცავს რეალურად მოცემულ ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას და სხვა, რაც არც ერთს სხვა წყაროს, კოსტუმის ისტორიისათვის გამოსაყენებელს არ გააჩნია. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩაცმულობის სახეები ატარებენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხის მიერ არის დაუნჯებული და რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაარკვიო მოვლენის განვლილი სიფეხურები.

ამ ხასიათის მასალა ჩვენ უხვად მოგვეპოვება საქართველოში. კოსტუმის ისტორიის შესწავლა ამ წყაროს დამუშავებით უნდა იწყებოდეს. პირველ რიგში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს კოსტუმის კომპლექსების ის კოლექციები, რომლებიც ასი წლის მანძილზე გროვდებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და დღესაც იქ არის დაცული. სხვათა შორის ამ კოლექციებში შედის ხევსურული და თუშური ტანსაცმელი, რომლებიც მუზეუმში 1854 წელს არის შემოსული და რომლებსაც მუზეუმის კედლებში ასი წლის ისტორია აქვთ. იმის გასარკვევად თუ რა ცვლილება განუცდია ამ სახის კოსტუმს, დამის შემადგენელ ელემენტებს ხევსურეთისა და თუშეთის სინამდვილეში ასი წლის მანძილზე, ეს შედარებით სხვა დროს შემოსულ კოლექციებთან, ადვილად ირკვევა. მაგალითად, ხევსურული მხედრული ჩოხა ("შემოსულია მუზეუმში 1854 წ.") შემდეგში თანდათან ჰკარგავს იმ ნიშნებს, მას რომ მხედრულ დანიშნულებას ანიჭებს: ჩაქრილი ჩაქო ჯერ უბრალო ატრიბუტად იქცევა (1878 წ. კოლექცია), ხოლო შემდეგ სავსებით ქრება (1929 წ. კოლექცია).

მაგრამ ამ კოლექციებს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ხანდაზმულობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მრავალადაა წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის, წოდების, სხვადასხვა დანიშნულების კოსტუმები ქალის, კაცისა და ბავშვის. აქვეა კავკასიის მრავალი ხალხის ჩაცმულობის კომპლექსები. საქართველოს მუზეუმში დაგროვილია საქართველოსა და კავკასიის ხალხთა კოსტუმის 300-ზე მეტი კომპლექტი. ამგვარი კოლექცია სხვაგან არსად არ მოიპოვება.

საკმარისია ადამინმა თვალი გადაავლოს თუნდაც XIX საუკუნის ქართული კოსტუმის გამოფენას, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია მოწყობილი, რომ ადვილად დარწმუნდეს, თუ რამდენად დიდია ამ მასალის სამეცნიერო ღირებულება. ამ მასალის ერთი ნაწილის უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელყოფს ზემოთქმულს.

ქართული კაბის კომპლექსი შეიცავს: კაბა (ყურთმაჯიანი, გუჯასტიანი), გულის-პირი, სარტყელი, სახელო, ახალოხი, ქეთიბი, დოლბანდი, საბეჭური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიხთა, კოპი||გარჯილა, თავსაკრავი, ყამრა, ლეჩაქი||ჩიქილა, მოსახვევი||ბაღდადური, პერანგი, შეიდიში, წინდა, მესტი||ჩუსტი, ქოში, ფლოსტი, კავები, დალალები. **ხევსურული ქალის** კოსტუმი შედგება: სადიაცო, სარტყელი, ქოქომონი, ბაჭიები, წინდები, ქურები, სათაური, მანდილი, ფაფანაგი, ტყაპუჭი. **თუში ქალისა:** კუჭურა, თასაკრავი, კოწოლო, მანდილი, ჩოხა, მუხლისფარი, სახეული, საჭიკა, ჩითა. **რაჭველი ქალისა:** პერანგი, კაბა, საგულე||სახალოხი, წინსაფარი, ჩიქილა. **აჭარელი ქალისა:** ჩიწლული, ფესი, თეფელული, ჩათაკა, ქუმური, სარტყელი, პერანი, ზუბუნი, წინდები, ფლოსტები. **აჭარელი მამაკაცის** კოსტუმი შეიცავს: ჩოხას, შარვალს, პაიჭებს, ზუბუნს, ყაბალახს, თოლაბულუსის სარტყელს, სავაზნეს, ქისას, მათარას, სამასრეს, პერანგს, ლოფაჩინს, დამბაჩას, საპირისწამლეს, ყამას. **ქართველი მამაკაცისა** (მაღალი წოდების): მოვის პერანგი, ახალოხი, ქულაჯა, ყურთმაჯინი ჩოხა, შალვარი, ხონჯარი, ქამარი, ხანჯალი, ხმალი, სავაზნე, საპირისწამლე, მათარა, წუღები, პაიჭები, წინდები, ჩახსაკრავები, ბოხოხის ქუდი. **ხევსური მამაკაცის** ტანსაცმელია: პერანგი, ნიფხავი, ჩოხა, ქუდი, ბაჭიები, საწვივები, წინდები და ქურები. (იხ. ტაბ. I).

დასახელებული კოსტუმების საქართველოში გავრცელების არეები ნაჩვენებია იმ კარტოგრამაზე, რომელიც გამოფენილია საქართველოს მუზეუმში. ასევე ცალკე ტაბულაზე გამოტანილია კოსტუმების შემადგენელი ნაწილები, რომელთაც თან ახლავს თარგებიც. როგორც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა შეუძლებელია გეგმების გარეშე, ასევე თარგების გარეშე შეუძლებელია ტანსაცმლის შესწავლა.

ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებულ კოსტუმის შემადგენელი ელემენტების სახელწოდებებში ზოგჯერ ვხვდებით უცხო სახელებს, რაც სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ საგანი ამ სახელით აღნიშნული ყოველთვის უცხოა, გარედან შემოტანილი და არა ადგილობრივი, აქეს წარმოშობილი, შინაგანი განვითარების გზით შექმნილი. ამის მაგალითი მრავალია. შრომით კოოპერაციის ერთ-ერთ ფორმას, სახელდობრ, მოდგამს, ხალხი უწოდებს მონდგას, ამბაზს, ნადსა და ა.შ. ამ ტერმინის მიხედვით რომ გვემსჯელა ეს ინსტიტუტი თანამიმდევრულიდან სხვადასხვა დროს ირანიდან (ამბაზი), არაბეთიდან (ნადი) უნდა მიგვეღო, რაც მართებული არ არის. ასევე ითქმის მეტნაკლებად ტანსაცმელთა აღმნიშვნელ ტერმინების შესახებაც. მიუხედავად ამისა, უცხოურ ლიტერატურაში მრავალი მოვლენა ქართულ კოსტუმთან დაკავშირებულნი უცხოეთიდან შემოსული ელემენტად არის მიჩნეული.

ასე მაგ., სწავლული სპეციალისტები გარეგანი მსგავსების მიხედვით ხევსურული ქალის სათაურას უცხოეთის თავსაბურავად და გარედან შემოტანილად თვლიდნენ. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ხევსურულ სათაურას გარეგანი მსგავსების გარდა სხვა არაფერი არ აკავშირებს უცხოურ თავსაბურავთან. ხევსურულ სათაურას გავლილი აქვს თავისი განვითარების შინაგანი პროცესი ადგილობრივ, აქვე აქვს მას გავლილი ის საფეხურები, რომელთა შედეგად მან თავისი საბოლოო სახე მიიღო. შინაგანი განვითარების ეს გრძელი გზა კარგად ჩანს ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

ასევეა ხევსურული **პერანგიც**, რომლის თარგს შეადგენს: მიდგმული სახელო, ამოკერილი ჩაქიანი გვერდები, ამოღებული საყელო და შვეული საკინძიანი გულისპირი—**ფარაგი**. ეს პერანგი მომდინარეობს ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბგერითი ოსურენაკი
1. თუშური.
2. ხევსურული.
3. ხევური.
4. ფშური.
5. მეგრული.
6. ლაზური.
7. ფხიური ვლეხური.
8. ფხიური ჭალაჭური.
9. ნაქრის „ეთ“.
10, 11. ფშური „ფხანაკი“.
ქართლის ოსურენაკი და სალეკური
ოვერენაკ:
12. „ბანდილი“.
13. „ოუჭარა“.
14. თაოსაკრავი.
15. საყურე.
16. აჭარული თაოსაკრავი.
17. ხილაბანდი.
18. თაოსაქალი.
ონანლოენაკ:
19. თაოშალი.
20. ლუნაკი.
ხევსურულ:
21. „სათაურა“.
22. „სათაური“
23. საყურე.
24. „ბანდილი“.
ქარმოლენაკ:
25. „ჩიხტი“.
26. „ლიბ“.
27. ტაკეი.
28. ლუნაკი.
რაჭულ:
29. ჩიქილა.
30. თაოსანეკეი.
ბანანენაკ:
31. ქართლური.
32. ხევსურული.
33. თუშური (ქალის გულისბანი).
34. აჭარული-მეგრული-გურული.
35, 36. ეკრეცხლის ეჩარები.
37. ქალის ეჭარეი.
შარკალენ და ალალენ:
38. ქართლური შარკალი.
39. ქართლ-კახური ალალენი.
40. „ხინკალი“ (ნაქსოვი ქამარი).
41. ხევსურული „ბალეარი“.
42. ფშერული ალალენი.
43. ფშერული შარკალი.
44, 45. აჭარული-გურული შარკალი „ჩაქურა“.
46. ქალის “შეიდიში“.
47, 48. ქალის ინდალიური შარკალი.
49. ქალის აჭარული შარკალი.
50. „ქალიბი“.
51. თუშური კაბა.
52. წანსაფარი.
53. ხევსური ქალის „ტაკეი“.
54. „სადაიი„ ქამრიი.
55. „ფიფანაკი“.
ქალის ქარმოლენ:
56. ალალენი.
57. გულისბანი.
58. ეკრეთმაკეი.
59. სარტყელი.
60. მეგრული-გურული ზედატანი
61 ქამარი.
62. ქართლური ზედატანი.
ქალის რაჭულ:
63. ალალენი.
64. წანსაფარი.
65. „ეიფიარა“.
ონანლოენაკ:
66. ლაბადი.
67. სარტყელი.
68. წანსაფარი.
69. ალალენი.
აჭარულ:
70. „ელეკი“.
71 ალალენი.
72. ბალის სარტყელი.
73. ლუნაკი.
ზედა სალეზლ:
74. ქართლური „ჩიხი“.
75. ქამარი.
76. „ეკრეთმაკეანი კაბა“.
77. ბასრეი.
78. ბასრეიანი „ჩიხი“.
79. წინდის ალსეეი.
80. ხევსურული „ჩიხი“.
81 „ხიეენრე“ (ხელთათანები).
82. აჭარულ-გურული სარტყელი.
83. აჭარულ-გურული „ჩიხი“.
84. ნაბადი.
85, 86, 87. „ბაეიეეი“
88, 89. წინდები.
90. ქალამანი.
91 „ქიში“.
92. ჭეიტანი ნეკნა.
93. ბიხეური „ქალამანი“.
94. ხევური დაწნული-ძირიანი ქალამანი.
95. წეკა-ბესტა.
96. თუშური ნაქსოვი „ჩიხი“.
97. ხევსურული „ათიეი“.
98. ნაფის აჭარული ლაფანანი.
99. ხის „ქიში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

პერანგისაგან, რომლის თარგი უბრალო და სადა იყო. მას ჯერ კიდევ არ გასვლია სახელო და მთლიანი ქსოვილის ნაჭრისაგან „იკერებოდა", დროთა ვითარებაში ეს სადა პერანგი თანდათან გართულდა, მას ახალი ნაწილები შეემატა და ხევსურული პერანგის სახე მიიღო. ხევსურული პერანგის ძველი ქართული სახელი **კაჭართა** (კვარტუა, კურთა), რომელიც არაერთგზის არის დასახელებული ბერძენი კლასიკური ხანის ავტორების შრომებში და რომელიც ჰეროდოტეს „კალასირის" უნდა ვარაუდობდეს.

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული მასალები კოსტუმის ისტორიის შესწავლისათვის, რამდენად სრულად იქნება ამ ხასიათის მასალა შეკრებილი და სათანადოდ გამოყენებული, იმდენად სრულყოფილი სახით დამუშავდება კოსტუმის ჩასახვისა და განვითარების პრობლემები. ყოველ შემთხვევაში ქართული კოსტუმის ისტორიის დასაწერად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის წინასწარ გასაკეთებელი და დასამუშავებელი.

რა წყაროებისა და მასალების საფუძველზე შეიძლება ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესწავლა

ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესასწავლად მეცნიერებას ნაირსახეობის მასალა გააჩნია. ეს არის ერთი მხრივ, წერილობითი წყაროები დაწყებული ასურული, ებრაული, ურარტული, ბერძნული, რომაული, ქართული, სომხური, არაბული, სპარსული, ახალი ევროპული ენებით დამთავრებული. მეორე მხრივ, არქეოლოგიური განათხარი მასალა, რომელიც გვაწვდის ტანსაცმლისათვის გამოყენებული ნიმუშების, სკულპტურული ძეგლები, მათ შორის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა X საუკუნის ქოროღოს ბარელიეფი, სადაც შენობის აგების პროცესია წარმოდგენილი – ყალატოზები, ქვის მთლელები, ქვის მზიდავები– სამუშაო ტანსაცმელში, ფრესკები, მონეტები, მინიატურები.

ამათ გარდა კოსტუმის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოფაში შემონახულ ეთნოგრაფიულ მასალას, რადგანაც ეს მასალა, ყველა სხვა წყაროსთან შედარებით, მეტად არკვევს კოსტუმის ფაქტურას, თარგებს, დამზადების ტექნიკას, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალაა დაგროვილი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც თავმოყრილია საქართველოსა და კავკასიის ხალხების კოსტუმის უნიკალური მასალა. ეს კოლექცია გამოირჩევა თავისი სიუხვით, მრავალფეროვნებით, სისრულით. აქ არის კოსტუმები საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხის, წოდების, დანიშნულების, პროფესიის მიხედვით.

რა ძირითადი თავისებურებანი აქვს ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს

ქართული ეროვნული ჩაცმულობა, ისევე როგორც კულტურის სხვა ელემენტი საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა, ხოლო მისი ძირითადი ტიპები **ქართული კაბა** და **ქართული ჩოხა** დაიხვეწა და თავისი საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვე მიიღო ბოლო საუკუნეებში. ამათ გვერდით განაგრძობდა არსებობას ძველ ქართულ ეთნიკურ წარმონაქმთა ტანსაცმელი (**ხევსურული**), რომელთა ცალეული ელემენტები გენეტიკურად უკავშირდებიან ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმებს.

ქართული ეროვნული ტანსაცმელისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტებიდან მე მიმაჩნია: ფორმის დახვეწილობა და სინატიფე, რომელიც ბაზს უსვამს სხეულის სილამაზეს; იგი წელზე გაწყობილია, შეხამებულია ფერთა ჰარმონიას, გათვალისწინებულია პირისახის, კანისა და თვალის გუგას ფერები.

ქართული ეროვნული კოსტუმი ასახავს ჩვენი ხალხის მზატვრულ გემოვნებას და სილამაზის იდეალს. ამასთან ერთად კარგ კოსტუმს, კარგ ტანადობასთან ერთად კარგი ტარებაც უნდა, რაც ქართველი ქალისა და მამაკაცის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად ითვლება.

რა არსებითი ცვლილებები განიცადა ქართულმა ჩაცმულობამ

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მაღალი წოდების ჩაცმულობა დროთა განმავლობაში განიცდიდა გავლენას მეზობელ ქვეყნების გაბატონებული კლასების მოდებისას: ირანის, თურქეთის, არაბეთის, ბიზანტიის თუ სხვა, ხოლო ხალხური ჩაცმულობა უფრო მეტად თავის ეროვნულ სახეს ინარჩუნებდა. ამაზე ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს.

კოსტუმის ელემენტების საუკუნეთა მანძილზე ცვლილების შესახებ ერთ-ორ მაგალითს დავასახელებ.

ხევსურული ჩაცმულობის (**ტალავარის**) მნიშვნელოვანი ელემენტია მისი პერანგი, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალური თარგით და მდიდარი ნაქარგობით. მისი გულისპირი (**ფარაგი**) გამოირჩევა არამარტო ქართველი ხალხის ჩაცმულობაში. იგი თავისი საწყისი ფორმით ძველი კოლხეთისა და მცირე აზიის სამყაროს უკავშირდება. ამ პერანგის თარგს შეადგენს: მიდგმული სახელო, ამოღებული საგულე და საკინძებიანი გულისპირი.

ძველი საქართველოს ქსოვილების შესახებ მასალებს გვაძლევს არქეოლოგიური წყაროები. გათხრების შედეგად მოპოვებულია ქსოვილის ნიმუშები: სელის (დიდუბე, ზღუდერი, ქვაცხელი) ადრე ბრინჯაოს ხანისა; სელი და მოხატულობა (მოქვი, ფიქნარი, ქობულეთი), შავ-ზოლიანი, შვინდისფერი ძვ.წ. XIX ს. (ბედენი); შალი, კანაფი, ბამბა ძვ.წ. XII ს. (ნავთლუღი); აბრეშუმის ქსოვილი ჭადრაკული სახეებით ძვ.წ. II ს. (ბაგინეთი); ფეოდალური საქართველოს ხანის ქსოვილის ნიმუშები აღმოჩენილია აკლდამებში (ხევსურეთი, სვანეთი), ხოლო ჩაცმულობის ნაწილები მოღწეულია რიგი ნიმუშების სახით (თავსაბურავის სახით).

თანამედროვე კოსტუმის დანიშნულება სხვადასხვაგვარია. როგორი იყო ამ მხრივ ქართული ჩაცმულობა? უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ეროვნული ჩაცმულობის გარდა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კოსტუმის თავისებური ტიპი გამომუშავდა; ასევე, იყო კოსტუმი სხვადასხვა წოდებისათვის, პროფესიისათვის, ხელოსნისათვის, გლეხისათვის, მოქალაქისათვის, ვაჭრისათვის, სასულიერო პირისათვის, მგზავრობისათვის, მხედრისათვის, სპორტისათვის (ფალავნების, მოჭიდავეების), აგრეთვე იყო სამუშაო კოსტუმი (მაგ. სამკილი – ჩაცმულობა მკელისთვის), საზეიმო, საქორწინო, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალისთვის, სამგლოვიარო, სამონადირეო და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ფერები და მოტივები ჭარბობდა ქართულ ქსოვილებსა და ტანსაცმელში

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით XVIII–XIX სს. ახალგაზრდა ქალებისათვის უპირატესად მიღებული იყო თეთრი, ვარდისფერი ანუ პირისფერი, ნარგიზისფერი, იისფერი ტანსაცმელი; შუახნის ქალებისათვის – ლურჯი, სოსანი, უნაბისფერი, შინდისფერი, ალუბლისფერი, ლაჟვარდისფერი; ხანში შესულისათვის – შავი, რუხი, ნაცრისფერი, ლურჯი და საერთოდ თალხი ფერები.

კაბის ფერთან იყო შეწყობილი თავსაკრავის, სარტყელ-გულისპირისა და სახელოს წვერის ორნამენტები ერთრიგად, ერთი ტექნიკისა და ერთი ფერის. საერთოდ კი, ქართული კაბის შემკულობაში ჭარბობდა მცენარის ორნამენტი, გამოსახულებანი: შუხის ტოტი რკოთი, ვაზი ყურძნითურთ, პურეულის ძნები, ვარდები და ცხოველური ორნამენტი, თევზები (ნაყოფიერების სიმბოლო), ფრინველები და სხვ.

მთის ზოლის მოსახლეობის ჩაცმულობის ორნამენტი უპირატესად გეომეტრიული სახის იყო: დაკავკაულა, კვერანი, კვერის-კვერანი, თევზის ზურგა, მირგვალა, ბორჯღლიან-მირგვალა, ხუთანი, ცვერცვანი, ხატულანი, ანო, ინო, ონო, აკუშერა, ჩამკოჭვილა, გახიდულა და სხვ.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ქართული სახიანი ქსოვილების გასაოცარი მრავალფეროვნება, დაჩითული ქსოვილები, ნაქარგობა მოწმობს ქართველი ქალის ნატიფ გემოვნებაზე. მათი ნახელავი ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც და მასზე დიდი მოთხოვნილება იყო აღმოსავლეთის ბაზრებზე.

1954 წ.

ხევსურული კოსტუმი

ცნობილია, რომ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხევსურეთში მრავალი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ღირებულების ნაშთია შემონახული. სალ კლდეებსა და ღორღიან ხევებში მცხოვრებ ერთ მუჭა ხალხს დაცული აქვს მეცნიერული კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ადრინდელი კულტურული ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებს შლიან. ამ ფაქტებში უაღრესად ღირებულია ხევსურული კოსტიუმი (საქ. მუზეუმში ხევსურული კოსტიუმის რამდენიმე კომპლექტი მოიპოვება).

ხევსური მამაკაცის პერანგი

ხევსური ქალის სადიაცო

ხევსურული კოსტიუმი სავსებით თავისებური და ორიგინალური ნიმუშია. არც ერთ კავკასიის ხალხს მსგავსი ტანსაცმელი არ მოეპოვება.

ხევსურული მამაკაცის კოსტიუმს შეადგენს: **პერანგი, ჩოხა, შარვალი** (ხევსურულად ის სახელი ეწოდება, რასაც ჩვენ პერანგის ამხანაგს ვეძახით), თავისებური შალის **ქუდი, ბაჭიჭი,** რომელზედაც **საწყაოვა** შემოჭირებული, **წინდა** და **ჯღანი.** გაუგებრობის ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ ხევსურული **პერანგი,** ისევე როგორც პერანგის ამხანაგი როდია ჩვენებური თეთრეული. საზოგადოდ ხევსური თეთრეულს არ ხმარობს. ამიტომ იქ **პერანგი** პერანგიცაა და ხალათიც, ი შვიათად შეიძლება მოხდეს, რომ ხევსურმა თეთრეული შეიკეროს; ასეთ შემთხვევაში თეთრეულს ჩითისას იკერავენ და **სარბალის** ეძახიან.

საზოგადოდ კოსტიუმის არსებით მხარეს მისი თარგები წარმოადგენს. თარგი იძლევა კოსტიუმის აგებულების, მისი შემადგენელი ნაწილების გაგების საშუალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგების შემწეობით ადვილად ხერხდება ტანსაცმელის ამა თუ იმ ტიპის წარმოშობის გარკვევა და შედარების გზით მსგავსება-განსხვავების დადგენა ტანსაცმელების სხვა ტიპებთან. ამ მხრივ ხევსურული კოსტიუმი თავისი უძველესი თარგებით ძვირფას მასალას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ხევსურული კოსტიუმის შემადგენელი ელემენტების თითეულ თარგზე. საილუსტრაციოდ მხოლოდ ხევსურული პერანგის თარგს შევეხებით.



ხევსურული პერანგის თარგის წარმოშობის სქემა

ხევსურული პერანგის თარგი იძლევა: მიდგმულ სახელოს, ამოკერილ ჩაქიან გვერდებს, ამოღებულ საყელოს და შვერილ საკინძიან გულისპირის (**ფარაგი**) ჭრილს. ამგვარი თარგი წარმომდგარია ისეთ სადა თარგისაგან, როდესაც პერანგს არ ჰქონდა სახელო და იგი მთლიანი ქსოვილის ნაჭრისაგან „იკერებოდა". დროთა ვითარებაში ეს პრიმიტიული ფორმა თანდათან განვითარდა, მას ახალი ნაწილები შეემატა და ხევსურული პერანგის სახე მიიღო (იხ. აქვე ნახაზი).

ამ თარგის **პერანგი** მეტად გავრცელებული იყო წინა აზიის ხალხებში. მას ატარებდნენ ხალდეველები, ხეთის ქვეყნის ხალხები: ასურელები, ბაბილონელები და, აგრეთვე, ეგვიპტელებიც. ჩვენ დრამდე მოღწეულია მრავალი ისტორიული ძეგლი, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს. სხვათა შორის, ამ ტიპის პერანგი არქეოლოგიურ გათხრებშიც არის აღმოჩენილი. ერთ-ერთი ასეთი განათხარი მასალა ეკუთვნის მე-XIV საუკუნეს ქ.წ. ამგვარივე პერანგი **კალაჰარას** სახელით აღწერილი აქვს ჰეროდოტეს (V საუკ. ქ.წ. ისტორიკოსს). საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხევსურული პერანგის ტიპი მრავალი ნიშნების მიხედვით უძველეს ხანაში წინა აზიის ხალხთა საერთო სახმარი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო.

ხევსურულ პერანგის შესახებ თქმულს თუ დავძენთ სტრაბონის ერთ ცნობას, სახელდობრ, რომ იბერიის (აღმოსავლეთ საქართველოს) მთიელები ჩაცმულობით სკვითებს (ჩრდილოეთ მცხოვრებთ), ხოლო იბერიის ბარელები– მიდიელებს (სამხრეთის მცხოვრებთ) მიემსგავსებოდნენ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტრაბონის დროს (სტრაბონი მოღვაწეობდა პირველ საუკუნეში ქ.შ.) ხევსურები თავიანთი წინა აზიური–სამხრეთელი პერანგით ჯერ კიდევ არ ყოფილან მთებში შეხიზნული.

ხევსურული პერანგი მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი თარგით, იგი როგორც ხევსურული კოსტიუმის სხვა ელემენტებიც, საყურადღებოა თავისი ორნამენტებით. ორნამენტების სახეები მრავალგვარია: **პეპელა, მწერა, თავმოკრეული, აკუშურა, ოთხკუთხა** (**ჯვარი**) და სხვა. ეს ორნამენტებიც უმეტესად წინა აზიის ხალხთა ადრინდელ კოსტიუმის ორნამენტებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ჯვრის ორნამენტი, რომელსაც ხევსურები **ოთხკუთხაის** და **ხატს** ეძახიან, ხევსურული პერანგის ტიპის ხალათზე გვხვდება XV ს-ში ქ.წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთ სირიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მკვლევარს, რომელთაც გათვალისწინებული არ ჰქონდათ ჯვრის ორნამენტის წარმოშობის ხანა, ჯვარი როგორც სიმბოლო და ორნამენტი ქრისტიანობაზე გაცილებით ადრინდელი მოვლენაა, – ხევსურული ოთხკუთხა ჯვრის ორნამენტს, შეცდომით, ჯვაროსნობის ეპოქას უკავშირებდნენ.

დასასრულ, მკითხველის ყურადღება ხევსურული პერანგის ერთ დეტალზე გვინდა შევაჩეროთ. ეს დეტალია პერანგის გულთან მარცხნით მიკერებული მძივებით შემკული **ჯიბა**, რომელიც თუმც **ჯიბას** სახელს ატარებს, მაგრამ ჯიბის დანიშნულებას სრულიადაც არ ასრულებს. ვაქკაცს რამდენად მეტი ასეთი ჯიბა აქვს **პერანგის** გულზე, იმდენად იგი უფრო მოწონებულია. **ჯიბა** ხევსური ქალის საჩუქარი და ნიშანია თავის მამაკაც სწორფერისადმი მიძღვნილი. სწორფრობა ხევსურეთში ცოლ-ქმრობის გარეშე ქალისა და ვაჟის მეგობრობის ინსტიტუტია. **ჯიბა** ამ მეგობრობის სიმბოლოა.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ხევსურული კოსტიუმის **„ჯღანიც“**, იგი **კალაპოტით** (თარგით) ხარის ტყავისაგანაა გამოჭრილი. მისი ძირი თასმითაა მოწნული. ამგვარ მოწნას ხევსურები **ბანდუას** უწოდებენ. ჯღანს ძირში ბალახი უფენია ნოტიოსაგან ფეხის დასაცავად, გვერდებში შვეულადაა ჩაჭრილი. ასეთ ჭრილის ჯღანს ხევსურები ლეკურად ჩაჭრილს ეძახიან, რაც იმას მოწმობს, რომ ჯღანის ეს ტიპი ხევსურებს მეზობელ ლეკებიდან უნდა ჰქონდეთ ნასესხები.

ზემოთქმულის მიხედვით მკითხველისათვის აშკარა უნდა იყოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ხევსურული კოსტიუმი კულტურის ისტორიის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. ამას ხევსურული კოსტიუმის ორი-სამი ელემენტის განხილვაც ცხადყოფს.

1929 წ.

1943 წლის ზაფხულში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს ხევსურეთში საყანე მიწის საზომების აღწერისას მეტად საყურადღებო თავისებურებები გაირკვა. აღმოჩნდა, რომ ყანის ფართობის საზომად იხმარება ისეთი ერთეულები, როგორიცაა: „**წერა, სალალაკი, ბაწარი, ცელის-ტარი, ლიტრა და დღიური**“. ამ ერთეულების შესაბამისად ხევსურები იტყვიან ხოლმე: ეს მამული ამდენი „წერისაა“ („10 წერისაა“, „12 წერისაა“), ან ამდენი „სალალია“, ან კიდევ – ამდენ „ლიტრიანია“ და სხვ.

ამ საზომებიდან „ლიტრა“ მიწის საზომის ის ერთეულია, რომელიც მიწის მოსავლის რაოდენობის აღრიცხვას გულისხმობს და ამდენად მიწის ფართობის გაზომვის ერთ-ერთ უძველეს სისტემას განეკუთვნება. საქმე იმაშია, რომ მიწის ფართობის ამგვარი საზომი საშუალო საუკუნეების საქართველოშიც არის ცნობილი, სახელდობრ, იგი მოხსენებულია ეგრეთ წოდებული ნიკორწმინდის სიგელში, სადაც იკითხება: „ყანაი გრივისა ერთისა სათესავი“, „ყანად ექუსს კაბიწის სათესავი“[1]. ამგვარი მიწის ფართობის გასაზომი ერთეული დადასტურებულია კასიტების ხანის ბაბილონშიც, სადაც იგი შემდეგი სახით იხმარებოდა: „30 სილა თესლის ღალა“[2].

რაც შეეხება „წერაი“ მიწის ფართობის გაზომვას, უნდა აღინიშნოს, რომ საზომის ამ ერთეულის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ ხევსურული მასალების მიხედვით შემდეგი: **როცა სეილის ყანაა:**

1. ყანის წუელის (თავთავების) ის რაოდენობა, რომელსაც მმკელი მკის დროს ერთი ხელით დაიჭერს . . . . . კელეურია;
2. ორი კელეური . . . . . ძნაა,
3. სამი ძნა . . . . . სამეული;
4. შვიდი სამეული . . . . . წერილა,
5. სამი წერილა . . . . . წერი (ბულული),
6. ორი წერი ან ექვსი წერილა . . . . . კალო,
7. ერთი კალო . . . . . ორი მარკილი,

მეორე ვარიანტით, როცა **ქერის ყანაა**:

1. ერთი ხელის ყანა . . . . . კელეურია;
2. ორი კელეური . . . . . ძნა,
3. ხუთი ძნა . . . . . ხუთეული,
4. ექვსი ხუთეული. . . . . წერილა,
5. სამი წერილა . . . . . წერი (ბულული),
6. ორი წერი ან ექვსი წერილა . . . . . კალო,
7. ორი მარკილი . . . . . ორი მარკილი.

მაგრამ მარტო ამ მონაცემით არ ამოიწურება წერის, როგორც მიწის საზომი ერთეულის, მნიშვნელობა. იმის მიხედვით: ყანა ადგილ-მდებარეობით პატრონისათვის დასამხარზეა, თუ შორსაა – წერის ღირებულებაც სხვადასხვანაირია. იმ საყანეში, სადაც შეიძლება ჯინით საქონლის პატივის მიტანა –

[1] შდრ. **იო ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, მეტროლოგია, გვ. 123.

[2] **Br. M e i s s n e r**, Babylonien und Assyrien, Berlin, 1925, ტ. 2, გვ. 197.

ერთი წერის მამული – ერთი ძროხა ღირს, ხოლო იქ, სადაც პატივის მიტანა ჯინით არ შეიძლება და ადამიანმა ზურგით უნდა ზიდოს – ორი წერისა – ერთი ძროხა ღირს. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ 10 წერის ყანა შეიძლება ათი ან ხუთი ძროხა ღირდეს. ხევსურული მონაცემების მიხედვით თვით ძროხის ფასიც მუდმივი და მყარი ერთეული არ არის. შემოდგომაზე ერთი ძროხა ღირს ოთხი ლიტრა ერბო, ხოლო ზაფხულში – ექვსი ლიტრა. ამავე დროს, ძროხის შენახვა ზამთარში ოთხი ლიტრა ერბო ღირს.

უკანასკნელი მონაცემების საფუძველზე გამოდის, რომ 10–12 წერის ყანა ღირს 10–12 ძროხა ან ხუთი-ექვსი ძროხა, ხოლო ერბზე გადატანილი შემდეგი ღირს:

10	წერის ყანა გაზაფხულზე.....	50	ლიტრა ერბო
10	ძროხა ზაფხულში.....	60	„ „
10	შემოდგომაზე.....	40	„ „
10	ან 5 ძროხა გაზაფხულზე.....	25	„ „
10	ზაფხულში.....	30	„ „
10	შემოდგომაზე.....	20	„ „

წერის, როგორც საზომი ერთეულის, თავდაპირველი მნიშვნელობის გარკვევა რიგი შესადარებელი მასალის გათვალისწინებას მოითხოვს (**შარი, ეტი, მარვა, ორნატი, ტუფი, ჯუერი, ტახტი, დარანი, თარვა, კეალი, სუმერული „სარ“** და სხვა), რაც შორს წაგვიყვანდა. ამჟამად ჩვენთვის საკმარისია იმის დადასტურება, რომ ხევსურეთში ეს საზომი ერთეული შეიძლება სხვადასხვა ღირებულების იყოს.

ხევსურეთში ასევე სხვადასხვა ღირებულებისაა ისეთი საზომი ერთეული, როგორიცაა **ლიტრა.** მარცლეულის დარწყვის დროს ერთი და იგივე ლიტრა შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის მარცლის დამტევი იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორაა გასვებული ლიტრიანი. ერთ შემთხვევაში შეიძლება **ლიტრა თავშებმული** იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში **პირვადასმული.** თავშებმული იმას ნიშნავს, რომ ლიტრაში იმდენი მარცვალი ყრია, რამდენსაც იგი დაიტევს, თავს შეიდგამს, ხოლო პირზე სავსე ლიტრა ნაპირზეა გადასწორებული. ასევეა დახასიათებული პინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში: მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოში და ჭართალში „პინა თავშებმული და პინა პირზე“[3].

საყურადღებოა, რომ ამგვარი განსხვავება მარცვლეულის საზომისა მთის გარდა ბარის საქართველოშიც არის ცნობილი. ამ მხრივ ტერმინების სხვადასხვაობის მიხედვით გამოირჩევა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო.

აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ, ქიზიყში, ერთი ცნობის მიხედვით ასხვავებენ **ნიტრას თავშობმულს, გულამოსსებულს** და **სილაზე სავსეს**[4]. სტ. მენთეშაშვილის ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით: „ნიტრა გარჩეულია თუ როგორ არის გასებული: **გადასმული ნიტრა, თავშობმული ნიტრა, სილაზე სავსე ნიტრა, ფიფქლიკ სავსე ნიტრა**“. სტ. მენთეშაშვილი სილაზე სავსე ნიტრას ასე განმარტავს: „სილაზე სავსე ნიტრა – საწყაო ლიტრა პირამდე ავსებულია მარცვლეულით ან ფქვილით და შემდეგ გადასმულია გადასასმელით, რომ არც მეტი იყოს და არც ნაკლები“.

---

[3] **მ. კეკელაძის** მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით.

[4] **ია ს. ნანობაშვილის** ცნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონის სოფ. ცლუნკაანის მცხოვრების ცნობით[5]: „ნიტრიანი ხისაა, დაბალი, მთლიანი, ძირი და პირი ერთნაირად არი ამოფენილი, ხეს გული გამოღრუნტული აქვს და ძირი ისევ ხისა აქვს გაკეთებული, სალტეები აქვს გარშემო შემოტაკული. როგორც ათმსეს, შაატნებ და ხანჯლით გადაუსომ, ეგ მორიგებაზეა, როგორც მორიგდებით, შეიძლება არც გადაუსოთ და გულამოდგმული მოგიცეთ. ხანჯლით რო გადაუსვას სილა არი და თუ გულ ამოუდგამ – გალმოდგმული, მაშინ აღარ გადაუსვამ. ერთხელ ან ორჯერ უნდა შაჭანება. ზოგი ისე წუწურაქია – გულსაც თან გააყოლებს ხომ. ეგრე დაუსომს ხანჯალს, ზოგი დანდობილია – გადაუსომს და წამოდ ცოტა დარჩება, ზოგი ხელმეორეთაც გადაუსომს, თუ დაბალია გადასასმელი – თუ აქათ პური გადმაიფანტა მეორეთ მოუბრუნდება და გადაუსომს“.

დუშეთის რაიონის სოფ. ქერანაში მცხოვრებ სოფიო ჭიაბრიშვილის ცნობით: „უწონ იცოდნენ პირიანი თაბახები. თავაბმული სხვა არი და გადასილავებული სხვა არი. თავაბმული მთელი პინა იყო, გადასილავებული ნახევარი პინა იყო (ნახევარი პინა – გინდ ლიტრა). გადასილავება – გადასაწორებდნენ სწორე შიმშით. ფიცარი იქნებოდა, ჯოხი თუ რაც შეხვდებოდა სწორე. დაჩეჩა უნდა პინას – შამაატრიალებდნენ, ერთხელ გაჩეჩამდნენ ხორბალს, სიმინდს, ქერს“.

იმავე რაიონის ს. არღუნში მცხოვრებ მაგდანო ლუხუნაშვილის გადმოცემით: „პინა უნდა დადგას, გაამსოს და ერთი გაჩეჩოს, მერე შაამსოს და ხელი გადაუსოს ან ჯოხი, ასე რო უნდა იყოს სილითი – არი წესი იმისი – გასწორდება რა. სწორეთ იქნება, ის არი სილა – თავი ქონდეს გადასწორებული, თუ სილა არ გადაუსვი იმას თავშებმული ჰქვია. თუ მინდა თავშაუბამ, თუ არა და არა – როგორც მოურიგდებით სილათა თუ თავშაბმითა. ჩვენკენ პინა ქვიან, გრეშილისვეისაკენ კი ჩანახს ეძახიან. ფქვილი თავშებმით ნაკლებია, გატენილი მეტი. . . სილითი რო იყოს ჯოხს გადაუსომთ. სწორე კი რაშე იყოს გადაუსო, თუნდა ცულისტარი, თუნდა ჯოხი. პური რწყვით არი, კარაქი და ქერი წონითია, რადგანაც რო სუბუქია ქერი. სიმინდიც პურთან მიდის, რწყვით ჯობია. . . ლობიოც რწყვით ჯობია, ვიდრემდისინ წონითია“.

იმავე რაიონის სოფ. ვეძათხევის მცხოვრები სანდრო ანდრიას ძე ინაშვილი მოგვითხრობს: „პინა თუ არი გამოწყული სამსეთ მისცემენ და თუ სილით არი სილითი მიცემენ, ორნაირია ეგა. . . სილა იმისთვინა ქვია სწორეთ რო არის. ხელის სილა სხვა არის და ის სილითი აირწყვება პური.გადაუსომენ ჯოხსა, როგორც გინდა ჯოხი იყოს სწორე, ბარდაბარ საწყაოს ნაპირებზე რომ გადაუსომს აღარაფერი დარჩება, პური, როგორც გაურიგდება. ისე უნდა დაჩეჩოს, თუ ნებართვას მიცემს თავის ნებით აწყამს, გინდა ორჯერ, გინდა სამჯერ დაჩეჩამს, ეგრე როცა ჩეჩამს, ორიც გამოვა – ეხლა როგორც წონაშია გამოსული სილათ მიცემენ, ძველ დროს იყო პინა ისეთი რო უნდა ამსილიყო თავშაბმითა, რაც გამოწონილია. ის არის ოცი გირვანქა ერთშიაცა და მეორეშიაც და თუ არ იცის აწყვა, თითო აწყვაზე ორ გირვანქას გააყოლებს უეჭველათა“.

შიდა ქართლის სოფლებში დადასტურებულია შემდეგი: სოფ. ფხვენისში – „ჩვენ სოფელში იციან საწყაო ნახევარფუთიანი, რომელსაც ეძახიან ჩანახს, რწყვა ორნაირია ამ საზომით – სილა და თავდაბმული. სილა ეს არის: აიღებ ამ ჩანახს, გაავსებენ ხორბლით სულ თავამდის, რამდენით დაეტევა ზევიდან თავდაყრით, შემდეგ სახაზავსავით რამეს მონახავენ. . . და გადაუსვამენ

[5] მარიამ ალექსანდრეს ასული **გურგენისშვილი.**

პირდაპირ, რასაც გადაიტანს, ის უნდა გადაყარონ და რაც დარჩება იმას ეძახიან ლილა ჩანახი, ესაა გასილავებული. „ლილა მშართებდაო თუ თავდაბმულიო. . . არაო, ლილა იყოო". თავდაბმული, რაცა დადგება ზედა თავის უფლად იმ ჩანახზე, იმას ეძახიან თავდაბმულს. ზოგიერთებს ფიცრები აქვთ სწორე, საგანგებოდ რო გადაუსვან ჩანახს (სახელი არ აქ იმასა)".

ამავე მნიშვნელობით ვხვდებით სილა და თავმობმულ ჩანახს ქვემო ქართლის შედეგ სოფლებში: სასირეთი, დუსი, ყარაღაჯი, ხანდაკი და ხოვლე; ასევეა იგი დადასტურებული ზემო ქართლის სოფ. ოძოსში; „შენაო ერთი პინა ხორბალი ასესხე თავმოდგმული, ხოლო მან სილა შემოგაპარაო".

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ შემდეგი სურათია: ის რაც აღმოსავლეთ საქართველოში სილათი აღინიშნება, გურიაში **ლაღად** იწოდება: ლაღაგადასმული ბათმანი – სწორი ბათმანი. ქვემო იმერეთში (ს. სამიქაო) დადასტურებულია „ლაღა გადასმილი ბათმანი". ვ. ბერიძის „სიტყვის კონის" მიხედვით: „ლაღა – ჯოხი, რომელსაც ხორბლეულის მორწყვის დროს ხმარობენ: ბათმანს ან სხვა საწყაოს თავზე უსმენ". ლეჩხუმისათვის ფიქსირებულია: „ლაღამოსმული – მოსწორებელი, გათანასწორებული, ლაღა ჯოხია, რომელ-საც ხორბლეულის რწყვის დროს ხმარობენ. ბათმანს ან სხვა საწყაოს უსმენ მოსასწორებლად, ორივე ცოლ-ქმარი პირდაპირ ლაღამოსმული არიან"[6].

ქვემო რაჭის სოფ. ტოლაში მცხოვრების ანა სამხარაძის ცნობით: „ბათმანი ხისაა გამონათლებული, რგვალია. ავწყამთ მოსავლით, ერთი ბათმანი სიმინდი რო გასესხო გინდა თავიანს მოგცემს და გინდა ლაღა გადასობილს. ფქვილს რო ვაძლევთ ბოყვიჩა გვაქვს, ამოვტენი იმ ბოყვიჩას და მივცემ. ის ქერქია შეკრული, სულ ყველს აქვს. ბოყვიჩას პატარა საწყაოს ეტყვიან (ზოგი დიდია, ზოგი პატარა), რო არ ამოვტენო იმას გაუტენელიჰქვია: „გატტენილი გინდა თუ გაუტენელი სესხათ, გკითხავ და ისე მოგცემ. უთავო რო იქნება ლაღას გადაუსობენ და თავიანს არ გაუსობთ ჯოხს". სამეგრელოსა, სვანეთსა და აფხაზეთში დადასტურებულია „ლაღე", „ლაღა" და „ალაღ". რაჭის მთიანეთში – „თავიანთი და ბაგე საწყაო".

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში ლაღა ეწოდება კარგად გათლილ სწორ ჯოხს, რომლითაც ასწორებენ საადგრე ან საკრამიტე მიწის გუნდას კალაპოტში[7]. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი კერამიკულ წარმოებაში ს. შრომასა და უბისში, აგრეთვე შიდა კახეთის კერამიკულ წარმოებაში.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთით ზოლში გაბატონებულია დასახელებები – თავშემბმული პინა და პინა პირზე, ხოლო ქიზიყში, კახეთსა და ქართლში – თავშედგმული პინა, ჩანახი პინა და ჩანახი სილა. დასავლეთ საქართველოში მიღებულია ლაღაგადასმული ბათმანი და თავიანი ბათმანი.

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ლაღა ამჟამად გადასასმელს აღნიშნავს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე სამეგრელოში[8] და ძველადაც XVI–XVII საუ[9]. დასავლეთ საქართველოში

[6] **შ ა ლ ა ვ ი ძ ე** ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 149.

[7] **ბ. წ ე რ ე თ ლ ი**, ზემო იმერული ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 113.

[8] **Н. К и п ш и д з е**, Грамматика мингр. (иверского) языка, ლექსიკონი, გვ. 271.

[9] **იო. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**, საზომ საფასი, გვ. 114.

ლაღარაკონნი და ლაღარიკონი წონის ერთეული იყო, სავარაუდებელია, რომ მისი მნიშვნელობა საწყაო ერთეულს აღნიშნავდა. ამას ისიც უნდა დამატოს, რომ საბას განმარტებით „ლოღარიკი ცალსასწორი"-ა[10], ხოლო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით ლაღანაკი, ლაღარაკი – იმავე მნიშვნელობისაა.

ამგვარივე კავშირი ჩანს სილასა და საწყაოს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში ეს ტერმინი იხმარება უფრო მეტად საწყაოს გარკვეული მდგომარეობის აღსანიშნავად, ვიდრე შიმშისა, ჯოხსა და ხანჯალის, რომლებითაც მარცვლით სავსე პინას, ნიტრას და ჩანახს თავს უსწორებენ. საბას ლექსიკონში ეს ტერმინი ახსნილია ასე: „სილა-რაიც საწყაო პილპილი თავშეუდგმელი (თავშეუდგმელი)". ლექსიკონის ავტოგრაფში ეს სიტყვა შეტანილი არ არის. ყველ შემთხვევაში ცხადია, რომ სილა იმ მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც დაკავშირებულია საწყაო ერთეულთან, როგორც გარკვეული რაოდენობის შემცველ ჭურჭელთან და არა მოქმედებას ან მოქმედების იარაღს, რომლითაც თავშეუდგმელი ან თავშედგმული საწყაოს სისავსე მყარდება. ეს გარემოება ბადებს საკითხს სილის, როგორც საწყაო ჭურჭლის არსებობის შესახებ. ძველ საქართველოში იგი საწყაო ჭურჭელი უნდა ყოფილიყო, რასაც შეიძლება ის გარემოება ამართლებდეს, რომ სილა საწყაო ერთეული ყოფილა მეზობელ ქვეყნებში (ასურეთი, ბაბილონი, სუმერეთი), როგორც გარკვეული რაოდენობის მარცვლეულის აღმნიშვნელი ერთეული, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

1970 წ.

---

[10] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, რ. ერისთავის გამოცემა. საბას ავტოგრაფში, ხელნ. 1658 განმარტებულია „ლაღანიკი-ყანთარი", ი. აბულაძის გამოცემის მიხედვით: „ლაღანივი-ყანთარი B".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურული სტილი

1927 წ. აგვისტოს 7-ს ხევსურეთში, სოფ. ჩირდილში მამუკა არაბულისაგან საქართველოს მუზეუმისათვის ჩვენ შევიძინეთ ერთი სასწორი და სამი საწონ-საზომი.

1

2

3

ხევსურული საწონები
1. ერთი, 2. ოთხი და
3. ხუთი სტირანი

სასწორი (საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 12—27/94) შესდგება ხის **მ ჯ ა რ ი**-სა და ხის ორი **ჯ ა მ ი**-საგან. ჯამები მხარზე **მ უ შ ი**-ს საბლითაა დაკიდებული. **მ უ შ ი**-ს საბელი—ცაცხვის ხრალისაგან დაგრეხილი ბაწარია; შეად. საქართვ. მუზეუმის კოლექცია № 12–27/166–67[1]. მხარის შუაში **ს ა ჰ ე ლ ო**-დ გაჟრილია მუშისავე საბელი. მხარის სიგრძე 43 სმ, ჯამის დიამეტრი 15 სმ.

საწონ-საზომთა სახელებია: **ერთი სტირი** (უმცირესის), **ოთხი სტირი, ხუთი სტირი** (უდიდესის; ამათი სურათი—იხ. აქვე).

1. **ერთი სტირი** (საქართვ. მუზეუმის კოლექცია № 12—27/95) წარმოადგენს ბაზალტის მორგვალო ნატეხს, რომლის უდიდესი დიამეტრი 6,5 სმ, ხოლო სისქე 3 სმ. მის ზედაპირზე ამოკვეთილია ჯვარი. **სტირი**-ს დასამუშავებლად ნახმარია სატეხი და ხელკვერი. იგი იწონის 205,5 გ.

2. **ოთხი სტირი** (საქართვ. მუზეუმის კოლექცია № 12—27/96) წარმოადგენს ბაზალტის უსწორმასწორო ოთხკუთხედ ნატეხს, რომლის უდიდესი სიგრძე 11 სმ, უდიდესი განი 8 სმ, ხოლო უდიდესი სისქე 5 სმ. ქვის ნაწიბურები დამუშავების დროს აქა-იქ ჩამოტეხილია საჭირო წონითი ოდენობის მიღების მიზნით. მის ზედაპირზე ამოკვეთილია ჯვარი. ქვის დასამუშავებლად ნახმარია სატეხი და ხელკვერი. იგი იწონის 827 გ.

3. **ხუთი სტირი** (საქართვ. მუზეუმის კოლექცია № 12—27/97) წარმოადგენს ბაზალტის უსწორმასწორო ოთხკუთხედ ნატეხს, რომლის უდიდესი სიგრძე 11 სმ, უდიდესი განი 9,5 სმ, ხოლო სისქე 5,5 სმ. ქვის ნაწიბურები დამუშავების დროს აქა-იქ ჩამოტეხილია საჭირო წონითი ოდენობის მიღების მიზნით. მის ზედაპირზე მკრთალად ამოკვეთილია ჯვარი. დასამუშავებლად ნახმარია სატეხი და ხელკვერი. იგი იწონის 1032,5 გ.

ამ საწონ-საზომთა ურთიერთი ნომინალი დამოკიდებულება (1:4:5) დაახლოებით კარგად შეეფარდება მათი წონის რეალურ ოდენობას (205,5 გ: 827 გ: 1032,5 გ). რუსული წონის კვალობაზე წონის ეს ერთეულები ½, 2 და 2½ გირვანქის ასაწონად იხმარება. ამას მათი წონითი ოდენობაც საკმაო ზედმიწევნილობით უდგება.

[1] ბ. გ ა ბ უ ნ ი ა, ჰევსურული მასალები, „წელიწდეული", ტფილისი, 1923—24, გვ. 289, სიტყვის ქვეშ „მოში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილი, ხევსურული **სტირი**, აღმოსავლეთ საქართველოში ადრინდელ ცნობილი საწონ-საზომი ერთეულია. როგორც გამორკვეულია[2], ვახტანგ VI-ის ცნობის ჩვეულებრივი სტილის წონითი ოდენობა 28 მისხალი ყოფილა, ხოლო საბას თანახმად სტილი იწონიდა 33½ მისხალს. გულდენშტეტის საკმაოდ არეული ცნობა სტილის წონითი ოდენობის ორ რიცხვს იძლევა. სახელდობრ: 36 მისხალს და 42 მისხალს. ეს უკანასკნელი ციფრი მიღებულია ლიტრის წონითი ოდენობის ცნობაზე დამყარებით. XIX საუკუნის დასაწყისისათვის კლაპროთი აღნიშნავს, რომ ქართული სტილი 36 მისხალს იწონიდა („ il pése cinq onces et quart russes, et contient trente six mizkal ")[3]. კავკასიის კალენდრის[4] მიხედვით 1845 წ. ტფილისის, გორისა და თელავის მაზრებში სტილი 40 ქართულ მისხალს იწონიდა[5]. მ. ჯანაშვილის[6] ცნობით საინგილოში „**ისტალი**" ნახევარ გირვანქას უდრიდა. პროფ. ა. შანიძის განმარტებით ხევსურული „**სტალი** შეიცავს ოთხ კვერცხს" (ნახ. **ბ. გაბაური**, დასახ. ნაშრომი, სიტყვის ქვეშ **ლიტრა, ნახევარლიტრა**).

იმის ცხადსაყოფად, თუ რა ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში სტილის წონითმა ოდენობამ, საჭიროა ზემოთ მოყვანილი სტილის წონითი ოდენობა მეტრული სისტემის მიხედვით გამოვიანგარიშოთ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით ვახტანგ VI-ის ცნობით მისხალი უდრიდა 4,436 გრ, ხოლო საბასი 5,103 გრ. ამის კვალობაზე ვახტანგ VI-ის ცნობით სტილი (4,435 გრ X 28)= 142,884 გრ იქნებოდა, ხოლო საბას თანახმად (5,103 გრ X 33½)=170,950 გრ. რომ გავიგოთ, თუ რას იწონიდა გრამებში გულდენშტეტის დროინდელი სტილი, აუცილებელია გულდენშტეტის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში ხმარებული მისხალი 70 გრანს ანუ 1 დრაქმას და 10 გრანს იწონიდა. როგორც ცნობილია, 1 გრანი 62,2 მგრ წონისა იყო[7]. ამის მიხედვით გულდენშტეტის დროის მისხალი (62,2 მგრ X 70)=4,3540 გრ იქნებოდა, ხოლო სტილი (4,3540 გრ X 36)=156,744 გრ (შეადარე ივ. ჯავახიშვილთან[8], რომელიც აღნიშნავს რომ, ამავე დროისათვის საბას მიხედვით მისხლის წონითი ოდენობა 5,103 გრამია ნაგულისხმევი). ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გულდენშტეტის პირდაპირი მითითება 36 მისხლიანი სტილის შესახებ, რასაც კლაპროთის ცნობაც ეთანხმება.

გულდენშტეტის დროინდელი, გრამებში გამოანგარიშებული სტილის ზემოთ მიღებული წონითი ოდენობა (156,744 გრ) შეიძლება სხვა გზითაც შემოწმდეს.

---

[2] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული საზომების მცოდნეობა, „ჩვენი მეცნიერება", წელ. III, № 3-4, ტფილისი, 1925, გვ. 33–34.

[3] **Klaproth J.**, Vocabulaire et grammaire de la langue géorgienne, Paris, 1827, სიტყვის ქვეშ „სტილი" აღნიშნულია „Poids géorgien" (ქართული გირვანქა).

[4] Кавказский календарь на 1846 г. Тифлис, 1845, от. II, გვ. 1.

[5] **დ. ნუბანაშვილის** ცნობა (**D. Tchoubinof**, Dictionnaire georgien-russe-francais, 1840, СПБ), რომ სტილი 38 რუსულ მისხალს იწონიდა, შეიძლება მცდარი იყოს. მისსავე ქართულ-რუსულ ლექსიკონში (1887 წ.) სტილის წონითი ოდენობა 33 რუსული მისხალია დასახელებული (შეად. იქვე „სტირი").

[6] **მ. ჯანაშვილი**, საინგილო, „ძველი საქართველო", ტფ., 1909, ტომი II, განყ. მეოთხე, გვ. 258, სიტყვის ქვეშ „საწყაო და საწონი".

[7] რუსული მისხლის, ზოლოტნიკისათვის შეად. **Кауфман И.И.**, Русский вес, его развитие и происхождение etc. С.-Птб., 1906 г., გვ. 10.

[8] **ივ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

გულდენშტეტის ცნობით ერთი სტილი 36 მისხალს ანუ 5¼ უნცს უდრიდა. ამგვარადვე კლაპროთის მიხედვით 1 სტილი 36 მისხალს ანუ 5¼ რუსულ უნცს უდრიდა. რუსული უნცი გერმანულის მზგავსად გულდენშტეტის დროსაც რუსულ 7 მისხალს (ზოლოტნიკს) ანუ 29,8 გ უდრიდა. ამის თანახმად გულდენშტეტის და აგრეთვე კლაპროთის დროინდელი სტილი (29,8 გ X 5¼)=156,45 გ მოიწონიდა. მიახლოებით ამავე ციფრს იძლევა ამ რიცხვის შემოწმება დრაჭმებით (154,8 გ).

ყავკასიის კალენდრის 1845 წ. ცნობის მიხედვით სტილი, რომელიც 40 ქართულ მისხალს შეიცავდა, 43 1/5 რუსულ მისხალს იწონიდა. მაშასადამე, გრამებში ამ სტილის წონითი ოდენობა (რუსული მისხალი 4,266 გ) 4,266 გX 43 1/5 = 184,2912 გ. რაც შეეხება საინგილოში ხმარებული სტილის წონას გრამებში, იგი, ვითარცა რუსული გირვანქის ნახევარი, საქართველოს მუზეუმის **სტირი**-ს ექზემპლარს უდგება (204,768 გრ—205,5 გრ). პროფ. ა. შანიძის მიერ განმარტებული 4 კვერცხის შემცველი ხევსურული სტილი დაახლოებით რუსული ნახევარი გირვანქა იქნება (კვერცხი დაახლოებით 12 რუს. მისხალია). საყურადღებოა, რომ ხევსურებს შემონახული აქვთ წონითი ოდენობის თვლა კვერცხების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქათმის მოშენებას არ მისდევენ.

ზემოთქმულის მიხედვით ორი საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი სტილის გრამებში გამოხატული წონითი ოდენობა შემდეგ ცხრილს იძლევა:

ვახტანგ VI XVIII ს. დასაწყისი	საბა ორბელიანი XVIII ს. დასაწყისი	გულდენშტეტი 1772 წ.	კლაპროთი 1808 წ.	ტფილისის, გორის, თელავის მაზრები 1845 წ.	საინგილო 1909 წ.	ხევსურეთი 1916–27 წ.
142,884 გრ	170,9505 გრ	156,744 გრ	156,744 გრ	184,291 გრ	204,768 გრ	205,5 გრ

ცხრილი საკმაო სიცხადით გვიჩვენებს ორასი წლის მანძილზე ჩვეულებრივი სტილის წონითი ოდენობის უწყვეტელ ზრდას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბას ცნობის სტილს, რომელიც შეიძლება **ქალაქური** სტილი იყო. სტილის წონითი ოდენობის დროს ჭრილში ზრდასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სტილის წონითი ოდენობა ნაირნაირია ცალკე კუთხეების მიხედვითაც. ყავკასიის კალენდრის[9] მიხედვით 1856 წ. ტფილისის და გორის მაზრებში სტილის წონითი ოდენობა 43 1/5 რუსულ მისხალს შეიცავდა, სიღნაღის მაზრაში – 95 რუსულ მისხალს და 9 წილს, ხოლო თელავის—39 რუსულ მისხალს და 59 წილს. ამ გარემოებას შესაფერისი ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ ამასთანავე უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სტილის წონითი ოდენობის ამგვარი ვარიაციებისა, წონის ეს ერთეული თავის ძველებურ სახელწოდებას არ კარგავს. იგი თავის სახელწოდებას მაშინაც ატარებს, როდესაც იძულებულია უცხო საწონ-საზომის წონითი ოდენობა მიიღოს. ამას ხევსურული სტილი მჭერმეტყველურად ამტკიცებს.

1928 წ.

[9] Кавказский Календарь, Тифлис, 1857, от. II, გვ. 183–186.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდ-ისარი ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მიგვანიშნებს. პირველად მშვილდ-ისარი, როგორც ეს მორგანმა დაამტკიცა, გამოყენებულ იქნა ველურობის ზედა საფეხურზე. ახალი იარაღის გამოყენებამ საფუძვლიანად შეცვალა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების პირობები და შესაძლებლობა მისცა მას ნადირობა შრომის ნორმალურ დარგად გაეხადა, ხოლო ნანადირევი მუდმივ საკვებად ექცია.



სურ. 1. მშვილდ-ისარი
ა) მარტივი. ბ) შედგენილი

„ველურისათვის მშვილდ-ისარი იგივე იყო – ამბობს ენგელსი,– რაც ბარბაროსებისათვის რკინის მახვილი, ხოლო განათლებული ერებისათვის თოფი. ეს იყო გადამწყვეტი იარაღი"[1]. ამიტომ მშვილდ-ისარმა ფართო გავრცელება პოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში და რაც მთავარია, იგი დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა თითქმის ერთადერთ ძირითად იარაღს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეიძლებოდა მას ცვლილება არ განეცადა, ცვლილებები ხდებოდა როგორც დამზადების ტექნიკაში, ისე მშვილდ-ისრისათვის საჭირო მასალის გამოყენებაში. მაგალითად: ისრის წვერებად სხვადასხვა დროს გამოყენებული იყო: კაჟი, ობსიდიანი, ძვლები და ბოლოს ლითონები. განსაკუთრებით: ბრინჯაო და რკინა. ლითონების გამოყენებას ახალ, უმაღლეს საფეხურზე აჰყავდა ამ იარაღის განვითარება.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები უხსოვარ დროიდანვე იცნობდნენ მშვილდ-ისარს. თანამედროვე არქეოლოგიის მიღწევათა საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პალეოლითის ეპოქაში მას უკვე იყენებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირველყოფილი ადამიანები[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მშვიდ-ისრის უაღრესად დიდ განვითარებას მოასწავებდა ისრის წვერებად ლითონის გამოყენება, რაც ბუნებრივია

---

[1] ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", თბილისი, 1938, გვ. 25.

[2] გ. ნიორაძე, ძველი ქვის ხანა კავკასიაში, თსუ შრომები, 1938 წ.

ხატობა (მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატის ჭურჭელი (მხატვარი ზ.წერეთელი)



ლითონის აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული. ლითონის წარმოებაში ქართველ ტომთა წინაპრებს უპირველესი ადგილი ეჭირათ. მათ მიერ დამზადებული ლითონები შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ (მაგ. ფინიკიაში). განსაკუთრებით სახელგანთქმული იყვნენ ლითონის წარმოებაში ხალიბები. ლენორმანი მათ შესახებ წერდა: „კოლხიდიდან გაჰქონდათ აგრეთვე: ლითონის სხვადასხვა ნივთეულობა, რომლებსაც ხალიბები თავის მთებში აკეთებდნენ და რომლის გამო მათი სახელი იმ დროდან მთელ ქვეყნიერებაზე განითქვა: ბრინჯაო და უმაღლესი ხარისხის რკინა–ზოდებად დაჭრილი და განსაკუთრებით ფოლადი, რომლის გაკეთება არც ერთმა სხვა ერმა ჯერ არ იცოდა და რომელსაც აქ უხსოვარი დროდან აკეთებდნენ“[3].

ლითონის გამოჯენება შუბისა და ისრის წვერებად ქართველ ტომთა წინაპრებს ადრევე უნდა დაეწყოთ. ჰეროდოტე (V საუკ. ქრ.წინ), როდესაც მოსოხების შეიარაღებას ეხება, აღნიშნავს: „მოსოხები ხმარობენ ხის მუზარადებს, ფარებსა და მოკლე ტარიან, მაგრამ გრძელ რკინის წვერიან შუბებსა“-ო[4]. ამასვე ადასტურებს მოსინიკების შესახებ ქსენოფონტე (V–IV საუკ. ქრ.წ.) და აღნიშნავს: „მარჯვენა ხელში ეჭირათ შუბი სიგრძით ექვს წყრთამდე, შუბის წვერი რკინისაითო“-ო[5]. მართალია ამ დროს (V საუკ.ქრ.წ.) სხვა ხალხებიც იცნობდნენ ლითონის გამოჯენებას, მაგრამ, რაკი აქ დამზადების ტექნიკა ისე მაღალია, რომ მას გაოცებაში მოჰყავს მოგზაურნი, ამიტომ ეფიქრობთ, დიდი ხნით ადრე უნდა სცოდნოდა ქართველ ტომებს ლითონის გამოჯენება ისრის წვერებად.

ქართველი ტომები მშვილდ- ისარს იყენებდნენ არა მარტო როგორც სანადირო, არამედ როგორც საბრძოლო იარაღადაც. ისტორიკოსი თეოდორ მომზენი, რომაელთა მხედართმთავარი, პომპეუსის საქართველოში ლაშქრობის აღწერისას, ადარებს რა ერთმანეთს ალვანელებისა და ივერიელების შეიარაღებას და ბრძოლის უნარიანობას, აღნიშნავს:

„რიცხვით ივერიელებზე ბევრად მეტი იყვნენ, მაგრამ სიმამაცით კი ივერიელებს ალვანელები ვერ უდრიდენ. ბრძოლის წესი ორსავე ერისა თითქმის ერთნაირი იყო: ისინი ომობდნენ მშვილდ-ისრებით ან სხვა ამგვარ სასროლ იარაღით, რომელსაც ინდოელებსავით ხის უკან ამოფარებულნი, ან ხის წვერზე შემდგარნი ისროდნენ“[6] (ციტირებულია ალ. ჭყონიას თარგმანის მიხედვით, გ.ჩ.).

მშვილდ-ისრით იყო აღჭურვილი ვახტანგ გორგასლანის ლაშქარიც, როდესაც იგი სპარსელებს ეომებოდა. თვით ვახტანგი ისრით იქნა განგმირული.

თამარის ეპოქაში მშვილდ-ისარს ბრძოლაში ფართო გამოყენება ჰქონია. მაგ. შამქორის ომის დროს ქართველი მეომრები, სხვა იარაღებთან ერთად მშვილდ-ისარსაც იყენებდნენ.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: ბრძოლის ველზე მეფის გამოჩენამ გაამხნევა ქართველი რაზმი, გაუორკეცა ბრძოლა მეფის წყურვილი და „აჰა, მოსვლასავე იოტნეს და დაართვეს ისარნი მათი სისხლითა“-ო[7].

ვახუშტი ბატონიშვილიც ქართველთა შეიარაღების აღწერისას მოიხსენიებს აგრეთვე მშვილდ-ისარს.

---

[3] ალ. ჭ ყ ო ნ ი ა, ისტორიული ნარკვევი, 1890 წ., გვ. 118.

[4] ალ. ჭ ყ ო ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[5] იქვე, გვ. 115.

[6] იქვე, გვ. 198.

[7] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 446.

„საომარ საჭურჭლეს შეადგენდა: ჯავშანი საბარკული, მუზარადი, ჩაბალახი, ხმალი, ხანჯალი, ლახტი, ჩუგლუგი, შუბი, ხიშტი, მშვილდ-ისარი და საყალნო"[8].

ხევსურეთში მშვილდ-ისარს უფრო მეტი გამოყენება უნდა ჰქონოდა ბრძოლაში, რადგან ურთიერთ თავდასხმა საქონლის, საძოვრებისა და მიწებისათვის მუდმივ მოვლენად იყო ქცეული. გარდა ამისა ხევსურებს გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ ქისტებთან, ჩაჩნებთან და თუშებთან. ხოლო უფრო გვიან ლეკებთან, რომლებიც განსაკუთრებით მტრობდნენ მათ.

ხევსურეთში მაშინდელ სოციალ-ეკონომიური პირობების გამო დიდად იყო გავრცელებული მეკობრეობა; მეკობრისათვის განუშორებელი იარაღი იყო მშვილდ-ისარი.

ხევსურთა გადმოცემით მეკობრეობით სახელგანთქმული ყოფილა ვინმე მუცოელი თორღვა, რომელიც თურმე ქისტების დახმარებით თუშეთსა და ფშავს იკლებდა. მას მუცოში მაგარი ციხე აუშენებია და ფშაველებისათვის თითო ცხვართან ერთად ბეგარაში კომლზე მოუთხოვია ტომარა ნაცარი, თოვლიანი გზის ასამშრალებლად. ხოლო ისრისათვის ბორაის (ფრინველის) თითო ფრთა. ამაზე ფშაველები ამხედრებულან და თორღვაი ჩოთამს მოუკლავს ისრით. აი როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ხევსურული ხალხური ლექსი:

„თქვენც უნდა მამცეთ ფშაველებო, თითო შაშაქი ცხვარიო,
თითო ტომარა ნაცარი, თითო ბორაის მხარიო".
„სამჯერ გეხვეწე თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო,
მეოთხედ შეშოვეხვეწე, თვრონი ქორაი ხარიო,
ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარა, მაშა უძალღდეს მკვდარიო!".
„ვადმაინინა ჩოთამსა ისარნი მჭყარტლიანნიო,
წყალ გადმთა მშვილდსა მასწია, წყალს გამოდმ იქნეს ჩქამნიო,
ხელიმც შეგრჩება, მსროლელო, რა კარგი მიეც ძალიო!
ერთის ნასროლით გახვრიტე, ჩოხა, პერანგი, ჯაჭვიო!
გაგორდი, მუცეს გაზრდილო, თორღვაო, გამეცივარიო"[9].

მე-17 საუკუნეში გაძლიერებულმა ზურაბ არაგვის ერისთავმა (1619–1629 წწ.) გადაწყვიტა ხევსურეთის დაპყრობა. ლიკოკის ხეობაში ხევსურებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწევიათ ზურაბ ერისთავისათვის. ხევსურთა მთავარი იარაღი ამ ბრძოლაშიც მშვილდ-ისარი ყოფილა.

აი როგორ აღწერს ამ ბრძოლას ხალხური ხევსურული ლექსი:

„ანავარ წოწკილაური, მშვილდ ძალზე გეზიდებისა,
ელიზბარ ფოცხვერშვილი ხმალ გაჭერ გეუბნებისა"[10].

ან კიდევ:

„„კაცი გამოვა სანესა, წყვრს გამაივლის კლდიანსა
ეფიერებოდა ზურაბსა „ეგ რაით მიზამს ხანსა?
ნეტავ ქრთამს ვერ მიუცემდა მისურაულსა ხმლიანსა?
ალაკელ ჯაკეს ჩაუვდა, მშვილდსა დაზნა რქიანსა"[11].

---

[8] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფიული აღწერა, გამოცემული აკად. მ. ბროსეს მიერ.
[9] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 81.
[10] იქვე, გვ. 29.
[11] ა კ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი სხვა ადგილებიც ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამ ბრძოლაში მშვილდ-ისარი.

საილუსტრაციოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

მაგალითად:

„სკამზე გვიწყვიეს ისარი, გამოყა ჯორის ცალიი“[12].
„კვათეს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცაშა ნამია“[13]
„კალთთ გორ ჩამომდინართა ისართ დასცეიეს ყიანი“
„უქას აწითეს წისქვილნი, აკეშოს თავი კლდიანი“[14]
„მიმდიოს ეანნეეკამდია მშეილდი მიმჭედეს რქიანნი“[15].
„მშეილდსა დაეზნიბ ახალ-ეორ ხდიხ ეერ ვიქნეე ჩქამსაი“[16].
„მშაეელას ქინქარაულსა ტანს სასეი სკლატი ჩვეცეი
ბეჭებს ავსხა ისარ; ბრალია ჯაჭეი არ ეცეა!“[17].
„ხახონას ბერდიაულსა მხართ თეორი მშეილდი გადეცეა
ამაგის მოზნიბეული ზურაბისადამც დეეკრა“[18].

სურ. 2. კაპარჭი
11 კვათე

უკანასკნელი ორი აბზაცი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის მოლაშქრე ხევსურის მშვილდ-ისრით აღჭურვილობის შესახებ. როგორც ხალხური ლექსიდან ჩანს მოლაშქრე მშვილდს მხარზე გადაკიდებულს ატარებდა, ხოლო სათადარიგო ისრები მოთავსებული ჰქონდა სპეციალურ ხელსაწყოში ე.წ. „კვათე“-ში (სურ. 2. კაპარჭი). ამ უკანასკნელს თასმის ქამარზე იმაგრებდნენ. თუ რამდენად საჭირო იყო მშვილდ-ისარი ხევსურისათვის, სხვა ფაქტებითაც კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ხევსურეთში ყმაწვილებს გარკვეულ ასაკში (8–12 წ.) აძლევდნენ სავარჯიშო იარაღს: ხის ხმლებს, ხისგანვე დაწნულ ფარებსა და მშვილდ-ისარებს უმთავრესად პრიმიტიული ფორმისას.

სავარჯიშო იარაღებით ახალგაზრდობა ეჩვეოდა იარაღის წესიერ ხმარებას. განსაკუთრებით გულმოდგინედ სწავლობდნენ ისრის მიზანში ტყორცნას. იწრთობოდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რათა სახელოვანი მოლაშქრენი გამხდარიყვნენ.

ნ. ურბნელი ამის შესახებ შენიშნავდა: „ისრის სროლა ბავშვებმა მარჯვედ იციან, რადგან მათი სავარჯიშო იარაღი მშვილდ-ისარია“-ო[19].

---

12 აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.
13 იქვე, გვ. 1.
14 იქვე, გვ. 2.
15 იქვე, გვ. 3.
16 იქვე, გვ. 6.
17 იქვე, გვ. 7.
18 იქვე, გვ. 7
19 გაზ. „ეკერია“, 1887 წ., № 171.

ეს ჩვეულება მარტო ხევსურთათვის არ არის დამახასიათებელი, მსგავსი მოვლენას სამეგრელოში აღწერს არქანჯელო ლამბერტი (XVII საუკუნე). ლამბერტი გაოცებულია იმით, რომ მშობლები ბავშვებს პატარაობიდანვე აძლევენ იარაღს და აჩვევენ მის გამოყენებას.

„მეგრელები, როგორც ქვეყნის დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა, იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარეები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, თითქოს დაბადებიდან ჩვეულნი იყვნენ ბრძოლასა“.

კარგი იარაღის საჭიროებას (მათ შორის მშვილდ-ისარსაც) კიდევ უფრო აძლიერებდა ხევსურეთში ტრადიციულად განმტკიცებული მესისხლეობა. სისხლი თაობიდან თაობაზე გადადიოდა და უმეტეს შემთხვევებიც სისხლის აღებით სრულდებოდა, თუმცა შერიგების შემთხვევაშიც ხშირი იყო, მაგრამ მოკლულის წინაშე მოვალეობის ღირსეულად შესრულებას მაინც სისხლის აღება წარმოადგენდა.

ხევსურეთში მშვილდ-ისარს იყენებდნენ აგრეთვე, როგორც სანადირო იარაღს. მართალია ნადირობა ხევსურთა მთავარ საქმიანობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ხევსური მაინც დიდის ინტერესით ეკიდებოდა ამ საქმეს.

ერთი ავტორის აზრით, ხევსურები ნადირობას მხოლოდ გართობის მიზნით მისდევდნენ – „ხევსური დახელოვნებული მსროლელია, ამიტომ უფარს მას ამ ხელოვნების გამოჩენა, ხევსური მარტო თავის გასართობად, სავარჯიშოდ ნადირობს, იქ ნადირობას მხოლოდ პირადი გართობის ხასიათი აქვს“[20].

ცნობილია, რომ ხევსურეთში მიწა მწირი და მოუსავლიანია. გარდა ამისა მცირეა სახნავ სათესი მიწების ფართობი, რის გამოც სარჩო წლიდან წლამდე ძლივს ჰყოფნის, მაგრამ სამაგიეროდ ხევსური დანაკლისს მესაქონლეობით ივსებდა. მესაქონლეობის განვითარებისათვის კი ხევსურეთში ყოველგვარი პირობებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ბუნებრივი პირობებიც: გეოგრაფიული მდებარეობა, თვალუწვდენელი ციცაბო კლდეების არსებობა და გარეულ ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლებიც ამ მხარეში ბინადრობდნენ, ნადირობას ნაკლებ სარფიან საქმედ ხდიდა. ნადირობას თან სდევდა ხიფათი ტანჯვა-წვალება, ხოლო შემოსავალი კი ნაკლები იყო. ასეთ პირობებში ცხადია, ნადირობის შრომის დარგად გადაქცევა და მასზე იმედის დამყარება, შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, ნადირობას ხევსურეთში უმთავრესად პირადი გაწვრთნისა და გართობის ხასიათი უფრო ჰქონდა. მრავალი ხალხური თქმულება, რომელიც ხევსურეთს დღევანდლამდის შემოუნახავს, ამასვე გვიდასტურებს.

ხევსურები ნადირობდნენ უმთავრესად: ნიამორზე, გარეულ თხაზე, ჯიგზე, დათვზე და სხვა. ამ ცხოველებზე ნადირობა, ისიც ხევსურეთის პირობებში, გარკვეულ ამტანობასა და დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა. ამიტომ ხალხური თქმულებები და ლექსები მონადირეებად ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს წარმოგვიდგენს. ამ მხრივ შესანიშნავია ხალხური ლექსი „მოყმე და ვეფხი“.

ნადირობიდან უკან დაბრუნებულ მოყმეს გზად ვეფხი შემოეყრება. მათ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. ამ ბრძოლაში ორივენი იღუპებიან, მოყმეცა და ვეფხიც. როდესაც მოყმის დედა შვილის გმირულ სიკვდილს გაიგებს, არ ეძლევა სასოწარკვეთილებას. გადაეხვევა ვეფხისაგან დაფლეთილ შვილის ნეშტს და ეუბნება:

[20] ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1929 წ., გვ. 48.

„მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია.
ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია.
აქამდი მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარია“[21]

ბევრი სხვა მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია.

როგორც ცნობილია, თოფის გამოყენებამდე უმთავრეს სანადირო იარაღს მშვილდ-ისარი წარმოადგენდა. უმთავრეს მეთქი, რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს სხვა იარაღებიც, რომლებსაც თან ატარებდნენ ნადირობის დროს, მაგრამ მათ მშვილდ-ისართან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ. ნადირობა იმდენად ეფექტურია, რამდენადაც იარაღის მოქმედების რადიუსი დიდია და რამდენადაც იარაღი ზუსტია. ამ მხრივ, სხვა დანარჩენ იარაღებთან შედარებით, მშვილდ-ისარი იმ დროისავის, უდაოდ, სრულმქნილი იყო.

მშვილდ-ისრით ნადირობის შესახებ შესანიშნავი მასალებია დაცული ხალხურ ხევსურულ პოეზიაში. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ ადგილს.

„ჯინეკო, გუნებით მძიმეო, კლდიდამ რამ გამოვიყვანა?
ვაუკაცმა პირ-შაშველამა სათაკე წამოგიაარა;
შშეყიდმა მაგ შენი რქისამა დაგჭეხა, დაგათხრიალა,
ისარმა კილო წითელმა იღლია გამოგიარა.
გულს მოგკეკდა, მუხლსა მიწიკა, მუხლ დადგა, ვეღარ იარა“[22].

ჩვენ მიერ ჩატარებული მოკლე მიმოხილვის შემდეგ (რომლის მიზანი იყო გავცნობოდით მშვილდ-ისრის მნიშვნელობას ხევსურთა ცხოვრებისათვის) შეგვიძლია უშუალოდ გადავიდეთ ხევსურული მშვილდ-ისრის დეტალურ განხილვაზე. ასეთი განხილვის წინ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნთ, რომ ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ სრულებით არ არსებობს. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ხევსურეთის სისტემატიური შესწავლა, მკვლევართა მიერ იმ დროს დაიწყო (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი), როდესაც მშვილდ-ისარი უკვე ხმარებაში აღარ იყო. ასეთ პირობებში არქეოლოგიურ მეცნიერებას შეეძლო მოეცა მნიშვნელოვანი მასალები, მაგრამ სამწუხაროდ ხევსურეთი არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი.

ერთადერთი წყარო, რომლის გამოყენება ჩვენ შეგვეძლო, იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამოფენის ხევსურული ექსპონატები, რომელიც ხევსურეთის გამოფენაზეა წარმოდგენილი.

ისე, როგორც ყოველი მშვილდ-ისარი, ხევსურულიც კომპლექსური იარაღს წარმოადგენს. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: მშვილდისა და ისრისაგან.

მშვილდი თავის მხრივ შედგება: მშვილდის ხის „შოთხის“[23] ხის რკალისა და ლარისაგან, ისარი კი ისრის ხის ტარისა და ისრის წვერისაგან (ზრო).

შოთხის ხე გამძლე და ელასტიურია. პრიმიტიულად დამზადებული მშვილდი, რომელიც განვითარების დაბალი საფეხურისთვისაა დამახასია-

[21] აკ. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, I, „ხევსურული“, გვ. 209.
[22] აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.
[23] ხევსურების შშვილდის ხედ დგნალსაც იყენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებელი, ნახევარი ოვალის ფორმისა. გარეგანი ნაწილი მთლიანად დაფუძნებ-ვებულია. შუა ნაწილი 8–10 სანტიმეტრის სიგრძეზე მრგვალია. დანიშნულება მისი იმაში მდგომარეობდა, რომ მშვილდი გასროლის დროს მოხერხებულად დაეჭირა მსროლელს და მით უზრუნველეყო დამიზნების სიზუსტე. გვერდები უფრო თხელია, რადგან ორივე მხრივ, შიგნიდან, სპეციალურადაა ჩათლილი, რაც ერთი მხრივ მსუბუქს ხდის მშვილდს, ხოლო მეორე მხრივ ადიდებს ელასტიურობას.

გადაეცემოდა რა ეს იარაღი ძველი თაობიდან ახალ თაობებს, ამ უკანას-კნელებს თავის მხრივ შეეჭქონდათ მასში გაუმჯობესებანი, რის საფუძველზედაც მიღებულ იქნა მშვილდ-ისრის უფრო რთული სახეები. მათ შორის ალსა-ნიშნავია რქისაგან დამზადებული მშვილდები. რქის მშვილდების არსებობაზე მიუთითებს ხევსურული ხალხური პოეზია. მოვიფანთ რამდენიმე მაგალითს:

„ალაყელ ვაკეს ჩაუჯდა მშვილდსა დაზნინა რქანსა“[24] ან კიდევ:
„ცხენი მამთხოვე ვიბოძა, მშვილდს რაღად სთხოვდი რქისასა“;
„არ დააშალა გადაწყდა მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა“ [25]
„მოგდიოს ეან-ხეკამდია, მშვილდნი მოჭეხდეს რქისანი“ [26] და სხვ.

ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა გუდამაყრელების შესახებ.

ვახუშტი გუდამაყრის აღწერისას აღნიშნავს:

„ხოლო ანანურის ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭართალის კევი. მის ჩრდილოთ არს მთიულ-კარი, სიმაგრე მტკიცე, მას ზეით ნასახლარი მეფეთა და ხანდოს კევი, რომელი გამოდის ზეით ერთვის კევი გუდამაყრისა, არაგვს ჩრდილოდამ. გამოსდის კაკკასს, გუდამაყარსა კევს და ძორძუკსა შორისსა და არს გუდამაყრის კეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხვა მთის ალამნი და უფროს მწირი კაცნი და ჭალნი მსგავსნი მთიულთა. კელოსანნი, მშვილდთ მომქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჭიხვისა, თხისაგან და ხართაგან“[27].

როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები მიუთითებს, რქის მშვილდების დამზადება უმთავრესად ჯიხვის რქისაგან სწარმოებდა.

ხის მშვილდთან შედარებით მისი უპირატესობა, ჯერ ერთი გამძლეობაში და შემდეგ, სილამაზეშიაც მდგომარეობდა. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ, ეს უკანასკნელი მხარე არა ნაკლებ იზიდავდა ხევსურს. ამ მიზეზითვე უნდა ყოფილიყო გამოწვეული მშვილდის შემკობა სხვადასხვა ორნამენტებით. ორნამენტები უმთავრესად მშვილდის გარეგან ნაწილზე გვხვდება. შუა ნაწილი, ისე როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც მრგვალია და ტყავითაა დაფარული. ლარის დასამაგრებლად ბოლოები სპეციფიკურადაა ჩაღრმავებული.

ლარსაც გარკვეული ცვლილებანი განუცდია განვითარების თვალ-საზრისით. პირველ ხანებში უბრალო, კანაფისაგან დაწნული თოკია წარმო-დგენილი. შემდეგ ხდება მთელი განვითარება. აღებულია წერილი ძაფების მთელი კონა, რომელზედაც მჭიდროთაა გადახვეული შედარებით უფრო

[24] **აკ. შანიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.
[25] **იქვე**, გვ.10.
[26] **იქვე**, გვ.7.
[27] **ვახუშტი ბატონიშვილი**, დასახ. ნაშრომი, № 842.

მსხვილი თოკი ან ცხოველის წელი, რომელიც მთლიან სახეს აძლევს ლარს. ლარის ორივე ბოლო (10–12 სანტიმეტრის სიგრძეზე), სილამაზის მიზნით, შეღებილია უმთავრესად ლურჯად. თუ პირველ შემთხვევაში ლარი უშუალოდ მშვილდის ბოლოებზე მაგრდებოდა, ან შემთხვევაში მშვილდის ბოლოებზე ღვედია გაკეთებული, რომელზედაც ხდება ლარის უშუალო დამაგრება. ამ უკანასკნელის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ, ხეხვისაგან ლარის გაწყვეტის საშიშროება თავიდან არის აცილებული და თვით ლარიც შედარებით უფრო მოკლეა საჭირო, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ისრის ხე მრგვალია. სიგრძით 60–80 სანტიმეტრს არ აღემატება, ხოლო სიგანით 8–10 მილიმეტრს. ისრის ხის ის ნაწილი რომელიც უშუალოდ ლარს ეხება, ოდნავ ჩაღრმავებულია, რათა მომართვის დროს ისარი არ ასხლტეს ლარიდან. უფრო განვითარებული ფორმის ისარს ბოლო ნაწილზე მოთავსებული აქვს ასევე ჩაღრმავებული ფორმის ძვალი სიგრძით 1–1,5 სანტიმეტრისა. გამოცდილებამ დაარწმუნა ადამიანი, რომ ხე ადვილად ზიანდებოდა და იარაღი მალე ხდებოდა გამოუსადეგარი, ამიტომ გამოძებნა მან შედარებით უფრო მაგარი ნივთიერება (ძვალი), მაგრამ ამავე დროს, შედარებით მჩატე, რომ არ შემცირებულიყო იარაღის სიძლიერე.

ისრის ხის ბოლოზე, იმ ადგილიდან სადაც ხე ლარს ეხება, 4–5 სანტიმეტრის დაშორებით, სამი მხრიდან მოთავსებულია ფრინველის ფრთა. ფრთას უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვილდ-ისრისათვის. ფრთის დანიშნულება იყო გაეკვეთა ჰაერი, დაემყარებია მოძრავი ისრის ჰორიზონტალური წონასწორობა და მიეცა მისთვის სწორი მიმართულება. ფრთის გამოყენება ისრისათვის თითქმის საყოველთაოდაა გავრცელებული და ამდენად იგი არ წარმოადგენს დამახასიათებელს მხოლოდ ხევსურული მშვილდ-ისრისათვის. ამ დანიშნულებისათვის ხევსურეთში გამოყენებული იყო უმთავრესად გარეული ფრინველების, კერძოდ კი არწივის ფრთები და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან შინაურ ფრინველთა მოშენებას ხევსურები, ეკონომიური სივიწროვის გამო არ მისდევდნენ. ნ. ურბნელი ამის შესახებ წერდა: „იქნებ ვინმემ არც კი იცოდეს, რომ ხევსურეთში სრულიად არ მისდევენ შინაური ფრინველების ყოლას: ქათმის, ბატის, ინდაურის და სხვა“[28]. ფრთა მაგრდებოდა ისარზე ჯერ ძაფით, ხოლო შემდეგ წებოვანი ნივთიერებით.

როგორც ხევსურთა ცხოვრებიდან ირკვევა, ისარი შეიძლებოდა ყოფილიყო: კილო-წითელი, თბე-შავი, თბე-წვრილი და სხვ. მაგრამ ცხადია ეს სახელწოდებანი ვერ მოგვცემენ ნათელ წარმოდგენას ხევსურული ისრის წვერების კლასიფიკაციის შესახებ. განვითარების თვალსაზრისით შეგვიძლია მოვახდინოთ ხევსურული ისრის წვერების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. კონუსის ფორმის ისრის წვერები.
2. სამკუთხა ფორმის თხელი ისრის წვერები.
3. ორკაპი (განშტოებიანი) ისრის წვერები და
4. კავიანი ისრის წვერები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კლასიფიკაცია იწყება დაბალი საფეხურიდან და მიდის უფრო მაღალი საფეხურისაკენ. კონუსის ფორმის ისრის წვერები უფრო პრიმიტიულია, ვიდრე მაგალითად, სამკუთხა ფორმის ისრის წვერები. სამკუთხა ფორმისა უფრო პრიმიტიულია, ვიდრე ორკაპი ისრის წვერები და ა.შ.

[28] ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, „ივერია“, 1887 წ., № 171.

1. კონუსის ფორმის ისრის წვერებს გვერდები გლუ აქვს, წვერო კი წამახვილებული. ისრის ხე ისრის წვეროშივეა ჩამაგრებული.

2. სამკუთხა ფორმის ისრის წვერები თხელია, წვერო და გვერდები წამახვილებული აქვს, შუა ნაწილი კი უფრო სქელია. თუ პირველ შემთხვევაში ისრის წვეროშივე ხდებოდა ისრის ხის ჩამაგრება, სამკუთხა ფორმის ისრის წვერები წამახვილებული ბოლო ნაწილით მაგრდება ისრის ხეში.

3. ორკაპი ისრის წვერს ორი განშტოება აქვს. თითოეული მათგანი ორმხრივ წამახვილებულია ისე, როგორც სამკუთხა ფორმის ისრის წვერები, ორკაპი ისრის წვერებიც ისრის ხეზე მაგრდება წამახვილებული ბოლო ნაწილით. ზემოთ განხილულ ისრის წვერებთან შედარებით მისი უპირატესობა იმაშია, რომ ეს უკანასკნელი მსხვერპლს აყენებს ორმაგ ჭრილობას. ამ დადებით მხარესთან ერთად, მას გააჩნია უარყოფითი მხარეც. კერძოდ, განშტოება ისრის წვერისა ზუსტად მიზანში მოხვედრის გარანტიას არ იძლევა (რადგან მოძრავი ისრის წონასწორობა მერყეობა).

4. განვითარების შემდგომი საფეხურია კავიანი ისრის წვერები, რომლის მოხრილი ბოლოები შიგნით ხერხისებური კბილებითაა დაფარული, ხოლო გვერდები ორივე მხრივ წამახვილებულია. კავიანი ისრის წვერები წარმოადგენენ განვითარების უფრო სრულყოფილ სახეს. ასეთი ფორმა ისრის წვერისა იძლევა მიზანში ზუსტად მოხვედრის შესაძლებლობას. გარდა ამისა, თუ ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა დაჭრილი სხეულის განთავისუფლება ისრისაგან, ხოლო კავიანი ისრის წვერისაგან სხეულის განთავისუფლება მეტად ძნელი ხდება.

როგორც ცნობილია, სიძლიერე და ეფექტიანობა, ამა თუ იარაღისა, დიდადაა დამოკიდებული მის წესიერ გამოყენებაზე. ამ მხრივ უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვილდის მომართვის წესს ან როგორც ხევსურები იტყოდნენ **„მშვილდის დაზნიას“**.

მსოფლიოში მშვილდ-ისრის მომართვის სხვადასხვა წესია ცნობილი. განვიხილოთ ეს წესები ცალ- ცალკე და შევადაროთ იგი მომართვის ხევსურულ წესს.



სურ. 3.



სურ. 4.

სურ. 5.

I. **მარტივი წესი:** ამ წესის მიხედვით, ისრის ბოლო და ლარი მოთავსებულია ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, დანარჩენი თითები მოხრილ მდგომარეობაშია (სურ. 3.).

II. **მომართვის რთული წესი:** ისრის ბოლო და ლარი მოთავსებულია ისევე ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, იმ განსხვავებით, რომ საჩვენებელი თითი უფრო პერპენდიკულარულ მდგომარეობაშია. დანარჩენი თითები, გარდა ნეკისა, მოთავსებულია ლარზე გადაჯდობილად. ნეკი მოხრილია (სურ. 4.).

III. **მომართვის ურთულესი წესი:** ისრის ბოლო და მშვილდის ლარი იმყოფება ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, შუა თითი მოთავსებულია ლარზე, დანარჩენი ორი თითი მოხრილია (სურ. 5.).

მშვილდის მომართვის მსოფლიოში ხმარებული წესებიდან აღსანიშნავია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 6.

სურ. 7.

სურ. 8.

ა) ხმელთაშუა ზღვის კულტურაში ცნობილი მომართვის წესი: ამ წესის თანახმად, საჩვენებელი თითსა და შუა თითს შორის, რომლის ბოლოებია მხოლოდ მოხრილი, მოთავსებულია ისრის ბოლო და მშვილდის ლარი. მომდევნო თითი მოთავსებულია ლარზე, ცერი არ ეხება არც ისარს და არც ლარს, იგი იმყოფება მოხრილ მდგომარეობაში, მოხრილია აგრეთვე ნეკიც (სურ. 6.).

ბ) მომართვის მონდილური წესი: ისრის ბოლო და ლარი ცერის ბოლოშია მოთავსებული. ცერი ფრჩხილით (მოხრილად) მიბჯენილია საჩვენებელ თითზე. საჩვენებელი და შუა თითი მდებარეობენ ლარის მახლობლად, მაგრამ არ ეხებიან მას. ნეკი მოხრილია ცერზე, იქ, სადაც უშუალოდ ეხება ლარი და მშვილდის ბოლოს მოთავსებული რგოლი (სურ. 7.).

გ) მომართვა რგოლას შემწეობით: ისრის ბოლო და ლარი მოთავსებულია ისევ ცერის ძირში. ცერი უშუალოდ ეხება ისრის ფრთას, იგი ნაწილობრივაა მოხრილი ისე, რომ საჩვენებელი თითი გარედან ეხება მშვილდის ლარს. ხელის მტევნის შუა ადგილზე მოთავსებულია რგოლი, რომელსაც ზემოდან ოთხკუთხა ფორმა აქვს (სურ. 8.).

დ) მომართვის ხევსურული წესი: ისრის ბოლო და ლარი თავსდება ცერსა და საჩვენებელ თითს შორის. ცერი ოდნავ მოხრილია, საჩვენებელი თითი მთლიანადაა მოხრილი. ლარი ცერისა და საჩვენებელი თითის შუა ადგილს ეხება. შუა თითი მოხრილია ისე, რომ უჭირავს შედარებით მაღალი მდებარეობა. მომდევნო თითი გადადებულია ლარზე იმგვარად, რომ ლარი მის შუა ადგილს ეხება, ნეკი მოხრილია, მისი წვერი მომართულია ხელის გულისაკენ, მაგრამ არ ეხება მას (სურ.9.).

სურ. 9.

ზემოთ განხილულ მომართვის წესებთან შედარებით, სავსებით ორიგინალურია მშვილდ-ისრის მომართვის ხევსურული წესი. კითხვა იბადება, რით უნდა იყვეს გამოწვეული მშვილდის მომართვის ორიგინალური წესის არსებობა ხევსურეთში? —ასეთი წესის არსებობას უსათუოდ განსაზღვრავდა ხევსურეთის პირობებში მშვილდ-ისრის ის დიდი საჭიროება, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ის ხანგრძლივი ვარჯიშობა მშვილდ-ისარზე, რომელსაც პატარაობიდანვე ეწეოდა ხევსური, წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას მშვილდ-ისრის რაციონალური გამოყენებისათვის. სწორედ ასეთი ხანგრძლივი ვარჯიშობის შედეგი უნდა ყოფილიყო თავისებური მომართვის წესი ხევსურეთის სინამდვილისათვის რომაა დამახასიათებელი.

მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდნენ ხევსურები მშვილდ-ისრის დამზადებას, ან რა ძირითად იარაღებს იყენებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დასამზადებლად. არსებული მასალების საფუძველზე ამ საკითხის დეტალური შესწავლა შეუძლებელი ხდება. მაგრამ ზოგი რამ მაინც შესაძლებელია გარკვეულ იქნას. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეუძლებელია მშვილდ-ისრის დამზადება ყველა ხევსურს სცოდნოდა, რადგან ეს იარაღი თავის დროისათვის საკმაოდ რთული იყო. მშვილდ-ისრის დასამზადებლად თავისებური იარაღები იყო საჭირო, რომელიც სპეციალურ პირებს, ხელოსნებს მოეპოვებოდათ. ამ უკანასკნელებს გააჩნდათ აგრეთვე სათანადო ცოდნა და გამოცდილება. მშვილდ-ისრის დამზადების მთელი პროცესის აღწერას ლიტერატურაში ვერ ვიპოვით და რამდენადაც ეს იარაღი ამჟამად ხმარებაში არ არის, შეუძლებელია უშუალო დაკვირვება მოვახდინოთ წარმოების პროცესზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოსნობას საერთოდ ხევსურები ნაკლებად ეტანებოდნენ. უფრო მეტად ხელოსნობას ეწეოდნენ აქ გუდამაყრელები და მთიულები. მთიულები, როგორც პავლიაშვილი[29] აღნიშნავს, რამდენიმე წლით მიეშგზავრებოდნენ სხვა მხარეში სამუშაოდ. მიზეზი მათი ასეთი მოძრაობისა ეკონომიურ მდგომარეობაში უნდა ვეძებოთ.

სწორედ გუდამაყრელები და მთიულები გადმოდიოდნენ ხევსურეთში, მართავდენ აქ პატარა სახელოსნოებს, სადაც სამუშაო იარაღებთან ერთად აწარმოებდნენ საბრძოლო იარაღებსაც.

ძალიან უმნიშვნელო ცნობები მშვილდ- ისრის წარმოების შესახებ შემოუნახავს ხევსურულ ხალხურ პოეზიას. ავიღოთ თუნდაც ხალხური ლექსი თორღვას შესახებ: „დედა ვაცხონე მჭედლისა, ზრო ლამაზ გაუქლიბაო", ჩანს რომ ისრის წვერების დამამზადებელი სპეციალური პირი ხელოსანი ყოფილა, წინაღმდეგ შემთხვევაში მსროლელი თავის თავს შეაქებდა და არა მჭედელს.

უკანასკნელ პერიოდში ხევსურეთში ფართოდ იყო გავრცელებული რქის მშვილდები. მათი დამზადებაც, ცხადია, სათანადო დახელოვნებას საჭიროებდა, მაგრამ შეუძლებელია ისრის წვერების დამამზადებელი იმავე დროს მშვილდის მკეთებელიც ყოფილიყო, რადგან ეს უკანასკნელი სრულიად განსხვავებულ მასალას, განსხვავებულ იარაღსა და თავისებურ დახელოვნებას საჭიროებდა. ამიტომ ისრის წვერებს მჭედლები ამზადებდნენ, ხოლო მშვილდსა და ისრის ხის დამზადებას სპეციალური პირები ეწეოდნენ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მშვილდ-ისრის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის განვითარების საკითხების გარკვევისათვის, განსაკუთრებით მასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ცნობილია მშვილდ-ისარის ორი სახეობა: სადა და შემდგენილი. სადა მშვილდ-ისრის გავრცელების არეა: ძველი ევროპა, აფრიკა (მცირე გამონაკლისი ცენტრში და დასავლეთის სანაპიროებში), ოკეანია, ამერიკა (გარდა ჩრდილოეთის ზოლისა), ძველი ინდოეთი და არაბეთი. შედგენილი მშვილდ-ისრის გავრცელების არეა: ხმელთაშუა ზღვის აუზი, აზია, ჩრდილოეთ ამერიკის ერთი ნაწილი.

კვლევამ გამოაკლინა, რომ ხევსურული მშვილდისარი გარდამავალი რგოლია სადა მშვილდ-ისრიდან შედგენილ მშვილდ-ისარზე. ლიტერატურაში შედგენილი მშვილდის წარმოშობის შესახებ არსებობს ორი თეორია: ესკიმოსური (**პატ რიფერსი**) და სამხრეთეული (**ლინგმანი**), შედგენილი მშვილდ-ისრის დამზადების ერთ-ერთი ცენტრი დასტურდება საქართველოშიც, კერძოდ, გუდამაყარში.

1938 წ.

---

[29] იხ. „ცნობის ფურცელი", 1904 წ., № 2392.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურული საცერული

კ. ლინდბლომის ნაშრომში: Fightingbracelets and kinder weapons in Afrika (*Kirsmuseets etnografisra avdelning*: smärre meddelanden, №4, Stockholm. 1927, გვ. 19) ხევსურული საცერული (**კ. ლინდბლომი** შეცდომით წერს —„**Satsuruli**"— cit. loc.) აღნიშნულია, როგორც კავკასიური კულტურული ელემენტი. ამ აზრის დასასაბუთებლად ავტორი ერთადერთ გარემოებას ასახელებს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხევსურული საცერული ადგილობრივ მზადდება.

უნდა აღინიშნოს, რომ **კ. ლინდბლომის** აზრი ხევსურული საცერულის შესახებ სიმართლეს შეიცავს, მაგრამ მისი კულტურული ელემენტობის დასამტკიცებლად მარტოდმარტო ამ იარაღის ადგილობრივად დამზადების ფაქტი საკმარისი არ არის. ხევსურული საცერულის თავისებურება, ადგილობრივად დამზადების ფაქტის გარდა, უფრო მეტად შეიძლება დასაბუთდეს ამ საბრძოველი იარაღის ნაირ-ნაირი ვარიაციის ფორმით არსებობის ფაქტით, მისი ტექნოლოგიით და ფუნქციის გარკვევით.

კ. ლინდბლომი ხევსურული საცერულების შესახებ სარგებლობდა იმ მასალით, რომელიც ლიტერატურაშია ცნობილი. **კ. ლინდბლომი** ასახელებს **რადე**-ს[1], **დენი**-ს[2] და **ბიანან**-ის[3] (ეს უკანასკნელი საცერულების საკითხში სავსებით **რადე**-საგან არის დამოკიდებული) ნაშრომებს. მაგრამ ამ ნაშრომებში მოცემული ხევსურული საცერულის აღწერილობები თუ სურათები ამ საბრძოველი იარაღის მხოლოდ ერთ სახეს იძლევა. ხევსურეთის სინამდვილეში კი საცერულების სულ მცირე ხუთი სახე მაინც არსებობს. კიდევ მეტი: საცერულის თითოეულ სახეს გარკვეული სახელწოდებაც კი აქვს. ეს ტერმინები და სახეები ჩვენ მიერ დამოწმებულ იქნა ხევსურეთში ეთნოგრაფიული მუშაობის დროს 1929 წლის ზაფხულში.

ხევსურული საცერული ზოგადი სახელია იმ საბრძოლველი იარაღისა, რომელიც ბეჭდის სახითაა წარმოდგენილი და მარჯვენა ხელის ცერზეა წამოსაგებად განკუთვნილი (Schlangring, Daumenring, Blow-dealing ring for wearing on thumb).

საცერულების სახეები შემდეგია:

I. ლაჯა—დიამეტრი 5,1 სმ, ნაჩვრეტის დიამ. 2,5 სმ, სისქე — 2,8 სმ. შედგება სამმაგად ერთი მეორეზე დაკავშირებული თითბრის რგოლებისაგან. თითოეული რგოლი ცალკეა ჩამოსხმული. რგოლს ქვემო ნაწილში აქვს აშია, ხოლო ზემოთ წაწვერილი კბილები (7 ცალი, კბილის სიგრძე—1,8 სმ). თითოეული კბილის ძირი ამოღარულია წვეტად. რგოლების კბილები ერთურთთან თანწყობრივ მწკრივს არ ქმნიან. რგოლებს კბილებთან აქვს მხრები, ხოლო აშიის ზედაპირზე ორნამენტები (ხატულანი და ცერაი, იხ. სურ. 1, საქ. მუზ. კოლ. 76—08).

[1] **G. Radde**, Die Chewsuren und ihr Land, Kassel, 1878, გვ. 163—65 და შემდეგი; შეად. **Г. Радде**, Хевсурия и Хевсуры: *Записки КОИРГО*, кн. XI, вып. 2, გვ. 151—152.

[2] **M. V. Dechy**, Kaukasus. Reisen und Forschungen im kaukasischen Hochgebirge, B. II, Berlin, 1906, გვ. 79—80.

[3] **Byhan**-ი Buschan-ის Völkerkunde-ში, II B; Stuttgardt, 1926, გვ. 723, 725. საწყაროდ **Ал. Камараули**-ც Хевсурия, Тифлис, 1929, გვ. 61,—ხევსურული საცერულების მიმართ **რადეს** ცნობებს ემყარება.

სურ. 1 ღაჯია

საცერულის ეს სახე Radde-ს მონოგრაფიაში მოფენილი არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ Dichy-ს შრომაში მოფენილი საცერულის სურათი ღაჯია იყოს, რამდენადაც სურათი ღაჯიას ორნამენტს იძლევა. მაგრამ სურათიდან არ ჩანს, რომ ეს საცერული სამშაგი რგოლებისაგან იყოს შემდგარი (Dichy, დასახ. ნაშრომი, გვ. 79 და 80). ავტორი შეცდომით ამ საცერულს „ Sazemli"-ს უწოდებს (იქვე და სურათების სარჩევშიც).

II. მაღალი II აფთარი. საცერულის ეს სახე რკინისგან მზადდება. მისი დიამეტრი — 4,8 სმ, ნაჩვრეტის დიამეტრი — 1,9 სმ. იგი წარმოადგენს რგოლს, რომელსაც ქვემოთ მხრებიანი აშია აქვს, ხოლო ზემოთ მაღალი, წაწვერილი და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული კბილები (რიცხვით 9, სიგრძე — 1,7 სმ). „მაღალი"-ს კბილების რიცხვი და სიმაღლე ცვალებადობას განიცდის. მისი კბილების წაწვერილობა კი ყოველთვისაა წარმოდგენილი, ამის გამო საცერულის ამ სახეს ლესულა-ც ეწოდება. ხევსურეთში ამჟამად მაღალი II საცერული სახედარის ნალისაგან მზადდება ხოლმე (ნალები მოაქვთ — ფასანაურიდან, დუშეთიდან, ტფილისიდან, თელავიდან ან ძაუგიდან). ზომაზე გამოჭრილ ნალს კბილებს დააჭრიან, შემდეგ გალესავენ და საცერულიც მზად არის.



სურ. 2. a) მაღალი ანუ აფთარი, b) რგოლი, c) მაღალი ანუ აფთარი ხმარებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცერულისამ სახეთასან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ვინაიდან მაღალი II აფთარი თხელია, მას ცერზე სწორად დგომა არ შეუძლია, თუ არ იქნა რითიმე შემაგრებული. ამ იარაღის მტკიცედ დგომა განსაკუთრებით საჭიროა ხმარების დროს. ეს ხერხდება იმის შემწეობით, რომ „მაღალ"-ს ცერზე ორთავე მხრივ ბეჭდებს (რგოლებს) დაატანენ ხოლმე ან კიდევ ერთი წინა რგოლით კმაყოფილდებიან (იხ. სურ. 2).

III. საცერული. საცერული განსაკუთრებით საბრძოლველი იარაღის იმ სახეს ეწოდება, რომელიც თუმცაღა რგოლითა და კბილებითაა წარმოდგენილი, მაგრამ კბილები მოკლე და გლუვ აქვს. ამიაც ვიწროა და მისი მხრები მცირე. დიამეტრი– 3,1 სმ, ნაჩვრეტის დიამეტრი — 2,1 სმ, კბილის სიმაღლე — 3,0 სმ. მზადდება თითბრისაგან, ჩამოსხმით (იხ. სურ. 3), მოკლე კბილებიან პატარა საცერულს და მაღალ II აფთარს, რომელთაც ყმაწვილები ხმარობენ, ხერხულანი ეწოდება.



სურ. 3. საცერული

IV. ხვეულა კეთდება მომეტებულად თითბრისგან. წარმოადგენს ორს ან სამს ერთად დაკავშირებულ რგოლს. თითეული რგოლის გვერდი საკმაოდ ამოწიბურებულია, თუმცა უფრო გლუა, ვიდრე ბასრი. ჩვეულებრივად პირზე ორნამენტებია ამოყვანილი (იხ. სურ. 4). ხვეულა a-ს დიამეტრი — 4,5 სმ, ნაჩვრეტის დიამეტრი — 2,8 სმ, სისქე — 3,0 სმ, b-ს დიამეტრი — 4,3 სმ, ნაჩვრეტის დიამეტრი — 2,6 სმ, სისქე— 1,5 სმ. ნაჩვრეტის დასაპატარავებლად და ცერზე მისარგებად ხვესურები ხმარობენ „დგინდგელ"-ს (მზადდება ფიჭისგან), რომელსაც ხვეულას შიგ ამოაცხებენ ხოლმე.

ზემოთ ხვეულას შესახებ მოყვანილ აღწერილობას უნდა დაემატოს ის, რომ ხვეულა თავისი კონსტრუქციის თანახმად საკაწრავი კი არ არის, არამედ საცემარი იარაღია და ამაში მდგომარეობს მისი დანიშნულება. ხვესურების ახსნით: ხვეულა მოწინააღმდეგეს „ეეკამს", ხოლო მაღალი ღაჯია „ფხაწნის".

რადეს ცნობით (იხილეთ გვ. 164, გერმან. გამოც.) ეს საცემარი იარაღი საზოგადოდ საბრძოლველი იარაღი კი არ არის, არამედ ისეთი საგანია, რომელიც იხმარება თოფის ჩახმახის მოსამართავად და თოფის ზუმპის ამოსაგდებად. დასახელებული ცნობა თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ზისერმანის აზრს საცერულების შესახებ. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზისერმანი საცერულების (იგულისხმება ზოგადი სახელი) ამგვარ გამოყენებას მიაწერს, როგორც ღაჯიას, ისე ხვეულას, ხოლო რადე მათ შორის ფუნქციებს ანაწილებს[4].

---

[4] **А. Зиссерман**, Очерки Хевсурии, газ. Кавказ. 1851, № 22; **Radde**, დასახ. ნაშრომი, ტერმინები ღაჯია და ხვეულა ჩვენი შემოტანილია; **Зиссерман**-ს და **Radde**-ს ისინი დასახელებული არა აქვთ.



სურ. 4. ხვეულა

ხევსურეთში მუშაობის დროს ჩვენ არსად არ დაგვიმოწმებია ღაჯიისა და ხვეულას სხვა დანიშნულება გარდა საბრძოლველი იარაღის ფუნქციებისა. ამგვარივე დანიშნულებისაა ხვეულას სპირალური სახე, რომელსაც დიდები და ყმაწვილები ხმარობენ (იხ. სურ. 4, c, d). ხვეულას და მით უფრო ღაჯიის კონსტრუქციის მიხედვით ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს იარაღები სპეციალურად ჩახმახის მოსამართავად ან ზუმპის ამოსაღებად იყოს განკუთვნილი. ამ მიზნისათვის ისევე არ გამოდგება ღაჯია, მაღალი II ფფთარი, საცერული და ხვეულა, როგორადაც არ გამოდგება საცერულების მეხუთე სახე — წისქვილა.

სურ. 5. წისქვილა

V. წისქვილა რკინის რგოლია, ჩამოსხმული. დიამეტრი — 3,6—4,9 სმ; ნაჩვრეტის დიამეტრი — 2,2—2,6 სმ; გვერდი ირიბია და შუაზე დაწიბურებული, (იხ. სურ. 5)[5]. წისქვილას განსაკუთრებით მოხუცები ხმარობენ.

საცერულების შესახებ ზემოთ მოყვანილ მასალას უნდა დაემატოს შემდეგი ცნობა: ჩვეულებრივად ხევსურს საცერული შენახული აქვს უბეში. ის ამ იარაღს მაშინ აამოქმედებს, როდესაც სხვა იარაღი თან არ ახლავს. ასეთ მდგომარეობაში კი ხევსური მაშინ იმყოფება, როდესაც ლბინის წინ მას დიაცები თადარიგის მიზნით იარაღს ჩამოართმევენ და ის უბეში დაფარული საცერულის ამარად რჩება.

[5] სურ. 5-ზე მოთავსებული წისქვილა სწორ წრეს არ წარმოადგენს და განაზომებში მოცემულია უმცირესი და უდიდესი დიამეტრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი მასალა საკმაო სიცხადით არკვევს ხევსურული საცეკვაო რულების ფორმის და ტერმინების სხვადასხვა ვარიაციას, მათ ტექნოლოგიას და ფუნქციას, რაც ამ საბრძოლველი იარაღის თავისებურებაზე მიგვითითებს. ეს მითითება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საცერული მართლაც ხევსურული კულტურული ელემენტია. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ხევსურეთში სხვა კულტურული ელემენტებიც მოგვეპოვება, ადვილად მისახვედრია, რამდენად მნიშვნელოვანია ეს დასკვნა.

შატილის წარმოშობის შესახებ

დიდი ხანია მას უკან, რაც შატილი სპეციალისტების ყურადღებას იპყრობს. მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული მისი წარმოშობის შესახებ, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ახსნა დღემდე გაურკვეველია.

ამგვარი კომპლექსური ნაგებობა შატილის გარდა კავკასიაში მხოლოდ ორი მეგულება. ესენია: დაღესტანში სოფ. ყუბაჩი და სვანეთში – ლახირი.

შატილი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი კომპლექსებით. ორწყალთან ბატეხის მთის სიბ კლდეზე აგებული, ის სამი მხრიდან მდინარეებითაა შემოზღუდული: არღუნისა და შატილის (ანუ ვიკილის) წყლით. შენობები ერთმანეთზეა მიდგმული ფლეთილი და რიყის ქვისაგან ნაშენი, საფეხურებივითაა განფენილი და თანაც გარემოსთან, მთა-კლდესთან ოსტატურადაა შეხამებული. ამავე დროს ის ხეობაშია შეფარებული და მგზავრებისათვის შეუმჩნეველია, ვიდრე მასთან ახლოს არ მივა. უჩინარია ის მახლობელი მთებიდანაც. მაგალითად არ ჩანს ქაჩუს ციხიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ციხე უფრო მაღალზეა აგებული ვიდრე შატილი.

შატილი

მიუხედავად თავისი კომპლექსურობისა, შატილს ოთხი უბანი და გასასვლელი გააჩნია. უბნების სახელებია: ქავჩი, შუა სოფელი, ზემო სოფელი და ზეუბანი. შატილს მდ. არღუნის მარჯვენა მხარეზე მდებარე სასოფლო გზასთან ე.წ. მთავარი შარა „სასოფლო შარა" აკავშირებს, რომელიც ცალკეულ უბნებს რამდენიმე შტოთი უერთდება. სოფლის თითოეული უბანი ერთმანეთთან ცალკე გასასვლელებითაა დაკავშირებული: ანატორელთ შარა, ქავჩის შარა, შუა სოფლის შარა, ზეუბნის შარა.

შატილის ნაგებობანი ვერტიკალურ კვეთილობაშია მოცემული. სახლები ოთხ, სამ და ორ სართულიანებია. უმეტესობა ციხე-სახლის ტიპს განეკუთვნება და გვაგონებს თუშეთ-ინგუშეთის ციხე-სახლებს. შატილს მოხერხებული, თავდაცვითი მდებარეობა აქვს: ცალი მხრიდან გალავანი ჰქონია შემორტყმული. ეს მარტო გადმოცემით როდი მტკიცდება. 1898 წლის პერიოდიკაში ვკითხულობთ: „ჩრდილოეთის მხრივ ციხეს ერთობლივ მთლიანი კედელი



მთის სოფელში (მხატვარი ზ.წერეთელი)

მთის ყვავილები (მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვსო"[1]. ძველად ეს სასაზღვრო პუნქტი დიდ ფუნქციას ასრულებდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კარის დაცვის საქმეში და მტაცებლური თავდასხმებიდან იცავდა პირაქეთ ხევსურეთს. ამიტომ შატილს და შატილელებს ბევრი მწარე დღეებიც უგემიათ. ლიტერატურული მონაცემები გვაცნობს, რომ „აქაური კაცს თავისი სული ხელში უჭირავს, წავა, დაჰხვდება მოწინააღმდეგეს და ან მოჰკლავს ან მოჰკლავენ"[2]. კიდევ „ხევსური უფარხმლოდ არსად გაივლის, წყალსაც კი არ მოიტანს"[3] და ა.შ.

შატილის საბრძოლო ბიოგრაფიიდან განსაკუთრებით გახმაურებულია შამილის თავდასხმა. გადმოცემა გვამცნობს, რომ შამილს გადაუწყვეტია საქართველოზე ლაშქრობა და შატილელებისათვის შემოუთვლია: არას გერჩით, თავის უფლებას გიბოძებთ, ოღონდაც გზად გაგვატარეთო. სამშობლო ქვეყნის მოსიყვარულე შატილელებს უპასუხნიათ–არა! ჩვენს სალოცავს და ქვეყანას ვერ ვუღალატებთ და გზას არ მოგიცემთო. მაშინ განრისხებულ შამილს ჯარი შემოუსევია შატილისთვის, მაგრამ სოფელი მედგრად დახვედრია და ვერ აუღიათ. ამ ბრძოლის გარშემო ი. კახელი (ი. ციხკარიშვილი), რომელიც 1897 წ. ივნისში ხევსურეთის მოსახლეობის აღსაწერად იყო მივლინებული, ხალხში შეკრებილ მასალებს გვაწვდის და ამავე დროს აღნიშნავს, რომ მაშინდელი ციხის კედელზე მიკრული იყო მტრის ჯარისკაცთა ხელები, რომელთაგან ოთხი ხელი, 1896 წ. გრაფინია პრ. ს. უვაროვას ხევსურეთში მოგზაურობის დროს თან წაუღია[4]. ეს ხელები თავისი თვალით უნახავს ნ. ურბნელს[5]. იგი წერს: „[მტრის] გამხმარი ხელები, რომლებიც კედლებზედ არის მიკრული, ამტკიცებს შატილელების ვაჟკაცობას".

სავარაუდოდ შატილში ადრე 65 ოჯახს მოითვლდნენ. გადმოცემით ჭინჭარაულებისა და ანატორელ–სისაურების ბრძოლების შესახებ წარმოადგენენ ანარეკლს მოსახლეობის ეთნიკური ცვლილებების შესახებ. ანატორის აკლდამებიც ამაზე მეტყველებენ. ლეგენდა ჭირანიანების შესახებ მითოლოგიური საბურველია დროცამ გარდასული მოვლენებისა. ამ შეხედულებას მხარს უჭერს მოსახლეობის მატერიალურ კულტურაში შემონახული ქისტური და კავკაზურ-ჩერქეზული ლექსიკური მასალაც.

მოსახლეობის ძირითადი ფენა ქართველებია. ჭინჭარაულები აქ არსებობის სამ მამას მოითვლიან, ხოლო ასაკით თითოეულ მამაში შვიდი თაობა მოდის; სამი თაობა ერთი საუკუნის წლებს მოიცავს. ამდენად ჭინჭარაულების აქ ჩამოსახლების ხნოვანობა დაახლოებით შვიდასი წელი უნდა იყოს.

ქართული ფენის არსებობაზე მეტყველებს აგრეთვე აქაური ხატის სახელები: ღვთისმშობლის ხატი, მთავარანგელოზის ხატი, ბეკენგორის მობურთალი წმ. გიორგის ხატი. ლიქოკის ხეობაში სისაურების ხატები კოპალა და იახსარი აქ შეცვლილია ქრისტიანული სახელებით. ლიქოკელი სისაურების ეთნიკურ კავშირზე შატილის ანატორიელებთან რიგი მონაცემები მიუთითებს. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის სახელი

---

[1] ი. კახელი, ორი კვირა მთაში, მგზავრის შენიშვნები, ჟურნ. „მოამბე", 1898, № 7.

[2] კ. ფახანაურელი (კ. კაკაბაძე), შატილი, გაზ. „ივერია", 1902, 22 მაისი.

[3] ვ. შამანაური, შატილი, გაზ. „ივერია", 19 მარტი.

[4] ი. კახელი, ორი კვირა მთაში, ჟურ. „მოამბე", 1898.

[5] ნ. ურბნელი, გაზ. „ივერია", 1887, 21 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შატილის ქვემოთ, მდ. არღუნის ხეობის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა ჯერ კიდევ ერეკლე II-ის დროს, ხოლო მეფის რუსეთის პერიოდში (XIX ს.) ტფილისის გუბერნიის საზღვრებში შედიოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე სათვალთვალო კოშკების სისტემა, რომელიც არღუნის ხეობაში არის და ამ სისტემასთან დაკავშირებული ქაჩუს ციხე, რომელიც შატილშია და მეთორმეტე საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. გადმოცემა მის აგებას ჭინჭარაულების გვარს უკავშირებს.

შატილი

რიგი ნიშნების მიხედვით შატილი გამოიცქირება, როგორც ლიმიტროპულ ზოლში მდებარე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაარსებული ციხე-ქალაქი, რომელშიც ჩაუსახლებიათ ხევსურეთიდან გადმოყვანილი ჭინჭარაულები. ეს ფაქტი შეიძლება მომხდარიყო იმ დროს, როდესაც საქართველოში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება იყო და კავკასიის ქედს გადმოღმა აფართოებდა თავის ტერიტორიას. იგი აქაურ მატერიალურ ბაზას იყენებდა და ამასთანავე მძლავრ საფარს უქმნიდა ჩრდილოეთიდან მოდენილ მტერს.

ასეთ ხანად უნდა ვივარაუდოთ I—V და განსაკუთრებით XI—XII საუკუნეები; ნაკლები შესაძლებლობის საფუძველზე შეიძლება გიორგი ბრწყინვალეს ხანაც ვივარაუდოთ. მაგრამ მეტი ვარაუდით შეიძლება XI—XII საუკუნეები ვიგულისხმოთ, რასაც ემთხვევა ჭინჭარაულების აქ მოსელის თარიღიც, გამოანგარიშებული „მამების" და „თაობების" მიხედვით. ამაზე მიუთითებს ქაჩუს ციხეც, რომელიც იმავე ხანით თარიღდება.

აქვე დავძენთ, რომ ქედს გადაღმა ციხე-ქალაქ შატილის დაარსება საქართველოს ხელისუფლების მიერ იზოლირებული მოვლენა კი არ იყო, არამედ ეს იყო მთელი სისტემა, რომელიც გაბმული ჯაჭვივით ლაბის, ზელენჩუკის, არდონის, თერგის, ასისა და არღუნის ხეობებში გეგმაშეწონილად ხორციელდებოდა.

შატილი

ღონისძიება ლიმიტროპულ ზოლში ფორპოსტების შექმნისა საიმედო მოსახლეობით ძველი ტრადიციაა, რომელიც კარგადაა ცნობილი როგორც ძველ სამყაროში, ასევე შუა საუკუნეების ქვეყნებში

1970

მ ი ნ ა წ ე რ ი: ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვითითებს, რომ შატილი დაცულ უნდა იქნეს არა მარტო როგორც ეთნოგრაფიული ძეგლი, როგორც ახლაა მიღებული. . . არამედ როგორც ჩრდილოეთ კარის საიმედო ფორპოსტი. პირველი მანქანა უკვე მივიდა შატილში, გზა გაიხსნა და იქნებ აქ მოსახლეობის დამაგრებასაც ეშველოს. . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც გასული წლის ზაფხულში მუზეუმის დავალებით აღბულახწალკის რაიონში სამუშაოდ ვიყავით მივლინებული, ჩვენ შემთხვევა მოგვეცა მუშაობის დროს, გზადაგზა, ძველ სასაფლაოებს გავეცნობოდით და მათ ქვებზე შენახული ჩვენთვის საყურადღებო ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მასალა შევგვგროვებინა. ერთი მხრივ, საშუალება გვქონდა ამ რაიონში მრავალგან ქვაყუთის ტიპის სამარხების არსებობა დაგვედგინა, როგორც მაგალითად: სოფ. ხოფისში, დუმანისში (ეხლანდელი გამოთქმით), პიტარეთში და სხვაგან, რომლებიც ახლო მომავალში სისტემატური არქეოლოგიური გათხრის ობიექტად უნდა შეიქმნენ. მეორე მხრივ, ამ ხასიათის ძეგლებზე უშუალო დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ სასაფლაოს ქვა-მატერები მეტად საინტერესო მასალაა და არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულად მნიშვნელოვანი. ინტერესსა და ყურადღებას იწვევს არა მარტო მათი წმინდა არქეოლოგიური მნიშვნელობა, არამედ კიდევ უფრო მეტად მათი ეთნოგრაფიული ღირებულებაა საგულისხმო.

საყურადღებოა, რომ ჩვენ ამ კუთხის ძველ სასაფლაოებში ხშირად ვხვდებით ისეთ ქვებს, რომლებიც ცხვრების, ყოჩებისა და ცხენების ქანდაკებას წარმოადგენენ. ასეთი საფლავის ქვები ბევრია: სამშვილდეში[1], ქსოვრეთში, ვაკეში, დიდ-დაღეთში, ტაშბაშში და სხვაგან. ამ სახის ძეგლები აგრეთვე ბევრი გვინახავს მესხეთში[2] და სომხეთში. სამწუხაროდ, დღესდღეობით, ჩვენ არ მოგვეპოვება ამ ძეგლების არც სათანადო რეგისტრაცია და არც მათი აღწერილობა. აშკარაა, რომ ამ ძეგლებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ საფლავებში დამარხულ ხალხთა სარწმუნოებრივ შეხედულებათა დადგენისათვის. ამ ხასიათის ძეგლების წარმოშობის სათავის მისაკვლევად უსათუოდ საჭირო იქნება მათი გავრცელებულობის შესწავლა როგორც საქართველოში, აგრეთვე მის მეზობლებშიც.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქანდაკებათა ამგვარი თავისთავადი მნიშვნელობის გარეშე მათზე ჩვენ გვაქვს მრავალი ძველი დროის ეთნოგრაფიული დეტალი. ასეთი დეტალები ქანდაკებების გვერდებზეა ხოლმე გამოსახული (იხ. სურ. 1). მაგრამ ეს დეტალები ამ რაინონს ჩვეულებრივი ოთხკუთხი საფლავის ქვებზედაც მოიპოვება (იხ. სურ. 2 და მუზ. კოლ. № 36–09). აქ ჩვენ ხშირად ვხვდებით ქვაზე ამოჭრილ სხვადასხვა საომარსა და შრომის იარაღებს, სატუალეტო საგნებს, ჩაცმულობა-დახურვას და სხვას. ამ ხასიათის ძეგლებს შეუნახავს, ჩვენი აზრით, ძველი დროის ისეთი ეთნოგრაფიული დეტალები, რომელთა შესახებ წერილობითს წყაროებში მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება.

მეორე მხრივ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი მასალის სამეცნიერო მიზნით გამოყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ეთნოლოგიური მეცნიერება გვიკარნახებს: ვიდრე რომელიმე დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტი ეთნოლოგიურად იქნებოდეს გამოყენებული, საჭიროა ფაქტის შედარებითი დათარიღება, თუ, რასაკვირველია, შეუძლებელია ზედმიწევნითი თარიღის გარკვევა[3]. მხოლოდ ამ ძირითადი და აუცილებელი პირობის დაცვით ეთნოგრაფიული ფაქტი პოულობს ღირებულებას.

---

[1] ცნობა სამშვილდის ერთ-ერთი ცხენის ქვა-ქანდაკების შესახებ იხილე: **M. Brosset**, Inscriptions et antiquités géorgiennes : *Mélanges Asiatiques t. II*, გვ. 95.

[2] იხილე საქ. მუზეუმის 1924 წ. ქვაბლიანის ეთნოლოგიური ექსკურსიის დღიური.

[3] **F. Graebner**, Methode der Ethnologie, Heidelberg, 1911, გვ. 128.

სურ. 1. სამშვილდე. საფლავის ქვა

ამ მხრივ იმ ძეგლების შესახებ, რომელთაც ზემოთ შევეხეთ, შეიძლება შემდეგი ითქვას.

ცნობილია, რომ ეს კუთხე მეტად რთული და მრავალმხრივი ისტორიული ცხოვრების მატარებელი იყო. ცნობები, ასეთი ნიშანდობლივი ცხოვრების შესახებ, მრავლად მოიპოვება საისტორიო წერილობითს ძეგლებში ჩვენი ისტორიის თვით უძველესი ხანიდან. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ამ რაიონს, როგორც საქართველოს „მეწინავე დროშის ნაწილს", მრავალი ისტორიული ქარიშხალი განუცდია და თავისი ეთნოლუციონური პროცესის ბუნებრივ ფენებში მრავალი გარედან შემოჭრილი ფენა მიუღია. უკანასკნელად მეჩვიდმეტე საუკუნეში მასზედ თავდამტყდარმა უბედურმა ბედმა (შაჰ-აბასის შემოსევამ) ბევრი ადგილის გაპარტახება-გაოხრება და ხალხის მასიური გადასახლება გამოიწვია[4]. ამიტომ არის, რომ ჩვენ აქ მრავლად ვპოულობთ ნასოფლარებს, ნაქალაქარებს და მიტოვებულ სასაფლაოებს. ეს მიტოვებული სასაფლაოები, სახელდობრ ისინი, რომლებიც მიწის ზედა ფენაშია მოქცეული, აშკარაა, ამ საერთო აწიოკების და გადასახლების ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ. ეს ერთგვარი terminus ante quem არის ამ ძეგლებისათვის. მეორე მხრივ, საფლავის ქვებზე ვპოულობთ სასროლი თოფის გამოხატულებასაც, რაც terminus post quem-ისათვის გარკვეულ და მტკიცე ბაზას იძლევა. ამის მიხედვით ჩვენს ძეგლებზე მოცემული ეთნოგრაფიული დეტალები რელატიური დათარიღებისათვის (XV–XVIII საუკუნეები) გარკვეულ საფუძველს პოულობს და მათი გამოყენება სამეცნიერო მიზნით შესაძლებელი ხდება.

აღბულახ-წალკის რაიონის შესახებ არსებული მწირი ლიტერატურიდან ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ აქ „ბევრია საფლავის ქვა. ზოგ მათგანზე მშვილდ-

[4] Tsarévitch **Wakhoucht**, Description géographique de la Géorgie, **ბროსსეს** გამოცემა, პეტერბურგი, 1842, გვ. 164 და სხვ.; აგრეთვე **ჯ ო ბ ა ვ ა ი შ ვ ი ლ ი** „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთორმეტე საუკუნეში; აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა", ტფ., 1907 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოძალია დახატული, ზოგი გუთნისდედის იარაღითაა შეჩუქურთმებული"[5], თუმცა ეს მასალა აღწერილი და ჩახატული დღემდე არსად არ ყოფილა.

სურ. 2. აბელია. საფლავის ქვა
1/15 n.Gr.

ძეგლების გაცნობამ ადგილობრივ ჩვენ მრავალი ამ ხასიათის ეთნოგრაფიული მასალა მოგვცა, რომელიც გამოყენებული იქნება სხვა შრომაში და სხვა დროს. ამიტომ მათზე მეტს აღარ შეეჩერდებით, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებით დავკმაყოფილდებით. ასე, სოფ. ბარმაქსიაზში ერთს, დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის, საფლავის ქვაზე ჩვენ ვპოულობთ იმ დროის გუთნის გამოხატულებას თავისი კბილა-ჭანჭიქით, ფრთით, მხარით და ათი უღლით. ამგვარივე შემთხვევაა ჩვენ გვაქვს ბეშთა-შენიდან 4 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით. ეგრეთ წოდებულ „ხარაბაში"[6].

სამწუხაროა, რომ ამ ხასიათის ძეგლებს წინათ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. მართალია, თავის დროზე **ბროსსესა** და **ბართოლომეს** საფლავის ქვებიც აინტერესებდათ, მაგრამ მათი ინტერესი უმთავრესად საფლავის ქვების წარწერებით იფარგლებოდა[7]. **ბროსსეს** შემდეგ თვით წარწერიანი საფლავის ქვებიც აშკარათად ხდება მკვლევართა ყურადღების საგნად. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგანაც საფლავის ქვები არა ნაკლებ სისწრაფით ჰქრება და ნადგურდება, ვიდრე სხვა ძეგლები. თუ ჩვენ ვიცით შემთხვევები, რომ სოფლელები კირის დასაწვავად იყენებენ ქვა-ყუთის ტიპის სამარხის ქვებს, რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა მიწის ზედაპირზე დებული საფლავის ქვებს სხვადასხვა მიზნით იყენებენ და ძველ ძეგლებს სპობენ.

ამის აშკარა მაგალითებს ჩვენ მიერ იმ ზაფხულს მოვლილი კუთხე იძლევა. პიტარეთის დიდებული მონასტრიდან გაზიდულია და, მაშასადამე, მეცნიერებისათვის სავსებით დაკარგული საფლავის წარწერიანი მარმარილოები. აგრეთვე გუდარეხის მონასტრის[8] შესასვლელი ქანდაკებიანი საფლავის ქვის დიდი

[5] **ზ. ვ ა ნ ლ ი ხ ა ნ ო ვ ი ლ ი**. გარდაბანისა და გაჩიანის საერისთაოში და მათი ნაშთნი, „ი ვ ე რ ი ა", 1900 წ., № 154.

[6] „ხ ა რ ა ბ ა" ბერძნული გამოთქმაა, სიტყვა თურქულია და ნიშნავს „პარტახს".

[7] **M. B r o s s e t**, Voyages archeologiques, 2-e livr., S. Pet. 1850; **B a r t h o l o m a e i**, Antiquités géorgiennes; *Mélanges Asiatiques t. II*, გვ. 264.

[8] **Е. Т а к а й ш в и л и**. Археол. эк., разыс. и зам. вып. II. გვ. 37. **B r o s s e t**, დასახ. ნაშრომი, გვ. 111, იქვე. ტაბულა I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი ეკლესიიდან გატანილია და ჯაგებში გდია ტაძრიდან 50–60 მეტრიანობაზე მოშორებით; მეორე წარწერიანი ქვის ნაწილი ამკვანძულრულიად არა ჩანს. ასეთი ბედი სწვევიათ, როგორც ვხედავთ, იმ ქვებს, რომლებიც საყდრებში ყოფილა საფლავებზე, და ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა მოუვიდოდა ღია ცის ქვეშ გალავნებში და გალავნის გარეთ დებულ სამარხის ქვებს. ჩვენ შემთხვევა მოგვეცა დაგვედასტურებია, რომ ბევრი სამარხის ქვა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ გამოყენებულია როგორც საამშენებლო მასალა, მაგალითად, ფურნეებისათვის (სოფ. ფარცხისი, წყნარი-ანაბონ). ამასთანავე ბევრი ამგვარი ძეგლი დროთა ვითარებაში უკვე მიწის ქვეშაა მოქცეული და მათი აღმოჩენა ამა თუ იმ სახის გათხრას მოითხოვს. თვით გუდარეხში და პიტარეთში ჩვენ არა მცირედი შრომა დაგვჭირდა იმისათვის, რომ მიწიდან გაგვეთავისუფლებია ეკლესიაში დამარხულ მიცვალებულთა საფლავის ქვები. სხვათა შორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვები მიწის ქვეშ მოყოლილა და წაბღალულა აკლდამების მქექელთა ხელით[9].

ყოველივე ეს დაკვირვებით გვიკარნახებს, რაც შეიძლება სწრაფად შევაგროვოთ ამ ძეგლებზე დაცული არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა და გადავარჩინოთ ისინი განადგურება-მოსპობას.

ჩვენ მიერ შეგროვილ ამ ხასიათის მასალებიდან აქ მოგვყავს მხოლოდ გუდარეხისა და პიტარეთის მონასტრების საფლავის ქვების წარწერები. პიტარეთის სამარხების წარწერები ლიტერატურაში ცნობილი არ არის[10], გუდარეხის სამარხების წარწერები გამოქვეყნებულია სამი[11], ჩვენ აქ ოთხი ახალი წარწერა შემოგვაქვს.

წარწერების ტექსტებიდან ჩვენ ვღებულობთ ცნობებს ამა თუ იმ საგვაროვნო აკლდამების შესახებ; ვტყობილობთ განსაზღვრული ეპოქისათვის გვარის შემადგენელ წევრთა დაახლოებით რაოდენობას; ვამოწმებთ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტებს და ზოგს ახალსაც ვიძენთ. სხვათა შორის, ერთი საფლავის ქვის წარწერის მიხედვით ვათარიღებთ პიტარეთის პირველხარისხოვანი ძეგლის მეორედ განახლების ფაქტს[12], რაც ჩვენ სხვა წყაროებიდან დღემდე არ ვიცოდით.

---

[9] ამავე აზრისაა **Е. Такайшвили**, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[10] ლიტერატურაში ცნობა არის მხოლოდ ერთი წარწერის შესახებ (იხ. **Brosset**, დასახ. ნაშრომი, გვ. 116. ამ ცნობას იმეორებენ შემდეგში **Дм. Бакрадзе**, Кавказ в его памятниках церковной архитекуры. Тиф. 1875. **М. Джапашвили**, Географ. Цар. Вахушти. გვ. 45, შენიშვნა 191. რადგანაც ეს წარწერა პალეოგრაფიულად მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია, აქვე ვაქვეყნებთ ჩვენ მიერ გაკეთებულ ესტამპაჟიდან გადაღებულ სურათს (გვ. 304, ტაბ. II).

[11] **Brosset**, დასახ. ნაშრომი, გვ. 111–112; **Е. Такайшвили**, დასახ. ნაშრომი, გვ.37–38.

[12] ეს ძეგლი ერთი უშესანიშნავესთაგანია საქართველოში. ამის შესახებ **M. Bartholomaei** წერდა: "C'est une des plus belles églises et des mieux conservées de toutes celles que j'ai vues en Géorgie" (**Brosset**, დასახ. ნაშრომი, გვ. 113). ამავე აზრს შემდგომში იმეორებენ **ლ. ბაქრაძე**, Кавказ в его пам. христиан. культ; **ალ. ხახანაშვილი**, Экспедиция на Кавказ, МАК, в. VII; **ბ. ჯანაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 64; თუ ეს შესანიშნავი ძეგლი **ბარათელიშვილის** დროს დაცულობის მხრით ერთი საუკეთესოთაგანი იყო, დღეს მას საშინელი ბზარი აქვს გუმბათიდან ძირამდე, მისი გუმბათის ყელის ჩერანგი აქა-იქ უკვე გარღვეულია და დღე-დღეზე მოსალოდნელია დაიქცეს. ძეგლის დასაცავად საჭირო ზომების შესახებ ჩვენ წერილით მოხსენებაში, რომელიც სიძველეთა და ხელოვ. ძეგლთა დაცვის განყ. გადავეცით 1926 წ. ოქტომბერში.

აგრეთვე ვეცნობით განსაზღვრული ხანისათვის ქვაზედ წერის ხელს, იმ ჩვენ ორთოგრაფიას, სატერმინო სიტყვებს და სხვას, როგორც ქვემოთ უშუალოდ თვით წარწერებიც დაგვანახებს.

დავიწყოთ გუდარეხის საფლავის ქვებიდან.

გ უ დ ა რ ე ხ ი ს მონასტრის მთავარ ტაძარში კანკელის წინ ყველა ნიშნების მიხედვით საგვარეულო აკლდამა ყოფილა. აქ დაცული სამარხის ქვების წარწერები ამქლევნებენ, რომ ეს აკლდამა გერმანოზიანთ კუთვნილებაა. ამაზე კიდევ უფრო გვაჯერებს ის გარემოება, რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველი ხანებისათვის გერმანოზიანთ გვარს გუდარეხში საკუთრება ჰქონია და ყმებიც ჰყოლია, როგორც ეს ჩანს 1723 წლის სტატისტიკური აღწერილობიდან[13]. როგორც ვიცით გერმანოზიშვილები ბარათაშვილების გვარის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენენ და მათთან ერთად ამ კუთხის, საბარათიანოს, მფლობელნი იყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფლავის წარწერიანი ქვები მიწით იყო დაფარული. მიწის გადაღების შემდეგ აქ კანკელის წინ ოთხი წარწერიანი საფლავის ქვა აღმოჩნდა. ეს ქვები მარცხნიდან მარჯვნით შემდეგი რიგით მისდევს ერთი მეორეს:

№ 1. თლილი ბაზალტის ქვა. სიგრძე უდრის 89 სმ, სიგანე–50 სმ. ქვა ფერხთთან ჩამომტვრეულია. მის ზედაპირზე ამოჭრილია მხედრული წარწერა, რომელიც იკითხება:

1. ქ. ხაფლავს
2. ამა მდგება
3. რე ვარ ვეში
4. კარზას : შვ
5. ლი გიორგი

ამ საფლავის ქვას თარიღი არ აქვს. არ ვიცით, კარზაშვილებს გერმანოზიშვილებთან რა კავშირი ჰქონდათ.

№ 2. მშვენიერი თლილი კირქვა, მცენარის ორნამენტებით შემკული. სიგრძე–155 სმ, სიგანე–58 სმ. სიგრძეზე ამოჭრილია მხედრული წარწერა. იკითხება:

1. განსახვენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ ვერმანოზის შვილი პაატას ახულ (sic)
2. ბოქაულთ უნუცესი პაპუა და თანამეცხედრემა ჩემა არგვეს : ერისთვის : მდივანბეგ უდიშვლის ქალმა
7 ველ[illegible]ავით ლოდი ესე პატრონსა ჩვენსა
ხაქებლად ვითარცა არდბრ. . .(?) და სული მისაღებ
4. ნებლად ვიმუშკე მისივ ესე ხაქმე: ვინცა მობძანდ
i t y 1 j [illegible]ს [illegible]: ნ . . .

ამ წარწერაში ყურადღებას იქცევს პირველ ყოველსა მისი თარიღი. დატა იძლევა ციფრებს 300, 4 და 3, რაც აღრიცხვის მხრით უმართებულოა. მეორე ასეთი შემთხვევა, მხოლოდ ათეულების მიმართ, ჩვენ გვაქვს ამლივის ეკლესიის დასავლეთის ტიმპანზე, სადაც ამოჭრილია ქორონიკონი: **ტნოა**=300, 50, 70

[13] ᲙᲐ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქ. სტ. აღწერ. გვ. 132, 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 1[14]. საკითხი ისმება, თუ როგორ უნდა იქმნეს გაგებული ჩვენი წარწერის თარიღი; უდრის ის 1616, 1615 თუ იგი არის 1619. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ წარწერის ხელი მეტად მდარეა, ტექსტი გრამატიკული შეცდომებითაა სავსე; ჩანს, ამომჭრელი ენის უვიცი ყოფილა და შეიძლება მან ასოებით ათვლა რიგიანად არც კი იცოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მცდარი ქრონოლოგია უცოდინარობის ბრალია. უთუოდ თარიღი უდრის 1615 წელს. წარწერაში მოხსენებულ გერმანოზის შვილებს ჩვენ ვიცნობთ ბარათაანთ საგვარეულო აქტებიდან.

№ 3. თლილი ბაზალტი, ორნამენტოვანი, სიგრძით 116 სმ, სიგანით–54 სმ, ქვა გატეხილია შუაზედ. გატეხილთან რამდენიმე ასო დაზიანებულია. წარწერა ამოჭრილია სიგრძით მხედრული ასოებით. იკითხება:

1. განსახვენებელსა ამას შინა და ხაფლავს შინა მდებარე ვარ მე ბატონ
2. ის შვილი თინათინ ძე ლიონისა მეუღლე ვ . . მანოზისშვილის იასე
3. ვინცა შინდეთ შენდობა ბძნეთ მღთ ბ ლსოვნ ამნ: ქს ტი:

ამ წარწერის თარიღია 1622 წელი. აქ მოხსენებული იასე გერმანოზის შვილის ქალი დარეჯანი მარხია ამავე ეკლესიის ჩრდილოეთის ეგვტერში[15]. იასე გერმანოზის შვილი გვხვდება ისტორიულ საბუთებში.

№ 4. თლილი ბაზალტი, ორნამენტოვანი, სიგრძით 138 სმ, სიგანით–51 სმ. მხედრული წარწერა იკითხება:

1. მოიკსენე უფალო მონა მღთსა
2. ხამის. . . ქალი დათუნას ცოლი თამარი.

ამ წარწერაში მოხსენებული დათუნა უნდა იყოს ის დათუნა გერმანოზის შვილი, რომელიც მოხსენებულია ვახუშტის და თუმანი შვილის მიერ 1723 წელს შედგენილ ამ კუთხის სტატისტიკურ აღწერილობაში[16], როგორც მებატონე. იმ ხანებში დათუნაშვილს ორმოცდაშვიდი კომლი ყმა და თოთხმეტი ბოგანო ჰყოდა, ამათგან თვით გუდარეხში მას ეკუთვნოდა ორი კომლი, სახელდობრ ლაზარაშვილი პაპუა და თეფში შვილი პაპუნა. ამით დაახლოებით ირკვევა თამარის ცხოვრების დრო.

აქვე, ამავე საფლავის გვერდით, დამარხულა გუდარეხის მონასტრის მეორედ გამკეთებული წინამძღვარი დომენტი, რომელიც გამოქანდაკებულია საფლავის ქვაზე და რომელსაც უთარიღო წარწერა აქვს[17].

აქ მოყვანილ წარწერებს თუ მივუმატებთ ამ მონასტრის ომან გერმანოზის შვილის საფლავის ქვის ზედწერილს[18], აღმოჩნდება, რომ გუდარეხის საფლავის

[14] **E. Таказишвили**, დასახ. ნაშრომი, გვ. 7–8.

[15] **დარეჯანის** საფლავის ქვის წარწერა გამოქვეყნებული აქვს **ე. თაყაიშვილს**, იხ. Арх. экс. etc. В. II. გვ. 38.

[16] **ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი**, მასალ. საქ. სტატ. აღწ., მეთერამეტე საუკ. თბ., 1907, გვ. 132.

[17] წარწერა გამოცემული აქვთ **ბ რ ო ს ს ე ს ა** და **თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს** ქანდაკების ხელის ჩანახატი **Brosset**, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I ; ესტამპაჟი ნახე საქართ. მუზეუმში.

[18] გამოცემულია **ბ რ ო ს ს ე ს ა** და **თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს** მიერ, დასახ. ნაშრომი.

ქვებზე ჩვენ გვაქვს მოხსენებული გერმანოზიანთ ოჯახის 9 წევრი, სახელდობრ: გერმანოზ"შვილი პაატა, ბოქაულთ უხუცესი პაპუნა, მისი **„თანამეცხედრე“** ანახანუმ, მეჯინიბეთ უხუცესი და ყაენის მუსიბი ომანი, ისე, მისი **„მეუღლე“** **„ლიონის ძე“** თინათინი, მისი **„ქალი“** დარეჯანი, დათუნა და მისი **„ცოლი“** თამარი. ეს გარემოება საკმაო სიცხადით ამტკიცებს, რომ გუდარეხის მონასტრის მთავარი ეკლესია მეჩვიდმეტე საუკუნეში, შეიძლება მეთვრამეტის პირველ ნახევარშიც გერმანოზ"შვილების გვარის საძვლე იყო, სადაც იმარხებოდენ ბარათაანთ გვარის ამ განშტოების ოჯახის წევრები.

ფეოდალურ საქართველოში ყოველი კუთხის ძლიერი მებატონე-ფეოდალი ცდილობდა ისეთი ძეგლი-ნაშენები აეგო, რომლის მსგავსი მეზობელ მებატონეს არ ჰქონდა ან არ შეეძლო აეშენებინა. ამ არტისტული გაჯიბრების ნაყოფია ფეოდალური ხანის მრავალი საინტერესო ძეგლი. სახელდახელოდ შეიძლება დავასახელოთ თარხნ"შვილების ერთაწმინდა, მაღალა"შვილების ეკლესია, ბარათა-"შვილების ამლევი, ზარზმა, საფარა და სხვა მრავალი. ამათ რიცხვშია დიდებული **პიტარეთიც**, რომელიც სახელგანთქმულ ორბელთა გვარის მიერ არის შექმნილი. **ბარათოლომეოსის** თქმის არ იყოს, საქართველოში ამ ძეგლს ბადალი არ ყავს. მისი გუმბათის ყელის ჩუქურთმები წმინდა ნაჭარგს მოაგავს და ajour-ის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ ძეგლის აშენების შესახებ მოგვითხრობს ქვეთარის წარწერა. სამხრეთის სტოას კედელზე. იგი თუმცა წაკითხულია **ბ რ ო ს ს ე ს** მიერ[19], მაგრამ წაკითხვა ახალ კონიექტურებს მოითხოვს. სასურველია იგი გამოიცეს ხელმეორედ, მით უფრო რომ ამ წარწერის ფოტოგრაფიული გადაღება ან ესტამპაჟი დღემდე ვამოქვეყნებული არ ყოფილა. ჩვენ შემთხვევა მოგვეცა წარწერა ესტამპაჟით გაგვეცნობინა. ესტამპაჟი ინახება საქართველოს მუზეუმში. ამ ხასიათის სხვა წარწერა ეკლესიაზე მეტი არ მოიპოვება. მხოლოდ მარანზე, რომელიც იქვე ახლოა ტაძართან, ჩრდილოეთის კედელში დატანებულია თეთრი ქვა, რომელზედაც ამოჭრილია მხედრულად შემდეგი წარწერა, რომელიც დღემდე უცნობი იყო:

1. ქ. ᲗᲘ: ᲧᲣ̄ᲕᲚᲐᲓ ᲞᲐᲢᲝᲘᲡᲐᲜᲛ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲝᲛ ᲤᲘᲢᲐᲠ
2. ᲔᲗᲘᲡᲐ ᲦᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲑᲔᲚᲝᲛ ᲣᲚᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲡᲐ ᲧᲣ̄Დ
3. ᲪᲝᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲡ ᲘᲝᲜᲘᲡᲐᲡᲐ
4. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲐᲦᲒᲐᲨᲔᲜᲔ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ ᲔᲡᲔ
5. ᲨᲔᲜᲗᲙᲝᲑᲐᲡ ᲘᲢᲘᲣᲚᲝᲓᲘᲗ ᲡᲛᲐᲓᲚᲡᲐ ᲥᲙᲡ ᲢᲐᲓ

ქორონიკონი უდრის 1696 წელს. აქ მოხსენებული წინამძღვარი იობი არის გამოჩენილი მკითხველი და მჭადაგებელი, უკანასკნელი წინამძღვარი პიტარეთის მონასტრისა, რომელიც იძულებული შეიქმნა პიტარეთი დაეტოვებინა 1731 წელს და ტფილისში გადმოსახლებულიყო[20]. იგი დასაფლავებულია ტფილისის სიონში.

ამ ძეგლის ისტორიისათვის არანაკლები მნიშვნელობისაა აქდაცული სამარხის ქვების წარწერები. მათზე დღემდე ყურადღება არავის არ მიუქცევია და იგი არც ყოფილა გამოქვეყნებული. როგორც ზემოთაც გვქონდა მოხსენებული ზოგიერთი სამარხის ქვები აქედან მოპარულია, ზოგიც შიგვე დამტვრეულ-წაბღალულია. აქაც

[19] **B r o s s e t,** Inscriptions et antiq. géorg.: *Mélanges Asiatiques t. II*, გვ. 113–115.

[20] **ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი,** წყობილ-სიტყვაობა („მე ფიტარეთის დეკანოზი ამისი მოწმე ვარ“: **ს ა ქ. ს ი ძ ვ. ტ. II,** გვ. 385, 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი საფლავის ქვა მიწით იყო დაფარული. ჩვენ ისინი მიწისგან განვათავისუფლეთ და წარწერები ამოვასუფთავეთ. აქაც საფლავის ქვების პირველი რიგი კანკელის გასწვრივაა. მეორე—ამ რიგის პარალელურად.

დავიწყოთ პირველი რიგის მარცხნიდან და მარჯვნივ დავეცეთ.

№ 1. საფლავის ქვა, სამკვეთლოს კარების პირდაპირ. ქვა ჩამომტვრეული აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე. სიგრძე–185 სმ, სიგანე–67 სმ. დასავლეთის კუთხეებში ამოკვეთილია ა ს ო ი თ ა ვ რ უ ლ ა დ[21]:

[ღთ] შ ̄ვ
პრნი ყოველ

შემდეგ იკითხება ამავე ასომთავრულით ლამაზი ხელით, ბევრი ასო ლიგატურაშია მოქცეული:

1. ქ. წ̄ბთა და შ̄წ̄ვნთა
2. ღთა მე ორბ ̄ლს შ̄ვლმა
3. ყ̄ფლან მ̄ეორეთ შ̄ვმკე
4. მ̄ნ̄სტრი: ეს̄ე: და: ბრ ̄სა: და
5. მთ̄შ̄ი მ̄ტ̄რ̄ს̄ნ̄ გ̄ა̄ო̄კ̄რ̄ბ̄ლ̄ი
6. მ̄კ̄დ̄რ̄ მ̄ამ̄ულ̄ი:ჩ̄მ̄ი:ა̄ღ̄ვ
7. შ̄ენ̄ე: ს̄ფ̄ლ̄ი: ა ̄ ̄ ̄

5. ლს პტრონი: სბრათიანოს დ
6. იდი თვდი: მეფის გიორგ
7. ის: დედის: ძმა: ბტონი: პა
8. პუნა: გრდვიცლე: და ძ
9. ე: არა: მესვა: არცა ას
10. ული: ესოდენის დიდ
11. ების პტრონი: ამ მცირე
12. ს სფლვს: დავემკვიდ
13. რე: შეძ¯რვდ ,ელს: ნ
14. უ: მყოფთ: შნ¯დობ ¯ს
15. ბრძანებდეთ: გვდრ¯ბ: ქკ: ტოზ:

ქარაგმების გახსნით და ლიგატურების ამოკითხვით:

„მე დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე სომხითის მო(უ)რავი, საორბელოს პატრონი, სბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არა მესვა არცა ასული. ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე, შეძრვად ,ელს ნუ მიყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ გეკედრებით. ქორონიკონი ტოზ (1689)".

№ 3. ზემორე მოხსენებული ქვის მარჯვნივ ჩალეწილი საფლავის ქვა, რომელსაც ზემო ნაწილში ნახევარზე მეტი აკლია. სიგანე –51 სმ. მხედრული ასოები იკითხება

. . . . . .
0) მონაზონი ბარბარე და
00) [თითქმის მთელი სტრიქონი ამოტეხილია] მათი
000) შენდობას ყოფდეთ
0000) ჩემ: ცოდვილისათვი
0.) ს რათა თქვენცა. მოგეტევ
01) ნეს ცდვანი თქვენნი: ამინ:
02) დაიწერა ქკს: ტპთ სეკდენბ
03) . . . იზ: გარდავიცვალე

ამ წარწერის ქორონიკონი=1701 წელს.

№ 4. შემდეგი ქვა მეტად დაზიანებულია, წარწერა გადასულია. ქვის სიგრძე –159 სმ, სიგანე –53 სმ. ასომთავრული წარწერა იკითხება:

1.) მე დიდის ორ
2.) . . . . . .
. . . . . .
7.) ო ორ. . . . . .
8.) . . . ორბ . . . .
9.) . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.) ამდე ესე არს
11.) განსასვენ: ებე. .
12.) ამს დვემკვიდ.
13.) ე: რ̄: მონვს: ესე:
14.) მო: წლისა: მვი..
15.) ვალე: ქკს: ტ: [ო:დ:]
16.) შენდობა ყავთ
17.) გევედრებით

სამწუხაროდ ქვის დაზიანების გამო არ იკითხება აქ დასაფლავებულის სახელი; მხოლოდ ჩანს, რომ ის დიდი ორბელის მახლობელი უნდა ყოფილიყო. მეათე სტრიქონიდან წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

„ამდე. ესე არს განსასვენებე [ლი] ამას დვემკვიდ[რ]ე, რამეთუ მონავს ესე. 49 წლისა მივიცვალე ქორონიკონს ტ[ოდ] (1686). შენდობა ყავთ გევედრებით".

№ 5. მეორე რიგი. საფლავის ქვა ჩრდილოეთის კედელთან
დასავლეთისკენ. სიგრძე –159 სმ, სიგანე –50 სმ.
მხედრული წარწერა იკითხება:

1. ქ. რომელმან მიწის
2. განშექმენ და დაჰ
3. ბადენ ცანი და ზუ
4. [ღუანი] მიწად მიქცენი
5. ინე(?) აჰა მეცა
6. ბრძანებითა
7. შენითა მივა
8. ვალე სოფლისა ამის
9. განამირეჯიბ
10. ის ასული და ორ
11. ბელის შვილის ქა
12. იხოსროს მეუღ
13. ლე ლელი ყოფილი მონაზ
14. ონი ელისაბედ და
15. ცქემოსანი ეკატე
16. რინე შენდო(ბ)ას ი
17. ტუ დეთ ქკ̄სა ტუ ღვ
18. ნობისთვის ცხრასა

ამ წარწერის თარიღი=1702 წელს.

№ 6. ამავე ქვასთან, საფლავის ქვა სიგრძით 172 სმ,
სიგანით–48 სმ. მხედრული წარწერა იკითხება:

1. ქ. მოიხსენ
2. ე უფალი

3. ორბელის
4. შვილის მოლა
5. რეთ უხუცეს
6. ქაიხ˜სროს თანა
7. მეცხედრე თ
8. ინათინ ამ
9. სამარხს დე
10. მკვდრა ვინც
11. წაიკითხოთ შენ
12. დობა ყავთ

№ 7. ამავე რიგში გუმბათის დასავლეთის სვეტებს შუა, უფრო ჩრდილოეთისკენ ახლო, ჩინებული, ი შვიათი მოწითალო ფერის ქვა, დიდებულად შესრულებული ლიგატურებიანი ასომთავრული წარწერით (იხილე ტაბულა II)[22], ქვის სიგრძე –135 სმ, სიგანე –65 სმ, კუთხეებში იგი ჩამომტვრეულია.

1. ესე: არს: გ˜ნასვენებელი:
2. ჩემი: ო˜კი: ო˜კე:
3. ამ˜ს: დავემკვიდრო:
4. რ˜: მთნავს: ესე

ქარაგმების გახსნით და ლიგატურების ამოკითხვით:
,,ესე არს განსასვენებული ჩემი უკუნითი უკუნისამდე,
ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე''.

ბ რ ო ს ე ს ეს ქვა, რასაკვირველია შეცდომით, მიაჩნია ტაძრის დამაარსებელის საფლავის ქვად. შეუძლებელია, რომ ეს იყოს ქავთარის სამარხის ქვა. სხვებისგან ეს წარწერა განსხვავდება იმით, რომ ასოები გამოჭანდაკებულია[23].

№ 8. ამის მარჯვნით საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით. სიგრძე –170 სმ, სიგანე –59 სმ.

1. ბაგრატოა
2. ნთ ასული
3. და დიდის
4. ორბელის: ს
5. ძლი სოკლნნი
6. ს მეუღლე ბტ
7. ონი დრეკნ
8. ამს დვემკ
9. ვიდრე ქკი: ტოა

ქორონიკონი=1683 წ.

[22] იხილე ა ქ ვ ე , გვ. 318, შენიშვნა 10.

[23] ტერმინის მნიშვნელობის შესახებ იხ. ი ო ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 42.

№ 9. საფლავის ქვა სამხრეთის კარებთან, სიგრძით–159 სმ, სიგანით–50 სმ. მხედრული წარწერა იკითხება ასე:

ქს˜სა (sic)
ტპიდ
1. მე ავალი
2. ს შვილის
3. ასული და ო
4. რბელის შვილის: პა
5. ტრონის: პ
6. აპუას მეუ
7. ღლე ბატ
8. ონი ანა დავემ
9. არხე

ამ წარწერის თარიღი=1706 წელს.

ვინ არიან ზემოთ მოყვანილ წარწერებში მოხსენებული პირები.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ბარათაშვილების გვარეულობა სამ შტოდ გაიყო: ბარათაშვილებად, აბაშიშვილებად და ორბელიშვილებად[24]. ორბელიშვილების გვარი მეჩვიდმეტე საუკუნეში და მეთვრამეტის პირველ ნახევარში დიდ როლს თამაშობდა იმდროინდელ საქართველოს ცხოვრებაში.

ამ დიდ გვარს ეკუთვნის ის პირი, რომელიც ჩვენს წარწერებში ყველაზე უფრო ადრინდელ თარიღს ატარებს. ეს პირია „დიდი ორბელის შვილი ყაფლანი", რომელმაც, როგორც წარწერიდან ვტყობილობთ, პიტარეთი „მეორედ შეამკო" აოხრებული კუთხე აღაშენა და „ხუთი ძე" დატოვა. ისტორიული დოკუმენტები მას სახლთ-უხუცესად იხსენიებს[25]. ჩვენი წარწერის მიხედვით ის გარდაცვლილა 1671 წ.

მისი ხუთი შვილი იყო: პაპუნა (ზოგ დოკუმენტებში პაპუნ-ბეგად მოხსენებული ეპოქის საერთო სულისკვეთების თანახმად)[26], ასლანი (ასლან-ბეგი), ვახტანგი (აგრეთვე ორბელი, თანამდებობით მდივანბეგი), თამაზი (სარდალი) და გიორგი[27]. მასვე ჰყავდა ქალი როდამი, რომელიც მითხოვდა მეფე ვახტანგ მეხუთის და იყო მეფის გიორგი XI დედა. როდამი, შემდეგში სქემოსანი ეკატერინე, ასაფლავია რუისის ეკლესიაში. გარდაცვლილა ქორონიკონს „ტოთ"=1691 წელს[28].

ყაფლანის უხუცესი ძე პაპუნა მარხია მამის გვერდით. ის იყო გიორგი მეფის დედის ძმა, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი და სომხითის მოურავი. გარდაცვლილა 1689 წელს.

---

[24] ო. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II. გვ. 352 და შემდეგი; ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, ტფილ., 1909 წ., ტ. II, გვ. 133 და 137.
[25] ს ა ქ. ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, II, 122–124, 412.
[26] ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, II. 500—1.
[27] ს ა ქ. ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, II, 133, 143, 188, 142 და 412.
[28] ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, II. 497 და 111; აგრეთვე, Chronique géorgienne, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტარეთის ეკლესიაში დასაფლავებული ქალებიდან—მეცხრე წარწერაში მოხსენებული „ბატონი ანა", გარდაცვლილი 1706 წელს, არის ორბელიშვილის, გიორგის შვილის პაპუას მეუღლე. ეს პაპუა ისტორიულ საბუთებში ამ ხანების მახლობლად იხსენება[29]. ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. **ჯ თ ა ყ ი ი შ ვ ი ლ ი ი** სმიერ გამოცემულ ნასყდობის წიგნში, რომელიც იხსენიებს „ბატონის ყაფლანის შვილის გიორგის შვილს პაპუას, გორჯასპის და ზურაბს",—დედნის თარიღი ტჰ გასწორებულია ტß-თ. ამ შესწორებას მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ხანების და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი მეჩვიდმეტე საუკუნეში გადაყავს. პაპუა, გორჯასპი და ზურაბი მეორე თაობაა ყაფლანის შემდეგ, რომელიც 1671 წელს გარდაიცვალა. ამიტომ, მათი ცხოვრების თარიღის მეჩვიდმეტე საუკუნეში გადატანა ყოვლად დაუშვებელია. პაპუას მეუღლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1706 წელს გარდაიცვალა.

მეხუთე და მეექვსე წარწერებში მოხსენებული ქალები: ლელი, ყოფილი მონაზონი ელისაბედი, იგივე სქემოსანი ეკატერინე, და თინათინ, ჩანს, ორთავე იმ ქაიხოსრო ორბელიშვილის, პირველი და მეორე, მეუღლე ყოფილან, რომელიც ასლან-ბეგის შვილი იყო და რომელიც ისტორიულ საბუთებში მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გვხვდება[30]. მესამე წარწერის მონაზონ ბარბარეს სხვა წყაროებიდან არ ვიცნობთ.

რაც შეეხება „დიდის ორბელის ძალს სულხანის მეუღლე ბატონ დარეჯანს, ბაგრატიონთა ასულს,—ის ცნობილი მეცნიერის, მწერლის და სახელმწიფო მოღვაწის საბა-სულხან ორბელიანის პირველი მეუღლე უნდა იყოს. 1655 წელს დაბადებულ სულხანს რომ 1683 წლისათვის 28 წლის ჭაბუკს ცოლი ყოლოდეს—წარმოუდგენელს არაფერს შეიცავს. როგორც ვიცით სულხანს ჰყავდა მეუღლედ აგრეთვე ათაბაგის ქალი თამარი[31].

რომ უფრო ცხადი გახდეს აქ მოყვანილ წარწერებში მოხსენებულ ორბელიშვილთა ურთიერთ-ნათესაური დამოკიდებულება,– მოგვყავს ამ გვარის გენეალოგია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებისათვის. ეს გენეალოგია დამყარებულია ამ ეპოქის ისტორიულ დოკუმენტებზე[32], ქართლის ცხოვრებაზე და ამ წერილში მოყვანილ ახალ მასალებზე.

1927 წ.

---

[29] ს ა ქ. ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, II, 259, 430, და სხვ..

[30] ს ა ქ. ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, II, 430.

[31] ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, II. 519.

[32] ს ა ქ ა რ თ. ს ი ძ ვ ე ლ., ტ. II და თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი ტ. II.

გენეალოგია-ბარათაანთ ორბელიშვილების გვარისა (XVII—XVIII სს.).

ყაფლან სახლთ-უხუცესი † 1671 წ.

- პაპუნა † 1689 მეუღლე ბანჯი გასპი-ნაშვილები-მისი შვილი ერასტი
- ასლან-ასლან-მეგ
  - 1) ლუარსაბ-სარდალი † 1703 წ.
  - 2) დომენტი-ტფილელი მიტროპოლიტი
  - 3) ქაიხოსრო, სახ. უხუც. მეუღ. ლელი † 1702; მეუღ. თინათინ
  - 4) ოთარ-ბაზ-უხუც.
  - 5) მანუჩარ-მოლ-უხუც.
  - 6) რევაზ-ეშიკ-აღასი
- ვახტანგ-ორბელი მდივან-მეგი, მეუღლე ზაალ ერისთავის ქალი თამარი † 1683
  - 1) სულხან-საბა ცოლი დარეჯან † 1683 ცოლი ათაბაგის ქალი თამარ † 1698
  - 2) ერასტი-მდივან-მეგი ცოლი ანანანუმ
  - 3) ვახუშტი † 1707 სპარსეთში
    - 4) ყაფლანი
    - 5) ზურაბი
    - 6) დემეტრე
    - 7) ნიკოლოზ
    - 8) ზაალ
    - ელიზბარ ვახტანგ
    - ვახტანგ ერასტი
- თამაზ - სარდალი
  - 1) მამუკა
  - 2) რამაზ
  - 3) მზეჭაბუკ
  - 4) რევაზ
- გიორგი
  - 1) პაპუა მეუღლე ანნა † 1706
  - 2) გორჯასპი
  - 3) ზურაბ
  - ქაიხოსრო
- როდამ ვახტანგ V-ეს მეუღლე, სტეფოსანი ეკატერინე † 1691 წ.

პიტარეთი. წარწერა საფლავის ქვაზე

ინტერესი თემისადმი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, ეთნოგრაფიულია, თუმცა კვლევის ობიექტი არქეოლოგიურია.

ჩვენი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამ დაბეჭდა მორიგი ტომი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" თემაზე: მიცვალებულის კულტის გარდმონაშთები ხევსურებსა და მეგრელებში (მას. საქ. ეთნოგრ., ტ. III).

განყოფილების მიერ ამ თემაზე დაგროვილი მასალა იმდენად თავისებური და ორიგინალურ ელემენტებს შეიცავს, რომ ინდოევროპეიტების მტკიცება, თითქოს წინაპრის კულტი ძველი ინდოევროპელების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს[1], ადვილად ირღვევა. იმ თავისებურებებიდან, რომლებიც ამ კულტს ჩვენში ახლდა, აღსანიშნავია: ხევსურული **ხმით ნატირალები** და სვანური **ლიფანალი.**

ჩვენს ადრინდელ ნაშრომში[2] აღნიშნული იყო **ლიფანალის** ზოგიერთი თავისებურება, ამიტომ მას აქარ ვეხებით, ვიტყვით მხოლოდ რამდენიმე სიტყვას **ხმით ნატირალების** შესახებ.

ხევსურული მიცვალებულის კულტში დატირება რთული სახის მოქმედებას წარმოადგენს. ხევსურები მიცვალებულს დაიტირებდნენ როგორც **შუნკად**, ისე **ხმით.** დატირება ხმით სამგვარი იყო – **მოთელით, ძახილით** და **ჭმით.**

მოთელა უბრალო სახის ტირილია. ძახილით ტირილი ყველას შეეძლო, უკეთუ დატირების წესი ამა თუ იმ პირს ამ სახით დატირების ნებას რთავდა.

ჭმით დატირების შემძლე კი მთელს სოფელში, უკეთეს შემთხვევაში, სულ ერთი ან ორი პირი იყო. ძახილის დროს სიტყვებს იძახდნენ ხოლმე, ხოლო ჭმით ტირილის დროს ჰანგი და რითმა გამოჰყავდათ. ძახილი და საერთოდ ტირილი ხევსურეთში ყველას ყველაზე არ შეეძლო – წესი უკრძალავდა. მაგალითად, ცოლი ქმარს ვერ დაიტირებდა, ქმარი – ცოლს, ვერც მამა და დედა – შვილს, სანამ არ მოხუცდებოდნენ. რაც შეეხება ჭმით დატირებას, ამ წესით ყოველ ქალს შეეძლო დაეტირა ყოველი მიცვალებული, ნათესაობისა და მოფრობის მიუხედავად.

ჭმით ტირილი შეიძლება უმთავრესად მიცვალებულის **ტალავარზე.** როგორც კი დაჯდება ტალავართან ხმით მატირალი, მაშინვე სთხოვენ ატიროს ჭმით. იგიც აიღებს ხანჯალს, თუ ვაქაცის ტალავარია, და იწყებს ხმით ტირილს.

ხმით მატირალმა ტირილის დროს შეიძლება აჭოს მიცვალებული, შეიძლება იქ მყოფნი გამოაჯაროს კიდეც, ანუ როგორც ხევსურები იტყვიან **გასენოს**[3]. ხშირად ხმით მატირალი, ხმით მატირალს შეეჯიბრებოდა ხოლმე.

ხმით მატირალი ტირილის დროს თხზავს „ლექსებს" და მათ ტირილის მსგავსად მღერის. ამიტომ ხმით ნატირალების დახსომება ძნელია. მიუხედავად ამისა, საუკეთესო ხმით ნატირალები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ხალხის მეხსიერება მათ ინახავდა, როგორც წინაპართ მოსაგონარ ცხოველმყოფელ წყაროს.

---

[1] **W. Koopers**, Die Indogermanenfrage im Lichte der historischen Völkerkunde, **Anthropos** 1936, Bd. I, S. 14.

[2] **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲝ**, ცხოვრების ხე ლაზურ ორნამენტში (იბეჭდება ენ ი მ კ ი-ს მოამბეში, ტ. X). შენიშვნა – დასახელებული ნაშრომი ქვეყნდება ამ ტომში სათაურით „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში" (თ. ც.)

[3] **ᲒᲐᲡᲔᲜᲘᲐ** –გამოჯავრება, გამოშირება. „**ᲡᲐᲡᲔᲜᲝ**"–გასაჯავრებელი, საწყენი, გამოსაშირებელი. ლექსის ეს ჟანრი ხევსურეთში მდიდრადაა წარმოდგენილი.

ხმით ტირილის **ატეხა**, ე.ი. ჭმით ატირება ხდებოდა ტირილის პროცესში (და-ძმაზე, დობილი-ძმობილზე ან სხვა მოკეთე-მოკეთეზე). **ტირიან ყინჩად** ასე, რომ **მიცვალებულიც მოინდომებს** ატირებას. ხმით მატირალი ცდილობს ატიროს ყველა საკუთარი შემოქმედებით.

სხვათა შორის, ჭმით ტირილი მიღებული იყო მკვდრის გახსენების დროს, **თიბვის შამშამბათს**. ეს დღე იყო სოფლის პირველად გასვლის დღე სათიბად. მიცვალებულის ჭირისუფალი მთელ სოფელს დაჰპატიჟებდა, ტაბლებს დაამზადებდა, ტალავართ გაშლიდა, ხმით მოტირალნი იტირებდნენ და სულის ხუცესი „სახელს დასდებდა". ჭირისუფალი „თიბვის შამშამბათს" რომ გადაიხდიდა, შემდეგ სოფელს ნება ჰქონდა „ცელი ბალახში შეეტანა". სოფელთან ერთად ჭირისუფალიც მოსთიბავდა[4].

აქვე უნდა ითქვას, რომ ჭმით ნატირალებს მღერიან თიბვის დროს, რასაც **გვრინს**[5] ეწოდება[6].

შრომის პროცესში ამ სახით მიცვალებულის მოგონების წესი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში უნიკალურია და დღემდე უცნობი.

მოვიყვანთ ხმით ნატირალების ერთ-ორ მაგალითს.

შარმანაულზე ნატირალი

შარმანაულო შავარდენო,
მთიბელნი გიხარიანღაეო;
მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო,
დუმას ზისცვარში ხარ შავღაეო.
ბევრაის ჯი,ჭვის გამგორესაო,
თოფსა ჭირიმსა ზიდავღაეო;
მტრისა ბევრაის გამჯავრესაო,
წელზე ფრანგულსა იბამღაეო;
სტუმრის ბევრიას მასახურსაო,
ტყავსა ქემხითა ხკერავღაეო,
ბევრაის მტრისა გამრიგესაო,
ენასა ბეჭჩი ზიდავღაეო.

ზზექალასგან ნატირალი მამუკაზე

ათათა ბიჭო ბალახაიო,
გამკვირებიხარ სამუკაიო,
იმით კი უფრო გამიტრელდიო,
სკლატის ცმა არა იცოდიდიო.
ლეგა ჩო ,ჭაი ჩაიცვიდიო,
გვერდზედა ქუდი გაიგდიდიო.

---

[4] იხ. ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში **ნ. მაკალათიას** და **მ. ბალიაურის** მასალა: „მიცვალებულის კულტი არხოტში".

[5] სიტყვა განმარტებით: „გვრინი საგლოელი ,ჭმაა, გვრინვა". ასპირანტ **ნ. რეხვიაშვილის** ცნობით რაჭაში „გვრინის" შესატყვისად იხმარება – „ზრუნი".

[6] იხ. ენიმკი-ს ეთნოგრაფიულ არქივში **ლ. ბალიაურის** ხელნაწერი: „ხევსურული ხმით ნატირალი".

ალაღებულსა ღგვანდი წყალსაო,
ვერ გასავალსა ცხენისასაო.
პირ-გამართულსა ღგვანდი თოფსაო.
ჭმაძალიანსა სითასაო.
დაფხაებულსა ღგვანდი ჭმალსაო,
ფრანგულსა სისხლჩი დაჩვეულსაო.

მაგრამ ქართველი ხალხის მიცვალებულის კულტის შემადგენელი კომპონენტები საყურადღებოა არა მარტო „ლიფანალით" და „გვრინით", არამედ სხვა ელემენტებითაც. ამ ელემენტებიდან ყურადღებას იპყრობს, სხვათა შორის, მიცვალებულის დამარხვის ფორმებიც. მიცვალებულის დამარხვის ერთ-ერთ საყურადღებო სახეს ქვემო ალმეს ქვის კუბო წარმოადგენს.

*
* *

ქვის კუბო, რომელიც აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ამხ. ხუსეინ კირისილოღლის ინიციატივით იქნა გადმოტანილი. ქვემო ალმედან[7] აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1938 წლის ნოემბერში და ამჟამად ამავე მუზეუმშია დაცული, — წარმოადგენს მთლიანი ტუფის ყუთს, რომლის სიგრძე 192 სმ, სიგანე უდიდესი 51 სმ, უმცირესი – 45 სმ, სიმაღლე – 27,5 სმ.

კუბოს ძირში თავთან აქვს ამაღლებული ადგილი სასთუმლად, სიგანით 17 სმ, ხოლო სიმაღლით ძირიდან 7,5 სმ. ამას გარდა, კუბოს ძირშივე შუაში გამჭოლავი ნაჩვრეტი აქვს, d=6 სმ. კუბოს ნაპირი ამორანდულია იმ მიზნით, რომ მასზე ხუფი კარგად მოვიდეს. ამორანდულის სიგანე — 5 სმ.

სურ. 1

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ კუბოს გვერდებზე ძირთან ორწყვბად სამი ნაჩვრეტი აქვს, სულ ექვსი, რომლებიც დამზადებული უნდა იყოს არა კუბოს გაკეთების დროს, არამედ შემდეგში, როდესაც კუბო გამოუყენებიათ წყლის ჭურჭლად აბდესისათვის (სურ. 1).

[7] ქვემო ალმე ზემო აჭარაში, ხულოს მახლობლად.

 კუბოს აქვს ორი ნაწილისაგან შემდგარი ბრეკჩიის ხუფი[8]. პირველი ნაწილის სიგრძე 173 სმ, ხოლო სიგანე— 60 სმ; მეორე ნაწილის სიგრძე—32 სმ, სიგანე—59 სმ. ხუფი მთლიანად თაღისებრია. მისი ნაპირები შიგნიდან ამორანდულია იმ მიზნით, რომ კარგად მოერგოს კუბოს (სურ. 2_4).

სურ. 2

ხუფის მეორე ნაწილი პირველთან შედარებით სიგრძით პატარაა. ირკვევა, რომ ხუფისათვის კუბოს სიგრძის მთლიანი ქვა ვერ უშოვიათ, ამიტომ ხუფის პირველი ნაწილისათვის მეორე პატარა ნაწილი მიურგიათ. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ხუფის მეორე ნაწილად გამოუყენებიათ ნახმარი ქვა რომელიღაც ნაგებობიდან. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხუფის ამ ნაწილს შიგნიდან ისრისებრი თაღი აქვს (იხ. ჩანახატი 5[9]). შეიძლება ეს ქვა ძველად ამა თუ იმ ნაგებობის ფანჯრის ან ნიშის ცად იყო გამოყენებული.

ამ დეტალთან ერთად საყურადღებოა, რომ ხუფის პირველი ნაწილის ზედაპირზე მის სიგრძე-სიგანეზე არშიაა ამოკვეთილი. არშიის სიგანე — 15 სმ; არშიებით შექმნილ არა თანაბარ განაყოფებში, ცალ-ცალკე თითოეულში, ამოკვეთილია ცხოველები, ჯეირნები. დიდ განაყოფებში მოცემული ჯეირნები ზომით დიდია, შედარებით იმ ცხოველებთან, აგრეთვე ჯეირნებთან, რომლებიც მომცრო განაყოფებშია ამოკვეთილი. ცხოველები, ისევე როგორც არშიები, ამობურცვის ტექნიკითაა შესრულებული.

აქ მოცემული ცხოველები ჯეირნების სახისაა, განსაკუთრებით მათი თავისა და რქების მიხედვით. ამავე ცხოველების უკანა ნაწილი ცხვრის შთამეჭდილებას ტოვებს.

---

[8] როგორც კუბოს ხუფის, ისე კუბოს ყუთის ქვის ჯიში გაარკვია ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ გეოლოგმა **დ. შამფორიამ**. მანვე აღნიშნა, რომ ეს ჯიშები მოიპოვება ადგილობრივ. ამ ცნობების მოწოდებისათვის გეოლოგ **დ. შამფორიას** მადლობას მოვახსენებთ.

[9] ჩანახატები შესრულებულია მხატვარ **დურსუნ იმნაიშვილის** მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ხუფის პირველ ნაწილს თავზე რგოლები ჩასმული, თანაბარტოტებიანი ჯვარი აქვს ამოკვეთილი. ეს სახე, თუმცაღა მკრთალად, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს.

როგორც ირკვევა[10] ეს კუბო ას წელზე მეტია, რაც ქვემო ალმელებს მიწაში უპოვნიათ სოფ. ქვემო ალმეს იმ უბანში, რომელსაც „ნახუცარი" ეწოდება. ამავე სოფელში შემდეგი უბნებია: „ნამარნევი", „რიყვაძეები" და „ციხის-ძირი". „ნახუცარში" ეკლესია მდგარა, რომლის ნანგრევები ბოლო ხანამდე ყოფილა შემონახული.

სურ. 3

პოვნისთანავე კუბო თავისი ხუფით ჯამეს ეზოში გადაუტანიათ და წყლის აუზად გამოუყენებიათ. კუბოს გაუკეთდა გვერდის ნაჩვრეტები სათანადო მილებით. ამ აუზიდან მლოცველები მუსლიმანური რიტუალის მიხედვით აბდესს იღებდნენ. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ენერგიული მოქმედების გამო ეს შესანიშნავი ძეგლი ამჟამად მუზეუმშია დაცული.

*
* *

ზემოთ აღწერილი ძეგლის შემდეგი ანალოგები მოგვეპოვება: ა) საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია ქვის კუბო, რომელიც ამავე განყოფილების საკატალოგო დავთარში აღწერილია ასე: „№ 1-27/1. ქვის კუბო მოურგებელი სახურავით. სახურავი შუაზე გატეხილია. ზედ ჯვარისებრი ფორმის სალტა აქვს ამოჭრილი. კუბოს ქვედა ნაწილს ერთი კუთხე მოტეხილი აქვს. ეს კუბო გადმოტანილია სიონის ტაძრის ეზოდან და კუთვნებია საეკლესიო მუზეუმს, ჩამოტანილი ყოფილა კათალიკოს კირიონის მიერ ურბნისიდან".

---

[10] ცნობები მომაწოდა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკმა, **ანდრია ღლონტმა**, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ამავე ძეგლის შესახებ ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ნაბეჭდ კატალოგში წერია: „2. Гроб из цельного булыжного камня с разбитой каменной же крышкой, из Карталинии“[11].

სურ. 4

უნდა აღინიშნოს, რომ არც საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების და არც ყოფილი საეკლესიო მუზეუმის აღწერილობა ზუსტი არ არის. საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების დავთარის აღწერილობის მიხედვით ხუფი არ უნდა ეკუთვნოდეს ქვის კუბოს. სინამდვილეში კი ხუფი მორგებულია კუბოზე. კიდევ მეტი, როგორც ხუფის, ისე კუბოს ნაპირები ამორანდულია ერთი გარედან, ხოლო მეორე შიგნიდან იმ მიზნით, რომ ისინი ერთიმეორეზე კარგად მოვიდნენ. ამასთანავე უნდა ისიც ითქვას, რომ გატეხილია როგორც ხუფი, ისე თვით კუბოს ყუთი. კუბოს ხუფს ისევე აქვს გადავლებული სიგრძე-სიგანეზე არშია, როგორც ქვემო ალმეს კუბოს ხუფს. ამ შემთხვევაში ანალოგი სრულია. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ორივე ხუფი თაღისებურია. განსხვავებით ქვემო ალმეს კუბოს ხუფისაგან, ურბნისის ქვის კუბოს ხუფს არავითარი სამკაული არა აქვს, გარდა ზემომოხსენიებული არშიებისა. ორივე კუბო ზომითაც დაახლოებით ერთი და იგივეა.

ბ) ბორჯომის ხეივანში დგმული ქვის კუბო (იხ. სურ. 6). ეს კუბო, როგორც სურათიდან ჩანს, შედგება ქვის ყუთისა და ქვისავე ხუფისაგან. თავისი ფორმით როგორც ერთი, ისე მეორე მსგავსია ქვემო ალმეს ქვის კუბოსი. კიდევ მეტი, აქაც, ბორჯომის ქვის კუბოს ხუფს მთელს სიგრძე-სიგანეზე არშიები ჩასდევს. ეს კუბო XX საუკუნის დასაწყისში გადმოუტანიათ სადგურიდან და სხვა ძეგლებთან ერთად მოუთავსებიათ ბორჯომის ხეივანში. 1922 წელს დიდ ნიაღვარს, როგორც ეს კუბო, ისე სხვა ძეგლებიც, წაუღეკია. ამჟამად ამ ძეგლის მხოლოდ ფოტოსურათია დარჩენილი.

გ) ქვის კუბო დიღომში. ამ კუბოს მხოლოდ ყუთია დაცული. მოთავსებულია სოფლის შუაგულში წყაროსთან. ჩამოტანილია სოფლის მაზლობელ მთიდან.

---

[11] **М. Джанашвили**, Каталог предметам Церковного музея грузинского духовенства. Тифлис, 1914, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბოს ჭქონია ხუფი, მაგრამ ის გაუტეხიათ გადმოტანისა თუ მიწიდან ამოღების დროს. ხუფის მცირე ნაწილი სოფელში გდია ქუჩის პირად[12]. ამ კუბოს ყუთი ფორმითა და ზომით ქვემო ალმეს, საქ. მუზეუმისა და ბორჯომის კუბოების ყუთის მსგავსია.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის კუბო მოიპოვება, აგრეთვე, ქუთაისის მუზეუმში. ეს კუბო აღმოჩენილია არქიელის გორაკზე. მას ხუფი არა აქვს. ფორმით იგი განსხვავდება ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ქვის კუბოებისაგან. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელთა მსგავსი კუბოები დადასტურებულია დაღისტანში და სომხეთში.



სურ. 5

დაღისტანში სოფ. ყალა-კორეიშას ნეკროპოლის ერთ-ერთი კუბოს ხუფი იმავე სახისაა თავისი ფორმით, როგორც ქვემო ალმეს კუბოს ხუფი. ყალა-კორეიშას კუბოს ხუფი თაღისებრია. იგი ორნამენტებითაა შემკული. ორნამენტები ხუფს აქვს არა მარტო ზედაპირზე, არამედ თავზედაც. აქ გამოხატულია ცხოვრების ხის გვერდით ლომები და ფრინველები, არწივი და მის გვერდებზე ლომები[13]. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყალა-კორეიშას კუბოს ხუფს აქვს ორნამენტი ისევე, როგორც ქვემო ალმეს ქვის კუბოს ხუფს. მეტად საყურადღებოა, რომ ყალა-კორეიშას კუბოს ხუფზე მოცემული ცხოვრების ხის მოტივს ქვემო ალმეს კუბოს ხუფზე წრეში ჩასმული ჯვარი სცვლის. ეს ძეგლი დაღისტნის სხვა ძეგლებთან ერთად დაახლოებით X–XII საუკუნეებით თარიღდება.

მაგრამ ანალოგები ამით არ განისაზღვრება. მეტად საგულისხმოა, რომ ქვემო ალმეს ქვის კუბოს ანალოგები მოიპოვება სომხეთის ტერიტორიაზედაც: არპა-ჩაის აუზში კოხურ-ვანქის და ჯანის სასაფლაოებზე მრავლად მოიპოვება ლუსკუმები, რომლებიც ალმეს ქვის კუბოს ფორმისანი არიან და ასევე შემკული ორნამენტებით[14]. ეს საფლავის ქვები თარიღდება XV საუკუნის დასაწყისით.

ამ სახის საფლავის ქვებიდან საყურადღებოა იმავე არპა-ჩაის აუზში მდებარე გიდე-ვანქის ანუ გიდა-ვანქის[15] ეკმატუნის მახლობლად დაცული ლუსკუმა. ამ ლუსკუმის ერთ გვერდზე გამოკვეთილია ნადირობის სცენა. ნადირობის კომპლექსში, სხვათა შორის, მოცემულია ჯეირანიც, რომელიც რქების

---

[12] ცნობები გადმომცა მეტეხის მუზეუმის სწავლულმა მდივანმა, დიდად პატივცემულმა **ირ. ხინდოლელაშვილმა**, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

[13] **А. Башкиров**, Искусство Дагестана, Москва, 1931, ტაბ. 32, 39, 40. **ბაშკიროვი** პირველ კომპოზიციაში მოცემულ ხეს უბრალო ხედ აღნიშნავს. არსებითად ეს ხე ცხოვრების ხეა, რამდენადაც იგი ლომებისა და ფრინველების კომპოზიციაში შედის. ეს მოტივი ცნობილია უძველესი ხანიდან (იხ. ამის შესახებ **გ. წ ი ტ ა ი ა**, ლაზური ორნამენტი).

[14] М А К, ნაკ. XIII, გვ. 96 და 97, სურ. 38 და 40.

[15] М А К, ნაკ. XIII, გვ. 151, სურ. 85; **Д. Бакрадзе**, Кавказ в древних памятниках христианства, АКАК V, VI 2.

მოხაზულობით ქვემო ალმეს ქვის კუბოს ჯეირანის რქებს მოგვაგონებს. გიდეონქის ლუსკუმას მასზე მოცემული წარწერა ათარიღებს XV საუკუნით (1441).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვის კუბოების (ლუსკუმა, სარკოფაგი) გამოყენება უძველესი ხანიდან მომდინარეობს. იგი მოიპოვება უძველესი ხანის ეგვიპტესა და წინა აზიაში, კერძოდ, პალესტინასა[16] და მცირე აზიაში[17]. ამ ძეგლებზე უმეტეს შემთხვევებში სიმბოლური ხასიათის სახეებია ამოკვეთილი: ცხოვრების ხე, მნათობები და სხვა სიუჟეტები. ამას ადგილი აქვს, როგორც დავინახეთ, დაღისტნისა და სომხეთის ლუსკუმებზეც. ამასვე ვხედავთ ჩვენ იმერეთის საფლავის ქვებზე, რომელთა შესახებ მასალები შეაგროვა ენიმკი-ს ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1937 წ.

სურ. 6

ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ქვემო ალმეს ქვის კუბოს ხუფზე ამოკვეთილი სახეები სიმბოლური დანიშნულებისა იყოს. კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯვარედინად გადავლებული არშია ცხოვრების ხის დეგრადირებული გამოსახულება იყოს, რომლის გვერდებზე ცხოველებია წარმოდგენილი, როგორც ამას აქვს ადგილი სხვა შემთხვევაში მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით. ამის მაგალითის იძლევა სვანური სიმბოლური გამოსახულებები ლაჭნდირებზე[18], სვანები ლიფანალის[19] დროს რომ ხატავდნენ. საყურად-

[16] **G. Contenau**, Les antiquités orientales, Monuments Hittites etc. Paris, 1932, ტაბ. 30 (Sarcophages Palestines. Début norte ere).

[17] **R. Leonard**, Paphlagonia; **A. Baumeister**, Denkmäler des klassishen Altertums, ტ. III; **Perrot et Chipiz**, Histoire de l'art dans l'Antiquté 1-IV.

[18] ლაჭნდირი-ტიხრი, რომელიც გამოყოფს სახლის საცხოვრებელ ნაწილს ცხოველების სადგომიდან.

[19] მიცვალებულთათვის განკუთვნილი ხანიერი დღეობა.

ლებოა, რომ სვანურ ლაჯნდირზე მოცემულ ცხოვრების ხესა და ცხოველებს, თან ახლავს, როგორც მზის, ისე მთვარისა და ჯვრის გამოსახულებები.

ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ ქვემო ალმეს ქვის კუბოს ხუფზე, აგრეთვე, ჯვარიც გვაქვს გამოსახული. რომ აქ ჩვენ უდავოდ ჯვარი გვაქვს მოცემული, ამას მხარს უჭერს ბორჯომის ხეივანში მდგარი მეორე ქვის კუბო, რომლის თავზე აშკარად ჩანს წრეში ჩასმული ჯვარი. როგორც ცნობილია, ჯვრის სახე თავისი წარმოშობით მზის სიმბოლოა[20], რომელსაც შემდეგში ქრისტიანობა იყენებდა თავისი მიზნებისთვის.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ ქვის კუბოების (ლუსკუმა, ტაგრუკი) ტრადიცია ძველია, თუმცა წინაისტორიული ხანის ქვის კუბოები ჩვენში დღემდე აღმოჩენილი არ არის. წინაისტორიული ხანის სამარხები საქართველოში ამჟამად შემდეგი სახეებითაა ცნობილი: თაღიანი ქვის ნაგებობა, ქვის ყუთები, ქვევრები და აგურისა და კრამიტის ნაგებობა[21]. გარდა ამისა, აგრეთვე დამოწმებულია თიხის კუბოები (იხ. საქართველოს მუზეუმის, ზუგდიდისა და ფოთის მუზეუმების კოლექციები).

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ქვის კუბოები დათარიღებული არ არის.

სამწუხაროდ, ველა ქვის კუბო შემთხვევითაა ნაპოვნი. ამის გამო არ არის ცნობა მათი ინვენტარის შესახებ, არ არის დადგენილი მათი ადგილმდებარეობა და გარემოცვა. ეს გარემოება მეტად აძნელებს მათ დათარიღებას. ურბნისის, სადგერის და ქვემო ალმეს ქვის კუბოების შესახებ შეიძლება გარკვევით ერთი რამ ითქვას, სახელდობრ ის, რომ ისინი ქრისტიანული ეკლესიების გალავანში არის აღმოჩენილი. ეს გარემოება თავისთავად სათანადო მითითებას იძლევა ამ სახის ძეგლების ეპოქის დასადგენად. ის ფაქტი, რომ ერთი სახის ქვის კუბოები (ფორმით, ორნამენტით–წრეში ჩასმული ჯვარი, არშია) დადასტურებულია დიღმიდან დაწყებული, ურბნის-სადგერზე გავლით, ქვემო ალმემდე–უთუოდ ამ ძეგლებისათვის გარკვეულ ეპოქას გულისხმობს. ეს ეპოქა ამ მხარეების საქრისტიანო ერთობის დროის იმ მონაკვეთზე უნდა მოდიოდეს, როდესაც მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა მესხეთი და ზემო აჭარა. როგორც ცნობილია, მცხეთის საკათალიკოსოს უფლებები ზემო აჭარაში დონდალოს ხიდის ხაზით ისაზღვრებოდა[22]. ეს ეპოქა თარიღდება დაახლოებით X–XIV საუკუნეებით. ვარაუდით ამავე საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს ქვემო ალმეს ქვის კუბოც.

ამ თარიღს ხახულს უჭერს შემდეგი გარემოება. ერთის მხრით, ამავე სახის ქვის კუბოებს ჩვენ ვადასტურებთ როგორც დაღისტანში (თარიღდება X–XII საუკუნეებით), ისევე სომხეთში (XV საუკ.). აღსანიშნავია, რომ სომხეთის ერთ-ერთ დათარიღებულ (1441 წ.) ლუსკუმაზე გამოკვეთილი ჯეირანის სტილით ქვემო ალმეს ქვის კუბოს ჯეირანის მსგავსია.

მეორე მხრით უნდა ითქვას, რომ სადგერის ქვის კუბო დადასტურებულია იმ არეში, რომელსაც ეკუთვნის ცხვრისა და ცხენის სახის საფლავის ქვები. ამ სახის საფლავის ქვების გავრცელების დღემდე ცნობილი არეალია ქართლის

---

[20] ჯ ბ ა რ დ ა ჯ ე ლ ი ძ ე და გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული ორნამენტი, გვ. 11–12.

[21] ფ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 7–8.

[22] Д. Б а к р а д з е, Археологические путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1873.

ნაწილი, წალკა, ჯავახეთი, მესხეთი და სომხეთის ნაწილი. საფლავის ქვების ამ სახის ერთი ნაწილი შეიძლება დათარიღდეს XIII–XVI საუკუნეებით[23]. არაპირდაპირად ეს მონაცემიც გამოდგება ქვის კუბოს დათარიღებისათვის.

ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული თარიღი პირობითია, რამდენადაც ამჟამად მეტად მცირე მონაცემები გვაქვს ზუსტი თარიღის დასადგენად. იმ მიზნით, რომ გაირკვეს ქვემო ალმეს ქვის კუბოს თარიღი, საჭიროა პირველ რიგში შესწავლილ იქნას ქვემო ალმეს ქვის კუბოსთან დაკავშირებული კომპლექსი („ნახუცარის" არქეოლოგიური გათხრა) და ახლად აღმოჩენილი ამ სახის ძეგლები გამოკვლეულ იქნას მეცნიერული სიზუსტითა და არქეოლოგიური გათხრების მოთხოვნილებების დაცვით.

1941 წ.

[23] შდრ. ვ. ჩ ი ტ ა ი ა. გუდარეხისა და პიტარეთის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. II, ტფ., 1927, გვ. 111.

არქეოლოგიური გათხრა ზემო ავჭალაში

წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბაიერნის მიერ (სამთავროს ნეკროპოლი) დიდი ნაყოფიერებით დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შესაფერისი გაგრძელება ვერ პოვა მომდევნო პერიოდში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დე-მორგანის 1888 წ., თაყაიშვილის 1901 წ. და კრუკოვსკის 1916 წ. გათხრებს. ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენს მიწა-წყალზე სისტემატურს და სამეცნიერო გათხრებს ადგილი არ ჰქონია.

ამავე დროს ჩვენი მიწის წიაღი მრავალი საიდუმლოების შემცველი და მრავალი კულტურის ფენომენის მატარებელია, რომელთა აღმოჩენა და მზის სინათლეზე გამოტანა ბევრ, მეცნიერებაში სადავოდ მიჩნეულ საკითხს გადაწყვეტდა და ბუნდოვან პრობლემას სისწორით დასვამდა. რა თქმა უნდა, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული წარსულ დროთა მატერიალური კულტურა – უმთავრესი წყარო იქნებოდა ყოველგვარ, უკვე არსებულის თუ მომავლის გონებრივ-სპეკულიატური თეორიების გადასახილავად და შესადგენად – ლინგვისტიკაში, ზოგად ისტორიაში თუ მეცნიერების სხვა დარგში.

ამიტომ ჩვენს მიწის წიაღში დაფლულ არქეოლოგიური ნაშთების აღმოჩენას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისათვის, რამდენადაც საზოგადოდ ჩვენი უძველესი ისტორია გამოდის ვიწრო ადგილობრივი საზღვრებიდან და საერთაშორისო მნიშვნელობას ღებულობს. ეს გარემოება ჩვენ გვავალებს ყოველივე არქეოლოგიური გათხრა სათანადო სამეცნიერო შემზადებით ვაწარმოვოთ და გათხრის დროს ნაპოვნ ნივთებს შესაფერი მოვლა და პატრონობა მოვუწყოთ.



სურ. 1 სამარხი ქვიდერი (ზემო ავჭალა)

თავისი შედეგების მიხედვით ამგვარი სამეცნიერო მნიშვნელობისაა ის არქეოლოგიური გათხრა, რომელიც საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტის დავალებით ჩვენ ვაწარმოვეთ გასულ ნოემბერს[1] ზემო ავჭალაში, სახელდობრ– ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის სააღშენებლო არხის სათავის მთავარ ღერძიდან ჩრდილოეთით 100 საჟენის მანძილზე.

[1] 1924 წ. (თ.ც.)

აქ მაღლობზე, მიწის ზედაპირიდან 2,85 მეტრის სიღრმეში, ალ უცნობი მიკვლეულ იქნა მეტად საგულისხმო სამარეები. აღმოჩნდა გამომწვარი თიხის ქვევრები, რომლებშიაც ადამიანები ყოფილან დაფლული. ქვევრები ჩვეულებრივი ჩვენებური ღვინის ქვევრების ფორმისაა. გათხრის დროს ასეთი ქვევრი სამია ნაპოვნი, რომელთაგან ორი დროთა ვითარების გამო დალეწილა და მხოლოდ ერთის აღდგენა და გაზომვა მოხერხდა (იხ. სურ. 1).

გამოირკვა, რომ ორი ქვევრი თარაზულ მდგომარეობაში იყო, ხოლო ერთი იმთავითვე ვერტიკალურად ყოფილა დაფლული. ერთ ქვევრთან ნაპოვნია ქვის სარქველი. ქვევრების მახლობლად ცხოველების და ფრინველების ძვლები აღმოჩნდა.

ერთ ქვევრში სხვებთან შედარებით უკეთ დაცული ადამიანის ჩონჩხი იქნა ნაპოვნი. ჩონჩხი მოზარდი ქალისაა. ნეშთი დედის საშოში მყოფ ბავშვის პოზაში ყოფილა დაფლული, ხელები და ფეხები, როგორც მეჯვებში და მუხლებში, ისე იდაყვებშიც, მოხრილი აქვს. მიცვალებული მარცხენა გვერდზე წევს და თავი სამხრეთ აღმოსავლეთით უდევს (იხილე სურ. 2. სურათზე თავის ქალა უკვე ამოღებულია და აქვე ყუთში დევს).

სურ. 2. სამარხი 1 და 2 (ზემო აფქალა)

მიცვალებულს თავთან თიხის სურები უდგას. მის ფლთან აღმოჩნდა საფლე, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა მასალის მძივებისაგან. ნაპოვნია მძივები სადაფისა, გიშრისა, სარდიონისა, ფერადი და ოქრო-ცურვებული მინისა. სამკაულებად, აგრეთვე, ნახმარია კბილები და თითის სახსრები. აქვეა ნაპოვნი ოქროს გრეხილი, ვერცხლის მედალიონი სახე ამოჭრილი პასტის თვალით; საფლეზე ქვემოთ ჩამოკიდებული ჰქონია ბრინჯაოს „აკულონი", რომელშიაც სარიტუალო რაღაც ნივთი ყოფილა დაცული; ყურებთან ნაპოვნია ბრინჯაოს საყურეები; ხელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის სამაჯური; თითებზე ბრინჯაოს ბეჭდები–ერთი ოპალის თვალით და ერთიც ცისფერი პასტისგან გაკეთებული გომბეშოთი. საყურადღებოა აგრეთვე ძვლის ამასტიკისგან გაკეთებული ფერადი მძივები და ი'შვიათი ხელობის ძვლისგან გამოჭანდაკებული ჯიხვის თავები.

მეორე მიცვალებულს (მამაკაცს) თან ახლდა ბრინჯაოს სამკუთხიანი, ეგრეთ წოდებული „სკვითური" ისრის წვერი, ვერცხლის საყურეები, ჯილის სამკაული დიდძალი მძივით და მრავალი სხვა. სამარხებში ნაპოვნი კერამიკული ნივთები უორნამენტოა, ერთი ქვევრის გამოკლებით, რომელსაც შუაზედ თოკისებური გრეხილი ჩასდევს.

სურ. 3. სამარხი ქვევრი (ანტალია)

რასაკვირველია ამ გათხრაში ჩვენს ყურადღებას პირველ ყოვლისა იპყრობს ქვევრები, რომლებიც კუბოს მაგვირობას ეწევიან, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი სამარხი ქვევრები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჯერ კიდევ სუმერულ-აკადური კულტურის პერიოდიდან, ხოლო ჩვენს მხარეში ნაპოვნია დე-მორგანის მიერ ახტალის არქეოლოგიური გათხრის დროს (სურ. 3).

დე-მორგანი მის მიერ აღმოჩენილ სამარხ ქვევრებს ათარიღებს მეოცე საუკუნით ქრისტეს წინათ. რომ ეს თარიღი თავისთავად სწორი იყოს, მას ჩვენი სამარხებისათვის მაინც ვერ მივიღებთ. ამის ნებას ჩვენ არ გვაძლევს სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი და ამ ინვენტარში უპირველეს ყოვლისა–რკინის ნივთები.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აღმოჩენილი მასალის სიმცირის გამო ძნელია გადაჭრილი აზრის გამოთქმა სამარხეების დროის შესახებ. ამისათვის საჭიროა აქვე გათხრის გაგრძელება და მეტი არქეოლოგიური ნაშთების მოპოვება. მაგრამ უკვე ნაპოვნი ინვენტარის მასალა (ძვლის, მასტიკის მძივები, ფერადი პასტა) და ზოგიერთი დეტალები (საყელეს გაგრძელება „კულონის" დაკიდებით, მედალიონის თვალის სახე და სხვა), გვფიქრებინებს, რომ ეს სამარხები ნაირ-ურართელთა კულტურის პერიოდს (XV—VI სს. ქ. წინ) უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც ვიცით, ნაირ-ურართელებს მეცნიერები (ლენორმანი, სეისი, მასპერო, ჰომელი, მარრი, ნიკოლსკი) ქართველებს უნათესავებენ და თუმცაღა ამ სამარხებში აღმოჩენილი თავის ქალანი ბრაქიკეფალურია – ეკუთვნოდეს თუ არა ისინი ქართველებს, ამის თქმა მაინც შეუძლებელია.

აღმოჩენილი მასალა, სხვათა შორის, ნაირ-ურართელთა კულტურის გავრცელების საკითხს ახალ საზღვრებში სვამს. დღემდე ნაირ-ურართული ნაშთები გუმბრ-განჯას ხაზს აქით ნაპოვნი არ ყოფილა. ცხადია ჩვენს გათხრას ეს ხაზი უფრო ჩრდილოეთით გადმოაქვს.

აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები ამჟამად მოთავსებულია საქართველოს მუზეუმში, სადაც შესაფერისი სამეცნიერო დამუშავების შემდეგ გამოიცემა.

1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისიდან 12 ვერსის მანძილზე, იქ სადაც მტკვარს არაგვი „არაგვიანი" უერთდება, მდინარეთა მარცხნივ ციცაბო კლდეზე უძველეს დროიდან ამართულია უმშვენიერესი ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრებისა, უშესანიშნავესი ნაწარმოები ქართველი ხელოვნების გენიისა – ჯვარის, ანუ სხვა სახელწოდებით ჯაჭვის მონასტერი.

საუკუნეთა განმავლობაში წარბშეუხრელად გადამტანი, თავისი აღნაგობის სიმკვრივისა გამო, არაგვისა და მტკვრის ხეობათა ქარიშხალთა გაშმაგებულ ქროლვისა, გამძლე ყამთა დენის ყოველგვარ ავადობისა, იგი კლდეზე, რომელზედაც დაფუძნებულია თითქოს ბუნებრივი გაგრძელება და გარემოს ოშვიათი გვირგვინი – დღესაც ამაყად სდგას და მედიდურად გასცქერის მის წინ ფიანდაზად გაშლილ მუხრანის ველს, მცხეთის ნაბაღარებს, მტკვრის ვიწროებს და შორით ქედმაღალ მყინვარს.

ჯვარი

თავისი მონუმენტალობით, უსულო ქვაში იდეისათვის ხორცის შესხმით, ტოტალობით ეს ძეგლი ქართული ხელოვნების უნიკუმად უნდა ჩაითვალოს. და არა მარტო საქართველოში, ის მთელ ამერიკავკასიაში, რამდენადაც დღესდღეობით შესწავლილია ეს მხარე – ოშვიათი და ეპოქამბადი ძეგლია, რომელსაც სიძველით რიფსიმეს ტაძარი თუ შეედრება, ეჩმიაძინის მახლობლად რომ არის.

ქართველ ხუროთმოძღვარს მის სულში ჩათესლილი ეს იდეა ჯვარისა და სვეტისა ერთის მადლიანის მოქნევით მიწის წიაღიდან ზეცაში აღუტყორცნია და ქვიტკირითა და რვალის შერკინული უმაგალითოდ აფრენილდონებით დამღა დაკრულ მასივ ქვებისაგან აღგებული ძეგლი სამარადისო ყამთა სრბოლაში გადაუსვრია, რომ უკვდავებას ეზიარებინა თავისი პირმშო. ადამიანის სულის ზეციისაკენ მარადი ლტოლვის იდეა, ლეგენდა ცხოველი სვეტის და ცეცხლოვან ჯვარისა ქვაში კვეთილი მძაფრად გამოსჭვივის და ცხადდება ამ ძეგლის როგორც საერთო კონფიგურაციის, ისე მისი დეტალებისაგან.

მას ამკობს უძველესი ქართული ბარელიეფები დაუფასებელი ქართული ჩაცმულობის უძველესი ნიმუშებით. აქ არის შენახული უძველესი ქართული წარწერები, ღირშესანიშნავნი, როგორც თავისი შინაარსით, აგრეთვე ძვირფასი ქართული დამწერლობის და ენის კვლევა-ძიებისათვის.

ჭეშმარიტად ეს იშვიათი ძეგლი ცოცხალი მუზეუმია. იგი ფრიად დიდი ღირებულების წყაროა ჩვენი ძველი კულტურის გამოკვლევისათვის და მისი მნიშვნელობის დაფასება, მისი „ხილვა" და შეთვისება იოლი საქმე როდია. მრავალ მეცნიერს აქვს იგი აღწერილი და განმარტებული (ვახუშტი, სტეფანნინ, დიუბუა, ბროსე, ბართოლომეი, იოსელიანი, ბაქრაძე, მარი, ჯავახიშვილი, ჩუბინაშვილი) მაგრამ მისი სახე ჯერ კიდევ აუხსნელი რჩება ისტორიულ პერსპექტივაში. ამ ძეგლზე მართლდება დიდი გოეთეს სიტყვები, ერთ, იშვიათ ხელოვნების ნაშთის შესახებ რომ სთქვა: „ხელოვნების ამ საკვირველების ასახსნელად, საჭოფი არ არის არც თანამედროვე, არც მომავალი თაობები და ყოველივე ახსნისა და გამოკვლევის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიქნებით კვლავ დავუბრუნდეთ, უშუალოდ უზადო განცდას". და ჭეშმარიტად მკრთალია სიტყვა ჯვარის მონასტრის ასაწერად და ასახსნელად, იმდენად დიდია მისი უშუალო განცდა, ფასდაუდებელია მისი მნიშვნელობა.

დღეს ეს იშვიათი ძეგლი, რომელიც აგებულია მეექვსე საუკუნის მიწურულში და დღემდე თავი მოუტანია, კაცთა დაუდევრობის გამო სავალალო ჯოფაშია. ამ ათიული წლის წინათ სიძველის გამო საყდრიდან ქვის სახურავი გადაუხდიათ და თუნუქით დაუხურავთ. შიგა და შიგ ქარს თუნუქი აუგლეჯია, ასე რომ უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც სახურავს გასდის და წვეთი თავის დამრღვევ მუშაობას აწარმოებს, გუმბათს უკვე ორი ბზარი აქვს შარშანდელთან შედარებით ორჯერ დიდი. ეს ბზარი საბედისწერო გახდება ამ იშვიათ ძეგლისათვის, თუ დროზედ არ მივიშველეთ მას და რღვევისაგან არ დავიხსენით. აქ ციცაბო კლდეზე მტკვრისა და არაგვის ხეობათა ცხვირზე საშინელი ქარები იცის და როგორ უნდა გაუძლოს ამ იშვიათმა ძეგლმა, ამდენ საუკუნეთა სრბოლით დამძიმებულმა, ქარიშხალს, როდესაც ის თავის სხეულზე ჭრილობას ატარებს. ამ ჭრილობას განკურნვა უნდა. საშურია ეს საქმე. ვიდრე გუმბათის თავის ბზარი მის ყელზე არ გადასულა შესაძლებელია ძეგლის გადარჩენა, თორემ სულ მოკლე ხნის შემდგომ ყოველივე დახმარება და ცდები ამაო იქნება. უსათუოდ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ ძეგლის თლილი ქვით ხელახლა გადახურვა. ეს არც ისე ძნელი საქმეა, არც თუ უამრავი ფული დასჭირდება ამას. ეს ძეგლი კი იმათ ღირს, რომ მასზე თავი ავიტკივოთ, ხელი გავანძრიოთ და საშვილიშვილო საქმე გავაკეთოთ. ჯვარის მონასტრის ამ სავალალო ჯოფაზე ჩვენ მივაქცევთ მთავრობისა და სათანადო დაწესებულების ყურადღებას, დაიმედებულნი, რომ მთავრობა და სათანადო დაწესებულებები შესაფერის სახსარს გამოძებნიან ამ საქმის მოსაგვარებლად. და თუ რაიმე მოსაზრებისა გამო მთავრობა არ იკისრებს ამ საქმის შესრულებას, ჩვენ ვფიქრობთ, არც ერთი შეგნებული ქართველი არ დაიზარებს თავისი წვლილი გაიღოს ჯვარის მონასტრის გადასარჩენად და ხელი შეუწყოს ამ იშვიათ ძეგლის შთამომავლობისათვის დაცვას.

გულგრილობა აქ დანაშაული იქნებოდა მომავლის წინაშე. კიდევ მეტი: ეს იქნებოდა ამ ძეგლის დარღვევისათვის ხელის შეწყობა და ჩვენი ვანდალობის გამომჟღავნება. მაშინ ჩვენზე გამართლდებოდა ადრინდელი თქმა: „quod non fecerunt Cothi, fecerunt Scoti"[1].

1924 წ.

[1] ამ წერილით დაიწყო გ. ჩიტაიას მეცნიერული შემოქმედება. შემდგომ წლებშიც, ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობის პარალელურად იგი თვალყურს ადევნებდა ქართული კულტურის ძეგლების მდგომარეობას, ინტერესდებოდა მისი ბედით და

ჯვარის ტაძრის მთავარი შესასვლელი
ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლების რელიეფი.
სამხრეთი ფასადი

საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა მისი დაცვის საჭიროებაზე. 70-ან წლებში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი აყენებს საგარეჯოს რ-ნში მდებარე უძველესი ნაგებობის „პეტრე-პაველს" ციხის დაცვის საკითხს. „საგარეჯოს რაიონში ორი უძველესი ნაგებობა შერჩა. ერთი მონასტერი „დავით გარეჯი", რომელსაც მრავალი მნახველი ყავს და მეორე, ციხე „პეტრე-პაველ", რომელიც დავიწყებას მისცემია და ფარეხად არის გამოყენებული... სამწუხაროდ, ძეგლთა მკრეხელებს არაფრად მიაჩნიათ ჩვენი წინაპრების მიერ თავდადებული შრომით, სისხლითა და ოფლით ნაშენი ძეგლები და ეპყრობიან მათ, ვითარცა მომხდურნი. მათ არც აინტერესებთ, როდის ან ვის მიერ არის აგებული ეს ძეგლები და რა ჭირ-ვარამი გადახდომიათ თავს... ჩვენ ვალდებული ვართ პატივი ვცეთ წინაპართა მიერ შექმნილ ძეგლებს, რომლებიც ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ნიშანსვეტნი არიან. თუ არ ვიცნობთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, ვერც დღევანდელობას გაუგებთ რაშეს და ვერც მომავლის პერსპექტივას დასახავთ" (გ. ჩიტაია, ერთი თქვა ციხის ნაშალმა, გაზ. "ნორჩი ლენინელი", 1976, 19 მარტი). (თ. ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარული დათვა-ბოყვა

1933 წლის ზაფხულში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს ს. ღორჯომში (სიმონიძეების უბანი – ზემო-აჭარა) ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხურიელ ანდრიაძის ნალიის (სასიმინდეს) კარების საკეტმა. საკეტი ექსპედიციამ მაშინვე შეიძინა და ამჟამად ის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული (კოლ. № 27–33/33).

ამ საკეტს სიმონიძეების უბანში **დათვა-ბოყვა** ეწოდება. დათვა-ბოყვა ხისაა (იხ. სურ. 1–4), შესდგება ოთხი ნაწილისაგან: „ფიცარი", „ურდული", „კბილები" (სამი ცალი) და „გასაღები". ფიცრის ამოღარულში „კბილები"-ა ჩაწყობილი. ამავე ფიცრის მეორე ამოღარულში „ურდული"-ა შეყრილი. საჭირო შემთხვევაში საკეტის კბილების ჭდეებში გასაღების შეყრა შეიძლება.

დათვა-ბოყვას ფიცრის სიგრძე – 16 სმ; განი –12 სმ; ხოლო სისქე – 5 სმ უდრის. ფიცარი მიჭედილი იყო კარის „ბოჯ"-ზე (ამჯოლ ზე) ლურსმებით–ზემოთ ორით და ქვემოთ ორით. ნალურსმი ადგილები ფიცარს დღესაც კარგად ატყვია. ფიცარი შიგნიდან ორ წყვდადაა ამოღარული: პირველი, ზემო ღარი, განკუთვნილია კბილების ჩასადებად და სამოძრაოდ, ხოლო მეორე, ქვემო ღარი – ურდულის შესაყრელად. უკანასკნელი ღარი ერთ პირზე ოთხკუთხადაა ჩაჭრილი, რათა ურდულს წვერი დაიჭიროს ურდულის მარჯვნივ გამოწევის დროს.



სურ. 1. დათვა-ბოყვა ვარედან, დაკეტილ მდგომარეობაში

ზემოდასახელებული ორი მთავარი ღარის გარდა ფიცარზე ამოჭრილია ექვსი ვერტიკალური ღარი: სამი პირველი – ჰორიზონტალური ღარის ზემოთ და სამი მეორე ჰორიზონტალური ღარის ქვემოთ. ეს ვერტიკალური ღარები განკუთვნილია კბილების ასაწევ-დასაწევ ბუდედ, კბილების თავ-ბოლოების სამოძრაოდ.

„კბილი“ დათვა-ბოყვას სამი აქვს. თითოეულის სიგრძე – 6 სმ, ხოლო განი 1,5 სმ უდრის. მათ აქვთ ჭდეები (იხ. სურ. 4). ჭდეებში გასაღები შეეყრება. კბილების ჭდეებში შეყრილი გასაღების შემწეობით შეიძლება კბილების აწევა და დაწევა ქვემო ვერტიკალური ღარებიდან ზემო ვერტიკალურ ღარებში და პირუკმო. უკეთუ კბილის ბოლოები ამოსულია ფიცრის ქვემო ღარიდან, ურდულის ჭდეებიც თავისუფალია კბილების ბოლოებიდან, ურდულს არაფერი არ იჭერს და შეიძლება მისი დაყენება კარის პირზე. ამით კარი თავისუფლდება ურდულის ბოლო ნაწილისგან და კარის გაღებაც შეიძლება. ურდულის სიგრძე 25 სმ, განი 4 სმ (იხ. სურ. 2 და 3). მას ბოლოში „წვერი“ აქვს, რომელიც მირგებულია ფიცრის ჭდესთან. იგი ურდულის გამოწევის დროს მარჯვნივ ურდულს ზომაზე აყენებს. ურდულს სამი ვერტიკალური ღარი აქვს. ამ ღარებში ჩადის კბილების ბოლოები, ისინი იჭერენ ურდულს. იმ შემთხვევაში, როდესაც დათვა-ბოყვას კბილების ბოლოები ურდულის ღარებშია ჩასული, ურდული დაჭერილია, მისი მოძრაობა შეუძლებელია, ურდულის ბოლო ედება კარს და კარის გაღება შეუძლებელია, კარი დაკეტილია.



სურ. 2. დათვა-ბოყვა შიგნიდან, დაკეტილ მდგომარეობაში

გასაღების სიგრძე - 6 სმ-ია, ხოლო განი 1,5 სმ-ია. მას აქვს სამი კბილი და „სახელური“ (იხ. სურ. 2). გასაღების კბილები ურთიერთისაგან ზომაზე არის დაცილებული. ისინი შეფარდებულნი არიან დათვა-ბოყვას კბილების ჭდეებთან. თუ გასაღების კბილები დათვა-ბოყვას კბილების ჭდეებთან მორგებული არ არის – გასაღები დათვა-ბოყვას ვერ გააღებს, ე.ი. გასაღები ვერ შესძლებს დათვა-ბოყვას ურდულის განთავისუფლებას კბილებისაგან, რაც შეუძლებელს ჰხდის დათვა-ბოყვას გაღებას. ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ დათვა-ბოყვა დაკეტილ მდგომარეობაშია მაშინ, როდესაც მისი კბილები ურდულის ვერტიკალურ ღარებშია ჩასული. კბილები ურდულს იჭერენ, ხოლო ურდულის ბოლო ედება კარს და კარის გაღება შეუძლებელი ხდება (სურ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შემთხვევაში, როდესაც დათვა-ბოყვას კბილები არ არის ჩასული ურდულში, ურდული თავისუფლად მოძრაობს, მისი მარჯვნივ გაწევის შემთხვევაში ურდულის ბოლო არ იჭერს კარს, კარი თავისუფალია და მისი გაღება შეიძლება (იხ. სურ. 3).



სურ. 3. დათვა-ბოყვა შიგნიდან, ღია მდგომარეობაში





სურ. 4. დათვა-ბოყვას კბილები

ზემოთ აღწერილი საკეტის ტიპისაა, გურიაში მოპოვებული დათვე. დათვე შეძენილია 1940 წლის აპრილში გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს მიერ ს. ხიდისთავში ვასილ მამალაძისაგან. ამჟამად – დათვე, საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კუთვნილებაა (ეოლ. № 17–40/13). დათვე ხისაა და შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: „კოლოფი", „კბილები", „ენა" და „კლიტე" (იხ. სურ. 5–7). კოლოფის სიგრძე 46 სმ-ია, განი–13 სმ., სისქე–6 სმ. ის წიფელაა. კოლოფის ზედაპირის ბოლოები ჩათლილია. კოლოფს შიგნიდან ორი პორიზონტალური ღარი აქვს. ერთი მათგანი – ენის ბუდეა, ხოლო მეორე –კლიტისა. ენის ბუდის სიგრძე 13 სმ-ია, განი–4,5 სმ, სიღრმე–4 სმ, კლიტის ბუდის სიგრძე–11 სმ, განი–4,5 სმ, სიღრმე–2 სმ. გარდა ამისა კოლოფს აქვს სამი ვერტიკალური ღარი. ღარები იწყება ენის ბუდიდან და სიგრძით თითოეული 21,5 სმ-ია. ეს ღარები სიღრმით კლიტის ღარის დონემდეა დაფანილი. თითოეული ღარის განი 2 სმ-ია. სამივე ღარი განკუთვნილია დათვეს კბილებისათვის. „კბილები" წიფლის ხისაა. თითოეული სიგრძით 21 სმ, განით–3,75 სმ, სისქით–1,5 სმ. კბილებს აქვთ ჭდეები სიგრძით–4,5 სმ, ხოლო სიღრმით–2 სმ. ჭდეები კლიტის შესაყრელია.

„კლიტე" წიფლის ხისაა. სიგრძით – 24 სმ, განით –3,75 სმ, სისქით–1,5 სმ (თავში) და 2 სმ (ბოლოში). კლიტეს თავთან სამი ჭდე აქვს, თითოეული სიგრძით–2 სმ, სიღრმით –1,5 სმ. ჭდეები ჰქმნიან კლიტის კბილებს. კლიტის კბილები მორგებულია დათვე-ს კბილების ჭდეებთან. კლიტის კბილების შემწეობით წარმოებს დათვე-ს კბილების აწევა-დაწევა. დათვე-ს ენაც წიფლის ხისგანაა გაკეთებული. ის ოთხკუთხია, სიგრძით – 21 სმ, განით –3 სმ, სისქით– 7 სმ (სახელოსთან) და 5 სმ (თავში). ენას სამი ჭდე აქვს, თითოეული სიგრძით– 2 სმ, ხოლო სიღრმით– 16,5 სმ. ჭდეები კბილების ბოლოების გასაყრელად არის განკუთვნილი. ამავე ენას თავთან პატარა ჭდე აქვს, სიღრმით – 1 სმ. ეს ჭდე ენას მარჯნივ მოძრაობის დროს ზომაზე აჭენებს, მას იჭერს და უსპობს ბუდიდან გამოვარდნის შესაძლებლობას.



სურ. 5. დათვე გარედან, დაკეტილ მდგომარეობაში

ჩვეულებრივად დათვე მიჭედილია კარის „ბოჯ"-ზე. დათვე ისევე როგორც დათვა-ბოჯა, დაკეტილ მდგომარეობაშია მაშინ, როდესაც მისი „კბილები" ენის ჭდეებშია ჩასული. ამ შემთხვევაში კბილები ენას იჭერენ, მას მოძრაობის საშუალებას უსპობენ, – ენის ბოლო ედება კარს და კარის გაღება შეუძლებელი

ხდება. მეორე შემთხვევაში, როდესაც დათვე-ს კბილები ენაში არის ჩასული, ენა თავისუფლად მოძრაობს, მისი მარჯვნით გაწევისას ენის ბოლო კარს არ იჭერს და კარის გაღება შეიძლება.



სურ. 6. დათვე შიგნიდან, ღია მდგომარეობაში

საკეტი ბორქომი (იხ. სურ. 8), საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია № 70-08/24, ჩამოტანილია სამეგრელოდან 1908 წელს **თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა ს** მიერ. ის შეძენილი ყოფილა ს. ჯვარში[1]. განყოფილების საკატალოგო დავთარში „ბორქომი" შეტანილია ამ სახით: „Мегрелы. Замок деревянный с ключом". მისი „კოლოფი" მთლიანი ხისგანაა გამოთლილი, სიგრძე – 43 სმ, განი – 15 სმ (ბოლოში), ხოლო – 13 სმ (თავში), სისქე – 10 სმ (ბოლოში) და 8 სმ (თავში). კოლოფს ორი ჰორიზონტალური ღარი აქვს. ერთი მათგანი

[1] ბორქომის მეორე ეგზემპლარი შეძენილი 1908 წ. იმავე **თ. ს ა ხ ო კ ი ა ს** მიერ ს. ჯვარში, რომელიც შემდეგ ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმიდან გადმოეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის" ძველი ქართული ხელოვნების სექტორის მეშვეობით.

ეროვნული

განკუთვნილია „ენისათვის", ხოლო მეორე – „კლიტისათვის". პირველის სიგრძეა 6 სმ, განი – 13 სმ, ხოლო სიღრმე - 3 სმ. მეორე ღარის სიგრძე – 3 სმ, განი –15 სმ, ხოლო სიღრმე – 2 სმ. აქვეა მოცემული სამი ვერტიკალური ღარი.



სურ. 7. დათვეს ნაწილები: „ბუდე", „ენა", „კლიტე" და „კბილები"

ბორქომის „ენა" სიგრძით–24 სმ, განით–6 სმ, ხოლო სისქით–2 სმ. მას აქვს ორი კბილი, მესამე მოტეხილია, „კლიტე" სიგრძით – 19 სმ. მას აქვს სამი კბილი. მისამაგრებლად „ბორქომ"-ს ხის ორი „ლურსმანი" აქვს: ერთი მათგანის სიგრძე – 23 სმ, განი–3 სმ, სისქე – 2 სმ. მეორე ლურსმანი ზომით შედარებით პატარაა. ბორქომს აკლია „კბილები". ბორქომის თავისებურებაა მისი პირველი ჰორიზონტალური ღარი, რომლის სიგრძე არ წვდება ბორქომის მთელს განს, არამედ

იგი წყდ[illegible] ნაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე. ამის გამო ბორჭომის „ენა“ არ გა[illegible]ზაკეტის გვერდიდან გვერდამდე, არამედ ღარის ბოლოში ჩერდება. ბორჭომის ნაპ[illegible]ოდან რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე.



სურ. 8. ბორჭომი შიგნიდან

დასავლეთ საქართველოში დამოწმებული საკეტების ტიპის ვარიანტია ის საკეტი, რომელიც ჩვენ მიერ შეძენილი იყო 1938 წელს ს. ყარაღაჯში (ქართლი). ეს საკეტი ამჟამად საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული (კოლ. № 89-39; სურ. 9). ამ საკეტს ადგილობრივ ვენახის ურდული ეწოდება. ის შესდგება: „ბოძისა“, „ურდულისა“, „გასაღებისა“, „გასაღების ადგილისა“ და „მარცვლისაგან“.

„ბოძი“ სიგრძით – 98 სმ-ია. ის თითქმის ნახევარზე მიწაში იყო ჩაფლული. ეს ბოძი საკეტის ასეთ ვარიანტში, ერთის მხრით, კარის „ბოჯას“ მოვალეობას ეწევა, ხოლო, მეორე მხრით, ის დათვა-ბოჯას, დათვეს და ბორჭომის „ფიცრის“ და „კოლოფის“ ფუნქციას ასრულებას. ბოძს აქვს ნაჭვრეტები, რომლებშიც გაყრილია: ერთში – „ურდული“, ხოლო მეორეში – „მარცვალი“.

„ურდულის“ სიგრძე – 38 სმ-ია. მას სიგრძეზე ღარი აქვს, რომელშიც თავისუფლად მოძრაობს „გასაღები“. ურდულს ზემო ნაწილში აქვს ოთხკუთხედი

ნაჩვრეტი. ამ ნაჩვრეტში ჩადის „მარცვალი", რომელიც ურდულს უსაფრთხო მოძრაობის შესაძლებლობას, რის გამო „ვაზის ურდული" დაკეტილია და მისი გაღება შეუძლებელია. როდესაც უნდათ საკეტის გაღება, „გასაღების" კბილის შემწეობით ასწევენ ზემო „მარცვალს", „ურდულს" მისგან გაანთავისუფლებენ, გამოსწევენ ურდულს მარჯვნივ, ურდულის ბოლო დგება კარის პირთან, ის კარს აღარ იჭერს და ამრიგად კარის გაღება შეიძლება.



სურ. 9. ჯენახის ურდული

გასაღები"ხის ტოტია საგანგებოდ შერჩეული, მას აქვს ერთი კბილი. ამ კბილის შემწეობით, მას შემდეგ რაც გასაღები ურდულის ღარში გაეყრება, შეიძლება „მარცვლის" აწევა ზემოთ, მისგან ურდულის განთავისუფლება და კარის გაღება, „მარცვალი" ოთხკუთხედი ნაჭერია. სიგრძით – 6 სმ, განით – 4 სმ, ხოლო სისქით – 1 სმ - ია. სოფლელების გადმოცემით „ვენახის ურდული" წინათ ორი, სამი და ოთხ მარცვლიანი კეთდებოდა.

დათვა-ბოჟა-ს, დათვე-ს და ბორქომ-ის პრინციპზე აგებული კარის საკეტი „საკეტელი" მოიპოვება სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (სტალინირში) (იხ. სურ. 10). სამწუხაროდ, არ არის ცნობა, თუ რომელი სოფლიდანაა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექცია მუზეუმში მიღებული. ის ოთხკბილიანია, მისი პირი შემკულია ნაირსახეობის ორნამენტით. კარის ამყოლზე ის, როგორც ჩანს, ხის სოლებით ყოფილა მიმაგრებული.





სურ. 10. კუმა || გუდგრ

ამავე ტიპისაა *„ოდრან ალაკოთხაკ ყოფაკ"*, ხის საკეტი, რომელიც სომხეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დადასტურებული (იხ. სურ. 11). ეს საკეტი სამკბილიანია.

კარის ხის საკეტის ეს ტიპი დადასტურებულია ჩრდილო ოსეთშიც. ჩრდილო ოსეთიდან წაღებული საკეტის ერთი ეგზემპლარი ჩვენ ვნახეთ სსრკ ხალხთა მუზეუმში, მოსკოვში. ის ოთხკბილიანია. საკეტის ეს ეგზემპლარი ჩრდილო ოსეთიდან მოსკოვს ჩაუტანია პროფ. **ბ. კუფტინს**. პროფ. ბ. კუფტინის სიტყვიერი ცნობით ეს საკეტი ძველებური ციხის კარის სახშობად ყოფილა გამოყენებული. საკეტის მეორე ეგზემპლარი დაცულია ჩრდილო ოსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ის სამკბილიანია, ასეთ საკეტს, როგორც პროფ. **ვ. აბაევმა**[2] გადმოცა და ჩრდილო ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც დაადასტურეს, ოსური ენის დიგორულ კილოზე **კუმა** ეწოდება, ხოლო ირონულზე– **გუდერ**.

საყურადღებოა, რომ ამგვარი კბილიანი საკეტი 1938 წელს ჩვენ ვიპოვეთ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებშიც. ეს კოლექცია მუზეუმშივოლგის შუაწელის აუზიდან არის შესული. ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ ვოლგის აუზის რომელ ხალხშია ეს კოლექცია შეძენილი, მას არ ახლავს.



სურ. 11. ფრაზნ ქალაქის კეტეკ

დათვა-ბოყვას ტიპის საკეტის გავრცელების არე ზემოთქმულით არ ამოიწურება. თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ მას მრავალ ქვეყანაში ვადასტურებთ. Fr. Luschan-ს[3] დადგენილი აქვს, რომ ამ ტიპის საკეტი გავრცელებულია ისლამის აღმოსავლეთში[4], აფრიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში (პომერანია, აღმოსავლეთი პრუსია, ჰესენ-დარმშტადტი, ბადენი, ჰანოვერი), აგრეთვე, ზალცბურგში, კერნტში, ალპებსა და ლატვიაში. ევროპის ქვეყნებში ეს საკეტი უმთავრესად იხმარება წისქვილის კარებზე და ჯარგვალას ტიპის სახლებზე (იხ. კარტოგრამა). ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპაში დათვა-ბოყვასებური (დასავლეთ საქართველო) საკეტის ქვე-ტიპია გავრცელებული, ხოლო მუსლიმანურ აღმოსავლეთში უპირატესად ხმარებაში „ვაზის ურდულისებური" საკეტის ქვე-ტიპია მოღებული (იხ. სურ. 12 და 13).



სურ. 12. დათვა-ბოყვა. ზანზიბარი

---

[2] პროფ. **ვ. აბაევს** და პროფ. **ბ. კუფტინს** ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ.

[3] **Fr. Luschan**, Ueber Schlosser mit Fallriegeln, Zeitschrieft für Ethnologie, 1916, გვ. 406 შმდ.

[4] პალესტინისათვის იხ. **H. Guthe**, Kurzes Wörterbuch, Tübingen-Leipzig, 1903.



დათვა-ბოყვას საკეტის გაყრცელების კარტოგრამა

მაგრამ კბილებიანი საკეტი დადასტურებულია არა მარტო თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, არამედ იგი ისტორიულ წარსულშიც არის ცნობილი. ასე, ის დამოწმებულია ძველ რომსა[5] და ძველ საბერძნეთში[6] (κλειδ κρυπτή, Balanoi), ძველ ეგვიპტესა[7] და ძველ ბაბილონში[8]. ეს საკეტი ცნობილია აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზში, საშუალო საუკუნეების მანძილზე. მას არ იცნობს მხოლოდ საშუალო საუკუნეების ჩრდილო-დასავლეთ ევროპა[9]



სურ. 13. დათვა-ბოჯგა ბირუნი

Diels-ის მიხედვით ეს საკეტი ძველ ეგვიპტეში ივარაუდება რამზეს მეორის (ძვ.წ. 1292–1225) დროიდან.

Luschan-ი ამ სახის საკეტების არსებობას ძველ ეგვიპტეში ასაბუთებს იქ აღმოჩენილი ბრინჯაოს კლიტეებისა და პინახტის მუმიის სუდარაზე მოცემული სურათი. ამ ავტორის მტკიცებით დათვა-ბოჯგას გასაღების ტიპის ბრინჯაოს კლიტეები (იხ. სურ. 14) ეგვიპტეში შეიძლება XIII საუკუნემდე ჩვ.ერ. მიკვლეულ იქნას. იგივე ავტორი ამბობს, რომ ამ სახის კლიტისა და საკეტის დადასტურება ეგვიპტის უფრო ძველ ხანაშიც შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით სათანადო

---

[5] **H. Blumner**, Die römischen Privatelertümer, München, 1911, გვ. 257 შმდ. **Baumeister**, Denkmäler des klassischen Altertums, B. III, München-Leipzig, 1888, გვ. 180.

[6] **H. Diels**, Antike Technik, Leipzig, Tubner, 1914, ud. 46; **Aristophanes**, Thesmophor., 421; **Plinius**, Nat. Hist., VII, 198; **O. Königsberger**, Die konstruktion der aegyptischen Tür, Aegyptisce Forschungen, Helf 2, Glückstadt 1936, გვ. 61. შენ. 4 და გვ. 63.

[7] **Luschan**, დასახ. ნაშრომი; **Diels**, დასახ. ნაშრომი, შდრ.; **Königsberger**, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[8] **Luschan**, დასახ. ნაშრომი.

[9] **Königsberger**, დასახ. ნაშრომი, გვ. 62, შენიშვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაჯერებელი მოწმობა არ მოიპოვებაო. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ Luschan-ის აზრით, ეგვიპტეში წარმოებული ახალი არქეოლოგიური გათხრების დროს, უნდა აღმოჩენილიყო ახალი ფაქტები ამ ქვეყანაში დათვა-ბოჯას ტიპის საკეტის უძველეს ხანაში არსებობის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს აზრი ითქვა (1916 წ.), ეგვიპტეში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს დღემდე აღნიშნულ საკეტის საკითხში ახალი არაფერი მოუპოვებია.

Luschan-ი წერს: „einstweilen scheint mir, als ob man dort (ეგვიპტეში) die uns interessierenden Schlüssel mit einiger Sicherheit bis in das 13 vorchr. Iahrh. zurückverfolgen ksnn, und ich vermute, dass sie da noch sehr viel älter sind, aber noch fehlen uns dafur sichere Belege“[10].



სურ. 14. ეგვიპტური საკეტები, Luschan-ით

იგივე Luschan-ი Ed. Hahn-თან ერთად ამ ტიპის საკეტების გასაღების (იხ. სურ. 15) არსებობის შესახებ ბაბილონში ამტკიცებს, რომ გასაღები მოცემულია ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე. ამ ბეჭედ ცილინდრების ერთი ნაწილი 2000 წ.ჩ.ერ. ადრინდელია. ამის საფუძველზე Luschan-ი ასკვნის, რომ ამ საკეტის წარმოშობის ცენტრი ძველი ბაბილონია, საიდანაც ის შორეულ წარსულში დასავლეთით და სამხრეთით გავრცელდა. კერძოდ, რომაელების მეშვეობით ევროპის დიდ ნაწილში, ხოლო არაბების მეშვეობით–აფრიკაში.

იმ დროს, როდესაც Luschan-ი თავის წერილს აქვეყნებდა ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული ამ ტიპის საკეტის არსებობა კავკასიის ტომებში[11] და უფრო ჩრდილოეთითაც ვოლგის აუზში. ამჟამად ჩვენ თამამად

[10] **Luschan**, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

[11] გამონაკლისია სომხური საკეტი, რომელიც გამოქვეყნებული იყო. იხ. აქვე გვ. 348, სურ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის საკეტი მისი წარმოშობის ცენტრიდან ჩრდილოეთით გავრცელდა ქართველ-კავკასიელ ტომების მეშვეობით.

მაგრამ Luschan-ის შეხედულებას დათვა-ბოყვას ტიპის საკეტის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ არ იზიარებს Königsberger-ი. მისი აზრით, დათვა-ბოყვას ტიპის საკეტის წარმოშობის თარიღის გადატანა შორეულ წარსულში მისაღები არ არის. Königsberger-ის შეხედულებით ეგვიპტური ბრინჯაოს კლიტეები (XIII ს.ჩ.ერ.) და პინახტის სუდარა არ შეიძლება მიეკუთვნოს Luschan-ის მიერ აღნიშნულ დროს. მისი აზრით ეს ძეგლები მოგვიანო ხანას ეკუთვნიან, ხოლო ყოველ შემთხვევაში არ არიან წინაბერძნულ ხანაზე ადრინდელი („...nalte ich alle für sehr spaet, auf keinen Fall für vorgriechisch")[12]. Königsberger-ი არ იზიარებს, აგრეთვე, Diels-ის შეხედულებას რამესიდების ხანის ეგვიპტეში ამ ტიპის საკეტის არსებობის შესახებ.



სურ. 15. ბაბილონური ღვთაება დათვა-ბოყვას საკეტთან ერთად. Luschan-ით

თავის მხრივ Königsberger-ი, Plinius-ის[13] და Aristophanes-ის[14] ცნობების გამოყენების საფუძველზე, იმ აზრს ანვითარებს, რომ დათვა-ბოყვას გაბატონების დასაწყისი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზია, ხოლო აქედან მისი გავრცელება ეგვიპტეში ეკუთვნის V საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე[15]. მისივე აზრით ეგვიპტეში ახალ სამეფოს დასაწყისიდან ხმარებაში იყო „ბიძგა-საკეტი" („Stoss schlüssel"), რომელიც შემდეგში შესცვალა ტექნიკურად დაწინაურებულმა „ბერძნულმა ბალანოს საკეტმა" („Balanos-Schloss", „Lakoniches Schloss"), რომლისგანაც უთუოდ გვიან მიღებულია "კბილებიანი საკეტი". ამ უკანასკნელს დღესაც ვხვდებით ეგვიპტეში კოპტურ და არაბულ კარებზე.

[12] Königsberger, დასახ. ნაშრომი, გვ. 62, შენ.

[13] Plinius, Nat. Hist., VII, 198.

[14] Aristophanes, Thesmoph., 421.

[15] Königsberger, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

Königsberger-ის[16] მტკიცებიდან გამომდინარეობს, რომ, წინააღმდეგ Luschan-ის და Diels-ის აზრისა, დათვა-ბოჟას ტიპის საკეტი შედარებით გვიანი ხანის მონაპოვარია და რომ ის ეგვიპტეში არა აღმოსავლეთიდან დასავლეთით, როგორც ამას Luschan-ი, Diels-ი და Ed. Hahn-ი ამტკიცებენ, არამედ პირუკუ, საბერძნეთიდან (სამოსიდან) ეგვიპტეში გადადის. თავის აზრის დასაბუთების დროს Königsberger-ი ყურადღების გარეშე სტოვებს ბაბილონურ საკეტებს (კლიტეებს), რომელთა შესახებ მყარი დათარიღება მოიპოვება[17]. თუ საგანთან დაკავშირებული ეგვიპტური მასალა დათარიღების მხრით შეიძლება დაზუსტებას საჭიროებს, ამის თქმა ბაბილონური მასალის მიმართ უმართებულო იქნებოდა. მაგრამ Königsberger-ი რატომღაც სწორედ ამ მასალას არ ეხება და მას არ ითვალისწინებს მსჯელობის დროს.

ზემოხსენებულ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე მოცემული გამოსახულებანი წარმოადგენენ მნათობ- ღვთაების ამოსვლის სიუჟეტს. ბეჭედ-ცილინდრებზე ეს სიუჟეტი ტიპურად ასეა წარმოდგენილი: მთის ორ მწვერვალს შორის გაღებულ კარებთან დგას მნათობი-ღვთაება, რომელსაც მარჯვენა ხელში გასაღები უჭირავს. სურათის სიუჟეტი მთლიანად იმდენად მკაფიოდ და ნათლადაა მოცემული, რომ აშკარაა ჩვენს წინაშე მნათობი-ღვთაების მთის იქიდან განხმულ კარებში „გამობრძანების", ამოსვლის მომენტია მოცემული, „ცისკრის განხმის", „მზის ამოსვლის" სურათია წარმოდგენილი. ამ სიუჟეტის მიხედვით სავსებით გასაგებია, რომ მნათობ-ღვთაებას ხელთ უპყრია „გასაღები", რომლის შემწეობით ის დაკეტილ კარებს აღებს ხოლმე, ვიდრე ცის კაბადონზე გამოვიდოდეს. ეს ბუნებრივი და გასაგებია.

პირიქით არა ბუნებრივი და გაუგებარი იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ მნათობ-ღვთაებას ხელში გასაღები კი არა, არამედ „ხერხი" ეჭიროს, რომლის შემწეობით ის ყოველ დილით, როგორც, ღამის ქურდი, კარის საკეტს გადახერხავს ხოლმე. ზოგიერთი მეცნიერი ასე ფიქრობდა[18], ვიდრე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ იქმნა დამოწმებული დათვა-ბოჟას ტიპის საკეტის და გასაღების არსებობა.

მას შემდეგ, რაც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დათვა-ბოჟას ტიპის საკეტი აღმოჩნდა – აშკარა შეიქმნა, რომ უძველესი ხანის ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე ღვთაებას ნამდვილად ხელთ გასაღები უპყრია.

როგორც ზემოთ გაირკვა, დათვა-ბოჟას მის კონსტრუქციასთან შეფარდებული გასაღები აქვს. შედარების მიხედვით ირკვევა, რომ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული გასაღები დათვა-ბოჟას გასაღების ანალოგიურია. დამთხვევა ყველა დეტალშია მოცემული. განსხვავება მხოლოდ კბილების რაოდენობაშია: ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახულ გასაღებს 7–8 კბილი აქვს, ხოლო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ დათვა-ბოჟას ტიპის საკეტის გასაღები 4–5 კბილითაა დამოწმებული. ეს განსხვავება არ ეხება საკეტების კონსტრუქციულ თავისებურებას და ამიტომ უმნიშვნელოა. დებულება იმის შესახებ, რომ ზემოხსენებულ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გასაღებია გამოსახული, სხვა მონაცემებითაც მტკიცდება.

---

[16] **Königsberger**, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[17] შდრ. **O. Weber**, Altorientalisce Siegelbilder, Leipzig, 1920, გვ. 102.

[18] შდრ. **Luschan**, დასახ. ნაშრომი, გვ. 424.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ ითქვა, ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული ერთ-ერთი საგანია – მზის ღვთაების ამოსვლა. თანახმად ძველი აღმოსავლეთის ხალხთა შეხედულებისა მზის ღვთაება მთის იქით მდგარ სახლიდან გამოდიოდა. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი წინა აღმოსავლეთის კულტურასანი მოსახლეობის უძველეს ფენას (სუბარულ-ალაროდიულს) ეკუთვნის. მას არამცირედი წვლილი აქვს შეტანილი ძველი აღმოსავლეთის კულტურის საგანძურში და ამ კულტურასთან მრავალი საერთო ელემენტი აკავშირებს. ამიტომ, ქართველ ხალხში ძველი აღმოსავლეთის კულტურის მრავალი ელემენტი მოიპოვება გადანაშთის სახით. კერძოდ, ეს ასევ მზის ამოსვლასთან დაკავშირებული კონცეპციის მიმართაც.

ერთ-ერთ უძველეს ქართულ ხალხურ ლექსში ნათქვამია: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა". ასევე კახურ ზღაპარში გარკვეულად არის მოცემული, რომ მზეს საკუთარი სახლი აქვს, სადაც ის, დღიური შრომით დამაშვრალი, ღამით ისვენებს დედის მზრუნველობის ქვეშ[19]. ქართული მონაცემების მიხედვით, აგრეთვე, ცხადია, რომ მზის ამოსვლა „ცისკრის" გაღებასთან (ცის კარი) იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, კარებს საერთოდ და ცის კარებს კერძოდ, ძველ აღმოსავლეთში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა; იგი წარმოადგენდა "pars pro toto"-ს „სახლის დარაბას", შინა სა და გარეშეს კავშირს[20] და სხვას. ამის მიხედვით, ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული კარები მზის ღვთაების სახლის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ცისკარი[21] საბას განმარტებით[22] „განთიადის მოწევნას, უწინარეს განთიადს" აღნიშნავს, ხოლო „ცისკარი, განთიადი, რიჟრაჟი, ალიონი–ამათ ყოველთა (საბელი) დილა ვიდრე მზის ამოსვლამდე". ამასთანავე ცისკრის ვარსკლავი–მთიები ანუ აფროდიტეა. ამგვარად ცისკარი, განთიადი, რიჟრაჟი, ალიონი, დილა ცისკრის ვარსკლავითურთ მზის ამოსვლის კომპლექს ეკუთვნიან, რომელშიაც ვენერა-აფროდიტეც იგულისხმება. ვენერა-აფროდიტეს, ცისკრის ვარსკლავს სუმერული და ძველი აღმოსავლური

---

[19] **Н. Степанов**, Поверья грузин Телавского уезда, СМОМПК в. XVII, გვ. 131-133.

[20] **Königsberger,** დასახ. ნაშრომი, გვ. 2. კარის მნიშვნელობის შესახებ სუმერეთში იხ. **W. Andirae**, Die ionische Säule, Bauform oder Symbol Studien zur Bauforschungen, H. 5, Brl., 1933. **Andirae** წერს: „Die Tür als einzige Öffunung im Hürdenzaun, der ein sumerisches Anweswn umschloss, war durch ein Paar von Ringbündeln bestimmt, welches die Verschlusseinrichtung trug. Sie ist das wichtigste Glied der Anlage, wishtiger selbst als die Wöhnhütte, welche die Hürde mit umschloss, Sie trat als Teil füs Ganze ein. Wer die Tür besitzt, besitzt die Hürde samt Inhalt. Die Tür und, noch prägnanter, schon einer hrer Pfosten, eben das einzelne Ringbündel, deckt diesen ganzen Inhalt…" (გვ. 36). – კარების მნიშვნელობის შესახებ ეგვიპტეში მასალა პირამიდების ტექსტებში მოიპოვება. მაგ. თუტი-პირამიდის ტექსტში ნათქვამია: „განამზეთ ცის კარი", (იხ. **H. Kees**, Totenglaube und Ienseitsvorstellungen, Brl., 1933, გვ. 15, შენ. 1).

[21] **ივ. ჯავახიშვილის** მიხედვით ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ცა" დიდოური, ანდიური, ღუნძაური, აკუშური და ჭარული სიტყვების მონაცემების საფუძველზე მნათობს, ვარსკლავს, თოვს ანღნშნავს (ქართველი ერის ისტორია, ტ. I², ტფილისი, 1928, გვ. 129-130); „ცა-სთან დაკავშირებით იხ. **გ ა ბ უ ნ ი ა**, ხევსურული ტექსტები. **აკ. შ ა ნ ი ძ ი ს** რედაქციით, წელიწდეული, ტ. I, ტფილისი, 1925, გვ. 296 და **არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1939. გვ. 201–202.

[22] **სულხან-საბა ორბელიანი**, ქართული ლექსიკონი, **ი. ყიფშიძისა** და **აკ. შანიძის** რედაქციით, ტფ., 1928.

ღვთაება დილბად, დილბატს შეესატყვისება[23]. **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი** მ ა დამაჯერებლად გამოარკვია[24], რომ დილბატის პირველ ნაწილ ში ქართული **დილა**-ა მოცემულია. თუ ჩვენ ნმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ფარატულ ში მნათობი-ღვთაების აღსანიშნავად სახელი **ბარტუ**-აა მოცემული, რომელიც სუმერულ-ქართულ მზის სახელს **ბაბბარ-ბარბალ-ბაბალელ**-ს უკავშირდება[25], შეიძლება ვიფიქროთ, რომ **დილ-ბად, დილ-ბატ**-ის მეორე ნაწილი მნათობს, მზეს აღნიშნავს, ხოლო მთლიანად ტერმინი **დილ-ბად, დილ-ბატ**-ი – დილის მნათობს, დილის მზეს გულისხმობს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე მოცემული მზის ამოსვლის სიუჟეტი სავსებით ემთხვევა ძველი აღმოსავლეთის ხალხების შეხედულების კომპლექს. ამ შეხედულების შემადგენელი ელემენტები შემონახულია ქართულ ხალხურ გადმოცემებში, ისევე როგორც ქართველ ხალხს შემოუნახავს სუმერული მზისა (ბაბარ) და სუმერული მთიების (დილბატ) სახელები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მზის ღვთაებას მთის იქით თავის სახლიდან გამომავალს სახლის კარების გასაღებად გასაღები ჰქონდეს ხელთ. ამგვარად მზის ამოსვლასთან დაკავშირებული კონცეპცია, ძველ აღმოსავლეთში არსებული და ქართველ ხალხში შემონახული, სავსებით ადასტურებს იმას, რომ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე მოცემულ მნათობ-ღვთაებას ხელში გასაღები უპყრია.

რამდენადაც ამ ბეჭედ-ცილინდრების ერთი ნაწილი დათარიღებულია 2000 წ.ჩ.ერ., ამდენად ეს გასაღები და მისი შესაფერისი დათვა-ბოფფას ტიპის საკეტიც ამ ხანას განეკუთვნება, წარმოშობით წინა აზიური კულტურის მონაპოვარია და აქედან არის გავრცელებული დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ამ დასკვნის საფუძველზე Königsberger-ის მტკიცება დათვა-ბოფფის ამ ტიპის საკეტის VI–V საუკ.ჩ.ერ. წარმოშობისა (კუნძულ სამოსსზე) და დასავლეთიდან აღმოსავლეთში მისი გავრცელების შესახებ მცდარია და მიუღებელი. პლინიუსის[26] ცნობის შესახებ, რომელსაც თავის დებულების დასამტკიცებლად Königsberger-ი იყენებს Diels-ის შენიშნავს, რომ კუნძულ სამოსს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან, საიდანაც სამოსელ ხელოსნებს შეეძლოთ გადაეტანათ თავის სამშობლოში დათვა-ბოფფას ტიპის საკეტი.

დათვა-ბოფფას ტიპის საკეტის უძველეს ხანაში წარმოშობაზე, სხვათა შორის, ამ საკეტის ქართული სახელიც შეიძლება მიუთითებდეს. ქართველურ ენებში საკეტებისათვის შემდეგი ტერმინებია შემონახული: „საკშტული"[27], ბარამბია (რაჭა), ურდული, კლიტე, მოქლონი || მოკლონი || ბოქლომი, ბორკომი || ბორკომი (მეგრულში), ლეკჯრან (ქვემოსვანური), დათვე და დათვა-ბოფფა. ამ სახელებიდან ყველაზე მეტად ძველებური წარმოშობილობა დათვე-ს და დათვა-ბოფფას ემჩნევა. დათვა-ბოფფაში ტერმინის მეორე ნაწილი (ბოფფა) – ბოძს, სვეტს, კარის ამოყოლს აღნიშნავს, რომელზედაც საკეტია მიმაგრებული, ხოლო მისი პირველი ნაწილი დათვა, ისევე როგორც გურულში შემონახული დათვე კნინობითი ფორმაა

[23] **Fr. Hommel**, Ethnologie und Geographie des Alten Orients, München, 1926, გვ. 396–397, 404 და შდ. სუმერულად dil-bsd, ბაბილონურად dil-bat.

[24] **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს** საჯარო მოხსენება (ენიმკი, 1939).

[25] **ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე**, ქართული ღვთაება ბარბალე. იხეკდება მარის ინსტიტუტის მონოგრაფიულ სერიაში

[26] **Diels**, Antike Technik, გვ. 62.

[27] ოშკის დაბადებაში (1273 წლისა) ეს სიტყვა იკითხება: „საკსველი" (ქებაჲ ქებათა., 5,5).

სიტყვისა დათვი. საკეტისათვის ცხოველის სახელის მიკუთვნება მიუთითებს საკეტის აპოთროპეულ დანიშნულებაზე. როგორც ვიცით, ცხოველების გამოსახულებებში, კერძოდ ლომების, სახლთან, სახლის შიგ, კართან, კარზე–წინაზიის უძველეს ხალხებში, სუმერებში, ასურულ-ბაბილონელებში, სუბარ-ალაროდიელებში, აპოთროპეულ დანიშნულებას ასრულებდნენ[28]. ეგვიპტელებში ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ლომის გამოსახულების საკეტებსაც[29]. ამით უნდა აიხსნას ის ორნამენტები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მუზეუმში დაცულ საკეტზეა ამოჭრილი: მზისა და ადამიანის სახეები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულში ცხოველის სახელწოდება იმ ტიპის საკეტს აქვს შემონახული, რომლის გასაღების ანალოგი უძველეს ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზეა მოცემული. ეს დამთხვევა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ესეც დათვა-ბოფას ტიპის საკეტის უძველეს წარმოშობაზე მიგვითითებს.

ამგვარად, აჭარული დათვა-ბოფას სახით ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უძველესი ტიპის საკეტი შემონახულა, რომელიც თავისი წარმოშობით 2000 წელზე (ჩ.ერ.) ადრინდელია და რომლის წარმოშობის ცენტრი სუმერეთ-ბაბილონია.

1940 წ.

---

[28] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე და გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული. ტფილისი, 1939, გვ. 6.

[29] **Königsberger,** დასახ. ნაშრომი, გვ. 54–58; **M. Pillet**, Le verrou, Annales du service des antiquité de L'Egypte, t. XIV, გვ. 187; **Perrotet Chipiez**, Histoire de l'art dans l'antiquité, I, სურ. 492, გვ. 491.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექცია № 5—32\5—„ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი", შეძენილია თბილისში ქართული ქულაჯის კომპლექსთან ერთად.

ეს საყურადღებო ფეხსაცმლის ტიპი XIX საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალი წოდების მამაკაცის, მოჭალაქისა და ხელოსნის ჩაცმულობის თითქმის აუცილებელ ელემენტს შეადგენდა[1], და XX საუკუნის ოციან წლებამდე ის იშვიათად კიდევ იხმარებოდა. ამას ლიტერატურული მონაცემების გარდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული წარსული საუკუნის პირველ ნახევარსა და 70-იან წლებში დახატული სურათებიც (ალ. № 52 და № 35—37)[2] ამოწმებს.

ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმლის არსებობა XVII და XVIII საუკუნეების საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დასტურდება[3].

სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით საქართველოს ისტორიის ადრინდელი ხანის ჭვინტიანი ფეხსაცმლის შესახებ. ფრესკებისა და სხვა ამისათვის გამოსაყენებელი ძეგლების შეუსწავლელობის გამო ეს საკითხი დღესდღეობით გადაუწყვეტელი უნდა დარჩეს. გამონაკლისს ამ მხრივ ბეთანიის ცნობილი ფრესკოვანი სურათი წარმოადგენს, თუმცა აქ გამოსახული **ლაშა გიორგის** ფეხსაცმლის წვერი მაინც მკვეთრად მოკაუჭებული ჭვინტი არ არის.

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი წვერიანი ძირით—ლანჩათი გაწყობილი მეშის მოგვია (იხ.სურ. 1) (ჩექმა. „ჩექმა —სხვათა ენაა, ქართულად მოგვი"[4], შდრ.აფხ.a-ma-go და სომხ. moy-g[5]). მოგვი ნალდაკრულ მომაღლო ქუსლზეა შეჯენებული (ნალი რკინისაა,

[1] **ნ. ალექსი-მეგრელიანი**, ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო, „ივერია", 1904,№80; **E. Zichy**, Voyages au Caucase et en Asie Centrale, Budapest, 1892, ტ. I; **Paulu**, Description ethnographique des peuples de la Russie, 1862; შდრ. **A. Rosenberg**, Geschichte des Kostüms, Berlin, გვ. 373.

[2] **Г. Радде**, Путеводитель Кавказского музея, Тифлис, 1881, გვ. 28.

[3] **ხ. ორბელიანი**, ქართული ლექსიკონი, **ი. ყიფშიძისა** და **აკ. შანიძის** რედაქციით, ტფ., 1928.

[4] **ხ. ორბელიანი**, დასახ. ნაშრომი.

[5] **Н. Марр**, Избранные работы. Ленинград, 1937, ტ. 4, გვ. 69.

ცერად კბილები აქვს ჩამსხდარი), პირი ჭრელშიბის მსგავსი სამკაულითაა დამშვენებული, გვერდზე ჩაჭრილი ყელი ზონრით იკვრის, ამავე ყელს ზემოთ ფუნჯი აქვს გამობმული.

ამ ფეხსაცმლის განსაკუთრებულ თავისებურებას მისი „ჭვინტ"-ად წოდებული წვერი წარმოადგენს: მოკაუჭებული წვერი ლანჩის გაგრძელებაა და ზომით 5 სმ. ჩვენს ყურადღებას სწორედ ეს მოკაუჭებული ჭვინტი იქცევს. ასე მკვეთრად მოხრილი ჭვინტი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ სხვა სახის ფეხსაცმელებიდან საქართველოს ზოგიერთ კუთხეში შემონახულ ფლოსტებსა და ქოშებს მოეპოვებათ[6] (იხ. სურ. 2)[7].



სურ. 2

ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმლის ტიპის არსებობა მეზობელ ხალხებშიც მოწმდება. მას პარალელები ქართველების მონათესავე სამხრეთ დაღისტნის ტომთა შორის ხმარებულ ფეხსაცმელში მოეპოვება. დაღისტნის ის ეთნიკური არე, სადაც ამგვარი ფეხსაცმლის ხმარებაა დადასტურებული და რომლის სამოსახლო ტერიტორია ზაქათალიდან — ყუბაჩეთამდე აღწევს — წახურებით, ანწუხებით, ჯუმურდებით, ყაპუჩებით და ყუბაჩებით არის დასახლებული (ისტორიულად ძველ ალბანეთში შემავალი მოსახლეობა). ამ ტერიტორიის გარკვეულ ეთნიკურ არეში დამოწმებული დედაკაცისა და აგრეთვე მამაკაცის მიერ ხმარებული ჭვინტიანი ფეხსაცმლის დასამზადებელ მასალად ქსოვილი და ტყავია გამოყენებული.

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში წარმოდგენილი ამ სახის ფეხსაცმელები (დედაკაცისა და მამაკაცისაც) სწორედ ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმლის მსგავსად არის შეკერილ-მოქსოვილი. დაღისტნურ ჭვინტიან ფეხსაცმელთა უძველესი ეგზემპლარები საქართველოს მუზეუმში 1885 წ. არის შემოსული (ერთი მათგანი იხ. სურ. 3)[8].

---

[6] **A. Byhan**, Kaukasien, Ost- und Nordrussland, Finnland-Buschan-ის Illustriete Völkerkunde-ში, II,2. Stuttgart, 1925, გვ. 675; იგივე, ფრანგული გამოცემა, La civilisation caucasienne, Paris, 1936, 41.

[7] სურათზე წარმოდგენილი ქოში ინგილოურია (საქ. მუზ. ეთნოგრ. განყ. კოლ. № 100—11/6). საქ. მუზ. იმავე განყოფილებაში დაცული უძველესი ჭვინტიანი ქოში (კოლ. № 98) შეძენილია 1852 წ. საქ. მუზეუმის კოლექციის ამჯერა ქოშები **A. Dirr**-ს ასე აქვს აღწერილი: „№№ 203—218. Fast alle mit Schnabelspitze, die meisten mit hohen Absatz, der grosse Eisenbeschlage trägt"-**Dirr**-ის ხელნაწერი კატალოგი, გვ. 16—17.

[8] ვფიქრობთ, ამავე წელს უნდა იყოს შეძენილი ჰამბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმში დაცული საქართველოს მუზეუმის ზემოდასახელებული ეგზემპლარის (დედაკაცის) ანალოგიური ჭვინტიანი ფეხსაცმელი. ჰამბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეს კოლექცია გამოქვეყნებული აქვს **A. Byhan**-ს დასახ. ნაშრ., გერმანული გამოც. გვ. 785, სურ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული მამაკაცის ფეხსაცმელი (სურ. 3) — კ ა რ ა ჭ ი ნ ი[9] ჩ ი თ ა-ფ ე ჯ ა[10] — ღაზლის ფერადი ძაფით ნაქსოვი ძირისგან (რომლის წინა ნაწილი მთავრდება მოკაული გრძელი ჭვინტით), აგრეთვე სუფთა ფერადი ძაფით ნაქსოვი პირისგან და ამგვარივე მოკლე ყელისგან შედგება. ჭვინტი საგანგებოდ ცალკეა მოქსოვილი და შემდეგ ძირსა და პირზე მიქსოვილი. ნაქსოვზე უმთავრესად შემდეგი სახეებია გამოყვანილი: ჭრელ-შიბანი და პ ი რ გ ა დ ა ყ ი რ ი ლ ც ვ ე რ ც ვ ა ნ ი[11].

ამავე ტიპის დაღისტნური კარაჭინების სხვა ეგზემპლარები საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში სხვადასხვა ადგილებიდან არის შესული (კოლ. №№ 17 — 09, 38 — 09, 87—10, 43 — 39 და სხვ.).

სურ. 3

განსაკუთრებით საყურადღებოა ჭვინტიანი ფეხსაცმლის (კარაჭინი II ჩითა II ფე,ჯა) ის ეგზემპლარი, რომელიც სოფ. თლადალიდან არის ჩამოტანილი (კოლ. № 38—09/2, — იხ. სურ. 4). ის საგანგებოდ დედოფლისათვის არის განკუთვნილი, ქალი მასში მხოლოდ საქორწინო ცერემონიის შესრულების დროს არის გამოწყობილი. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი კარაჭინი მის პატრონს საფლავშიც უნდა ჩაჰყვეს ხოლმე.

კარაჭინის ზემოდასახელებული ეგზემპლარი მაღალფლიანია, ის შემკულია ჭრელშიბანით, პირგადაყრილ ცვერცვანით, დაკაკაულანით, კვერანით და ხატულანით[12]. გარდა ამისა, ამავე კარაჭინზე ქსოვილისა და ლითონის აპლიკაციებია მოცემული, რომლებიც, ისევე როგორც კარაჭინის სხვა ორნამენტები, აპოთროპეული დანიშნულების უნდა იყოს[13]. ეს კარაჭინი სხვა კარაჭინებისაგან

ფრანგული გამოცემა, გვ. 177, სურ. 39). სურათს შემდეგი წარწერა ახლავს: „Aus bunter, vorwiegend weisser, schwarzer und kirschroter Wolle gesrickter Stiefel, Dorf Beschita der Kaputschi am Chwar-or, westlicher Nebenfluss des Awarischen Koïssu", გვ. 785.

საქართველოს მუზეუმში დაცული ზემომოხსენებული ორი წყვილი ფეხსაცმელი შეძენილია ვ. რ ა დ ე ს მიერ. მისივე შეძენილი უნდა იყოს ჰამბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეგზემპლარიც. როგორც ცნობილია, რ ა დ ე მის მიერ შეძენილი ეთნოგრაფიული კოლექციების ერთ ნაწილს ყოფილ კავკასიის მუზეუმში იტოვებდა, ხოლო, მეორე ნაწილს —კი დასავლეთ ევროპის, კერძოდ — გერმანიისა და ავსტრიის მუზეუმებში აგზავნიდა.

9 ხ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, „კ ა რ ა ჭ ი ნ ი — ნაქსოვი ფეხსაცმელი (წაღა) (+რომელსა სპარსნი ჩორაბს უკ,ვობენ)".

10 თუშებში ჩითა ანუ ფე,ჯა ნაქსოვ ფეხსაცმელს ეწოდება.

11 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე და ვ. ნ ი ტ ა ი ა. ქართული ხალხური ორნამენტი; ტ. I. ხევსურული. თბილისი, 1939. ტაბ. XI.

12 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე და ვ. ნ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრომი, ტაბ. I, XIII და შმდ.

13 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე და ვ. ნ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ.7.

იმითაც განსხვავდება, რომ მის ჭვინტს გამობმული აქვს ზონარი, რომელიც ბოლო მიმაგრებულია კარაჭინის საპირეზე საგანგებოდ დაკერებულ ღილზე.

ზემოდასახელებული მასალა ცხადყოფს ამ კარაჭინის რიტუალურ დანიშნულებას. ის, ასე ვთქვათ, სააქო და საიქო ცხოვრებაში საგანგებო დანიშნულებისაა, ხოლო საქორწინო რიტუალში აპოთროპეული ფუნქციის მატარებელია. ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ ფეხსაცმლის ამგვარი დანიშნულება კარგადაა ცნობილი[14].

კერძოდ, ინგუშებში დადასტურებულია ფეხსაცმლით მარჩიელობა იმ დღესასწაულზე, რომელიც თიბვის დროს მოდის. ეს დღესასწაული განკუთვნილი იყო „ბალამდა"-ს სახელზე და მასში, გარდა „ხუცისა" მონაწილეობას იღებდა ექვსი გათხოვილი და სამი გაუთხოვარი ქალი. მონაწილე ქალები ფეხსაცმლის შემწეობით არკვევდნენ ხალხისთვის მოსალოდნელ ბედნიერებასა და უბედურებას[15].

ფეხსაცმლის ამგვარი რიტუალური დანიშნულება სხვა ფაქტებითაც მეღავნდება. ამას მოწმობს თუნდაც ის თიხის ფეხსაცმელი, რომელიც ყიზილვანქის[16] სამარეში იყო აღმოჩენილი. ამ სამარის ინვენტარი დათარიღებულია პირველი ათასეული წლებით ჩვ. ერამდე[17]. ამასვე ადასტურებს სამეგრელოში (ძველი კოლხეთი) აღმოჩენილი ფეხსაცმლის ფორმის თიხის კუბო, რომელიც უძველეს ხანას განეკუთვნება. ეს კუბო ამჟამად ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

სურ. 4

როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, ფეხსაცმლის რიტუალური ფუნქცია უძველესი ხანიდან მომდინარეობს. კერძოდ, ჭვინტიანი ფეხსაცმლის, კარაჭინის ამგვარი დანიშნულებაც იმის დამადასტურებელია, რომ ის თავისი წარმოშობით უძველესი ხანის მონაპოვარია, რომელსაც გადმონაშთის სახით ქართულსა და კავკასიურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე თავი შემოუნახავს.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჭვინტიან ფეხსაცმელს და დაღისტნურ კარაჭინს („ხიდ") პარალელები ძველი აღმოსავლეთის გარკვეულ ეთნიკურ არეშიც მოეპოვება. პარალელისათვის ამ ფეხსაცმელების ყველაზე ნიშანდობლივი და თავისებური ელემენტი — მოკაუჭებული ჭვინტია აღებული. მართლაც, ხურებისა და თუშებ-ხეთებისგან მომდინარე ძეგლებში ამგვარი მოკაუჭებულ-

[14] **H. Guthe**, Kurzes Bibelwörterbuch, Tübingen und Leipzig, 1903, s.v. Kleidung.

[15] **Б. Далгат**, Первобытная религия чеченцев, Терский Сборник, Владикавказ, 1893, ტ. 3, 2, გვ.98.

[16] ეტიუნიების ადრინდელი სამფლობელო.

[17] **Н. Марр**. დასახ. ნაშრომი, ტ. 4, გვ. 70.

ჭვინტიანი ფეხსაცმელი მრავლადაა წარმოდგენილი. ამგვარი ფეხსაცმელები, როგორც ღვთაების (თეშუბი), ისევე მითოლოგიურ არსებათა და მეომრის ბარელიეფებზეა მოცემული (იხ. აქვე სურ. 5, 6, 7). ამ ძეგლებზე გამოქანდაკებული მამაკაცების სურათები მკვეთრად გამოხატული მოკაუჭებულ-ჭვინტიანი ფეხსაცმელებითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამგვარი ფეხსაცმელი-ჯარხემიშისა, ზენჯირლისა და ტელ-ჰალაფის ძეგლებისათვის[18]. ჯელა ნიშნის მიხედვით ირკვევა, რომ ჭვინტიანი ფეხსაცმელი, საკუთრივ ფეხსაცმელი მოკაუჭებული ჭვინტით — ამ მოსახლეობის ჩაცმულობის დამახასიათებელი თავისებურება უნდა ყოფილიყო[19]. ამდენად ქართულ-დაღისტნური ჭვინტიანი ფეხსაცმლის დამთხვევა ხურულ-თეშუბ-ხეთურ ფეხსაცმელთან მეტად საყურადღებო ფაქტია.

სურ. 5

ძველი აღმოსავლეთის ძეგლებზე შემონახული ჭვინტიანი ფეხსაცმელების შესახებ არსებულ ლიტერატურაში გამახვილებული არ არის ყურადღება ამ ფეხსაცმელების ნიშანდობლივ თავისებურებაზე, სახელდობრ – მოკაუჭებულ ჭვინტზე. ჩვეულებრივად ჭვინტიან, უფრო სწორად, წვერიან ფეხსაცმელზე ზოგადად და საერთოდაა მსჯელობა. დიფერენცირებული მიდგომა ჭვინტიან-წვერიან ფეხსაცმელებისადმი არ არის. ამის გამო სხვადასხვა ავტორის მიერ ძველი აღმოსავლეთის ჭვინტიანი ფეხსაცმელი დღემდე სირიაში ხმარებაში მყოფ ფეხსაცმელთან არის გაიგივებული. ვინც დაახლოებით იცნობს სირიულ ფეხსაცმელს (რომლის სრულ ანალოგიას ქურთული ფეხსაცმელი წარმოადგენს)[20] — მისთვის ამ ფეხსაცმლის პირდაპირი დამსგავსება ჭვინტიან

[18] **D. Hogarth**, Carchemish, I. London, 1914, ტაბ. 9, 11, 13; **Perrot et Chipiez**. Histoire de l'art dans l'antiquite, ტ. IV, გვ. 562–263, სურ. 262, 269, 276, 280, 282; აქვე დასახელებულია XIV და XV სს. ფრანგული ფეხსაცმელები; **O. Weber**. Chetitische Kunst, Orbis pictus, Brl. 1920, ტაბ. 2, 3, 19, 21, 29; **H. Moortgat**. Bildwerk und Volkstum Vorderasiens zur Hethiterzeit, Lpzg, 1934; **M. Oppenheim**. Der Tell-halaf, Lpzg, 1931, გვ. 123, 130, 162. შდრ. **A. Rosenberg**, დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

[19] **Paul**. Real-Encyclopädie, N. B., Lief. 21a-22a, Lpzg. 1922, გვ. 746: „Die Schnabelstiefel war nämlich die Nationaltracht der Hettiter, wie die hettitischen Denkmäler zeigen". აქვე დასახელებულია ლიტერატურა ჭვინტიანი ფეხსაცმლის შესახებ.

[20] იხ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლ. № 239—36.

ფეხსაცმელთან მართებული არ იქნება, ვინაიდან ამ ფეხსაცმელს მკვეთრად გამოსახული ჭვინტი, მით უფრო მოკაუჭებული ჭვინტი, არ გააჩნია. არსებითად მას ჭვინტი არც კი აქვს.

სურ. 6

სურ. 7

მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ გაიგივებას დღემდე ადგილი აქვს. Perrot-Chipiez-ს[21] და Reimpel-ის[22], შემდეგ Porada-ს 1938 წლის Revue d'assyriol. et d'arch. orient[23]. კვლავ სირიული პარალელი მოჰყავს და ჭვინტიან ფეხსაცმელს სირიულ უჭვინტო ფეხსაცმელთან აიგივებს. ეს გაიგივება ით უფრო გაუგებარია, რომ Porada-ს თავის წერილში Osten-ის მიხედვით ჭვინტიანი ფეხსაცმლის დამაჯერებელი სურათიც აქვს გამოქვეყნებული.

Porada-ს წერილში ყურადღებას ბეჭედ-ცილინდრებზე ფიქსირებული ჭვინტიანი ფეხსაცმელები იპყრობს[24]. ამ ფეხსაცმელებს ჭვინტზე ფოჩი აქვს გამობმული (შდრ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია № 345 „ფოჩიან-ჭვინტიანი ფეხსაცმელი დერვიშისა"). აღსანიშნავია, რომ ბაბილონური მილიესათვის ჭვინტიანი ფეხსაცმელი, მით უფრო ფეხსაცმელი მოკაუჭებული ჭვინტით, დამახიათებელი კულტურის ელემენტი არ ჩანს. Porada-ს მიერ მოტანილი ნიმუში სპორადული მოვლენაა დატიპურ ქართულ-კავკასიურ და ხურულ-თეშუბ-ხეთურ ჭვინტიან ფეხსაცმელს არ წარმოადგენს[25].

---

[21] **Perrot et Chipiez**. დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

[22] **W. Reimpel**. Geschichte der babilonischen und assyrischen Kleidung, Brl., 1921; გვ. 45 ის წერს: „Wo wir dem Schnabelschuh sonst begegnen, ist es ein Schuh in unserem Sinne, dessen Leder rings den ganzen Fuss umschlisst. . . Eine gute Vorstellung geben ähnliche, noch heute in Syrien übliche Schuhe, welche Perrot IV S. 563 zum Vergleich abbildet".

[23] **Ed. Porada**, Treize cylindres-sceaux de la collection Hahn datant de l'epoque d'Agade, Revue d'assyriologie et d'archéologie orientale, t. XXXV, № 3-4, Paris, 1938, გვ. 189.

[24] **Ed. Porada**, დასახ. ნაშრომი, № 4, № 6, სურ. 1.

[25] **H. de Genouillac**, Notes lexicographiques, Revue d'assyriol. et d'archeologie or., ტ. 7, გვ. 157–158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ გაირკვა, ჭვინტიანი ფეხსაცმელი, განსაკუთრებით ფეხსაცმელი მოკაუჭებული ჭვინტით, ხურულ-თეშუბ-ხეთური მატერიალური კულტურის დამახასიათებელი და თავისებური ელემენტია. ხურულ-თეშუბ-ხეთური ეთნიკური წრის ამ თავისებური ელემენტის პარალელი ქართულ-დაღისტნურ ჭვინტიან ფეხსაცმელებშია მოცემული. იმდენად, რამდენადაც ეს დამთხვევა ქართულ-დაღისტნური და ხურულ-თეშუბ-ხეთური მატერიალური კულტურის ელემენტების შეხვედრის ერთადერთი და იზოლირებული შემთხვევა არ არის[26], ამდენად ეს პარალელი შეიძლება სცილდებოდეს ტიპოლოგიურ მსგავსებას და კულტურულ-გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებელი იყოს.

1940 წ.

[26] ვ. ბარდაველიძე და ვ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 17; ვ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. 7, გვ. 290–291.

1. ხევსიბერის ყავარჯენი

საქართველოს მთიანეთის საკულტო ნაგებობებში ხშირად გვინახავს ყავარჯნები, რომლებსაც ხევისბერები იყენებენ საკულტო დღესასწაულების დროს და თან ატარებენ საღვთისმსახურო ცერემონიების შესრულებისას. ყავარჯნები განკუთვნილია უმთავრესად თავხევის ბერისათვის და მისი ძალაუფლების ნიშანია, მისი სახელოს ემბლემაა.

სურ. 1.
ხევსურული ყავარჯენი
ნატ. ზიმის 1/5

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხევისბერის უფლება-მოვალეობანი კარგადაა გარკვეული და ამდენად გასაკვირი არ არის, რომ მისი ძალაუფლების აღმნიშნელი ემბლემაც უნდა არსებულიყო. ლიტერატურაში აგრეთვე ისიცაა გარკვეული, რომ ხევისბერის ფუნქციაში შედიოდა როგორც საერო, ისევე სასულიერო სამსახური. მისი ძალაუფლების ნიშანს შეადგენდა ყავარჯენთან ერთად ჯულსადები და საომარი დროშა, რომლითაც იგი მხედრობას წინ მიუძღოდა. ამ ინსიგნიებიდან ამჟამად ჩვენ მხოლოდ ხევისბერის ყავარჯენზე ანუ კვერთხზე ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

სოფ. მუქუს ხატში დაცული ყავარჯენი შედგება ტარისა და ხელნასაგან. მისი ტარი დამზადებულია წიფლის ხისგან, ხოლო ხელნა—თელისგან. ყავარჯნის ფორმა და ზომა ნაჩვენებია სურათზე. საყურადღებოა, რომ ამ ყავარჯენს ხელნასა და ტარის შეერთების ადგილზე მიკრული აქვს ვერცხლის ფირფიტა, რომელზედაც გამოსახულია ყვავილზე დამხობილი მზის დისკო. ტარზე მოთავსებულია ქართული წარწერა, რომელიც იკითხება ასე: „ელო ლ(უკას) ასს(ულ)გორგოშვილისაგან". ელო გორგოშვილი გვარი და სახელია იმ პირისა, რომელსაც ეს ყავარჯენი შეუწირავს ხატისათვის. (სურ. 1).

ამგვარი ყავარჯნები მთიულეთის სხვა ხატებში ბევრი ყოფილა. ერთ-ერთი ასეთი ყავარჯენი ჯვარში, ოღონდ ვერცხლისა და სევადის ორნამენტით შემკული, დამოწმებული აქვს 1929 წელს პროფ. ვ. ბარდაველიძეს[1].

კიდევ უფრო ადრე ყავარჯნები უნახავს ფშავსა და ხევსურეთის სალოცავებში მკვლევარს პ. უვაროვას, ოღონდ სხვადასხვა ფორმის სახელურით. იგი წერს, რომ: "жезл или авардженн (უნდა იყოს каварджени) состоит из высокого древка увенчанного серебрянной рукояткой или верхушкой". პ. უვაროვა იმასაც ამოწმებს, რომ ხევსურულ ყავარჯნებს ხევისბერები იყენებენ საეკლესიო დღეებში და გამოაქვთ ასეთ შემთხვევებში დროშებთან ერთად[2]. ამას გარდა პ. უვაროვა წერს, რომ ეს

[1] ვ. ბარდაველიძე, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის საკულტო ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1972.

[2] Пр. Уварова, Археологические исследования на Кавказе, Материалы по археологии Кавказа, т. X, стр. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავარჯნები, ერთი მხრით, მოგვაგონებს ეპისკოპოსების კვერთხს. ხოლო, მეორე მხრით — უფრო ძველ ბრინჯაოს კვერთხებს, რომლებიც აღმოჩენილია ყობანსა და მრავალ სკვითურ ყორღანულ სამარხში[3].

სურ. 2.
სვანური კვერთხი
ნატ. ზომის 1/5

ლექსიკოგრაფი საბა ორბელიანი სიტყვა ყავარჯნს განმარტავს ასე: „ჯოხი თავჯვარედი, გინა მოკავებული ეპისკოზთა საპყრობი"[4].

2. ერისთავის კვერთხი ზემო სვანეთიდან

ზემო სვანეთის, უშგულის თემის სოფ. ბურყმელის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში, ერთ-ერთ სკივრში, ექვთიმე თაყაიშვილმა 1910 წელს აღმოაჩინა ვერცხლის „სკიპტრა-ლახტი", დიდი რომბისებური შემკულობით (სურ.2). ამავე ყუთში, იმავე მკვლევარმა იპოვა „მეორე უფრო დიდი და უფრო ლამაზი ვერცხლის სკიპტრა - ლახტი, მისი სახელური იკლიკანტური ხაზებით არის შემკული, ხოლო მსხვილი თავი, ბუტთი, ცხოველთა თავების სახეებით"(სურ. 3).

სურ. 3.
სვანური კვერთხი
ნატ. ზომის 1/5

იგივე მკვლევარი შენიშნავს, რომ „ეს ორი ნივთი, პირველად ჩვენი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი, ფრიად საყურადღებოა. ფორმით, ესენი ლახტს მოგვაგონებენ, მაგრამ რეალურად საომარი იარაღები ვერ იქნებიან. ამგვარი ნივთი უნდა ყოფილიყო ემბლემა ერისთავთა ხელისუფლებისა, მათი სკიპტრა[5].

ამ ნივთებს სახელისუფლო ნიშნებად მიიჩნევს აკად. გ. ჩუბინაშვილიც[6].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკვლევარები არ ცდებიან ამ ნივთების დანიშნულების განსაზღვრაში.

ამის საბუთს იძლევა ის გარემოება, რომ ერისთაობა, როგორც სამოხელეო ინსტიტუტი, სულ მცირე მეთერთმეტე

---

[3] **Пр. Уварова,** დასახ. ნაშრ., გვ. 131, **ყავარჯნა** ამასთან დაკავშირებით წერს: ეს სკვითური კვერთხები "по видимому вероятно были ничто иное как такие же знаки достоинства".

[4] **ს. ორბელიანი,** ქართული ლექსიკონი, თბ; 1928. შდრ. **ნ. ჩუბინაშვილი,** ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

[5] **ექვთ. თაყაიშვილი,** არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 177.

[6] **ექვთიმე თაყაიშვილი** არქეოლოგი, კრებული **„ექვთიმე თაყაიშვილი"**, თბ., 1966.

სურ. 4.
კვერთხი
კედაბეკიდან
ნატ. ზომის 1/5

საუკუნიდან ჩანს სვანეთში. როგორც ცნობილია, სვანეთის ერისთავებად გვევლინებიან ვარდანის-ძენი, რომლებიც მოიხსენიებიან როგორც „სუანთა ერისთავი, მეკურკლეთა უხუცესი". ასევე ცნობილია, რომ ეს სახელო თამარ მეფის დროიდან გადადიოდა ამ გვარში თაობიდან თაობაზე [7].

კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. საქმე იმაშია, რომ ინსიგნია დამზადებული უნდა იყოს სვანეთშივე, სადაც, როგორც ეს კარგად აქვს გამოკვლეული ექთ. თაყაიშვილს, ოქრომჭედლობა X—XIV სს. მაღალ დონეზე იყო აყვანილი და იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს ზემოთ მოყვანილი ინსიგნიები.

ზემოთ თქმულს დავძენთ, რომ ერისთავების ინსიგნია მოხსენიებულია მეფის კარის გარიგების უნიკალურ ძეგლში, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს სამეფო კარი და სამეფოს სამოხელეო ინსტიტუტები[8].

3. ინსიგნია კედაბეკიდან

1893 წლის 21 ივნვარს ბერლინის ანთროპოლოგიური საზოგადოების სხდომაზე, საზოგადოების თავმჯდომარემ პროფ. რ. ვირხოვმა სხდომას მოახსენა ვოლდემარ ბელკის ბარათის შინაარსი, რომელშიც იგი იტყობინებოდა იმ არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომლებიც მან აწარმოა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კედაბეკსა და მის მიდამოებში. ქიმიკოსი დაელექტროქიმიკოსი ვ. ბელკი მუშაობდა სიმენსის სპილენძის ქარხანაში (განჯის გუბერნია ამიერკავკასიაში). მან დავალება მიიღო ვირხოვისაგან, როდესაც იგი თბილისში იყო მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე, ეწარმოებინა სიძველეთა კვლევა-ძიება. თავის ბარათში **ჯ. ბელკი** წერს: „ Im Laufe der Zeit habe ich dort mehr als 300 der jüngeren Bronzezeit, bezw. der älteren Eisenzeit angehörende gräber freigelegt und ausgeräunt"[9]. („ბოლო ხანებში აქ მე 300-ზე მეტი გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის სამარხები ვიპოვე და გავწმინდე".)

იმ უამრავ ნივთებს შორის, რომლებიც **ჯ. ბელკმა** აღმოაჩინა კედაბეკში, ზემოხსენებულ ბარათში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგნების ერთ ჯგუფს, რომელთა შორის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ინსიგნიაც მოიპოვება.

ჯ. ბელკას მიერ აღმოჩენილ ნივთებს შორის ყველაზე მეტად საინტერესო უთუოდ მაინც ის საგანია, რომელსაც იგი **Commandostad**-ს ბელადის კვერთხს უწოდებს (სურ. 4). იგი საინტერესოა როგორც თავისი ფორმით და

[7] ექთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[8] იუ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი, 1970.

[9] „Verhandlungen der Berliner anthropologischen Gesellschalft", 1893, Berlin, 1894, გვ. 61 და შმდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 5.
ხეკსურული ყიარაკენი
ნატ. ზიმის 1/5

ორნამენტებით, აგრეთვე განსაკუთრებით თავისი წარწერით, რომელიც ამ ნივთის თავს ამკობს.

ორი აზრიც კი არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს იმის შესახებ, რომ წარწერა იეროგლიფურ-ხეთური ან როგორც ამას ამჟამად უწოდებენ, იეროგლიფურ-მუსკურია. ინსიგნიის წარწერა 1899 წელს ამოიკითხა **ფრ. ჰომელმა**. იგი ატყობინებდა ბერლინის ანთროპოლოგიურ საზო-გადოებას შემდეგს: „1893 წლის Verhandlungen-ში ბატონი ბელკის მიერ იყო გამოქვეყნებული კედაბეკის პრეისტორიული სამარხიდან ბელა-დის კვერთხი (Commandostab). თუ ის წარწერა, რომელიც ვანის თასზე ჯერ კიდევ გაურკვეველია, ხეთურია თუ არა, ჩემთვის ეჭვმიუტანელია, რომ ბელკის კვერთხის წარწერა ხეთურია და იკითხება დაახლოებით ასე Tarku-dara-s, ე.ი. ღვთაება თარხუ მეფეა“[10]. ფრ. ჰომელი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ სახელი თარხუნზო ანუ თარხუ — თარქუ გვხვდება ეტრუსკებში თარხონ, თარკვინიუსისა და სხვა ფორმით. იგივე ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კედაბეკში ინსიგნიის აღმოჩენას.

სურ. 6.
სკანური კვერთხი
ნატ. ზიმის 1/5

სამწუხაროდ, ეს დიდი მნიშვნელობის მქონე აღმოჩენა ყურადღების გარეშე დარჩა შემდეგი დროის მკვლევარებისათვის. მათ შორის იმათთვისაც, ვინც საგანგებოდ იეროგლიფურ მუსკურ წარწერებს იკვლევდა.

დღეს, როდესაც ასე გამახვილებულია ყურადღება მესხების საკითხზე, საჭიროდ მივიჩნიეთ გამოგვექვეყნებინა ეს მივიწყებული ძეგლი. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იეროგლიფურ-ხეთური კულტურის აყვავება ძვ. წ. 1150—700 წწ. მოდის.

აქვე უნებლიედ გვაგონდება სტრაბონის ცნობა, რომ კოლხეთი ცალკე საგამგეო ოლქებად (სკეპტუხიებად) ყოფილა დანაწილებული. ბუნებრივია, ოლქების მმართველებს სკიპტრებიც (კვერთხი) ექნებოდათ მათი პატივის ნიშნად.

1972 წ.

[10] ი ქვე. გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების განვითარების დღეევანდელ საფეხურზე, როცა სახალხო მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი გიგანტური მაჩვენებლებს აღწევს და მომავლისათვის უჩვეულო პერსპექტივებს სახავს, კაცობრიობის კულტურის ისტორია უდიდეს ინტერესს იწვევს. სწორედ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა გადავხედოთ საზოგადოების განვითარების განვლილ გზას, რომ არ დავკარგოთ ის დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც წარსულს აწმყოსთან ჰკვანძავს.

კაცობრიობის კულტურის განვითარებას წარსულში ერთი ნიშანდობლივი მოსაბრუნი ახასიათებს, რომელიც მთელს ძველს კულტურას ორ ხანად ჰყოფს. ამ მობრუნების დროს არსებითად საფუძველი ჩაეყარა კულტურის განვითარების იმ საწყისებს, რომლებიც ჯერ კიდევ თანამედროვე კულტურის საფუძვლებს შეადგენენ. ამ მოსაბრუნის მიღმა კაცობრიობის განვითარების მრავალთასაზიანი საუკუნოვანი პერიოდი ძევს, რომელიც ტექნიკის დაბალი დონითა და კულტურის პრიმიტიულობით წარმოგვიდგება, ხოლო მოსაბრუნის მოღმა – შესანიშნავი აღმოჩენები, ახალი მიღწევები და კულტურის განვითარების დიამეტრალურად განსხვავებული ვითარება.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ 4000 წლისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველი ცივილიზაციის ძირითადი ელემენტები უკვე მოპოვებული იყო. ამ დროისათვის ძველ ქვეყნებში ცივილიზაციის სამი კერა არსებობდა: სუმერეთი, მესოპოტამიაში, მდინარე ევფრატის აუზში, შესანიშნავი ქალაქით ურით; ეგვიპტე, მდინარე ნილოსის აუზში, შესანიშნავი ქალაქით ონით და კერა ინდოეთში, მდინარე ინდის აუზში, შესანიშნავი ნაქალაქარით მოჰენჯოდაროთი. დასახელებული დროისათვის ამ კერებში მოცემული იყო კულტურის დონის დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი ელემენტები: დასახლების ქალაქური ტიპი, მოშინაურებული საქონელი, სახვნელი იარაღი, შინაური მარცვლეული, ბორბლიანი ტრანსპორტი, ლითონის დამუშავება და დამწერლობა.

მეცნიერული მონაცემების მიხედვით ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ცივილიზაციის ეს სამი ცენტრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და განვითარდა, ვინაიდან ისინი დროშიც ემთხვევიან ერთმანეთს და თუ კარგად დავაკვირდებით განვითარების გზებიც ერთი და იგივე აქვთ. თითოეულ მათგანს ცალკე და ყველას ერთად ახასიათებს: მოშინაურებული საქონელი, სახვნელი იარაღი, შინაური მარცვლეული, ბორბალი, ლითონები, დამწერლობა, კალენდარი და ქალაქები.

უკანასკნელი ოცი წლის არქეოლოგიურ აღმოჩენებამდე ეგვიპტე ითვლებოდა ცივილიზაციის აკვნად და ამდენადვე ჩვენი ცივილიზაციის აკვნად, მაგრამ მას შემდეგ, რაც მესოპოტამიაში 1926 წელს და მის მომდევნო წლებში აღმოჩენილ იქნა სუმერების შესანიშნავი კულტურა დაწინაურებული ქალაქებით, რომლებიც ეგვიპტის იმდროინდელ ქალაქებზე მაღლა დგანან – უპირატესობას სუმერეთის კულტურის ცენტრს ანიჭებენ. მართალია 1929–30 წლებში ინდოეთში აღმოჩენილ იქნა ახალი უცნობი კულტურა (მოჰენჯოდარო, ჰარაპა, ჯუკარი), რომელიც თავისი მონაცემებით თითქოს ექი̇შპება სუმერეთის ცივილიზაციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპეციალისტების აზრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმერეთის ცივილიზაცია შედარებით მაინც მაღლა დგას. ამჟამად მეცნიერებაში მიღებულია ის დებულება, რომ სუმერების სახით ჩვენ საქმე გვაქვს კულტურის პიონერებთან, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის კულტურის განვითარების საქმეში.

სუმერეთის ცივილიზაციის მონაცემები იმის საკმაო დამამტკიცებელ საბუთს იძლევიან, რომ სუმერებმა გადასცეს ევროპის ხალხებს უდიდესი ნაწილი იმისა, რაც ითვლებოდა ძველი საბერძნეთის კულტურის კუთვნილებად, სუმერების ცივილიზაციას მრავლად მოეპოვება ისეთი მონაცემები, რომლებიც მას აზიისა და ევროპის ცივილიზაციის წინაპრად სახავს.

სუმერების ცივილიზაციის მონაპოვრებს, რომელთაც გარდატეხა მოახდინეს კაცობრიობის კულტურის განვითარებაში, წინ უსწრებდა კაცობრიობის განვითარების მეტად ხანგრძლივი პერიოდი. თუ ცივილიზაციის ხანა ორიოდე ათეული ათასი წლით აღინიშნება, ცივილიზაციაზე ადრინდელი პერიოდი რამდენიმე ასიათას წელს მოიცავს. ამერიკელი არქეოლოგების მტკიცებით ძველი ქვის ხანა 400.000 წელზე მეტს გრძელდებოდა. მართალია ამ მოსამზადებელ პერიოდში კაცობრიობის კულტურა მეტად ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ, მაგრამ უნაყოფო არც ეს პერიოდი ყოფილა. აქ შეიძლება დასახელებულ იქნეს ის ძირითადი მონაპოვარი, რაც ძველმა ქვის ხანამ შესძინა კაცობრიობას: ცეცხლი, ტარიანი ქვის ცული, მახათი, მეტყველება, მიცვალებულის დამარხვა და დამარხვის წეს-ჩვეულების შესრულება, გრავიურა, მხატვრობაში ფერების ხმარება, პერსპექტივა და სიუჟეტი, თოკის დაგრეხა, შუბი, თიხის ძერწვა, სანათური, ქოხი. ამათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლებიან ცეცხლი, ტარიანი ქვის ცული, მეტყველება, თოკის დაგრეხა.

ძველი ქვის ხანაში ადამიანთა ჯგუფები საზრდოს ჰკრეფდნენ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ბუნება მას იძლეოდა. იმ ხანად ადამიანთა ჯგუფები მეტად მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. ამ დროისათვის დამახასიათებელი შეგროვებითი და ნადირობითი მეურნეობა, თვით გარეული საზრდოს რაოდენობა და მისი მოპოვების საშუალებები განსაზღვრავდნენ ადამიანთა რაოდენობასაც. ეთნოგრაფ კ. ფილსის მიხედვით პრიმიტიული განვითარების საფეხურზე მყოფ თანამედროვე ხალხებში, სადაც ჯერ კიდევ შეგროვებითი და ნადირობითი მეურნეობაა შემონახული, ერთი ადამიანის გამოსაკვებად 7–10 კვ. მილი ტერიტორიაა საჭირო. თუ ვივარაუდებთ, რომ ხმელეთის ზედაპირი უდრის 50 მილიონ კვ. მილს, ძველი ქვის ხანის ხალხი რიცხობრივად 7 მილიონ სულზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. პრიმიტიული მეურნეობისა და პრიმიტიული ტექნიკის გამოყენებით იმ დროინდელ ბუნებას ამაზე მეტის გამოკვება არც შეეძლო. მკითხველი ადვილად დაგვეთანხმება, თუ რამდენად მცირეა მოსახლეობის ეს რაოდენობა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით.

სულ სხვა მდგომარეობაა მოცემული ძველი ცივილიზაციის ხანაში. აქ მოსახლეობა ცხოვრობდა არა დაქსასულად და გაბნეულად, არამედ იყო თავმოყრილი, კონცენტრირებული მსხვილ დასახლებულ პუნქტში. აქ უკვე მოცემულია ქალაქური დასახლების ტიპი, როგორც ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ სუმერეთის მაგალითზე. იბადება საკითხი, თუ რამ შეაპირობა დასახლების ტიპის ეს მაღალი საფეხური. იგი შეაპირობა და მისი არსებობა შესაძლებელი გახადა მიწის მოქმედებისა და მოშინაურებული საქონლის არსებობამ. მას

შემდეგ, რაც ადამიანთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ გარეულიცხოველების დევნისა და მოკვლის ნაცვლად მათს მოშინაურებას მიჰყვა, ხოლო მეორე მხრით, რაც მარცვლეულის გამრავლებას მიაგნო, ეს გახდა დასაბამი ძველი კულტურის ახალი ხანისა, ახალი აღმავლობისა. თუ ცხოველთა დევნა და მოკვლა ადამიანის საკვების მარაგს აცარიებდა და მას გარეულ მდგომარეობაში სტოვებდა, მოშინაურება უკვე ცხოველების დაცვის შესაძლებლობას იძლეოდა და ადამიანს ხორცის რესურსების მფლობელად ხდიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბლის კულტივაცია, რამდენადაც დღეს დამტკიცებულია, რომ ხორბალი წარმოადგენს ყველაზე უფრო მეტად კონცენტრირებულ საკვებს, რომელსაც კი ბუნება იძლევა.

მოშინაურებული მარცვლეულიდან სუმერეთში პირველად ფეტვი ჩნდება, რომელიც ქართველი ტომების უძველეს კულტურულ მცენარესაც შეადგენს. უძველეს სუმერეთში ფეტვის შემდეგ ხორბალი და ქერია დადასტურებული. ძველი ეგვიპტე იცნობს, როგორც ხორბალს, ისევე ქერს, ხოლო მდინარე ინდის აუზში გათხრების დროს ხორბალი და ქერი ერთადაა აღმოჩენილი.

აღსანიშნავია, რომ ხორბალი მისი მოშინაურების ცენტრში –სუმერეთში დამოწმებულია 4000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ამ ცივილიზაციის განაპირებში, როგორიც არიან, ერთი მხრით, ჩინეთი - 2500 წელს ძვ. წელთაღრიცხვით, მეორე მხრით, თანამედროვე ინგლისის ტერიტორია - 2000 წელს ძვ. წელთაღრიცხვით. აქედან ჩანს, თუ რამდენი დრო დასჭირებია კულტურის ამ მონაპოვრის გადატანას მისი აღმოჩენის ცენტრიდან პერიფერიებში. ჩვენამდე მოღწეულია ეგვიპტეში (ტეიფელ-ბაჰრი) ნაპოვნი გამომცხვარი პური, რომელიც ეკუთვნის 2500 წელს ძვ. წელთაღრიცხვით. ველური ხორბალი, რომლიდანაც მიღებულია სუმერული ციცნა (ბაბილონური სახელწოდება – კაუნაშუ, ბუტუტტუ, ქართულად მახა, ზანდური, ასლი) შემონახულია დღემდე წინა აზიაში, პალესტინიდან ვიდრე ცენტრალურ ირანამდე.

მარცვლეულის გამრავლებას თესვის შემწეობით ახლავს სახვნელი იარაღიც. თავდაპირველად სახვნელი იარაღის გამოგონებას წინ უსწრებდა თესვა მოხვნის გარეშე. ამას ამტკიცებს ძველი ეგვიპტური სურათები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ეგვიპტელები ლამზე მობნეული მარცვლის ჩაფვლას ცხვრისა და ხარის ფეხის მეშვეობით ახდენენ.

სახვნელი იარაღების წარმოშობას ძველი თეორიები თოხის განვითარებას უკავშირებდნენ. ახალი მონაცემები კი ამ შეხედულებას საეჭვოს ხდიან. რიგი მკვლევრების აზრით სახვნელი იარაღი წარმოშობილია მიწის სათხრელი კეტისაგან (ქართ. მ ა რ გ ი ლ ი, სვანური ბ ა რ გ ი ლ, წ ა მ). უძველეს სახვნელ იარაღს, რომელშიაც ხარები არიან შებმული, ვამოწმებთ სუმერეთში 4000 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ამ იარაღის პარალელები მრავლად მოიპოვება როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ხოლო სახვნელი იარაღის სუმერული სახელწოდება – ა პ ი რ - ბევრ ენას აქვს შეთვისებული ძველიდანვე (ბაბილონური ეპინ-ნუ, ეგვიპტური - ჰ ე ბ ი, ქართული ა პ ნ -ისი და სხვ.) საყურადღებოა, რომ სუმერეთში დამოწმებულია სახვნელი იარაღის რამდენიმე სახეობა. ამათგან ერთი ისეთი კონსტრუქციის სახვნელია, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდეც ხნავს და კიდეც თესავს. სახვნელი იარაღის ეს სახეობა დღემდე შემონახულია ვანის ვილაიეთის

ეთნოგრაფიულ ნინამდვილეში, სადაც მას ტირ ეწოდება. იგი მოიპოვება აგრეთვე სირიაში.

ცივილიზაციის ეპოქის მნიშვნელოვან მონაპოვარს აგრეთვე ცხოველების მოშინაურება ეკუთვნის. სუმერეთში დამოწმებული არიან შემდეგი შინაური ცხოველები: ძროხა, ხარი, ცხვარი, თხა, ღორი, ვირი. გვიან ჩნდება ცხენი, ხოლო უფრო გვიან აქლემი. ჩვენამდე მოღწეული იმდროინდელი გამოსახულებანი ნათლად წარმოგვიდგენენ სუმერების მიერ შინაური ცხოველების მოვლის, მათი გამოყენებისა და პროდუქტების მომზადების პროცესებს. გამოსახულებებზე, რომლებიც ეკუთვნიან 4000 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე (ქალ. ური, ქალ. ალ-უბეიდი) წარმოდგენილია ძროხის წველა მამაკაცის მიერ იმ პოზით, რომელიც დღემდე მიღებულია ჩვენს მთაში. აგრეთვე კარაქის დამზადებასთან დაკავშირებული სცენები: რძის ჭურჭლის რეცხვა, რძის გაწურვა, დღვება და სხვ. უკანასკნელ სურათზე, როგორც დღვების პროცესი, ისყვე სადღვებელი (თიხის ჭურჭელი) იმავე სახისაა, როგორც ეს დამოწმებულია ჩვენს მთიელებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბორბლის გამგონებას. ჩვენ რომ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ბორბლის გარეშე, ბრუნვის პრინციპის გამოყენების გარეშე, ძველი და თანამედროვე ცივილიზაცია მეტად სავალალო სურათს მივიღებდით. ჩვენ არ გვექნებოდა არამც თუ ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებანი: ურემი, ეტლი და სხვ., არამედ არ იარსებებდნენ ისეთი მანქანები, როგორიცაა წისქვილი, კერამიკული მორგვი, სარწყავი არხები, ორთქლმავალი, ელექტრომავალი და სხვ. ბორბლის იდეის გარეშე ძნელი წარმოსადგენია ოდნავად მაინც მოწესრიგებული ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება. ბორბლის გამოგონების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი თეორიაა წამოყენებული. ერთის მიხედვით (ბიშოპი) ბორბალი წარმოიშვა საგორავიდან: იმ მრგვალი კეტიდან, რომელსაც ადამიანი იყენებდა მძიმე საგნების გადაადგილების დროს. მეორე თეორიის მიხედვით (ოპენჰეიმი) ბორბლის წარმოშობა უკავშირდება კვირისტავს. უკანასკნელ შემთხვევაში ბორბალსა და ბორბლიან ურემს წინ უნდა უსწრებდეს ქსელის ტექნიკა.

ყველაზე ძველი ბორბლიანი ოთხთვალა სუმერეთშია აღმოჩენილი. იგი თარიღდება 3000 წლით ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ამ ოთხთვალაში სახედრები ყოფილან შებმული. მისი ბორბალი შემდგარია ორი ნაწილისაგან. ურმის ჰავლებში ლასტებია ჩადგმული. უნებლიედ აქ გვაგონდება თრიალეთში აღმოჩენილი ოთხთვალა, რომლის ბორბლები ასევეა შედგენილი, თუმცა ეს უკანასკნელნი, სუმერული ოთხთვალას ბორბლებისგან განსხვავებით სამი ნაწილისაგან არიან შემდგარნი. ზემოთქმულს დავსძენთ, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ჩვეულებრივი ურმის გარდა შემონახული აქვს ბორბლიანი ურმის ისეთი ნიშვიათი სახეები, როგორიცაა ბოლოთრია ურემი და ჩოჩიალა ურემი.

სუმერების კულტურის არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქალაქური დასახლების ტიპი. ამჟამად ისიც ირკვევა, რომ ბერძნული ქალაქი – სახელმწიფო (პოლისი) თავისი წარმოშობით ძველ აღმოსავლეთს, კერძოდ სუმერეთს, უკავშირდება.

ზემოთქმულთან ერთად შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სუმერების კულტურას ბევრი სხვა მონაპოვარიც ახასიათებს. სუმერები არიან შემქმნელი მეტალურგიისა, ხეროობისა და დამწერლობისა. მათვე ეკუთვნის ბევრი

ცალკეული ხასიათის მონაპოვარი. მაგალითისათვის დავასახელებთ სუმერული თოხს, რომელიც ამავე დროს ბარიც იყო და გამოიხატებოდა ტერმინით **მარ**. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს სუმერული სახელწოდება – **მარ** მრავალ კულტურულ ენაშია გადასული–ბაბილონურში (მარრუ), არამეულში (მირ), სირიულში(მარა), არაბულში (მარუნ), ლათინურში (მარრა), იტალიურში (მარრა), ბერძნულში (მარრონ), ფრანგულში (მარრ, მარ). დასახელებულ ენებში ეს სახელწოდება აღნიშნავს თოხს ან ბარს, ან კიდევ ორივეს ერთად. ამ სუმერულ ტერმინს ქართულში ბარი უნდა შეესატყვისებოდეს.

ზემოთ ჩვენს მიერ მითითებული კულტურის ძირითადი ელემენტები: მიწის მოქმედება, შინაური საქონელი, სახვნელი იარაღი, ბორბლიანი ტრანსპორტი, დასახლების ქალაქური ტიპი, ლითონის დამუშავება და დამწერლობა შეადგენენ იმ შესანიშნავ კულტურას, რომელსაც სუმერული კულტურა, ან ცივილიზაცია ეწოდება. ეს კულტურა ძირეულად განსხვავდება მასზე წინ არსებულ კულტურებისაგან, ვინაიდან მასში მოცემულია კულტურის ახალი ელემენტები და განვითარების ახალი გზებია დასახული. იგი ნამდვილად ახალი მოსაბრუნია კულტურის განვითარების ისტორიაში. შეიძლება მივიღოთ, რომ კაცობრიობის კულტურის ისტორიის წელთაღრიცხვა ამ ეპოქიდან უნდა იწყებოდეს. წინა აზიაში ამ ხანად შეიქმნა ცივილიზაციის საფუძვლები, ერთად ცხოვრების ახალი ფორმები. ოთხი ათასი წლის მანძილზე აქ შესრულდა კაცობრიობის ისტორიის ერთი უშესანიშნავი თავი. ამ დიდი კულტურის შექმნის დროს სუმერებთან ერთად მრავალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ამჟამად მეცნიერებაში გარკვეულია, რომ სუმერები თავისი ჩამომავლობით არ იყვნენ არც სემიტები, არც ინდო-ევროპელები და არც თურქ-მონღოლები. ისინი ეკუთვნიან იმ დიდ ხალხთა ოჯახს, რომელიც წინა აზიის (ამიერ-კავკასიის ჩათვლით) მკვიდრ მოსახლეობას შეადგენს. ამათ რიცხვში ივარაუდებიან სუმერებს გარდა ხურები, ხეთები, ხალდები, თობალები, მოსხები, იბერები, კოლხები და სხვები, რომლებიც ქართველების შორეული ან უშუალო წინაპრები იყვნენ.

1947 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალდური წარწერა

საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია ერთი ოთხკუთხი ფორმის ქვა, რომლის განი 78 სმ-ია, სიმაღლე–50 სმ, ხოლო სისქე–49 სანტიმეტრს უდრის. ეს ქვა ჩამოტანილია ქ. ვანიდან (თურქეთი), სადაც იგი ამ ქალაქის უძველესი დროის ციხის კედელში ყოფილა დატანებული. მის წინა გვერდზე ცხრა სტრიქონად ამოკვეთილია ხალდური ლურსმული წარწერა, რომელიც ხალდურად იკითხება ასე: „**შე-ი-ნუ-ა-შე აშ-ბუ-უ-ი-ნი-ხი-ნი-შე ი-ნი ე-ხი ზა-ა-დ-უ-ნი სი-ე-ირ-ში-ნი-ი-ე მე-ნუ-ა-შე ა-ლი-ე ა-ლი ი-ნუ-სი-ი-ნი ჰა-არ-ნი-სი-ნი-ი სი-ირ-ში-ნი ტუ-ირ-დ-ულ-ი-ნ ი-ნ-ა-ა-ნი ე-სი-ნი**“. წარწერა პირობით ითარგმნება: „**მენუამ, იშბუნის შვილმა, ეგეიტრად აკაგე ეს ვანსასვენებელი; მენუა ამბობს ყოველი სამარხი-ეგეიტერი დევე განსასვენების სახლად იყოს განკუთვნილი**“. წარწერის ამოსაკვეთ იარაღებად ნახმარია სატეხი და ხელ-კვერი.



ხალდური წარწერა
(საქართველოს მუზეუმის კოლექცია)

წარწერაში მოხსენებული **მენუა** სახელგანთქმული ისტორიული პირია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის წინათ მე-IX საუკუნის ბოლოს და მე-VIII საუკუნის პირველ მეოთხედში (810–778 წწ.) მოღვაწეობდა. იგი იყო მეფე იმ ქვეყნისა, რომელსაც **ასურელები** ჯერ **ნაირს** და შემდეგ **ურართუს** უწოდებდნენ (**ურართუ** უდრის დაბადების წიგნის **არარათს** და **ჰეროდოტეს — ალარადიოს**). ამ ქვეყნის მოსახლეობა თავის მიწა-წყალს **ბაიანას** ეძახდა და თავის თავს **ხალდაეველებს** და **ბაიანელებს**. **ხალდების** სამეფო **ყანის ტბის** გარშემო და **ევფრატის** და **ტიგროსის** სათავეების ჩრდილოეთით მდებარეობდა.

მენუა ცნობილია ისტორიაში, როგორც **ბაიანის** ცალკე სამთავროების გამაერთიანებელი და ცენტრალური მმართველობის შემომღები. მის დროს **ბაიანაში** აგებულა შესანიშნავი სასახლეები, გაჯვანილა სარწყავი არხები, მოწყობილა წყალსადენები, საფუნდუკოები (თავშესაფარი სახლები) და სხვ. აღსანიშნავია, რომ **მენუას** დროს გამართული წყალსადენი, რომელიც შორეულ წყაროებიდან **ბაიანას** დედაქალაქს სასმელ წყალს აწვდიდა, დღემდე დაცულია და ამ წყალსადენით ამჟამადაც სარგებლობენ ქალაქ **ყანის** მცხოვრებნი.

ასურელების და ხალდეველების ბრძოლა XIII ს. ქ. წ.
დამარცხებული არიან ხალდეველები

მენუას დროს **ბაიანა** წარმატებით ებრძოდა სამხრეთით **ასურეთს**, დასავლეთით ამარცხებდა **ხეთელებს** და მათ ციხესიმაგრეებს ართმევდა, ხოლო ჩრდილოეთით მისი საზღვრები **ალაგიოზის** და **ვოქრის ტბის** ხაზს აღწევდა.

მენუას ხანაში დაწყებული **ბაიანას** წარმატება შემდეგში კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა. **ბაიანას** სამეფო მოკლე ხანში მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა. მისი საზღვრები ხშირად **მტკვრის აუზამდე** მოდიოდა. **ასურეთი** და სხვა იმ დროის სხვა სახელმწიფოები შურით შესცქეროდნენ **ბაიანას** გაძლიერებას. ამ დროს მეზობლებისათვის საზღაპრო შეიქნა **ბაიანას** სიმდიდრე. ერთ-ერთი **ასურული** წარწერა (714 წ. ქ. წ.) მოგვითხრობს **ასურელების** მიერ **ბაიანას** ერთი ტაძრიდან გაზიდული საუნჯის შესახებ. იქ მრავალ ოქროს, ვერცხლს, ბრინჯაოსა და სპილენძის ნივთებს შორის დასახელებულია: 6 ოქროს მრგვალი ფარი, რომლებიც ტაძრის კედლებზე კიდებულა და ელვარებით თვალს სჭრიდა მნახველებს, 12 ვერცხლის ფარი, ოქროს ბოქლომები, ოქროს გასაღებები, ოქროს ხმლები, ოქროს შუბები, 33 ვერცხლის ეტლი, 394 ვერცხლის ჭურჭელი, 139 სპილოს ძვლის კვერთხი, სპილოს ძვლის ტახტი და მრავალი ბრინჯაოს ქანდაკება. ერთ ქანდაკებას ხალდური წარწერა ჰქონია: „ორი ცხენის და სამმარი ეტლის შემწეობით — **ურართუს** სამეფო საკუთარი ხელით დავიბრუნე".

პოლიტიკურად ძლიერმა **ხალდეველებმა** კულტურული ძეგლების შექმნაც შესძლეს. ის, რაც მათ შემოქმედებაში ორიგინალობის იერს ატარებს, ოთხი ხაზით მეღავნდება: 1) საკვირველი ნაგებობანი კლდეებში (სასახლე-დარბაზები, საქულბაქეები, ციხესიმაგრეები, წავარნები — **შეადარე ჩვენში უფლის-ციხე** და **ვარძია**). 2) შენობები ეგრეთ წოდებულ „ციკლოპურ" რიგზე აგებული (**შეადარე ხევსურული** „**დაკერილი წყობა**"); 3) სამელორაციო და წყალსადენთა ნაშენობანი, **ხალდურად** „პილი", რომელთა აგებას ლეგენდები დედოფალ **სემირამიდას-შამირას** მიაწერენ (**შეადარე ჩვენში** ეგრეთ წოდებული **თამარ მეფის** არხები არაგვზე, ალაზანზე და სხვ.) და 4) ლითონის დამუშავების ტექნიკა. ამ უკანასკნელის შესახებ ფიქრობენ, რომ ლითონის დამუშავება **ასურელებსაც** კი **ხალდეველებიდან** უნდა ჰქონდეთ ნასწავლი.

ამათ გარდა **ხალდეველებმა** ჩვენ დაგვიტოვეს გასაოცარი უზარმაზარი ქანდაკებები — ვეშაპები, რომლებიც მათ ღვთაებებს ანსახიერებენ და „**ეულეუკები**" (**ხალდურად**) — ქვის სვეტები, რომლებზედაც მოცემულია მდიდარი ისტორიული შინაარსის ლურსმული წარწერები. ეს უკანასკნელნი თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ცნობილ „**ტელ-ამარნას** წერილებს" და **ბოღაზკოის** არქივს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალდური ლურსმული წერის ნიშნების ნაწილი:
ასოები, სიტყვის მარცვლები და იდეოგრამები

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ხალდური** წარწერები **ასურული**, ლურსმული წერის რიგით, სისტემითაა დაწერილი. **ასურული** ლურსმული ნიშნები მირგებულია **ხალდური** ასოების, მარცვლების და იდეოგრამების გამოსახატავად და რადგანაც **ხალდური** ენა განსხვავდება **ასურულისაგან**, **ასურული** მწერლობა სრულად და სწორად ვერ გამოხატავს **ხალდურ** ბგერებს და სიტყვებს.

ამ ნაკლის მიუხედავად, ეს წარწერები ძვირფასი მასალაა მეცნიერებისათვის. წარწერები გვაწვდის ცნობებს არა მარტო უშუალოდ **ბაიანას** შესახებ, არამედ იმდროინდელ **ამიერკავკასიის** პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებაც. ესვე წარწერები უძვირფასესი მასალაა **ქალდური** ენის შესასწავლად. უფრო მეტიც: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეცნიერები **ხალდურს ქართველურ ენებს** უნათესავებენ, წარწერები ამ მხრივაც მეტად საგულისხმო შესადარებელი ობიექტია.

მეცნიერების აზრით, **ხალდურის** და **ქართველური** ენების ნათესაობა ამ ენების ფონეტიკაში, ეთიმოლოგიასა და ლექსიკაში აშკარავდება. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ **ხალდურს** შემოუნახავს ისეთი სოციალურად დიდად მნიშვნელოვანი ქართული ტერმინი, როგორიცაა **ერის-თავი**. **ხალდურში** იგი გვხვდება „**ერ-ტაუ**" და „**ერ-ტა**"-ს სიტყვების სახით, სადაც ეს სიტყვები ხალხის უფროსს, ჯარის უფროსს აღნიშნავენ. სხვათა შორის, ბოლო დროს გონებამახვილობით გამორკვეული იყო, რომ **ქართულად** უძველეს ხანაში მზეს „**არდი**" უნდა რქმეოდა. **ხალდურშიც** „**არდი**" — „**არდინა**" მზის ღვთაებას ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ **ქართული** „**არდი**" — მზის და **ხალდური** „**არდი**" — „**არდინას**" შეხვედრა, თუნდაც „**არდის**" იდეოგრამა „**ბარ**" „**ბარ**"-ად იყოს წაკითხული, შემთხვევითი არ არის.



ხალდური შენობა კლდეში

ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ გამოთქმულია მოსაზრება აგრეთვე **ხალდეველების** და **ხეთელების** ნათესაობის შესახებ. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ **ხალდეველები ხეთური** მოდგმის აღმოსავლეთის შტოა, რომელიც XIII–XII სს. ქ. წ. უცხო მოდგმის შემოსევამ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან აჰყარა. როგორც მკითხველს მოეხსენება, იმავე **ხეთელებს ქართველებს** უნათესავებენ. ამიტომ, აშკარაა, რომ **ხალდეველ-ხეთელების** ნათესაობა **ხალდეველ-ქართველებისას** კი არ დაუპირისპირდება, არამედ ამ უკანასკნელს უფრო შეამაგრებს, რამდენადაც იგი საბოლოოდ დამტკიცდება.

შენობა კლდეში

ზემოთქმულის მიხედვით მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მასალაა, სხვა ამგვარ მასალებთან ერთად, ის **ხალდური** ქვაწარწერა, რომლის აღწერით დავიწყეთ ჩვენ ეს წერილი. საქართველოს მუზეუმს არა მარტო ეს ერთი, არამედ კიდევ 27 **ხალდური ლურსმული წარწერა** მოეპოვება, რომლებიც მომავალში გამოფენილი იქნება ფართო საზოგადოების საჩვენებლად.

1929 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუზეუმის მრავალ ღირსშესანიშნავ კოლექციებში ერთ-ერთი იშვიათი კოლექცია ხეთური ბარელიეფია, რომელიც კილიკიის ტაძრიდან არის ჩამოტანილი; ხნოვანობით იგი სამი ათასი წლის მეტისაა და ხეთური ხელოვნების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს.

ხეთა (ეგვიპტური წყაროების მიხედვით ხეტა, ხოლო ასურულად ჰატტი) სახელწოდებაა იმ დიდი სახელმწიფოსი, რომელიც არსებობდა წინა აზიაში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინ მეორე ათასეულ წლებში. იგი წარმოადგენდა კონფედერაციას, რომლის შემადგენლობაში 6–8 მსხვილი ეთნიკურიერთეული შედიოდა. ყველაზე ადრინდელი ცნობა ხეთელების სახელმწიფოს შესახებ ეკუთვნის 1926 წელს ჭ.წ. მისი პოლიტიკური ძლიერების აპოგეია XIV–XII სს. ჭ.წ., როდესაც ხეთა ეგვიპტეს მეტოქედ გამოდის, ბაბილონს წარმატებით ებრძვის და ლამობს მაშინდელი მსოფლიოს ბატონ-პატრონად გადაიქცეს. ამ დროს ხეთის სამეფო გადაშენილი იყო სარდიდან მოყოლებული ევფრატის სათავეებამდე, ხოლო სამხრეთით მდინარე ორონტამდე სირიაში, სადაც ხეთელები დაეგვიპტელები არაერთხელ შებმიან ურთიერთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ძლიერების ეპოქაში ხეთის მეფენი იმდენად ქედმაღლობდნენ, რომ თავიანთ სახელწოდებას მზეობით ახსენებდენ ხოლმე. ჩვენ დრომდე მოღწეულიაერთი უძველესი საერთაშორისო ხელშეკრულების ძეგლი, რომელიც ხეთის მეფეს **ხატუსილიას** დაუდვია ამურუს მეფესთან 1259 წ. ჭ. წ. ამ ძეგლში, სხვათა შორის, წერია: „თუ მეფე მისრის (ეგვიპტის) ქვეყნისა მზის (ე.ი. ხეთის მეფის) მტერია, მაშინ შენი მტერიც უნდა იყოს. და თუ მეფე კარადუნიას (ბაბილონის) ქვეყნისა მზის (ხეთის მეფის) მეგობარია, მაშინ იგი შენი მტერიც არის; მაგრამ თუ იგი მზის მტერია, ესევე უნდა იყოს შენი მტერი. შენი ვაჭარი არ უნდა შევიდეს ასურეთის ქვეყანაში, არც მისი ვაჭარი უნდა შეუშვა შენს ქვეყანაში და ვერც შენს ქვეყანაზე უნდა გაიაროს მან. მაგრამ, თუ მაინც შემოვიდა იგი შენს ქვეყა-ნაში, დაიჭირე და მიიყვანე მზესთან (ხეთის მეფესთან). ეს სიტყვა შენ ფიცად უნდა დაგედვას“.

ხეთური ბარელიეფი
(საქ. მუზ. კოლექცია)

მაგრამ დიდებაში მყოფ ხეთის სამეფოს მალე კარს მოადგა შავი დღეები. ასურელებმა და მუსკებმა (მესხებმა) თანდათან შეასუსტეს მისი ბატონობა. 717 წელს ჭ. წ. საბოლოოდ მოისპო ხეთების უკანასკნელი სამთავრო. მოისპო და განადგურდა მათი სახელმწიფო და მათი პოლიტიკური ძლიერება. სამაგიროდ წარუხოცელი დარჩა ის კულტურული კვალი, რომელიც ხეთელებმა კაცობრიობის წინსვლის ისტორიაში აღბეჭდეს. გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა პირობებმა ხეთას დააკისრა უდიდესი კულტურული როლი. დიდი ხნის განმავლობაში ხეთელებს გადაჰქონდათ ევროპაში აზიის კულტურული მიღწევები. თუ საბერ-

ხეთის მეომრები (კადეშის ბრძოლის მონაწილენი 717 წ. ქ. წ.)

ძნეთის და შემდეგ მასზე აღმოცენებული ევროპის კულტურა კაცობრიობის ისტორიაში ეგრე დაწინაურებული ჩანს, უნდა ვიცოდეთ რომ იგი, სხვათა შორის, ხეთური კულტურის ზეგავლენის ნაყოფია. ხეთელებმა მათი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნეს უდიდესი ღირებულების მქონე ხელოვნება, კანონმდებლობა, რელიგია და სხვა, რომლებიც თაობათ გადაეცა, როგორც კულტურული განძი და საფუძველი შემდგომი განვითარებისა და წარმატებისათვის.

ცნობისმოყვარე მკითხველი ალბათ შეგვეკითხება, თუ საიდან ვიცით ჩვენ ამდენად შორეული დროის ვითარებები. მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ მეცნიერების უნარს, თავდადებას და გამჭრიახობას ბევრი შეუძლია. აღმოჩენები ხეთური კულტურის დარგში საერთო ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერების საუკეთესო ფურცლებს შეადგენენ. წინა აზიაში (კაპადოკია), სირიაში (დასავლეთი მცირე აზია) წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მიწის წიაღიდან მზის სინათლეზე გამოიტანეს შესანიშნავი ძეგლები, რომელთაც ჩვენს წინაშე გადაშალეს დიდი და ორიგინალური ხეთური კულტურა. სხვათა შორის, აღმოჩენილია ხეთელების დედაქალაქი ხატტუსა (ეხლანდელი ბოღაზკოი), სადაც ნაპოვნია სახელმწიფო არქივი. არქივი შეიცავს 10000 ლურსმულ წარწერიან თიხის დაფას, რომლის ტექსტები გვაწვდის ძვირფას იმდროინდელ პოლიტიკურ ცნობებს, კულტურულ და ლიტერატურულ მასალებს. ამას გარდა აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილებში მრავალი მონუმენტალური ძეგლი, ბარელიეფი, ხატოვანი და ლურსმული წარწერა, წვრილი ნივთები და სხვა.

ხეთელი (მ. ზემპერით) **ლეკი**

საქართველოს მუზეუმის ბარელიეფი ერთ-ერთ ასეთ ხეთის ქვეყანაში აღმოჩენილ ხეთურ ძეგლს წარმოადგენს. ბარელიეფი ბაზალტის ქვაა, რომელზედაც ამოკაწყვეტია სამსხვერპლოს წინაშე მდგომი მამაკაცი. მას მარცხენა ხელში ყურძნის მტევანი და პურის თავთავი (?) უჭირავს. წინ ქამარზე ჰკიდია ტანსაცმლის ატრიბუტი. თუმცა ქანდაკების ხუჭუჭი თმა და წვერი მას უფრო ასურელს მიამგზავსებს, მაგრამ ჩვენ ვიცნობთ სხვას, ხეთის ქვეყანაში ნაპოვნ ბარელიეფებს, რომელნიც ჩვენს ქანდაკებას

მიტანელი (მ. ზემპერით) **მეგრელი**



ხეთიან ქვეყნის რუკა(ა. კოშელევი)

მიემგზავსებიან და ხეთური ხელოვნების ნიმუშად არიან ცნობილი. მაგალითად ქანდაკება იბრ.ის კლდეზე, ქანდაკება ლომების კვარცხლბეკზე და სხვანი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ინტერესი ხეთური კულტურისადმი მარტოდ-მარტო საქართველოს მუზეუმის ბარელიეფით როდი განისაზღვრება. ამ ინტერესს სხვა გარემოებაც კვებავს, საგულისხმოა, რომ ხეთის კონფედერაციის ზოგიერთი ეთნიური ერთეული, მეცნიერების აზრით, ქართველებს და კავკასიის ავტოხტონებს ენათესავება. ბოლო დროს გამოთქმულია მოსაზრება (ე. ფორერი, მ. წერეთელი და სხვ.), რომ ხეთის ენებიდან პროტოხატური და ბალაური ქართულ ენასთან უნდა იდგნენ ახლო და რომ ანთროპოლოგიურად ხეთელების ტიპი ლეკს მიემგზავსება. მეორე მხრით, ფიქრობენ, რომ ხეთელის ტიპი ანთროპოლოგიურად მიტანელებს ენათესავება, ხოლო მიტანელები მეგრელების მინამგზავსი უნდა იყნენ.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზებია. არც მეტი, არც ნაკლები. მათი საბოლოოდ დამტკიცება ახალ კვლევა-ძიებას და ხეთური მასალების გამრავლებას მოითხოვს. დღემდე აღმოჩენილი ხეთური ძეგლების მიხედვით აშკარაა, რომ ხეთის სამეფო მეტისმეტად ნარევი ელემენტებისაგან ყოფილა შემდგარი. ამ ნარევიდან სხვადასხვა ეთნიური ელემენტების ამომარცვლა მძიმე პრობლემაა. მისი გადაჭრა იმდენად გაადვილდება, რამდენადაც ახალი მასალები შეემატება მეცნიერებას. ეს კი ახალ არქეოლოგიურ გათხრებს და სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს. ქართული მეცნიერება მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ მუშაობაში.

1929 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაონ ტუტანხამონის აკლდამა [1]

1922 წლის მიწურულში რადიოდეპეშამ ლუქსორიდან (ეგვიპტეშია), მთელ განათლებულ კაცობრიობას, მეტად საყურადღებო ცნობა გადმოსცა. ამ ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე ფართე საზოგადოებაში. რადიო იტყობინებოდა, რომ ექვსი წლის გამწევნისი და დაჟინებითი არქეოლოგიური ძიებისა და გათხრების შემდეგ ლორდმა კარნარვონმა და ჰორვარდ კარტერმა ეგვიპტის უძველეს სატახტო ქალაქ ფივასთან ეგრეთ წოდებულ „სამეფო ველზე" ფარაონის თითქმის ხელუხლებელი აკლდამა აღმოაჩინესო.

ეს აღმოჩენა პირველ ყოვლისა გაოცებას იწვევდა თავის მოულოდნელობით. „სამეფო ველის" მიდამოები ეგვიპტეს სავსებით გამოკვლეული ეგონათ. აქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ მთელი რიგი პირველხარისხოვანი მეცნიერები (ვილკინი, სოლტი, მასპერო, გრებო), რომელთაც აღმოაჩინეს ფარაონთა აკლდამები – მერეპერტისა, რამსეს I, რამსეს II-ისა, III, IX, XI, ამენესის, ხატეხსნისა და ტუტმოს IV-ის. უკანასკნელად აქ თხრიდნენ ეგვიპტოლოგები დავისი და ბურხარდტი. თვით კარნარვონი და კარტერი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ აქ უშედეგოდ. და აი, ასეთად შესწავლილ მიდამოში კიდევ ახალი აკლდამის აღმოჩენა დიდ სენსაციას ქმნიდა.

ცნობიმოყვარეობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ აკლდამა კარგად დაცული და თითქმის ხელუხლებელი იყო, რაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა წინათ აღმოჩენილ სამეფო აკლდამებთან შედარებით.

როგორც ისტორიიდან ვიცით – ეგვიპტელები, თანახმად მათში საიქიო ცხოვრების შესახებ გაბატონებული შეხედულებისა, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ მიცვალებულის მიმართ. ისინი ცდილობდნენ დაეცარათ სიკვდილის მსგავსი ხელი და საიქიო ცხოვრებისათვის დაურღვევლად შეენახად ადამიანის სხეული. აქედან წარმოსდგება სხეულის შემურვის წესი – მუმია[2].

მაგრამ თუ ეგვიპტელები ცდილობდნენ მიცვალებულის სხეულის დაცვას, ისინი არანაკლებ ზრუნავდნენ იმისთვის, რომ მიცვალებულთა საიქიო ცხოვრებისათვის იდეალური პირობები შეექმნათ. ამიტომ ისინი აგებდნენ ზოგჯერ სასახლეებს მსგავს აკლდამებს, რთავდენ მათ ავეჯით, სარიტუალო საგნებით, რაც კი საჭიროა ცხოვრებაში მიცვალებულის ხმარებაში იყო. რასაკვირველია,

[1] შენიშვნა: 1923 წ. ივნისში ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკა"-ს ჟრონიკაში (გამეორდა 1925 წ. 31 ოქტ.), გამოქვეყნდა ცნობა ეგვიპტოლოგ კარნარვონის უეცარი გარდაცვალების შესახებ, რომელიც აწარმოებდა ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის გახსნას. გადმოცემით ტუტანხამონი შურს იძიებდა „მყუდროების დარღვევისათვის" მით უფრო, რომ ფარაონის სარკოფაგში აღმოჩენილ პაპირუსში, ჩამოწერილი იყო „შელოცვა და წყევლა იმისადმი, ვინც დაარღვევდა მკვდართა ძილს".

ეს ლეგენდა უფრო ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, როცა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა: ;ბერიელი მეცნიერი, რომელიც აგრძელებდა კარნარვონის დაწყებულ საქმეს და შავი ჭირისაგან დაიღუპა გათხრებში მონაწილე 500 მუშა.

ჟურნალის რედაქციის თხოვნით, გ. ჩიტაიამ გამოაქვეყნა აღნიშნული წერილი (თ.ც.)

[2] მუმია არაბული სიტყვაა და ნიშნავს ასფალტს. შემურულ სხეულს, ეგვიპტურად **ს ა ხ ე** ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად შეძლებული იყო მიცვალებული, მისი სამუდამო სამყოფელი ოფლრო მდიდრად იქნებოდა მორთული.

ამ მხრივ მეფეთა აკლდამებში დაუფასებელი საუნჯეები იყო ხოლმე დაცული. ადამიანის ხარბ თვალს, ცხადია ეს გარემოება არ გამოეპარებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური სარწმუნოება სასტიკად უკრძალავდა აკლდამების ხელის ხლებას – მდიდარი სამარხები ძალიან ხშირად გასაძარცაგ ობიექტად ხდებოდა.

შენახულია ისტორიული საბუთები, რომლებიდანაც ჩანს, რომ მეფეთა აკლდამები არაერთხელ გაუტეხია და გაუძარცავს აჯანყებულებს და დამშეულ ბრბოს. ისეთი შემთხვევებიც ვიცით, რომ მომდევნო ფარაონს თავისი წინამორბედის აკლდამა მიუსაკუთრებია და იქიდან წინა ფარაონის მუმია გამოუძევებია.

სურ. 1. გამინცრეული კედელი ფარაონ ტუტანხამონის განსასვენებელ ოთახში

ამ მოვლენების მიზეზების არსებობის გამო დღემდე მეცნიერებს მოლიანი და ხელუხლებელი აკლდამა ფარაონისა არ ჰქონდათ ნაპოვნი. ამიტომ კარნარვონისა და კარტერის აღმოჩენა უაღრესად საინტერესო შეიქმნა. ეს შემთხვევა ერთხელაც მეცნიერებს საშვალებას აძლევდა ნათლად დარწმუნებულიყვნენ, თუ რას წარმოადგენდა და რა სიმდიდრის შემცველი იყო ფარაონის ნამდვილი სამარხი. და ჭეშმარიტად, რაც აქ აღმოჩნდა, „ეგვიპტური ხელოვნების სილამაზისა და სიფაქიზის თვალისმომჭრელ მოვლენას წარმოადგენს".

აკლდამის შესავალ კარებზე აღმოჩნდა ფარაონ რამზეს IX ინსპექტორების მიერ დასმული ბეჭდები. ეს ფარაონი მეფობდა 1142–1123 წლებში ქრისტეს წინათ. უნდა გვეფიქრა, რომ აკლდამა ამავე ხანას ეკუთვნის. მაგრამ აკლდამის შიგ შესვლამ, წარწერებმა და კუბოსარკოფაგის გახსნამ დაამტკიცა, რომ იგი უფრო ძველი დროისაა და ეკუთვნის ფარაონ ტუტანხამონს.

უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემება. აკლდამის ერთ კედელს ემჩნევა, რომ ის ქურდებს გაუტეხიათ, მაგრამ ჩვენთვის გამოურკვეველი მიზეზის გამო, ბევრი ვერაფერი წაუღიათ და წაღებულიდანაც ზოგი რამ გზაზედ დაჭარგვიათ, რასაც ამტკიცებს დავისის მიერ წინათ წარმოებული გათხრის დროს აჭნაპოვნი ფაიფურის შესანიშნავი ჭურჭელი. სამარხის გაძარცვის ცდის ფაქტის გამო რამზეს მეფის ინსპექტორებს აკლდამა შეუმოწმებიათ და ახალი ბეჭდები დაუსვამთ.

ვიკითხოთ რას წარმოადგენს თვით აკლდამა და რა სამეცნიერო ღირებულებისაა მასში დაცული ინვენტარი?

მიწაში გაყვანილი კიბეები აკლდამის შესავალ კარებს ადგება. ამ კარებიდან თვალს შედიხართ აკლდამის წინა ოთახში, რომელიც სიგრძით 25 ფუტია, ხოლო სიგანით 12 ფ. ამ ოთახში შემოსავლიდან მარჯვნივ არის დარბაზი, რომელშიც დასვენებულია ფარაონის კუბო-სარკოფაგი. დარბაზს აკრავს ორი სალარო ოთახი. მეცნიერები კარნარვონი და კარტერი შევიდნენ პირველად წინა ოთახში 1922 წ. 29 ნოემბერს, ხოლო დარბაზში 1923 წ. 16 თებერვალს სხვა მეცნიერებთან ერთად. აი, როგორ აგვიწერს დარბაზში შესვლის უაღრესად საინტერესო უშუალო განცდას ჩვენი დროის უდიდესი ეგვიპტოლოგი ბრესტედი: „ჩვენ ვიყავით არქეოლოგების პირველი ჯგუფი, რომელიც შევიდა ფარაონის აკლდამის განსასვენებელ დარბაზში, სადაც ყველაფერი იმავე რიგზეა დაცული, როგორც ეს 3250 წლის წინათ იყო დალაგებული, როდესაც დარბაზი დაბეჭდეს ქურუმებმა და მეფის მოხელეებმა... ერთხელაც არის უდიდესი ცივილიზაცია სათანადო სისრულით წარმოგვიდგა თვალწინ შესანიშნავ სილამაზის და ძალის მქმნელებათა სახით. ეს უდიდესი თავისებური აღმოჩენაა არქეოლოგიურ მეცნიერების ისტორიაში".

ჯერ კიდევ არ არის გახსნილი ორი ოთახი – სალარო. სწარმოებს გამალებული მუშაობა აღმოჩენილ ნივთების ასაწერად და მუზეუმში დასაცავად. ფიქრობენ, რომ მათ მოსაწესრიგებლად საჭირო იქნება არანაკლებ ორი წლისა. და თუმც ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა საიდუმლოებას ფარავს ჯერ კიდევ დაბეჭდილი ორი ოთახი–სალარო, მაგრამ რაც უკვე აღმოჩენილია – ყოველ მოლოდინს აჭარბებს. ჩვენ ვერ შეუდგებით აქ ნაპოვნ ნივთების ჩამოთვლას. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს.



სურ. 2. სამეფო ტახტი

წინა ოთახში სამი შესანიშნავი ხელობის მოოქვრული სარეცელი იდგა– შემდგარი ცხოველებზე (წყალი ლომი, წყალი ძროხა, წყალი ჰიპოპოტამი); სარეცლებზე ზემოთ და ქვემოთ საცა კი მოიპოვებოდა თავის უფალი ადგილი–იყო მოთავსებული სხვადასხვა ოქროსი, სპილოს ძვლის და ძვირფასი ქვებით მოოქვილი საგნები: სპილოს ძვლის და შავი ხისაგან გაკეთებული სავარძელი, ალებასტრის ვაზები, თეთრი ლარნაკი, სამეფო ტახტი იშვიათი ხელობისა (იხ. სურათი 2) მთელს მსოფლიოში ერთად ერთი ეგზემპლიარი; ალებასტრის ჭურჭლები სურნელოვან წყლებისათვის, ძვირფასად მოხატული ლარნაკი და მრავალი სხვა. ამავე ოთახში იდგა ღირშესანიშნავი ხელობის ალებასტრის ორი ქანდაკება–დარბაზის კარიბჭის მცველები.

ნაპოვნი ოქრო და ძვირფასი თვლები (საგნების მხატვრული ღირებულება, რომ არ ჩავთვალოთ) შეფასებულია სამ მილიონ გირვანქა სტერლინგად. მაგრამ რაც ამ ნივთებში დაუფასებელია და ყოველივე მატერიალური ღირებულების ზევით დგას – ეს არის ამ ნივთებში მოცემული ხელოვნება.

ამ ხელოვნების ხასიათი იმდენად არაჩვეულებრივია საზოგადოდ ეგვიპტურ ხელოვნებაში, რომ ჩვენს წინაშე სრულიად ახალს საკითხებს ბადებს და ახალს სახეს აძლევს დღემდე ცნობილს ეგვიპტურ ხელოვნებას. განათხარ მასალაში წარმოდგენილი ხელოვნება– უარყოფაა ეგვიპტის ძველი, რუტინისა და შაბლონის, სტილიზაციის ხელოვნებისა და რეალიზმის, უშუალობის მჩქეფარე ნაკადულია.

სურ. 3. ფარაონი ტუტანხატონი (ბერლინის მუზეუმი)

როდის უნდა მომხდარიყო ამ ცხოველი ნაკადულის შეჭრა ეგვიპტის კონსერვატიულ და დამდორებულ ცხოვრებაში?

საისტორიო წყაროებიდან ჩვენ ვიცოდით, რომ ეგვიპტეში რევოლუცია მოახდინა ფარაონ ტუტ-ანხ-ატონმა, რომელმაც უარყო ეგვიპტელების ძველი ღმერთი ამონი (ღმერთი მესაიდუმლე) და ღმერთად ატონი–მზე (ღმერთი ჭეშმარიტებისა) გამოაცხადა. მანვე ადამიანთა თანასწორობა აღიარა, გაამეფა ერთგვარი დემოკრატიზმი და ხელოვნებაშიც რეალიზმი შეიტანა. დღემდე ის კი არ ვიცოდით, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ხელოვნებაში ამ ახალი სულის შთაბერვა.

ეს ფარაონი, რომლის თავის ქანდაკებამოდელს ჩვენამდე მოუღწევია (იხ. სურ. 3) მეფობდა ქრ.წ. მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში 1358 წლამდე. წყაროებიდან არ ჩანს–გარდაიცვალა იგი ბუნებრივი სიკვდილით, თუ თავისი გაბედული რეფორმების მსხვერპლი შეიქმნა.

ვარაუდით კარნარვონისა და კარტერნის მიერ ნაპოვნი რეალიზმით აღბეჭდილი ინვენტარი დაახლოვებით ტუტ-ანხ-ატონის პერიოდისა უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება გამართლდა კიდეც.

გამოირკვა, რომ კუბოსარკოფაგში განისვენებდა ტუტანხამონი, რომელიც 1358–1350 წწ. ქ.წ. მეფობდა. იგი სიძე იყო ტუტანხატონისა. მან უარყო თავისი წინამორბედის რეფორმები და დაუბრუნდა ძველ მამაპაპურ სარწმუნოებას, დაემორჩილა ქურუმების გავლენას და იახტ-ატონში გადატანილი სატახტო ქალაქი ისევ ფივაში დაიბრუნა.

აღმოჩენილი მასალა ამქიანებს, თუ რამდენად გულწრფელად უბრუნდებოდა ტუტანხამონი ძველს სარწმუნოებას. შინაურ ცხოვრებაში, ეტყობა, იგი არ ღალატობდა თავის გენიოს სიმამრის რეფორმებს და რამდენადაც პირობები ხელს უწყობდა, მკაფიოდ მისდევდა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შექმნილი მდგომარეობა, ჭურუმების სასტიკი იერიშები, რეაქციის წინაშე მას ქედს ახრევინებდა და ჭურუმების ტყვედ ხდიდა. სახელმწიფოებრივ სარბიელზე დიდი წინასპარის ამ პატარა ეპიგონმა უღალატა ტუტანხატონის დიად საქმეს. მან თავისი პირვანდელი სახელი ტუტანხატონი, რაც ნიშნავს – „ატონის ცხოველი სახე" – ტუტანხამონად (ამონის – ძველი ღვთაების სახელი – ცხოველი სახე) შესცვალა და რაც დააკლდა მის სახელს, როგორც სახელმწიფოებრივ მოღვაწისას – ქამთა სრბოლაში ხელუხლებელი დაიცვა მისმა სამარემ. ეს არის ტუტანხატონის მიერ შექმნილი ამარნის ახალი სკოლის რეალიზმით აღბეჭდილი ხელოვნება, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ და რომლის უძვირფასესი ნიმუშები ასე მრავლად მოიპოვება ტუტანხამონის (სურ. 4) აკლდამაში.

სურ. 4. ფარაონ ტუტანხამონის ქვის სარკოფაგში მოთავსებული ოქროს სარკოფაგი.

ამგვარად ცხადი ხდება, თუ რა დაუფასებელ ღირებულებას წარმოადგენს მეცნიერებისათვის, როგორც კულტურულ-ისტორიულის, ისე ხელოვნების მხრივ ეს იშვიათი და საკვირველი აღმოჩენა.

ამ აღმოჩენის ხელმძღვანელებიდან – გორჰარდ კარტერი დახელოვნებული არქეოლოგია, ხოლო ლორდი კარნარვონი მეცნიერი დილეტანტი იყო. ამ გათხრებისათვის მან დიდძალი ფული გაიღო და დიდი ნებისყოფა და გამძლეობა გამოიჩინა.

ადრე ლორდი კარნარვონი გატაცებული იყო ყოველგვარი სპორტით. ავტომობილზე მარცხის გამო ის იძულებული შეიქმნა სპორტისათვის თავი დაენებებია.

რამდენიმე წლის წინათ მან მიმართა ბრიტანეთის მუზეუმის ეგვიპტურ განყოფილების გამგეს უ. ბაჯს – მისთვის ისეთი საქმე აერჩია, რაც ფიზიკურ შრომას არ მოითხოვდა. ბარჯმა ხუმრობა ნარევი სერიოზულობით ეგვიპტის არქეოლოგიურ გათხრებზე მიუთითა და თანაც ხელმძღვანელად და თანაშემწედ კარტერი დაუსახელა.

კარნარვონი არქეოლოგიურმა გათხრებმა გაიტაცა. ამ გატაცებამ და დაინებამ იგი უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენამდე მიიყვანა. ხოლო თვით კარნარვონი „სამეფო დარბაზის" გახსნიდან თვენახევრის გასვლის შემდეგ 1923 წ. 5-ს აპრილს კაიროში გარდაიცვალა – კოლოს კბენა გაუხდა მიზეზად.

ეგვიპტის ფელახებში დღემდე დაცულია ძველი გადმოცემა იმის შესახებ, რომ ვინც მიცვალებულთა მუყდროებას დაარღვევს, აკლდამებს შეეხება და მათს ბეჭდებს დახსნის – ეგვიპტის ღვთაება მას სიკვდილით დასჯის. ეგვიპტეში კარნარვონის მოულოდნელ სიკვდილს ბევრნი ამონის (ღვთაების) რისხვით ხსნიან. მაგრამ, როგორადაც არ უნდა ახსნან მისი გარდაცვალება, ცხადია, რომ კარნარვონმა უდიდესი ღვაწლი დასდო მეცნიერებას.

1925 წ.

მუმია და სარკოფაგი

საქართველოს მუზეუმის მრავალ ღირსშესანიშნავ კოლექციაში მოიპოვება ერთი იშვიათი კოლექცია, რომელიც ეგვიპტიდანაა ჩამოტანილი და ხნოვანობით 2500 წლის მეტისაა. იგი წარმოადგენს ხის კუბოს (სარკოფაგს), რომელშიც მოთავსებულია დღემდე გაუხრწნელად შენახული ადამიანის ნეშტი (მუმია).

ეგვიპტელების შეხედულებით ადამიანის სული (ეგვიპტურად ეწოდებოდა კა) ცოცხალი არსება იყო და მას შეეძლო სიხარულის და მწუხარების შეგრძნობა, აზროვნობა და სმა-ჭამა. ადამიანის უკანასკნელ ამოსუთქვასთან ერთად იგი როდი ისპობოდა, არამედ სიცოცხლეს განაგრძობდა. მაგრამ სიცოცხლის გაგრძელება სავსებით დამოკიდებული იყო იმისგან, თუ რამდენად შენახული იქნებოდა მისი სამყოფი ჭურჭელი, ადამიანის ნეშტი. რამდენად ნეშტი ლპობისა და გახრწნისაგან იყო დაცული, იმდენად სულიც უკვდავი უნდა ყოფილიყო; წინააღმდეგ, თუ ნეშტი იხრწნებოდა, სული საშინელ ტანჯვაში ვარდებოდა: იგი გონებას ჰკარგავდა, თანდათან ილეოდა დაბოლოს, ნეშტის გაქრობასთან ერთად, ისიც სამუდამოდ ისპობოდა. რომ ადამიანის ორეული, მისი სული (კა) ამ საშინელ ტანჯვას და სამუდამო გაქრობას აცდენოდა, საჭირო იყო ადამიანის ნეშტის გაუხრწნელად დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად ეგვიპტელები კარგად ნაცად საშუალებას მიმართავდნენ. ისინი წამლითა და სურნელოვან ნივთიერებით ისე გაჟღენთავდნენ ნეშტს, რომ ის საუკუნეების განმავლობაში კარგად ინახებოდა. ჩვენ დრომდე ასე გაჟღენთილი, ხნოვანებით 3000 წ. მეტის მუმიებია მოღწეული, რომელთაგან თითო-ოროლა სხვადასხვა დიდ მუზეუმებშია დაცული.

სარკოფაგი

ეგვიპტეში ნეშტის გაჟღენთვის რამდენიმე წესი არსებობდა. იმის მიხედვით, თუ რა ღირების მასალა იხარჯებოდა გასაჟღენთად– საუკეთესო წამლები, ძვირფასი ნელსაცხებლები და სხვა–მუმიაც მდიდრული, კარგი და უფრო გამძლე გამოდიოდა. ასეთი მუმია ხარჯსაც მეტს მოითხოვდა. რამდენად მდარე მასალა მოხმარდებოდა მუმიას, იმდენად, ცხადია, მისი გამძლეობა ნაკლებ საიმედო იყო.

ნეშტის შესუდრვა

ჩვენ აქ მოვიტანთ ნეშტის შემზადების ერთ-ერთ წესს.

როგორც კი მსუდრავებს (ნეშტის გამჟენთავი და შემსუდრავი) ადამიანის ნეშტს მიუტანდნენ, იმწამსვე იწყებოდა გაჟღენთვის და შესუდრვის რთული პროცედურა. იგი სადოსტაქარო ოპერაციების გარდა, გამოიხატებოდა შელოცვებში და წართქმების შესრულებაში. თავდაპირველად მსუდრავი განსაკუთრებული იარაღის შემწეობით ცხვირის ღრუს გზით მიცვალებულს ტვინს ამოაცლიდა. მეორე მსუდრავი ობსიდიანის (ვულკანური შუშის) დანით ნეშტს მუცელთან გაჭრიდა. შესამე მსუდრავი ამ ჭრილობიდან მიცვალებულს თვალის დახამხამებაში შიგნეულს ამოაცლიდა, მუცლის ღრუს პალმის ნაყოფის ღვინით გამორეცხდა და სურნელოვანი ნივთიერებებით ამოავსებდა. ამის შემდეგ ნეშტს მარილის წყლით სავსე კასრში ჩასდებდნენ, სადაც იგი 70 დღეს უნდა დებულიყო.

ნეშტს, მარილის წყლიდან ამოღების შემდეგ, შემოადებდნენ ავგაროზებს და თილისმებს, ფეხებსა და იღლიაში ჩაუდებდნენ შიგნეულებს, მერე მარმაშის ნიღაბს ჩამოაფარებდნენ, შემოახვევდნენ დოლბანდებს, ჩამოაცმევდნენ კვართს დაბოლოს 3–4- ჯერ შესუდრავდნენ. ასე შემზადებულ ნეშტს ეგვიპტურად **ს ა ხ უ** ეწოდებოდა, ხოლო არაბულად **მუმია** (ჩვენში მუმია ჰქვია ადამიანის გაჟღენთილი ნეშტის ნაწილებს, რომლებიც ხალხურ მკურნალობაში ჭრილო-

შელოცვა ნეშტის შესუდრვის დროს

ბებისა და წყლულების მოსარჩენად იხმარება). ეგვიპტელების აზრით ამგვარ მუმია უზრნველყოფდა ადამიანის ნეშტის უხრწნელობას და, მაშასადამე, მისი სულის (ka) უკვდავებასაც.

საქართველოს მუზეუმის კუთვნილი მუმია ერთ ასეთ უხრწნელ ნეშტს წარმოგვიდგენს. მის სარკოფაგზე (კუბოზე) დაწერილი იეროგლიფები (ხატოვანი წერა) არკვევენ, რომ ნეშტი ეკუთვნის ქალს თახარუს, ღვთაება მუთის მსახურს. თახარუ გარდაცვლილა ჩვენი წელთაღრიცხვის წინ მე-VII საუკუნეში. ნეშტს ხელები ჯვარედინად აქვს დაკრეფილი გულზე. იგი შესაღარულია თავამდე. მიუხედავად თითქმის განვლილი 2600 წლისა, მისი სახე ღღესაც კარგადაა შენახული. დაცულია ტუჩები, ცხვირი, ქუთუთოები, გუგა, ყურები და ქერა თმა. მართალია თვალის გუგებში უკვე შუქი ჩამქრალია, ღაწვები ჩაცვენილია, კანი გაშავებულა და მის ქვეშ უკვე სისხლი არ მოძრაობს, მაგრამ ის, რაც შენახულა და დროს მსახვრალ ხელს გადარჩენია – სამართლიანად ჩვენში გაკვირვებას იწვევს.

სარკოფაგი, ხის კუბო, თავის ქანდაკების და იეროგლიფური წარწერების გარდა, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მისი მხატვრობის ქვემოთ უფრო ძველი მხატვრობა ჩანს. ამ უკანასკნელის ფონი ყვითელი უნდა ყოფილიყო, რაც ეგვიპტის სარკოფაგებზე X–IX საუკუნეებში (ჩვენი წელთაღრიცხვის წინ) იყო მიღებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, თუ ძველი მხატვრობის ფონი მთლიანად ყითელი გამოდგა, რომ X–IX სს. სარკოფაგი გამოუყენებიათ VII საუკუნეში ახალი მიცვალებულის განსასვენებლად; ჩანს, სარკოფაგის ადრინდელი მიცვალებულის მყუდროება დაურღვევიათ, რაც ეგვიპტელების შეხედულებით უდიდეს ცოდვად და მკრეხელობად ითვლებოდა. ეგვიპტეში ფელახებს ღღესაც სწამთ, რომ ვინც აკლდამებს დახსნის, მუმიებს შეეხება და მიცვალებულებს შეაშფოთებს–უზენაესი ღვთაება მას სიკვდილით დასჯის.

ვინ იყო ამ სარკოფაგის ადრინდელი მობინადრე, ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როდესაც საქართველოს მუზეუმი შეძლებს დაუზიანებლად სარკოფაგის ზემო ფენის მხატვრობის აღებას, უთუოდ ქვემოთ აღმოჩნდება ხატოვანი წარწერა, რომელიც გაარკვევს სარკოფაგის პირველი პატრონის ვინაობას.

1929 წ.

ETHNOGENESIS AND CULTURAL-HISTORICAL PROBLEMS OF GEORGIAN PEOPLE

(SUMMARY)

Preparation of scientific works of Academician G.Chitaia, a famous Georgian ethnographer, for edition is the matter of paramount importance as the significance of these works is inestimable for Georgian historical science. Therefore, our efforts in the matter of edition of five-volume scientific heritage of G.Chitaia is very understandable. However, in our troubled times the fulfilment of scientific achievements is quite difficult and during fourteen years we were unable to set the metter going right up to 1997 when, after incredible efforts, the first volume of "Works" saw the daylight. But after three years it turned out that because of the lack of funds necessary for the edition of following volumes the things reached the dead-lock and we faced the bitter truth - private, as well as, state philanthropy did not exist in Georgia. However, in the most critical moment the help came in the person of Zurab Tsereteli, Academician of the Academy of Sciences of Georgia, people's artist, who headed the Fund of protection of ethnographic heredity of Georgia and recommenced the edition of scientific works of G.Chitaia., rendering by that gratuitous and high moral deed an invaluable service to Georgian science, for making national the property that by right and undividedly belongs to this people is a noble and patriotic action.

G.Chitaia, having devoted his whole life to the study of the culture of Georgian ethnos and to the determination of the place of Georgian people in world culture became an unsurpassed example of faithful service to high science.

Scientific works of G.Chitaia are wholly dedicated to investigation of ethnogenesis and cultural and historical problems of Georgian people. By the notion "culture" the scientist means national peculiarities and features revealed in industrial experience and labour habits. He thinks that each people makes its own contribution to world culture as "properties, acquired in practice in empirical way".

"Georgian ethnography – G.Chitaia wrote – is avowed to present national culture as a whole, that means to reveal the achievements of material, economic and spiritual culture of Georgian people. However, before depicting the culture of ethnos as a whole, it is indispensable to single out its separate elements, make detailed fixation, find inherent original features and analyze them in the view of concrete social-economic and general historical processes. Only thus it is possible to recreate the real picture of originality of the culture.

G.Chitaia did not recognise "more or less" important problems. The most insignificant ethnographic element, coming into the sight of the scientist was subjected to thorough examination. By wide statement of the problem, accuracy at material treatment, using the comparative method exposing ethnic specifics and cultural-historical valuables, the scientist demonstrated unlimited possibilities of ethnographic science in investigation of the problems of ethnogenesis, particularly in hunting out deep ties of traditional culture with cultural world of the Caucasus and Asia Minor.

The second volume of "Works" by G.Chitaia includes scientific works of 1924–64 relative to ethnogenesis and cultural-historical problems of Georgian people. In spite of the fact that in his works G.Chitaia mainly studied and analyzed separate elements of material culture and economics or concrete problems of ancient social and ideological relations, they, these works, are of great theoretical interest as, because of widest scope of ethnographic, historical, archaeological, linguistic and other materials, the general problem of ethnography and ethnocultural history of the peoples of Georgia, the Caucasus and Asia Minor are pushed into the foreground.

In these works G.Chitaia not only shows up distinctive features of separate elements and cultural and everyday life phenomena of Georgian people but also opens up their general regularities.

Determining original features of Georgian popular culture G.Chitaia repeatedly emphasizes that this culture is by no means isolated and detached, as it may appear if insufficient comparative material is analyzed and investigated. On the basis of the newest achievements of science the author exposes the features of likeness in those ethnocultural formations which were composed and developed on a vast area of the Caucasus and Asia Minor.

In his numerous works G.Chitaia presents the corresponding materials that confirm the thesis about the connection of ancient Georgia and ancient East, their closeness being stipulated by historico-cultural and in some cases even by genetic succession.

In the works on the problems of ethnogenesis a great place is devoted to the criticism of erroneous theories, according to which Georgian tribes are the later comers to the present territory of Georgia and are the descendants of different origin hordes that were traversing the territory of Georgia. On the basis of the most recent achievements of historical science in the field of ethnogenetic investigations, using ethnographic material, archaeological and linguistic data G.Chitaia reinforces the thesis about the existence of succession between the culture of Georgian people and most ancient civilizations of Asia Minor and thus makes an important contribution in the development of general problems of ethnogenesis of Georgian people.

Elucidating the problems of origin of the most important elements of culture and mode of life, G.Chitaia arrives at a statement of the problem of ethnic composition and ethnogenesis of Georgian people dedicating a number of his investigations to this problem ("Acad. S.Janashia and the problem of the origin of Georgian People", "Theories of ethnogenesis of Georgian people", "I.Javakhishvili and ethnography of Georgia" "Popular ethnonymic legends").

As to the problems of ethnic composition the particular interest of the author is attracted by the information of Georgian written monuments of the 10th century about Kvarelians localized by that time in the upper stream of the river Iori and by the beginning of the 19th century being moved beyond the Alazani valley in Kakheti. As a result of investigation of the corresponding historical and ethnographic material G.Chitaia has proved that after displacement this ethnic group found itself in a congeneric cultural and ethnic surroundings, assimilated with Kakhetians becoming

one in economic, cultural and linguistic respects. Exposing similar facts in other Georgian regions too, the author came to the conclusion about the existence of concrete conditions determining the process of migration of some part of upland population to lower areas of Georgia. These facts together with the other, already known facts of population infiltration from lowland to upland regions enable to more fully illustrate the process of internal migrations of some sections of population of the country which is the best showing of important changes in social and economic life of people. The exposure of such facts has a great significance for interpretation of some main problems of the history of Georgian people.

The same can be said about the work of G.Chitaia devoted to the study of ethnic composition of Urums. The author managed to prove that this term is not of ethnic but of religious origin and denotes ethnically heterogeneous mass among which the scientist singles out ethnic groups of Georgian origin.

In investigations of ethnographic material concerning the problems of ethnogenesis of Georgian people G.Chitaia, besides the information of written sources, archaeology and linguistics, considers folk legends frequently containing valuable information about the past of the people. Studying the origin of Khevsurs, G.Chitaia makes the best use of folk legends, according to which the ancestor of Khevsurs is called "Sanigi" and the country from where they descended - "Chanchieti". Not without reason the author thinks that here we have the coincidence of eponymic appellation "Sanigi" with the name of tribe of Sanigs testified by ancient authors. On the other hand, the name of place "Chanchieti", in author's opinion, points out the territory of settling of Chans or the same Khalds and Khalibs well-known to ancient authors. The author strengthens this statement with ethnographic parallels from the everyday life of Khevsurs and Megrel-Chans. On the basis of the above said parallels the author supposes that this cultural community possibly implicates the ethnic basis of ancient population of Georgia and the Caucasus which should be considered as a substrate section.

The work "On ethnic origin of the population of ancient Abkhazeti" is devoted to the problems of ethnogenesis. With the aim to determine ethnic composition of Abkhazian population the author considers indispensable to investigate all important sources, to analyze them in complex according to the data of toponymy and ethnonymy and written sources taking into account the results of linguistic, archaeological, anthropologic and ethnographic investigations. G.Chitaia has proved that anthropologically Abkhazians belong to West Georgian anthropologic type, that Abkhazian language is in close relation with north-west languages, while culture and history relate them with Georgian culture. The author shares opinion expressed in special literature that Abkhaz-Apsuas have descended to Abkhazeti from mountain areas. Such phenomena are often in Georgian ethnography. On the basis of vast linguistic and written information G.Chitaia has proved that historically the term "Abkhaz" did not always mean "Apsua", but rather Lazhs and Georgians.

In the work 'Georgian–Abkhazian ehnographic parallels" G.Chitaia continues the theme of historical community of Abkhazians and Georgians, shows up ethnographic parallels in main fields of national culture, labour habits, that proves once more historical community and cultural and genetic relations of Georgians and Abkhazians.

The other series of works by G.Chitaia devoted to the investigation of Khevsurian, Lazhian ornament is the most valuable research in the field of history of Georgian fine arts (see "Khevsurian ornament", "Motif of 'theTree of Life' in Lazh ornament").

As a result of investigation of Georgian national ornament G.Chitaia singles out its two varieties: 1. Upland variety, chiefly of geometric plot and 2. Lowland variety, chiefly of vegetable plot. Among ornament motifs of the second group the scientist particularly notes the motif of "the Tree of Life" which in his words is connected with the cult of Great Mother - Nana, is the most ancient plots of Georgian popular art and is widely spread in ethnographic history of Georgia. In author's opinion Lazh and Svan versions of the said ornament have direct analogies in Khuritt monuments. The author pays attention that "the Tree of Life" in some Albanian-Dagestan monuments is replaced with fish. In this connection he considers numerous Georgian rites where fish is certified as fecundation power. Analyzing the mentioned facts and comparing them with such invaluable monuments of material culture as are stone "vishapi" – fertility gods from Trialeti, Javakheti and Hetami plateau, i.e. from the territory of the most ancient settlements of Ibero-Caucasian tribes, the author makes an important deduction which has a great significance for investigation of the genesis of the culture of Caucasian peoples and for stating its community.

On the basis of voluminous comparative historical material the author disproves the theory dominating in literature that Khevsurs descended from Crusaders and proposed chiefly on the basis of the motif of cross in the ornament of Khevsuri–made costume. G.Chitaia proved that the element of cross represented in Khevsuriam ornament in a whole complex of heathen figures is of prechristianity period and has apotropaic meaning. The author considers the image of the cross in Khevsurian ornament made on cloth, wood, bone, etc. as a relict of Khevsurs' religion of pretribal times which is in no way connected with Crusaders.

Considering numerous comparative material and stating the problem of origin of Khevsurian art in a wide range, the author proves cultural and historical relations of Geogian tribes with the population of ancient Asia Minor.

The work also gives a special analysis of the motif of hand certified in Khevsurian ornament.

Drawing parallels between Old Georgian materials and elements of Mediterranean – Ancient Egypt, India, Albania – culture and Khettian hieroglyphs, the author proved with perfect scientific substantiation the general distribution of the meaning of hand as a trophy of victory and a symbol of power.

Revealing cultural and historical relationships of ancient tribes of Asia Minor in ornament elements the author gives the most minute analysis of the world outlook – religious notions and beliefs of different epochs imaged in different motifs of fine arts.

When analyzing cultural and historical relations of Georgian people with the tribes of ancient East on examples of material culture, G.Chitaia solves the problems of genetic relationship, devoting special researches to various elements of household utensils, weapons and costume.

Attaching important significance to separate elements of costume in stating cultural relationships, the scientist especially studies the footwear with upturned toes which, up to the end of the 9th century made the organic part of Georgian–made costume "kulaja" and had analogies with footwear of Caucasian (South Dagestan) people. At the same time having determined apotropaic meaning of decoration of such footwear G.Chitaia studies analogous material of the everyday life of the people of Ancient East and deduces that footwear with such sharply demonstrated toe was the characteristic peculiarity of the costume of Khuritts and Tashub-Khetts.

Disputing the opinions of a number of scientists who identify the ancient East footwear with toe with Assyrian footwear with analogical toe G.Chitaia concludes: "In the view that the likeness of Khurito-Khettian and Georgian–Dagestanian elements of material culture is observed in various items, therefore the above mentioned ethnographic parallels exceed the bounds of typological coincidences and may point the cultural and genetic kinship of these peoples".

In works devoted to the study of national costume, besides large descriptive material G.Chitaia states the principle that Georgian costume should be considered in historical aspect, first of all as the demonstration of specific national culture showing the peculiarities of popular mode of life, material culture, decorative and aesthetical style and cultural and ethnic relationships of Georgian people with the people of the Caucasus and Asia Minor.

Unlike those scientists who reduced the complicated way of development of Georgian costume to the so-called theory of mode and borrowing from outside, G.Chitaia shows that Georgian national costume during its centuries–old existence underwent a series of changes and varied in compliance to historical epochs covered by Georgian people and that main types of this costume were formed according to economical and everyday life, class and tribal signs.

Studying historical ways and conditions of Georgian national costume formation and exposing the peculiarities of this element of everyday life according to separate ethnic formations G.Chitaia concludes that in the second half of the 19th century in central regions of Georgia on the basis of peasant costume general types of male and female costumes were formed, becoming widely spread over entire Georgia. In the process of studying of separate elements of Georgian costume (headwear, footwear, etc.) the author comes to the conclusions of cultural and historical significance but especial interest of the researcher is arized by the ornament of Khevsurian clothes, to which he dedicates a special monograph.

The monograph is one of the best ethnographic publications in Georgia. There he disproves an erroneous opinion which tries to explain the original cut of Khevsurian costume by the fact that supposedly Khevsurians are the part of those European Crusaders who found shelter in the Caucasian mountains and settled on the territory of the present Khevsureti.

As a result of comprehensive analysis of main elements of Khevsurian ornament, the author concludes that a number of elements should be attributed to the archaic times and belong to the complex of the oldest culture of Georgian people. Such are, in the first place, ornamental motifs known under the terms "kheli",

"khati", "tsikivkava", "kutkhani", anthropomorphic and zoomorphic pictures, etc. Out of all types of Khevsurian ornament G.Chitaia particularly singles out "Khati" (the image of cross), reveals its parallels in materials from Musieri, Elama, and to similar images of Khetts, in the monuments of Creta-Mycenean culture, on Etruscan antiquities, in Retenuan materials. In the latter ones the author supposes the representatives of Khuritts, Mosokhs, Tubals and other tribes of the same cultural and ethnic world. In the light of these data the author finds the total likeness between the cross on the costume of Retenuan, cross as a hieroglyphic symbol and basic type of cross on Khevsurian cloth. At comparative study the likeness in ornament execution (application), equally characteristic for the costume of Retenuans and Khevsurs, is also revealed.

The researches of G.Chitaia in the field of ornament decoration of Georgian popular costume helped to solve ethnogenetic problem in favour of Georgian origin of Khevsurs.

Separate elements of culture are studied in scientific works:"'Stili' of Khevsurs", "Costume of Khevsurs", "Khevsurian bow and arrow", "Khevsurian 'satseruli'", "'Sila' and 'laga'" where on the basis of comparison with concrete literary sources the importance of ethnographic source in the process of history investigation is shown.

In the work "Hoe culture in West Georgia" embracing a circle of problems relating to agriculture of West Georgia lowland areas G.Chitaia considers interesting material characterizing early stage of agriculture development in West Georgia. The author particularly dwells on different labour tools of archaeological and ethnographic character indicating such a high level of agriculture development in West Georgia which supposed the existence of a great variety of these tools created and perfected by Georgian people in the course of a long period of time.

In this work the characterization of agricultural systems in Georgia is given. As the basic elements of these systems the author names hewing, shifting, fallowing and deep tillage and notes that hoe, pick and yoke tools are used in the first case, plough-beam hoeing tools – in the second, plough-fore tools – in the third and mould-board plough-fore tools – in the fourth case. The establishment of definite relation between agricultural systems and ploughing tool forms has an important significance for studying the history of agriculture in Georgia.

When discussing hewing tillage G.Chitaia indicates that in this case the oldest endemic cereals were used as seeds. Comparing historical (I.Javakhishvili), botanic (G.Zhukovsky, V.Menabde) and archaeological (M.Ivashchenko, N.Khoshtaria) data with ethnographic material, G.Chitaia makes a statement on the antiquity of agriculture in West Georgia and on high level of its development since the very beginning of our era. Determining specific moments of West Georgian lowland agriculture the author has convincingly shown the creative role of Georgian people in the development of this basic trend of agricultural activity of men.

Describing and classifying soil tilling implements in West Georgia, G.Chitaia particularly dwells on West Georgian hoe and its importance in the everyday life of local peasantry. In this respect the scientist points out that the existing ethnographic material proves that hoe in West Georgia is the most necessary tool

without which the local landowner can not manage. The peasant uses this tool for clearing and breaking up ground and hewed section, for tilling kitchen-garden, weeding and hilling up maize, for clearing "gomi", millet, "Makha", " Zanduri" from weeds; the hoe substitutes tillage tools on high hills, on mountain slopes, forest clearings, near trees overgrown with vine, etc.In other cases, due to climatic and soil conditions of West Georgia, the peasants were just breaking up soil for sowing.

Such all-purpose tool having so varying functions could appear only as a result of long development process, going with its roots far into centuries and allotted with original features

Study of the elements of material production in order to expose cultural and historical relations and interdependences is a significant factor in scientific works of G.Chitaia. For example, giving the analysis of Adjarian "datva-bokva", one of the varieties of wooden lock, the author makes quite important conclusions – he disproves the viewpoint considering the West as the motherland of such locks and proves that Sumerian-Babylonian culture should be considered as the source of origin of "datva-bokva" and the likes.

G.Chitaia devoted a special research to the history of vine in Georgia, directing his particular attention to old Jewish and old Iranian legends according which from all known ancient places of vine cultivation the preference in the sense of its origin is given to South Caucasus. The popular legends indicate the territory populated from the old times by aboriginal people of Iberian-Caucasian origin thus denying the priority of Semitic and Indo-European people in origination of this trend of economy.

The author sets a modest task before himself, i.e. just to direct attention on the oldest legends about the origin of vinegrowing. The obtained conclusions should be accounted for in the process of investigation of the basic issues of the named problem.

G.Chitaia was the ethnographer in a wide sense of the word. His scientific interests embraced all fields of ethnographic science. The scientist has also not left out of attention a number of problems of historical ethnography. In the work "Everyday life realities in 'The Knight in the Tiger's Skin'" the everyday life and ethnographic objects and realities closely connected with the reality of national mode of life of Georgia are considered. On example of studying ethnographic elements "mena" and "tavshedgmuli" certified in the poem, G.Chitaia proved unquestionable connection of the poem with Georgian ethnographic surroundings.

In the work "Tbilisi in feudal epoch" the author accentuates the fact that the period of flourishing of the town coincided with feudal epoch, that caused the interest of the scientist to the problems of mode of life in Tbilisi of feudal epoch.

The individuality of town life was determined with the peculiarities of everyday life and common rites connected with separate realities formed according to the general trends of mode of life. Alongside with various factors, an important role in the formation of the specific mode of life of Tbilisi was played by social relations, town family culture, national sports shows, forms of settlements, etc. The individuality inherent to Tbilisi was created with many-balcony houses,

markets, town trading, handicraftsmen. Sport shows and especially "tskhenburti" (playing ball mounted on horses) held in the suburbs were of particular interest.

The author considers indispensable to widen the sphere of studying of the mode of life of Tbilisi in feudal epoch, particularly, to investigate the problems of ethnogenesis, historical development, social, economic and political situation and on this background to analyze the results of cultural and historical relations effecting the formation of specific everyday culture and colorite of Tbilisi.

In scientific works of G.Chitaia there are reflected the questions of aboriginal origin of Georgians and peoples of the Caucasus, the questions of originality and antiquity of their culture, rich everyday working biography of Georgian people and is given scientifically substantiated analysis of the investigated problems. These works, on the one hand, give the investigation of genesis, development stages and conditions of preservation of the culture of Georgian people and of the forms of traditional mode of life and, on the other hand, determine the place of Georgian culture in modern everyday life.

ЭТНОГЕНЕЗ И КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

(Резюме)

Подготовка к изданию научных трудов академика **Г.С. Читая** – знаменитого грузинского этнографа – дело первостепенной важности, поскольку их значение непреходяще для грузинской исторической науки. Исходя из этого, понятны наши усилия в деле издания пятитомника научного наследия **Г. Читая.** Однако в наше беспокойное время реализация научных достижений весьма затруднена, и в течение четырнадцати лет нам не удалось сдвинуть дело с мертвой точки вплоть до 1997 года, когда первому тому „Трудов" удалось увидеть свет после неимоверных усилий. Но через три года выяснилось, что из-за неимения нужных на издание последующих томов средств дело опять зашло в тупик и мы оказались перед лицом горькой действительности – в Грузии отсутствовала благотворительность, как частная, так и государственная. Однако в самый критический момент помощь все же пришла в лице академика Академии наук Грузии, народного художника **Зураба Церетели**, который возглавил „**Фонд охраны этнографического наследия Грузии**" и возобновил издание научных работ **Г. Читая**, оказав тем самым безвозмездную и высокоморальную услугу грузинской науке, ибо сделать народным достоянием то, что по праву и безраздельно принадлежит этому народу, является поступком благородным и патриотическим. **Г. Читая**, посвятивший всю свою жизнь изучению культуры грузинского этноса, определению места грузинского народа в сокровищнице мировой культуры, своим научным наследием предстанет перед нами как непревзойденный пример высокого служения большой науке.

Научные труды **Г. Читая** всецело посвящены исследованию этногенеза и культурно-исторических проблем грузинского народа. В понятие „культура" ученый вкладывает национальные особенности и свойства, проявленные в производственном опыте и трудовых навыках. Он считает, что каждый народ в мировую культуру в качестве своей лепты вносит „достояния, приобретенные им на практике эмпирическим путем".

„Грузинская этнография – писал **Г. Читая** – призвана представить народную культуру в целом, что означает выявить достижения материальной, хозяйственной и духовной культур грузинского народа. однако до того, как изобразить культуру этноса в целом, необходимо выделить ее отдельные элементы, произвести детальную фиксацию, найти присущие ей самобытные свойства и проанализировать их в сочетании с конкретными социально-экономическими и общими историческими процессами. Только таким путем возможно восстановить реальную картину самобытности культуры..."

Г. Читая не признавал „более" и „менее" важных по своему значению вопросов. Самый незначительный этнографический элемент, попав в поле зрения ученого, подвергался тщательной обработке. Широкой постановкой вопроса, аккуратностью при обработке материала, привлечением

сопоставительного метода, выявлением в выводах этноспецифики и культурно-исторических ценностей ученый демонстрировал неограниченные возможности этнографической науки при исследовании проблем этногенеза, в частности при выискивании глубинных связей традиционной культуры с культурным миром Кавказа и Передней Азии.

Второй том „Трудов" **Г. Читая** включает в себе научные работы 1924–60-х гг. касательно этногенеза и культурно-исторических проблем грузинского народа. Несмотря на то, что в трудах **Г. Читая** главным образом изучены и проанализированы отдельные элементы материальной культуры и хозяйства или конкретные вопросы древних социальных и идеологических отношений – они, эти труды, представляют большой теоретический интерес, поскольку в них в результате самого широкого охвата этнографических, исторических, археологических, лингвистических и других материалов, на передний план выдвигаются общие проблемы этнографии и этнокультурной истории народов Грузии, Кавказа, Передней Азии.

В этих работах **Г. Читая** не только выявляет самобытные черты отдельных элементов и явлений культуры и быта грузинского народа, но и раскрывает их общие закономерности.

Устанавливая самобытные черты грузинской народной культуры, **Г. Читая** в своих работах неоднократно подчеркивает, что эта культура отнюдь не занимает изолированного и обособленного положения, как это может показаться при ее изучении без привлечения достаточного сравнительного материала. Опираясь на новейшие достижения науки, автор выявляет черты сходства в тех этнокультурных образованиях, которые складывались и развивались в обширном районе Кавказа и Передней Азии.

В многочисленных работах **Г. Читая** приводятся соответствующие материалы, подкрепляющие положение о связи Древней Грузии с Древним Востоком, близость которых была обусловлена в прошлом культурно-исторической, а в некоторых случаях и генетической преемственностью.

В работах, посвященных вопросам этногенеза, большое место уделено критике ошибочных теорий, согласно которым грузинские племена якобы являются поздними пришельцами на нынешнюю территорию Грузии, потомками групп прошедших по территории Грузии полчищ различного происхождения. Опираясь на новейшие достижения исторической науки в области этногенетических исследований, путем привлечения этнографического материала, данных археологии и лингвистики **Г. Читая** подкрепляет положение о наличии преемственности между культурой грузинского народа и древнейшими цивилизациями Передней Азии и тем самым вносит значительный вклад в разработку основных проблем этногенеза грузинского народа.

Г. Читая, проливая свет на вопросы происхождения важнейших элементов культуры и быта, приходит к постановке проблем этнического состава и этногенеза грузинского народа, которым он посвящает ряд исследований („Академик **С. Н. Джанашия** и проблема происхождения грузинского народа", „Теории о происхождении грузинского народа",

„**И. Джавахишвили** и этнография Грузии", „Этнонимические народные предания").

В отношении вопросов этнического состава особое внимание автора привлекает сообщение грузинских письменных источников X века о кварельцах, к тому времени локализованных в устье верхнего течения р. Иори, а к началу XIX века оказавшихся перемещенными за Алазанскую долину Кахети. В результате изучения соответствующего историко-этнографического материала **Г. Читая** установил, что эта этническая группа после своего перемещения попала в родственную культурно-этническую среду, ассимилировалась с кахетинцами, слившись с ними в хозяйственном, культурном и языковом отношениях. Выявив аналогичные факты и в других районах Грузии, автор пришел к выводу о наличии конкретных условий, определивших процесс переселения известной части горного населения в равнинные районы Грузии. Эта серия фактов наряду с известными уже фактами просачивания населения равнинных районов Грузии в горные районы, дает возможность полнее осветить процесс внутренних перемещений некоторых слоев населения страны, что является показателем значительных изменений в общественно-экономической жизни народа. Выявление подобных фактов имеет большое значение для освещения некоторых узловых вопросов истории грузинского народа.

То же самое можно сказать и о труде **Г. Читая**, посвященном изучению этнического состава урумов. Автору удалось показать, что этот термин не этнического, а конфессионального происхождения и обозначает этнически неоднородную массу, среди которой ученый выделил этнические группы грузинского происхождения.

В исследованиях, касающихся вопросов этногенеза грузинского народа, в основе которых лежат этнографические материалы, **Г. Читая**, помимо данных письменных источников, археологии и языкознания, привлекает также и предания, нередко содержащие ценные сведения о прошлом народа. Изучая происхождение хевсуров, **Г. Читая** умело пользуется сообщениями народного предания, согласно которому предок хевсура ликокец называется „саниги", а страна, откуда он вышел – Чанчиети. Автор не без основания полагает, что здесь имеется совпадение эпонимного наименования „саниги" с названием племени санигов, засвидетельствованным античными авторами. С другой стороны, название места „Чанчиети", по мнению автора, указывает на территорию расселения хорошо известных и античным авторам чанов или тех же халдов и халибов. Это свое положение автор подкрепляет этнографическими параллелями из быта хевсуров и мегрелов-чанов. Опираясь на вышеуказанные параллели, автор полагает, что, вероятно, эта культурная общность подразумевает ту этническую основу древнего населения Грузии и Кавказа, которую нужно считать субстратным слоем.

Проблемам этногенеза посвящена работа „Об этническом происхождении древнеабхазского населения". С целью определения этнического состава абхазского населения автор считает необходимым

изучить все существенного характера источники, обработать их комплексно согласно данным топонимики и этнонимики, письменных источников, учитывая результаты лингвистических, археологических, антропологических и этнографических исследований. **Г. Читая** установил, что абхазы антропологически принадлежат западногрузинскому антропологическому типу, что абхазский язык находится в тесной связи с северо-западными языками, а культура и история роднит их с грузинской культурой. Автор согласен с высказанным в специальной литературе мнением, что абхазы-апсуа спустились в Абхазию с горных районов. Подобные явления в грузинской этнографии встречаются часто. **Г. Читая**, опираясь на обширные языковые и письменные данные, установил, что термин „абхаз" исторически не всегда обозначал апсуа, а скорее всего лазов и грузин.

В работе „Грузино-абхазские исторические параллели" **Г. Читая** продолжает тему исторической общности абхазов и грузин, выявляет этнографические параллели в основных отраслях народной культуры, трудовых навыках, что еще раз указывает на историческую общность и культурно-генетические связи между грузинами и абхазами.

Другая серия работ **Г. Читая**, которая посвящена изучению хевсурского, лазского орнамента, является ценнейшим исследованием в области истории грузинского изобразительного искусства (см. „Хевсурский орнамент"; „Мотив „древа жизни" в лазском орнаменте").

В результате изучения грузинского народного орнамента **Г. Читая** выявляет две его разновидности – 1. горный, преимущественно геометрический и 2. долинный, преимущественно с растительным сюжетом. Среди орнаментальных мотивов второй группы ученый особо выделяет мотив „древа жизни", который, по словам исследователя, увязывается с культом Великой матери Наны, является древнейшим сюжетом грузинского народного искусства и имеет широкое распространение в этнографической действительности Грузии. По мнению автора, лазский и сванский варианты упомянутого орнамента находят прямые аналогии в хурритских памятниках. Автор обращает внимание, что „древо жизни" в некоторых албано-дагестанских памятниках заменено рыбой, в связи с чем он привлекает многочисленные грузинские обряды, в которых в качестве оплодотворяющей силы засвидельствована рыба. Анализируя означенные факты и сопоставляя их с такими ценными памятниками материальной культуры, какими являются каменные вишапы – божества плодородия из Триалети, Джавахети и Гегамского плоскогорья, т.е. с территории древнейшего населения иберо-кавказских племен, автор приходит к ценным выводам, имеющим большое значение для изучения генезиса культуры народов Кавказа и установления их общности.

На основании обширного историко-сравнительного материала автор опровергает господствующую в литературе теорию происхождения хевсуров от крестоносцев, выдвинутую главным образом на основании мотива креста в орнаменте хевсурского мужского костюма. **Г. Читая** доказал, что элемент креста, представленный в хевсурском орнаменте в целом комплексе

языческих фигур, дохристианского происхождения и имеет апотропейное значение. Изображение креста в хевсурском орнаменте, засвидетельствованное на ткани, дереве, кости и т.д., рассматривается автором, как реликт религии хевсуров времен дородового быта, который ничем не связан с крестоносцами.

Привлекая многочисленный сравнительный материал и поднимая в широком плане вопрос происхождения хевсурского искусства, автор устанавливает культурно-исторические связи грузинских племен с племенами древнего переднеазиатского населения.

В работе дан также специальный анализ засвидетельствованного в хевсурском орнаменте мотива руки.

Проводя параллели между материалами Древней Грузии и элементами средиземноморской культуры – Древнего Египта, Индии, Албании и хеттскими иероглифами, автор с полной научной обоснованностью доказывает общее распространение значения руки, как трофея победы и символа власти.

Вскрывая в элементах орнамента культурно-исторические взаимоотношения древнейших племен переднеазиатского населения, автор дает здесь же тончайший анализ мировоззрения – религиозных представлений и верований отдельных эпох, отображенных в отдельных мотивах изобразительного искусства.

При анализе культурно-исторических связей грузинских племен с племенами Древнего Востока, на примерах материальной культуры, **Г. Читая**, посвящая специальные исследования отдельным элементам утвари, оружия и костюма, разрешает вопросы генетического родства.

Придавая важное значение отдельным элементам костюма при установлении культурных взаимоотношений, ученый специально исследует обувь с изогнутым вверх „носком", которая вплоть до конца XIX века составляла органическую часть грузинского мужского костюма „куладжа" и имела аналогию и у других народов Кавказа (южный Дагестан). Выявив вместе с тем апотропейное значение украшения такой обуви, **Г. Читая** привлекает аналогичный материал и из быта народов Древнего Востока и приходит к выводу, что обувь с таким резко выраженным носком являлась характерной особенностью костюма хурритов и тешуб-хеттов.

Оспаривая существующие по данному вопросу точки зрения ряда ученых, отождествляющих древневосточную обувь с носком с ассирийской обувью с аналогичным носком, **Г. Читая** заключает: „Ввиду того, что сходство между хурритско-хеттскими и грузино-дагестанскими элементами материальной культуры прослеживается на самом различном материале, поэтому вышеуказанная этнографическая параллель выходит за рамки типологических совпадений и может указывать на культурно-генетическое родство этих народов".

В работах, посвященных изучению народного костюма, помимо обширного описательного материала, **Г. Читая** дает принципиальные установки, согласно которым грузинский костюм следует рассматривать в

историческом аспекте прежде всего как показатель специфической национальной культуры, отражающий особенности народного быта, материальной культуры, художественно-эстетитеского вкуса и культурно-этнических связей грузинского народа с народами Кавказа и Передней Азии.

В отличие от тех ученых, которые сводили сложный путь развития грузинского костюма к т.н. теории мод и заимствований извне, **Г. Читая** показывает, что грузинский народный костюм за свое многовековое существование претерпел ряд изменений и варьировал в соответствии с историческими эпохами, пройденными грузинским народом и что основные типы этого костюма складывались по признакам хозяйственно-бытовым, классово-сословным и племенным.

Исследуя исторические пути и условия становления грузинского национального костюма и выявляя особенности этого элемента быта по отдельным этническим образованиям, **Г. Читая** приходит к выводу, что во второй половине XIX века в центральных областях Грузии на базе крестьянского костюма сложились общенациональные типы мужского и женского костюмов, получившие широкое распространение во всей Грузии. В процессе изучения отдельных элементов грузинского костюма (головной убор, обувь и т.д.) автор приходит к выводам, имеющим культурно-историческое значение, однако особый интерес исследователя вызывает орнамент хевсурской одежды, которому он посвящает специальную монографию. Монография является одной из лучших этнографических публикаций в Грузии. В ней убедительно опровергается ошибочное мнение, пытающееся объяснить оригинальный покрой хевсурского костюма тем, что хевсуры якобы представляют собой часть тех европейских крестоносцев, которые нашли убежище в Кавказских горах и обосновались на современной территории Хевсурети.

В результате всестороннего анализа содержания основных элементов хевсурского орнамента, автор приходит к выводу, что многие элементы относятся к архаическому времени и принадлежат к комплексу древнейшей культуры грузинского народа. К числу последних прежде всего относятся орнаментальные мотивы, известные под наименованием хели, хати, цикивкава, кутхани, антропоморфные и зооморфные изображения и т.д. Из всех видов хевсурского орнамента **Г. Читая** особо выделяет хати (изображение креста) и выявляет его параллели в материалах из Мусиери, Элама, а также аналогичные изображения у хеттов, на памятниках крито-микенской культуры, на этрусских древностях, у ретенуйцев, причем автор в последних усматривает представителей хурритов, мосохов, тубалов или других племен того же культурно-этнического мира. В свете этих данных автор находит полное сходство между крестом на костюме у ретенуйца, крестом в качестве иероглифического знака и основным типом креста на хевсурской ткани. При сравнительном изучении выявляются схождения и по способам выполнения орнамента (аппликация), одинаково характерным как для костюма ретенуйца, так и для костюма хевсура.

Исследования **Г. Читая** в области орнаментального украшения грузинского народного костюма способствовали решению этногенетического вопроса в пользу грузинского происхождения хевсур.

Отдельные элементы культуры исследуются в научных трудах: „Хевсурский стили (мера веса)", „Хевсурский костюм", „Хевсурский лук и стрела", „Хевсурский сацерули (кастеты)", „Сила и лага (меры объема)", в которых на основе сопоставления с конкретными литературными источниками показано значение этнографического источника в процессе исследования по истории.

В работе „Мотыжная культура в Западной Грузии", охватывающей круг вопросов, относящиехся к земледелию равнинных районов Западной Грузии, **Г. Читая** привлекает выразительный материал, характеризующий ранний этап развития земледелия в Западной Грузии. Автор особо останавливается на различных орудиях труда археологического и этнографического характера, указывающих на такой уровень развития земледелия в Западной Грузии, который предполагал наличие разновидности этих орудий, созданных и совершенствуемых грузинским народом на протяжении длительного времени.

В этой же работе дана характеристика земледельческих систем в Грузии, в качестве основных элементов которых автор выдвигает подсечную, переложную, паровую и глубокую вспашку с указанием, что первой соответствует мотыга, кирка, черкушка и яремные орудия, второй – грядильные пахотные орудия, третьей – передковые пахотные орудия и четвертой – передковые пахотные орудия с отвалом. Установление определенного соотношения между системами земледелия и формами пахотных орудий имеет существенное значение для изучения истории земледельческой культуры Грузии.

Касаясь подсечного земледелия, **Г. Читая** указывает, что при этом в качестве основных семян применялись древнейшие эндемичные злаки. Сопоставляя с этнографическими материалами данные истории (**И.А. Джавахишвили**) ботаники (**Г.М. Жуковский, В.Л. Менабде**) и археологии (**М.М. Иващенко, Н.В. Хоштария**), **Г. Читая** выставляет положение о глубокой древности земледельческой культуры Западной Грузии и о высоком уровне ее развития уже к началу нашей эры. Установлением специфических моментов западногрузинского равнинного земледелия автором убедительно показана творческая роль грузинского народа в развитии этой основной отрасли сельскохозяйственной деятельности человека.

Описывая и давая классификацию орудий обработки почвы в Западной Грузии, **Г. Читая** особо останавливается на западногрузинской мотыге и ее значении в быту местного крестьянства. В связи с этим ученый отмечает, что имеющиеся этнографические материалы свидетельствуют о том, что мотыга в Западной Грузии является самым необходимым орудием, без которого местный земледелец не может обойтись. Этим орудием крестьянин расчищает и взламывает почву, подсечный участок, обрабатывает

огород, пропалывает и окучывает кукурузу, очищает гоми, просо, маха, зандури от сорняков; мотыга заменяет ему пахотное орудие там, где последнему нет доступа – на высоких горах, на склонах гор, на мелких лесных полянах, у деревьев с высокоствольной лозой и т.д. В иных случаях благодаря климатическим и почвенным условиям Западной Грузии крестьяне довольствовались лишь взламыванием почвы под посев.

Подобное универсальное орудие, имеющее столь многообразные функции, могло появится лишь в результате длительного процесса развития, идущего своими корнями в глубь веков и наделенного самобытными чертами.

Изучение элементов материального производства с точки зрения выявления культурно-исторических связей и взаимоотношений является показательным в научных работах **Г. Читая**. Например, представляя анализ аджарского „датва-боква", одной из разновидностей деревянного замка, автор делает весьма ценные выводы – опровергает точку зрения, считающую запад родиной этих замков и доказывает, что источником происхождения „датва-боква" и ей подобных нужно считать шумеро-вавилонскую культуру.

Г. Читая посвятил специальное исследование истории культуры виноградной лозы в Грузии, заострив внимание на древнееврейские и древнеиранские предания, которые в смысле происхождения виноградной лозы из всех известных древних очагов ее распространения дают предпочтение Южному Кавказу. В преданиях указана территория, с давних времен населенная аборигенными народами иберийско-кавказского происхождения, и они этим уже отрицают приоритет семитских и индоевропейских народов в происхождении этой отрасли хозяйства.

Автор ставит перед собой скромную задачу – лишь заострить внимание на древнейших легендах, существующих по вопросу о происхождении виноградарства. Полученные выводы следует учесть в процессе исследования основных вопросов названной проблемы.

Г. Читая был этнографом широкого диапазона. Его научные интересы охватывали все отрасли этнографической науки. Ученый не обошел вниманием и ряд вопросов исторической этнографии. В работе „Бытовые реалии в „Витязе в тигровой шкуре" рассмотрены бытовые и этнографические предметы и реалии, тесно увязанные с действительностью народного быта Грузии. На примере изучения этнографических элементов „мена" и „та[illegible]ледгмули", засвидетельствованных в поэме, **Г. Читая** доказал несомненную связь поэмы с грузинской этнографической средой.

В работе „Тбилисский быт в феодальной эпохе" автор акцентирует тот факт, что период расцвета города совпадает с феодальной эпохой, чем и был вызван интерес ученого к изучению вопросов тбилисского быта феодальной эпохи.

Индивидуальность городской жизни определяли особенности быта и связанные с отдельными реалиями общие обряды, которые формировались согласно основным областям быта. Наряду с разными факторами, в формировании специфики тбилисского быта сыграли значительную роль и социальные отношения, городская семейная культура, народные спортивные

зрелища, формы поселения и др. Присущая Тбилиси индивидуальность создавалась многобалконными домами, базаром, городской торговлей, ремесленниками. Особый интерес представляли спортивные зрелища, среди которых отличался „цхенбурти" (игра в мяч, сидя на лошадях), устраиваемый за городом.

Автор считает необходимым расширить сферу изучения тбилисского быта феодальной эпохи, в частности, разработать вопросы этногенеза, исторического развития, социал-экономического и политического положения и на этом фоне проанализировать результаты культурно-исторических отношений, влияющих на формирование специфики бытовой культуры и колорита Тбилиси.

В научных трудах **Г. Читая** нашли отражение проблемы аборигенного происхождения грузин и народов Кавказа, вопросы самобытности и древности их культур, богатая трудовая биография грузинского народа и научно обоснованный анализ исследуемых проблем. В этих трудах с одной стороны изучены генезис, стадии развития и условия сохранности культуры грузинского народа и форм традиционного быта, а с другой – определено место этой культуры в современном быту.

1. ჯვარის მონასტრისათვის, გაზ. „ქართული სიტყვა", 1924, 18, V.
2. არქეოლოგიური გათხრა ზემო ავჭალაში, „მეცნიერება და ტექნიკა", ტფ., 1925, № 3.
3. ეთნოლოგიური შენიშვნები 1. სვანური „საკურცხილ". საქ. მუზ. მოამბე, ტ. II, ტფ., 1925.
4. ფარაონ ტუტუნხამონის აკლდამა, „მეცნიერება და ტექნიკა", ტფ., 1925, № 4.
5. პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, ტფ., 1927.
6. ხევსურული სტილი, [Miscellanea], საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1928.
7. საქართველოს მუზეუმის იშვიათი კოლექცია, მუმია და სარკოფაგი, დროშა, ტფ., 1929, № 4.
8. საქართველოს მუზეუმის იშვიათი კოლექცია, ხეთური ბარელიეფი, დროშა, ტფ., 1929, № 5.
9. საქართველოს მუზეუმის კოლექციები, ხალდური წარწერა, დროშა, ტფ., 1929, № 6.
10. საქართველოს მუზეუმის კოლექციები, ხევსურული კოსტუმი, დროშა, ტფ., 1929, № 7.
11. ხევსურული საცერული, [Miscellanea], საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, ტფ., 1930.
12. ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939. თანაავტორი ვ. ბარდაველიძე.
13. აჭარული დათვა-ბოჯა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B , თბ., 1940.
14. ეთნოგრაფიული პარალელები, 1. ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. 1, №4, თბ., 1940.
15. ქვის კუბო ქვემო-ალმედან, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. VIII, თბ., 1940.
16. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. X, თბ., 1941.
17. სუმერთა ცივილიზაცია, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება, 1947, 23 ნოემბერი.
18. აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, მიმოშხილველი, ტ. I, თბ., 1955.
19. ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955.
20. შენიშვნები ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხებზე, 1. ცნება „კულტურა", მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VII, თბ., 1955.
21. თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1959.
22. ვაზის კულტურის ისტორიიდან (ძველი ლეგენდები), კრ. ქართული ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964.

23. ეთნოგრაფიული პარალელები, 2. „სილა და ლაღა“, კრ. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1970.
24. სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი ამიერკავკასიიდან), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII, თბ., 1972.
25. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია (არქივიდან).
26. შესავალი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1946 (არქივიდან).
27. ხევსურული მშვილდისარი, 1938 (არქივიდან).
28. თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ, 1938 (არქივიდან).
29. საყოფაცხოვრებო რეალიები „ვეფხისტყაოსანში“, 1962 (არქივიდან).
30. ძველი აფხაზეთის ეთნიკური ჩამოშავლობის შესახებ, 1955 (არქივიდან).
31. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ, 1954 (არქივიდან).
32. ქართული ხალხური ორნამენტი, II. დაჩითული ჭრელები (არქივიდან).
33. ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები, 1952 (არქივიდან).
34. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, 1954 (არქივიდან).
35. თბილისის ყოფა ფეოდალურ ხანაში, 1958 (არქივიდან).
36. შატილის წარმოშობის შესახებ, 1970 (არქივიდან).
37. ლიფანალის მხატვრობის შესახებ, 1975 (არქივიდან).

ფოტო-ილუსტრაციათა მასალა „ქართული ეთნიკური ტიპები:“

1. ქართლელი მამაკაცი, **ბ. აჯალიშვილის** საოჯახო ფოტოარქივიდან.
2. ქართველი ქალი, ხევსური ქალი, სვანი მამაკაცი, მხატვ. **მ. ტოლკუ**.
3. გურული მამაკაცი (XIX ს. დასასრული), **ათ. შენაღარიშვილის** საოჯახო ფოტოარქივიდან.
4. კახელი მამაკაცი, კახელები და ინგილო ქალი, **კ. ჩოლოყაშვილის** საოჯახო ფოტოარქივიდან.
5. მესხები, ჯავახები, ახალციხის ისტორიული მუზეუმის არქივიდან.
6. ფერეიდნელები, **თ. ცაგარეიშვილის** ფოტოარქივიდან.
7. ქართველი ეთნიკური ტიპების დანარჩენი სურათები მოცემულია **ვ. ჩიტაიას** ფოტოარქივიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადი ტაბულების აღწერილობა

1. „ლილეო“ (დეტალი), მემორიალიდან „საქართველოს მატიანე“, მხატვარი ზ. წერეთელი, ბარელიეფი.
2. „გუთნის დედა“(დეტალი), მემორიალიდან „საქართველოს მატიანე“, მხატვარი ზ. წერეთელი, ბარელიეფი.
3. სოფლის ჩანახატები, მხატვ. ზ. წერეთელი.
4. სოფლის ჩანახატები, მხატვ. ზ. წერეთელი.
5. ეთნოგრაფიული მოტივები, მხატვ. ზ. წერეთელი.
6. სიცოცხლის ხე, მოზაიკური კომპოზიცია, მხატვ. ზ. წერეთელი.
7. ქართული ორნამენტი, დეტალები მოზაიკური კომპოზიციებიდან, მხატვ. ზ. წერეთელი.
8. ქალაქური ეტიუდები, მხატვ. ზ. წერეთელი.
9. ძველი თბილისური დღესასწაული, პანო, მხატვ. ზ. წერეთელი.
10. მოგონება: ა. მთის სოფელი,
    ბ. ბანიანი სახლი,
    გ. მთის ყვავილები, მხატვ. ზ. წერეთელი.
11. ხატობა, მხატვ. ზ. წერეთელი.
12. ხატის ჭურჭელი, მხატვ. ზ. წერეთელი.
13. „სამასი არაგველი“, (დეტალი), მემორიალიდან „საქართველოს მატიანე“, მხატვ. ზ. წერეთელი, ბარელიეფი.

ფორზაცზე:

I. „დავით აღმაშენებელი“, „მემატიანე“, „თამარ მეფე“, მემორიალიდან „საქართველოს მატიანე“, მხატვარი ზ. წერეთელი, ბარელიეფი.

II. „ფარნაოზი“, „შ. რუსთაველი“, „საბა და ვახუშტი“, მემორიალიდან „საქართველოს მატიანე“, მხატვარი ზ. წერეთელი, ბარელიეფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ რ. – დროება
ენიმკი – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თსუშ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ივ. – ივერია
მსე – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
სმმ – საქართველოს მუზეუმის მოამბე
სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
სსმშ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები

ЗВОИРАО – Записки Восточного Отделения императорского русского акад. общества
ЗКОИРГО – Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества
ЗКОСХ – Записки Кавказского общества сельского хозяйства
ИГАИМК – Известия Гос. акад. истории и материальной культуры
ИИЯИМК – Известия Инст. языка и истории материальной культуры
ИР – Избранные работы Н.Я. Марра
ИИРГО – Известия Имп. Русского географического общества
ИРАН – Известия Российской академии наук
К – Кавказ
КСХ – Кавказское сельское хозяйство
КХ – Кавказское хозяйство
КЭС – Кавказский этнографический сборник
МИЭБГКЗК – Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
МПЭ – Материалы по этнографии
СКОСХ – Сборник Кавк. общества сельского хоз-ва
СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
СЭ – Советская этнография
ТКОСХ – Труды Кавказского общества сельского хозяйства
ТОВ – Труды отдела Востока
ХВ – Христианский Восток
ЭО – Этнографическое обозрение

ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲔᲗᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ[1]

აგვართა||აგუარა||აგვარა (აფხ. სამეგრ. გურ.) – საქონლის სადგომი. **ა.** გვხვდება ყორისაგან ნაგები, მოწნული და ლატნებისაგან შედგენილი. **ა.** დაკავშირებულია მესაქონლეობის სპეციფიკურ ხასიათთან და ადგილმონაცვლეობს წლის დროების მიხედვით (მთა—ზაფხული, ზეგანი—შემოდგომა, ბარი—ზამთარი).

აღვომ (სვან.) — გარდაცვლილთა მოსაგონარი, ლიფანალის (იხ.) პირველი დღე, დიდი მარხვა და უქმე. **ა.** მოდის 5 იანვარს.

აკარტი (ხევს.) — თოკზე გამობმული ხის პატარა რკალი. **ა.** იხმარება ჩალის შესაკრავად.

აკუშურა (ხევს.) — ქსოვილის ორნამენტი.

ალამდარი – ამქრის მედროშედ გამოყოფილი სპეციალური პირი.

ამირ (სუმ.) – სახვნელი იარაღი.

აცამწაწი (აფხ.) – ყველის საკვეთელი. **ა.** ამზადებენ ძროხის, თხისა ან ცხვრის გამხმარი კუჭისგან.

აცამაძ (აფხ.) – სახვნელი იარაღი.

აცამთა (აფხ.) – ხარის საჭურველი.

ბალამდა (ინგ.) – საგაზაფხულო დღესასწაული. მონაწილეობს 6 გათხოვილი, 3 გაუთხოვარი ქალი და „ხუცი". **ბ.** მიღებულია ფეხსაცმელით მარჩიელობა.

---

[1] წარმოდგენილი მასალა ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონისათვის არის გამიზნული და ძირითადად საენობარო ხასიათისაა. იგი მთლიანად ეყრდნობა წინამდებარე ტომში წარმოდგენილ ტექსტობრივ მასალას და ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტების ჩიტაისეულ პრინციპს (იხ. გ. ჩიტაია, „შრომები", ტ. I, 1997, გვ. 317); თითოეული ეთნოგრაფიული ტერმინი წარმოდგენილია ეთნოგრაფიული სპეციფიკის წარმოჩინებით (რის საშუალებასაც იძლევა ტექსტი) საგანი – ფუნქციის, ტექნიკის, დანიშნულების; ეთნოგრაფიული მოვლენა კომპლექსში – ჩასახვის, განვითარებისა და სხვა მოვლენებთან კავშირში ჩვენებით. ამდენად მასალებში წარმოდგენილია როგორც ცალკეული ეთნოგრაფიული ტერმინი, ისე ეთნოგრაფიული მოვლენა.

მასალებში შემოტანილია მხოლოდ სიტყვის მოდელი, რომლითაც იგი ცნობილია ადგილზე. სიტყვათა დეფინიცია მოგვაქვს ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით, რომელსაც განმარტება არ ახლავს შევსებულია საილუსტრაციო ფრაზებით (თ.ც.).

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲠᲢᲔᲑᲐ

აფხ. — აფხაზური
აჭარ. — აჭარული
გუდამაყ. — გუდამაყრული
გურ. — გურული
დაღ. — დაღესტნური
დუშ. რ-ნი —დუშეთის რაიონი
ზ. რაჭ. — ზემო რაჭული
ზ. სვან. — ზემო სვანური
თიან. — თიანეთი
თრიალ. — თრიალეთი
თუშ. — თუშური
იმერ. — იმერული
ინგ. — ინგილოური
კახ. — კახური
ლეჩხ. — ლეჩხუმური
მეგრ. — მეგრული
მესხ. — მესხური
მთ. —მთიულური
მოხ. — მოხეური
რაჭ. — რაჭული
საინგ. — საინგილო
სამეგრ. — სამეგრელო
სვან. — სვანური
სუმ. — სუმერული
ფშ. — ფშაური
ქართლ. — ქართლური
ქვ. რაჭ. — ქვემო რაჭული
ქვ. სვან. — ქვემო სვანური
ქიზ. — ქიზიყური
ხევს. — ხევსურული
ჯავახ. — ჯავახეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანდაა (ხევს.) – მოწნა. ჯღანის (იხ.) ძირის გამოქსოვა თასმით.
ბანდული (მოხ. თუშ. რაჭ.) – დაწნულძირიანი ფეხსაცმელი.
ბარ ბოლდ (სვან.) – გეომეტრიული ორნამენტით შემკული უღელი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ორნამენტია მზის გამოსახულება. **ბ.** გამოიყენება ტყიდან ხეების გამოსათრევად, ქვის გადაზიდვისას.
ბაწარი (ხევს.) — ყანის ფართობის საზომი ერთეული.
ბირაა (ხევს.) – ფრინველი.
ბოყვაჩა (ქვ. რაჭ.) –მარცვლეულის საწყაო გაკეთებული მრგვალად შეკრული ხის ქერქისაგან. **ბ.** სხვადასხვა ზომისაა.
ბოჯგ (სვან.) — ხის სამფეხა სკამი.
ბულული (რაჭ. გუდამაყ.–მთ.) – თივის ან გათიბული ბალახის პატარა ზვინი.
ბუნაგი (ხევს. თუშ. ფშ.) – ბარგი— მოძრავი ქონება (ჭურჭელი, ქვეშაგები და სხვ.).

გასილაავება (ქიზ.) – გადასწორება მარცვლეულის რწყვის დროს. „ჩანაბით სავსე ხორბალს თავზე ჯოხით გადაუსვამენ, რასაც გაიტანს ის უნდა გადაყარონ, რაც დარჩება იმას ეძახიან გასილაავებულს"; იტყვიან – „სილა მმართებდაო თუ თავმბმულიო . . . არა, სილა იყოო".
გასენაა (ხევს.) – გამოჯავრება, გამოშაირება.
გვალ (სვან.) – საქონლის სადგომი სვანური სახლის საგანგებოდ გადატიხრულ ნაწილში.
გვრანი (ხევს.) II ზრუნი (რაჭ.) – ხმით ნატირალები თიბვის დროს.
გირგუდ (სვან.) –საკრალური საგანი. **გ.** წარმოადგენს ბრინჯაოს რგოლს, რომელსაც იყენებენ დაფიცებისა და ხატზე გადაცემის დროს.
გირგუდარ (სვან.) – წნელისგან მოწნული რგოლი, რომელსაც საახალწლოდ – წვრილფეხა საქონლის გამრავლების მიზნით აკეთებენ.
გომური (ქართ.) – საქონლის სადგომი.
გულბაქი – ოთახის ჭერის ორნამენტი.

დათვა-ბოყვა (აჭარ.) – კარის ხის საკეტი, კლიტე. **დ.-ბ.** შედგება ოთხი ნაწილისაგან : ფიცარი, ურდული, კბილები (3—4 ცალი), გასაღები. **დ.-ბ.** ტიპის საკეტს განეკუთვნება **დათვა** (გურ.) და **ბორნაი** (სამეგრ.).
დაზნისა (ხევს.) – მ შვილდის მომართვა – „ალა

ზიმხა (სვან.) || **კალანდა** (ლეჩხ.) – ახალი წელი.

ზრო (ხევს.) – შვილდის წვერი „დედა ვაცხონე მჭედლისა, **ზრო** ლამაზ გაუქ-ლიბაო" (ხალხ.).

თავშებმული ლიტრა (ხევს.) – საწყაოს გარკვეული მდგომარეობა, როცა ლიტ-რაში (იხ.) იმდენი მარცვალი ყრია, რამდენსაც დაიტევს.

თარ-ულელი (იმერ.) – ულლის ფორმის რიტუალური პური. ცხვება დიდიმარხვის პირველი კვირის შაბათს.

თარჯი (ხევს.) – ხეზე ამოჭრილი ნიშანი საზღვრის დასადგენად.

თიბვის შამშაბათი (ხევს.) – მკვდრის გახსენება სოფლის სათიბად გასვლის დღეს. „ჭირისუფალი თიბვის შამშაბათს, რომ გადაიხდიდა, შემდეგ სოფელს ნება ჰქონდა ცელი ბალახში შეეტანა".

იან-დეკეშ (სვან.) – ფეტვის ღვთაებისათვის განკუთვნილი საგაზაფხულო დღესას-წაული, რომლის დროს ლოცვებითა და შესაწირვებით მიმარ-თავდნენ ღვთაება **იანს**, როგორც ფეტვის მოსავლის მფარველს. **იან** დღესასწაული შეიცავს შემდეგ არსებით მომენტებს: 1. ფეტვის საუკეთესო მარცვლების შერჩევა საწესო პურისათვის ("გვიზი"); 2. შესაწირავი ფეტვის ცომი; 3. საწესო ფეტვის კოკრები და მათ შორის „ფეტვა შდა", ფეტვის თავთავის გამომსახველი კოკრი; 4. ფეტვის მოსავლის გადარჩენის მიზნით ჩასატარებელი ლოცვა-შესაწირავი რიტუალი.

კათხტაბაკ||კათდაბაგ||ლაგვან||კინჩხობ (სვან.) – გარდაცვლილის წლის თავზე გადახდილი დიდი აღაპი.

კალაპოტი (ხევს.) – თარგი.

კარაჭანი(დაღესტ.)||**წაღა** – ნაქსოვი ფეხსაცმელი.

კელეპტარი (სამეგრ.) – მიცვალებულის ხე.

კვათე (ხევს.) || **კაბარჭი** – მშვილდის ისრების მოსათავსებელი სპეციალური ხელ-საწყო, რომელსაც ხევსურები იმაგრებენ თასმით ქამარზე. „**კვათეს** ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა წამიო" (ხალხ.).

კ'ართიან||კვარტუან||კ'ურთა – ხევსურული პერანგის ძველი ქართული სახელი.

კინჩხლდო (სვან.) – სხვადასხვა ფორმის სარიტუალო კვერები. ცხვება ლიფანალის ბოლო დღეს, მიცვალებულთა სულების გაცილებისას.

კურული (სამეგრ.) – ხალხური სპორტის ერთ-ერთი სახეობა, როდესაც ტარდება სპეციალურად მომზადებულ და გაწვრთვნილ ბუღანთან ბრძოლა.

ლაღა (იმერ.) — გათლილი სწორი ჯოხი, რომელსაც ხორბლეულის რწყვის დროს ხმარობენ, საწყაოს თავზე უსვამენ პირის მოსასწორებლად.

ლაღამოსმული (ლეჩხ.) — გასწორებული, გათანასწორებული "ორივე ცოლ-ქმარი პირდაპირ ლაღამოსმული არიანო" (ხალხ.).

ლაღარაკინი (სამეგრ.) — საწყაო ერთეული.

ლაჭკნდერ (სვან.) — ტიხარი სვანურ ქოროში (იხ.), რომელიც კერის მახლობლადაა გავლებული და ადამიანთა საცხოვრისს და საქონლის სადგომს ერთმანეთისგან ჰყოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილაშუნე (სვან.) — საგაზაფხულო დღეობა, ემთხვევა დიდი მარხვის მეორე შვიდეულის შაბათს. ამ დღიდან იწყება თესვისათვის მზადება.

ლირგიმ (სვან.) — ხის გრძელი სკამი.

ლიტრა (ხევს.) — 1. მიწის ფართის საზომი ერთეული, რომელიც მოსავლის რაოდენობის აღრიცხვას გულისხმობს — „ეს მამული 10 ლიტრიანია" (ხევს.). 2. მარცვლეულის საზომ-საწყაო ერთეული (აღმ. საქ.), რომელიც შეიძლება იყოს თავშებმული (როცა იმდენი მარცვალი ყრია, რამდენსაც დაიტევს) და პირგადასმული (პირზე სავსე ლიტრა ნაპირზე გადასწორებული (ხევს.), „პინა პირზე" (მთ. გუდ. ქართლ.).

ლიფანალი (სვან.) — მიცვალებულთა სულებისთვის „დასაპურებელი, საამებელი და შემწეობის შესათხოვარი" ხანიერი სარიტუალო დღეობა. ლ. იწყება 5 იანვარს და გრძელდება პირველი კვირის ორშაბათამდე. სულების „მოსვლას" დიდი ზეიმით, გაწყობილი სუფრით, ცეკვა-სიმღერით ხვდებოდნენ და ამთავრებდნენ ოჯახიდან სულების საიქიოს „გასტუმრების" რიტუალით.

ლეჭრელე (სვან.) — სურათები, რომელსაც ლეჭნდებზე გამოხატავდნენ ლიფანალის დღეებში. ნაცრისაგან დამზადებული საღებავით (ჭულისა და გვიზის) ლეჭნდებზე გამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები მიცვალებულთა სულების პატივისცემად.

მარ, (სუმ.) — თოხი.

მარგალი (ქართლ.) || **ბარგალ** || **წამ** (სვან.) - მიწის სათხრელი კეტი.

მეკოპრობა (ხევ.) — მეზობელ ტომებზე თავდასხმა ნადაკლის მოსაპოვებლად.

მენა (ქართლ.) — ვენახში აგებული სახელდახელო დროებითი ნაგებობა. **მ.** ეწოდებოდა აგრეთვე ყურძნის ტკბილის შესაგროვებელ ჭურჭელს, რომელიც ამ ნაგებობაში იდგა. **მ.** უწოდებენ საღებავის ჭურჭელსაც (საინგ.).

მოგვი — მაღალფლიანი ფეხსაცმელი, რომელიც ნალდაკრულ მომაღლო ქუსლზეა შეჯენებული, პირი ჭრელშიბის მსგავსი სამკაულითაა დამშვენებული, გვერდზე ჩაკრილი ყელი ზონრით იკვრება, ყელს ზემოთ გამობმული აქვს ფუნჯი.

მორაკ || **მორკარ** (სვან.) — მსაჯულ-მედიატორი, სისხლის და სამოქალაქო საქმეთა გამრჩევი პირი. **მ.** რაოდენობა განისაზღვრებოდა გასარჩევი საქმის სიმძიმის მიხედვით. მათი რიცხვი შეადგენდა 3-დან 12-მდე კაცს. **მ.** ირჩევენ ავტორიტეტულ პიროვნებას. **მ.** ადგენს გადასახდელს სარჩელს || წორ.

ნატრიანი (ქიზ.)— მარცვლეულის საწყაო ჭურჭელი. „ხისაა, დაბალი, მთლიანი, ძირი და პირი ერთნაირად არი გამოყვანილი. ხეს გული გამოღრუტული აქვს და ძირი ისევ ხისა აქვს გაკეთებული. გარშემო სალტეები აქ შემორტყმული". **ნ.** მარცვლეულის ტევადობის მიხედვით არის **თავშობმული, გულამოყსებული** და **სიღლაზე ნაყსე.**

ოთხკუთხა || **ხატი** (ხევს.) — ჯვრის ორნამენტის სახელწოდება. **ოთ.** მოცემულია როგორც ხევსური მამაკაცის, ისე ქალის კოსტუმზე.

ორომი (რაჭ. იმერ. თიან.) — ცომის გუნდის გასაბრტყელებელი ფიცარი. **კახეთში** — პურის გუნდების დასაწყობი.

პერანგი (ხევს.) — ხევსური მამაკაცის კოსტუმის შემადგენელი ელემენტი, რომელიც ასრულებს პერანგისა და ხალათის მოვალეობას. **პ.** თარგს შეადგენს: მიდგმული სახელო, ამოკერილი ჩაქიანი გვერდები, ამოღებული საყელო, შვერილ-საკინძიანი გულისპირი. **პ.** ორნამენტებია: პეპელა, მწერა, თავმოკრილი, აკუშერა, ოთხკუთხაი||ჯვარი.

პინიანი თაბახი (ქართლ.) — მარცვლეულის საზომ-საწყაო ერთეული.

პირგადასმული ლიტრა (ხევს.) — საწყაოს გარკვეული მდგომარეობა, როცა პირზე სავსე ლიტრა ნაპირზეა გადასწორებული. „პინა პირზე".

რადრაბაგანი || ცხენბურთი — ბურთაობა ჩოგნებით. „ცხენზე მჯდომნი ბურთს გრძელი ჩოგნებით ერთმანეთზე დაუჯახებლად ათამაშებენ".

სადიაკო (ხევს.) — კაბა, ქალის ჩასაცმელი.

სათაურა (ხევს.) — მოქარგული რგოლი, რომელსაც ქალები თავშალზე (ჩიქილაზე) იხურავენ.

საკურცხალი (სვან.) — სკამ-სავარძელი, საუფროსო სკამი, განკუთვნილი ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის. **ს.** მზადდება სხვადასხვა ჯიშის ხისგან: ნაძვი, ფიჭვი, ცაცხვი. **ს.** დასამზადებლად იხმარება იარაღები – საჩრეტი, ჩქუთი, თხელი წალდი. **ს.** ნაწილები შეკრულია ფწეებად და ულურსმნოდ. **ს.** მახვშის უფლების ატრიბუტია. **ს.** დგას კერასთან და მთავარ როლს ასრულებს სვანთა რიტუალურ-დასოციალურ ყოფაში.

სალალაყი (ხევს.) — ყანის ფართობის საზომი ერთეული. „ეს მამული 20 სალალია".

სამეული (ხევს.) — ერთად შეკრული 3 ძნა სვილის ყანაში.

სასანთალი ბორაყი (ხევს.) — გასანთალავი ბაირაღი, დროშა.

სასენო (ხევს.) — გასაჯავრებელი, საწყენი, გამოსაშაირებელი, ლექსი.

სარბილი (ხევს.) — ხევსური მამაკაცის კოსტუმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. **ს.** ჩითისაგან შეკერილი თეთრეულია.

საცერული (ხევს.) —სათითური; ცივი იარაღი კასტეტის მაგვარი. **ს.** წარმოდგენილია ბეჭდის სახით და განკუთვნილია მარჯვენა ხელის ცერზე წამოსაგებად. მისი ნაირსახეობებია: **დაჯია, მაღალი||აფთარი, საცერული, ხვეული, წისქვილა.**

სილა — საწყაო ჭურჭელი ძველ საქართველოში.

სიმჭაში – საოჯრომჭედლო იარაღი.

სიცოცხლის ხე — ქართული ხალხური ორნამენტის უძველესი სიუჟეტი. დზმოწმებულია ქვაზე, ხეზე, ორნამენტზე. **ს.ხ.** მოტივს შეადგენს — სხვადასხვა ჯიშის ხის გამოსახულება, მის ორივე მხარეს წყვილი სხვადასხვა ცხოველის (ანტიპოდები) გამოსახულებით და გარშემო ორი ან მეტი მნათობით.

სოლომ (სამეგრ.)||**სოლანი** (სვან.)|| **შაა** (აფხ.) — ხელოსნობის მფარველი ღვთაება.

სტალი (ხევს.) — წონითი ერთეული უდრის ნახევარ გირვანქას ანუ 210 – 218 გრამს.

ტალაყარა — ხევსურული კოსტუმი. **ტ.** მნიშვნელოვანია როგორც თავისი მასალისა და თარგის ორიგინალობით, ისე ორნამენტის თავისებურებებით. **ტ.** ორნამენტი ძირითადად წარმოდგენილია მამაკაცის „პერანგზე" და სადიაცოს „ფარაგებზე" (იხ. ფარაგი).

ტოლი (ხევს.) — შალის ქსოვილი. ცნობილია სამგვარი შალი: ცალ-პირა, ორპირა და წაღმა-უკუღმა.

ფარაგი (ხევს.) — ხევსურული ხელთნაქარგი სადიაცოს (იხ.) ან პერანგის ის ნაწილი, რომელიც გულმკერდს ფარავს და საგულეს დანიშნულებას ასრულებს. **ფ.** თარგს შეადგენს: საყელთ-სამართი, სამწყვეტლო, ჭრელანი, ზიკი, კანჭპირი. **ფ.** ორნამენტებია: კვერანი, ხატნი, კუთხანი, აკუშურა, თვალა, კბილა. **ფ.** ასევე წარმოდგენილია ლითონის სამკაულები, სადაფისა და მინის მძივები.

ფაჩქ (სვან.) - ხის მრგვალი სამფეხა მაგიდა.

ფიც-ყურცხლით გაძმობილება (ფშ.) — დაფიცება-ხელშეკრულება.

ქორა-მახვში (სვან.) — ოჯახის უფროსი მამაკაცი.

ქორდი (ქართლ.) — გამოხარატებული თავტახბიკი, ტყემლის, შინდის ან ურძენის ხისა. **ქ.** გამოიყენებოდა ხვნის დროს, როდესაც პირველად გადიოდნენ ველზე, საქორწინო ურმებში.

ქოქობი (ხევს.) — სადიაცო კაბების გასაწყობი სხვადასხვა ფერის (3 ან 5) ქსოვილის ვიწრო ნაჭრები. **ქ.** კერდება კაბის ბოლოს.

კელეული (ხევს.) — ყანის „წუელის" (იხ.) ის რაოდენობა, რომელსაც მკელი მკის დროს ერთი ხელით დაიჭერს. ორი ჭელეული — ძნაა.

ხარსარაღი || **ხარწარაღი** (გურ. იმერ.) — სახვნელი იარაღი.

ხაჩი (აჭარ.) || **თარჯი** (ლეჩხ. გურ. იმერ.) — საგვაროვნო საკუთრების ნიშანი.

ხელდასმა — შეგირდის ოსტატად კურთხევა, დამოწმებულია ამჭრელ ორგანიზაციაში. **ხ.** მიზანია ახალი წევრის ინკორპორაცია საამქროს გაერთიანებაში. **ხ.** ითვალისწინებს წეს-ჩვეულების ორ მომენტს: I. სილის გარტყმა ლოყაზე (ხელდასასმელის მომწიფების სიმბოლური ნიშანი). II. ორივე ხელის ცერების დაჭერა (ხელით შეკრულობა — ხელშეკრულება, რაც ამქრის წევრების შეკრულობის, მისი სიმტკიცისა და დაცვის განსახიერებაა).

ხდ (დაღ.) || **კარაჭანი** — ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ხმით ნატირლები (ხევს.) — მიცვალებულის დატირების წესი. დატირება იყო სამგვარი: მოთვლით, ძახილით და კმით. მოთვლით — უბრალო სახის ტირილია; ძახილით — ყველას შეეძლო შეესრულებინა; **კმით** — ტირილი ყველას არ შეეძლო, ტირილის დროს გამოჰყავთ ჰანგი და რითმა.

ხუთეული (ხევს.) — ხუთი ძნა ერთად შეკრული.

ჩანახი (ქართლ.) — მარცვლეულის საზომი ჭურჭელი, ნახევარფუთიანი. **ჩ.** მარცვლეულის რწყვა არის ორნაირი: სილა და თავმობმული.

„სილა ჩანახი არის გადავსებული ჩანახი, რომელსაც თავზეპირი გადაუსვამენ და რასაც გაიტანს უნდა გადაყარონ, გაასილაონ; თავმობმული როცა დადგება ზედა თავისუფლად იმ ჩანახზე".

ჩერხა (სვან.) — თეთრი ქვა, რომელსაც ჩასდებენ კიდობნებში, ყელის საკეთის შესანახ ჭურჭელში; დებენ კერასთან, ყანაში — ავი თვალის საწინააღმდეგოდ.

ჩითა || **ფეკა** (თუშ.) — ღაზლის ფერადი ძაფით ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ცელის ტარი (ხევს.) — ყანის ფართობის საზომი ერთეული.

ცხენურთი || **ჩოგანი** || **გადრი** || **რადი** || **რადრაბაგანი** (იხ.) — ხალხური ცხენოსნური სპორტის ძველი და პოპულარული სახეობა ძველ საქართველოში. ც. არსებობდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობა: პირველი გულისხმობდა ორი დაპირისპირებული ჯგუფის ისეთ შერკინებას, რომლის მიზანი იყო ბურთის გატანა ლელოში. მეორე— რამდენიმე პირის შეჯიბრებას, ბურთის გატაცებასა და მის გათამაშებას.

ყაყარჯენი — „ჯოხი თავჯვარედინი, გინა მოკავებული, ეპისკოზთ საპყრობი" (საბა).

შიღლაი (ხევს.) — ბამბის ნაქსოვი.

შიშა (დუშ. რ-ნი) — სწორი ჯოხი, რომლითაც მარცვლით სავსე საწყაო ჭურჭელს თავს უსწორებდნენ.

შოთხი (ხევს. ფშ.) — ხე (დგნალის) გამოიყენება მშვილდის რკალისათვის.

ძნა (ხევს.) — ორი კელეური.

წერი (ხევს.) — ყანის ფართობის საზომი ერთეული — „ეს მამული ამდენი წერისაა".

წერილა (ხევს.) — შვიდი სამეული (იხ) ერთად შეკრული სვილის ყანაში; ექვსი ხუთეული – ქერის ყანაში.

წუელი (ხევს.) — ყანის თავთავი.

ჭვინტი – ფეხსაცმლის მკვეთრად მოკაუჭებული წვერი, რომელიც ლანჩის გაგრძელებაა. დამოწმებულია ჩექმაზე, მოგვზე (იხ.), ფლოსტებსა და ქოშებზე.

ჭვინტიანი ფეხსაცმელი — ქართული ფეხსაცმელი მოკაუჭებული წვერით || ჭვინტით (იხ.), რომელიც XIX ს-ში წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მაღალი წოდების მამაკაცის (მოქალაქის, ხელოსნის) ჩაცმულობის „ქულაჯის" აუცილებელ ელემენტს. ჭ.ფ. დასამზადებელ მასალად გამოიყენებოდა ქსოვილი და ტყავი. ჭ.ფ. გავრცელებას პოულობს საქართველოსა და კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში და ძველ აღმოსავლურ ხურარ-თეშუბ-ხეთურ ეთნიკურ წრეში.

ჭრელა (ხევს.) — ორნამენტი.

ჯიბა (ხევს.) — მამაკაცის პერანგის დეტალი, მიკერებულია პერანგის გულთან მარცხნით და შემკულია მძივებით. ჯ. განკუთვნილია არა ჯიბის დანიშნულების შესასრულებლად, არამედ იგი ვაჟკაცობისა და ხევსური ქალისა და მამაკაცის მეგობრობის სიმბოლოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუბა (თუშ. ფშ.) — ქალის მთლიანი კაბა, ზედა ტანსაცმელი.

ჯდანი (ხევს. ფშ. მთ.-გუდამაყ) — ქალამანი, რომელიც გამოჭრილია ხარის ტყავისაგან კალაპოტით (იხ.). ძირი თასმითაა მოწნული (ბანდვით) და შიგ უფენია ბალახი სინესტისაგან ფეხის დასაცავად. ჯ. რომელიც გვერდებში შეეულადაა ჩაჭრილი ხევსურეთში ლეკურად ჩაჭრილს უწოდებენ.

აბაზიანი 205
აბზინტები 204
აგვარა 127
აგვართა 128
აგაფა-ოგაფა 124
აგორა 129
აგუარა 126, 127, 128
აგუართა 127
აკლ 219
აზნაური 90
ადთარი 129
აკუშურა 172, 191, 198
ალამდარი 24
ალი 170
ამბაზი 272
ამოფანჯვრა 207, 217
ამოღარვა 210, 215
ამქარი 241
ამხარა 54
ანატორი 129
ანატორის აკლდამები 129
ანატორიელთ შარა 304
ანთარი 129
აპირ 370
არაუა 103
არნაგი 204
არონაᲘ ll არუნაᲘ 102
არხოტიონი 198
ასკაკალი 239
ასნაფი 239
ატალიკი 54
აფხაზური სახვნელი 125
აჩაჩა 124, 260
აცა ll ნაწი 126
აცამათ 124, 234
აწანგუარა 127
აჭარელი ქალის კოსტუმი 271
აჭარელი მამაკაცის კოსტუმი 271
ახალმთვარე 187
ახოს აღება 259, 260, 263, 265, 266
აჯიჯანგხა 122

ბათმანი 283
ბალამდა 360
ბალახად ამოსული 110
ბარგილ 370
ბაწარი 280
ბაჭიჭები 277
ბერიკაობა-ყენობა 243
ბიჭვინთის ფიჭვი 9, 13
ბიჯგი 119
ბორბლის გამოგონება 371
ბომღა 231
ბორჯღლიან მირგვალაი 183
ბორჯღალა 169, 201, 203
ბორწკალი 202
ბოჯგ 142
ბუნაგი 101
ბუღაური 221
ბუხარი 221

გადასაგდები 52
გადრი 243
განეშსა ll თხორის აღება 206, 207
გასენვა 244, 323
განჯის კარი 238
გახატული 185
გაძიძავება 54
გვარი 129, 163
გვაროვნული საზოგადოება 165
გვიზი 267
გვრინი 324, 325
გვალ 128
გველი 109
გირგუდარ 154
გირგედ 194
გომური 128
გოვჰარ 128
გუდანის ჯვარი 108
გუთანი 100
გუთნის დედა 311
გულბაჭი 222

დაბლა 18
დათვა-ბოჟა 339, 340, 341, 342, 343, 345, 355
დაკაკაული 169
დაკაკაულას ხატულაი 173
დაკბილულაი 197
დალი 228
დამხვევრა 207
დარანი 281
დარბაზი 167
დარბაზული სახლი 237
დასტაგი 148
დატირება 323, 324
მოთვლით,
ძახილით,
ქმით.
დაყუნწაული 199
დაჩითული ჭრელები 209
დაჭრელება 200, 210, 215
დახატულ კაცი 193
დიკა 21, 136, 262
დიდი გუთანი 260
დიფუზიონისტური თეორია 232

დობილები 170
დოლის პური 21, 102, 136, 262
დოღი 244
დუქანი 238
დღიური 280
დედაბოძი 179, 221
დედა-მძუძე 54
დედოფლის ხელი 190
დესთი 204

ეგვიპტური გადმოცემა 255
ეგვიპტური სელი 21, 102
ეზო 101
ეზოსმოძღვარი 101
ეთნოგენეზი 100. 113, 257
ეთნოლოგიური მეცნიერება 140
ელდარის ფიჭვი 12
ეპიტროპ-ეზოსმოძღვარი 100
ერქვანი 260
ეტი 281

ზანდური 21, 261, 262, 370
ზედსიძე 55
ზიკი 171
ზომხა 186

თაბუნი 239
თათები 208
თათის ფსრე 191
თალმუდის მოძღვრება 105
თარგი 281
თარჯი 169
თავმიდგმული 160
თავშებმული ლიტრა 158
თავშედგმული ლიტრა 158, 159, 160
თაღარი 156
თახჩა 219
თბილისის აბანო 243
თვალაით გახატული 185
თვალა 172
თევზი 287, 228
თევზის ღვთაება ლარსა 230
თევზის ზურგა 187, 190
თიბვის შამშაბათი 324
თმის შეწირვა 53
თოხის კულტურა 259, 264, 265,266
თორნე 102
თუში ქალის თავსაბურავი 81
თუში ქალის კოსტუში 271
თუშური ქუდი 81
თხორი 204

იაზლუხ 219
იანშიერის დღეობა 267
იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი 246, 248
ილარი 227
ილორი 122
იმერული ცხვარი 258
იმერული ჩოხა 271
ინალყუბას ხატი 122
ინგილოური გადმოცემა 107, 111
ისარი 295, 296
ისინდი 244
ისტილი 286
იფქლი 21

 კავკაზაურის სახლის ყვერფი 109
კავკაზაურის იფნი 109
კათხტაბაკი 147
კაი ჟმა 155
კალასირი 272, 278
კამარები 131
კანშპირი 171
კაპანიცა 264
კარაჭინი 359
კართანულები 200
კატაბალახა 13
კბილა 190
კბილაები 205
კბილაის რქა 198, 206
კევრი 21, 27, 102
კეზი 170
კეკო 266
კერა 221
კერამიკული მორგვი 49
კეხი 191
კვათე II კაპარჭი 291
კჯალი 281
კჯართია 272
კვერა 169, 197
კვერანი 172, 199
კვილი 149
კიდეგანი 160
კიჩხილდო 148
კუვადა 58, 59, 90
კუდიან წუხრა 194, 196
კუთხანი 172, 179
კუთხაი 190, 207
კუთხის კუთხანი 187
კუთხანის ხატი 177
კუდურუ 51
კუდიჭცეულა 205, 207
კურული 268
კოვზ-ქიტურები 200
კოკონია 119
კოლხიდის ბზა 9, 13
კოლხური კულტურა 258
კოლხური ძროხა 21
კონკილი 119
კოპირიალკა 264
კონჩ-ხობი 147
კოჭობა 202

ლაგვან 147
ლაგვანი 148
ლაგვინი 126
ლაგვანარი 126
ლაგვანთა 126
ლაზური ორნამენტი 209, 215, 218
ლარი 295, 296
ლასკარ 192
ლაღა 159, 283
ლაღადგადასმული 159
ლაღამოსმული 159
ლაღანაკი 159
ლაღარიკი 159
ლაღარიკონი 159, 284
ლაჭნდირი 330, 331
ლეგენდა აფხაზების წარმოშობაზე 118
ლევირატი 50
ლევკოთეას სამლოცველო 115
ლეჭნდ 225, 226
ლითონის წარმოება 289
ლითონის ხელოვნება 49
ლითონის დამუშავება 89
ლითონის კულტურა 102
ლიტრა 158, 280, 281, 286
ლიტრა პირგადასმული 281
ლიტრა თავშებმული 281
ლინთურალი 55
ლიფანალი 148, 224, 230, 231, 232, 234
ლიშიაშალ 186
ლიმგიმ 142
ლილშან 147
ლუსკუმ 331
ლუჭკი 205

მამა-მძუძე 54
მანდილი 50, 174, 208
მარ 373
მარგი 282
მარაგ 219
მარგილი 371
მარტუღელი 169, 189
მატრიარქატი 55, 56, 58, 59, 60, 61, 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი აფთარი 300, 302
მამხვევრა 207
მახა 21, 262, 370
მარჰა 120
მგზავრაი 169, 198, 205, 206
მეგრელაური მირონიანი მუხა 22,
მეგრული კელაპტარი 226
მედაბღე 269
მეკოპრეობა II მეკობრეობა 290
მენა 155, 156, 157
მესმინაედ დაჯდომა 198, 199
მეჯოგე ტოში 119
მეჯოგეობის კულტურა 60
მზის ღვთაება 354, 355
მზის კულტი 190
მთის მეურნეობა 121
მითი იოანეს შესახებ 267
მირგვალაი 183, 185, 190, 192, 194
მირგვალა წრეები 174
მისხალი 286
მიცვალებულის კულტი 224, 226, 229
მიცვალებულთა სულები 53
მიცვალებულის ხე 226
მიწა 267
მოგვი 357
მოდგამი 271
მომთაბარეები 108
მომწკლავბაი 207
მონადირეობა 369
მორვები 149, 150
მოხევური დიდო 226
მრავალთვალა 206
მსხვერპლ შეწირვა 53
მუმია 382, 383, 384
მუში 285
მღებართუხუცესი 212
მშა 240
მშვილდის დაზინვა 296, 297
მძივ შამახვეულა 201
მჯით-ღილ კვერილანი 201

ნადი 271, 300
ნადირობა 155
ნაურობობა 155
ნაფკე 200
ნაქარდი 204
ნაჭრელაი 187, 195, 204
ნახეში 166
ნახეშ ოდასი 219
ნიტრა 158, 281, 282
{ პირგადასმული
{ თავშობმული
{ სილაზე სავსე
{ ფითქლივ სავსე
{ გულამოვსებული
ნიფხავი II შარვალი 208
ნუფკვი 210, 215

ოდა 218, 219, 221
ოთხბაზიანი 206
ოთხთვალაი 179, 197
ოთხთვალიანა 205
ოთხკუთხაი 183, 185
ოლექვანდირი 131
ორნატი 281
ორმაგ შიბაი 206
ორნამენტი 161, 174
ორნამენტის ამოკვერვა 200
ორხელა 25, 26
ოქრომჭედლობა 241
ოქროს საწმისი 35

პარიზის ეთნ. საზ-ბის სხდომა 31
პატრიარქატი 58, 59, 60, 61, 90
პინა 158, 282, 284
პირზე სავსე ლიტრა 158
პირის ქარი 167
პირისსანახავი 54
პირქუში 240
პიტნა 13
პერანგი 172
პეპელა-კბილაი 208

რაბ-დარვაზ 100, 101
რადი 243
რადრაბაგანი 243, 244
რაჭული სახვნელი 26
რაჭველი ქალის კოსტუმი 272
რიტუალური პური 179
რქადახრილნი 169, 181, 198

რჭიან-მარტუღელაი 189, 198
რჭის მშვილდი 294, 298
რძით დაძმობილება 55, 56
რძით დედა 55
რძით ძმობა 55, 56

საახალწლო კალმახი 229. 230
საბეჭური 206
საბ. ეთნოგრაფია 133
სადიაცო 165, 166, 167, 171, 175
სადიდებელთა 167
სადღვებელი 84
საზედაშე ღვინო 122
სათაურა 162, 163, 208, 272
სათივე ბაგა 107
სათხრელები 202
საიები 192
საკართული 152
საკაცრავი 153
საკოდე 167
საკურტხილი 140, 141, 142, 146, 148, 149, 150, 152, 153
საღალავი 280
საღბი 13
სამაბაზიანი 205
სამანი 51, 57
სამარხის ძვლები 107
სამეკოპრო 163
სამკილი 275
სამღვბროს ქვები 209
სამწყეტლო 171
სანე 109
საომარი დროშა 364
საომარი საჭურველი 290
სარბილო 277
სარკოფაგი 381, 383
სასენო 323
სასოფლო შარა 304
საფარაგე აღი 202
საფარაგეები 204
საფარაგო 202
საფლავის ქვა 188
საფუხრეები 208
საქარდავი იარაღი 206
საქუნაშ 148
საღერმათ 148
საყალიბოს 202
საყელთ-საბართი 171
საჩითავი საბელოსნო 210
საჩითავი ყალიბები 210
საცერული 164
საცეხველი 28
საწვივე 277
საწნახელი 156
საჭრეთლები 168, 210
სახელოსნო 238
სახვნელი იარაღი 370
სახვნელი კულტურა 49
სახლი 128
სახრელები 200
სახუ 382
სვანური ლიფანალი 323
სვანური გადმოცემა 106
სვანური გომური 233
სვანური ორნამენტი 192, 209
სვანური ფაფი 227
სვანური ქორ 225, 234
სვანური ქუდი 81
სვეტი ცხოველი 226
სვილის ყანა 280
სვეადა 241, 242
სელი 275
სილა 159, 160. 282, 283, 284
სისხლის აღება 54
სიცოცხლის ხე 29, 218, 219, 220, 221, 224, 226, 227, 228, 229, 230
სკიპტრა-ლახტი 359
სკამ 142
სკლატის ორნამენტი 207
სკლატის ხატი 177
სკლატის მირგვალაი 199
სკლატის კუთხაი 199
სმინობა 196
სოლანი 239
სოლომ 240
სოხა 26
სტირი 285, 286
სულა-კალმახი 30
სუმერული თოხი 372

სუმერული ციცნა 370
სუფ 192
სწორფერი 207

ტაგარი 156
ტაგრუცი 163, 184, 186, 200, 331
ტალ 120
ტალავარი 161, 275
ტახტი 281
ტილო 120
ტოლი 207
ტოლზე ამოქარდვა 206
ტომრის შიბაი 206
ტუფი 281
ტროა 190
ტყავის დამუშავება 269
ტყლაპებგადაკრული 209
ტყლაპები 209

ურთხელი 9, 13
ურსა 200
უსტაბაში 239, 240

ფარაგი 24, 171, 172, 206, 208, 271, 275, 278
ფარაონთა აკლდამები 384
ფაფი 182
ფაშა 20
ფეტვი 261, 267, 370
ფეტვის ღვთაება იანი 267
ფსხუ 122
ფშაველი ქალი 57
ფშაური ლაშარის ბერ-მუხა 265
ფხინები 200

ქავჩი 304
ქალაქის მოურავი 292
ქალაქური დასახლების ტიპი 369
ქალის მდგ ომარეობა 50, 51
ქარვასლა 238
ქართული აბრეშუმი 22
ქართული ეთნოლოგია 151
ქართული კაბა 270, 272, 276
ქართული კულტურა 62
ქართული ჩოხა 272
ქართული ხულა 227
ქარხანა 238, 239
ქერის ყანა 280
ქესადგუმე 119
ქორა მახვში 149, 150, 151
ქორი 184
ქორწინება 50, 51
ქოქლო 206, 208
ქოქომონი 175, 178
ქრისტიანობა 110, 118
ქსოვილის ორნამენტის იარაღები 207
ქურნა 202

ღაჯია 164, 299, 302
ღვედანი 181
ღვთაება ხატი გუდა 109
ღენწვიშ II ჭანწვიშ 234
ღომელის კეცი 202
ღომი 134

ყაბახი 244
ყალიმი 53
ყაწიმი 202
ყუერბი 281

შარი 281
შატაი 207
შატუალა 155
შეგარდის დალოცვა 240
შემგროვებლობა 369
შვილდ-ისარი 288, 289, 291, 293, 298
შვილის გაძიძავება 54
შიბაი 206
შიბან შავამლებულ ხატულაი 173
შიბის გვერდაი 207
შიკრიკი 239
შილაი 202, 204, 205, 206
შილიფანი 175
შიმი ლიფშუდე 186
შიმში 284
შნაკვი 21, 261
შოთხის ხე 293
შონური 146
შუმერული „სარ" 281

ჩანახი 160, 219, 282, 284
ჩერხა 172
ჩექმა 357
ჩოგანი 243
ჩო ჭის შიბაი 206
ჩეჩნილ 194

ცალად ორკაპა ქუჩუმანი 203
ცივი ღებვა 210
ციკეკავა 179, 190, 205, 207
ციცაის ფეხანი 181
ცერად ჩაჭრილი 200, 210
ცერი 215
ცელის ტარი 280
ცეცხლი 133
ცეცხლის კულტი 221
ცხენი 49, 109
ცხენის კბილანი 181
ცხრათვალა 206
ცხრათვალიანი 197

ძელქვა 9, 13
ძმადნაფიცობა 56
ძუძუმტეობა 54

წამ 371
წარმარვული პანთეონი 75
წარმართული სარწმუნოება 70, 71
წერი 280
წეროს მხარაი 206, 207
წინაპართა კულტი 53, 147, 221, 323
წისქვილა 303
წისქვილის ქვა 108
წმინდა ტყე 55

ჭანჭიკის საბეევი 162
ჭვანდირი 131
ჭვინტი 361, 362, 358
ჭვინტიანი ფეხსაცმელი 55, 357, 358, 363, 364
ჭოთი 209
ჭრელა 232
ჭრელანი 171

ჭადიშ ლიგუან 194
ჭარ-გუთანი 109
ჭელი 179, 184, 186, 187, 188

ხალდური ღვთაებები 38
ხალდური ღვინო 252
ხაზინადარი 239
ხარაბა 310
ხარი 233, 234
ხარის კულტი 60, 267, 268
ხარსარაღი II ხარწარაღი 234
ხატზე გადაცემა 61
ხატი 51, 162, 166, 167, 169, 179, 182, 185, 305
ხატი დაკავაულით 183
ხატის ფშები 166, 167, 172
ხატის ხატნი 166, 172, 173
ხატი ჩამაკოჭვილაით 181
ხატულანი 173
ხაჩი 167, 169
ხევის ბერი 364
ხევის ბერის ყვარჯენი 364
ხევსურეთი 281
ხევსურული აჩაჩი 21, 227
ხევსურული გადმოცემა 108, 111
ხევსურული კოსტუმი 81, 271
ხევსურული ორნამენტი 164, 166, 176, 178, 179, 207, 209, 215
ხევსურული პერანგი 271, 275, 277, 279
ხევსურული საცერული 299, 300, 301, 308
ხევსურული სპექტრი 174
ხევსურული სტილი 287
ხევსურული ჩოხა 227
ხელდასმა 241
ხვეულა 301, 302
ხით ხერო 210
ხის თაფანისმცემლები 118
ხის ორნამენტი 215
ხის მშვილდი 284
ხმით ნატირლები 226, 323
ხორბალი 370
ხოწი 200

ხუთა 169
ხული 128
ხულუგო 21
ხურიტული ღვთაებები 38

ჯამე 216
ჯვარი 161, 162, 166, 167, 170, 171
ჯვრის ორნამენტი 278
ჯილღა-გოგრა 260
ჯინი 280

ჰარაპა 368
ჰები 370

აბაზგები 113, 114
აბასგა 117
აბასები 118, 119, 120
აბაძეხები 39
ავარები 39, 113
ადიღეელები 39, 57
ადიღელი ხალხი 39, 40
აზერბაიჯანელები 18, 47, 48
აისორები 42
ალანები 46, 47
ალაროდიელები 34
ალვანელები 289
არაბები 17, 24, 37
არიელები 90
არმენიელები 115
ასირიელები 24
ასურელები 48, 50, 51, 373, 375, 377
აფსილი 118
აფსნე 117
აფსუა 117, 118, 119, 130
აფშილები 106
აფხაზები 17, 40, 54, 106, 112, 113, 114, 117, 122, 123, 126, 128, 130, 131, 246, 247
აქადები 37, 50
აქეელები 116
აქემენიდები 24

ბაბილონელები 50, 51, 62
ბალყარელები 43
ბერძნები 32, 50, 59, 63, 94, 95, 102, 217
ბიზანტიელები 24
ბუშარები 104, 105, 106, 111
ბუშები 104, 105
ბჟეტუხები 39

გერმანელები 49
გერმანელი სვევები 32
გუდამაყრები 229
გუთები 50, 51
გუმიშხანელები 217
გურულები 16, 40, 113, 226, 234

დარგინელები 39
დაღესტნელები 39, 43, 44, 45, 46, 53, 174
დიდოელები 174

ებრაელები 42, 43, 254
ეგვიპტელები 180, 377, 384
ედისანის ნოღაელები 42
ეტრუსკები 17

ზიგები 115, 116

თარაკამა 42
თრიალეთის ურუმები 18
თუბალები 15, 20, 73, 74, 9, 90, 91, 95, 101, 182, 246
თურქები 17, 24, 25, 46, 47, 90, 108
თურქ-ოღუზები 111
თუშები 10, 16, 174

იბერები 20, 46, 89, 91, 94, 115, 265
იმერლები 40, 234
ინგილოები 106, 107, 108
ინგუშები 39
ინდოელები 17
ირანელები 16, 17, 24, 45
ირანელი ოსები 32
იტალიელები 17

კავკაზაურები 108, 109, 110, 111
კავკასიელები 17, 48, 49, 51, 53, 57, 58, 63, 221
კალმიკები 44, 45
კარდუხები 31, 32, 97, 98
კასიტები 51
კახელები 40, 248
კერკეტები 115, 116
კიმერიელები 47, 117
კლარჯები 15, 246
კოლხები 15, 20, 21, 34, 35, 46, 73, 102, 115, 116, 118, 119, 246

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაკები 104
ლაზები 15, 18, 40, 118, 131, 216, 217, 218, 221, 24.
ლახამულელი 105, 192
ლეკები 39, 44
ლიდიელები 182

მეგრელები 16, 40, 58, 113, 118, 246, 292
მესხები 15, 16, 35, 98, 101, 102, 113, 114, 116, 221, 246, 247
მეშეხი 73, 74
მთიულები 299
მიტანელები 97
მონღოლები 24, 90
მოსინიკები 16, 290
მოსოხები 113, 114, 182, 290
მოსოყ 101
მოსხები 31, 32, 46, 101, 115, 116
მოხევეები 10, 40
მუსკები 20, 21, 23
მუშკები 74, 100, 101

ნოღაელები 42, 45

ოველები 217
ოსები 13, 17, 39, 43, 53, 57
ოღუზები 106, 107, 108, 111

პონტოელები 20

რომაელები 24, 50, 62, 94
რუსები 17, 19, 42, 44, 45, 81, 118

სარმატები 75, 81, 120
სასპეირები 20, 34, 246
სელჯუკები 108, 111
სემიტები 19
სვანები 16, 35, 59, 104, 105, 106, 115, 146, 148, 149, 150, 246, 247
სირიელები 17
სკვითები 24, 47, 81, 118, 119
სომხები 17, 18, 39, 94, 104, 105, 217, 221, 252
სპარსელები 33
სუმერები 49, 50, 51, 55, 91, 230, 371

ტაბალები 23, 100, 102
ტალიშები 42
ტაოხები 15, 20, 246
ტატები 42, 48
ტიბარენები 58, 59, 91

უდები 18
უკრაინული 42
ურარტუელები 48
ურუკები 108
ურუმები 216

ფანკაც-კაცები 106
ფასენები 217
ფთეროფაგები 15
ფრიგიელები 34, 35
ფშავლები 58, 114, 157, 174

ქამიტები 19, 59
ქართველები 17, 31, 33, 35, 36, 39, 40, 41, 44, 49, 59, 60, 61, 73, 89, 90, 94, 116, 117, 130, 246, 247, 375
ქართველი ებრაელები 18
ქართველი ტომები 20, 101, 102, 221, 246, 247, 289
ქართველი ხალხი 19, 46, 63, 64, 69, 84, 97, 101, 104
ქართლელები 16, 40, 221, 246, 247
ქურთ-იეზიდები 18, 31, 42

ჩაჩნები 17, 39, 46, 179
ჩიმჩუები 39
ჩერქეზები 44, 49, 54, 55, 57, 110, 117, 118, 119

წანარები 61

ჭანები 15, 16, 40, 113, 246

ხაზარები 47, 106, 114
ხალდები 15, 29, 32, 33, 34, 35, 37, 38, 91, 98, 102, 182, 246, 374, 375, 376
ხალიბები 20, 21, 89, 102
ხატები 59, 74, 180
ხევსურები 10, 40, 163, 164, 170, 171, 179, 207, 208, 293, 374

ხეთები 18, 36, 50, 51, 58, 62, 91, 103, 180,
182, 188, 251, 360, 362, 374, 376, 378
ხვარეზმის თურქმენები 42
ხურები 95, 96, 180
ხურიტები 36

ჰენიოხები 115, 116
ჰერები 247, 248

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აბასთუმანი 114
აბისინია 105
ალბანეთი 58
ამიერკავკასია 111, 108
ანატოლია 117
ანატოლიის აკლდამები 306
არარატი 249
არდონის ხეობა 307,
არღუნის ხეობა 158, 304
ასტურია 261
ასურეთი 284, 374
აფხაზეთი 61, 114, 118, 120, 127
აფხაზეთის მთიანეთი 114
აფხაზეთის მხარეები 113
აფხაზეთის სამეფო 113
აში 157

ბაბილონი 247, 284
ბაზალეთი 110, 209
ბათუმი 266
ბაიანა 374, 375, 376
ბაგინეთი 276
ბალკანეთის ნახევარკუნძული 49, 58
ბალტიის პირეთი 238
ბალყარეთი 46
ბარისახო 202, 208
ბარცხანა 265
ბასკონია 16
ბაქო 39
ბაღდადი 22, 236
ბაცალიგო 109, 202
ბახმარო 12
ბედენი 275
ბელორუსია 239
ბელაია (მდ.) 39
ბენარა 9
ბზიფი 11, 113
ბიზანტია 49, 62
ბისო 208
ბობოყათი 223
ბოდორნა 157
ბორბალო 10
ბორჯომის ხეობა 11
ბოღაზ ქოი 38

ბრუტსაბმელი 10
ბუდე ხევსურეთი 174

გაგრა 12
გაგრის ქედი 9
განჯის კარი 236
გელის ველი 11
გერეზმანი 38
გილანი 16
გიუმიშ-ხანე 16
გომარეთის ველი 10
გუდამაყარი 109, 158
გუდანი 108, 109
გუდაუთა 121
გუდარეხი 109, 308, 312
გუდრუხი 109
გუნია-ყალა 217, 221
გურჯიპსი (მდ.) 119

დავით გარეჯა (მონასტერი) 338
დარუბანდი 42
დაღესტანი 29, 43, 48, 104, 184, 223, 331, 358
დიდ-დაღეთი 308
დიდი პიტიუნტი 115
დიდუბე 236, 276
დიდოეთი 110
დიოსკურია 115
დმანისი 22
დუმანისი 308
დუნაი 44
დუშეთი 300

ეგეოსის ზღვა 45
ეგვიპტე 49, 52, 62, 188, 247, 248, 350, 368, 381, 383, 384
ედდიქილისა (სოფ.) 188, 192
ევროპა 14, 49
ევფრატი 15, 36, 37, 369
ეთიოპია 59
ელამი 47
ელბრუსი 41, 43
ენგური 11
ერაყი 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი 105
ესპანეთის იბერია 58
ეცერი 104

ვაკე 309
ვანის ვილაეთი 372
ვანის ტბა 35, 36, 96
ვასპურაკანი 36
ვეძათხევი 282

ზაგროსი 47
ზანგეზური 59
ზაქათალა 41
ზეკარის გადასასვლელი 114
ზემო ავჭალა 333
ზემო რაჭა 40
ზემო სვანეთი 365
ზღუდერი 59

თავრიზი 37
თბილისი 11, 22, 94, 105, 235, 236, 237, 238, 242, 243, 244, 245, 366
თეთნულდი 10
თელავი 287, 300
თერგი 39
თერგის ხეობა 97, 307
თრიალეთი 18, 47, 217, 218, 219, 221, 223
თრიალეთის ველი 10
თურქეთი 15, 49
თურქეთის სომხეთი 17
თუშეთი 16, 186, 271

იბერია 21, 31, 97, 98, 101, 110
ივრის ხეობა 121
იმერეთი 223
ინგლისი 371
ინგუშეთი 29, 184, 223, 360
ინდი (მდ.) 368
ინდოეთი 12, 28
ისკარი (სოფ.) 104
იონია 52
იორი 121
იორი (მდ.) 10
ირანი 15, 45, 47, 188, 248
ირანის აზერბაიჯანი 16, 44

იტალია 22
იფარის თემი 225

კაბადოკია 379
კავკასია 20, 26, 27, 29, 39, 45, 46, 47, 48, 49, 50, 52, 53, 58, 75, 90, 102
კავკასიონი 39
კავკასიონის მთები 118
კავკასიონის ქედი 36
კასპიის ზღვა 10, 36
კასპიისპირეთი 42, 47
კახაბერის დაბლობი 10
კახეთი 16, 110, 121, 157
კახეთის ველი 10
კახი 41
კენტრიტი 33
კვიპროსი 58
კერასუნტი 16
კიურე-ინებულუ 16
კოდორი 11
კოდორის გზა 10
კოლხეთი 129, 256, 257, 259, 261, 269, 270, 289, 367
კოლხეთის დაბლობი 10
კოლხიდა 20
კონსტანტინეპოლი 22
კორსიკა 58
კუტკაშენი (სოფ.) 107

ლაბა 39
ლაბის ხეობა 30,
ლაზიკა 24, 119
ლალიანი 110
ლანჩხუთი 127
ლახამულა 105, 194
ლახირი 305
ლეკები 44
ლენინაკანი 43, 45
ლენინგრადი 104
ლენქორანი 42
ლესელიძე 265
ლეჩხუმი 16, 40, 241
ლიახვი 11, 43
ლიდია 109
ლიკია 35

ლუიზიანა 12
ლურისტანი 60, 186

მაზანდერანი 16
მაიაკოვსკის რ-ნი 216
მაილა 217
მანა 96, 97
მანასკერტი 37
მახინჯაური 265
მეზვრიანთ კარი 157
მენჯი 12
მერეთი (სოფ.) 223
მესოპოტამია 28, 34, 45, 47, 62, 248, 368
მესხეთი 115, 223
მესხეთის ქედი 10
მზიმთა 113
მთიანი ოსეთი 46
მთიულეთი 110, 158, 298
მიდასი 34
მითანი 36, 46
მიკენი 190
მიტანი 36, 37, 95, 90
მლაშე (სოფ.) 223
მოჰენჯოდარო 368
მტკვარი 15, 37, 41, 43, 45, 47
მტკვრის აუზი 374
მუსიერი 227
მურაზ-სუ 37
მურკმელი 365
მუქნუ 364
მცირე აზია 34, 46, 47, 50, 51, 62, 108, 241, 248
მცხეთა 94, 212

ნალჩიკი 43
ნატანები (მდ.) 11
ნილოსი 369
ნუხი 37

ორდუ 1,
ორწყალი 304
ოსეთი 41, 54
ოფშკვითი 265

პალესტინა 48, 49, 248, 330
პეტრე-პავლეს ციხე 338
პიტარეთი 308, 311
პირაქეთ ხევსურეთი 305
პოლონეთი 49
პონტო 23, 44, 58
პულუჯი 374

რასშამრაში 38
რაჭა 16, 157, 261
რიონი 11, 25, 43, 257
რომი 51, 52, 102, 350

საბერძნეთი 52, 248, 254, 350
საინგილო 157
სალიბაური 266
სამშვილდე 309
სამხრეთ კავკასია 249
სამეგრელო 159
სამიქაო 283
სამცხე 113
სამხრ. ევროპა 49
სამხრ. იაპონია 12
სამხრ. ჩინეთი 12
საქართველო 40, 48, 113, 289
საჩაჩნო 184
საჩერქეზო 122, 245
სევანი 46
სვანეთი 40, 58, 104, 105, 107, 110, 145, 150, 223, 231, 241, 275, 366
სვანეთის ქედი 9
სიმეჯი 38
სინას ნახევარკუნძული 49
სირია 36, 45, 247, 248, 361, 378
სიღნაღი 287
სკანდინავია 49
სომხეთი 34, 41, 42, 46, 47, 48, 62
სპარსეთი 31, 49, 52, 62, 252
სუბარი 37
სუმერეთი 284, 368, 370
სურამის ქედი 9, 12
სუფსა 11

ტაბალი 20
ტაიკანი 134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიგრანოკერტი 31, 32
ტიგროსი (მდ.) 31, 35
ტოლაში (სოფ.) 283
ტრამალების კორიდორი 27
ტრაპეზუნდი 16, 22
ტფილისი 208, 287, 300, 306

უბისი 283
უდაბნო 10
უკანა ხადუ 208
უკრაინა 49
ურარტუ 47, 96, 102, 373
ური 30
ურმია 18, 42
უშბა 10
უშგული 14

ფაზისი 11, 254
ფარავნის ტბა 12
ფასანაური 300
ფასის მთა 11
ფერეიდანი 10
ფრიგია 34
ფშავი 245
ფხვენისი 282

ქალდეა 20
ქართლი 16, 17
ქართლის ქედი 10, 97, 223
ქაჩუს ციხე 304
ქვაბლიანი 308
ქვაცხელი 275
ქერანი 282
ქვემო ალმე 325
ქვემო ქართლი 159
ქობულეთი 223
ქობულეთის დაბლობი 10
ქსანი 11
ქსნის ხეობა 121
ქუთაისი 42
ქუთაისი-ალაგირის გზა 10
ქურთისტანი 45

ღორჯომი 223, 338
ღული 202

ყაზბეგი 10
ყარაბახი 45, 238
ყარაია 37
ყარაჩაი 46
ყარაღაჯი 345
ყარელი 109
ყირილა 11, 43
ყიზილ-ირმაკის აუზი 15
ყუენ-ქომი 219
ყუბანი (მდ.) 39
ყუბაჩი 304
ყუმუხი 104

შავი ზღვა 10, 118
შავშეთი 101
შატილი 304, 305
შიდა კახეთი 283
შიდა ქართლი 114, 113, 157, 158
შილდა 121
შოვი 12
შორეული აღმოსავლეთი 49
შროშა 283
შუა აზია 90, 108, 111
შხარა 10

ჩაქვი 265
ჩინეთი 27, 134, 247, 370
ჩირდილი 285
ჩრდ. კავკასია 42, 46, 47, 60, 101
ჩოლოქი (მდ.) 11

ცაგერის რ-ნი 209
ცენტრალური აზია 14
ცივ-გომბორის ქედი 10
ციხისძირი 12, 265
ცლუკაანი (სოფ.) 282
ცხენისწყალი II ჰიპოსი 11

ძურძუკეთი 110

წალკა 188, 192
წინა აზია 20, 22, 29, 45, 47, 59, 60, 74, 91, 95, 111, 226, 265, 330
წინწყარო 217, 218, 219

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭართალი 110, 158
ჭვიბერის გზა 10
ჭიეში 202
ჭოპორტი 157
ჭოროხი II ბოასი 11, 15, 46, 47, 97, 116
ჭუბერი 105
ჭყონდიდი 226

ხაბალკინუ 20
ხაზარები 47
ხაზარების სამეფო 105
ხაზარეთი 105, 108
ხალდარან 37
ხალდე 38
ხალდუ 47
ხანდო 158
ხარ 37
ხახმატი 208
ხვარეზმი 42
ხეთა 52, 61, 378
ხევსურეთი 39, 101, 109, 113, 158, 162, 208, 241, 270, 275, 277, 280, 285, 292
ხერკი 37, 38
ხობი (მდ.) 11
ხოპისი (სოფ.) 308
ხორასანი 37, 250
ხორიუნუკი 37
ხორხორუნიკ 38
ხრამი 11, 37
ხუნანი 37
ხური 36, 46
ხურიტების მიწა-წყალი 35, 36
ხურრი 36, 37
ხუციანნი 110

ჯავახეთი 18, 19, 228, 332
ჯავახეთის ზეგანი 10
ჯგერდი (სოფ.) 122
ჯვარი (სოფ.) 344
ჯვარის მონასტერი 336, 337

ჰაიკ (ქალ.) 37, 38
ჰენიოხთა სანაპირო 115
ჰერეთი 15, 37
ჰერკ-ი 38

აბულაძე ი. 128, 156
აბაევი ვ. 348
აბაკარი იად. 57
აბუ აჰედ ჰამილ ბენ 236
აბუნ ბენიამინ თბილელი 105
ალავიძე მ. 159, 283
ალექსიშვილი მ. 100
ალექსი-მესხიევი ნ. 357
ალ-მასუდი 108
ალფარსლანი 242
ამირანაშვილი შ. 100
ამირანაშვილი ჯ. 8
ანთაძე ი. 65
ანჩაბაძე ზ. 100, 130
არაბა 108, 109
არაბული ბ. 108
არისტინოვი ნიკ. 221
არტემიდორე 115, 116
ასლანოვი ი. 218, 221
არშბა გ. 122
აფაქიძე ა. 8, 100

ბაგრატიონი ვ. 157
ბალიაური მ. 208
ბარდაველიძე ვ. 6, 7, 59, 72, 107, 108, 121, 161, 179, 209, 210, 215, 225, 231, 232, 257, 258, 267, 356, 359, 364
ბართოლომეი 142, 146, 147, 310, 337
ბატსონი გრ. 138
ბაუმჰაუერი ფ. 237
ბაქრაძე დ. 311, 337
ბედუკაძე ს. 155
ბეზარიშვილი ც. 82
ბელკი ვ. 366
ბენვენისტი ვ. 120
ბერიძე ვ. 65, 159, 283
ბერუე 57
ბერძენიშვილი ნ. 89, 265
ბიჰანი 299
ბლაიხშტაინერი ლ. 116
ბლუმენ-ბახი 43
ბოასი ფ.
ბოჭორიშვილი ლ. 156, 159
ბრალიაშვილი ნ. 208
ბრაუნჰარდტი 26
ბროსე 310, 318, 337
ბუნაკი ვ. 39, 41, 42, 43, 44, 45, 97

გაბლიანი ეგნ. 230
გაბუური ვ. 285
გამსახურდია კ. 65
გეგეშიძე მ. 4, 123, 130, 25, 258
გერეზმანი 38
გერჰარდი ე. 151
გვრიტიშვილი ივ. 82, 85, 100
გიგაური 110
გიოტცე ა. 36, 96
გიულდენშტედტი 118, 119, 265, 268, 286, 287
გობეჯიშვილი გ. 65
გოგოჭაია 108, 109
გორგასალი ვ. 64, 289
გორდიოსი 34
გორდლევსკი ვ. 108
გრაბოვსკი 57
გრეგორ 384
გროსე ე. 232
გულბანი ბ. 232
გულისაშვილი ზ. 310
გურგენისშვილი მ. 282
გძელიშვილი ი. 235, 238

დადეშქელიანი 104, 148
დადუანი ლ. 147
დავითულიანი მ. 253
დე მორგანი 333
დეჩი 299
დიუბუა დე მონპერიე 31
დუდხალია 377

ერისთავი ზურაბ 290, 375

ვახტანგ მეექვსე 155, 237, 286
ვახუშტი 66, 67, 121, 157, 216, 256,

258, 289, 294, 337
ვირხოვი 366
ვიტრუვი 237

თავისუფალი სვანი 142, 145, 151
თამარ მეფის ისტორიკოსი 24, 289
თარგამოსი 110
თარხნიშვილი გ. 65
თაყაიშვილი ეკ. 92, 309, 310, 311, 312, 313, 320, 333, 359
თახარუს 383
თემურ-ლენგი 236, 242
თოფურია ნ. 122

ივანოვსკი 39
ˊიმნაიშვილი დ. 326
ინალ-იფა შ. 130
ინგოროყვა პ. 112, 113, 114, 115, 188, 231
ინოსტრანცევი კ. 66, 72

კაზნაკოვი ა. 142
კაკაბაძე დ. 65
კაკაბაძე ს. 100, 156
კალვეიტი კ. 145
კარიჭაშვილი დ. 152
კარნარვონი 380, 381, 382, 383, 384
კარსტი ი. 89
კაშტილიოში 52
კახელი ი. 305
კვიდელაძე მ. 281
კვიკელიძე კ. 141, 152
კესარიელი ევს. 75
კეცხოველი ნ. 126
კიბელა 35
კიპერტი 90, 91
კიუნი ჰ. 233
კლაპორტი 57, 287
კლინგენი ი. 247
კოვალევსკი მ. 57, 58, 61, 62, 72, 145
კოხი 57
კრემჩერი 34, 35
კრუკოვსკი 333
კუფტინი ბ. 47, 347, 348

ლამბერტი ა. 61, 62
ლატიშევი 115
ლაშა-გიორგი 357
ლემან-ჰაუპტი კ. 36, 91, 97, 98
ლენინი ვ. 137, 139
ლენორმანი 73, 91
ლინდბლომი 299
ლომთათიძე გ. 238
ლომთათიძე ქ. 120
ლომია ს. 65
ლორთქიფანიძე მ. 8, 100
ლუკული 98
ლუშანი ფ. 140

მაიერი ედ. 91
მაკალათია ნ. 324
მაკალათია ს. 290
მაკედონელი ალ. 32, 33, 98
მამფორია დ. 326
მანგუხანი 242
მარანი რ. 155
მარგველაშვილი ტ. 48, 50, 53, 54
მარგიანი დ. 151
მარი ნ. 28, 46, 72, 73, 90, 91, 92, 101, 110, 114, 117, 118, 141, 151, 154, 155, 156, 265, 337
მარცელანი ა. 120
მარშანია მაჰ. 122
მასპერო 73, 384
მასუდი 120
მაჭავარიანი ნ. 65
მედიჩი-ბეიშკიანი მინას 118, 119, 120
მელიქიშვილი გ. 100, 101
მენოეშაშვილი სტ. 158
მენუა 34, 37, 373
მერჩულე გ. 112, 122, 265
მესხია შ. 100
მთაწმინდელი ექთი. 152, 265
მითრიდატე 115
მილერი 28, 46
მიტანელი კიკ. 96
მიქელაძე ევს. 65
მომზენი თ. 289
მროველი ლ. 24, 38, 73, 110, 256
მუსხელიშვილი ლ. 160

ნამიტოკი ა. 117
ნანობაშვილი ი. 251, 281
ნერსე 106
ნიორაძე გ. 288
ნიჟარაძე ივ. 151, 233
ნოლდეკი თ. 31

ოპენჰეიმი 371

პალუფატე ანი დოსული 115
პანტიუხოვი 39
პატკანოვი კ. 105
პიოტროვსკი ბ. 47
პეტრიწონელი 73
პლინიუსი 94
პომპეუსი 289

ჟორდანია თ. 110, 319
ჟუკოვსკი პ. 262

რადდე გ. 142, 299, 300, 359
რამზეი 37
რამიშვილი მ. 258
რატცელი ფრ. 138
რეხვიაშვილი ნ. 9, 16, 257, 259, 263, 324
რიეერსი 298
რიტერი 25
რობაქიძე ალ. 127, 257
როდოსელი აპ. 58
რუსთაველი შ. 5, 154, 15, 160, 188
რუსკი იურ. 138
რუხაძე ჯ. 8
რუჯიერი 44

საბა 152, 159, 169, 283, 284, 286, 343, 354, 357, 359, 365
საბანისძე ი. 106
საურმაგ მეფე 110
საფრასტიანი ა. 36, 37, 38
სენ-მარტენი 31, 101
სერამიდა 374
სისაურები 305
სკანდერი გ. 267
სმიტი ს. 37
სონღულაშვილი ირ. 22., 329
სოხაძე აკ. 155
სტალინი ი. 88, 136, 139
სტრაბონი 31, 58, 1, 94, 9, 115, 116, 254, 256, 25, 278
სურგულაძე ივ. 366

ტალახაძე ი. 100
ტაციტი 94
ტეზენკოვი მ. 90
ტეილორი ედ. 138
ტოლსტოი ს. 234
ტრეიდე დ. 116
ტულჩინსკი 223
ტურაევი 91
ტურნვალდი თ. 138
ტუტანხამონი 387
ტუტანხატონი 388
ტყეშელაშვილი ო. 235, 238

უვაროვა პ. 305, 364
უილსი კ. 369
ურბნელი ნ. 291, 295, 299
უსლარი 73
უსტა ომერ ეფენდი 216

ფარნავაზი 64
ფასანაურელი კ. 305
ფერვორნი მ. 232
ფირკანტი ა. 232
ფლაბიოსი ი. 73, 90, 101
ფორერი ფრ. 74
ფონ სტალი 57
ფუთურიძე ვლ. 6, 65

ქიჩპარაულები 108
ქსენოფონტე 16, 32, 34, 97, 98

შავთელი 24
შანიძე აკ. 65, 90, 290, 293, 294
შაჰ-აბასი 16
შირაქელი ან. 105
შმერლინგი რ. 208, 231
შმიდტი ვ. 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაჩაშვილი გ. 6.
ჩახრუხაძე 24
ჩიმაკაძე ნ. 146, 147, 148
ჩინგის ყენი 242
ჩიტაია გ. 5, 7, , 69, 100, 107, 10, 123, 130, 131, 161, 164, 171, 179, 10, 182, 184, 204, 209, 210, 215, 226, 231, 241, 256, 323, 359, 384
ჩიქობავა არნ. 116
ჩოლოყაშვილი კ. 155
ჩუბინაშვილი გ. 231
ჩუბინაშვილი დ. 152
ჩუბინაშვილი ნ. 159, 169
ჩხიკვიშვილი დ. 139

ციციშვილი ი. 209

წერეთელი ბ. 159, 283
წერეთელი ზ. 7, 8
წერეთელი კ. 114
წერეთელი მ. 141

ჭყონია ი. 110, 127, 131, 137

ხაიამი ო. 250, 251
ხარატი ნ. 137
ხორენელი მ. 37, 38
ხოშტარია ნ. 100

ჯავახიშვილი ივ. 6, 39, 44, 64, 65, 66, 67, 70, 71, 72, 73, 74, 76, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 9, 90, 101, 110, 114, 120, 129, 141, 151, 154, 156, 157, 159, 182, 209, 249, 252, 256, 258, 261, 264, 266, 280, 283, 286, 318, 337, 354, 355
ჯალალედინი 242
ჯანაშვილი მ. 107, 157, 286, 311
ჯანაშია ს. 17, 46, 61, 88, 9, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 9, 101, 104, 119, 120, 130
ჯაფარიძე ო. 100, 238, 265, 266
ჯაღათა ი. 242
ჯინჭარაძ 109

ჰარტმანი რ. 31
ჰაუფტი ლ. 32, 35, 36
ჰაქსტჰაუზენი ბ. 25, 26
ჰედონი 39
ჰეკატე 35
ჰელანიკე მიტილენელი 115
ჰეროდოტე 19, 21, 31, 94, 109, 120, 256, 289, 373
ჰეფესტო 20, 54
ჰიპოკრატე 19, 84
ჰოგარტი 37
ჰომელი ფრ. 91, 367
ჰომეროსი 20, 102, 254
ჰუდონი 44
ჰულაგუ ყენი 156

Allen A. 58
Andirae W. 354
Aristophanes 352

Barthold W. 119
Bartholomaei 310, 311
Baschmakoff A. 117
Bashofen 58
Bateson Cr. 138
Baumeister A. 330, 352
Bekehrmy 119
Belck W. 180
Bing L. 188
Bleichsteiner R. 116, 229
Blumner H. 350, 352
Boas F. 140
Brosset M. 119, 308, 310, 311, 312, 314, 352
Byhan 35, 161, 299, 358

Christian V. 60
Contenau G. 330, 331

Dechy M. 299
De Morgan 180
Diels H. 350, 352, 355
Dillmont Th. 204
Dirr A. 358

Ebert M. 169
Eheloff H. 58

Ferrara A. 162
Fimmen D. 180
Finqer S. 229
Friedrich J. 37
Friedrichs H. 60

Gamba A. 161
Gariffe G. 118
Genouillac H. 362
Gertte W. 151, 180
Graebner Fr. 140, 308
Guenther J. 40, 141
Guthe H. 348, 360
Güldenstadt J. 117, 118
Günther I. 60

Hahn Ed. 353
Harcar Er. 180, 186
Hehn W. 19, 248
Holf C. 140
Hommel Fr. 355
Hoqarth D. 361
Hrozny Br. 19, 180, 188, 248

Jeremias Dr. 37
Jünther H. 58
Jötze A. 36

Karst J. 58, 63, 89, 246
Kees H. 354
Kékélidzé 119
Kissling 117
Klaproth J. 58, 63, 89, 246, 286
Königsberger O. 352, 353, 354, 355, 356
Koopers W. 323
Kornemann E. 58
Kroeber A. 140
Krueger F. 140
Krueger P. 140

Laviosa-Zamboti P. 133
Lehmann-Haupt C. 31, 33, 57, 98
Leonard R. 330
Luschan Fr. 108, 348, 350, 351, 353

Machay Fr. 227
Margwelashvili 19
Markwart J. 119
Mayer Ed. 133, 180
Meissner Br. 160, 248, 252, 280
Menghin O. 60
Minorsky V. 119
Moortgat A. 226, 361
Mourier J. 171

Namitok A. 117, 118, 119, 120
Nopsa Fr. 188

Omedeo A. 12
Oppenheim M. 179, 361

Pauly-krole Mittelhaus 31, 357, 361, 362
Peeters P. 119
Perrot et Chipiz 330, 356, 361, 362
Pillet M. 356
Plaetshke Br. 179, 183, 198
Plinius 352
Potratz H. 96
Porada Fr. 362
Prokopius 265

Radde G. 161, 164, 175, 299, 301
Reimpel W. 362
Rommel G. 145, 148
Rosen Fr. 250
Rosenberg 357, 361
Rosher 35
Ruesch J. 138

Safrastian Ar. 36
Schachérmeyer 89
Scheltema T. 169
Schmidt W. 140
Sehlumberger J. 61

Segal I. 262
Semmer F. 58
Sheftelowitz Dr. 61
Sommer F. 58
Strabon 58, 258

Tchoubinof D. 286
Tilke M. 161, 180, 182
Thiele O. 140
Treide 19
Thitaia G. 251

Upsen C. 60

Viviende Saint Martin M. 31

Wakhoucht Tsarévitch 309
Wardrop O. 63
Weber O. 361
Werth E. 248
Weule K. 133
Wienhold 19
Wilke G. 188
Woolleg C. 227
Wundt M. 140
Wundt W. 140

Zichy E. 357

Бакрадзе Д. 329
Бардавелидзе В. 167
Бартоломей И. 142, 147
Башкиров А. 224, 329
Белокуров С. 264

Вейденбаум Е. 164

Гамкрелидзе Т. 103
Гегешидзе М. 135, 256
Горделевский В. 108

Далгат Б. 360
Деген-Ковалевский Б. 267
Джавахишвили И. 74, 80
Джанашвили М. 328
Долгушин А. 147

Жордания О. 153
Жуковский П. 257, 262

Завылин И. 141
Зиссерман А. 301

Иванов В. 103
Иванюков И. 145, 150
Иващенко М. 257, 266
Иностранцев К. 141

Кальвит Э. 145
Камараули Л. 299
Кауфман И. 286
Кипшидзе И. 119, 159
Ковалевский М. 145, 147, 148, 149, 150, 159, 283

Ленин В. 132
Лысенко Т. 136, 262

Маргиани В. 146, 148, 149, 150, 151
Марр Н. 61, 92, 148, 149, 152, 154, 217, 357, 361
Меликсет-Беков Л. 118
Менабде В. 257
Миллер Б. 66, 157

Невский А. 134
Нижарадзе Ив. 142
Нильсен В. 229

Патканов К. 105
Перщиц 139
Петри Д. 198
Полиектов М. 264

Радде Г. 105, 142, 299, 357
Рашид-бег Эфендиев 107
Робакидзе А. 256, 259
Рчеулишвили М. 258

Сахокия Т. 59
Семенов Л. 183, 224
Степанов И. 354
Стоянов А. 146

Такайшвили Е. 217
Тебенков М. 90
Тепцов В. 145
Толстов С. 109

Уварова П. 364
Услар П. 114

Хоштария Н. 257
Худадов В. 120

Читая Г. 89, 99, 121, 136, 256, 262
Чурсин Т. 184

Эристов Р. 142, 147, 148, 150, 151

Якубовский А. 108

Բաշկիան Մ. 118

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	5

თ ა ვ ი I

ქართველი ხალხის ეთნოგენეზი

შესავალი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის	9
თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ	31
ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია	64
აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა	88
საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ	100
ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები	104
ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ	112
ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები	123

თ ა ვ ი II

კულტურულ – ისტორიული პრობლემები

ცნება „კულტურა“	132
სვანური „საკურცხილ“	140
საყოფაცხოვრებო რეალიები ვეფხვისტყაოსანში	154
ხევსურული ორნამენტი	161
დაჩითული ჭრელები	209
სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში	215
ლიფანალის მხატვრობის შესახებ	231
თბილისის ყოფა ფეოდალურ ხანაში	235
საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან (ძველი ლეგენდები)	246
თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში	256
მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის	269
ხევსურული კოსტუმი	277
„სილა“ და „ლაღა“	280
ხევსურული სტილი	285
ხევსურული მშვილდ-ისარი	288
ხევსურული საცერული	299
შატილის წარმოშობის შესახებ	304
პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები	308
ქვის კუბო ქვემო ალმედან	323
არქეოლოგიური გათხრა ზემო ავჭალაში	333
ჯვარის მონასტრისათვის	336

თ ა ვ ი III

კავკასიურ-ქველადმოსავლური შტუდიები

აჭარული დათვა-ბოყვა	339
ჭვინტიანი ფეხსაცმელი	357
სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან	364
სუმერთა ცივილიზაცია	368
ხალდური წარწერა	373
ხეთური ბარელიეფი	377
ფარაონ ტუტანხამონის აკლდამა	381
მუმია და სარკოფაგი	386
Ethnogenesis and Cultural-Historical Problems of Georgian People (Summary)	389
Этногенез и культурно-исторические проблемы Грузинского народа (Резюме)	397
ბიბლიოგრაფიული ცნობა	406
ფოტო-საილუსტრაციო მასალის აღწერილობა	407
ფერადი ტაბულების აღწერილობა	408
შემოკლებათა ახსნა	409
მასალა ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონისათვის	410
საგანთა საძიებელი	417
ეთნიკურ სახელთა საძიებელი	425
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	428
პირთა საძიებელი	433
შინაარსი	441
Содержание	443
Contents	445

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие 5

ГЛАВА I

ЭТНОГЕНЕЗ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

Предисловие к истории грузинской этнографии 9
Теории этногенеза грузинского народа 31
И. Джавахишвили и грузинская этнография 64
Акад. С. Джанашия и проблема происхождения грузинского народа 88
О происхождении классового общества и происхождении государства 100
Народные этнонимические предания 104
Об этническом происхождении населения древней Абхазии 112
Грузино-абхазские этнографические параллели 123

ГЛАВА II

КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ

Понятие «культура» 132
Сванский «сакурцхил» 140
Бытовые реалии в «Витязе в тигровой шкуре» 154
Хевсурский орнамент 161
Штампованные ткани 209
Мотив «древа жизни» в лазском орнаменте 215
О лифанальской живописи 231
Быт Тбилиси в феодальной эпохе 235
Из истории виноградной лозы (древние легенды) 246
Мотыжная культура в Западной Грузии 256
Материалы для истории грузинского костюма 269
Хевсурский костюм 277
«Сила» и «лага» 280
Хевсурский «стили» 285
Хевсурский лук и стрела 288
Хевсурский «сацерули» 299
О происхождении селения Шатили 304
Надгробные камни из Питарети и Гударехи 308
Каменный гроб из Квемо-Алме 323
Земо-Авчальские археологические раскопки 333
Джварский монастырь 336

ГЛАВА III

КАВКАЗСКО-ДРЕВНЕВОСТОЧНЫЕ ШТУДИИ

Аджарский «датва-боква» 339
Грузинская обувь с носком 357
Три закавказских исигния (знак отличия) 364
Цивилизация шумеров 368
Халдейская надпись 373
Хетский барельеф 377
Гробница фараона Тутанхамона 381
Мумия и саркофаг 386

Ethnogenesis and Cultural-Historical Problems of Georgian People (Summary) 389

Этногенез и культурно-исторические проблемы грузинского народа (Резюме) 397

Библиографические сведения 406
Описание материала из фото-архива 407
Описание таблиц 408
Список сокращений 409
Материалы к словарю этнографических терминов 410
Предметный указатель 418
Указатель этнических терминов 426
Указатель географических имен 429
Указатель личных имен 434

Содержание (на груз.яз.) 441
Содержание 443
Содержание (на англ.яз.) 445

CONTENTS

Introduction 5

CHAPTER I

ETHNOGENESIS OF GEORGIAN PEOPLE

Introduction to the history of Georgian ethnography 9
Theories of ethnogenesis of Georgian people 31
I.Javakhishvili and Georgian ethnography 64
Acad. S.Janashia and the problem of the origin of Georgian people 88
On the origin of class society and origin of State 100
Popular ethnonymic legends 104
On ethnic origin of the population of ancient Abkhazeti 112
Georgian-Abkhazian ethnographic parallels 123

CHAPTER II

CULTURAL AND HISTORICAL PROBLEMS

The notion of "culture" 132
"Sakurtskhal" of Svans 140
Every day life realities in "The Knight in the Tiger's Skin" 154
Khevsurian ornament 161
Cloth stamping 209
Motif of the "Tree of Life" in Lazh ornament 215
On liphanali painting 231
Tbilisi in feodal epoch 235
From the history of vine (ancient legends) 246
Hoe culture in West Georgia 256
Materials for the history of Georgian costume 269
Costume of Khevsurs 277
"Sila" and "laga" 280
"Stili" of Khevsurs 285
Khevsurian bow and arrow 288
Khevsurian "satseruli" 299
On the origin of Shatili village 304
Tombstones from Pitareti and Gudarekhi 308
Stone grave from Kvemo-Alme 323
Archaeological excavations in Zemo-Avchala 333
Jvari monastery 336

CHAPTER III

CAUCASIAN AND OLD EAST STUDIES

Adjarian "datva-bokva"	339
Georgian footwear with toes	357
Three Trans-Caucasian insignia	364
Sumerian civilization	368
Chaldean inscription	373
Khetian bas-relief	377
Sepulchre of pharaon Tutankhamon	381
Mummy and sarcophagus	386
Ethnogenesis and Cultural-Historical Problems of Georgian People (Summary)	389
Ethnogenesis and Cultural-Historical Problems of Georgian People (Summary in Russian)	397
Bibliographical information	406
List of foto-archves materials	407
Description of Tables	408
List of abbreviations	409
Materials to the dictionary of ethnographic terms	410
Biographical names index	418
Ethnic terms index	426
Geographical names index	429
Subject index	434
Contents in Georgian	441
Contents in Russian	443
Contents	445

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. ავალიანი, ლ. გელოვანი
მხატვარი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორები: ა. გოგეშვილი, ვ. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 17.VII.2000; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VIII.2000;
ქაღალდის ზომა 70x108 1/8; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 39,20; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 33,66.

ტირაჟი 600 შეკვეთა №121

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება"
თბილისი, გამრეკელის ქ. 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი 12/358

ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე

შ რ ო მ ე ბ ი

ტ. II

თბილისი

„მეცნიერება"
2000

ЧИТАЯ ГЕОРГИЙ СПИРИДОНОВИЧ

ТРУДЫ

Т. II

ТБИЛИСИ

„МЕЦНИЕРЕБА"
2000

ქართველი ხალხის იერსახეს, კულტურას ყოფითი ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები განაპირობებს.

თანამედროვე პერიოდში შეირყა ტრადიციული ეხოვრების წესი – საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ეთნიკურობის მახასიათებელი თვითმყოფადობა, ზნეობა, ეთიკა. გაიცლის ხანი და „ქართველური ყოფიდან" არაფერი დარჩება. ეს კი ერის სასიცოცხლო ძალების, მისი თვითშეგნებისა და შინაგანი ბუნება–თვისებების განადგურების ტოლფასია.

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაკვის ფონდის მიზანია თავი მოუყაროს, დაიცვას, პოპულარიზაცია გაუკეთოს საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მონაპოვარს, მდიდარ ხალხურ კულტურას, ქართველი კაცის ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლებს, რომელიც ნარმოაჩენს ქართველი ხალხის ეროვნულ სიმდიდრეს, მიღნევებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში, ილიასეული დევიზით: „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით". ფონდი მოუნოდებს საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობას, საზოგადოების ფართო ფენებს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, საამშობლოს სიყვარულითა და პატრიოტული ინტერესით ჩაებას მოძრაობაში მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული მონაპოვრის გადასარჩენად, რათა ვალმოხდილი ეთესლოეულის თაობის წინაშე, როგორც

ეროვნული
ბიბლიოთეკა